114
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

3

4 1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი.

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 4 აპრილი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### ქართული პოეტური ლენინიანა


კოლაუ ნადირაძე — ლენინი. ლექსი. . . . . . . . . . 4
საპატიო ჯილდო . . . . . . . . . . . . 4
კარლო კალაძე — მზის დაბადების დღეა აპრილი; ვიხსენებ დღეებს. ლექსები 7
ბონდო კეშელავა — გასაუბრება. ლექსი . . . . . . . . 10
ოთარ ჭელიძე — აპრილი ზაჰესში. ლექსი . . . . . . . . . . . 12
ნოდარ გურეშიძე — იმედის შუქი. ლექსი . . . . . . . . . 14
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ულიანოვსკში რვა საათია. ლექსი . . . . . 15
ვახტანგ ძნელაძე — ლენინს უსმენდა ჭაბუკი. ლექსი . . . . . . . . 18
ლადო სულაბერიძე — ვოლგა. პოემა . . . . . . . . . 19


### მსოფლიო პოეტური ლენინიანა


ალექსანდრე ტვარდოვსკი — ლენინის ხსოვნა. ლექსი. თარგმ. გურამ კლდიაშვილმა 25
მარკ ლისიანსკი — დიდება. ლექსი . . . . . . . . 27
მარტ რაუდი — მარადისობა და უკვდავება. ლექსი . . . . . . . . . 28
ჰამიდ გულიამი — სამარადჟამოდ იქნება ჩვენთან. ლექსი . . . . . . . 28
საკენ სეიფულინი — კომუნიზმისკენ გაწვდილი ხელით. ლექსი . . . . . . . 29
სევერინო ირერა იდალგო — სიბრძნე — სინათლე. ლექსი . . . . . . . 29
ფრანტიშეკ გალასი — ალმაფრენა. ლექსი . . . . . . . . 30
ფერენც ხანი — ილიჩი. ლექსი . . . . . . . . . 31
იოხენ ლააბსი — არჩივი. ლექსი . . . . . . . . 31
შანკარ კურუპი — მავზოლეუმში. ლექსი . . . . . . . . . 32
ჟალე — ლენინს. ლექსი. თარგმანები მორის ფოცხიშვილისა . . . . . . . 33

რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . 35
მურმან ლებანიძე — ახალი წიგნიდან. ლექსები. . . . . . . . . 69
უშანგი რიჟინაშვილი — მოთხრობები . . . . . . . . 79
ქუჯი ძიძიშვილი — ორი ლექსი . . . . . . . . . . 98
ამირან კალაძე — ლექსები . . . . . . . 101
აკაკი გეწაძე — ფეხშიშველა სასიძო. გაგრძელება . . . . . . . 104



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გიორგი მარგველაშვილი — ლენინზე ფიქრით . . . . . . . . . 123
ნიკოლოზ ჯაში — ლენინი და ლიტერატურა . . . . . . . . . 130
გრიგოლ ბრეგაძე — ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით . . . . . 136
მამია დუდუჩავა — ხელოვნების განვითარების კანონზომიერების საკითხები 148
აკაკი ბაქრაძე — მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება . . . . . 158
გიორგი გოზალიშვილი — რამდენიმე დამატებითი შენიშვნა... . . . . . . 167
ანდრე კარბელაშვილი — ვინ იყო ალექსანდრე იმერეტინსკი . . . . . . . 172


## ფაქტები, მოგონებანი


სერგი დურმიშიძე — მოგონებების რამდენიმე ფურცელი. გაგრძელება . . . . 177
ავთანდილ ჩხეიძე — ატესური სალამო . . . . . . . . . . . 187


## წიგნების მიმოხილვა


ალექსანდრე ღლონტი — ლეგენდების სამყაროში . . . . . . . 189
ალექსანდრე სიგუა — განვლილი დღეების გახსენება . . . . . . . 190



**მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. ხომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 12/III-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-80 წ., ანაწყობის ზომა 7¼×12, ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.
უე 08453. ტირაჟი 19.350. შეკვ. 779.
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



110

16.421

# ქართული პოეტური ლენინიანა

მართლაც რომ საგულისხმო დასაწყისი აქვს ქართულ პოეტურ ლენინიანას.

1917 წელი... პეტროგრადი... სმოლნი... შვიდი ნოემბერი... ქალაქის ქუჩებში დადის მაღალი, გამხდარი, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი. ეს გალაკტიონ ტაბიძეა, იმ დროისთვის უკვე სახელგანთქმული ნოვატორი-შემოქმედი, აღიარებული პოეტი-ტრიბუნი; იგი თავმა ხალხმა წარმოგზავნა აქ, რევოლუციის კერაზე, რომ პირველი მიესალმოს საქართველოს სახელით ოქტომბრის პირველ დილას, დიდ ლენინს, თავისუფლების მზის ამოსვლას.

თავის შესანიშნავ ლექსებში გალაკტიონმა გამოხატა მთავარი ჭეშმარიტება ჩვენი ეპოქისა: ლენინი — ეს არის ხალხების და ერების თავისუფლება, ეს არის საქვეყნო მშვიდობა და ბედნიერება.

გალაკტიონის ლექსებს მალე მოჰყვა ახალი ფურცლები ქართული პოეტური ლენინიანასი; მათ შორის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები იყო გიორგი ლეონიძის ბალადა „ლენინი საქართველოში". მისი შინაარსი ასეთია: ბალადის გმირი — ჭაბუკი მასწავლებელი ჩუმათ ფურცლავს ლენინის ტომს და ბელადის სტრიქონებს თითქოსდა სურნელოვანი ბაღის სუნთქვა მოაქვს. მაგრამ ჭაბუკ მასწავლებელს ერთი სევდა ჩარჩენია გულში ხინჯად: არასდროს არ ყოფილა საქართველოში ლენინი, ერთი დღითაც კი არ ყოფილა, არ უნახავს ჩვენი მტკვარი და რიონი, არ ყოფილა ჩვენს თბილისში, როგორც სანუკვარი სტუმარი. და სჯერა ჭაბუკ მასწავლებელს, რომ ლენინი ღიმილით იტყოდა: ეს რა მშვენიერი ქვეყანა ყოფილაო; და ქართველიც გულით გაიხარებდა, რომ აქაურმა ნიავმა გაუგრილა შუბლი ბრძენ ბელადს და მასწავლებელს. და სწყინს ჭაბუკს, რომ არც ქართული პური გაუტეხავს ლენინს, არც ქართული სიმღერები მოუსმენია. მაგრამ მოხუცი კახა, სკოლის დარაჯი არწმუნებს მასწავლებელს, რომ ლენინი ნამდვილად ყოფილა საქართველოში — „მე შევესწარი! მე ვარ დამხვდური, მე თვით მინახავს, ჩვენში ყოფილა! განა ის ყველას ქოხში არ იყო, როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?"

და ოცნებობს ჩუმად მასწავლებელი: იქნებ იყო მართლაც და მე არ ვიცი. ოცნებობს ჩუმად მკითხველიც, და მოხუცის სიტყვებისა სჯერა, რადგანაც თუნდაც არ ენახა ლენინს ჩვენი სამშობლო — ის ჩვენთან იყო მუდამ და ამიერიდანაც მუდამ ჩვენთან იქნება.

პოეტსაც სწამს, რომ ლენინის სიტყვა მომავალშიც ყოველი მართალი ადამიანის გულის ფიცარზე იქნება დაწერილი, ვარსკვლავად აციმციმდება და ვარდად, უჭკნობ ვარდად აღმოცენდება რწმენაში. სძინავს ლენინს, მაგრამ მის სახელს ღვიძავს, მის საქმეს ღვიძავს. ლენინი ხალხის გულის ფეთქვაა და არასოდეს არ დაბოლოვდება. გაჰყვება საუკუნეებს, როგორც შუქურა თავისუფლებისა და მომავალშიც იქნება მისი სახელი სიმართლისა და ადამიანთა სიყვარულის სიმბოლო.

მართალია მოხუცი, როცა ამბობს, ლენინი მეც მიცნობდა, მეც მეშველებოდაო. ყველგან იყო და არის ლენინი, საბჭოეთის ყოველ კუთხესა და ყველა მხარეში, და ყველგან წინ მიუძღვის ხალხს ნათელი მომავლისაკენ.

აი ეს არის დედააზრი ქართული პოეტური ლენინიანასი; განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე არ დარჩენილა საქართველოში პოეტი, რომ თავისი საუკეთესო ლექსი არ მიეძღვნას ლენინისათვის. ამ ლექსებზე დაწვრილებით გვესაუბრება ჟურნალის ამავე ნომერში გიორგი მარგველაშვილი თავის ვრცელ მიმოხილვით წერილში „ლენინზე ფიქრით..."

ლენინზე ფიქრით არის განათებული ჩვენი ყოველი დღე. ლენინზე ფიქრით არის განმსჭვალული ამავე ნომერში გამოქვეყნებული ახალი ლექსები ხალხთა ბრძენ ბელადზე; ეს ლექსები და პოემები უდაოდ ღირსეულ ადგილს დაიჭერენ ქართული პოეტური ლენინიანას საგანძურში.

ქართული სსრ სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

# ლ ე ნ ი ნ ი

შენ დაიბადე უიმედობის
და უნუგეშოდ ცხოვრების წლებში,
შენს ირგვლივ, ყველგან, ნიშნად გოდების,
ისმოდა ოხვრა ველად და მთებშიც!

შენს სამშობლოში, რუსეთში, უხვად
მობნეულ იყო ტანჯვა, ვარამი...
ხალხი ყველაფერს ითმენდა უხმოდ,
მხსნელი არ ჩანდა არსად, არავინ!

რუსეთს ქედმოხრილს, რუსეთს დაჩაგრულს
თვითმპყრობელობით და ბატონყმობით,
მონობის უღელს ადგამდნენ მზაკვრულს,
ანადგურებდნენ შიმშილით, ომით!

## საპატიო ჯილდო

ცნობილი სამხედრო ჟურნალისტი ბორის გალანოვი თავის მოგონებებში აღწერს როგორ ხვდებოდა ჯერ კავკასიის მთებში და ნოვოროსიისკის მიდამოებში, შემდეგ, ჟიტომირის გზატკეცილზე და კარპატებში მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საფრონტო გაზეთების თანამშრომლებს და მუდამ დაბეჯითებით უმეორებდა მათ:

— ხშირ-ხშირად გაშალეთ თქვენი ბლოკნოტები და წერეთ, წერეთ. ნუ დაიზარებთ. დაიხსომეთ ფაქტები, ამბები, სახელები. რაც შეიძლება სწორად მოიხსენიეთ გაზეთში სახელები. ყოველი კაცი, ვინც მონაწილეობს ამ ომში, იმსახურებს იმას, რომ არ იქნას დავიწყებული.

შემდეგ გალანოვი განაგრძობს:

„ერთხელ ლეონიდ ილიას ძე პოეტ ილია სელვინსკის უთხრა:

— დღეს ჩემს გამოსვლაში უნდა გაგლანძლო, ილია!

— რისთვის ამხანაგო პოლკოვნიკო!

— რატომ აგდებ შენს თავს საფრთხეში, ეს არ შეიძლება!

ლაპარაკი იყო სელვინსკის გამგზავრებაზე იმ მსროლელი დივიზიის შტაბში, რომელიც იცავდა ცემენტის ქარხანა „ოქტომბერს“ და რომელმაც მთლიანად გადაუკეტა გერმანელებს გასასვლელი გზა ნოვოროსიისკიდან შავი ზღვის სანაპიროზე. ასეთი გამგზავრება, თავისთავად, ძალზე საშიში იყო. ქარხნის ტერიტორიას მტერი მთლიანად ხედავდა და ტყვიას ყველგან აწვდენდა. სელვინსკი კი თამამად გაიჭრა წინა ხაზზე. მისი ტყავის პალტო ბეწვის საყელოთი ძალზე შესამჩნევი სამიზნე იყო გერმანელი სნაიპერებისათვის.

მაგრამ, საყვედურობდა რა პოეტს გაუფრთხილებლობისათვის, თვითონ ლეონიდ ილიას ძე ვალდებულად თვლიდა თავს წასულიყო ფრონტის ყველაზე ძნელსა და საშიშ უბნებზე, იქ, სადაც ყველაზე დიდი განსაცდელი იყო“.

შემდეგ გალანოვი მოგვითხრობს როგორ ესტუმრა ლ. ი. ბრეჟნევი საფრონტო გაზეთის რედაქციას ამხანაგურ ვახშამზე, რომელიც საოქტომბრო ზეიმის შემდეგ გაიმართა:

„ჩვენთან სალამოთი რომ მოვიდა, ლეონიდ ილიას ძემ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ შენს სახლში, შენს ბავშვურ ბაგეს
ატკბობდნენ უკვდავ პუშკინის ენით,
და ბეთჰოვენის ღვთაებრივ ჰანგებს
წარუტაცნია ოცნება შენი...

ტკბილი ბავშვობა, ტკბილი სიზმრები,
ტკბილი დღეებით სულს ულხენია,
აქ ფრთებს ისხამდა შენი ფიქრები,
აქ ფეხს იდგამდა შენი გენია.

შენ ამ სახლშივე პირველად ნახე,
როს ყრმობა იებს გაფენდა თავზე, —
კაეშნით დედის მოცული სახე,
დედის თვალები ცრემლებით სავსე;

ეს იყო იმ დროს, როცა შვილისთვის
იმედი ხსნისა არსად ჩანდებოდა,
და როცა იგი რუსი ხალხისთვის
სახრჩობელაზედ ილუპებოდა.

შურისძიების სურვილი მაშინ
აღიძრა სულში, ცეცხლად იწვოდა,

თზულად გვირჩის, რომ ხალღეხახწაული სუფრასთან რაც შეიძლება ნაკლები წარმოთქმულიყო ოფიციალური ხაზეიმო სიტყვები, რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო უბრალოება და გულწრფელობა.

პოეტ ბორის კოტლიაროვს — ჩვენი გაზეთის თანამშრომელს, მამაც ოფიცერს, რომელიც ავტორი იყო ფრონტზე გავრცელებული სიმღერისა მცირე მიწის შესახებ, სთხოვეს წაეკითხა თავისი ახალი ლექსები. ბორისი წამოდგა და მკაფიოდ წაიკითხა ახალი ლექსი ომზე. ლეონიდ ილიას ძემ უთხრა პოეტს:

— ეს ხომ სულ ბრძოლებზე და სროლაზეა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ როგორ ფიქრობ, ჯარისკაცებს მუდამ ომზე უნდა უკითხო ლექსები? სხვა თემაზე არაფერი გაქვს?

— არა მაქვს, ამხანაგო პოლკოვნიკო, — უპასუხა კოტლიაროვმა.

— რაკი-ლა მასეა, მაშ დაჯექი და მომისმინე!

და ლეონიდ ილიას ძემ დაიწყო ესენინის ლექსების კითხვა ზეპირად.

რასაკვირველია, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ადამიანების სულში სიკეთეს, გულითადობას, სიცილს ვერ ჩაახშობს ეს სასტიკი ომი. შემდგომში თითონაც დაწერა, რომ ათასობით ადამიანები ცხოვრობდნენ მცირე მიწაზე არა მარტო იერიშებით, დაბომბვით, ხელჩართული შეტაკებებით. ხანგრძლივი დროის მანძილზე იქ დამკვიდრდა ცხოვრება, სადაც საჭირო იყო ყველაფერი, რითაც ცოცხლობს ადამიანი. მათ შორის საჭირო იყო ლექსებიც. ეს ჩვენც ვიცოდით, თუმცა ხანდახან გვავიწყდებოდა. უნდა ითქვას, მთელი ომის განმავლობაში რედაქციას არ მიუღია იმდენი წერილი, რამდენიც მიიღო მცირე მიწიდან მთელი 225 ცეცხლოვანი დღის მანძილზე. ვარჩევდით რა სარედაქციო ფოსტას, შეიძლებოდა ეფიქრა კაცს, რომ მცირე მიწაზე იბრძვიან მთელი საბჭოთა კავშირის დამწყები პოეტები. მათს თვალწინ გადაშლილი იყო გამხმარი, გამოფიტული, გერმანული ფუგასებით გადახნული ველი, აქა-იქ მოსჩანდა თითო-ოროლა ხის ჩონჩხები, კუნძები, შიშველი ღეროები უტოტებოდ, რომლებიც წაესხიპა ნაღმებისა და ყუმბარების ნამსხვრევებს. მაგრამ შესვენებებში, ბრძოლებს შორის ადამიანები წერდნენ ლექსებს გვირილებზე და მზის ამოსვლაზე და ჩასვლაზე, ნორჩ არყისხეების მწვანე ფოთლებზე, რომლებიც ოდესღაც შრიალებდნენ შენს თავს ზემოთ — ერთი სიტყვით, წერდნენ მშვიდობიანი ცხოვრების უბრალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ის, რასაც ფიქრობდა ბავშვი,
მშრომელს ესმოდა, ხალხმა იცოდა.

როცა დაინგრა მტარვალთა ტახტი,
რევოლუციის ცეცხლის მნთებელი,
ახალი ქვეყნის მესაჭე გახდი,
ახალ ცხოვრების ფუძემდებელი.

დღეს უძლეველი შენი გენია
არის მასების გულთა მფლობელი!
იგი მზესავით შუქთამფენია
და მარად მზისებრ ჩაუქრობელი;

ჩაუქრობელი სიბრძნე ერისა,
ხსნად მოვლენილი ტანჯულ ქვეყნისთვის,
მედროშე ყველა გამარჯვებისა,
მებრძოლი დიად მომავლისათვის!

---

სიხარულზე, რომლის გახსენებაც ომის დროს ათასჯერ უფრო ძვირფასი გახდა“.

ამ პატარა ამბავში განა არ ჩანს პოეზიის ძალა? უფრო მეტიც, განა არ ჩანს რა არის პოეზია და რა ადგილი უჭირავს მას კაცის ცხოვრებაში... ის საჭიროა ყოველ დღე მშვიდობიან ცხოვრებაში, მაგრამ დახეთ, განსაცდელში, ჯოჯოხეთურ ომშიც ის ჰაერივით საჭირო ყოფილა.

ამ ცეცხლის კორიანტელმა, ამ ყველაზე დიდმა ომმა, რომელიც კი ახსოვს ისტორიას, წარუშლელი შთაბეჭდილებანი დატოვა „მცირე მიწის“ ავტორის ხსოვნაში და მას არ შეეძლებოდა ეს წიგნი არ დაეწერა. „მცირე მიწამ“, „აღორძინებასა“ და „ყამირთან“ ერთად, მიმდინარე წელს ყველაზე მაღალი, ყველაზე საპატიო ჯილდო — ლენინური პრემია მიიღო.

ამ წიგნებს იცნობს მთელი მსოფლიო. ისინი თარგმნილია თითქმის ყველა ხალხის ენაზე.

ამბობენ, ყოველ წიგნში თვით ავტორის სულია ჩაქსოვილიო. ამ წიგნებში მკითხველის წინაშეა ჩვენი პლანეტის ყველაზე უფრო პოპულარული სახელმწიფო მოღვაწე, რომლის ყოველ სიტყვას დაძაბული უსმენს მთელი კაცობრიობა. აღნიშნული წიგნები გადმოგვცემენ საბჭოთა ხალხის ბრძოლის, შრომისა და ცხოვრების ისტორიულ გამოცდილებას, სიბრძნეს მთელი უზარმაზარი ეპოქისა, სიბრძნეს ლენინის პარტიისა, იმ მაღალი ჰუმანიზმისა, რომელსაც თავისი შრომითა და ბრძოლით ამკვიდრებს საბჭოთა ქვეყანა. ეს წიგნი მემუარები არ არისო, განაცხადა ამხანაგმა ბრეჟნევმა პრემიის გადაცემის დროს. დიახ, ეს წიგნი მემუარები არ არის. ეს არ არის მარტო წარსულის ახსნა, ეს არის ისტორია — მიმართული წინ, ისტორია, მომავლის განჭვრეტასაც რომ შეიცავს.

თავის ნაწარმოებებში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა სოციალისტური რეალიზმისათვის, მთელი ჩვენი მწერლობისათვის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან, უაღრესად პრინციპულ მხარეს, სახელდობრ იმ დებულებას, რომ გმირული, ჰეროიკული საწყისი მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ისტორიაში, ბრძოლაში როდია რაღაც განსაკუთრებული, განცალკევებული, მარტო ამა თუ იმ პიროვნებისათვის მინიჭებული რამ, არამედ იგი, ეს გმირული საწყისი — თვით ხალხის წიაღშია, მის სულიერ სამყაროში.

„მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“ ცხოვრების ნამდვილი სახელმძღვანელოა ყველასათვის, ვინც კომუნიზმს აშენებს. მრავალი ასპექტი აქვს ამ წიგნებს, მრავალი სფერო. ისინი მოიცავენ მთელ ცხოვრებას — პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო სფეროებს, კადრების აღზრდის გამოცდილებას, მეცნიერებისა და ცოდნის უზარმაზარ რთულს, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განუზომელ მნიშვნელობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

## მზის დაბადების დღეა აპრილი

სურათი თვითონ ამსხვრევს ძველ ჩარჩოს:
ლრუბლებში დილის სხივმა იმატა, —
მზის ამომავალ დღეს გაუმარჯოს,
აპრილის ბურში რომ დაიბადა!
ახოვანება მთათა-მაღალთა
შვენის მხარ-ბეჭით კიდეც ჩემ სურათს,
ბუნებამ ჩემმა მეც აქ დამხატა,
მხრებზე მოვიგდებ ნაბადს მწყემსურად.
მე ვარ მთის კაცი, მე ვარ ცის მუშა,
ვაგე სახლ-კარი, ვაზი ვახარე.
ვაგე კაშხალი და მუშა-მუშა
ვარსკვლავიც ამ ცას მე შევაყარე!
რომ არ შემწევდეს — რად ვიკამათებ,
არ ვარ ჯაბანი, არ ვარ ულონო,
ლამეებს ისე როგორ გავათევ
სიმღერა რომ არ გამოვუგონო!
მზის დაბადების დღეა აპრილი,
მეც მას შევყურებ ვით ჩემს გაზაფხულს,
მე ვარ ენგური ფაფარ-აყრილი,
ტბორად დადგომა იქნებ მეც არ მსურს,
იქნებ ალმომხდა ხმა უნებური
და შერკინება კვლავაც მომინდა, —
აკი, შინ არც ვარ დაბრუნებული,
ძლივს რომ ჩავაქრე, იმ დიდ ომიდან!..
შევერკინები კლდეებს ლალუმით,
კვლავ რომ გავაღო ბუნების-კარი,
განა სალრეოდ და სალაღობოდ
ვარ კლდეებ-შუა მკერდ-გაშლით მდგარი.
ჩემს სიჭაბუკეს, ჩემს სიჭარმაგეს
მართავდა მართალ ხელით ლენინი...
ხმალი ვიყავი და არ ჩამაგეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელვა ვიყავი ცას შერჩენილი!
და ამიტომაც მძულს შეჩერება,
ვენდე ჩემს მერანს, ვენდე სისწრაფეს.
წელთა-მრავალთა რბევა-ჭენება
ცისკრის ალივით მისწვდა ცისაფერს!
ესმოდეს მტერსაც უბოროტესსაც
ერთი თუ ერჩის — მე ვარ ის ერთი!
ნატყვიარ ნეკნებს შვენის როდესაც
ოქროს ვარსკვლავით უბრწყინავს მკერდი.
აპრილისაა სიახლეც, რადგან
აპრილისაა ფერიც ფერადი,
მზე ვით ბელადი ქედმაღალს ადგა,
მზე იყო, დიახ, ჩემი ბელადი!
ვაგე, ვაშენე და ანბან-ანბან
ქვის ჩუქურთმებშიც არის ჩართული,
რომ აწრთო რვალი რუსთავის ალმა,
და რვალიც უკვე არის ქართული!
სწრაფვას კი ძალიც ვერ გაუღუნეს,
მისი მწრთობელიც იყო ლენინი...
და გზად აჩნია გზა საუკუნეს,
მერანო ჩემო, შენგან თელილი...

## ვიხსენებ დღეებს

უნდა სიჩუმე გამოცხადდეს — ერთი საათით
მთელ ქვეყანაზე, მაშინ როცა მავზოლეუმში
დაასვენებენ მოკრძალებით ლენინის ცხედარს.

თბილისი. 1924 წ. პაოლო იაშვილი.

დათოვლილ პროსპექტს მე ვერ წავშლი, ვერ დავივიწყებ!
ეს იცის ჩემმა სიყმაწვილემ, ჩემმა სიფიცხემ.

ეს დღეა სიკვდილ-სიცოცხლისთვის საბედისწერო...
არ გავიხსენო? მაშ, რა არის, რა მოლანდება —

ასე მგონია, სადმე ალი ამოვარდება.
მზე არ ჩანს, თოვლს კი დაჰფენია შავად მზის ჩერო!

ლექსი ჩასმული შავ ჩარჩოში, არ გავიხსენო?
არ დავიჯერო მწუხარება სიტყვა-გამშრალი!?

აჰა შეკრთომაც მოლოდინით დათოვლილ ტოტის.
(დღეა და მართლაც, გათენდება ვინ იცის, როდის!)

ჯავრს უცებ ხალხი დაურაზმავს და როგორც ჯარი
მოდის ქალაქი, შეჩერებულ ნაბიჯით მოდის...

და ამ დუმილზე ხმა-მაღალი არა მგონია
იყოს ძახილი, იყოს ვაება —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციდან ცას იგი გრიგალივით არ აჰყოლია —
გმინვით ქალაქის მავთულებში როცა გაება.

გასაოცარი დღეა, მართლაც, ვდგევარ მეც აქვე,
ღიაა სკოლის დათოვლილი ეზო და კარი.

რომელ სიჩუმეს დავუჯერო, რომელ ერთს გავყვე.
ვდგევარ. გაკვეთილს არ იწყებს ზარი.

მარჯვნივ და მარცხნივ, ქუჩის გასწვრივ, წითლით და შავით
კიბის შემართვას რკინის ძრავი თოვლშიც არ იშლის —

დროშების ალში შეუმჩნევლად შეჰრილ ქარსავით
თავისი ხელით გადუხატავს ცა მარჯანიშვილს!

აგერ პაოლოც! — მომანათა შორიდან თვალი.
ვისაც კი ვიცნობ და არ ვიცნობ, კაცი და ქალი,

ვინც კი მინახავს — აქ არის ყველა!
ფრთა-შავი დღეა, ფრთა-შავი დღე. და განა ბნელა —

უყვარს სიმტკიცე ქვის ამ ქალაქს, ქვის სიმაგრეებს
და ჩამიჩუმიც ახლა ქვითკირს არ ახმიანებს...

ფერი წითელი, ფერი შავი — დათოვლილ ხეებს
მკლავებზე შერჩათ ისე, როგორც ადამიანებს.

ო, ამ ჯავრს ვერცერთ გაქვავებულ ჯავრს ვერ შეადრი —
იგი მოვიდა აქ ელვის უმალ.

სდუმს ღია სახლი, ღია ბაღი, ღია თეატრი,
დგანან ჯგუფ-ჯგუფად ორკესტრები და ცისქვეშ სდუმან.

არავინაა შინ, კარებში დგას მწუხრის ნისლი.
და ისმის შორი გულისცემა კრემლის საათის.

აქ შეუჩერა ქუჩებს შავ-შავ ძარღვებში სისხლი
ცამ, თუმცა მტკვრის ამ ალმართებზე ასი გზა ადის!..

და აი უცებ, ფეხზე ამდგარ მთებს და ქალაქებს
გადმოსცა ზეცამ უმკაცრესი დუმილის წუთი.

მე ვინ ვარ, მაგრამ მეც ის წუთი მალაპარაკებს,
მეც ფეხზე ვდგევარ, მოვიხადე მოწაფის ქუდი.

არაა სიტყვა დამთრგუნველი იყოს სიკვდილის
და მკაცრი უფრო — ვინემ მრწამსი, მრწამსი იმ დილის!

მე ვინ ვარ, მაგრამ ისე, როგორც დამაიმედეს,
მეც იმ სიცოცხლის სიყვარულით დავდივარ მთა-მთა!

...მზე ჩადიოდა. ჩადიოდა... და მითუმეტეს —
მისი ბრწყინვალე ამოსვლა მწამდა.

ბონდო კეშელავა

## ვ ა ს ა შ ბ რ ე ბ ა

მენშევიკების არსებობა მე კარგად მახსოვს...
წმინდა გიორგი შუბით ხელში ფულზე ეხატათ,
ოცნება იყო თეთრი პური... ტეხდნენ ახოებს,
ჟანგმოდებული ეგდო ხერხი შეშის მხერხავთა.

არვის უკვირდა სანახევროდ ხალხს თუ შიოდა,
სიცოცხლისადმი სიყვარული დღით-დღე ქრებოდა,
ტყავის ძირიან ფეხსაცმელზე ვინღა ჩიოდა,
თუნუქამოკრულ ხის ქოშები გვენატრებოდა.

აჯანყდა ხალხი ჯერ აქა-იქ... მერე და მერე,
გუნდი და გუნდი ახმაურდა წითელ რაზმების,
დაუზოგავად დასცხეს, დაჰკრეს, სჭექეს, იმღერეს,
გზებს იკაფავდნენ მომავლისკენ მართალი ხმებით.. .

და ჰა, დღეც დადგა სამშობლოდან მათი გაქცევის,
ზოგმა იგლოვა... ზოგიერთებს კი ეცა ელდა,
ქალაქის ბაღში დაბანაკდნენ ჯარისკაცები,
ქუჩები უცებ მიყუჩდა და დაცარიელდა.

არაფრად ღირდა დარჩენილთა თოფის გავარდნა,
მძლავრი მკლავები ვერ მოღუნა უძლურთ ხრიკებმა,
თანდათანობით დაშოშმინდა ხალხი, დაწყნარდა,
ძალა-უფლება დაიმკვიდრეს ბოლშევიკებმა.

იმ ქარიშხლიან დღეებშივე მე ჩემს ოჯახში,
ბოლშევიკების თანამგრძნობი ვიყავ პირველი,
ვყალიბდებოდი იმ ქუხილში, ბათქში თუ ჯახში,
აბა რა იყო აქ ვინმესთვის გასაკვირველი.

ცხრაას ოცდასამს მივესალმე მე „გაზაფხულით“
ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ხელისუფლებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავესაუბრე ფიქრებს უხმოდ, ვსთქვი განზრახული,
და გამიხარდა ლექსის ბეჭვდის მომცეს უფლება..

შვიდი ნოემბრის ზეიმის დღეს პირველად ვნახე,
სურათი მისი, ვინც ოქტომბერს წინამძღოლობდა,
სულის, გონების მის სახიდან ვიგრძენ სიახლე,
რაც მასთან ჭაბუკს სიყვარულით მაახლოვებდა.

ვთესე სიკეთე... ჭირთან ბრძოლა და სათნოება,
რიდით ვურჩევდი მოწყენილებს რწმენით სიარულს,
ვებრძოლე მტკიცედ წუთისოფლის ამაოებას,
არ ვთაკილობდი თეატრებში ბოლო იარუსს.

გადავსხვაფერდი... პრესას, წიგნებს ჩავავლე ხელი,
წინ, წინ გადავდგი ნაბიჯები სწრაფი თუ ნელი,
ფიქრთა ჭიდილში გავაცილე მრავალი წელი...
და შემდეგ ლექსით, ვრცელი ლექსით მივმართე ლენინს..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

## ქარილი ზაჰესში

აპრილი
ყვავილებს
მოახლვავებს
და მტკვართან,
ზაჰესის
გარიჟრაჟი —
კაცთაგან
ყველაზე
უსაყვარლესს,
მალამოდ
ედება
ნატყვიარში.
დასჭრილი ძმის გამო
აცრემლება,
ციმბირი,
სტალინის
თავდადება,
ოქტომბრის
გრუხუნი
ახსენდება
და უფრო
მაღლდება
ქანდაკება.
მძლავრ ძაბვას
ერთვება,
უმძლავრესი
გრიგალის —
ლენინის
ენერგია,
რომელსაც
ძალეყო
უმკაცრესი
სამეფოს
კარიბჭე
შეენგრია.
ხმა ესმის
ნაცნობი
მატარებლის,
ამშვიდებს
სიმწვანე
მოხასხასე,
ყიჟინა
ქართველი
პატარების —
უღვიძებს
ოცნებას
მომავალზე.
დგას იგი
ძალმოსილ
თაობებთან,
ვინც ქვეყნის
მყობადი
გამოსჭედა.
რამდენი ვარამი,
დაობლება
ატყვია
სახეზე
ნაოჭებად!
რამდენის
ვაჟბით
შეინისლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლე შუბლი —
შემცველი
სიდიადის,
დროშა და სახელი
ლენინისა
რამდენმა
იფიცა
სიკვდილამდის!
ავ-კარგის
მჭვრეტელი
გადასცქერის
და ამჩნევს
მაღალი
კვარცხლბეკიდან:
მედროვე ქლესათა
დამარცხებით,
მისი გზის
თრგულნი
მარცხდებიან.
ლენინის მარჯვენა
საგანგებოდ
გაწვდილა
მიზნისკენ
მიმართული,
რომ უფრო აყვავდეს
საქართველო
და მზემდე
აყვავდეს
ტკბილქართული.
დუღაბის
კლდეებში
ამბოხივით
დუღს მტკვარი
აპრილის
დარიანში,
იღვიძებს
ქვეყანა
ვალმოხდილი,
ზაჰესში
შემოდის
გარიჟრაჟი.
მოდიან
უმდიდრეს
ველ-მინდვრების,
სოფელთა,
ქალაქთა,
მედროშენი
და რკინა-ბეტონის
ჯებირებით
მათ ფეხქვეშ
გუგუნებს
მეტრომშენი.
აპრილი
აზავთებს
ნაკადულთაც
ფაფრიან
ტალღათა
გალომებით:
ორკესტრთა
ქუხილში
ჩაკარგულა
ჟღურტული
ხმასუსტი
მგალობლების.
იჭექებს
სიმღერა
ძველქართული
და სპეტაკ
სიცოცხლედ
ქათქათდება,
უმტკიცეს
გრანიტზე
შემართული
ვლადიმერ
ლენინის
ქანდაკება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ გურეშიძე

## იმედის შუქი

ვ. ი. ლენინმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში
მოიხსენია ქართული სოფელი კიკნაველეთი.

გონებით სჭვრეტდა კონტინენტებს,
ციურ პლანეტებს,
ყველაზე მძაფრად დედამიწის
მან იგრძნო ბრუნვა,
ბნელთან ბრძოლაში ლამის
მზესაც გადაამეტა,
და ღმერთზე მეტად
მას შვენოდა ხალხებზე ზრუნვა.

ის ყველა კაცზე უფრო მეტად
იყო კაცური,
ისე უბრალო, თავმდაბალი
და საყვარელი,
როგორც მტევანი სასიცოცხლო
ვაზზე გასული,
როგორც ყანაში მოშრიალე
ხორბლის თაველი.

მთელი სამყარო ეტეოდა
ვეება გულში,
მისი ხალისიც, მისი ფიქრიც
და სატკივარიც,
მასზეც ფიქრობდა
როგორ ღვივის ნათესი ხნულში,
მასზეც, თუ რამდენ
ზვირთს მიაწვდის ჰესებს მყინვარი.

თავისუფლება,
სიხარული,
სიკეთე ხალხებს,
შვება დაჩაგრულს —
მას არ ჰქონდა მიზანი მეტი,
მთელი სამყარო
მძლავრად მიჰყვა ამ დიად ძახილს,
განგებამ სწორედ
მას მიანდო მომავლის ბედი.

... და ვინც დაამხო,
ვინც დალეწა ტახტი ბნელეთის,
ვინც ხალხთა გულში
დიდი შუქის დადგა ტაძარი,
არ დაივიწყა არც პატარა კიკნაველეთი,
მცირე სოფელი
იმერეთის მთებში ჩამჯდარი.

...მართალი კურსით
მიდის დიდი ხომალდი ჩვენი,
შეჰხარის ხალხი იმედს,
მარად ჩვენს გულში მყოფელს,
იმედს,
რომელსაც უმადლიან ვლადიმერ ლენინს
...და შუქი ადგას
საქართველოს პატარა სოფელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## ულიანოვსკში რვა საათია...

ულიანოვსკში რვა საათია,
ახლა თბილისშიც რვა არის სრული.
ღამე თუ ლექსთან არ გაათია,
უკმარობისგან გასკდება გული.
რვა საათია
და მზე კი ისევ
ქალაქის მწვანე ქუჩებში დადის,
სხივებს ოქროსფრთა ფუტკრებად
                    მისევს
და მკერდზე მადებს
ცეცხლოვან თათებს.
ამ ულამაზეს
ულიანოვსკში
ეს რა დიდი დღე სცოდნია მაინც!
სტეპთა სივრციდან სხივებწამოშლილს
მე ცაში შევხვდი დღევანდელ აისს.
ვჭვრეტდი მზეს,
ვარდის კოკრად გამოსკვნილს,
მათბობდა მიწის სუნთქვა ჰაერშიც
და ამ დიდებულ ულიანოვსკში
დღეს მზის სხივებთან ერთად დავეშვი.
სიტყვავ,
გულიდან ელვად ამოსკდი,
და ყველა წამი დაამახსოვრე
ულიანოვთა ულიანოვსკში
ერთი დიდი დღის ცხოვრებით
                    მცხოვრებს!..
უკვე საღამოს რვა საათია.
ახლა თბილისშიც რვა არის სრული...
ღამე თუ ლექსთან არ გაათია,
უკმარობისგან გასკდება გული.

იმ ლექსს გადავცემ
ამ გულის სითბოს,
მარადისობის სარკმელს გავიღებ,
ულიანოვსკში დაწერილ სტრიქონს
თბილისის დროით დავათარიღებ.

●

ღია სარკმელთან ივნისის წყნარი
ღამე მომდგარა მოკრძალებულად,
ცის მკერდზე მთვარის
მიგორავს ნალი
და ვარსკვლავთ კრთომა
                    მომძლავრებულა.
სძინავს იმ ქალაქს,
რომლის სახელიც
ყველა ქალაქის სუნთქვაში რეკავს,
მთელი მსოფლიოს გადასახედად
ცამდე აზიდულ სინათლის ზეკარს.
სძინავს იმ ქალაქს,
სახელიც რომლის
პლანეტის ყველა კუნჭულში
                    ფხიზლობს.
ოთახში სარკმლით შემოდის ხომლი
და მიცისკროვნებს მაგიდას ვიწროს.
ვიცნობ მის ციაგს,
მაგრამ არასდროს
ასეთი შუქი მას არ ჰქონია,
სულზე მხურვალე ღველფი დამადო —
ელვის შოლტია თუ სტრიქონია...
მასთან მისასვლელ გზას ვით ვიპოვნი,
როგორ ვიტყვი და

ხალხს გავაგონებ...
კალამო ჩემო,
იმ დიდ სტრიქონის
უთქმელობის დარდს ნუ გამაყოლებ!..

●

დილა მზის ეტლით შემოგრიალდა.
— დღევ, შენი ნათლის კალთა
დამხურე!
ვდგავარ ლენინის მემორიალთან
და მაღლობიდან ვოლგას დავყურებ.
გავყურებ —
სტეპი სხივმა დათოვა
და უსასრულო სივრცე გულს ერთვის,
ვგრძნობ რუსი კაცის გულხალვათობას
და სიდიადეს ვხედავ რუსეთის.
ეს სიდიადე უნდა იხილო
სწორედ აქედან,
ამ მაღლობიდან!
მიგორავს ვოლგის ტალღა ღიღინით
და ჩემი ფიქრიც ტალღად მოდიდდა.
...ოქროსფერთმიან ლამაზ ბიჭს
ვხედავ —
გასცქერის სივრცეს ნისლჩამოწოლილს,
წვიმის მაგივრად სისხლ-ცრემლი
წვეთავს,
პუგაჩოველთა ბეუტავს კოცონი.
ის ჯერ ბავშვია,
ბავშვურად ტკბება
ვოლგის მონისლულ სილამაზითა,
წავლენ წლები და თავისი მხრებით
მთელი მსოფლიოს ტკივილს აზიდავს.
მე გიმნაზიელ ჭაბუკსა ვხედავ,
ძმას —
პეტერბურგში ჩამოლრჩობილის...
ქვეყნად მოსული ჩაგრულთა ბედად
იქნება ყველა ხალხის მშობელი.
იქნება დიდი საჭეთმმართველი,
გულუტყუარი და შორსმჭვრეტელი,
მისგან სულ სხვა გზით წარიმართება
სიცოცხლის დენა შეუწყვეტელი.
ის ხალხს ქარ-თოშში დამსკდარ
ბაგითა
უკვდავების წყალს დაალევინებს...
**აქედან,**
**სწორედ ამ ქალაქიდან**
**ულიანოვი წავა ლენინად!!!**

...და აი ახლაც
ვოლგისკენ ჩარბის
ლამაზი ბიჭი მოშვილდულ წარბით.
უკან მისდევენ თეთრ-ლურჯ ალმებით
ჟასმინები და იასამნები.
მოდიდებულა ვოლგა ზღვასავით
და მიჰყვებიან გემებს გემები,
გადასარკული ქართლის ცასავით
ვოლგა მტკვარივით რათ მეჩვენება...
გულში რა შუქად შემორიალდა
და რა საოცრად გაიდგა ფესვი...
ვდგავარ ლენინის მემორიალთან
და გორის სახლის ჩურჩულიც მესმის.
ვოლგას დავცქერ და
დავლანდავ მტკვარსაც —
ერთ ზღვაში ჩადის ვოლგა და
მტკვარი!
არ მისუნთქია ჯერ ასე არსად —
უსაზღვროების გამეხსნა კარი!

●

სიტყვავ, თუნდ მცირე სანთლად
ამანთე,
სულზე დამდაღველ ღველფად დამედე
და გამამზადე კვლავ მეცხრამეტე
საუკუნეში სამოგზაუროდ...
...ულიანოვთა ჭერქვეშ დუმილი
ათას ქარიშხლის ხმითა ხმაურობს.
ისევ ცხელია კედლის ღუმელი
მაშინდელ ცეცხლით მოგუზგუზეთი,
ლორლიან გზებზე მოჰქუხს რუსეთი,
ბრძოლის ცეცხლოვან გზათა
მძებნელი,
ვით ვოლგის ტალღა დაუდგრომელი —
შფოთავს, ბობოქრობს ხალხი
მშრომელი —
ყოვლის შემქმნელი და შემძლებელი,
დაეძებს, უხმობს თავის წინამძღოლს...
ის აქ,
სწორედ ამ ჭერქვეშ ბინადრობს,
გაშლილი უდევს წინ „კაპიტალი“,
უფროსი ძმისგან დატოვებული...
ის მოდის!
მოდის კაცი ტიტანი,
უმაღლეს მწვერვალს გატოლებული!..
დავალ ნაბიჯით მოკრძალებულით,
ღელვით,
საოცრად მოკრძალებულით.

— ისედაც დიდო დღეო, გაგრძელდი,
ნუ შემიმოკლებ ამ წუთებს ნეტარს!
და იმ ფანჯრიდან,
ის რომ გასცქეროდა,
მისი გზით მავალ ქვეყანას ვხედავ.

●

უბეს მიღელავს ნიავი თბილი —
ვოლგის გაღმიდან დაბრუნებული,
მდინარის გასწვრივ მივყვები ბილიკს
ამაღლებულიც,
გაბრუებულიც.
იასამნების მივდევ ხეივანს
ფრთაშესხმულიც და დამძიმებულიც,
მიღელავს ვოლგა გულარხეინად,
მსხვილ-მსხვილ ტალღებად
დამძივებული,
გოლიათური ძალის და ღონის,
მიდის წამითაც ფეხმოურთხმელი...
იმ ტალღებივით
გულის თუ თონის
კედლებს აწყდება სიტყვა უთქმელი.

ნეტავ რას მეტყვის ულიანოვსკი,
ამ ცხელ გულიდან თუ ვერ ამოვსხი
სიტყვები როგორც ოქროს თევზები...
ნუ გამიწყრება, —
როგორც შევძელი
ისე ვუთხარი საგალობელი
და რაც ვუთხარი, გულით ვუთხარი —
სიტყვა ალალი და საკუთარი.
ამ დიდი დღისთვის ვარ მადლობელი,
ამა დიდი დღით ვარ ბედნიერი,
უფრო შევიგრძნე მიწა მშობელი
ასე მკვიდრი და ასე ძლიერი.
სვეტებმაღალი და შუქმდიდარი,
ფუძემაგარი, უხვი, მწყაზარი
ქალაქი,
ვოლგის პირთან მიმდგარი,
დგას ვით ხომალდი უზარმაზარი.
ყველა სიმართლის ძალას და
სულთქმას
დიდი ლენინის ქალაქი ჰქვია
და დღევანდელი დღეების სუნთქვა
მარადისობის სივრცეში მიაქვს.

ულიანოვსკი — თბილისი.

16.421

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ძნელაძე

## ლენინს უსმენდა ჭაბუკი

ლაპარაკობდა ლენინი,
გულმართალი და ენამზე,
ბრძენ მასწავლებელს უსმენდა
ჭაბუკი ბორის ძნელაძე;

რომ უფრო მარჯვედ შეჰბმოდა
მოსისხლე მტერს და ძველ ყოფას,
უსმენდა ახალგაზრდობის
შორსმჭვრეტელ მეგზურს, მეგობარს.

უსმენდა, რომ ქვეყანაზე
ეთესა სიბრძნე ბელადის,
მომავლის რწმენით სუნთქავდა —
მთაში იყო თუ ველად ის.

ნიადაგ ცეცხლი სდაგავდა
დიადი, ამირანული,
სიცოცხლეს ანაცვალებდა,
თუკი მოსთხოვდა მამული...

ნახა ამხდარი ოცნება,
იხილა, რაიც ეწადა
და კომკავშირულ ჰანგთათვის
სული აქცია ლერწმადა...

სინათლის უკვდავ ჯარისკაცს,
ვიგონებთ ბორის ძნელაძეს
და დროშასავით მაღლა ვწევთ
მის სახელს ბრძოლით შენაძენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

# ვოლგა

ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში, ჭაბუკი ვ. ი. ლენინი, მ. ტ. ელიზაროვთან ერთად, სიზრანში იყო და აქედან, ვოლგის მარცხენა ნაპირით, უნდა ჩასულიყო სოფელ ბესტუჟევკაში.

იმჟამად სიზრანის მიდამოებში, ვოლგაზე გადასაცური ბარჟა იჯარით ჰქონდა აღებული მდიდარ ვაჭარს არეფიევს, არავის აძლევდა უფლებას თავისი ნავით გადაეცურა ვოლგა.

დრო რომ მოეგო, ვალოდია მოელაპარაკა ერთ მენავეს, მაგრამ როცა ვოლგაში შესცურეს, მათ წამოეწიენ არეფიევის მომსახურე მეზღვაურები და ნავი მუქარით უკან გამოაბრუნეს.

ჭაბუკმა ვალოდია ულიანოვმა არ დაუთმო თავგასულ ვაჭარს ვოლგაზე თვითნებობა, ის უკანონოდ იქცეოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვალოდიამ უჩივლა ვაჭარს სამარაში. სასამართლომ ორჯერ გადადო საქმე, მაგრამ არ მოეშვა, მესამედ გაასაჩივრა. სამი თვე მოუსვენრად სდია ამ საქმეს და ბოლოს თავისი გაიტანა — ვაჭარ არეფიევს ერთი თვით პატიმრობა მიუსაჯეს და აუკრძალეს ვოლგაზე თვითნებობა. ამ ამბავმა ცხოველი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ვოლგისპირეთში.

ვ. ი. ლენინის ძმის, დ. ი. ულიანოვის მოგონებიდან

„ვოლგა დედა მშობელო,
ვოლგა, ჩემო დედილო...."
მღერის ვოლგისპირეთი...
ამ სიმღერით ედინოს.
ვოლგა,
სევდის მდინარე,
ვოლგა,
ცრემლის მდინარე,
დრო ვერა ცვეთს სისხლის ფერს,
ცისფერ ზვირთში მინარევს.
ლეგენდებად მოარწევს
რუსი ხალხის ცხოვრებას,
ვოლგას უყვარს ფიქრი,
დინჯად მოემდორება.
რა ცეცხლიც წვავს დარდისა,
ჰა, სტრიქონი წვიმითაც,
მოდის თავის ქარებით,
თოვლითა და წვიმითა.
მოდის მოედინება
თავის მზით და მთვარითა,
ლატაკების ჩირაღდნით,
კვარის სანათარითაც.
ისტორიის ღამეთა
ჯურღმულებში ბორგავს...
„ვოლგა დედა მშობელო,
ვოლგა...
ვოლგა...
ვოლგა..."

ვოლგა რუსის, ჩუვაშის,
მარიელის, მორდველის,
შორით ვოლგის ქარები
ავდრის ღრუბლებს მოდენის.

მოწყდომია ვოლგას
სტეპთა შლეგი ქარები.
დარისხვია ვოლგას
მტრის მრისხანე ზარები.
მონღოლების ურდოთა
ახსოვს ნიაღვარები.
ვოლგას ჩაურაზია
მტრისთვის ქვეყნის კარები.
მოდის, დიდი წარსულის
ცრემლთა აუზს მოჰგავს,
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა...
ვოლგა...
ვოლგა...“

მოდგნენ ბოიარები,
მოდგნენ ვოევოდები,
ლატაკები მოადგნენ
გმინვითა და გოდებით.
ხვრიპე, ვერ ამოხვრიპე,
გარეულო აფთარო,
შეურყევლად იდგა და
დგას სუზდალის სამთავრო.
ბოიარმა დაიჩემა:
„ვოლგა ჩემია.“
მონღოლმა და თათარმა:
„ვოლგა ჩემია.“
ვოლგა განიერია,
ვოლგა უდრეკელია,
ვოლგა ხალხის მდინარეა,
ხალხის ბჭე და კერია.
ვოლგა მონის უღელში
ვერ გათოკავს ტალღებს,
მტრულად გადგმულ ჯებირებს
ლეწავსა და არღვევს.
ვოლგა თავისუფლების
მოდის ფრთების ტყლაშუნით,
ვოლგა გალაღებულია
მაყრულით და ლაშქრულით.
ვოლგა წალმა აბრუნებს
წუთისოფლის გორგალს.
„ვოლგა, დედა მშობელო.
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“

ნაპირ-ნაპირ თეთრი ტყე
არყის ხეთა ბუბუნებს,
მოუხმობენ წარსულში
ტყეებს გადაბუგულებს,
მოაცურებს ტივებს,
ტივტივებენ ტივები,
ტივტივებენ ტალღებზე
მთვარეცა და მთიებიც.
ნაპირ-ნაპირ სტეპებზე
მოლალანე ყანები,
ცელიანი გლეხები,
ბრგე და დევისთავები.
სოფელ-სოფელ გარმონის
მოჩუხჩუხე ხმები
და მიწაში ჩაყანგული
წინაპართა ხმლები.
ჰქრიან შავი ცხენები,
შავი ბედაურები,
გუგუნებენ ვარვარა
სამჭედლოთა ქურები.
ვოლგაშია ნაწრთობი
იქ ნაჭედი ფოლადი,
ჰე, სტეპებო, რამდენჯერ
იწვოდით და ბოლავდით.
ვოლგა სტეპების არის,
ვოლგა ტყეების არის,
ვოლგა გლეხების არის,
ვოლგა მჭედლების არის.
ბასრი არის ვოლგიდან
გატყორცნილი ისარი,
ვოლგა ხალხის მდინარეა,
ვოლგა რუსეთის არი.
ვოლგა დინჯი მდინარეა,
თერგივით არ ბორგავს,
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“

მისდევს ქერა ასული
ვოლგის მწვანე ნაპირებს,
გასწვდა თეთრი რიდე
ნაპირს მოპირდაპირეს.
სწვდა ვაჟს თეთრი რიდე, —
სიყვარულის ხიდი.
— ბიჭო, ყანას მკიდე,
როგორც გუშინ მკიდი.
— ამ პრიალა ცელით
ფეხქვეშ ეკლებს გიცელავ.
— გამოცურე, გელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგცემ მარწყვის ხინცელას.
— ხელთ მაქვს შენი რიდე, —
სიყვარულის ხიდი.
— ვოლგას ნავით სჭრიდე,
როგორც გუშინ სჭრიდი.
— მოჰქრის ჩემი ნავი,
წყალს მოარღვევს მდორეს.
— ბიჭო, შენი თავი
კალთას წამიგორე.
— მოვალ, მოვალ, მოვალ...
— მოდი, მოდი, მოდი...

. . . . . .

ვოლგა სიყვარულის
მდინარეა ოდით,
ვოლგაზეა დგმული
სიყვარულის ხიდი.
მიდი ალალ გულით,
მიდი, მიდი, მიდი.
ვოლგა არ გიღალატებს,
თუ მისი ხარ შვილი.
ვოლგას მკერდი მოყვრისთვის
სანდოდ არის შლილი.
მიდი, დედაშვილური
სიყვარული ხო გაქვს?!
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“
ჰო, ვოლგამ ტალღები
მაღლა რისხვით აზიდა,
საყვარელო გშორდები,
მივალ სტენკა რაზინთან.

მე გაჩვენებ შენ,
ღონე რომ მაქვს უშრეტი,
როგორ მიყვარს ვოლგა,
როგორ მიყვარს რუსეთი.
ბოიარმა სახლკარი
ცეცხლით გადამითქერა.
ჯანყი, ჯანყი, დაჰკარი...
ჯანყის მიხმობს სიმღერა.
ჭრილობაზე, საყვარელო,
მე შენს რიდეს დავიფენ,
ბოიარებს დავცხებ,
ბოიარებს დავიფრენ.
მერე შენი სახლკარის
კარს შევებმი რაზივით...
ახლა მივალ, გშორდები,
მიხმობს სტენკა რაზინი.
დავწვავ ბოიარების
სასახლეთა თაღებს,
მერე გამოვყვები
შენკენ ვოლგის ტალღებს.
გადმოვცურავ მერე,
შენს ნაპირთან მოვალ.
შენთან შევეგებები
წვიმებსა და თოვას.
გაგიშენებ რუსულ
ბაღნარსა და ხატას.
ვოლგის კლდეზე შენსა
ფრესკას მივახატავ.
მცხუნვარ მზეზე მოგიჩრდილებ
არყის ხეთა ქოლგას,
და გიმღერებ:
„დედა ვოლგა...
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“

აზვირთულა ტალღები
სტენკას მღელვარ ჯარების,
მოდის სტენკა რაზინი —
ნახმლევ-ნახანჯლარები.
წამოდუღდა ხალხთა
ვარამი და ბოღმა,
ღელავს ვოლგისპირეთი,
ბორგავს მიღმა-მოღმა.
ვოლგის უვრცეს სტეპებზე
ხალხთა რისხვა აზვინდა.
— ჩქარა სტენკა რაზინთან!
— ჩქარა სტენკა რაზინთან,
ჰქუხან ბოიარები:
— ვოლგა ჩემია!
ღრენენ ვოევოდები:
— ვოლგა ჩემია!
დაიჭექა რაზინმა:
— არა!
— არა!
— არა!
ვოლგა ხალხის მდინარეა,
ჩვენ ვუდგავართ ფარად.
მის ნავებზე ჩვენ ავშლით
სისხლნაპკურებ აფრას,
სასახლეთა ნაცარს

ამ სტეპებზე ჩავფლავთ.

. . . . . . . .

მოდის, მარად მოიმღერის
ამბოხებულ რაზმივით,
ვოლგა პუგაჩოვისა და
ვოლგა სტენკა რაზინის.
მოდის, ხალხის სიმღერა
ზღაპრის ჰანგებს მოჰგავს.
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა..."

მოდის ვოლგა, მოარღვევს
ისტორიის წკვარამს,
ხან მტრის ქარი შეხლია,
ხან მტრის ცეცხლით მწვარა.
სისხლის ღვარით მღვრეულა,
მწივან სეტყვით სეტყვილა
და დაბზარულ მიწაში
ვოლგა არ ჩაწრეტილა.
მოდის, მოედინება,
დინჯად მოემდორება,
მოაქვს მთელი რუსეთის
გაღ-გამოღმა ცხოვრება.
აჰა, ბიჭი მიადგა
ისევ ვოლგის კიდეს,
შეაცურა ნავი, გაღმა
თრთის ასულის რიდე:
— ჰა, მოვყვები შენს რიდეს.
ვით სიზმრების ხიდს.
ხო მელოდე, აჰა, მოვალ,
მზეს მოგიტან დიდს.
მოვაცურებ შენსკენ
ჩემს აფრიან ნავს,
სიყვარული მაცოცხლებს,
სიყვარული მკლავს.
წინაპარი ბიჭიც
მოცურავდა შენკენ,
სიყვარულის ზარები
კვლავაც რეკენ, რეკენ.
შენ სული ხარ მარადი,
სიყვარულის სული.
მომაქვს შენი კარავი,
არყის რტოთი წნული.
მომაქვს ჩემი ნაპირის
ლტოლვა შენს ნაპირამდე.
მე მოგიტან სიმღერას
ახალსაც და წინანდელს.
ვოლგა ჩვენი მდინარეა,
მისთვის თავს არ ვზოგავ.
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა..."

უცებ ვოლგის ნაპირთან
მოდგა ერთი ჭაბუკი, —
მედროშე და ალამდარი
მომავალი ქარბუქის.
ჯერ არ იყო ქვეყნად
კაცი გამოჩენილი,
ჯერ არ იყო ბელადი,
ჯერ არ იყო ლენინი.
ყური მოჰკრა ცარიცინელ
ვაჭრის მზარავ ბღავილს:
— ჰეი, ვოლგა ჩემია,
მოაბრუნე ნავი!
ჰე, აქ მე ვარ პატრონი
ვოლგისა და ბარჟის...

. . . . . . . .

გამოუდგნენ, მოაბრუნეს
ნავიანი ვაჟი.

. . . . . . . .

შეწყდა ბიჭის სიმღერა, —
სიყვარულის ჰიმნი,
დაწყდნენ გაღმა-გამოღმა
გაჭიმული სიმნი.

. . . . . . . .

მაშინ უცხო ჭაბუკი,
ფოლადისგან განთალი,
წინ აღუდგა ვაჭარს...
ჯერ არ იყო ალამდარი.
ჯერ არ იყო ბელადი,
ჯერ არ იყო ლენინი,
მაგრამ სიმართლისათვის
იყო ხმალაღერილი.
გაურისხდა ვაჭარს:
— თქვენ არა გაქვთ უფლება
წინ აღუდგეთ ხალხის და
ვოლგის თავისუფლებას.
ვოლგა ხალხის მდინარეა,
ვოლგა არვის ემონვის,
ხალხისაა დიდი ვოლგა
მისი გარეშემონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭაბუკის სიტყვა
პრიალებდა ცელივით,
ჯერ არ იყო წინამძღოლი,
ჯერ არ იყო ლენინი.
შეუტია კანონებს,
ნახა ხალხის კანონი,
აჩუხჩუხდნენ სიმართლის
უშრეტელი წყარონი.
ვაჭრის ნების წყვარამი
სიტყვის ხმლებით გაჭრა:
— ვოლგა ხალხის მდინარეა,
არ ეკუთვნის ვაჭარს.
შენ გაჰყიდი ვოლგასაც,
დედა ვოლგით ვაჭრობ,
შენ სიმართლის ხეებს
ძარცვავ, ბუგავ, აჭკნობ.
სიყვარულის ხიდის
ბურჯებს ანგრევ, შლი,
ვერ წაართმევ ვოლგას
ვოლგის ნამდვილ შვილს.

და ჭაბუკთან შემოჯარდა,
ბნელის მკვეთელ კანდლებით,
უცებ სტენკა რაზინის და
პუგაჩოვის ლანდები.
მოჯარდა და მოჯარდა
ლანდნი აჯანყებულთა,
შეიმართნენ ვაჭართან,
კლდეზე დაჯახებულთან.
შეიმართნენ შუბებით,
ცულებით და ფიწლებით,
ვალოდიას გვერდით დადგნენ
ტლუ ვოლგელი ბიჭები.
კაზაკი და ჩუვაში,
მორდველი და მარიელი,
— არა, ვოლგა ჩვენია,
ღრმა და ბეჭებგანიერი,
ჩვენ სიმართლის კოცონზე
ვართ ვოლგისთვის დამწვარი.
. . . . . . .
ამ გუგუნში ცალკე დარჩა
კლდეს აკრული ვაჭარი.
. . . . . . .
ხალხის შუა ელვარებდა
სიტყვაბასრი ჭაბუკი,
ჯერ არ იყო ალამდარი
მომავალი ქარბუქის.
ჯერ არ იყო ბელადი,
ჯერ არ იყო ლენინი,
მაგრამ სიმ[illegible]თლისათვის
იდგა ხმალაღერილი.

ბიჭმა ისევ შეაცურა
ნავი ფართო ვოლგაში,
— ჰა, მოვცურავ, ვოლგის მზეთა
შუქს უნისლოს მოგაშლი.
ნავზე შენი სიყვარულის
რიდე აფრად ავშალე,
სულე, ჩვენთან ბედაურთა
შენ მოგანდობ ავშარებს.
ვოლგის ქართან ნაქროლი ვარ,
ვოლგის ზვირთის ნაგეში.
დამხვდი, მოვალ, ბილიკებზე
ფერად ნისლებს გაგიშლი.
სიყვარულში მაცოცხლე და
სიყვარულში მომკალ...
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“

მერეც კიდევ დაიჩემეს
ვოლგა მრავალგზის,
მოდიოდნენ მტრული ზრახვით
სხვათა ნავალ გზით.
კიდევ, კიდევ გადელობნენ
ჭაბუკს გაღმა გასვლის მსურველს.
ჰოი, ვოლგას რა ზეცა აქვს,
რა განი აქვს,
რა სისრულე!
ვაჟს კვლავ შუბი შეაგებეს
სიყვარულთან მიმცურავსა.
...და ჩასანგრდა ამად ვაჟი
ვოლგისპირა მიწურასთან.

— სტალინგრადი!
— სტალინგრადი!
— სტალინგრადი ჩემია! —
ახლა გერმანელი მოდგა
ვოლგის ტალღას გემიანს.
ისევ ჩაცხრა სიყვარულის
სიმღერა და ნადური.
ისევ სისხლით გაიფერა
ვოლგა სტალინგრადული.
ისევ ლავა მიაწყდა
ვოლგისპირა ბოღაზებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სისხლი — ვოლგის კლდეზე
და მამაის ყორღანზე.
ჩასანგრებულ ვაჟის გვერდით
იდგნენ ლომა ბიჭები,
ჰქუხდნენ:
— ვოლგა ჩვენია,
ღვთისგან მონანიჭები.
და ჩარაზეს ვოლგის კარი,
ვოლგის კართან კვდებოდნენ,
— ვოლგა, გვასვი ნექტარი,
სისხლად შეგვერგებოდე.
და მამაის ყორღანიდან
ფეხი არ მოუცვლიათ,
უკანასკნელ სისხლის წვეთმაც
მამულის გულს უწია.
სტალინგრადისათვისა და...
ვოლგისათვის როცა,
სულსა ლევდნენ ბიჭები,
სამამულო ლოცვით, —
იქ, მამაის ყორღანზე
იდგა ხმალაღერილი,
ახლა უკვე ბელადი,
ახლა უკვე ლენინი.
ვოლგა ისევ აბრუნებს
წალმა თავის გორგალს...
„ვოლგა, დედა მშობელო,
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“

მისდევს ქერა ასული
ვოლგის მწვანე ნაპირებს.
გასწვდა თეთრი რიდე
ნაპირს მოპირდაპირეს.
სწვდა ვაჟს თეთრი რიდე, —
სიყვარულის ხიდი.
— ბიჭო, ყანას მკიდე,
როგორც გუშინ მკიდი.
— ამ პრიალა ცელით
ფეხქვეშ ეკლებს გიცელავ.
— გამოცურე, გელი,
მოგცემ მარწყვის ხინცელას,
— ხელთ მაქვს შენი რიდე, —
სიყვარულის ხიდი.
— ვოლგას ნავით სჭრიდე,
როგორც გუშინ სჭრიდი.
— მოჰქრის ჩემი ნავი,
წყალს მოარღვევს მდორეს.
— ბიჭო, შენი თავი
კალთას წამიგორე.
— მოვალ, მოვალ, მოვალ...
— მოდი, მოდი, მოდი...

. . . . . . . . .

ვოლგა სიყვარულისთვის
მდინარეა ოდით,
ვოლგაზეა დგმული
სიყვარულის ხიდი.
მიდი ალალ გულით,
მიდი, მიდი, მიდი,
ვოლგა არ გიღალატებს,
თუ მისი ხარ შვილი.
ვოლგას მკერდი მოყვრისთვის
სანდოდ არის შლილი,
მიდი, დედაშვილური,
სიყვარული ხო გაქვს?!
„ვოლგა, დედა მშობელო.
ვოლგა,
ვოლგა,
ვოლგა...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მსოფლიო პოეტური ლენინიანა

ალექსანდრე ტვარდოვსკი
რუსეთი

## ლენინის ხსოვნა

უცნობ თემში, სადაც ტყის
მყუდროება მარხია,
საზარელი ამბავი მოიტანა
მოიტანა მარხილმა.
გადაევლო ქუხილად
მთათა აწვდილ სართულებს,
დაურბინა დენივით
ტელეფონის მავთულებს.
მიყრუებულ მხარეში
იგრძნობოდა ყრუ სევდა,
არ გვესმინა ზარის ხმა, —
მხოლოდ ქარი უსტვენდა.
მაგრამ ამ დიდ გლოვაში,
როგორც განუყოფელი,
ყველა დედაქალაქებს
მხარში ედგა სოფელი.
და მარხილის ჭრიალი
გვავიწყებდა ყველაფერს,
როგორც მწარე ქვითინი,
ხმა მიჰქონდა კრემლამდე.
გზას იკაფავს მარხილი,
თითქოს ფრთები მოისხა,
ნუთუ არა ესმის რა
საზარელი ცნობისა...
მძიმედ დამწუხრებულნი
ამ სახალხო გლოვაში,
ყველა — დიდი, პატარა,
შევიკრიბეთ სკოლაში.
ვიდრე ხალხი მოვიდა,
ვიდრე ხალხი შეგროვდა,
დიდებს, უფროსკლასელებს
ჩვენი საქმე გველოდა.
დავდიოდით ნაძვნარში
გოგოები, ბიჭები,
და ვივსებდით იღლიებს
თოვლიანი წიწვებით.
განა ჩვენს გასართობად
ვაგროვებდით მწვანე რტოს,
ანდა კონცერტებისთვის,
რომ ბავშვები გაგვერთო?
არა! სულ სხვა საქმისათვის,
გვაღელვებდა საშინლად,
სკოლის წითელ ბაირაღს
შემოვავლეთ არშია.
ჩამოვუშვით კედელზე
და ქვითინი მოგვესმა...
ჩვენი სკოლის დარაჯმა
იატაკიც მორეცხა.
როცა მასწავლებელმა
გადაშალა რვეული,
იყო სრული სიჩუმე
და წესრიგი ჩვეული.
ფეხზე იდგნენ ყველანი,
სევდა იდგა ჟარული,

თითქოს ჰქონდათ რაიმე
მძიმე დანაშაული.
გახვეული ტყაპუჭში
იდგნენ ამხანაგები,
ყოველ სიტყვას უსმენდნენ
და უთრთოდათ ბაგენი.
უსმენდნენ და სიმკაცრე
ედგათ თვალის გუგებში,
რათა სიტყვა ყოველი
ჩაეტიათ უბეში.
ის ნაღველი კრებისა
გულზე ხსოვნად მაწევს,
მასში ჩანდა დიადი
ხალხის ძალა და რწმენა.
ჩემს მშობლიურ სოფელში,
სვეტებიან დარბაზში,
ჩანდა ხალხის მიზნები
დიადი და ლამაზი.
აცილებდა ბრძენ მამას
ჩვენი ნორჩი თაობა,
ჩაგვესახა გულებში
მტკიცე გამბედაობა.
მისი დროშა წითელი
არასოდეს დავხაროთ,
ბრძნული ფიცი სტალინის
ჩვენ ვაცნობეთ სამყაროს.

* * *

არის ქვეყნად დარდები,
იმიტომ რომ კაცნი ვართ,
ჩვენც ვინახავთ გულებში
მოგონებებს ხანგრძლივად.
მაგრამ ეს მწუხარება
მუდამ ნაღველს გვილესავს,
გადასწვდება ანდერძად
შვილიშვილის შვილებსაც.
მაგრამ მედგრად გავუძლეთ
ცრემლებსა და ტირილებს,
მისი ნაანდერძევით
ვიწყნარებდით ტკივილებს.
და რომ არ გვწამებოდა
მომავალი ნანატრი,
იქნებოდა ლაჩრობა,
იქნებოდა ღალატი.
ის, რაც ჰქონდა დიდ ლენინს
წადილად და ოცნებად,
ახდა... შეთხზეს ჰიმნები
ოქროპირმა მგოსნებმა.
წუთით მაინც შეეძლოს
წამოდგომა კუბოდან,
უკვე ახდა ნანატრი,
როგორც თვითონ უნდოდა.
მისი სიტყვა მართალი
ხალხში მუდამ ფასობდა,
ჩვენთან ერთად იცოცხლებს
ბრძენის საქმე და ხსოვნა.
მე ვიგონებ იმ დუმილს,
ჩაფიქრებულ სახეებს,
შავ არშიას დროშაზე
და იმ დროშის მნახველებს.
ვხედავ, სკოლის დარაჯმა
კარი როგორ ჩაკეტა,
და იმ კლასის სიჩუმემ
ბნელი როგორ გაჰკვეთა.
არც შიში და არც სხვა რამ
არ გვიგრძვნია იმ ღამით,
მაგრამ გულისტკივილით
შეპყრობილი ვიყავი.
რა ვუყოთ, რომ მე მაშინ
მქონდა ბავშვის ფიქრები,
ჯერ ხელში არ მჭეროდა
მისი ბრძნული წიგნები.
მას სურათით ვიცნობდი,
როგორც ნათელ დილის მზეს,
და ზეპირად ვიცოდი,
რაც მესმოდა ილიჩზე.
და თუ ჩემი სიკვდილი
ვერ აღუდგენს სიცოცხლეს
ვფიცავ ილიჩს,
მის საქმეს,
თავს შევწირავ, იცოდეთ!
მის გზას გავდევ ბოლომდე,
მას სხვა გზებში ვერ გავცვლი,
თუმცა ამას ვერასდროს
ვერ გაიგებს მზეკაცი.
...მიყრდნობილი ჩანთაზე
გადვიქეცი ძილადა,
გავიღვიძე და უკვე

გვარიანად ინათა.
ქუჩაში კი იანვარს
ჰქონდა ერთი ამბავი,
დადიოდა ყინვებით,
თოვლის ფიფქთა ამალით ,

თითქოს ცამ და მიწამაც
თეთრი ქურქი ჩაიცვეს...

დაუვიწყარ წელიწადს
კომკავშირში ჩამრიცხეს!

თარგმნა **გურამ კალდიაშვილმა**

●

**მარკ ლისიანსკი**
რუსული

## დიდება

ლენინის სახელი
ეპოქად ბრწყინდება,
მის ნათელს მზის შტოზე ვნერგავთ, —
დიდება, დიდება, დიდება,
ლენინის დიდება ყველგან!

ის კი, დაძველებულ პალტოში
        ხვდებოდა
ყოველ წელს. მშიერი ყოფილა
        ხშირად,
შრომობდა და ხალხის ცხოვრებით
        ებრძოდა
სიცრუეს, სიბნელეს, მირაჟს...

ის იყო მუშებთან,
        ის იყო ბავშვებთან,
იცავდა, —
        იცოდა წესი და რიგი...

ლენინი დიდებას,
ალბათ, ვერც ამჩნევდა,
მას არც სჭირდებოდა იგი.

●

**მარტ რაუდი**
ესტონეთი

## მარადისობა და უკვდავება

ყველა თაობა,
ერთი გზნებით ,
ერთი მარჯვენით,
ყველა ეპოქის
სადიდებელ
ქანდაკად ძერწავს
კაცობრიობის
საფიცარ სახელს —
ლ ე ნ ი ნ ი.

სახელი იგი —
პოეტების ზეშთაგონება.
სახელი იგი —
თავისუფლება.
გზის გაგნება და
გულის გაგება.
მარადისობა და
უკვდავება.

●

**ჰამიდ გულიამი**
უზბეკეთი

## სამარადჟამოდ იქნება ჩვენთან

ანდერძად თქმული, გული და სული,
სიყვარულივით მართალი, ბრძნული,
ილიჩის სიტყვა, შუქივით სრული,
გზას გვინათებდეს აწ და მარადის!

ბევრს მოურჩება ამ სიტყვით წყლული,
ბევრს აუსრულებს ეს სიტყვა
სურვილს,
ბევრსაც მოუკლავს შიმშილს და
წყურვილს
ამ წმინდა სიტყვის წმინდა ქანგბადი.

ვისაც უვლია ამ სიტყვის სხივზე
და ვინც ამ სხივზე უნდა იაროს,
მიზნამდე მივა. ვაშა, იმ მიზნებს,
ვაშა, იმ მიზნის ძველო ტრფიალო;

სამშობლოვ ჩემო და ხალხო ჩემო,
აზრო ჩემო და ჩემო დიდებავ,
ეს ის სხივია, შენ რომ გათბობდა,
ეს ის შუქია, შენ რომ გჭირდება!

ვიაროთ ერთად, ვიაროთ ერთად,
ჩვენი გზაა და ჩვენი დრო არი, —
სამარადჟამოდ იქნება ჩვენთან
ლენინი — ბრძენი და მეგობარი.

სამარადჟამოდ იქნება ჩვენთან
სიტყვა წრფელი და სიტყვა ალური,
გავშალოთ ფრთები, გავშალოთ
ფრთები —
წინ სიცოცხლეა და სიხარული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ სეიფულინი
ყაზახეთი

## კომუნიზმისკენ გაწვდილი ხელით

ლენინი!

მუხლზე დაჩოქილს მოჰკიდა ხელი,
წამოაყენა, აღავსო გზნებით,
აი, მას შემდეგ ეყრდნობა ლენინს
წელგამართული კაცობრიობა.

ლენინი!

თავისუფლებას ჩაჰკიდა ხელი
და ციხის კარი გაუღო მაშვრალთ, —
აი, მას შემდეგ მიჰყვება ლენინს
ხალხი, ვით მეგზურს
იმედით, რწმენით.

ლ ე ნ ი ნ ი!

მზეს ვით მეგობარს გადასდო ხელი,
ვით მეგობარი მოვიდა ჩვენთან, —
აი, მას შემდეგ ვენდობით ლენინს,
აი, მას შემდეგ დავდივართ ერთად.

ლენინი!

კომუნიზმისკენ გაწვდილი ხელით
კვლავ წინ მიგვიძღვის
მოძღვარი, ბრძენი, —
აი, ამიტომ ვადიდებ
ლ ე ნ ი ნ ს.

●

სეფერინო ირერა იდალგო
კუბა

## სიბრძნე—სინათლე

ძნელია შენზე ლექსების წერა!

ჩვენთვის გმირობა
ჩვეულებაა...
სწორედ ამიტომ საგმირო ხოტბას
არა აქვს ფასი.

მე ასე ვფიქრობ, —
ვიდრე სიტყვას ვიტყოდე შენზე,
ისტორიასთან დამჭირდება
გასაუბრება...

რევოლუციის გრიგალზე წერა
ძნელია, როგორც
ძნელია ალბათ
ზურგზე მთელი ტყის
წამოკიდება.

ლ ე ნ ი ნ!
საქარხნო საყვირივით
ძგერს შენი გული,
რომ ისევ თავი მოუყაროს
მშრომელ ხალხს ქვეყნად

და სიბრძნე შენი
ის სინათლეა,
სულს რომ გვითბობს და
წინ მიგვიძღვება.

ძნელია შენზე ლექსების წერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანტიშეკ გალასი
ჩეხოსლოვაკია

# ა ლ მ ა ფ რ ე ნ ა

ხეებს ფოთლები
დასცვივდა, როგორც
დღეებს წუთები...

ყოველი დილა
იწყებოდა რაღაც გუგუნით
და გუგუნითვე ღამდებოდა...
ზმუოდა ქარი...
და იყო მაშინ ნოემბერი.

და უცებ,
თითქმის მოულოდნელად,
იატაქვეშეთის უკუნეთიდან
სინათლესავით დაიძრა იგი —
ლ ე ნ ი ნ ი.

თვალები მოჭუტა ოდნავ,
და ელვასავით მოიქნია
მახვილი მზერა და
მიწას უცებ მოსწყვიტა
ც ხ ე ნ ი.

პეტროგრადის ქვაფენილებზე
გაიწკრიალეს
უმალ ნალებმა
და ნაპერწლებად დაიყარა
საუკუნენი.

იმედის დეზი
უხედნელ გრიგალს
ჰკრა მან და
უმალ
დაიძრა რისხვად
უდიდესი გრიგალი ქვეყნად.

გასამარჯვებლად დაიძრა იგი.

...ძალაუფლება საბჭოებს...

ისტორიის თქარათქური
აღვიძებდა
მიყრუებულ კაცობრიობას.

ცეცხლი იჭრებოდა უკუნში.

დაჭრილი მხეცი
ვერ თმობდა რუსეთს,
მაგრამ მას უკვე
ძვრებოდა ტყავი.

იხილეს:
მიწა ნაწამები,
ცნობისმოყვარეობა სიღარიბისა
და დაცვეთილი ფეხსაცმელებიდან
გამოყრილი თითები.

ყველაფერი გარკვევით ჩანდა.

და... უცებ,
უცებ, —
ალმაფრენა სიყვარულისა!
თავისუფლების შეგრძნება
სრული!
და
დედამიწის კვარცხლბეკზე
მდგარი
ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ხეებიდან ძირს დაფენილი
ფოთლები.

სამართალი აკეთებდა თავის საქმეს.
ეპოქის დაფდაფები
აგუგუნებდნენ
ჰომეროსის მარშს.

და ნოემბერი ჰგავდა
ევროპის წინ
აფეთქებულ ყუმბარას.

ფერენც ხანნი
უნგრეთი

## ილიჩი

სრულიად უბრალო
ადამიანური შუბლი,
არავითარი
მარმარილო.

სრულიად უბრალო
ადამიანური თვალები,
არავითარი
ოკეანე.
ხელი მისი უბრალო ხელი,
არავითარი
ხიდი.

თავზეც უბრალო
მუშური კეპი,
არავითარი
ეკლის გვირგვინი.

მაგრამ მის მხარდამხარ,
სწორედ მის მხარდამხარ,
სწორედ მის მხარდამხარ,
მოაბიჯებს
რევოლუცია.
ორივე დიდი მოვლენა
ქვეყნად.

იოხენ ლააბსი
გერმანიის დემოკრატიული
რესპუბლიკა

## ქრწივი

მე ამ ქალაქმა ვერ მიცნო სულაც.
უფოთლო ხეებს ვით მძიმე ტვირთი.
მხრებით უჭირავთ ნოემბრის ზეცა.

ლენინის ძეგლი ხელს მიქნევს თითქოს
და მეუბნება:
„ვრცელია ჩვენი ქვეყანა, ვრცელი!“

ჩვენ გვეძახიან. ვბრუნდებით უხმოდ.

თქვენ მე პურს მაჭმევთ
და რძეს მასმევთ დაუნანებლად.
ზარჯვენას მიწვდით ისე თითქოს

მე ავაშენე
ის სახლები და
ეს ხეივნები...

გერმანელები აქ ანგრევდნენ
ყველაფერს ერთ დროს, —
წვავდნენ, თელავდნენ დაუფიქრებლად.

ცრემლი და ფერფლი, —
რაც მათ აქ დარჩათ,
სირცხვილად ჩნდება ჩვენს სულში
ახლა.

ეს ტკივილია, რომელიც დიდხანს
ჩვენმა სინდისმა ატაროს უნდა.

მაგრამ თქვენ თითქოს
არაფერს იმჩნევთ,
ნაზად მიღიმით
და ამ ღიმილით
ღიად დარჩენილ ჭრილობებს მიხვევთ.

და, ისე მშვიდად მესაუბრებით,
თითქოს ამ ხეებს
მე ვუბრუნებდე სიმწვანეს ისევ
და ამ მდინარეს გეზს მე ვაძლევდე.
რატომ ან რისთვის?

იქნებ სიკეთე სათავეს ქვეყნად
თკა მდინარის ფსკერიდან იღებს?

მე ხელისგულზე ვიფშვნი მიწას,
ცივსა და უხეშს, —
აქ ძნელად ხარობს მცენარე ალბათ.
ცა ნაცრისფერი თავზე გვემხობა.

სარკმელზე წვიმა წერს გამწარებით,
რომ გარეთ ცუდი ამინდია,
მაგრამ ლენინი
ჩვეული ჟესტით კვლავ მიდასტურებს:
„ვრცელია ჩვენი ქვეყანა, ვრცელი!“

მე თქვენ პურს მაწვდით.
გავიწყდებათ უამინდობა.
ამ ქვეყანაში, ისე ვით ყველგან,
ო, დიდო კაცი,
თავისთავად არ ჩნდება, არა, —
თქვენ თვითონ ჰქმნიდით
თქვენს სიდიადეს.

უკვე წვიმასაც არ ვგრძნობ სრულებით.
თქვენმა ღიმილმა ისე გამათბო.
ხელს მიქნევთ ნაზად და სული ჩემი
ნათდება, როგორც
თქვენი ღიმილი.

●

ᲨᲐᲜᲙᲐᲠ ᲙᲣᲠᲣᲞᲘ
ინდოეთი

## ᲛᲐᲕᲖᲝᲚᲔᲣᲛᲨᲘ

მუზავ!
დამშვიდდი,
დაუშვი ფრთები,
შენ ახლა
იმ დიდ
წმინდა შუქს
ხვდები,
რომელზეც
ბევრგზის
გიოცნებია.

წვეთი ხარ,
წვეთო,
უწყვეტ მდინარის
იმ უდიადეს

ხალხთა მდინარის,
აი, სწორედ აქ
რომ უერთდება
ლ ე ნ ი ნ ი ს
წმინდა
უსაზღვრობას.

ცერებზე, მუზავ! —
არ დავურღვიოთ
წვით დაღლილ
მზეკაცს
დიადი ძილი...

მიწაზე, როგორც
დედის კალთაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე თვლემს
და ხალხებს
მზის სხივებს
აფრქვევს...

კაცობრიობა
მუხლს იყრის ისე
მისი ნათელი
ხსოვნის
წინაშე.

მოედინება
ხალხი მდუმარი,
ლენინთან უნდა
ხალხს საუბარი.

თავი დახარე,
მუზავ,
ო, მაგრამ
ნუ ატირდები,
ალივსე რწმენით, —
მან აქ ჩაუშვა
სიცოცხლის ღუზა,
აქვე იწყება
სიცოცხლე შენი!

იარე! გწამდეს
ლენინის გზაზე
არ დაეცემა
ჩრდილი
წერტილად, —
არ უნდა შეწყდეს
სიმღერა მასზე,
ვისი სიცოცხლეც
არ შეწყვეტილა!

●

**ჟალე**
ირანი

## ლ ე ნ ი ნ ს

წლები გადიან. მაგრამ
ბრძნული ანდერძი შენი
კვლავ ერთადერთი ვარსკვლავია
მიმწუხრში, ლენინ!

სხვა სინათლე აქვს, სხვა ძალა აქვს
შენ ნათელს მზისებრ,
სინათლევ ხალხთა,
იკაშკაშე ისევ და ისევ!

ვით პირველ მებრძოლს,
ქვეყნის ქომაგს,
მსოფლიო გლოცავს, —
შენ ისევ იბრძვი,
ბევრს ეს ბრძოლა
მოსწყინდა, როცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ის ხარ, ვინც ხალხს
კვლავ არ სტოვებს
ბრძოლაში მარტო,
ჩვენი ხომალდი
შენი გულის
გრიგალ-ქარს ნატრობს.

ეს შენ გვასწავლე,
როგორ უნდა
ვიაროთ ერთად,
ეს შენ გადაგვდე
გზნება დიად
ოქტომბრის დღეთა.

ეს შენ ქადაგებ
და შენ გვმოძღვრავ
სიკეთით მუდამ,
მიწა მისია
გუთნისდედად
ვინც უძღვის გუთანს.

ფერფლიდან დგება
ფენიქსივით
ოცნება შენი,

თავისუფლებას შენი ხმა აქვს,
შენი მზე გვათბობს.
წინ წავიმძღვარეთ
დროშა შენი, რომელსაც არ ვთმობთ...

კაცობრიობა ქუდს გიხდის და
გადიდებს,
ლ ე ნ ი ნ!

თარგმანები
მორის ფოცხიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

### წიგნი მეოთხე

### მუმლი მუხასა

### თავი მეჩვიდმეტე

ქაიხოსრო წერეთელი არ შემცდარა: მეფე სოლომონის ბანაკს თავზარი დასცა ლეკთა დაქირავებული ჯარის თვითნებობით რაჭაში დატრიალებულმა ამბავმა. ეს ამბავი ათასნაირად გაზვიადებული ჩანდა და ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობას შეიცავდა. შორიდან მოტანილი ყურმოკრული ცნობების მიხედვით ძნელი დასადგენი გახდა, ნამდვილად რა მოხდა რაჭაში, ვინ ვის დაესხა და ვინ რა წაახდინა, როგორი იყო საბოლოო შედეგი და შემდეგ ყოველივე რით დამთავრდა. ყველაზე უფრო ჭკუასთან ახლო და სარწმუნო ამბები ბოლოს ისევ ქართლიდან მოიტანეს. მალე ცნობილი გახდა ისიც, რომ თიბათვის ექვსს, სოფელ გუფთასთან, მდინარე ლიახვის პირზე, იქ, სადაც პატარა ფაწა წყალუხვ ლიახვს ერთვის, ვიღაცის მიერ წინასწარ შეგულიანებული მეფე ერეკლეს განკარგულებით, ლეკებს სამაჩაბლოს სახელდახელოდ შეყრილი ლაშქარი დახვდა, რომელსაც თვით გორის მოურავი ოთარ ამილახვარი ეხმარებოდა, გზა მოუჭრა და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა, რის შედეგადაც ცეცხლის რკალში მომწყვდეულმა მარბიელებმა, წინ წასვლა და ალყისაგან თავის დაღწევა რომ ველარ მოახერხეს, ტყვეები და სხვა ნადავლი, თავიანთ აკაფულ ან ტყვიით შუბლგანგმირულ ამხანაგებთან ერთად, ბრძოლის ველზე მიატოვეს, ლიახვის სათავეებისაკენ მიტრიალდნენ და თავს გაქცევით უშველეს.

ამბობდნენ იმასაც, რომ მარბიელების ხელიდან გამოგლეჯილი ნატყვევარი რაჭველები, ვინც ახალი დარბევისა და დატყვევების შიშით უკან, რაჭაში გაბრუნება აღარ ისურვა, გორის მოურავმა ოთარ ამილახვარმა თან წაიყვანა და მეფე ერეკლეს მოწყალე ნებართვით ქართლის სოფლებში, ტყვიავსა და ბროწლეთში, დასახლება აღუთქვა.

მოუსვენარი ლოდინით გულგაწყალებულ სოლომონს, რომელმაც ამასობაში ყველა წინასწარი თადარიგის გაწევა მოასწრო და ტახტის მიმტაცებელი თეიმურაზის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დასაწყებად ახლა დაღისტანს გაგზავნილ თავის კაცებს-ღა ელოდე-

გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 1, 2, 3.

ბოდა, ალმური მოედო სახეზე, ეს რომ მოახსენეს. მეფე ერთი მხრივ გაახარა იმან, რომ ქართლ-კახეთის ძლევამოსილი ბატონის ქვეშევრდომებმა უპირულ ლეკებს მარჯვედ უყელეს და სხვისი ამაოხრებლები სისხლის მორევში აბანავეს, მაგრამ მეორეს მხრივ წყენამაც გაჰკრა კლანჭი იმის გამო, რომ ერეკლე აქეთ ხელს იწვდიდა და შინიდან ძალით აყრილ იმერთა მეფის ყმებს მეფესთან წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე ისაკუთრებდა.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, შორს, გაპარტახებულ ნასოფლარებში მამლებმაც პირველად იყივლეს, როდესაც ბანაკში ჩოჩქოლი ატყდა. სოლომონს ნაშუადღევს ბჭობა ჰქონდა სარდლებთან. მათ პირანგას უღრან ტყეში იარაღითა და ნუზლით მომარაგებული ხუთი ათასი მოლაშქრე მოიყვანეს და მეფის ადგილსამყოფელის ირგვლივ ხევხუვებში დააბანაკეს. ბჭობა გვიანობამდე გაგრძელდა. სარდლები ახალი გასული იყვნენ კარვიდან. სოლომონს ჯერ ტანზე გახდაც ვერ მოესწრო. გაუხდელად იყო მიწოლილი ნაბადზე. ის ერთხანს ყურს უგდებდა გაურკვეველ ჩოჩქოლს და მოელოდა, რომ რამე უსიამოვნო ამბის შესატყობინებლად კარავში ძიძიშვილი ნიკოლოზა ნათიჩვაძე ან ვინმე სხვა მოაკითხავდა, მაგრამ როდესაც ეს ასე არ მოხდა, თავად წამოდგა და ახალი ჩაძინებული სახლეული რომ არ გაეღვიძებინა, გარეთ ფეხაკრეფით გავიდა. მოახლოვებული დილის სიცივემ ძვალ-რბილში დაუარა და გააჟრჟოლა. ზაფხული თითქმის უკვე გაშუალებული იყო, მაგრამ მთაში ღამღამობით ჯერ მაინც ციოდა.

— ხომ არ დაგეძინა, ბიჭო? — ხმადაბლა გასძახა შუბოსან მოყარაულეს, რომელსაც გრძელი შუბი შეცივნული ბალღივით გულზე მიეხუტებინა და ზურგით ტანდახეთქილ წაბლს აჰკროდა.

— მოდი აქ!

ფეხზე ჩამოძინებული შუბოსანი მეფის ხმამ გამოარკვია, ტყის ბინდბუნდს მსწრაფლ გამოეყო და კარავთან გაჩნდა.

— რა ხმაური იყო? — შინაურულად ჰკითხა სოლომონმა. — ხომ არ მოგველანდა?

— არა, ბატონო მეფევ. მეც ქე გევიგონე რაცხა, ცხენების ჭიხვინი და ხმამაღალი ლაპარაკი, შენი რისხვა ნუ დამატყდება, მარა ვერ მოგახსენებ, ვინ ლაპარაკობდა, ან ი ცხენები ვისი იყო!

— აბა, აქ რისთვის დაგაყენეს, შე კაცო! აგრე უნდა? იქნება ღმერთი გაწყრა და მტერი დაგვეცა თავზე. დაუდევრობის მსხვერპლი უნდა შევიქნეთ? გასწი ახლავე, გაიგე, რა მოხდა, მისული რომ არ მეგონო, მობრუნებული იყავი!

გახარებული შუბოსანი ადგილს მოსწყდა, შუბი მხარიღლივ დაიკავა, რომ ტოტებს არ გამოსდებოდა და უზენაესი ბრძანების შესასრულებლად ტყეს შეერია. სოლომონი კარავში აღარ შესულა, გულხელი დაიკრო და ამბის გასაგებად გაგზავნილი კაცის მობრუნებას აქ დაელოდა. ტყე განთიადის სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. ჰაერი წყაროს წყალივით კამკამა და გრილი იყო. ძალიან შორიდან ყურს საშოვარზე ნაადრევად გამოსული ჩხიკვის ჭახჭახი მოსწვდა. „უ, შე ტიალო!" — გაუელვა სოლომონს. ჩხიკვის ჭახჭახი, ისიც დილაადრიან, ცუდად ჰქონდა დაცდილი. არ შეიძლებოდა, რაიმე საწყენი არ გაეგო. მთისძირის ნასოფლარებში მამლებმა მეორედ იყივლეს. სადღაც ძაღლმაც შეჰყეფა და გაწიწმატებული ვიღაცას მიეტანა. ეს ყეფაც უთუოდ მთისძირიდან ისმოდა. მაშ, იქ ჯერ კიდევ კიაფობდა სიცოცხლე, როგორც სიპ ქვაზე ამოსული ველური ყვავილი.

კარავში კელაპტარი აინთო. ეტყობა, მარიამმა გაიღვიძა და მუდამ სადღაც გადაკარგული თანამეცხედრე რომ თავის გვერდით ველარ დაინახა, ადგომასა და მსახურების მოხმობასაც აპირებდა. სოლომონმა კარვის კალთა გადასწია, შიგნით შეიხედა. მარიამი მართლაც საწოლზე წამომჯდარიყო, ხელში

ბრდღვიალა კელაპტარი ეჭირა და თავისებურად შუბლშეკრული აქეთ იყურებოდა.

— შენ ბრძანდები, ბატონო? სოლომონ!..

— მე ვარ, ჰო, — სოლომონმა მკვახედ უპასუხა, არ უყვარდა, თანამეცხედრე რომ მისდამი გადამეტებულ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენდა. — დაიძინე, ჯერ ადრეა, რა დროს ადგომაა!

— შენ რატომ არ დაწოლილხარ? თუ უკვე ადექი?

— არაფერი გაგიგონია?

— რა უნდა გამეგონა?

— ვიღაცა მოვიდა ვგონებ, შემოსასვლელში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

დედოფალს ფერმა გადაჰკრა სახეზე, წამიერმა სიხარულმა გული შეუფრთხიალა.

— იქნება კაციამ გაგვაბედნიერა და მაშველი ჯარი მოგვაყენა!

— ღმერთმა ქნას, მარიამ, — სოლომონმა დაამთქნარა, მერე-ღა გაახსენდა, მარტო რომ არ იყო და პირზე ხელი მიიფარა. — ნეტავი მაგ დღეს მოვესწრებოდე და... მაშინ ვინ-ღა იქნება ჩვენზე ბედნიერი!..

— სხვა ვინ უნდა იყვნენ, შენი აზრით?

— ვერ გეტყვი, — სოლომონმა ქალს კელაპტარი ჩამოართვა და წაწვეტებული ტარით კარვის დედაბოძზე, საგანგებო ნახვრეტში გაამაგრა.

— საშიში რომ მომხდარიყო რამე, აქამდე განგაში ატყდებოდა და ჩვენც მოგვაკითხავდნენ!

— მალემსრბოლები იქნებიან, — მეფემ თანამეცხედრის დამშვიდება სცადა. — ან შეიძლება, ქაიხოსრო და როსაფიც მობრუნდნენ. შეურცხვათ თავი! არ გამიკეთეს საქმე? დროით მაინც მოატანონ, რაღას მალოდინებენ! თუ გონიათ, რომ მე მძინავს და გათენებას უცდიან, გვიან დაწვა, არ შევაწუხოთო. შენ რისთვის-ღა დგები, შვილო, ალექსანდრე, რიდის იყო, ასე უთენია იღვიძებდი? — სოლომონმა იქით მიაპყრო მზერა, სადაც შვილები ეძულებოდა და გაუკვირდა, როდესაც ადრიანად გაღვიძებული ბიჭი დაინახა.

არამცთუ გამოღვიძება, ბატონიშვილს გამოწყობაც მოესწრო, დედის ჩრდილში, კარვის კალთას რომ მიჰფენოდა, ხალიჩაზე იჯდა და გაფაციცებული ფეხებზე შემოწკეპილი წაღების ჩაცმას ცდილობდა.

პირზე ღიმომდგარმა სოლომონმა ერთხანს უყურა საფიცარ მემკვიდრეს, მერე მის ამაო ჯახირს ვეღარ გაუძლო და იმის მაგიერ, დასახმარებლად მსახური მოეხმო, თვით მივიდა, მუთაქაზე მოიკეცა, ყმაწვილი კალთაში ჩაისვა და გაჯიუტებული წაღები თავისი ხელით ჩააცვა, თან უსაყვედურა:

— რაზე ადექი ასე ადრე, მე ხომ შემოგეხვეწე, გვიანობამდე იძინე-თქვა!

ალექსანდრემ არაფერი უპასუხა, თუმცა სათქმელი კი ჰქონდა, რისთვისაც დგებოდა: დღეს უკანასკნელი სამზადისი იყო, ბატონი მამა ბანაკის აყრას აპირებდა და მასაც უნდოდა საქმეში წილი დაედო. თავი გაითავისუფლა, წამოხტა და დამდურებულივით კარვის ბნელ კუთხეს შეეფარა.

მარიამმა და სოლომონმა ერთმანეთს მალულად გაჰხედეს და ორივეს ნაღვლიანმა ღიმილმა შეუტეხა ბაგე.

ოდიშიდან მობრუნების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი თავის თავს აღარ ჰგავდა. ოდესღაც ხალისითა და დაუდგრომლობით სავსე ბავშვს მარტოობა და ყველა შინაურისაგან განაპირება დასჩემდა. არც მშობლებსა და არც მათს მხლებლებს ყმაწვილის ხასიათის ეს თვალშისაცემი ცვლილება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებდა, მიუხედავად მცირე ასაკისა, ბატონიშვილი უკვე ჭკუაში ჩავარდა და რა გასაკვირია, თუ ბავშვის ფიქრებმაც ნაადრევი მომწიფება იწყესო. განა ცოტა იყო ამის მაგალითი? თვით დიდი ფარნავაზი, ქართველთა პირველი ქართლოსიანი მეფე, ტახტზე მთლად ბალღი არ ავიდა? მარიამს ახალი ჯავრი გაუჩნდა, თუმცა

გარეგნულად სიმშვიდეს იცავდა და ქმარ-შვილს არაფერს ამჩნევინებდა. სოლომონი თვალს ადევნებდა ტახტის მემკვიდრეს, არც დღისით, არც ღამით გვერდიდან არ იშორებდა. რა მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო, ალექსანდრესთან გამოსალაპარაკებლად დროს ყოველთვის პოულობდა და ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ როგორმე მის გულში ჩაეხედა. იქნებ ვინმე შეუყვარდა? იქნებ ნაადრევად გაღვიძებულმა პირველმა სიყვარულმა დასცა მეხი? მაგრამ პირზე რძეშეუმშრალ ალექსანდრესათვის, სოლომონის ღრმა რწმენით, ეს მეტისმეტად ნაადრევი იყო. ამ ასაკში სიყვარულს მხოლოდ ბედნიერება მოაქვს. გაურკვეველი, ბოლომდე გაუაზრებელი ლტოლვა, რასაც შემდეგ და შემდეგ სიყვარულს ვარქმევთ, უწლოვან ბალღებს ჰმუნვას არა ჰგვრით. თუ ეს არა, მაშ რა უნდა ყოფილიყო შვილის აგრერიგად შეცვლის მიზეზი? მხოლოდ მარიამის დაკვირვებულ თვალს და დედობრივ ალღოს არ გამოჰპარვია, რომ ალექსანდრე სწორედ მამის მიმართ შეიცვალა, მამისა, რომელიც ვაჟკაცობის, სამართლიანობისა და გონიერების ცოცხალ განსახიერებად მიაჩნდა, და, სოლომონისთვის რომ გული არ ეტკინა, თანამეცხედრეს ამას არ უმხელდა. ერთხელ ალექსანდრემ თვით სცადა, დედა გულახდილ საუბარში გამოეწვია და ბიძის მიერ ყურში ჩაწვეთებული შხამის ირგვლივ ზოგი რამ მაინც გაეგო, მაგრამ დედის მხრივ ისეთ ყრუ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ თავადვე მიხვდა, ამაზე ხმამაღალი ლაპარაკი არ ეგებოდა და სურდა თუ არ სურდა, თავისი ფარული ჯავრი ისევ გულში უნდა ჩაემარხა. ჯავრი კი საავდროდ გამზადებული ღრუბელივით გაიბერა და ბავშვს მაჯლაჯუნასავით გულზე დააწვა. მარიამმა დიდი ყოყმანის შემდეგ მაინც სცნო საჭიროდ, ალექსანდრე დაემარტოხელებინა და რაკი გარემოებამ ასე მოითხოვა, მისთვის ზოგი რამ სანახევროდ მაინც გაენდო. ამჯერად ბატონიშვილმა დაიმორცხვა, გულახდილი საუბრისათვის განწყობილ დედას თვალი ველარ გაუსწორა.

— ყური მიგდე, შვილო, ალექსანდრე, — უთხრა მარიამმა: — შენი უცნაური საქციელით მამას საგონებელში აგდებ. მაგ საწყალს კიდევ ჭირის მიმატება უნდა? ჩემს თავზე აღარაფერს გეუბნები. სხვებიც გამჩნევენ, შვილო. რომ შენი წლოვანებისათვის შეუფერებლად იქცევი. აღარც ტოლებში თამაშობ, აღარც შენი საყვარელი დების და ნინოს დანახვა გიხარია. ვინ მოგწამლა, ვინ შეგაძულა ყველა? რა არის ამის მიზეზი? ორივე ბაბუას სულს გაფიცებ, ნუ დაუმალავ დედას. ხომ არავინ გამითვალა შენი თავი? იქნებ შევალოცვინოთ? იტკივებ რამეს?

— არა! — ცივად მოუჭრა ბიჭმა და თვალი ისევ აარიდა.

— აბა? თქვი! აი, ხომ ხედავ, მე და შენ აქ მარტო ვართ. ხელს არავინ გვიშლის!

თავჩაღუნულმა ალექსანდრემ მტანჯველ ყოყმანს სძლია და ძლივს ამოილაპარაკა:

— ვინ იყო ის ქალი?

— ვინ ქალი, შვილო?

— აი, ის, რომელიც... ხომ იყო! — ალექსანდრეს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ტირილი ახრჩობდა. ეს რომ თქვა, დედის წინაშე ორივე მუხლზე დაიჩოქა და წამოჭარხლებული სახე მის კალთაში დამალა. მარიამმა თავზე ხელი დაადო შვილს, მოეხვია და გულზე მიიხუტა. — მითხარი, ხომ იყო... კაცია ბიძიამ ხომ თქვა!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძობდა ბატონიშვილი.

— მიეცა იმას ჩემი ცოდვა, ჩემი ცოდვა მიეცა იმას! — ამოიკვნესა მარიამმა და თავადაც ცხელი კურცხალი ჩამოუგორდა ლაწვზე.

— მითხარი, ახლავე მითხარი, რატომ მიმალავ! — რაკი ამდენი გაბედა და ასე შორს შეტოპა, ალექსანდრე უკან უკვე აღარ იხევდა. — მე ხომ ვიცი, მამას არც ერთი არ ვუყვარვართ, არც თქვენ, ბატონო დედა, არც მე, არც დარეჯანი, არც თამარი!..

მარიამს ელდა ეცა, გააჟრჟოლა.

— აბა, ვინ უყვარს, შვილო, ალექსანდრე, რამ გადაგრია, ვინ ჩემი ცოდვით სავსემ ჩაგაგონა ეგ ღვთის გამარისხებელი ამბავი! შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, დედა შემოგევლოს, მაგრამ არც ისე დიდი, რომ განურჩევლად ყველაფერზე მუსაიფი გაგიბა. მოვა დრო, მერწმუნე, შენგან დაფარული აღარაფერი გვექნება, ვინა გვყავს, შვილო, შენზე საიმედო, ახლა კი ვშიშობ, აქ თავზე არავინ წაგმოგვადგეს და არ შეიტყოს, რაზე ვლაპარაკობთ მე და შენ. ხომ იცი, ხესა და ბუჩქსაც ყურები ასხია. აბა, რას ემგვანება, მამას რომ ვინმე ავის მოსურნემ და დოყის ჩამომგდებმა შენი საშინელი ეჭვი გააგებინოს! ნუთუ არ გებრალება მამა? მე კი სულ სხვანაირად მეგონა და მამაშენს ერთ ყველაზე უფრო ბედნიერ კაცად ვთვლიდი, რომელსაც შენისთანა ჭკვიანი და საამაყო შვილი ეზრდება. ეს მართლა ასეა, ნუ გგონია, პირში გეფერები, თუმცა ანდაზაც გამიგონია, ყვავს თავისი ბახალა ყველაზე ლამაზი ეგონაო. შენ თურმე რა გდებია გულში! ღმერთო, ძლიერო, ღვთისმშობელო დიდო!.. მომეცი სიტყვა, ალექსანდრე, რომ ეგ უაზრო და გულისმომწყვლელ საუბარს აღარასოდეს დაუბრუნდები, მე კი ჩემდათავად გპირდები, რომ მამას არაფერს გავაგებინებ. გაივლის ხანი და როდესაც ცხოვრება გაჩვენებს, რა ფუჭი იყო ეგ შენი ობროლდული ეჭვები, იმედი მაქვს, თავად ეახლები შენთვის გადაგებულ მამას, პატიოსნად გამოუტყდები და ღვთის წინაშე პატიებას სთხოვ!..

უჩვეულოდ გაწითმატებულმა, აქოშინებულმა და მიტკალივით გაფითრებულმა ალექსანდრემ სახე მოაცილა დედის კალთას და ზეზე წამოვარდა.

— არა! არ ვთხოვ! არასოდეს არ ვთხოვ პატიებას!..

— სუ, ბიჭო! ეს რა მესმის, ალექსანდრე?!. — მარიამი წელში გაიმართა და წარბი შეიკრა, რითაც ერთბაშად შეიცვალა, შეუვალი და მბრძანებლური გამომეტყველება მიიღო. — შენ შენს ჭკუაზე აღარ ყოფილხარ, შვილო. გერჩია, სამარე გაგეთხარა და დაგემარხე. რაღაი აგრეა, ბოროტი კაცის ჩაგონებული ეგ ეჭვები შენთვის შეინახე, თუ მაინცდამაინც არ გეთმობა, და დღეის ამას იქით ისე მოიქეცი, როგორც ბატონიშვილს შეჰფერის! მიხვდი, რა გითხარი?

დედის უმადურობით უსაზღვროდ შეურაცხყოფილ და დამცირებულ ყმაწვილს ტუჩები უკანკალებდა.

— მივხვდი... — ძლივს-ღა მოახერხა ამ ერთადერთი სიტყვის თქმა და შიგ იმოდენა ტკივილი ჩააქსოვა, გაკვირვებულ დედოფალ მარიამს მთელი ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რომ არ ატირებულიყო და თავისი მფარველი დედისერთა ვაჟი ხელახლა გულში არ ჩაეკრა.

— მაშ, ცრემლები მოიწმინდე და გასწი! — შეუვალი და ცივი ხმით თქვა მან ამის მაგიერ. — ვაჟკაცი ხარ, რაღა დროს შენი ტირილია. ისე ჩათვალე, რომ მე და შენ დღეს ერთმანეთი არ გვინახავს!

თავის საქმეებში ყელამდე ჩაფლული სოლომონი გრძნობდა, რომ დედასა და შვილს შორის რაღაც დიდმნიშვნელოვანი მოხდა, რომ ყოველივე ეს რაღაცით ოდიშის ბატონ კაცია დადიანთან მათს ელჩობას უკავშირდებოდა, მაგრამ არჩია, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გამოეჩინა და პირველი სიტყვის დაძვრა თანამეცხედრისათვის დაეთმო. ერთი რამ მაინც შესამჩნევი გახდა: ალექსანდრემ თავის ახლობლებზე გული თითქოს მოიბრუნა, დედას შეურიგდა, მამას ისერიგად აღარ გაურბოდა, ასე გასინჯეთ, ხანდახან კითხვებითაც კი ავსებდა, როგორც პერანგას ყრუტეებში დამკვიდრებამდე სჩვეოდა, მაგრამ დროდადრო აუხსნელი ნაღველი გულზე ისევ შემოაწვებოდა ხოლმე და ადამიანებს შორის ყოფნას ბნელ კარავში მარტოდმარტო ჯდომას ამჯობინებდა.

ამბის გასაგებად ქვემოთ ჩაგზავნილი

გუშაგი უკან მარტო აღარ ამობრუნებულა. ჩას ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და თამაზა მესხი მოჰყვნენ.

პირველი ორის დანახვა მეფე-დედოფალს არ გაჰკვირვებია, თუმცა სახლკარის დასახედავად და საწულუკიძეოს ჯარის შესაკრებად წასულ ბერის უკვე მესამე კვირა ელოდნენ. სარდალი ქაიხოსრო აგიაშვილი კი თავისი ათას ხუთასი მოლაშქრით ერთი ხანი იყო აქ იდგა და მეფის ბანაკს მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან იცავდა.

სოლომონიცა და მარიამიც თამაზა მესხის დანახვამ განაცვიფრა. საკუთარ თვალებს ვეღარ დაუჯერეს. თამაზა მესხი ხომ ერთი იმათგანი იყო, ვინც ოსმალოს იარაღით ტახტიდან ჩამოგდებული სოლომონ მეფის ყოველ კარისკაცთაგან თეიმურაზ ბატონიშვილს მიუვიდა და არამარტო მიუვიდა, მისი ერთგულების ფიციც მიიღო. ამას მაინცდამაინც არავინ გაუოცებია, თვით სოლომონი კი თამაზა მესხის მხრივ ყოველგვარ სისაძაგლეს მოელოდა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით არც იმას ივიწყებდა, რომ თამაზა უნარიანი და მუყაითი კაცი იყო, ღმერთს ნიჭითა და სალი გონებით დაეჯილდოებინა, თუ მოინდომებდა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, რომ იტყვიან, ზარიდან ნიჩაბს გამოიყვანდა და ურიგო როდი იქნებოდა, თუ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მათ შორის უპირველეს ყოვლისა მეფე, ორპირი ქვეშევრდომის ნიჭსა და უნარს ტახტის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. თამაზას უკანასკნელმა ნაბიჯმა, მეფედ აღზევებულ ურჯულო ბატონიშვილის წინაშე მუხლის მოყრამ და მისი ერთგულების ფიცის მიღებამ, იმ მცირეოდენ ნდობასაც წირვა გამოუყვანა, რომელიც მის მიმართ ჰქონდათ. სოლომონის მიერ ტახტის დაბრუნებისთანავე, თუ უთალი ღმერთი ხელს მოუმართავდა, თამაზა მესხის უწმინდური მძორი, რასაკვირველია, სხვა მისებრ უპირულ ვაჟბატონებთან ერთად, იმერეთის მეფეების ძველი სამყოფელის — ოქროს ჩარდახის წინ მამაპაპური ჭადრის ტოტზე უნდა დაეკიდათ, რათა ყოველ გამვლელსა და გამომვლელს დაენახა, რა შეიძლება მოიმკოს რჯულისა და ქვეყნის მოღალატე არაკაცმა, დღეს კი რა ხდებოდა? თამაზა, იმის ნაცვლად, რომ სიროში შემძვრალიყო და თავის გადარჩენაზე ეზრუნა, ტყეში გახიზნული სოლომონის ბანაკში თავისი ნებით არ გამოცხადდა?

— სად შეხვდით ერთმანეთს? რას მივაწერო ეს ამბავი? — მეფემ ჯერ სიყრმის თანაზიარ წულუკიძეს შეხედა, რომლის აქამდე მოუსვლელობა და უამბობა გულს მწუხარებით უვსებდა, მერე აგიაშვილს და ბოლოს მზერა მხრებში თავჩარგულ თამაზა მესხს დაადგა. ეს მზერა ზიზღითა და შეჩვენებით იყო სავსე. თამაზა მეფეს თვალს არიდებდა, ერთ ადგილზე გაქვავებული წრიალებდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და თავბედს იწყევლიდა, რომ წყეულმა ფეხებმა კიდევ უფრო წყეული ყნოსვის კარნახით ამ დასაქცევ ადგილას მოიყვანეს.

— საჩხერემდე სხვადასხვა გზით მოვდიოდით, მეფეო, თამაზას და მის მხლებლებს სავანის ბოლოზე დავეწიე, — თქვა წულუკიძემ.

— რაიო ვითომ, აქ მოდიოდა ეგეც? — სოლომონმა წულუკიძეს ჰკითხა, მაგრამ ისევ მესხს შეხედა და ტუჩის კუთხეებში კაციშვილის გამანადგურებელი დამცინავი ღიმილი აუთამაშდა.

— ასე მითხრა, მეფეო, მის სიმაღლესთან მივდივარო.

— და შენც დაუჯერე? — აი, შე მართლა რაჭველო!

თავადი წულუკიძე გაწითლდა. შეცბუნება რომ დაეფარა, შუბლზე ხელი მოისვა.

— თამაზას ერთობ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს, ბატონო, ხელცარიელი არ გვხლებია. ხომ არ აჯობებს, ჩვენ დაგტოვოთ და მაგას მოუსმინოთ?

სოლომონს სიყრმის მეგობრისა და ერთგული ქვეშევრდომის ეს სიტყვები ყვედრებასავით მოესმა და წარბები შეჰყარა.

— როგორ თუ დამტოვოთ? ქვეყნისა და ხატის მოღალატესთან მე საჩუმათო არაფერი მაქვს! ჯერ, თუ უკაცრავად არ ვიყო, ეს გვიბრძანოს, ჩვენი ადგილსამყოფელი საიდან და როგორ შეიტყო? ვინ არის თავდები, რომ მტერმა მსტოვრად არ მოგვიგზავნა და აქაური ამბების გატანას არ აპირებს?

—მაგის იმედს ტყუილად ნუ იქონიებს, მეფეო, თამაზა მესხი არც აგრე გულუბრყვილო გახლავს, — გულხელდაკრეფილმა ქაიხოსრო აგიაშვილმა ბატონს თავი დაუკრა და საუბარში ჩაერია. — იარაღი უკვე ავყარე. თუ მიბრძანებ, ორმოში ჩავაგდებ და სამ მეთოფეს მცველად მივუჩენ!

— ეგ შენი მეთოფეები ჯერ აქ მოიხმე და გარეთ გააყვანინე. დარბაზის ერი და მე გადავწყვეტთ, გვაქვს თუ არა მაგასთან რაიმე სალაპარაკო!

— ბატონი ბრძანდებით! — აგიაშვილმა ტაში შემოჰკრა. კარავში კართან დადარაჯებული შუბოსანი ქეშიკები შემოვიდნენ.

ყრუ-მუნჯივით დადუმებულ თამაზა მესხს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, თვით მაშინაც კი, როდესაც აგიაშვილის მიერ მოხმობილმა კაცებმა ხელებზე ბორკილები დაადეს და წინ გაიგდეს, ამ ამბავს თითქოს კიდევაც მოელოდა და წინასწარ შეგუებულიც იყო, მხოლოდ ერთხელ მოიხედა კარში გასვლის წინ და მისკენ მოჩერებულ მარიამ დედოფლის თვალებს წააწყდა.

— გარეწარი! — ჩაილაპარაკა სოლომონმა, როგორც კი მარტო დარჩნენ, კარვის ბოძთან მიდგმულ სელის სკამზე ჩამოჯდა და მუხლს ნიდაყვით დაეყრდნო. — ახლა გავახსენდი? ეგეც ნუგეშია: ეტყობა, აწი აქ ჯობს! აბა, ბერო, — წულუკიძეს მიმართა. — მოგვახსენე, რა ამბავი მოგვიტანე, ტყუილა დგომის დრო გვაქვს?

— კარგს ვერას მოგახსენებ, ბატონო, — დაიწყო წულუკიძემ, ჩაახველა და ფეხი მოინაცვლა. — უპირველესად სამძიმარი უნდა შემოგკადროთ..

— სამძიმარიო? — იუცხოვა სოლომონმა და სკამზე გაიმართა. — რა სამძიმარი, კაცო? ბატონ გიორგის ხომ არაფერი უჭირს?

— გიორგის არაფერი, მეფე-ბატონო, აქედან ღმერთი მოგვეხმარა და მშვიდობით ვიმგზავრეთ, შინაც მშვიდობა დაგვხვდა, თუმცა მერე... თქვენმა ძალმა, — ბერი წულუკიძე სანახევროდ იქით მიტრიალდა, სადაც აშლილ ლოგინზე დედოფალი მარიამი იჯდა და მეტი მოწიწებით განაგრძო. — ბატონ კაციას სჯულიერმა თანამეცხედრემ, კურთხეულ მეფე ერეკლეს დამ, ელისაბედმა...

— ჰო, რა ელისაბედმა? — სოლომონმა ველარ მოითმინა, ბერის სიტყვა გააწყვეტინა.

— წარსულ სამშაბათს სული განუტევა და დღეის სწორს მარხავენ...

სოლომონმა შუბლში შემოიკრა ხელი, დედოფალმა მარიამმა კი მეგრულად შესძახა:

— უი ჩემ თავს, ღმერთო, შენ მომკალი!.. — და ფოცხივით მოხრილი თითები ლაწვებსა და ლოყებზე ჩამოისვა.

— მოპატიჟილი გარეთ გახლავს, ბატონ კაციას წიგნიც უახლებია!

— მოგვეცით წიგნი! — ბრძანა სოლომონმა, წამოდგა და, ვიდრე წიგნს მოუტანდნენ, გახსნიდნენ და წაუკითხავდნენ, კარავში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

ღვთის განგებით მისი ოჯახის თავს დატეხილ უბედურებას ოდიშის ბატონი კაცია დადიანი ორიოდე სიტყვით იხსენიებდა, შენც ხედავ, ძმაო საყვარელო, რა დღეშიაც ჩავვარდით და, ამგვარად, თეიმურაზ ბატონიშვილის წინააღმდეგ ლაშქრობაში მხარის დაჭერაზე გვირგვინოსან სიძეს მოიარებულ უარს ეუბნებოდა.

— მე ეს თავიდანვე ვთქვი, მაგრამ ვინ დამიჯერა! ა, ბატონო, — მეფე უკვე ცვილისფრად გაფითრებულ დედოფალს მიმართავდა. — ახლა მაინც ხომ ხედავთ, ვისთან გვქონია საქმე, ახლა მაინც აღარ დაიჯერებთ?

— მტრისა და ავისას, კაცს სახლში

მიცვალებული უსვენია, — შეჰბედა განრისხებულ თანამეცხედრეს მარიამმა; თუმცა ძმის მიერ მოწერილმა წიგნმა ყველა მის იმედსაც ცივი წყალი გადაასხა და უბედური ქალი მწარე საგონებელში ჩააგდო. — თუ აქამდე მოგვიცდია, ცოტა კიდევ მოვიცადოთ და ღვთისაგან მოძულებულ ჩემს საწყალ ძმას მეუღლის გლოვა ვადროვოთ!

— არ მჯერა მე იმისი გლოვა, მარიამ, მომიტევე, არც ამ წიგნის მჯერა! — უწვერულ კარის მდივანს, ჯრუჭის მონასტრის მორჩილს, სიბერისაგან დაუძლურებული სვიმონ წერეთლის მერე რომ აიყვანეს, სოლომონმა ეტრატის ფურცელი წაჰგლიჯა, მოჭმუჭნა და, როგორც რაღაც უწმინდური რამ, კარვის კუთხისაკენ მოისროლა.

— ჩემი ბრალია, — წაიჩურჩულა თავზარდაცემულმა მარიამმა, რომელსაც უსაზღვროდ მზრუნველი, მოწყალე და ოჯახის მოყვარული ქმარი ჯერ ასე გამძვინვარებული არ ენახა. — რად გავერიე ამ ცოდვილ საქმეში! მოდი, შვილო, აქ, ალექსანდრე. რა შორს დამდგარხარ!

სოლომონი მიხვდა და თავს ანგარიში მისცა, რომ ცოლი წამოზრდილი ბატონიშვილის აქ ყოფნას ახსენებდა და გაცეცხლებული ჩიბლიყით მოლბა, დიდებულებს მიაჩერდა.

— რას მიჩერებით? ოდიშის ბატონის მოუხმარებლად მირჩევთ გალაშქრებას? იმ ჩემი ცოდვით სავსე ქაიხოსრო წერეთელს მაინც მოეწია აქამდე! შენ რამდენი კაცი მოიყვანე, ბერი?

— ცოტა, მეფეო. მე ვერც კი მოვასწარი შენთვის მომეხსენებინა, რაც მე და ჩემ ძმას, გიორგის, ხოტევში მისვლის მეორე დღესავე შეგვემთხვა. არ ვიცი პირდაპირ, საიდან დავიწყო...

— ერისთავი დაგეცათ!.. — დაასწრო სოლომონმა და ტუჩებზე მომდგარი დუჟი ხელის ზურგით მოიწმინდა.

— დაგვეცა, მეფევ-ბატონო, ქედსგადაღმიდან მოყვანილი ყაზარლოელები მოგვისია. ძლივას შევასწარით ციხეში. ჯარი არ გვახლდა. ორმოცდაათი მეციხოვნე, ეს იყო და ეს! ბაბუას აშენებული დიდი სასახლე დასწვეს, ყველა ნამშრალს ცეცხლი მოუკიდეს. სამ დღეს ითარეშეს ჩვენს საბატონო სოფლებში, წერეთლის ჯავრი ჩვენზე ამოიყარეს, ხალხი მოგვტაცეს, ნახირი წინ გაირეკეს...

ყოველი ახალი ცნობის გაგონებაზე სოლომონი, თითქოს ცეცხლია და ხმელ შეშას უკეთებენო, უფრო და უფრო ენთებოდა, ბოლოს კი, თითქოს ნატყვიარზე შუბის წვერი შეახესო, გამწარებულმა შეჰყვირა:

— მერე რა ქენით? თქვენ სად იყავით ამ დროს? გეძინათ?

— აკი მოგახსენე, მეფეო, ციხეში გახლდით. ჩვენც რომ ყმებთან ერთად ტყვედ წავეყვანეთ ან იქავე დავეხოცეთ, ამით საქმეს რა მოემატებოდა! ჩემი ძმა უქეიფოდ დავტოვე. ღმერთო, კაი ყურით გეგონე, დიდი დღე აღარც იმ საცოდავს უწერია. ცალკე იმისი ჯავრი მკლავს...

— მაშ, თითივით მარტო დავრჩენილვარ და ეგ არის! — ცას შეჰღაღადა სოლომონმა, ადგა და ისევ წინ და უკან სიარული დაიწყო. — წადი, რაკი-ღა აგრეა, მე გამიშვიხარ, — კვლავ დამნაშავესავით თავჩაღუნულ ბერი წულუკიძეს მიმართა. — შენს ყმა-მამულს მაინც მიხედე. ეტყობა, თვით მამა-ღმერთმა შემაქცია ზურგი და არ უნდა ჩემი გამარჯვება. რა გაეწყობა, ბედის განაჩენს უნდა დავმორჩილდე!

— არა, მეფეო, უკანასკნელ კაცამდეც რომ გავწყდეთ, ჩვენ თავს არ დაგანებებთ. ნუ მიწყენ და, არცა გვაქვს სხვა გზა. ან უნდა გავიმარჯვოთ, ანდა ყველა ერთად უნდა დავიხოცოთ! — წრფელი მუდარით მიუგო ბერი წულუკიძემ. — ჩემმა ძმამ, გიორგიმაც ასე დამაბარა. დამარცხება და სიკვდილი ერთია. თუ არა და პირისსხლიან როსტომ ერისთავს უნდა ვეყმოთ. ოთხასი კაცი მახლავს. აქედან ნახევარი ცხენოსანია, სულ დარჩეული ბიჭები. ოღონდ შენ წინ გაგვიძეხი, ოღონდ მაგ ბედნიერ დღეს ვეღირსოთ და, ბრავალ-

ზლის წმინდა გიორგის მადლმა, თავს არ დავიზოგავთ არც ერთი! შენი ურჯულო ბიძაშვილი თეიმურაზი გუშინწინ გამოვიდა ქუთაისიდან. იქ ათასზე მეტი ცხენოსანი, ქვეითი და თოფჩი დაუტოვებია, დანარჩენი თან ჰყავს. ამბობენ, ფაშა ჰაჯი-ალიბეგსა და გურულებს ჩხართან შეუერთდებაო. ერისთავიც იქ ყოფილა დაბარებული. მერე ყველა აქეთ იზამს პირს...

— სულ რამდენი კაცი იყრის თავს, შენი შეტყობით?

— რვა-ცხრა ათასს არ უნდა გადააჭარბოს, მეფეო.

— შენ რაღას გვეტყვი, ქაიხოსრო? — საქმიან სჯა-ბაასზე გადასვლით ოდნავ დამშვიდებული სოლომონი ახლა ხმაგაკმენდილ აგიაშვილს მიუბრუნდა. — ბერის ნაბრძანები მე ჭკუასთან ახლო მეჩვენება.

— მეც დაახლოებით აგრე ვვარაუდობ, — უპასუხა სარდალმა. — ბევრი, ბევრი, ათი ათასი კაცი თუ ეყოლებათ, ჰადა-ჰა! ჩემი მოკლე მოსაზრებით — გუშინაც ამას მოგახსენებდი და დღესაც ამას ვიმეორებ: აქ დაცდა არამც და არამც არ გვმართებს. კუკუმალობას ხომ არ ვთამაშობთ! ხალხი მოიღალა ამდენი ლოდინით, მუხლებში წყალი ჩაუდგათ. ნუზლის შოვნაც ერთობ გაჭირდა. იხვეწებიან, ან მტერთან გვაომეთ, ან სახლებში გაგვიშვით, ასე უმოქმედოთ აქ როდემდე ვიყურყუტოთო. მართალს ამბობენ, მე და ჩემმა ღმერთმა. ან ასე უნდა ვქნათ და ან ისე. თუ შენი მოწყალე ნება იქნება, ჯობია, ახლავე ავიყაროთ, შეუსვენებლად ვიაროთ და, რა დროც არ უნდა დაგვესწროს, იმ ურჯულო ჰაჯი-ალიბეგს ჩხართანვე მივუხტეთ. იქ ის არხეინად დგას და მტრის თავდასხმას არსაიდან მოელის.

— როგორ თუ მივუხტე, კაცო, ქაიხოსრო. შენგან არ მიკვირს? ჯარი ტყუილად მოვახოცო? პრასი ხომ არ არის ეს დალოცვილი, გაზაფხულზე რომ ხელახლა ამოიყაროს! ხუთი ათასი კაცით ათი ათასს, ისიც ალაგობრივად წინასწარ გამაგრებულს, რა უნდა დავაკლოთ, — ქრისტე-ღმერთი კი არა ვარ!

— მტერს მანამდე უნდა შევებათ. სანამდე შეერთდებოდეს და ათი ათასი კაცი გახდებოდეს, — საქმეში გამოცდილი ქაიხოსრო აგიაშვილი ყოველივე ამას ისე დაბეჯითებით ამბობდა, ისე ღრმად იყო დარწმუნებული თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, რომ უმალვე შეამჩნევდი, ბრძოლის მთელი გეგმა თავიდან ბოლომდე მოფიქრებული ჰქონდა და მომავალ გამარჯვებაში, რასაც ტახტის ბედი უნდა გადაეწყვიტა, ეჭვი სრულებითაც არ ეპარებოდა. — ჰაჯი-ალიბეგი, გუშინაც მოგახსენებდი, იქ ოთხი ათასი კაცით დგას. ამათგან ნახევარი, თუ მეტი არა, ციხეებშია ჩაყენებული. ღმერთი მოგვეხმარა, დაილოცოს იმისი მადლი, და მაშველი ძალა საფაშოდან დღემდე არ მოუვიდა!

— არც მოუვა, ქაიხოსრო, ბატონო, მარჯვენას დავდებ, თუ გინდა, მოსაჭრელად! — სიტყვა ჩამოართვა ბერი წულუკიძემ. — ჰასან-ფაშა რომ დღესდღეობით ჯარის გამოგზავნას აპირებდეს და ჩვენთან ომის განახლების თავი ქონდეს, რავა გეკადრება, კათალიკოს ბესარიონს დააკავებდა და აქეთ არ გამოუშვებდა? სულ თამაშით! მანდ სხვაფრივა საქმე, სხვა ძაღლის თავია დამარხული, ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ!

— ვითამ დასაჯერებელია კათალიკოსის ამბავი? — პირქუშად იკითხა მეფემ.

— თამაზ მესხმაც ეგ თქვა, ბატონო. ძმამ გაამრიყვაო, ძმისწულებმაც არ მისცეს გასაქანიო. ბესარიონი ფრთხილი კაცი გახლავს. სულძაღლი როსტომი რომ მეტისმეტად არ შესჩენოდა, ეს შეიძლება მართლაც არ ექნა. არა, არ იზამდა! თამაზ ამბობს, ღირსებააყრილი და გაპარსული ახალციხეშია. ფაშას შინაურ პატიმრობაში ჰყავს და კაცმა არ იცის, რას უმზადებსო.

სოლომონმა კარგად იცოდა, მასთან ერთად იცოდნენ სხვებმაც, რომ რაჭის ერისთავის მიერ საბოლოოდ გადაბი-

რებული თუ საკუთარი ტყავის მოსაფრთხილებლად ახალციხეს გადავარდნილი კათალიკოსი ბესარიონი საფაშოში მარტო არ იყო: ის იქ ურჯულო თეიმურაზის ზურგის გასამაგრებლად წასულ დიდ დედოფალ თამარს ახლდა. სულ უკანასკნელად მოღწეული ცნობების თანახმად, ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას თამარი, მისივე დაყინებული თხოვნისამებრ, კონსტანტინოპოლს, სულთნის კარზე, ანდა ქაიროში, იქ ლაშქრად მყოფ დიდ ვეზირთან უნდა წარეგზავნა, ხოლო კათალიკოსი, რომელმაც გამაჰმადიანებულ თანამემამულეებთან მოლაპარაკების დროს სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, რაბათში დაეტოვებინა. სოლომონს სურვილი სწვავდა, ყოველივე ეს დაწვრილებით გამოეძია, შეეტყო, რა ტყუილი იყო და რა მართალი, რას ამბობდნენ ამის ირგვლივ ტახტის მიმტაცებელი თეიმურაზის კარზე, მაგრამ შერისხული დედის სახელის ხსენებას რატომღაც მოერიდა და რისამე თქმას ისევ დუმილი არჩია.

— თუ დავასწრებთ და დროით დავარტყამთ, ღვთის მადლით, გამარჯვება არ უნდა გაგვიჭირდეს, მეფეო. ძალა ჩვენ მხარეზე იქნება. ხალხი ერთობ მოწადინებულია. ერთი სამს ვეყოფით, ასე მოგახსენებენ, — ქაიხოსრომ ცარბაისლურად აცალა, სანამ ასაკითა და მდგომარეობით უმცროსი, მისებრ სოლომონის ტახტის ბედ-იღბალს მინდობილი ბერი წულუკიძე თავის სათქმელს ბოლომდე იტყოდა და შემდეგ კვლავ შუაზე გაწყვეტილ სიტყვას დაუბრუნდა. — უმთავრესი, მე ასე მგონია, ჰაჯი-ალიბეგის დამარცხება და ქუთაისისაკენ უკანდასახევი გზის მოჭრა უნდა იყოს. გნებავს, ხატზე დავიფიცებ, რომ, თუ ღვთის შეწევნით ჰაჯი-ალიბეგს პირი ვაბრუნებინეთ და კვალში ჩავუდექით, ერისთავი საქმეში აღარ გაერევა, მცირე ლაშქრით ქუთაისიდან წამოსულ სიძე-ბატონს ხელში შემოგვატოვებს და უკან, რაჭაში გაბრუნდება!

— იყოს ასე, როგორც თქვენ მირჩევთ! — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა სოლომონმა; შუა კარავში გაჩერდა და თვალი სივრცეს გაუშტერა. — ახლავე აფრინეთ სანდო მალემსრბოლები და ხალხს ამცნეთ, ვისაც გულში ცეცხლი ჯერ არ განელებია, ქუდზე კაცი გამოვიდეს! სად არის ამ დროს ქაიხოსრო წერეთელი, ჩვენი მარჯვენა ხელი? სადა გვყავს როსაფ მაჭავარიანი? ცოცხლებია თუ მკვდრები? მოაწია ურჯულოსაგან ქვეყნის გამოხსნის დრომ! მე ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ამ დღეს შევესწარი! გარდა ტახტისა და ქრისტეს ჯვრის მოღალატე დიდ-დიდი თავადებისა, სულმოკლეობა ყველა წვრილი აზნაურის, სამღვდელოს, ვაჭრისა და გლეხისათვის შემინდვია, იმათთვისაც, ვინც დღეს თეიმურაზის ლაშქარშია, ძალით თუ ნებით, ხვალ კი გონს მოიკრებს, ეშმაკს ზურგს შეაქცევს და ჩვენ შემოგვიერთდება. ჩემი და დარბაზის ერის სახელით შენდობა და წყალობა აღუთქვით ყველას, მეტადრე რაჭველებს, გურულებს და სვან-აფხაზ-ოდიშარებს. წარსული შეცოდებისათვის, ღმერთი იყოს თავდები, პასუხს არავის მოვთხოვ. დაყარეთ ერში ხმა, დაე ყველამ იცოდეს, რომ მანამ არ დავცხრებით, სანამ უწყალო მტრის მიერ გაჩანაგებულ მიწა-წყალს პირწმინდად არ გავწმენდთ უცხო თესლისაგან და სანამ ქვეყანაში ღვთისაგან ბოძებული ჩვენი უფლებები არ აღსდგება!..

— ამინ! — ერთხმად შესძახა ბატონის ამ გადაწყვეტილების უსაზღვროდ მონატრულმა ორივე დიდებულმა, მუხლი მოიყარა და ხელები ზე აღაპყრო. — ღმერთმა გისმინოს, მეფევ!.. მამაზეციერი შეგეწიოს, გფარავდეს მისი მადლი და ძალი!..

— შენ, დედოფალო? — აგზნებულ სოლომონს კარვის ბინდბუნდში თავის პირმშო ბატონიშვილთან ერთად მიყუჟული გვირგვინოსანი თანამეცხედრე გაახსენდა და მას მოუტრიალდა. — არაფერს გვიბრძანებ? ან იქნებ ალექსანდრეს სურს სიტყვა შემოგვაწიოს?

— დაგვილოცნიხარ, მეფეო, — ხმის კანკალით თქვა მარიამმა და ლაწვზე უნებლიეთ გადმოვარდნილი ცხელი კურცხალი ნაჩქარევად მოიწმინდა. — გზად ია-ვარდი გფენოდეს! სადაც შენ, მე და ჩემი შვილიც იქ გვიგულე. თუ მოწყალე ნებას დაგვრთავ, თოფ-იარაღს ავისხამთ და მხარში ამოგიდგებით!..

სოლომონს გული მოურბილდა, თანამეცხედრის მღელვარება მასაც გადმოედო. მივიდა, ცოლ-შვილს თავზე დაადგა და დედის გვერდში ატუზულ ბატონიშვილს მზრუნველობით და დაუფარავი სიყვარულით აღსავსე მზერა შეავლო.

— მადლობელი ვარ, დედოფალო, მადლობელი ვარ, შვილო, ალექსანდრე! ვნახოთ, იქნება ისე მოვერიოთ მუხთალ მტერს, თქვენი დახმარება და თავგანწირვა სულაც არ დაგვჭირდეს. თუ დაგვჭირდება და, ნება ღვთისაა, მოხდეს, რაც მოსახდენია, კაცურ სიკვდილს წინ რაღა დაუდგება!..

## თავი მეთვრამეტე

დიდ საქარავნო გზაზე, ჭერათხევის ხიბაყოლიდან სატახტო ქალაქ ქუთაისისაკენ რომ მიემართებოდა, მღვიმევის გადასახვევთან, ხუთასი რჩეული მოლაშქრისაგან შემდგარი მეწინავე რაზმის სარდალს, ბერი წულუკიძეს, წინ ადგილმდებარეობის დასაზვერად გაგზავნილი ცხენოსანი მზვერების ათისთავმა ბაჭუა სოფრომაძემ ორი მხარგაკრული და სამიც კიდევ სხვა, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი უცნობი გლეხი დაახვედრა.

შუაღამე უკვე გადასული იყო. პირქვე დამხობილი ნამგლევი მთვარე, ავდრის მაცნედ რომ მიიჩნევენ, ხეობას გასწორივებოდა და იქაურობას თავის უძალო შუქს ჰფენდა. სადღაც, ძირს, უფსკრულში, ყვიროლა ბორგავდა და ღამის წყვდიადში ჩაფლული სალი კლდეები მის დუნე შხუილს თითქოს ქვესკნელიდან გამოსცემდნენ. მდინარის განუწყვეტელ დგრიალს, მდუმარე გარემოს კიდით კიდემდე რომ დაუფლებოდა, დროდადრო სხვა ხმებიც გამოერეოდა ხოლმე. ეს იყო აღმართში ამომავალი ასობით ცხენოსნისა და ქვეითის ერთიმეორეში არეული, უთანაბრო ფეხისხმა, ციცაბოზე უცაბედად დაგორებული ქვების ზღართანი, ურმების ჭრიალი, მეურმეთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილები, შოლტის ტყლაშუნი და ჭოტის კივილი. წყალგამდიდან აქამდე ძლივს რომ აღწევდა და შუა ზაფხულის ამ წყნარ ღამეს იდუმალებითა და რაღაც გამოუცნობი მოლოდინით ავსებდა.

მზვერები სწორედ მიწიდან ამოძვრნენ და წულუკიძისა და მისი თორმეტიოდე მხლებლის წინ აღიმართნენ.

— ვინ არიან? — ჰკითხა ათისთავს სარდალმა.

— რაჭველები ვართ, — მიუგო სოფრომაძემ. — რასტომს წამოუყევდით, მისი რისხვა კვალდაკვალ მოგვდევს. მეფეს დევეძებთ, სიტყვა გვაქვს დაბარებული...

ბერიმ სადავე მოზიდა ცხენს და თავი დაუქნია.

— რა სიტყვა? მართლა რაჭველები ხართ, ბიჭო?

— შენ ვინ ბრძანდები, ბატონო? — ჰკადრეს პასუხად.

— ძალიან გინდა, იცოდე? ვთქვათ, ბერი ვარ, წულუკიძე?

— თუ მართლა ბერი წულუკიძე ბრძანდები, ჩვენი თავი შენ შემოგვევლოს, დალოცოს შენი სახელი! ეტყობა, ღმერთს არ მოვძულებივართ, რაკიღა გზა-კვალი არ აგვიბნია და შენთან მოგვიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა ხართ, აქ რა გინდათ ამ დროს, ვის ეძებთ? — მკაცრად გაიმეორა თავისი შეკითხვა ბერომ და ცხენი დასძრა, მაგრამ სადავე მოზიდა და ისევ შეაჩერა.

— ლილაკუნა გოცირიძემ, გაგეგონება, ჩვენი თავი შემოგავედრა და სამასი კაცით გეახლა, ბერო ბატონო. ყველა ზემო რაჭიდან ვართ, ზოგი ჩამოსახლებული ოსუკა გვერევა. ჩვენ აწი უკან აღარ წაგვესვლება. ცოლ-შვილი მთაში გავხიზნეთ, სახლ-კარი ძაღლუკების იმედად მივატოვეთ და აქეთ წამოვედით. ერისთავს ჩვენ არა ვცნობთ. შენც კარგად იცი, კანონიერი ბატონები ღალატით ამოგვიწყვიტა და სხვისი ყმები ძალით დაგვიყმევა. ახლა გადავწყვიტეთ, სულ თავის წაგებაც რომ დაგვჭირდეს, სისხლითა და ვაი-უშველებლით ვაზღვევინოთ, რაც მაგისაგან და მაგისი შვილებისაგან წყენა მოგვდგომია. ამათ არ დაგვიჯერეს, მსტოვრები იქნებითო, წვითა და დაგვით შეძენილი იარაღი აგვართვეს, ხელებში ბორკილი გაგვიყარეს, ბაწრით გადაგვაბეს და სახორცე ოთხფეხივით გამოგვდენეს. ქვე რა ვიცოდით, სად მივყავდით. გზა ჩვენ არ გაგვეგება და კვალი. ჯერ დღე რა არი, თუ არა ღამე... ლილაკუნა და მისი კაცები იქ გვიცდიან, მეფის პასუხს ელიან. გვისაშველე რამე, ბერო ბატონო. შენმა სიცოცხლემ და პატიოსანი დედ-მამის სულის განათლებამ, ან ბატონ მეფესთან მიგვიყვანე, ვიცით, მამიშენის შვილს ეს არ გაგიჭირდება, დიდი კაცი ხარ, შევჩივლებთ ჩვენს გაჭირვებას, ან...

— გოუხსენით ხელები! მიეცით იარაღი! თქვენ ვინღა ხართ, ვინ მოიყვანა ეს საწყლები აქ?

— სარეკელი ჭიტაძეები გეახლავართ, ბატონო, კაციტა, გოგიტა და მახარიკა, — საშუალოზე ოდნავ მაღალი შუახნის გლეხი, ტყვეებთან ყველაზე ახლოს რომ იდგა და თოკის ბოლო ჯერ ისევ ხელში ეჭირა, წინ წამოდგა, კეფაზე წამოსკუპებული ნაბდის ქუდი მოიშველიპა და წარღალს მოწიწებით მიესალმა.

— შენ თავად რომელი ხარ სამში?

— გოგიტა, ბატონო. ჩვენ კურთხეულ მეფეს, სოლომონს, მოღინახიდან რომ წამობრძანდა, უდაბნოში ვახლდი. მე და ჩემი ძმისწული მახარიკა ვიყავით. ბიჭო, მახარიკა!

— აქ ვარ, ბიძია! — მკვირცხლად უპასუხა ყმაწვილმა და ბიძის მხარს უკან გაბუძგული თავი გამოჰყო.

გოგიტამ განაგრძო:

— მერე მეფემ ინება და ორივე უკან გამოგვაბრუნა, ქაიხოსრო წერეთელთან, ჩვენს ბატონთან. სიტყვა დაგვაბარა.

— აქ საიდან მოხვდით? — ბეროს ყურებში ამ წუთას გაგონილი ბავშვის ხმა ედგა და მკაცრად მოკუმულ ტუჩებზე ღიმილი ეძალებოდა.

— მეფის ბრძანება მოგვივიდა, ქუდზე კაცი გამოდითო და ჩვენც გამოვედით!

— მარტო თქვენ გვეყოფით მერე? — თავისდა შეუმჩნევლად წულუკიძემ ზემოიმერულად მოუქცია.

— მარტვა რატომ, შენი ჭირიმე, ორას სამოცდაშვიდმა კაცმა, მე თავად დავთვალე, სარეკსა და ბაჯითში მოიყარა თავი. ერთი ამდენი და ცოტა მეტი მოჰყვიდან, ცხომარეთიდან, უზუმთიდან და ყვიჩორიდან მოდის. ახლა გამოდმა სოფლები? მამლიყოფილომი ისინიც დაგვეწევიან!

— კარგი მახარობელი ყოფილხარ, ჩემო გოგიტა, საცა სამართალია, სამახარობლოც გერგება, ახლავე მალემსრბოლს გავგზავნი და შენს მოტანილ ამბავს აგიაშვილს ვაცნობებ, მაგრამ ეს კი ვერ მოგსვლია კარგად, ჩვენს შესაწევნად მოსული ხალხი რომ გაგილახავთ და იარაღი წაგირთმევიათ.

— კარებამდი სანდო არ არიან ეგენი, ბერო ბატონო, — გოგიტამ ზურგსუკან ამომდგარ თავისიანებს მოჰხედა და თავის მართლება დაიწყო, ის კი აღარ გაუმხელია, რომ რაჭველებისათვის წართმეული იარაღი თვალში მოუვიდა და დასაკუთრება უნდოდა. — ერთხელ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვსევიან თუ ორჯერ! ტიალ ლეკებზე მეტად ეგენი გვაწიოკებენ!

— გაჩუმდი! — შეუტია ბერიმ. არ ესიამოვნა, თავისი კუთხის შვილებს რომ ულანძღავდნენ და ავაზაკ ლეკებს უთანაბრებდნენ. — მერე ყველა ერთი ჯოხით გაირეკება? სიფრთხილე რომ გამოიჩინეთ და მტერი არ შემოგეპარათ, ამისთვის მადლობა მეფისა და ჩემი სახელით, მაგრამ მეორედ რომ ამისთანა ამბავი დაგემართოთ, ველარ მოვრიგდებით. ახლა უკან გაბრუნდით სამივე და თქვენი ხალხი ააჩქარეთ. გამთენიისას ზოდის ბოლოზე გადალით და იქ პურის საჭმელად შევჩერდებით. ფრთხილად იარეთ, არაფერი მოიწიოთ ან სხვას არ მოწიოთ რამე, თქვენ კი, რაჭველებო, — მეწინავე რაზმის სარდალმა ბოლოს ყოფილი ტყვეებისთვისაც მოიცალა. მათ უკვე მიეღოთ ჩამორთმეული თოფ-დამბაჩა და ქამარხანჯალი, სათითაოდ ათვალიერებდნენ, ხელით სინჯავდნენ, ღმერთი არ გაუწყრეთ, არავინ შეგვიცვალოსო და ნელა, აუჩქარებლად იარაღდებოდნენ. — ხეირიანად მიგვახვედრეთ, ვისი კაცები ხართ და აქ ვინ გამოგაგზავნათ. ლალაკო გოცირიძე, წელან რომ ახსენებდით, მართალია, ტახტის აზნაურია, ტახტის აზნაურობა ჩვენმა მწყალობელმა მეფემ, სოლომონმა, ალის ციხის აღებისას უბოძა, მაგრამ ის ერისთავის ერთგული კაცია. ეს ყოველმა ბღარმა იცის რაჭაში! რატომ კადრულობთ ტყუილს, აქ ბრმები და ყრუები ხომ არავინ გგონივართ?!

— ყოველ კაცს შეგასწრობს ღმერთმა, ბერო ბატონო, რაღაი შენ ეგ გაიხსენე, — უპასუხა იმავე რაჭველმა და ლეკური მზარიდლივ გადაიკიდა. — სწორედ მას მაინც ამოიღო თვალში რისტომმა ლალაკუნა!

— მაგ ტყუილისათვის ენას ამოგაძრობ! — მკაცრად გააფრთხილა სარდალმა. — როგორ თუ მას შემდეგ, მას შემდეგ რამდენი დღე და საათი გავიდა, ახლა მოაგონდა?

— ნუ გამირისხდები, ბატონო, სრულ სიმართლეს მოგახსენებ. შენ თუ სოლომონის მოგზავნილი არა ხარ, დასაფლავს არ მითხრით, პირი ქვისკენ მიქნია, შენს გარდა არავინ მომეძევება, ტახტის აზნაურობა რომ მოიხდინოს და დეიმშვენოსო? მესამე დღეს, ჩემი ცოდვით სავსე წერეთელმა ლეკები რომ მოგვისია, მიუხტნენ ერისთვიშვილების კაცები და ისე გოუცალეს სახლ-კარი, თითზე გადასახვევი აღარაფერი დაუტოვეს. ქოხ-ბოსელი, მარანი და ბეღლები ხომ დაწვეს და დაწვეს. გაასწრო, კიდე კაი, ცოლ-შვილიც გაარიდა, ერისთვიშვილების კაცებს მარტო მოხუცებული მამა დახვდათ, ისიც საპყარი და უსინათლო. ვინ შეიცოდა! ლალაკო შენი ლეკვიაო, ლალატსაც შენგან ისწავლიდაო, ქემაინც ყოფილიყო მაგის მომქმედი, ულმერთოდ ურტყეს და ცოცხალ-მკვდარი ჰიშკართან მიატოვეს!..

ბერიმ შეაწყვეტინა:

— კაცს კლავდნენ და თქვენ სეირს უყურებდით?

— ქვე რა გვექნა, ბატონო, კი ნუ დაგვძრახავ, შენც რომ ბრძანებულიყავი, ვაითუ ვერც შენ ამოგეღო ხმა. სული მწარეა. ორმოცი კაცი მაინც იყო. ერთი ამდენი წყაროსთან უცდიდათ. ერისთავს, იმ სულძაღლს, ებრძანებია, ეგ სოლომონის მსტოვარი ლალაკუნა ბარაკონზე ცოცხალი მომგვარეთ-ყე და მერე მე ვიცოდე და მაგანო. თვალებს დათხრიდა ან უარეს რამეს შეამთხვევდა. შენ არ მომიკვდე! ღამე კაცმა მოგვაკითხა ტყიდან, სადაც ლალაკუნას ეიდგა კარავი, კარდაკარ ჩამოგვიარა. ბევრს შეექმნა გული, რაც მართალია, მართალია, თუმცა ერისთავის შიში და რიდი ჯერ დიდია. ხვალ, ზეგ და მაზეგ ბევრი გაბედავს კიდე და წამოვა. ახლა იმას გეხვეწები-ყე, შენი მუხლების ჭირიმე, ბერი ბატონო, — რაჭველმა დაიჩოქა, ხელები წინ გაიწვდინა და მხედრის ფეხებს წაეტანა. — მეფესთან მიგვიყვანე, სიტყვა მიგვატანინე. ნუ აფიქრებინებ ლალაკუნას, ცრუპენტელები და პირმავები ყოფილანო, ნუ გაალანძღვინებ ჩვენს თავს, სახლ-კარს

გადაგვიწვავენ. რაც იყო, იყო, გამყოლი გულის ხალხი არა ვართ. ამ ოჯახქორიებზე, იარაღი რომ წაგვართვეს და ქვეც გვირტყეს, ენუკას არ დავასვენებთ, ღვთისა და კაცის წინაშე გვიპატივებია!

— ადე! — წულუკიძემ ცხენს უკან დაახევინა. — მეფე ჯერ შორს ბრძანდება. არ ცალია თქვენთან სამუსაიფოდ. ჩვენ შევატყობინეთ, რაც საჭიროა, თქვენ კი გირჩევთ უკან გაბრუნდეთ. ღალაკო გოცირიძეს ასე უთხარით ჩემს მაგიერად, ბერი წულუკიძემ შემოგითვალა, აფერუმ შენს ვაჟკაცობას, იმ ღვთის მგმობელს რომ გამოქცევიხარ და პირი საამქვეყნოისკენ გიქნია-თქვა. მიხვდი? ამას გარდა უთხარი, მეფის სახელით გიბრძანებ, შენი ხალხით სკანდას მოხვიდე და ნაჯიხურებზე წამოსულ ერისთავს, თუ წერამ აიტანა და აქეთ მართლა წამოვიდა, ყველაზე ვიწრო ყელში ჩაუსაფრდე-თქვა. ნუ გეშინიათ, ჯარს კიდევ მოგაშველებთ. ორ დღეში, თუ უფრო ადრე არა, ჩვენც იქ გაჩნდებით!

— ცხენები, ბერი ბატონო... ცხენუკები წაგვართვეს ამ ღვთისაგან წყეულებმა!

— ცხენები! — ბერიმ საეჭვოდ გაყუჩებულ ბაჭუა სოფრომაძეს შეუტია. — რა უყავით ამათი ცხენები? ხმა ამოიღე, კაცო, რას გამოლენჩებულხარ?!

— ჭიტაძეებმა გეირეკეს, ბატონო, — ათისთავმა იცრუა, ხელი ამ საქმეში უდანაშაულო ჭიტაძეებს შეახოცა. — გავგზავნი ვინმეს და ჭალიდან ამოვარეკინებ, თუ სადმე მივაგენით.

— აბა, ნუ მიგიგნიათ! — ბერი მიხვდა, ეს ვაჟბატონი რასაც ეშმაკობდა. — ჯერ მტერს არ შევბმივართ, ბიჭო, და თქვენ ახლავე ძარცვა-გლეჯას მიყავით ხელი? ცხენები გააჩინეთ და ამ ხალხს მოგვარეთ! ჩემთან საჩივლელად არავინ ვნახო მოსული. აბა, წინ!

ერისთვიშვილების კაცების მიერ რაჭის ბატონის ერთგული აზნაურის, გალაქტიონ გოცირიძის, სახლ-კარის აკლების და მეწინავე რაზმის სარდალ ბერი წულუკიძესათნ რაჭველი შეამავლების მოსვლის ამბავი სოლომონს ორიოდე საათის შემდეგ აუწყეს და ლაშქრის გამრავლება მიულოცეს. კაცმა რომ თქვას, ეს მისთვის მოულოდნელი არც იყო. ბატონსა და ყმას შორის განხეთქილებას სათავე მაშინ დაედო, როდესაც ახალგაზრდა გოცირიძემ ტახტის აზნაურობა მიიღო და მეფის ერთგულებაზე საგულდაგულოდ დაიფიცა. ამიერიდან ის მეფის კაცი, მისი აშკარა თუ ფარული ზრახვების აღმსრულებელი გახდა. ფრთხილ ერისთავს ალორ არ ღალატობდა. აღზევებით გაამაყებული გოცირიძე როსტომის ყმობით დღეს თუ არა ხვალ თავს მაინც დამცირებულად იგრძნობდა და მეფის ბანაკში მივიდოდა.

— სიფრთხილე გვმართებს, ადვილად ნუ ვიქნებით ნდობით, — ბრძანა სოლომონმა, როდესაც ყოველივე დაწვრილებით მოისმინა და აღმართში ცხენს სადავე მიუშვა. — ვმადლობ ღმერთს, ჯერჯერობით არა გვიშავს რა. ყველაფერი კარგად ეწყობა!

მოუხედავად უნაგირზე გათეული ღამისა, მეფე თავს მხნედ გრძნობდა და თუ გარემოება მოითხოვდა, შეეძლო, კიდევ ბევრი ასეთი ღამე ცხენზე ამხედრებულს სასთუმალზე თავის დაუდებლად გაეთენებინა. საქმეს სახარბიელო პირი უჩანდა. მართალია, ურჯულო მტერთან შესარკინებლად დაძრულ მხედრობას აკლდნენ აფხაზ-ოდიშარები, ხრესილის ველზე გამარჯვების სასწორი მის მხარეს რომ გადმოსძალეს, აკლდნენ გურულები და სვანებიც. მაგრამ, სამაგიეროდ, არც მტერი ჩანდა ისე მრავალრიცხოვანი და ისერიგად აღჭურვილი, რომ მედგარი წინააღმდეგობა გაეწია და ქვეყნის კანონიერი მფლობელის სამხედრო წარმატება საეჭვო გაეხადა.

მეფის ბანაკში თეიმურაზისაგან გამოქცეული თამაზა მესხის გამოცხადებამ და მის მიერ მოტანილმა ამბებმა ეს რწმენა და წინასწარი ვარაუდი კიდევ უფრო განამტკიცა. უძალო და ულაშქრო

თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელმაც თავისი სანუკვარი ტახტის დაუფლებით და ქუთაისის სამეფო სასახლესთან მეჩეთის აშენებით ვერც იმერელი დიდებულებისა და ყმა-გლეხობის მხარდაჭერა მოიპოვა და ვერც ოსმალო ბატონების ნდობა გაამართლა, სულთნის კარზე აშკარად ურისხდებოდნენ და არა მარტო მას, წყეულ ვარსკვლავზე გაჩენილ თეიმურაზს, თვით ბეგლარბეგ ჰასან-ფაშასაც კი ავის თვალით უყურებდნენ. გართულებულ ვითარებაში ადვილად მისალოდნელი იყო, სულთნის კარს ისევ საძულველ და ანათემაზე გადაცემულ სოლომონთან გაემართა მოლაპარაკება ტახტის დაბრუნების თაობაზე, უკეთუ ის ძველ ვალდებულებებს განაახლებდა, ყველა დაკისრებულ გადასახადს გადაიხდიდა და ქვეყანაში წესრიგს დაამყარებდა, მეფესთან ურთიერთობის გაფუჭება კი ჰასან-ფაშასათვის გადაებრალებინა და ამ თავისი სიტყვების დასადასტურებლად ეს უკანასკნელი უკან გაეწვია, რათა ახალციხეში ჯაყელთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენელი, უფრო მოქნილი და შორსმჭვრეტელი პირი დაესვა.

სოლომონს არ შეეძლო ყურადღებით არ მოჰკიდებოდა ათგზის შერისხული და ამდენივეჯერ შემორიგებული თამაზა მესხის ცნობებს, ვინაიდან ეს ცნობები სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით დასტურდებოდა და ამით კიდევ მეტ ძალასა და მნიშვნელობას იძენდა.

ჰასან-ფაშას უმოქმედობა და ორჭოფობა ადვილი ასახსნელი გამოჩნდა. ფაშას არც იმერეთის ხელახლა დასალაშქრავი ჯარი გააჩნდა და ვერც ის გადაეწყვიტა, დიდ ვეზირთან წინასწარი შეთანხმების გარეშე გამუდმებული წვრილ-წვრილი თავდასხმებით ჯვარზე გაკრულ თეიმურაზისათვის ხელი კვლავ გაემართა თუ არა. ეგვიპტელი მამელუკების ახალმა დიდმა აჯანყებამ და ოსმალეთისაგან განდგომამ იმპერიის თითქმის მთელი სახმელეთო და საზღვაო ძალების ეგვიპტე-სირიაში გადასროლა მოითხოვა. ცხრა მთას იქით გაგზავნილ ჯარებს შორის ჩილდირის ვილაიეთსა და მის მომიჯნავე ვილაიეთებში შეკრებილი ჯარებიც ბლომად ერია.

თამაზა მესხის დაყინებული მტკიცებით, ამბოხებულ ეგვიპტელ მამელუკებს სათავეში ბალღობაში საქართველოს ზღვისპირეთიდან გატაცებული და უცხოეთის ტყვეთა ბაზრებზე გაყიდული ქართველი ბეგები უდგნენ. ბეგებს შორის უპირველესს და შეუზღუდველი ძალაუფლებით აღჭურვილ ალი-ბეის ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესთან მეგობრული მიწერ-მოწერა ჰქონდა და, თამაზასათვის რომ გეკითხათ, ურიგო როდი იქნებოდა, მამისეული ტახტის დაბრუნების შემდეგ, თუკი ალი-ბეისაც ღმერთი ხელს მოუმართავდა და ოსმალებისაგან თავს დაიხსნიდა, მასთან საიდუმლო კავშირ-ურთიერთობას სოლომონიც დაამყარებდა.

ძნელ წუთებში, როცა იმპერიის ვიზირ-აზამი, იგივე დიდი ვეზირი, კაპუდან-ფაშა, ვერცხლისმოყვარე და გაქნილი პოლიტიკოსი, დიდძალი ჯარითა რა რამდენიმე ათეული ხომალდისაგან შემდგარი საზღვაო ესკადრით ალექსანდრიაში იმყოფებოდა, სულთანს არც ჩრდილო სამფლობელოების მოშიშვლება და დაუცველად დატოვება შეეძლო. აქეთ ყირიმის სახანოს და იქით ბალკანეთის მონათესავე ქვეყნებს რუსები თვალს არ აშორებდნენ, ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელ სრუტეებს ხარბად ეპოტინებოდნენ და თუ ისევ ომიანობა ატყდებოდა, ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მათი შეჩერება, ვინაიდან ადგილობრივი მეფე-მთავრებისა და ხალხის აჯანყებებს თურქული ნახევარმთვარის წინააღმდეგ ბოლო არ უჩანდა. ვიღას ახსოვდა ახლა აჩიკ-ბაშის გუდამშიერი ვალი თეიმურაზი და იმერეთის ქრისტიან მეფეთა ტახტზე მისი დამაგრება, როდესაც ამოვარდნილი ქარიშხალი თვით უძლეველი სულთნის ტახტს არყევდა და დამხობით ემუქრებოდა?

ყოველივე ამის ღრმად გააზრებამ და

შეუგნებამ სოლომონი მომავალი გამარჯვების რწმენით აღავსო და შემდგომი მოქმედების გზებიც დაუსახა. ის უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, ქვეყნის, სარწმუნოებისა და ჩემი საკუთარი მტრის წამოსაჩოქებლად და დასამხობად უკეთესი დროის შერჩევა წარმოუდგენელიც კი იქნებოდაო.

საომრად ამხედრებულ მეფეს და მის კარგა მოზრდილ ამალას, უმთავრესად კარისკაცების, მდივან-მწიგნობრების, ალამდარების, მუშკისანი ქეშიკების, აქეთ-იქით გასაგზავნ-გამოსაგზავნი მალემსრბოლების და კათალიკოს ბესარიონის უგზოუკვლოდ გადაკარგვის შემდეგ გენათელ მიტროპოლიტ ბატონიშვილ იოსების გარშემო შემოკრებილი სამღვდელო პირებისაგან შესდგებოდა, საარიერგარდო რაზმის სარდალმა ქაიხოსრო აგიაშვილმა ნავარძეთის კლდეებთან მახარობლები დააწია. გურულების მცირე გუნდით აქეთ წამოსული მამია გურიელის მოახლოება აცნო, ბატონს იმავე მალემსრბოლების პირით მოწყალე ნება სთხოვა, ახალშემოერთებულნი იქნებ ზურგის გასამაგრებლად დაგვეტოვებინათ და ნაშუადღევს, პასუხისათვის აღარც კი დაუცდია, თავადაც კაცხის სვეტთან გაჩნდა. რომლის მიდამოებშიაც მეფისა და მეფიონის ყოფნას ვარაუდობდა.

სარდალი აქ ახალ სამეფო ამბავს შეესწრო. ბაბუა ლევანისეულ, ამჟამად კი კაცხელი აბაშიძეების უმცროსი შტოს მიერ მიტაცებულ მამულში სოლომონს მისი უმცროსი ძმა, მეფე ერეკლეს სიძე ბატონიშვილი არჩილი მოეგებებოდა და თან ორთავე საზანოში, ლევანკოთისა და ალისუბანში სწორედ მტრის ცხვირწინ შეკრებილი ხუთასიოდე ცხენოსანი და ქვეითი მოეყვანა. მუდამ თავდაჭერილი და დაღვრემილი მეფე სოლომონი ისე იყო გახარებული, მიწაზე ფეხი აღარ ედგა. უკვე დავაჟკაცებულ, ცოლ-შვილსა და ოჯახს მოკიდებულ პატარა ძმას, ამდენი ხანი ხომ აღარ ენახა და გულს გაუმხელელი ეჭვი უღრღნიდა, ვაითუ ურჯულო თემურაზმა ბიჭს გონება გადაურიოს და ერთი დედ-მამის შვილების შორის დოყი ჩამოაგდოსო, წამდაუწუმ გულში იკრავდა და თითქოს სხვა საზრუნავი და საფიქრალი აღარაფერი ჰქონოდეს, შინაურ ამბავს ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა. არჩილი უკვე ორი შვილის, ქალისა და ვაჟის, მამა იყო. ერეკლეს ასული ბატონიშვილი ელენე მესამედ მიზეზობდა და მოწყალე ღვთის მადლით, იმედია, მესამედაც ისე ბედნიერად მოიმშობიარებდა, როგორც პირველ ორ შვილზე იმშობიარა...

— არჩილ, ძმაო არჩილ, შენი ჭირიმე, — სოლომონი ისე ეფერებოდა და ესიყვარულებოდა მონატრებულ ძმას, თითქოს მტრის მიერ ჯურღმულში ჩაგდებული ენახოს და სასწაულებრივად გადარჩენილი იქიდან ამოეყვანოს. — გახსოვს, ისნის სასახლეში რომ წაგვეჩხუბე მე და იესეს და ჩვენზე გულმოსული ჯვარის დაწერას აღარ აპირებდი?

ახლა, პირში შემოჩერებული ამდენ ხალხის თანდასწრებით, სწორედ რომ უადგილო იყო ძველი, მივიწყებული ამბის გახსენება, მით უფრო იმიტომაც, რომ მის შესახებ ამ სამის გარდა არავინ არაფერი იცოდა. არჩილი შუათანა ძმის, ბატონიშვილ იოსების, საყვედურით სავსე თვალებს წააწყდა და თავი ჩაღუნა, მაგრამ იგრძნო, უნებლიეთ წამოსცდარმა სიტყვებმა თვით სოლომონიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენათ და ამ მდგომარეობის გამოსწორება თავად შეეცადა:

—მოსაგონარი ბევრი გვაქვს, ბატონო, სოლომონ. ჩვენი საყვარელი რძლის, ბატონ მარიამისას და ბატონიშვილებისას რას გვეტყვი? სად ბრძანდებიან, რატომ თან არ გახლავან, ხომ მშვიდობა არის თქვენს მხარეს?

— ამას თუ მშვიდობა ქვია, ჩემო არჩილ, — სოლომონმა იგრძნო, მეტისმეტი გულუბრყვილობა გამოიჩინეო, არჩილსაც მიუხვდა კეთილ განზრახვას, გულში დაუმადლა, თავს ძალა დაატანა და გაიცინა. — ჯერჯერობით, ღვთის

მადლით, არა გვიშავს რა. ოჯახი ნავარძეთის ციხეში დავტოვე. ორ-სამ დღეს მოიცდიან და თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, მერე სკანდას დავიბარებ.

— სწორად მოქცეულხარ, ბატონო, თუმცა საზანის ციხეშიაც შეგეძლო დედოფლისა და ბატონიშვილების მიღება.

— სხვა დროს, ძმაო არჩილ. ახლა ასე ჯობს. გული უფრო საგულეს მექნება.

— ალექსანდრე დიდია უკვე?

— მომესწრო შვილი, ენაცვალოს მამა, იღლიამდე მწვდება!

— გიორგი ბრწყინვალე ხომ არ დავიწყებია?

— რა დაავიწყებს, დიდსა და პატარას მის ამბავს ეკითხება და ეჩიჩინება. ჯუღოფალს „ქართლის ცხოვრება“ ამოაღებინა და ისე თვალს არ მოხუჭავს, თოთ-თხუთმეტი მუხლი თუ არ წაიკითხა. სხვებს ახლოს არ გვიკარებს. მაინცდამაინც ბატონი დედას წაკითხული მინდაო. თუ ასე გააგრძელა და ბოლოს არ იზარმაცა, ერთობ განათლებული კაცი უნდა დადგეს. დიალაც გვეჭირვება. პატრები ბერძნულს, ლათინურს და იტალიურს ასწავლიან. თათრულს საყველპუროდ უკვე ლაპარაკობს. გულით მინდა, რუსულიც შეასწავლო. თუ ხეირიანი ოსტატი გამოჩნდა ვინმე.

— თამაზა მესხზე უკეთესი ვინ უნდა გამოჩნდეს, მეფეო!

— ჰმ, თამაზა მესხი კი, მაგრამ...

სოლომონმა ერთხანს მოიწყინა. არა და, ალექსანდრეს რომ ახსენებდა, ცრემლჩამდგარი თვალები უბრწყინავდა, ეტყობოდა, რომ ამაყობდა თავისი გონიერი ვაჟიშვილით, ტახტის მომავალი მემკვიდრით, თუმცა ამ სიამაყეს და გულში ჩაგუბებულ სიყვარულს ძლივს შესამჩნევი ფარული ნაღველიც ახლდა.

— შენ ეს მითხარი, არჩილ, — მეფე ოცნებიდან გამოერკვა და მაშინვე საქმიან კილოზე გადავიდა. — რაჭის ერისთავის ჯერ ხომ არაფერი ისმის?

— აქ ხმა დაყარეს, სოლომონ, ორნელი ურიები ჩამოვიდნენ, საწინამძღვრო და საჯაფარიძეო მთლად დაარბიეს. ციხეები გატეხა და შიგ თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენაო. ბევრი უკეთ მოგახსენებდა. ბიძამაგისი პაატა ოჯახით აყრილა და თავი ოდიშში, კაცია დადიანთან შეუფარებია. ბერის წამოსვლის შემდეგ ბატონი გიორგი ჯალაბითა და შინაყმებით ტყეში ყოფილა გახიზნული. ხოტევის საგვარეულო ციხეში ერისთავის ხალხი დგას. ეს ჯერ იქაურობას არ მოსწრებია. როსტომი თავს მთელი რაჭის ბატონად აცხადებს და ახლა ქუდს გადმოღმაც იხურება. ხარბი სიმამრის ასე გაძლიერება და თავზე ხელის მოსმა არც ვაჟბატონ თეიმურაზს მოსწონს, მაგრამ უჭირს და ჯერჯერობით ხმა ვერ ამოუღია!

— გახსოვს, რა აფორიაქებული იყავი ერისთავთან სტუმრობით, ბარაკონის ეკლესიის კურთხევაზე რომ წარგგზავნეთ? რა ხანი გავიდა მას შემდეგ! პირზე სულ როსტომი და მისი ვაჟები გეკერა. მათ ძვირს ველარავინ გაგაგონებდა.

— ერისთავი ჩვენსავით ქართველი კაცია და სტუმრის მიღება არ ეშლება, მეფეო. მე შენის ნებით ვიყავი მის კარზე. დღეს შენის ნებით და ჩემი სინდისის კარნახით აქ მოვედი და მზად ვარ, ტახტის მტერსა და ორგულს, ვინც არ უნდა იყოს, შენს მხარდამხარ შევებრძოლო!

— ვხედავ, ჩემო არჩილ, განა რაიმეს გსაყვედურობ, კაცი ბრმა უნდა იყოს, შენი ერთგულება რომ ვერ დაინახოს და ჯეროვნად არ დააფასოს! ბატონი ბიძაჩვენების რა ისმის, სად ბრძანდებიან გიორგი და მამუკა? ხომ არ დავიწყნიათ, ნეტავ, გელათის სამრეკლოზე რომ მყავდა ორივე დამწყვდეული?

— რავარი დასავიწყებელია! გიორგი ძალიან დაგვიბერდა, ამ ქვეყნის აღარაფერი ეყურება და გარეთ აღარ გამოდის, მამუკა და ბიცოლაჩვენი დარეჯანი ვაჟიშვილს ახლავან, სასახლეში ბრძანდებიან!

— და ჩვენ ტახტის მოცილეებად გვთვლიან, არა? — სოლომონმა მწარედ გაიცინა და, თითქოს უნებლიეთ ხელი რაღაც აკრძალულს შეახო, შუბლი უმალვე შეიკრა. — ეგ ყველაფერი კარგი და კეთილი, ჩემო არჩილ, ახლა კი ვგონებ წასვლის დროა. უფრო საგულდაგულოდ მე, შენ და იესემ მერე მოვილაპარაკოთ, მტერს რომ გავუსწორდებით. ნიკოლოზა, ბიჭო, ცხენი!

ძველებურად თმაწვერგაბანჯგვლულმა, აქა-იქ ჭაღარაგამორეულმა ნიკოლოზა ნადირაძემ თანშეზრდილ მეფეს სათმარად შეჭურვილი ცხენი მოართვა და უზანგი დაუკავა. სოლომონმა კაბის კალთა გადაიწია, ის იყო, კიდევაც უნდა შემჯდარიყო, რომ ანაზდად ქაიხოსრო აგიაშვილი დაინახა, გაუკვირდა მისი აქ ყოფნა და ჰკითხა კიდევაც:

— შენ აქ რამ მოგიყვანა, თავადო, ჯარი უსარდლოდ მიმიტოვე?

აგიაშვილი წინ წამოდგა, ხელი ხმლის ვადაზე დაიდო და ბატონს, რომელმაც მის პასუხს აღარ დაუცადა და ყმაწვილკაცური სიჩაუქით, ჯერ კიდევ რომ არ აკლდა, ცხენს უნაგირზე მოექცა, კრძალვით ჰკადრა:

— ავალიანია იქ ჩემს მაგიერ, მეფეო. ეიქრი ნურაძის გექნება, თავის მტერი არა [illegible]. საქმეს არ გავაფუჭებთ!

— მაშ, აქ რა გინდა, ძმაო და შვილო, ახლა ცუდ-უბრალო მისვლა-მოსვლის დრო და მოცალეობა გვაქვს? — სოლომონის ხმაში თავშეკავებული წყრომა და შეუფარავი საყვედური ისმოდა.

— თუ უკადრავად არ მიყო, კეთილი ინებე და აქეთ მოიხედე, ნახე, ვინ გაახლე!..

სოლომონის განრისხებას ბევრი აღარაფერი აკლდა. თავს გაჭირვებით მოერია, ცხენი სანახევროდ შემოაბრუნა, მათრახიანი ხელი მოიჩრდილა და იქით გაიხედა, საითაც პირზე ღიმმომდგარი აგიაშვილი და მასთან ერთად მთელი ამალა იყურებოდა. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით, ძეძვის ღობეში ჩატანებულ ლასტის ჭიშკართან, უცხო მხედრებით გარსშემორტყმული, გულხელდაჭდობილი ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და განუყრელი ქალალი ჩაბალახით თავწაკრული ასისთავი როსათ მაჭავარიანი იდგნენ.

— თავადო ქაიხოსრო! როსათ! — შესძახა სოლომონმა და ცხენი ნაბიჯით დასძრა, ჩამოქვეითებული უცხო მხედრების გუნდისაკენ წაიყვანა. — ეს თქვენა ხართ მართლა, თუ ღმერთი გვცდის და თქვენი სულები მოგვევლინა?

— ჩვენ გახლავართ, მეფეო, — ორივეს მაგიერ უპასუხა სარდალმა და სოლომონის შესახვედრად ნაბიჯი გადმოსდგა. ერისთავის ტყვეობიდან მობრუნებული სახეალეწილი როსათ მაჭავარიანი, სიცოცხლეში პირველად თავი გამოსაჩენი რომ არ ჰქონდა და აღარ იცოდა, თვალები სად წაეღო, თავად მძიმე ნაბიჯით უკან მოჰყვებოდა.

— მომიახლოვდით! — მჭექარე ხმით ბრძანა სოლომონმა და ცხენი შეაყენა.

წერეთელმა თავი მდაბლად დაუკრა. მერე სულ ახლოს მივიდა და, როგორც ერთი ვინმე უბრალო ყმა, კაბის კალთაზე ემთხვია. როსათი შედგა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მათმა დანახვამ მეფეს სიხარულის ფრთები გამოასხა, მაგრამ ეს სიხარული, ყველა ერთნაირად რომ იზიარებდა, დიდხანს არ გაგრძელებულა — სოლომონს სახე მოექუფრა.

— როგორ გავიგო, თავადო ქაიხოსრო, შენი უვნებლად დაბრუნება? ტყუილია ყველაფერი, რაც აქამდე გვაუწყეს?

— მე არ ვიცი, რა გაუწყეს, მეფევ!

— ათას სატანჯველში გამოვლილმა. თაკარა მზით და თოფისწამლის კვამლში გარუჯულმა სარდალმა მხნეობა მოიკრიბა, ბატონს პასუხი შეჰბედა.

— რომ შენმა დაქირავებულმა ჯარმა რაჭა აიკლო, შემდეგ ნაძარცვი გუფთასთან ქართლელებმა დააყრევინეს და შერცხვენილი უკან გააბრუნეს!..

— არ არის ტყუილი, მეფევ!..

— მაშ, ეს ხალხი ვინ გახლავს?

სოლომონმა ორად მოკეცილი მათრახი პირში წყალჩაგუბებულ უცხო მხედრებისაკენ გაიშვირა. — აქ საიდან მოგიყვანია, ან შენ თავად როგორ გადარჩი ცოცხალი?!

— ბელადებმა პირი შეკრეს, მეფეო, გასამრჯელო იცოტავეს და დამემუქრნენ, თუ თეთრი არ მოგიმატებია, ან აქაურობას არ მოგვარბევინებ, ქონებას და ტყვეებს არ გვაშოვნინებ, ახლავე უკან გავბრუნდებითო. მეტი თეთრი, მოგეხსენებათ, მე არ მქონდა.

სოლომონს ღაწვები შეეფაკლა. მიხვდა, სარდლის უკანასკნელი სიტყვები მას ჩადენილი დანაშაულის უნებლიე თანამონაწილედ ხდიდა, მაგრამ მაინც შენიშნა:

— მაშ. ისე გამოდის, რაჰა შენის ნებით აუკლიათ?

— აღარ იყო სხვა გზა. ველარაფრით შევაკავე. ღმერთია მოწამე, აგერ როსტოვიც დამიდასტურებს, არ მინდოდა, ეს ცოდვა მეტვირთა, ხომ ვიცოდი, ყველაფერი მე დამბრალდებოდა. მეგონა, რაც არის, არის, პატარას მივლენ-მოვლენ, წაითარეშებენ და გაძღებიანთქვა. გამაძღარი კაცი მშიერზე უარესი ყოფილა! მეტი და მეტი მოინდომეს. მე ეს ასიოდე კაცი დამრჩა, აშენდა ამათი ოჯახი, — სარდალმა სახე მიაბრუნა და ერთ მუშტად შეკრულ უცხო მხედრების გუნდს შეჰხედა. — რომ შევბმოდი, ტყუილა სისხლს დავღვრიდი, ისინი ბევრი იყვნენ და თავის საქნელს მაინც იზამდნენ. გუთთასთან ჩვენც ვიომეთ, ბატონო მეფევ, ხალხიც ბევრი დაგვეხოცა და ცხენიც ბლომად გამოგვეკლეს. ღვთისა და შენი წყალობით, იმდენი მაინც ვიჯახირეთ, ტყვეები და პირუტყვის ჯოგები, სადამდეც ხელი მიგვიწვდა, უკან დავაბრუნეთ, მერე, ეს საქმე რომ მოვითავეთ, ყვირილას დავყევით და მოკლე გზებით თავდალმა დავეშვით...

ეს რომ თქვა, ქაიხოსრო წერეთელი წამით შეჩერდა, გარსშემორტყმულ თავისიანებს გადახედ-გადმოხედა იმის გასაგებად, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ასე მომგებიანად დალაგებული მისი მონათხრობი, მეფემ კი ამით ისარგებლა და ცხენი უჩვეულოდ თავჩაქინდრულ, დამნაშავე ბალღივით დარცხვენილ მაჭავარიანისაკენ მიატრიალა.

— შენ, როსაფ-ბატონო, შენ რალანაირად დაალწიე თავი ერისთავის კლანჭებს?

— არ ვყოფილვარ, მოწყალე მეფეო, ბედისაგან გაწირული, შუბლზე ეს მწერებია. ისე კი, რაღა დაგიმალო, ათასწილ მერჩია, ავად თუ კარგად ხმალი მექნია და შენი დიდებულების წინაშე დაჭრილ-დაკოდილი მოვსულიყავი!

— ღმერთმა დაგიფაროს, ჩემო როსაფ. ჩვენი გულისათვის შენ არც ერთი დაგკლებია და არც მეორე. რაიო მაინც ჩვენმა გარეშე მოხელემ, სტრატილატმა და ვიპატოსმა, ასე უბრალოდ გამოგიშვა?

— ცოდვას ვერ შევწამებ, გლახა არაფერი უკადრებია, — შურისძიების ჟინით შეპყრობილ ერისთვიშვილებს მაჭავარიანმა, რომ იტყვიან, ნამუსი შეუნახა და ბატონს მხოლოდ ეს უპასუხა.

— ადრე თუ შეხვედრიხარ სადმე?

— ერთხელ, ბატონო, ნეტარხსენებული თეიმურაზ მეფის შესაწევნად ქართლს რომ მივდიოდით, მარა კუნაპეტი ღამე იყო და ვერ ვიცანი.

— მაინც არ მეგონა, თუ უვნებლად გამოგიშვებდა და გამოგიტირეთ. აწ ღმერთმა დიდი დღე მოგცეს! არ უნდა ნდობოდი. რაკილა აგრე იყო საქმე, თავადმა ქაიხოსრომ რომ მოგვახსენა, ვინმე სხვა უნდა მიგეგზავნათ.

— თავდაპირველად ჩვენც აგრე ვვარაუდობდით, მეფეო, — სოლომონის გულწრფელი თანაგრძნობით და სრული ნდობით წათამამებულმა როსაფ მაჭავარიანმა სმენად გადაქცეულ ქაიხოსრო წერეთელს გადახედა. — მარა მერე შევშინდით, ვაითუ არ დეიჯეროს-თქვა. ქვეყანა წახდებოდა...

— თქვენ თქვენი თქვით, სხვამ თავისი უნდა თქვას, სამართალს ისე ვერ

გავაჩენთ! — მეფემ ახალმოსულთა გამოკითხვა ამით დაასრულა და სახეზე განურჩევლობის ნიღაბი აიფარა. — ყველა ჩვენს ქვეშევრდომს, — განაგრძო მცირეოდენი დუმილის შემდეგ. — ვინც არ უნდა იყოს, ერი თუ ბერი, ბატონი თუ ყმა, ჩვენი ნებისა და ბრძანების განუხრელად შესრულება ეკისრება. ვინც ამ პირობას დაგვირღვევს და ნებით ან უნებლიეთ ერთგულების ფიცს გასტეხს, როგორც წესია, ღვთისა და ტახტის სახელით, ჩვენი რისხვა და მკაცრი განაჩენი ელის! რაჭაში ლაშქრით შეჭრა და იქაური ერის შეწუხება ჩვენ არავისთვის გვიბრძანებია. გვიბრძანებია, თავადო ქაიხოსრო?

— არა, ბატონო, ჭეშმარიტად არ გიბრძანებია, — მორჩილად მიუგო წერეთელმა და სახეზე ჩრდილმა გადაუარა. ის უკვე ნანობდა, რომ აქ თავისი ფეხით მოვიდა. იქნებ უმჯობესი იყო, კვლავ მოდინახისათვის მიემართა, მის შეკეთებაზე ეზრუნა და, სანამ ტახტის ბედი ან ასე გადაწყდებოდა და ან ისე, შიგ დედაბუდიანად გამაგრებულიყო. მეფე, რაღა თქმა უნდა, კვლავაც შეეცდებოდა განმდგარი ერისთავის გულის მოგებას და თუ ეს საქმე ხელს მისცემდა, განტევების ვაცად, ვინ იცის, სწორედ ის, თავადი ქაიხოსრო და მისი ყმა-მამული გამოეყენებინა.

— მაგრამ ეს მაინც მოხდა! — მოსჭრა სოლომონმა. — მრავალგვარი ზარალი მოგვადგა, ღვთისა და ერის წინაშე პასუხისმგებელი კი ჩვენ ვართ! საქმეს საგანგებოდ დანიშნულ მიუდგომელ კაცებს გამოვაძიებინებთ. შიგ ჩვენც ჩავიხედავთ. დამნაშავეს, თუნდ ღვიძლი ძმა ან შვილიც იყოს ჩვენი, დანაშაულის კვალად უნდა მიეზღოს, ხოლო ახლა, — სოლომონმა ჯერ ავი წინათგრძნობით შეფიქრიანებულ, თითქოსდა საკუთარ ნაჭუჭში შემძვრალ ზემომხრის სარდალს დაადგა მზერა, შემდეგ კი მძიმე ტვირთისაგან თავდახსნილ როსაფ მაჭავარიანს დააცქერდა. — უკეთუ გულში ცეცხლი არ გაგნელებიათ და ურჯულო მტრის სისხლი გწყურიათ, ნება გეძლევათ, ეგ თქვენი კუდმოკვეცილი მხედრობა ლაშქარს შემოუერთოთ და ჩვენს შორის კუთვნილი ადგილი დაიკავოთ!..

## თავი მეცხრამეტე

ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოსიარულე მსტოვრებმა, მოხალისე გამცემლებმა და ყველა იმან, ვისაც პირადი გამორჩენის მიზნით აქაურობის ბატონ-პატრონი ოსმალების გულის მოგება სწადდა, სკანდის ციხეში ჯარით ჩამდგარ ფაშა ჰაჯი-ალიბეგს ადრევე ამცნეს სულთნისაგან შერისხული გიაური სოლომონის განზრახვებისა და სამზადისის ამბავი. წვრილ-წვრილი ყაჩაღური თავდასხმებით გულგაწყალებული და ქანცგამოლეული ფაშა ამას მოელოდა და კიდევაც ნატრობდა, საძულველ მტერს ბრძოლის ველზე პირისპირ შეჰყროდა და მისთვის ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო, მაგრამ როდესაც აუწყეს, საწერეთლოდან წამოსულ სოლომონს თან დიდჯარი ახლავს, რომელიც გზადაგზა აგორებული თოვლის გუნდასავით იზრდებაო, მრავალი ომის გადამტან სარდალს გულმა რეჩხი უყო. სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ამ დამშეულ და გაპარტახებულ ქვეყანაში დიდი ჯარის შეგროვება სოლომონს, რასაკვირველია, არ შეეძლო, მაგრამ იმის ნახევარიც რომ შეეკრიბა, რასაც ამბობდნენ, ქეჰას მაინც თავის მოქაჩლება და მარჯვედ დახვედრა მართებდა.

ქუთაისიდან წამოსულმა თეიმურაზმა ყურად არ იღო სარდლის რჩევადარიგება და იმის მაგიერ, სკანდას მო-

ზრძანებულიყო და მაღალი ალაჰის ნებით აქ მდგომ ოსმალთა ბანაკი ერთიორად გაეძლიერებინა, ლევან აბაშიძისეული ჰალატყის კოშკები დაიკავა, სადაც თავს უშიშრად იგრძნობდა. ტახტიც იქ დაიდგა და წამდაუწუმ ახალ-ახალ განკარგულებებს აგზავნიდა.

თეიმურაზის ვარაუდი უბრალო იყო: სატახტო ქალაქ ქუთაისის დასაკავებლად დაძრულ სოლომონს გზას ფაშა ჰაჯი-ალიბეგი გადაუღობავდა, მთავარი შეტაკება სადღაც სკანდასთან ან ჩიხორთან, მდინარეების — ძუსასა და ქვეშრულას შუა მოხდებოდა, სოლომონი იქვე იწვნევდა კიდევ ერთ, ამჯერად უკვე უკანასკნელ დამარცხებას და ის, თეიმურაზი, ნახარ ბრძოლის ველზე გამარჯვების ყვავილების დასაკრეფად მოვიდოდა.

— გიჟია ეს მამაოხერი ან წერამ აიტანა! — ბრდღვინავდა ომებში გაჭაღარავებული ჰაჯი-ალიბეგი და წინ და უკან დადიოდა კლდოვანი გორის თხემზე, სადაც იანიჩართა მინბაშების თანხლებით დილაუთენია ამოვიდა და ქვეით მეთოფეთა განსალაგებლად მოხერხებულ ადგილებს არჩევდა. — კიდევ რათ, რას გვიბრძანებს მისი უმაღლესობა?

მტერთან პირველი შეტაკება ღამით მოხდა, მაგრამ არა იქ, სადაც მას მოელოდნენ, არამედ სულ სხვა ადგილას, სკანდის ჩრდილო-დასავლეთით, მთისწინა სოფლების — მუხურასა და რცხილათის შუა.

ეს რომ ცხენის უნაგირზე თავმიდებულ ფაშას შეატყობინეს და ბანაკში განგაშიც ატყდა, ჰაჯი-ალიბეგი ქონგურზე აიჭრა, ციხის მოურავის მიერ მოწოდებული სავსე დურბინდი თვალებზე მიირგო და სიბნელეს დააკვირდა. დანახვით არაფერი ჩანდა, სროლა კი კვლავინდებურად ისმოდა, ხან ხშირი, ხანაც კანტიკუნტი. ძირს, ციხის გარეშემო, კოცონებს აქრობდნენ, ნამძინარევი ჯარი ზლაზვნით საომრად ეწყობოდა.

— გაგზავნეთ ვინმე, გამიგეთ, ვინ ისვრის, ვაითუ ისევ ჩვენები წაიკიდნენ და ერთმანეთს ხოცავენ!

ოსმალთა ბანაკში, რომელიც აქ თეიმურაზ ბატონიშვილის სამეფო ხელისუფლების შესანარჩუნებლად და ლიხთიმერეთზე დაკისრებული გადასახადების ასაკრებად იდგა, ჩხუბი და სისხლისღვრა თითქმის ყოველ ცისმარე დღე ხდებოდა და ამას ყველა ისე შეეჩვია, არც ალარავის უკვირდა. თავთავიანთი ბატონების ბრძანებით სულთნის დროშების ქვეშ მორეკილი ადგილობრივი მოლაშქრეები, უპირატესად მარგველნი, ვაკე იმერეთის მკვიდრნი და გურულები, თვალი რომ ერთთავად გაქცევაზე ეჭირათ და საამისოდ მხოლოდ შესაფერი წუთის დადგომას ელოდნენ, ჯერ ვითომ აინუნშიაც არ აგდებდნენ აგარიანთა დაუსჯელ პარპაშს არგვეთის ახლო თუ შორეულ სოფლებში, შემდეგ კი, ვილაც-ვილაცების ჩაგონებით თუ საკუთარი გულის კარნახით, თანდათან ხელი გამოილეს და მოსისხლე ოსმალთ თეთრი კბილები უჩვენეს. თეთრი კბილების ჩვენება აგრე არ უნდაო, თავიანთი რიცხობრივი სიჭარბით გულმოცემულმა ოსმალებმა თოფ-იარაღს მიმართეს და ხუთი თუ ექვსი ჩხუბისთავი იქვე სასიკვდილოდ დაკოდეს. საქმეში თვით ფაშა ჩაერია. თუმცა დაჭრილ-დახოცილები ოსმალთა მხარეს სამჯერ მეტი იყო, ის იძულებული გახდა, უამისოდაც ნაკლებად სანდო აჩიკ-ბაში მოლაშქრეების დასაშოშმინებლად რამდენიმე იანიჩარი საჯაროდ დაესაჯა...

რცხილათისაკენ ციხის მოურავის მიერ გაგზავნილ მზირებს რიყრაყზე თვით როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟები გიორგი და მეთოდე მოჰყვნენ. ფაშა ჰაჯი-ალიბეგს მათ შესაფერი თაყვანი სცეს, მდიდრული ძღვენი მოართვეს და ბატონი მამის სახელით მოიკითხეს.

ოსმალო სარდალმა ერისთავის გულუხვი ძღვენი მიიღო, ერისთვიშვილებს ქართული წესით მიესალმა, მად-

ლობა შესწირა, ბეგლარბეგისა და თვით ბედნიერი სულთნის წინაშე მუამდგომლობას დაჰპირდა და თარჯიმნის დახმარებით გამოკითხვა დაუწყო, თან თვალი ხელშეუბიან მცველებზე ეჭირა, ემანდ ღმერთი არ გაუწყრეთ, ერისთავის მგელკაცა ბოკვერები ბოროტი განზრახვით არ იყვნენ მოსული, გიაური სოლომონის საამებლად გულში ხანჯლის ჩაცემას არ მიპირებდნენო.

წინა ღამის საიდუმლოს ფარდა უმალ აეხადა.

ნაჯიხურევზე გადმოსული ერისთავის ლაშქარი, რომელიც ათას ხუთასი ცხენოსნისა, ამდენივე ქვეითისა და სამას ორმოცდაათი დაქირავებული ყაბარდოელი მოლაშქრისაგან შესდგებოდა, წითელი კლდის ძირში, სადაც ყველაზე ვიწრო ყელი იყო და ჯარს მხოლოდ წალიკ-წალიკ შეეძლო გავლა, ჩასაფრებულ მტერს წასწყდომოდა და ცერიე ზარალი ენახა.

— ჩვენი ყმები ყოფილიყვნენ, თქვენო აღმატებულებავ, — განმარტა ერისთვიშვილმა გიორგიმ. — წუნკალ ლალაკუნა გოცირიძეს გვებრიყვებინა. რომ დასცხათ-ყე და გასაქცევი გზა ალარსაით მივეცით, ისევე ჩვენთან მოსვლა ინებეს, თავზე ნაცარი წაიყარეს და პატიება გვთხოვეს. გოცირიძე გაგვექცა. მდევარი გამოვუყენეთ. ღვთის მადლით, ვერც ის იბნებს დიდხანს, ისევე ჩვენს ხელში ჩავარდება!

ფაშა ჰაჯი-ალიბეგმა ყურადღებით მოუსმინა თავის მარჯვენა ხელს, გიორგი გურიელს, ერისთვიშვილ გიორგის სიტყვებს რომ უთარგმნიდა, დაამშვიდა იმან, წითელ კლდესთან როსტომისაგან გაქცეული ურჩი ყმები რომ ალთქმინდნენ და არა თვით სოლომონი და რომელსაც ყოველი წვრილმანი ძირისძირამდე გამოიძია და გულში შესაფერი გადაწყვეტილებაც მიიღო, გურიელსავე მიანდო, რაჭიდან მაშველი ჯარით მობრძანებულ როსტომ ერისთავს ბანაკის ფარგლებს გარეთ შეგებებოდა, კარვების გასაშლელი ადგილი მიეჩინა და თვით როსტომი, ვაჟკაცურ ბრძოლის ცეცხლში მოეწვია.

ბიბლიოთეკა

რაჭველების ლაშქარი თავასასა და თუზს შუა, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ძნელად მისადგომ ხევის პირას გააჩერეს და კარვებიც იქვე, ასწლოვან მუხებში გაამლევინეს.

როსტომს ქედის მხრიდან „ღვთისაგან წყეული ლალაკუნა გოცირიძის“ ხელახალი თავდასხმის შიში ჰქონდა. იაგორას უბრძანა, მამაშვილობას, მარცხენა ფრთა ანამყოლ უკან დასწიე და იქ შენი მოყვარე ყაბარდოელები დააყენეო, თავად კი მიდამო ცხენდაცხენ შემოიარა, გამოცდილი მხედართუფროსის გულმოდგინებით დაზვერა ყველა მოსავლელი და უკანდასახევი გზა, ბოლოს, შვილებიდან მარტოოდენ გიორგი და ბატონიშვილ არჩილის კბილადიმიტრი იახლა და სამასი რჩეული თავმდგომი მხედართუფრით, რომელთაც გვერდიდან თვით ბარაკონზეც აღარ აშორებდა, ციხის კარიბჭეს მიადგა.

კარიბჭე გაღებით კი გაალეს, მაგრამ თავმდგომნი, როგორც ერისთავი თავის მხლებელ მხედრებს უწოდებდა, შიგნით არ შეუშვეს, ფაშამ მხოლოდ როსტომ ერისთავისა და მისი ვაჟების შემოშვება ბრძანაო.

— რაო? — დასჭექა კარიბჭის მცველ მეთოფეთა უდიერობით ცეცხლმოკიდებულმა როსტომმა. — ვის უბედავთ, თქვე ძაღლის ნაშიერებო! ახლავე გაბრუნდით და ფაშას მოახსენეთ, ვინც მობრძანდა, არა და, მამაჩემს შოშიტასა აქვს ცხონება, კარიბჭეს ძალით შემოვანგრევთ!

ძნელი მისახვედრი როდი იყო: არც ბეგლარბეგის ქეჰა ჰაჯი-ალიბეგი და არც რაჭიდან მაშველი ჯარით მოსული ერისთავი როსტომი ერთმანეთს არ ენდობოდნენ, თუმცა მტერი ორივეს ერთი ჰყავდა და დღეს თუ ხვალ მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ელოდათ.

კაცმა რომ თქვას, უნდობლობის სა-

ზაზი თუ მიზეზი ორივეს საკმაოდ გააჩნდა.

ჰაჯი-ალიბეგმა, მაგალითად, სანდო წყაროებიდან იცოდა, რომ ოსმალური იარაღის ძალით აჩიკ-ბაშის მეფეთა ტახტზე აყვანილი თეიმურაზი გამცემლობის გზას ადგა, ბეგლარბეგის ქეჰასაგან თავს შორს იჭერდა და სოლომონთან მშვიდობიან მოლაპარაკებას აპირებდა. კაპუჩინელი პატრების გაცხოველებული მიმოსვლა ამ ორ სისხლით ნათესავს შორის, რაიც ბოლო დროს ყველასათვის შესამჩნევი გახდა, სხვა რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, თუ არა თეიმურაზის გამცემლობისა და გიაურ სოლომონთან მისი დანაშაულებრივი კავშირისა?

თეიმურაზი, როგორც ჰაჯი-ალიბეგს სრულიად საიდუმლოდ ატყობინებდნენ, სოლომონს ტახტის გაყოფას და ორმეფობას სთავაზობდა, ამის სამაგიეროდ კი პირობას ითხოვდა, რომ „მის საქმეში“ არავინ ჩაერეოდა და მოქმედების სრული თავისუფლება მიეცემოდა.

მსგავსი პირობის მიმღები, რასაკვირველია, სოლომონი არ იყო, მაგრამ ხელს ვინ შეუშლიდა, თავი მოეკატუნებინა და მოჩვენებითი თანხმობის სანაცვლოდ ჰაჯი-ალიბეგის გაცემა მოეთხოვა?

იგივე ეჭვი უღრღნიდა გულს რაჭის ერისთავსაც. ახალციხისაგან თეიმურაზის ბედის ანაბარა მიგდება კარგს არაფერს ნიშნავდა. მით უფრო მას შემდეგ, რაც უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი იქ რატომღაც დააკავეს და რამცთუ თხოვნა-ვედრება არ დაუკმაყოფილეს, ყურიც არ შეიბერტყეს. ეს უკვე ტყე-ტყე მოწანწალე სოლომონის პირდაპირი მხარდაჭერა იყო. ვინ იცის, ბეგლარბეგ ჰასან-ფაშასაგან ჰაჯი-ალიბეგს საიდუმლო რაყამიც კი ჰქონდა მიღებული, რომლის თანახმადაც თეიმურაზი და ყველა მისი ერთგული თანამდგომი ბორკილებგაყრილი ახალციხეს უნდა გაეგზავნა?

„ვერ მოგართმევს! — ფიქრობდა ბოღმისაგან ყვრიმალებდაბერილი ერისთავი და თავის მტანჯველ ეჭვებს ჯერჯერობით შვილებისაგან საიდუმლოდ ინახავდა. — ღმერთმა და მრავალძღვნის წმინდა გიორგიმ ნუ დამაძაბუნოს ისე, რომ ვინმეს ტოლი დავეუგდო და ერთიათად არ ვაზღვევინო!“

„გაუგებრობის“ გასაფანტავად ფაშა ჰაჯი-ალიბეგი თავად გამობრძანდა, როსტომისა და მისი სამასი „თავმდგომის“ ციხეში მიღებას ისევ ეს ამჯობინა და თოფ-იარაღში ჩამჯდარი მცველი რაზმით გარსშემორტყმულმა ერისთავსა და ერისთვიშვილებს, გიორგისა და დემეტრეს, ნიშნად კეთილი განწყობილებისა , ფარჩის ძვირფასი ხალათები უბოძა.

როსტომს კარიბჭის მცველი იანიჩრების დასჯის სურვილმა გაუარა, მიხვდა, ისინი არაფერ შუაში იყვნენ, გულში კი ეცინებოდა, რომ ქართველთა ფესვის უზომოდ მოძულე ფაშას დამცირებულსა და სწორედ მისი ხელის შემყურეს ხედავდა.

სამხრობამდე ერთმანეთს არ მოშორებიან. ჯარების განლაგება ერთად შემოიარეს, გული დაიმშვიდეს, რომ სოლომონს საიმედო ხაფანგს უგებდნენ და ის იყო, თავისი თავით ერთობ კმაყოფილმა ერისთავმა ფაშა სამხრად მიიპატიჟა, რაზედაც ის მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, რომ ჭალატყიდან იქ გამაგრებული თეიმურაზის მალემსრბოლი მოიჭრა. ჭალატყის სამხრეთ-დასავლეთით მზირებმა მტრის მოძრაობა შეამჩნიათ. ცხენოსნების ორ კარგა მოზრდილ რაზმს საქარავნო გზით გაევლო და სწორედ ჭალატყის კოშკების უკან, ფინდიხის გასროლის მანძილზე, ჭრელი კარვები დაეცა. თეიმურაზი მიშველებას ითხოვდა. აშკარა იყო, მტერი ქუთაისისაკენ დასახევ გზას უჭრიდა და კოშკების ალყაში მოქცევას აპირებდა.

— შაითან!... — ჩაუანგებული კბილები დააკრიჭა ჰაჯი-ალიბეგმა და იქ მყოფებმა ხეირიანად ვერ გაიგეს, ამჯერად ვის მიმართ ითქვა ეს შემაჩვენებელი სიტყვა, თეიმურაზის თუ სოლო-

შონის მიმართ, რომლებიც სარდალს ერთნაირი სიძულვილით სძულდა და რას არ მისცემდა, ოღონდ ორივე ხელში ჩავარდნოდა და მათი ბედი თავისი სურვილისდა მიხედვით განეგო. — გვაშინებს, ჭალატყეში განზრახ გვეჩხირება, უნდა თვალი აგვირბას და სხვაგან დაგვარტყას!

თეიმურაზის კაცები ხელცარიელი გააბრუნეს. ჰაჯი-ალიბეგის აზრით, აქედან თუნდ ერთი მოლაშქრის დაძვრა და სხვა ადგილას გადასროლა მომაკვდინებელი შეცდომა იქნებოდა. სოლომონს შეეძლო, აგარიანთა მთავარი ძალების შესუსტებით ესარგებლა და თავისი მეკობრეებით მოულოდნელი იერიში მოეტანა. ბანაკში ძალით მორეკილი ახიკ-ბაშები და გურულები, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, როგორც რაჭველების შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ უჩვენა, სანდო არ იყვნენ. საქმე რომ საქმეზე მიდგებოდა, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევდა.

მზე ისე ჩაიწურა და ისე ჩამოღამდა, ღირსშესანიშნავი მეტი არაფერი მომხდარა. მთელი დღის ალმა-დალმა სიარულით და გამუდმებული ცხენზე ჯდომით მისავათებული ჰაჯი-ალიბეგი ნასამხრობევს ციხეში აღარ შესულა, კარავი შუა მინდორში დასცა და ღამეს იქ, ჯართან ერთად ათევდა. მთვარე ახალი ამოსული იყო, კირის მცველებმა რომ გააღვიძეს.

— გურულები მირბიან, თქვენო აღმატებულებავ!..

— გურულები? ვინ გურულები? — მთელი დღის ნაჯაფარევი ხანშიშესული კაცი, ფაშა, თვალი რომ ძლივს მოეტყუებინა, ჯერ ისევ ბურანში იყო და ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ, ბოლოს გამოერკვა და დედაბრული მწივანა ხმით შესძახა: — მირბიან? როგორ თუ მირბიან?! მე მაგათი ცოლი და დედა!... სად არის გურიელი? ახლავე აქ მომგვარეთ! შაითან!.. დაედევნეთ!.. ერთი არ წაგივიდეთ ცოცხალი!..

მაგრამ რომელ ერთს დაედევნებოდი! ჰაჯი-ალიბეგი მთლად გამოფხიზლდა და თავადვე მიხვდა თავისი ბრძანების უაზრობას. ეგ იყო, ყვიროდა და აქ ყვირილით გულს იოხებდა.

როგორც კი ჩამოღამდა, ყველა ასე თუ ისე მიწყნარდა და ბანაკი კურდღლის ფრთხილ ძილს მიეცა, იანიჩართა რაზმებს შორის წინახედულად მოქცეული გურულების გუნდებს დრო ეხელთათ, ხელსაყრელი წუთი შეერჩიათ. ყარაულები ჩქამის გაუღებლად დაეხოცათ და, ვით უხორცონი, უგზოუკვლოდ მიმალულიყვნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, სანამ სარდალი იარაღს აისხამდა და ცხენზე შეჯდებოდა, მომხდარი ამბით თავზარდაცემული და თავისიანების შურისძიებას გადარჩენილი გიორგი გურიელი თხუთმეტიოდე მხლებლითურთ მოვარდა და ჰაჯი-ალიბეგის წინაშე მუხლებზე დაეშხო, თან თავ-პირში მჯიღებს იცემდა და დასაკლავი ხარივით ბღაოდა, მომკალით, ჩამქოლეთ, ეს რა სირცხვილი მაჭამეს ქვეშევრდომებმა, აწი რაღა საცოცხლებელი ვარო.

ჰაჯი-ალიბეგს ჯერ ვერ უმხელდნენ, რომ ამ ღამით რაჭველებსაც წასვლოდათ ხალხი, ბევრი თუ ცოტა, ეს არავინ იცოდა, მაგრამ წასვლით კი წასვლოდათ, თუმცა იქ უფრო მარჯვედ მოქცეულიყვნენ—ოთხმოცი თუ ოთხმოცდაათი ლტოლვილი წინასწარ ჩასაფრებულ მზირებს შეეპყროთ და ბანაკში კონდახის ცემით მოეყვანათ. დილაბნელზე როსტომ ერისთავს მოლალატე ყმების საჯაროდ დაწვა ჰქონდა დანიშნული.

— ბუკს ჩაბერეთ!.. დოლებს დაჰკარით!.. ფეხზე დააყენეთ ყველა!.. — იმავე დედაბრული ხმით ბრძანა ჰაჯი-ალიბეგმა. მას წინ მორჩილად ქედმოხრილ მთავრისათვის კი ზედაც არ დაუხედავს, ის თითქოს არც არსებულიყოს.

ბუკის პირველი, ძვალ-რბილის გამყინავი შეკივლება ჯერ ბუკის პირებსაც არ გასცდენოდა, რომ იქაურობა თვალის მომჭრელმა სინათლემ გაანათა. მერე ერთი ყრუდ დაიჭექა, თითქოს ცოდვილი დედამიწა შუაზე გაიპო და

ცას ათასი ცეცხლის ენა მიაწვდინა. უნებლიეთ ყველა მიწას გაეკრა, მიწაზე განერთხო თვით ჰაჯი-ალიბეგიც და, როგორც ამგვარ შემთხვევებში ოდითგანვე ხდება ხოლმე, თავზე ხელები წაიფარა. თვალი რომ გამოახილა და სხვათა დახმარებით ფეხზე წამოდგა. ირგვლივ ისევ სიბნელე სუფევდა, ფერმილეული მთვარე არხეინად მიცურავდა მქრქალ ღრუბლებში, მხოლოდ დაფეთებული, ნაცუცბათევად ფეხზე წამოყრილი ხალხის ჩოჩქოლი, გაურკვეველი ცხოველური ყვირილი და უწესრიგო სროლა ისმოდა.

— გიორგი, სადა ხარ? — სარდალს ახლა-ღა მოაგონდა გურიელი.

— აქ გახლავარ, თქვენო აღმატებულებავ! — ზედ ყურის ძირში მოესმა მას საქციელწამხდარი მოავრის პასუხი.

— რა ხდება? რა ამბავია ეს?

— თავს უნდა ვუშველოთ, თქვენო აღმატებულებავ, გიაურმა ციხე აგვიფეთქა!

ამაში დაეჭვება უკვე შეუძლებელი იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, სწორედ სკანდის მხრიდან მონაბერ ნიავს ნაკოდი ქვისა და თოფისწამლის მყრალი სუნი მოჰქონდა. ჰაჯი-ალიბეგმა ძლივს მიაგნო მორთმეულ ცხენის უზანგს, ამხედრდა და ცხენი ჭენებით წინ გააქანა. სხვებიც უმალ მოახტნენ ცხენებს და უკან თავდაუზოგავად გამოუდგნენ.

ციხეს ცეცხლი ეკიდა. მისი ჩაბნელებული, თითქოს უფსკრულიდან ამოზიდული, შვეულივით სწორი და მიუვალი კედლები სივრცეში მკვეთრად იკვეთებოდნენ. ხანძარი შიგნით მძვინვარებდა, ყოველივეს საშინელი სიხარბით ნთქავდა და აქა-იქ დატანებული სათოფურები და საჭვრეტები მოგუზლუზივით ღვიოდნენ. კარიბჭე, მეციხოვნე იანიჩრები დღისითაც და ღამითაც ასე გულმოდგინედ რომ იცავდნენ, რათა შიგ მტერს არ შეეღწია, მოლიავებული იყო. ცეცხლსა და კვამლში ვიღაც ცხენოსნები და ქვეითები შერბოდნენ და გამორბოდნენ, ხან გროვდებოდნენ, ხან იფანტებოდნენ, რაც ხელში მოხვედროდათ, აქეთ-იქით იქნევდნენ და ყვირილითა და ვაი-ვიშით, რასაც დამფრთხალი ცხენების ჭიხვინი ერთვოდა, გარდიგარდმო გაზიდულ გვამებზე გადადიოდნენ. დროგამოშვებით თოფ-დამბაჩისა და ზამბურაკების გახშირებული სროლა ისმოდა. სამჯერ თუ ოთხჯერ ზარბაზნებმაც დაიჭექა. კუთხის ზარბაზანი იყო, პირით ნაქალაქევის მთისაკენ მიქცეული. ჰაჯი-ალიბეგი მას ხმით სცნობდა. „შემოგვიტია იმ წყეულმა, ეტყობა, ხევიდან ამოდის!“ — გაიფიქრა სარდალმა, უკან მოიხედა და ციხის დაკბილულ ქონგურებს აცილებული ალის შუქზე დაინახა, რომ მარტო არ იყო, გარს მაჰმადის რჯულზე მოქცეული აჩიკ-ბაში აზნაურები და რამდენიმე ასეული იანიჩარი ეხვია. მან ცხენი სადავით შეაყენა და თითქოსდა მთელი ხეობის გასაგონად, მჭექარედ, სამართებელივით ბასრი ხმით დაიყვირა:

— მართლმორწმუნე მუსულმანებო! მაჰმადიანებო! ბედნიერი სულთნის უშიშარო ჯარისკაცებო! მე, თქვენი წინამძღოლი და მამა, ფაშა ჰაჯი-ალიბეგი გელაპარაკებით. ჩემი დროშების ქვეშ თქვენ ბევრ ქვეყანაში გიომიათ, დიდი ალაჰის ნებით გამარჯვებული გამოსულხართ და ალაფიც ბლომად გიშოვნიათ. ნუთუ დღეს ისე წავხდებით, რომ ზურგს ვუჩვენებთ შარაგზის ყაჩაღების ბრბოს, ზურგს ვუჩვენებთ მეკობრეთა მოთავე გიაურ სოლომონს, რომელიც ყოველთვის გაგვირბის, ჩვენთან პირისპირ შეყრა ვერ გაუბედავს და, როგორც ყოველ მხდალსა და ლაჩარს შეეფერება, ტყეში იმალება? თქვენ ხედავთ, — სარდალმა პირი სკანდისაკენ იბრუნა და ხელი ცეცხლმოკიდებულ ციხეს მიაშვირა. — ურჯულო მტერმა, სხვაფრივ რომ ვერაფერს გახდა, გამცემი შემოგვიგზავნა, ჩვენი დოყლაპიობით ისარგებლა და ციხე აგვიფეთქა. მიწას გავხეთქთ და ამის მოქმედთ ვიპოვნით! მაგრამ მტერს დაავიწყდა, რომ

სხვა ციხეები ჩვენს ხელთ არის და ხვალაც ჩვენს ხელთ იქნება. ანდა სულაც რაში გვჭირდება ციხეები? ციხე და თავშესაფარი იმან უნდა მოიკითხოს, ვისაც მტრის ტყვიისა და ხმლის ეშინია. ალაჰი ჩვენთანაა! ყველამ მიჩენილი ადგილი დაიკავოს და უფროსებს სიტყვაშეუბრუნებლად დაემორჩილოს. ჩვენ უციხოდაც იოლად ვძლევთ ამ წვინტლიან აჩიკ-ბაშებს. ერთხელ გვიფურენია თუ ორჯერ! დაჰკრა გიაური სოლომონის ჟამმა, ახლა კი ვეღარსად წაგვივა! ისმინეთ ყველამ: სამი დღითა და ღამით ეს ქვეყანა საძარცვავად და სატყვევნად მომიცია. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ვინც ნაშოვნში შეგეცილოთ და წართმევა დაგიპიროთ, ჩემზე მოუთითეთ, საქმე ჩემთან ექნება! თითო მოკლულ აჩიკ-ბაშ მოლაშქრეში ათ ყურუშს ვიძლევი. ხომ არ იცოტავებთ, არწივებო?

— არა! არა! შენი თავი გვიცოცხლოს მაღალმა ალაჰმა!.. — შეჰღაღადა სარდალის გულუხვობით აღტაცებულმა შეიარაღებულმა ბრბომ.

— მაშ, დატყვევებულის სათვალურად ოცდახუთი ყურუში დამიწესებია! ას-ასი ყურუში აგიაშვილის, წერეთლის, წულუკიძის, თამაზა მესხის და ლორთქიფანიძის დამტყვევებლებს! ათასი ყურუში იმას, — ფაშა მცირედ შეყოვნდა, დაიცადა, სანამ კვლავ სიწყნარე ჩამოვარდებოდა და შემდეგ დააბოლავა: — ვინც ქვეყნის ამრევ სოლომონს შეიპყრობს და აქ ყელზე საბელშებმულს მომგვრის!..

ჰაჯი-ალიბეგის მჭექარე და თავდაჯერებულმა სიტყვამ, წერილშვილის გადარჩენისა და ისედაც მცირე ყმა-მამულის შენარჩუნების მიზნით სამშობლოს მტერს მიკედლებულმა იმერელმა აზნაურებმა და ნიადაგ მათს კრიჭაში მდგომმა იანიჩრებმა შეუნელებელი ყურადღებით რომ მოისმინეს და მოწონების გამომხატველი ყიჟინით რამდენჯერმე კიდევაც შეაწყვეტინეს, ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულ და ბუჩქებისაკენ მაცქერალ ჯარს მხნეობა დაუბრუნა და მტერთან გადამწყვეტი შეხვედრის სურვილი განუახლა, ას-ასი ყურუშისა და კიდევ მეტის შოვნის იმედმა კი ის მთლად გაამამაცა და ჯიბის გასქელების დაუცხრომელი საღერღელი აუშალა.

მაგრამ სად იყო მტერი? სად შეიძლებოდა მასთან ორთაბრძოლაში შეხვედრა და სატევრის ფხის გამოცდა?

ციხეში ცეცხლი თანდათან ჩაიფუშა და ცხელი ჭვარტლით ჩამოღვენთილ კედლებს ალის ენების მაგიერ ახლა კვამლის უზარმაზარი ბოლქვები ადგა. რიყერაყზე მთებიდან მონაბერმა ნიავმა იმატა და კვამლი მწვანე სერებზე შეფენილ სოფლებს, ბაღ-ვენახებსა და ლურჯად ჩამუქებულ ხევხევებს მოჰფინა.

შუა ზაფხულის ერთი წყნარი, მშვიდობიანი დილა თენდებოდა. მქრქალი ბურუსით პირშებურვილი ცა შეიმღვრა, ჯერ სილურჯე შეეპარა და თანდათან გამუქდა, შემდეგ კიდეებზე ბროწეულის ფერმა გადაჰკრა და ისე გაკაშკაშდა, თითქოს გადმოაპირქვავეს და გაჩაღებულ საკირეში ჩაახედესო. ხან აქ, ხან იქ მამლები ყიოდნენ, ალაგ-ალაგ ყეფით ხმაჩახლეჩილი ანჩხლი ძაღლებიც ღავღავებდნენ და ყოველივე ამის შემხედვარე და გამგონე უბირი კაცი ვერასდიდებით ვერ წარმოიდგენდი, თუ სადღაც სულ ახლოს სიკვდილი იყო ჩასაფრებული და ახალი სისხლისღვრა და უწყალო ხოცვა-ჟლეტა ქვეყანას კარზე მოსდგომოდა.

ზემოთიდან წამოსული მტერი კვლავ არსად ჩანდა. რას აპირებდა ნეტავ გიაური სოლომონი? ჰაჯი-ალიბეგი, მიუხედავად იმისა, რომ არც გუშინდელი კაცი იყო და არც ომში უხდებოდა პირველად გასვლა, მოუთმენლობამ შეიპყრო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სოლომონისათვის გეგუთის სამაგიერო ორმაგად მიეზღო და მაშინდელი შერცხვენა, ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას წინაშე გაწითლებად რომ დაუჯდა, ახლანდელი ძლევამოსილი გამარჯვებით გამოესყო-

და, მაგრამ თითქოს განაზრახს წინასწარ მიუხვდაო, სოლომონი რატომღაც ფეხს ითრევდა და მოსისხლე მტერთან შეხვედრას არ ჩქარობდა. რა მზაკვრული გეგმა ედო გულში? ნუთუ ჭეშმარიტი ღმერთის მგმობელი მოღალატეების შემოგზავნით და შეილად საღირალი ციხის აფეთქებით დაკმაყოფილდა?

იმერთა ტახტდაკარგული მეფის გახსენება ამპარტავან და მედიდურ ჰაჯი-ალიბეგს წინანდებურად აღარ აღიზიანებდა, თავისსავე საბატონო ქვეყანაში ტყე-ტყე მოხეტიალე სოლომონი დაბალ ღობედ უკვე აღარ ესახებოდა. პირიქით, ამდენი შეხლა-შემოხლისა და ვაი-უშველებლის შემდეგ, მას ღირსეულ მოწინააღმდეგედ თვლიდა და აჩიკ-ბაშებთან ომში გამარჯვება უაღრესად საპატიო და თავმოსაწონებელ საქმედ მიაჩნდა.

სარდალი რომ ამას ფიქრობდა და ყველა ღონეს ძაბავდა, მოწინააღმდეგის ვერაგული განზრახვა წინასწარ გამოეცნო, ლაშქარში გული დაიარხეინეს: სულ ტყუილ-უბრალოდ აგვირიდაგვირიესო, უბედურ სოლომონს, ვისი სახელიც დიდსა და პატარას პირზე აკერია, ჩვენთან შებმის თავი სადა აქვს, შიმშილით კუჭი უხმება, შიშით ტყიდან ფეხი ვერ გამოუდგამს და აქ აბა რა ჯანდაბა და დოზანა მოიყვანდაო.

იანიჩრებმა ერთმანეთს გასძახ-გამოსძახეს, მიუხედავად უფროსების ბატონკაცური მუქარისა, საგანგებო ნებართვის მოსვლამდე ფეხი არავის მოეცვალა. სახუნდარებიდან გამოვიდნენ და ბჭობა გამართეს, საით ჯობდა სათარეშოდ წასვლა, რომელი მახლობელი თუ შორეული სოფელი იყო სხვებზე ნაკლებ დარბეული, რომ შესეოდნენ და ალაფი ეშოვნათ.

ჰაჯი-ალიბეგი მიხვდა ჩადენილ შეცდომას. ვიდრე კარზე მომდგარი მტერი ჯერ ისევ გაუსრესავი ჰყავდა, ჯარს ქვეყნის საძარცვავად გაშვებას არამც და არამც არ უნდა დაჰპირებოდა, ვინაიდან არაფერია ომში იმაზე ადვილი, როგორც სიხარბით შეპყრობილი და ძარცვა-ტყვევნაში გართული ლაშქრის დამარცხება. ოთხივე კუთხივ გაგზავნილმა ჩოკადარებმა მისი ფიცხელი განკარგულება, რომლის თანახმადაც მიჩენილი ადგილის თუნდ რამდენიმე წუთით მიტოვება უკლებლივ ყველას ეკრძალებოდა და სარდლის ამ ბრძანების დამრღვევთ ომის დროის კანონების მთელი სიმკაცრით მოეპყრობოდნენ, მართალია, ყველგან მიიტანეს, მაგრამ ერთმანეთის წაქეზებით გათამამებულმა, თავზეხელაღებულმა იანიჩრებმა საგანგებო უფლებებით აღჭურვილი ჩოკადარების გაფრთხილება არაფრად ჩააგდეს, ისინი ცხენებზე უკუღმა შესვეს და უკან სიცილ-ხარხარით გაისტუმრეს, თავად კი გუნდ-გუნდად ახლომახლო სოფლებისაკენ ალაფის და ტყვეების საშოვნელად გაუტიეს.

ფაშა ჰაჯი-ალიბეგი დანაზე ეხეოდა, ერთიმეორეზე უფრო სასტიკ ბრძანებებს სცემდა და პირზე დორბლმომდგარი დროდადრო დურბინდით ზვერავდა ღრმა ხევებით დაღარულ მწვანე ველს, საიდანაც, თუ მხედრული გეში და ვარაუდი არ ღალატობდა, გიაური სოლომონი უნდა გამოჩენილიყო.

## თავი მეოცე

პირველი თოფის გასროლა წილად ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცებს“ ხვდა. ვაკე იმერეთის მცირე ლაშქრით, რის თავის მოყრაც კი მტრისაგან სულ ერთიანად გაჩანაგებულ, ხალხისაგან დაცლილ, დედაბუდიანა ტყე-ღრეში გახიზნულ ვაკე იმერეთში მოხერხდა, ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქი-

ფანიძე და მენაპირე თავადი ზურაბ მიქელაძე დანიშნულ დროს მითითებულ ადგილზე მივიდნენ და, მეფის ბრძანებისამებრ, ჭალატყის კოშკებში მოკალათებულ მტერზე პირველი იერიშიც მიიტანეს.

ისევე, როგორც სკანდის ციხეში, წინაღამეს ნაღმი ჭალატყეშიაც აეფეთქებინათ, მაგრამ აფეთქებით გამოწვეული ზარალი აქ იმდენად მცირე, თითქმის უმნიშვნელო გამოდგა, კოშკებში მყოფ მეციხოვნეებს ბუზიც არ აჰფრენიათ. გარს შემორტყმულ ხუთასიოდე მეთოფეს, რომლებიც თითქოს მიწიდან ამოძვრნენ და წინ უშიშრად წამოვიდნენ, ზემოდან ფინდიხით შეხვდნენ. ფინდიხი მიზანს ასცდა და ქვეითების წინსვლა არ შეუჩერებია. ისინი კვლავ უშიშრად ახლოვდებოდნენ და გზადაგზა თოფ-დამბაჩებს ისროდნენ. ახლა ციხეში ჩაყენებულ მეთოფეებსაც გამოუჩნდათ საქმე — სათოფურებს მისცვივდნენ, თოფებს ტუჩი გარეთ გააყოფინეს და მტერი ნიშანში ამოიღეს.

ქვემოთ ყვირილი და ღრიანცელი ატყდა. ვიღაც გიჟი-გადარეული კარიბჭის გაღებას ითხოვდა. ზემოდან სიცილი დააყარეს. შეაგულიანეს, თუ ბიჭი ხარ, თავად შემოდი, რა ჩვენი მოხმარება გჭირდებაო.

— არ აღებთ, ხომ? — ვითომდა ნიშნისმოგებით ამოსძახეს პასუხად ქვემოდან. — რა გაეწყობა, თავი უნდა შევიწუხოთ. ჩემი აშენებული მაინც არ იყოს ეს ტიელი. ჯერ აგაშენებინებენ, ტყლიპს ჩაგიქცევენ, მერე ისევე შენი დასანგრევი გახდება! აბა, ბიჭებო, ახალგაზრდებო, აქეთ, თქვენს გაზრდას, ეს ლოდი გადამაგორებინეთ, მერე მე ვიცი!

სათოფურებთან მიმდგარმა მეციხოვნეებმა, რომელთა ერთი ნაწილი ისროდა, ხოლო მეორე თოფებს ტენიდა, ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ ოხერია, მართლა არაფერი მოგვწიოს ამ ძაღლის ნაშობმა! საიდან იძახის მაინც, რომ არ ჩანს?

— გამოჩნდება და, ღვთის მადლმა, შუბლში ტყვიას მიიღებს!

ეს მუქარა ქვემოთ უმალვე გაიგონეს და პასუხმაც არ დააყოვნა:

— იქამდე არაფერი გეტკინოთ ნურც თქვენ და ნურც ჩემს დამაწყევარს! როდის იყო, ბიჭო, თქვე მართლა ძუკნის დაყრილებო და კიდევ მეტებო, როდის იყო, მახარობელა გუნცაძეს თქვენი ტყვიის ეშინოდა? ასკია აბესაძე აგერ მახლავს და კითხეთ!

ენად გაკრეფილ კვახჭირელ გუნცაძეს ზემოთ, ეტყობოდა, მოკეთე თუ ძველი ნაცნობი გამოუჩნდა.

— გადი უკან, მახარობელა, გეუბნები, გეეცალე აქაურობას, წვრილშვილის პატრონი ხარ, თავს ტყუილად ნუ შემოგვაკლავ!

— გესმის, ასკია? მე შემოგაკლავთ, ბიჭო, თავს? ვაი თქვენს უბედურ პატრონს, რატომ ქვაც არ გეიცინებს! ერთი ახლა მანდ მქნა და ჩემი დღე ორად გაყო! თეიმურაზი გვეჩივნოს, ჩვენი ბატონი. მამამაგისმა, ბატონიშვილმა მამუკამ, ძაღლი მიაკვდა სულში, სიტყვა დაგვაბარა. ვიცით, მანდ ბრძანდება ის ურჯულო. გინდა თავისი ნებით გამობრძანდეს და გინდა თქვენ გამოიყვანეთ, ბიჭებო, ჩემთვის სულ ერთია, ამაყი კაცი არა ვარ, თუმცა აზნაურიშვილის სიძეს მიძახიან, მაინც მივიღებ!

— ყვითელი ლოდის უკან, მაყვლის ბუჩქთან, ვერ ხედავ? — შიგ ყურში ჩაჰყვირა ერთმა მეციხოვნემ მეორეს, სათოფურში გაახედა და გატენილი ხირიმი მიაწოდა.

— შენ ესროლე, რაღა მე მაჩეჩებ, ჩემზე ნაკლებად ისვრი?

— ესროლე, ესროლე შენ, თვალი უფრო გიჭრის!

თოფმა ყურისწამღებად დაიჭექა და მახრჩობელა კვამლი დააყენა. იმ ოჯახქორის საგულდაგულოდ გაეტენა.

— ეი, რომელი მასხარაობ მანდ? — მაშინვე მოისმა ქვემოთ და ამას ჩაბჟირებული ხველება მოჰყვა. ტყვია, ეტყობოდა, ლოდს მოხვდა, ბდღვირი აადინა და მახარობელას ცხვირ-პირში

შეაყარა. — ნუ ასუსურებ მა თოფს, თუ ღმერთი გწამს, შენ გგონია, მე არა მაქვს თოფი? რაც გითხარი, ის გააკეთე, ბატონმა ბერი ლორთქიფანიძემ შემოგითვალა-თქვა, ასე მოახსენე თეიმურაზს.

— ცოტა აქეთ მოდექი, მახარობელა, დაგვენახე ერწამა, შე კაცო!

— რას მამცემ, მართლა რომ დაგენახვო?

სანამ ესენი ასე ცალყბად ვაჭრობდნენ და ქილიკობდნენ, მტერი კოშკს შემოადგა. საქმეში გაწაფულმა პირტიტველა გლეხის ბიჭებმა ღელე-ღელე ამოტანილი კიბეები გლუვ კედლებზე მოაყუდეს და ზედ ნაყარი ფუტკარივით აიხუნძლნენ. წუხანდელი აფეთქების დროს გაჩენილ ირიბ ნაპრალში, შიგნით მყოფთ აქამდე ამოუგმანავი რომ დარჩენოდათ, სამი ჩაბალახით თავწაკრული თავი გამოჩნდა და სატევარმომარჯვებული სამივე მოლაშქრე უმალ ციხეში შემოვარდა. ამათ სხვებიც შემოჰყვნენ. ვიწრო ბაქანი თვალის დახამხამებაში ციცაბო კიბეებზე ამობობღებულმა ჯარმა აავსო. ეს ისე უეცრად და მოულოდნელად მოხდა, სათოფურებიან კედლებთან მიმდგარმა მეციხოვნეებმა, თავსა და ბოლოს, სულ ოცდათერთმეტმა კაცმა, უკან მოხედვა და ხელის განძრევაც ვერ მოასწრო.

— დაგვნებდით, თქვე ტილიანებო, დაყარეთ იარაღი, ნუ გამხვევთ თქვენს ცოდვაში! — ეს ისევ მახარობელა გუნცაძის ხმა იყო, მაგრამ იგი ამჯერად უკვე ზემოთ, მეციხოვნეთა ზურგსუკან გაისმა. — ჰაიტ, მე თქვენი ცოლი და დედა, ახლა მესროლეთ, თუ ვაჟკაცები ხართ! აკი არ გაგიღებთ კარსაო? ნუ გამიღებთ, ჭირი მამჭამეთ და სატკივარი! მიდი, ასკია, თუ ძმა იყო, ჩამოართვი მაგ ტილიანებს თოფები და აგერ დაყარე ხორად. ნუ გეშინია, სულგანათლებული შენი ბატონივით ოქრო-ვერცხლით არ ექნებათ მოჭედილი. მიდით თქვენც, ჰე, რას მამჩერებიხართ! — დაუცაცხანა მან დანარჩენებს და თავისი განკარგულების შესასრულებლად პირველი დაიძრა.

ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარმა კოშკის დამცველებმა, ისე გავდა, შვებით ამოისუნთქეს, მტრად მოკიდებული თავიანთი თვისტომები რომ დაინახეს, თოფებს თავი ხალისით მიანებეს, შემობრუნდნენ, დაიჩოქეს და ხელები მორჩილად ასწიეს. მხოლოდ ერთმა წვერწამოზრდილმა ახალგაზრდა გლეხმა გაბედა და ტანმორჩილ გუნცაძეს, თავი ყველას უფროსად და მბრძანებლად რომ მოჰქონდა, თვალები დაუბრიალა:

— ცოლსა და დედას რაზე გვაგინებ, მახარობელა, ნუ დაგავიწყდება, ჩვენც ხალხი ვართ, პირჯვარს წალმა ვიწერთ, სამაგისო რა დაგიშავეთ!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ შენ! — შეუტია მახარობელამ და გატენილი დამბაჩა მოუღირა, მერე იმავე დამბაჩის ტუჩით დიდი ხნის გაუპარსავი ნიკაპი მოიფხანა და ტყვეებს ჩამოუარა, ყველას სათითაოდ თვალი თვალში გაუყარა. — გამოტყდით, რომელი ხართ თეიმურაზი, სულთნის ფერხთა მტვერი! თავს ნუ იკატუნებთ. ღვდელი ჭილოფში იცნობა. რაზე მიკარგავთ, ბიძია, ბატონის ჯილდოს? ერთხელ მეც გამეხსნას ცის კარი, რა იქნება! სულ ერთი არ არის, ვინ დაგიჭერს და შენს საყვარელ ბიძაშვილ სოლომონ მეფესთან ვინ მიგიყვანს? მე ქემაინც დაგიმახსოვრებ, სამუდამოდ მადლიერი გეყოლები. ხო, სულის სწორად გამოტყდით, რომელი ხართ თეიმურაზი, ნუღარ მამარჩიელებთ, აღარ არის ამის დრო, ეიმსო ხალხი ალაფით. შენ ხომ არა ხარ, ბიჭო, უკაცრაული პასუხია, ცოლისა და დედის გადმობზიალება რომ გემცხეთა? უჰ, ღმერთო კი მამკალი! ჩემი ურგები ქოთანი ქვას და მაწონი ძაღლსაო, არ გაგიგონია შენე? ვის ვეუბნები მე?!

— არ გახლავს აქ თეიმურაზი, მახარობელა, — თვალებბრიალა ახალგაზრდის მაგიერ უპასუხა ფაფანაკიანმა ჭაღარა გლეხმა, რამდენიმე წუთის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენად გაკრეფილი გუნცაძის მოსაკლავად ამხანაგს გატენილი ხირიმი რომ მიაწოდა. — თეიმურაზი, თუ ძალიან გინდა, ეიმ მაღალ კოშკში ბრძანდება, ე, ღელეგაღმა, და თუ აქიდან დროზე არ გავასწარით, ლავაშივით გაგვაბრტყელებს მეც და შენც!

ამის თქმაც იყო და ღელის პირას აწოწილი ქვითკირის კოშკი ყუმბარის პირდაპირი მოხვედრისაგან შეზანზარდა. არიქა, თავს უშველეთო, მოისმა განწირული ყვირილი და ერთ წამში ყველაფერი აირია. აღარავის ახსოვდა, ვინ ვისი მტერი იყო და ვინ ვისი მოყვარე. საერთო განსაცდელმა, ყველას ერთნაირად რომ დაემუქრა, ადამიანებს ყველაფერი დაავიწყა, გარდა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისა. ვიღაცამ იაზრა, მუხის მძიმე ურდული ასწია და რკინის დაჟანგული ფურცლებით შეჭედილი კარიბჭე გააღო. გასასვლელში ჯგლეთა შეიქნა. მეორე თუ მესამე ყუმბარა სწორედ აქ გასკდა და რკინის კარი ჩარჩოიანა ბუდიდან ამოაგდო. ყუმბარამ თხუთმეტიოდე კაცი იმსხვერპლა. ზოგს ფეხი წააგლიჯა, ზოგს ხელი, ზოგს თავი და ზოგი სულ ნაკუწ-ნაკუწად აქცია, მიწა, სისხლი და მტვერი ერთმანეთში აურია. ისმოდა გმინვა, ყვირილი, უშვერი გინება, კვნესა, ხვეწნა-მუდარა. გაფითრებული, ჯოჯოხეთური ტკივილისაგან თვალებგამოღამებული, მუცლის არეში ყუმბარის ნამსხვრევით მძიმედ დაკოდილი მახარობელა გუნცაძე გასასვლელში ძელურ კედელს ზურგით მიჰყრდნობოდა, ქარებიანი დედაბერივით ჩამჯდარიყო, გადმოყრილი ნაწლავები მუხლებზე დაეხვავებინა, გაჩაჩხული ფეხები წინ წაეყარა და ძლივს გასაგონად ხაოდა:

— ძმებო!.. ნუ დამტოვებთ!.. ქრისტიანებო!.. ასკია, ბიჭო, სად მიხვალ, შე უსვინდისო?;.. ვაიმე, დედა, რავა უზიარებლად ვკვდები!.. ვინ დამწყევლა, მე იმისი... ღმერთი არა გწამთ?.. ფუ, თქვენი!.. მიშველეთ, ერთი ტყვია ემეტეთ... გამათავეთ!..

მაგრამ მის მისახედავად და უკანასკნელი მუდარის შესაწყნარებლად უკვე აღარავის ეცალა. ზედიზედ დაცემული ჭურვების ჭექა-ქუხილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. კოშკი ზანზარებდა, ქანაობდა, იბზარებოდა, თითქოს კბილებჩალეწილ პირს აღებს და დაყვირებას აპირებსო, და ხუხულასავით ინგრეოდა. ძელებითა და ქვა-ღორღით ჩახერგილ გასასვლელში და კიბეზე, გუნცაძის გარდა, სხვაც ბევრი ეყარა. ზოგი მკვდარი იყო, ზოგი სულს ჯერ კიდევ ღაფავდა, იკრუნჩხებოდა და დასისხლიანებული ნუნებით დუღაბს კოტნიდა.

შუათანა კოშკიდან, სადაც ვარაუდით ბატონიშვილი თეიმურაზი და მისი ბრწყინვალე ამალა იმყოფებოდა, კარგად დაინახეს, როგორ შემოერტყნენ სამხრეთის კიდურა კოშკს განმდგარი მებატონის, გვიშტიბის ციხის პატრონ ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცები“, როგორ მიადგეს კედლებს საამისოდ წინასწარ დამზადებული კიბეები, მერე როგორ შევიდნენ შიგნით და გამაგრდნენ, რაც უთუოდ შინაური გამცემლობის გამო მოხდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მოიერიშეები ასე ადვილად, ერთი დაკვრით და ერთობ მცირე მსხვერპლის ფასად ვერ შესძლებდნენ მოახლოებას და მით უმეტეს, საომრად აღჭურვილ კოშკში შეღწევას. არა, არ შეიძლებოდა წაყრუება, საქმეს ღალატის სუნი უდიოდა, ყველა გამცემსა და მოღალატეს, გიაური სოლომონის მიერ ლაშქრის გასახრწნელად კოშკებში შემოგზავნილს, დამსახურების კვალობაზე უნდა მიეღო და დანარჩენი კოშკების ზარბაზნებმაც პირი აქეთ იბრუნეს, კიდურა კოშკი ნიშანში ამოიღეს და ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთეს.

გამაყრუებელმა ქუხილმა შესძრა მიდამო. კვამლსა და ბუღში გახვეული შემოგარენი ერთი წამით ისე მკვეთრად გაკაშკაშდა, გეგონებოდა, ცისქვეშეთი დედამიწის წიაღიდან ამოტყორცნილმა ათასმა მზემ გაანათაო. ეს კიდურა კოშკის ყუმბარებისა და ტყვია-წამლის სა-

წყობი აფეთქდა და კედლებში ჩაკირული უთვალავი ქვა და ლოდი თვალშეუდგამ სიმაღლეზე ჰაერში აიტანა. აფეთქების ტალღა ისე ძლიერი იყო, იგი შუათანა კოშკსაც საშინელი ძალით მოაწყდა, ძირფესვიანად შეარყია და ზედ კირისა და დუღაბის სეტყვა მოაყარა.

ომი გახურდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ იგი სამკვდრო-სასიცოცხლო იყო და უკან დახევას აღარავინ აპირებდა.

კვამლი და მტვერი რომ მცირედ გაიფანტა, მაშინ-ღა გამოჩნდა: უწესრიგოდ გაფანტული მოიერიშეები ხელახლა ეწყობოდნენ, შუათანა კოშკს, მიუხედავად იმისა, რომ ხათოფურებიდან ტყვიისა და ფინდიხის წვიმა მოდიოდა, ოთხივე კუთხივ გარს ერტყმოდნენ და ერთიმეორეზე გადაბმულ გრძელ-გრძელ კიბეებს საკვირველი გამბედაობითა და ნამდვილად გლეხკაცური დაჟინებით მოათრევდნენ.

აქ რომ ეს ამბავი ხდებოდა და ურთიერთს შეჭიდებული თვისტომნი მოწყურებულ მიწას თბილი სისხლით ალტობდნენ, მეფე სოლომონის მეწინავე რაზმი, რომელმაც ბერი წულუკიძის წინამძღოლობით ზუსას მოაღწია, რამდენიმე წვრილ რაზმად გაყოფილიყო, ალაფის საშოვნად სოფელ-სოფელ გაფანტულ მარბიელ იანიჩრებს შესეოდა, უკან მოსაბრუნებელი გზა მოეჭრა და მუცლებსა და მოედნებზე სისხლის ღელე დაეყენებინა.

მაღალმა ღმერთმა არ გაგვწირა, მაშველი მოგვივიდაო? გამწარებული დედაკაცების, აზიაქებული ბალღებისა და უმწეო მოხუცებულების ანაბარა დაგდებულ სოფლებს მეტიც არ უნდოდათ. ყველამ, დიდმა და პატარამ, ვისაც კი ფეხზე დადგომა შეეძლო, ფიწლებს, თოხებს, ცელებს, ლობიოს საცეხვ კეტებს, მარგილებს წამოავლო ხელი და უპირულ მტერთან საომრად გამოვიდა.

სწორედ ეს იყო ის, რისაც ფაშა ჰაჯი-ალიბეგს ყველაფერზე უფრო ეშინოდა. საოკუპაციო ჯარებში ნამსახური ფაშა ყოველ ღონეს ხმარობდა, ადგილობრივი მოსახლეობა მუდმივ შიშში ჰყოლოდა, ზომიერების ფარგლებს არ გადასულიყო და ის საბოლოოდ არ აემხედრებინა. ამჯერად წისქვილი უკუღმა დატრიალდა, ქვეყანამ, გუშინ რომ ყველას დაპყრობილ-დამორჩილებული ეგონა, მის წინააღმდეგ პირი შეიკრა, საპყარმა და დავრდომილმაც კი ხელი გამოიღო და გიაური სოლომონის წვეთი ზღვად გადაიქცა.

კედლებჩამოქცეული და უწყალოდ დამწვარი სკანდის ციხის გოდოლზე გადმომდგარი ფაშა ჰაჯი-ალიბეგი, რომელსაც, გარდა ოსმალო ათასისთავებისა, გვერდში თხუთმეტიოდე ერთგული აზნაურით გარსშემორტყმული გიორგი გურიელი, სამასი თავმდგომის იმედად მყოფი ერისთავი როსტომი და მისი უფროსი ვაჟი გიორგი სარდალი უდგნენ, საკუთარი თვალით ხედავდა, რა უწესრიგოდ დაიხიეს ძარცვა-ტყვევნაში გართულმა იანიჩრებმა ვარდიგორის ქვედა უბნიდან, სადაც მწვანე სერს დაუმუშავებლობით მომცდარი და ეკალ-ბარდით გადავლილი ნაყანევი გასდევდა, როგორ გადაუდგნენ აქ ჩასაფრებული ცხენოსანი აჩიკ-ბაშები, ცხვრის ფარაში გარეული მშიერი მგლებივით დაერივნენ, ყიჟინა დასცეს და კაფვა დაუწყეს. ბრძოლა უთანასწორო და ხანმოკლე გამოდგა. აჩიკ-ბაშებმა რიცხობრივი სიჭარბით ისარგებლეს. ნაყანევი იანიჩრების გვამებით მოითვინა. აქვე ფართხალებდა სამი თუ ოთხი სასიკვდილოდ დაკოდილი ცხენიც. დანარჩენებმა ეკალ-ბარდებში ჩაცვენილი პატრონები მიატოვეს და შემზარავი ჭიხვინით აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდნენ. როგორც სხვა დროს ხდებოდა ხოლმე, დასაჭერად და უკან დასაბრუნებლად მათ არავინ დასდევნებია. მტერს, ეტყობოდა, მკაცრი ბრძანება ჰქონდა გაცემული, ნადავლის შოვნას არავინ გამოჰკიდებოდა და მხოლოდ დაკისრებული მოვალეობის მოხდაზე ეფიქრა.

ჰაჯი-ალიბეგმა ინით შეღებილი ხე-

ლისგულები ერთმანეთს მიატყუპა, დაიჩოქა და თვალები ცად აღაპყრო.

— ალლაჰ!.. შენ გვიხსენი გიაური ყაჩაღებისაგან!..

— ჩავალ, ჩავეგებები! — ხედავდა, მრავალ ფიცხელ ომში გამოვლილი ოსმალო სარდალი უჩვეულოდ შემკრთალი იყო და გასამხნევებლად შესთავაზა მას ერისთავმა, როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი ღმერთისადმი ვედრება დაამთავრა, წამოდგა და გულზე ტყავის თასმით ჩამოკიდებული შავი დურბინდი ისევ თვალებზე მოირგო.

— ფეხსაც არ მოიცვლი! — თავის მოუბრუნებლად უპასუხა ფაშამ, რითაც საქმის წარმატებას კიდევ ერთი ლახვარი ჩასცა — საერთო მტრის ასალაგმავად წრფელი გულით მოსული რაჭის ბატონი გაანაწყენა. — აქ არავინ არა ხართ სანდო, დიდსა თუ მცირეს გაქცევასა და ღალატზე გიჭირავთ თვალი. ალაჰი მაღალია, ყველაფერს ხედავს!

— ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვქნათ, შვილო, გიორგი, — ერისთავი შეეცადა, წყენა არ შეემჩნია, ვაჟს მოუბრუნდა და ეს ისე უთხრა, რომ სხვებს არ გაეგონათ. — ომში დამარცხება, დამარცხებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, ჩემზე უკეთ იცი, რასაც გვიქადის — წყეული სოლომონი, ძირფესვიანად მოგვთხრის და ამოგვაგდებს. ახლავე გაბრუნდი, მამაშვილობას, და ბიჭუნეები დააშოშმინე, მტრისა და ავისას, გლახა არაფერი იფიქრონ. ხალხზე თვალი დეიჭირეთ...

— რა დაგიმალო, ჯარი სანდო არ არის, ბატონო მამა. ღალაკუნამ, ვაი მის დედას, ყელი გამოგვჭრა. შუაგულ ომში რომ იბრუნონ პირი და სოლომონს მიუვიდნენ, სად-ღა მიდიხარ მერე!..

როსტომს ალი შემოენთო სახეზე. ჯარს, თუ ბატონის ღალატის გზას დაადგებოდა, ამაზე მეტის მომოქმედებაც შეეძლო და სანამ ეს არ მომხდარიყო, გველის ხვრელში უნდა გამძვრალიყვნენ და რამე ეღონათ.

ჰაჯი-ალიბეგმა მამა-შვილის გაშვება არა ჰქნა. ერთი და ერთი აქ დარჩითო. რაღა თქმა უნდა, უნდობლობას მთლიანად შეეპყრო და იმ „ერთს“ მძევლად იტოვებდა. როსტომმა იგრძნო, საშიშროება დიდი იყო. ჯარს შეიძლებოდა მართლაც ემუხთლა და ბოღმამორეული აგარიანების მთელი რისხვა მძევალს დასტყდომოდა. ამიტომ, თუმცა საქმეს მისი წასვლა უფრო მოუხდებოდა, გიორგის გაშვება არჩია და ღვთის ნებას მინდობილი თვით ოსმალთა ბანაკში დარჩა, თუ რაიმე ფარსაგი მოგველის, ჯანი გავარდნია, ისევ მე მომივიდესო.

მთავარი ძალების სათავეში ჩამდგარმა სოლომონმა, სანამ ბერი წულუკიძე სოფელ-სოფელ გაფანტულ იანიჩრებზე ნადირობით იყო გართული, ამასობაში ზუსა შეუჩერებლივ გადავლო და ქალატყიდან მოტანილი სანუგეშო ცნობებით ფრთებშესხმულმა მრავალი ჭირისა და სისხლისღვრის მნახველ ჩიხორის მინდორზე გაივაკა.

ტოლფერდა ოთხკუთხედებად დაყოფილი ჭრელჭრულა კარვების ქალაქი, ოსმალთა დამსჯელი ჯარის სამყოფი და მთავარი დასაყრდენი, რომლის შუაგულშიაც, შემაღლებულ მწვანე ბორცვზე, ფაშა ჰაჯი-ალიბეგის თვალწარმტაცი, სწორედ რომ დიდი მოგოლის შესაფერი ინდური ფარჩის კარავი იდგა, საიმედოდ გამაგრებული იყო და, გარდა საველე არტილერიისა, ჰაჯი-ალიბეგს 1765 წლის ლაშქრობიდან რომ დარჩენოდა, მას ათასამდე ქვეითი მეთოფე და თითქმის ამდენივე ცხენოსანი იანიჩარი გამუდმებით იცავდა.

სოლომონმა ყოველივე ეს წინასწარ ანგარიშში ჩააგდო და თავისი ჯარი სამ უთანაბრო ნაწილად გაჰყო. შუაგული თვით დაიჭირა, უკან ჩამოტოვებულ და ზუსას გადაღმა ჩასაფრებულ მარქაფა ჯარს, რომელსაც მეწინავეთა თვალყურის დევნება და გასაჭირში მიშველება ეკისრებოდა, ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილი უწინამძღვრა, მარჯვენა ფრთის ბედი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალნაცად ზემომხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთელს მიანდო.

ხუთასმა მარგველმა მხედარმა და დაქირავებული ლეკების მცირერიცხოვანმა გუნდმა, ქაიხოსრო წერეთლის წინამძღოლობით, წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად, ოქონის გორაზე მიჯრით განლაგებულ ზარბაზნებს რაჭა-იმერეთის ქედის მხრიდან თავი დაუარა, ქვეშრულის ვიწრო ხეობის გავლით ზურგში მოექცა, ანაზდეულად თოფები დაახალა, ხოლო შემდეგ ბუკსა და ნაღარას სცა და შუბი, ხმალი და სატევარი დაატრიალა.

გორაზე რომ წერეთლის ალამმა იელვა და გამახვილებულ ყურს ბუკ-ნაღარის გულის ამაჩქროლებელი ხმა მოსწვდა, რაც იმავე წუთს ბრძოლის ყიჟინამ დაჰფარა, სოლომონი საომრად შეჭურვილ ცხენზე შეიმართა, ხმალი იშიშვლა და სულგანაბულ ჯარს მოუტრიალდა.

— ძმებო და შვილებო!.. თავადმა ქაიხოსრო წერეთელმა, ჩვენმა მარჯვენა ხელმა, ღვთით ჩვენი ბრძანება აღასრულა, ურჯულო თოფჩებს ზარბაზნები წაართვა და ბევრის დედა აატირა. ახლა ჯერი ჩვენზე მოდგა!..

— გაგვიძეხი, მეფეო!.. — განუწყვეტელი გუგუნით უპასუხა ჯარმა და ჰაერში ათასობით ხმალი, შუბი და თოფი აღიმართა. — დიდება მეფეს!.. დღეგრძელობა ღვთისაგან კურთხეულ ჩვენს მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს!..

სოლომონმა ყელზე მობჯენილი გულის თრთოლვა დაიოკა.

— სიკვდილი ან გამარჯვება! ვინც მტერს შეუშინდეს, დედა შეერთოს ცოლად! მომყევით, ჰკა მაგას!.. — დაიძახა და გაფიცხებული, ნესტოებდაბერილი ლურჯა ცხენი, თავს რომ ძლივს უმაგრებდა, ადგილს მოსწყვიტა. მხარმარჯვნივ მაღალ ტარზე მიმაგრებული ოქრომსბუნიკიანი სამეფო დროშა აფრიალდა. კარგა ხანი იყო, რაც ის შალითიდან ამოღებული და გაშლილი არავის ენახა. სეფე-დროშის ხლება მგალობელ საყვარელიძეებს ხვდა წილად. თუ ვინიცობაა, ერთი დაეცემოდა, იგი მეორესა და მესამეს უნდა აეტაცა და კვლავ ჰაერში აეფრიალებინა, რათა ჯარს ყოველი მხრიდან დაენახა და ისევ და ისევ მხნეობითა და გამარჯვების რწმენით აღვსილიყო. უფრო მარჯვნივ არჩილ ბატონიშვილი მოაჭენებდა ერეკლე მეფის მიერ არმაღანად გამოგზავნილ ყაბარდოულ ულაყს, სხვა მხედრებთან ერთად რაღაცას თავგამეტებით გაჰყვიროდა და ხმალს ჰაერში იქნევდა. იქვე მოტორტმანებდა მისი სრულიად ახალი, ქობებმოვარაყებული საომარი დროშაც. არჩილს კვალდაკვალ მოსდევდნენ საეკლესიო ბაირაღების ქვეშ დარაზმული გენათელი მიტროპოლიტი იოსები და სხვა სამღვდელონი, ვისაც კი ლაშქარში გარევა და იარაღის მოხმარება შეეძლო. ამათ მღვდელმთავრის კვერთხი მახვილით შეეცვალათ და სამშობლო ქვეყნისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების ბურჯ მეფეს მხარში ამოსდგომოდნენ.

— ქაიხოსრო წერეთელს გაუჭირდა, ახლავე ავალიანი მიეშველოს!... — თავაწყვეტილ სრბოლაში უბრძანა სოლომონმა თანმხლებ მალემსრბოლს და ცხენს დეზი უბიძგა, ააჩქარა.

თითქოსდა ამ სიტყვების დასადასტურებლად, წინ, მაღლობზე, ჯერ კვამლის ბოლქვი ავარდა, შემდეგ ზარბაზანმა დაიჭექა და იერიშზე მიმავალ ცხენოსან ჯარს თავზე ყუმბარამ გადაუარა. ერთ გასროლას მეორე, მესამე და მეოთხეც მოჰყვა. ეჭვი არ იყო, წუხანდელი აფეთქებებით და მოწინააღმდეგის გრიგალისებური იერიშით ნირშეცვლილმა ჰაჯი-ალიბეგმა გონი მოიკრიბა, ჯარი სწრაფად გადააჯგუფა და ოქონის გორაზე დარღვეული წონასწორობა აღადგინა. მეფისანებმა მხოლოდ გვიან შეიტყეს, რომ მომაკვდინებელ განსაცდელში ჩავარდნილ ოსმალო თოფჩებს აქ ნანატრივით გაჩენილი ერისთვიშვილები მიეშველნენ და თითქმის სამშვიდობოს გასულ მარგველებს, ძველ მოდავეთ და მესისხლეთ, რომ-

ლეზსაც წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად ოსმალთა ბანაკისათვის დასავლეთიდან უნდა შემოევლოთ, თექვსმეტი დასაკუთრებული ზარბაზანი ხელიდან გამოჰგლიჯეს. მათ მინდა-ციხიდან წამოძღვანილი ოთხი თავიანთი ზარბაზანიც ახლდათ და ოთხივე უმალ საქმეში ჩააბეს. ეს ალი-ენგიჩარის ნაფერები ზარბაზნები იყო, პირველი ყუმბარები რომ ისროლეს და მესამე თუ მეოთხე ყუმბარით მეფის მარცხენა ფრთას მცირედი ზიანიც მიაყენეს.

ზედ ბანაკის წინ ცხენოსნებს ერთობ გაუჭირდათ. კიდიდან კიდემდე გათხრილ სანგარში ყურებამდე ჩამალულმა ოსმალო ქვეითებმა მოიერიშეთ თოფდამბაჩის, ზამბულაკების და ექვსგირვანქიანი საველე ზარბაზნების ბათქი შეაგებეს და მათი პირველი მწკრივი მოცელეს. უმხედრებოდ დარჩენილი გაქაფული ცხენები ყალყზე შედგნენ და გულის გამგმირავი ჭიხვინით უკან მიაწყდნენ. ამასობაში მეორე და მესამე ბათქიც გაისმა, დაჭრილ-დაკოდილნი უზანგებს გადმოეკიდნენ და ახლა მათი ცხენები აიყალყნენ, აჭიხვინდნენ და სხვა ცხენებიც აიყოლიეს, თუმცა ხმალამოწვდილი მხედრების დიდმა ნაწილმა მაინც შესძლო, ტყვიას არ შეპუებოდა, სანგალს თავზე გადავლებოდა და კარვებს შუა ხელჩართული ომი გაემართა.

— ქართველებო!.. ქრისტიანებო!.. უკან!.. უკან, მე თქვენ გეუბნებით! ეს არის ვაჟკაცობა? ეს არის თქვენი ფიცი? სად მიხვალთ, ჩემი ცოდვით სავსეებო, მეფეს და ბატონიშვილებს ვის ხელში ტოვებთ?!.

ძარღვებში სისხლის გამყინავი მამხილებელი ხმა, ხმა აჯანყებული სინდისნამუსისა უწესრიგოდ უკანდახეულ ცხენოსან ჯარს შუაგზაზე დაეწია.

— ვინ არი, თუ ღმერთი გწამს? ვინ კითხავს ამას მეფისა და ბატონიშვილების ამბავს, თავის ქერქში ვერ დაეტევა?

— ტახტის აზნაურია და გაამტყუნებ, თუ სახელო და თავადობა უნდა?

— ტახტის აზნაურიო? ვინ ტახტის აზნაური, ბოშო, მე ეგ ჯერ არსად მინახავს!

— არ გინახავს და დეინახე, გამოახილე თვალი! ეგ გახლავს, პირძალლ როსტომ ერისთავს რომ გამეექცა და ერიც ოუჯანყა!

— გალაქტიონ გოცირიძე? ეუჰ! მამა ვაცხონე მაგისი, რატომ თვალიც არ გამოსთხარა! კაციც ეგ ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა, და ქუდიც მაგას ხურებია! რა ვქნათ ახლა? უყურე, უყურე შენ, მართლა არ დაანამუსა, კაცო, ჯარი? ნეტაი რას ეუბნება ამისთანას!

— ღმერთმა ხელი მოუმართოს! გოცირიძეს, თუ გინდა, ცეცხლში და წყალში შევყვები! აბა, მოატრიალე ცხენი, რავა ფარჩხის კონასავით გადაკიდებულხარ მა უნაგირს! ეგერ აგიაშვილიც ეიშალა, ჩვენს მოსახმარებლად მოდის!..

მოლაშქრემ ცხენი მოაბრუნა, პირჯვარი დაიწერა, ღმერთო, მტრის ძლევა მიეცი ჩვენს კურთხეულ მეფესაო, თავისთვის ჩაიბუტბუტა და სანგალზე ხელახალი იერიშის მისატანად დაძრულ სირცხვილნაჭამ ამხანაგებს თავადაც სირცხვილნაჭამი გამოუდგა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

# ახალი წიგნიდან

* * *

შანდალს მაგონებს, სიონში როა, იმგვარს,
ნელიად მფეთქავს, სანთლის ყვითელი ღვენთით, —
მოხუცებული პატარა კომში მიყვარს,
შუა ქალაქში, ჩვენი თალარის გვერდით.

ათი წელია, სიკვდილს კრიჭაში უდგას,
მთელი ზამთარი დგას და სასწაულს ელის,
გამოაფეთქებს უცბად მილიონ ბუტკოს,
დაიხვევს ფუტკარს და საწყალობლად მღერის...

ოჰ, ბერო კომშო, ვიყოთ, ვიმღეროთ, ვუძლოთ!
შენი ის მიყვარს, რაც საკუთარი თავის...
ეს გაუმარჯოს, — ვინც არ დაბერდა უშნოდ და
ვინც სიკვდილის წინ ყმაწვილკაცივით ჰყვავის!

* * *

ტრიალ ტრამალში
ლაზარეთი იდგა საწყალი, —
ათოვდა ყუბანს
და ათოვდა ირგვლივ სამყაროს, —
და თქვა დაჭრილმა
(ქარბორბალა ყეფდა გამწყრალი):
„პუშკინზე უკეთ
კაცი არ გრძნობს
ზამთრის საღამოს!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ყურს ვუგდებდი
ქარაშოტის ყმუილს და წკავწკავს,
თქვა მან: „წყეულმა
დედამიწა ლამის აღგავოს!“
„ამხელა რუსეთს, —
მე მივუგე, — პოეტი სხვაც ჰყავს,
პუშკინზე უკეთ
კაცი არ გრძნობს
ზამთრის საღამოს!“

მოწყალების და
მოწიწებით ლუმელთან დაჯდა,
(გრიალებს პურგა,
თოვლის ბუქი დაჰქრის, ხარხაროზს).
მელნისფერ ბინდში
მოწყენილად ხელსაქმეს წასწვდა...
პუშკინზე უკეთ
კაცი არ გრძნობს
ზამთრის საღამოს!

* * *

ციალა ქართხანიძეს

ჩემო ციალავ,
ჰა, შენ ლექსი — ტაია, ტაია...
შენ, ოქროსფერო
შინაბერავ, ჩვენო დაია!

არცთუ კეკლუცო,
მაგრამ თბილო, სანდომიანო,
მაინც მისჯილო, —
ეს ცხოვრება მარტომ იარო.

დასწყევლოს ღმერთმა —
ალათაში, ბალათაშია —
შენ ის ქალი ხარ,
ვისიც ბედი მარად გზაშია.

იღბალი შენი —
პოეზია ანთია ქარში!..
იღბალი ჩვენიც —
ჩვენი ლექსის გადიად დაგვრჩი!..

გემწარა, ვიცი!
მაგრამ ოცი წელიწადია,
ღმერთმა ხომ იცის,
გახარება შენი მწადია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალავ-ჩემო,
    ჰა, შენ ლექსი — ტაია, ტაია...
ასმათო ჩვენთვის!
    ოქროსფერო ჩვენო დაია!

* * *

იწვის წიგნები და ბარათები,
    ლაწვზე — თხიერი...
მიტოვებულიც, ნალალატევიც,
    ხარ — მშვენიერი!

იყურე! გაცვლა კაცისგან სხვაზე —
    (ადვილად ითქმის!) —
ბევრს ვერას იტყვის მშვენიერ ქალზე,
    ვარაფერს თითქმის!

იყავი შენში დარწმუნებული:
    თვალზე თხიერით,
გამგუნებულიც, დაწუნებულიც,
    ხარ — მშვენიერი!

ის არ წასულა თავისი ნებით,
    არც ჰაიჰარად, —
თავს დაელევარა ალერსით, ვნებით—
    ზღვამ წაიყვანა.

მეც... ზღვა მომესმის გამძვინვებული —
    ზღვა შენმიერი...
სხვაზე გაცვლილიც, დამცირებულიც,
    ხარ — მშვენიერი!

## ს ი ღ ნ ა ღ ი

1...

იციან თვითონ
        სიღნაღლებმა სიღნაღის ფასი —
ბებერ გალავნით,
        ლურჯი ზეცით, ოქტომბრის ქარვით...
„არ მინახავსო, —
        ეს თქვა ფრანგმა, — რაიმე მსგავსი!“ —
შეწუხებულმა
        ალტაცების
                აქამდე მალვით.

ხოლო კახელმა —
        ყოველის მხრით კაცურმა კაცმა —
გახარებულმა
        რუსის, ფრანგის, ზანგის სტუმრობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდახელოდ
დევის სისხლის ინება დასხმა,
გავრცელებულით
გვიპასუხა
ხალხში ხუმრობით:

„ვისაც სიღნაღის
კაი ფასში გაყიდვა უნდა,
სანამ დაწერდეს
გარიგება-სყიდვისას უსტარს,
აიყვანოსო
ნუკრიანში მუშტარი უნდა, —
ნუკრიანიდან
დაანახოს
სიღნაღი მუშტარს...“

ჩვენც სწორედ ეგრე
დაგყურებდით შენგნით დამწვრები
ნუკრიანიდან —
შენ ბეჭდისთვლად მოჩანდი ქვემოთ..
გამსყიდველს შენსას
თავში ქვა და ცხელი ნაცრები!
შენ — დინჯა იყავ,
დინჯა იყავ, სიღნაღო ჩემო!

2...

მინდოდა: ერთხელ, ოქტომბრის თვეში
მანდ, სასტუმროში დამედო ბინა —
არცვის ვწვევოდი „ზაოდში“, რთველში,
არცვის ვიცნობოდი, რა ვარ და ვინა.

მევლო სამაჭრე ბოთლით ბაზარში
(შავი — მაჭარი და თეთრი — მინა!),
ლექსი მომსვლოდა —ფოთლის ხანძარში
სასტუმროსაკენ მომავალს შინა:

დედასპური და ნიგვზის ჩურჩხელი,
ზღმარტლი, ჩამიჩი და ნივრის კბილა
და სამშობლოზე ფიქრის მფურჩქნელი
ოქროს ჯაგანი დამეწყო წინა;

შენთვის მეცქირა, შენთვის მეძგერა
მეკითხოს: „სად ვარ!“ შენ გეთქვას: „შინა!“
და ტკბილ კახეთზე ლექსი მეწერა, —
მაშინ გცნობოდი, რა ვარ და ვინა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3\. . . .

რამ გამახსენა ეს სილნაღი ყვავილნაირი
აქ ამ აფხაზეთს,
საქართველოს
მეორე ბოლოს?!
იმან, ძმაო, რომ გახსენება არის ჰაერი,
პოეტი (თუ გყავს!)
არ საჭიროება
ნაირნაირი —
პოეტი სუნთქავს და სამშობლოს ჰაერით ცხოვრობს.

* * *

სანატორია... იცოდი, გრძნობდი,
ვით მონადირეს ცდა უჯობს დრომდი,
ძალიან ქალსაც! და, კიდეც, ერთ დღეს
დაგხვდა ლარნაკში...
ბიჭვინთის ტოტი.

ფუღლისფერიალით იკითხე: „ვისგან?“
გუმანი გქონდა, ვიცოდით, სხვისკენ!
ის დაღლილიყო ამდენი ცდით და
სხვა ქალთან ერთად
ვიდოდა ზღვისკენ...

და ჩვენ შენს ნაცვლად გულს ლახვრად
მოგვხვდა
და თითქოს რაღაც ისეთი მოკვდა,
რომ იყო ქვეყნად სიცოცხლის ღირსი,
რომლის სიკვდილი შეცდომით მოხდა...

თავი აიღე! გამაგრდი! სწორედ!
უკანასკნელი რომც იყოს ლოთი,
დახახულია შენი მშვენება —
მაინც კარგია
ბიჭვინთის ტოტი!

* * *

ნადირობისას
რატო შეუფრთხო, ეგონა, არჩევა
და რას, თუ მეტყვი,
რას მოკლავდა?!
შვილი მოჰკლა
ბედკრულმა
კაცმა...

მკრეხელობაა,
რა თქმა უნდა, ამაზე წერა,
მაგრამ ის კაცი

ა, აგერ მყავს,
ერთად ვსვამთ —
გჯერა?!

ხუთი წლის თავზეც
თვალში მსხვილი კურცხალი უდგას,
ეგ — მართალია!
მაგრამ რა ჰქნას?!
არსებობს!
სუნთქავს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის სირეგვნე, —
კაცმა ახლა რაიმე ჰკითხოს,
ან ანუგეშოს!
და შენც კურცხალს
ვერც ხედავ
თითქოს...

ოღონდ ეს არის,
დაუნდობლად მკაცრი და ბასრი,
გამხეცებული

საკითხავად
ფუთფუთებს
აზრი:

„ჰოი, საბრალოვ,
რით, რა ძალით დღეებს შეები?!
რა ძალით ბრუნვენ
მოწამლული
შენი დღეები?!“

* * *

უსწორფრობა
სულს აჩნია სიკვდილად,
სიყვარული,
ვწუხვარ, გინაპირებს...
უცოლოებს —
ვწუხვარ არცთუ იმდენად,
ვწუხვარ ქალებს —
ტურფა შინაბერებს!

ვწუხვარ დღეებს
და ღამეებს უმზეოს,
თმენას, თმობას,
სისხლის მტკივან დუღილს,

ვწუხვარ ჰქონბას
და მოლოდინს უმწეოს,
ვწუხვარ
თვითონ წუხილს...

გირჩევია
რაკი ხელი ღვთიური,
რაკი სვე-ბედს
შენი ხელი მართავს,
ღმერთო, მოეც
სიყვარული მზიური
განურჩევლად —
მშვენიერს და ართვალს!

## გენიოსების კითხვისას

უფრო ახლოა ერთმანეთთან ვაჟა და შოთა,
ვიდრე შენ ჩემთან,
ვინც ერთ დროში,
მხარდამხარ ვცხოვრობთ;
ეს შედარება საჭოჭმანო კი არის ცოტა
და უხერხულიც —
სამწუხარო
ესაა მხოლოდ;

მაგრამ თქმა მსურდა, ვერ ვეწიე ეგების მიზანს,
მინდოდა მეთქვა
(გართულებას
საქმისას რა მრჯის!):

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათასწლოვანი ინტერვალიც არაფერს ნიშნავს
ერთობისათვის
კაცთა შორის
აზრის და მრწამსის!

. . .

ხაიამს, გოეთეს,
რუსთაველის გენიას
(კითხულობ პოეტებს)
იგივე სტკენიათ.

იგივე — სამღერლები!
იგივე — სატირლები!
იგივე — სათქმელები!
იგივე — საყვირლები!

იგივე — ფიქრები და
იგივე — საწუხრები!
იგივე — კითხვები და
იგივე — პასუხები!

ესე ყოველივე
შენგნით გვაბადია,
შენგნით მოველი მე —
გიცან, მაპატიე!

კაცებად მოგვივლინე,
კაცებად შეგვიფერეთ,
ესე ყოველივე —
ღმერთო, შენი პირით!

* * *

კუდარის გზაზე
ვარდენა ვაჭრობს,
ვარდენას დუქანს
დუქანი არ სჯობს:
შეწითლებულან
ხორხუ-ბიჭები —
ისუკა არყით
ისუკას ახრჩობს.

გადიელის ნისლებს
ერწოსას ცრიატს,
აჩერებს მგზავრი
„ვოლგას“ თუ „ფიატს“,
დაიდგამს ბოთლს და
ვარდენას ხარჩოს —
ჩააცქერდება
ხეობის წყვდიადს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც ყურს ვუგდებ
ვარდენას ოსურს,
ჯეჯერის ხეობას
წყვდიადით მოცულს,
ოსისას — ქართულს,
ჩვენი კაცობას:
„რახასტას“, „ზონის“
და „ხორზუ-ხორზუს“.

— „ვართენ! ეგ ხარჩო
კარგად გაცხელდეს!
სირჩა! ჯერ თითო
არაყს გვასმევდე! —
და ქვემეხივით
გრგვინავს სიცილი. —
ვართენ! არც ღინო-
წვადი გვაწყენდე!“

ხოლო ვარდენა
ამბობს: „ბიძია,
ეგ ლაპარაკი,
ვატყობ, რისია!
ექვსი ბოთლი და
ხარჩო ნისიად
ვის დავაწეროთ,
მანდ რომლისია?!“

და არყევს ოსის
ხორხოცი დუქანს...
ოცი წელია
ეს ქოხი უყვარს,
„ხალხს მიხედეთ!“ —
თავის დახლიდან
ეტყვის ვარდენა
დედაკაცს ჯმუხას.

ცხოვრობს ვარდენა
ხალხის გაგებით,
სულ უმნიშვნელო
ხარჯის აღებით;
ჰკითხე კუდაროს —
არც ოსი ცხოვრობს
ჩვენი რაჭველი
კაცის ძაგებით.

და მეგობრობაც
სწორედ ეს არი!
საწყალი ოსის
ბედზე მკვნესარი
კოსტა რომ ადგეს,
ისიც გვეტყოდა:
— ამას რას ვხედავ,
რას მოვესწარი!

დაიმახსოვრე
ეს ჩემი ლექსი:
თუ რცხინვალსზემოთ
არ აგცდეს ხემსი,
არამც და არამც,
არამც და არამც
პურის საჭმელად
არ დაჯდე კეხვში!

წვადს წაგიმატებს
ცეცხლივით ხარჩოს.
ხან — ჯეჯერის კალმახს
ერბოშიც ახრჩობს, —
ვარდენა ვაჭრობს
კუდაროს გზაზე,
ვარდენას დუქანს
დუქანი არ სჯობს.

* * *

გათენდა ზღვაზე:
ათასობით ოქროს ლურსმანი
გოჭივით ჰყივის
და სარკმელში, ვხედავ, მოძვრება...
მახარებს რაღაც —
შენი მტერი, შენი დუშმანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყურჩამოყრილი
იყოს მისი დღე და მოსწრება!

. . .

ქალ-ვაჟი წყვილად
ლურჯ ხეივანს მიჰყვება ზღვისკენ,
შემდგა ქალი და
გამეტებით ცხვირ-პირში ჩაჰკრა...
მე გეტყვი — რატომ!
ეგ მე მკითხე — რისთვის და რისგან,
რაკი სიცილით
ხეივანში სხდებიან ახლა...

. . .

რიგი იხდის და
რიგი უკვე წყალში ჩამბალა,
ვხედავ ნაცნობი
მეთევზისას გარინდულ კეფას;
დონბასელ ტიპებს
ზარზეიმით მოაქვთ კამბალა —
ავდგები ბარემ,
მეც მოვიტან შეკვეთილ კეფალს.

. . .

კარგია, როცა
უცხოდ ხარ და არავინ გიცნობს,
ხმას არ იღებ და
უნებლიედ გიცქერენ კრძალვით,
ისვენებ შენთვის,
მოკლებული მეგობარს, თვისტომს,
თავს არ იწუხებ
ნამეტნავი სალმით და ქალმით.

. . .

წერ შენთვის ცოტას,
მყუდროება გწადია ბეჩავს,
აკერებ ნერვებს —
უდროობით დამცვდარს და დამწყდარს;
მიდი-მოდიხარ,
ბიჭვინთისას გაჰყურებ ზეცას —
მე შენ გეტყვი და
ეს სიწყნარე ცხოვრებას გასტანს!..

. . .

გამარჯობა მზევ!
ათასობით ოქროს ლურსმანი
გოჭივით ჭყივის
და სარკმელში ერთად მოძვრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებს რაღაც —
        შენი მტერი, შენი დუშმანი
გულჩაბოღმილი
        იყოს მისი დღე და მოსწრება!

* * *

შესაძლოა შეთხზვა რამის?!
წიგნად რამის მოგონება?!
ცოლის, შვილის, დედის, მამის,
სოფლის, მშობლის მოლოდინება?!

კი! რაც ქმნილა მაღლის ნიჭით
მწედ კაცთათვის უებარი,
რაც კი მართლა წიგნი ვიცით,
აწერიათ — „თხზულებანი“,

ეგ — კი! ვხედავ ვაჟას მაჯას! —
რა მაჯა აქვს სულზე უტკბესს! —
მაგრამ კაცი მაგას არ ჭამს,
ვითომც ვთხზავო, შუბლზე უდევს.

რისი თხზვა და რისი ჩმახვა!
გზა პოეტის — გზაა ტანჯვის!
ტატოს — გულში სცემენ ლახვარს,
მოიგონოს, — რუსთველს რა რჯის!

ეგ კი არა და, სისხლის მთხევარ
წიგნს დავდებ და დავიქადებ —
მე რომ მე ვარ, მე რომ მე ვარ,
თხზვას წიგნისას არ ვიკადრებ...

ვწერ სიცოცხლეს, ძმავ, ჩემსას,
დღეებს ფიქრით დახუნძლულებს...
გამწურწურებს სისხლი ლექსად,
ფიქრი — სისხლად გამწურწურებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანგი რიჟინაშვილი

# მოთხრობები

## ვიოლინო

ამას წინათ ძველ საოჯახო ალბომს რომ ვათვალიერებდი, ერთ ფოტოსურათს წავაწყდი. სურათზე მე გახლავართ გამოსახული — მისი აღმატებულება ათი წლის ბიჭი, მაშინდელ მოდაზე „ზღარბივით“ თმაშეკრეჭილი და გრძელყურება სურათიდან შემფოთებული ვიმზირები. ნაცრისფერი კოსტიუმი მაცვია. ეს კოსტიუმი დედამ საგანგებოდ შემიკერა საკონცერტოდ, რომლებსაც ერთხელაც ვერ ვეღირსე. ცალ ხელში ვიოლინო მიჭირავს, მეორეში — ხემი. ფოტოსურათის უკანა მხარეზე მიმიწერია: „მევიოლინობა არ მინდა, ლეიტენანტობა მინდა“. და იქვე ჩემი ხელმოწერა — გაუწაფავი, მაგრამ ყოჩაღად ჩახუჭუჭებული ინიციალები.

ის ამბავი, მევიოლინობა რომ არ მინდოდა — მახსოვს — კარგად მახსოვს, როგორ მაცახცახებდა, როგორ მრცხვენოდა, ბრეზენტის ბუდეში გახვეულ ვიოლინოს რომ ვატარებდი. ეს ბუდე მამაჩემის კარავ-ლაბადისგან გადამიკეთეს, მაგრამ მაინცდამაინც ლეიტენანტობა რატომ მსურდა და არა მაიორობა ან გენერლობა — ახლა ვერაფრით მოვიგონებია. იქნებ ომზე დაწერილ ჩემს საყვარელ წიგნებში ამომიკითხავს ვინმე ლეიტენანტზე, ან იქნებ მეზობელიც მყავდა და იმას ვბაძავდი და ყოველდღამ მესიზმრებოდა, ვითომ მისი სამხრეები, რომელზეც ორი პაწია ვარსკვლავი იყო დამაგრებული, მე მეკეთა, მე, ჯერ ისევ მოზარდს, მაგრამ უკვე ლე-ი-ტე-ნანტს. მაგრამ მევიოლინობა... საიდან გაჩნდა ეს იდეა — ჩემგან მევიოლინე გამოეყვანათ — ჩემს ოჯახში, მელომანობით რომ ვერ დაიკვეხნიდა—ახლა ძნელი დასადგენია, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ჩემგან ჭრიდნენ, თლიდნენ, ძერწავდნენ, ზელდნენ მევიოლინეს — გულმოდგინედ, ჯიუტად, არად აგდებდნენ ჩემს თავგანწირულ წინააღმდეგობას, ლამის საბოტაჟს, არც იმას, გაბოროტებული ბიჭი ცხარე ცრემლებით რომ ვტიროდი.

აქეთ-იქით ვაწყდებოდი, მინდოდა როგორმე თავი დამეღწია, რა ოინს არ მივმართავდი, რათა აღმეგავა ვიოლინო პირისაგან მიწისა. თითქოს მის წვრილ, კაფანდარა, ნატიფად ნაკეთებ სხეულში ჩაბუდებულიყო გველეშაპი, რომელსაც სურდა ბოლო მოეღო ჩემი თავისუფალი ბიჭური ყოფისათვის. ვაწვალებდი სიმებს კანიფოლიანი ხემით, ვჩქმეტდი მოკაკვული თითებით, ლამის ვახრჩობდი გაოფლილი ხელისგუ-

ლით მის კოკობზიკა გედის ყელს. ვიოლინო შემზარავად ხრჭიალებდა, კვნესოდა, მისხლტებოდა ხელიდან. გამუდმებით ვებრძოდით ერთმანეთს, მაგრამ სამკვდროდ და არა სასიცოცხლოდ — გამარჯვებული არავინ იყო — ორივენი ვიტანჯებოდით.

ბოლოს, ყველა ვიოლინომოძულეთა ნაცადი ხერხი გამოვიყენე — რამაც თუმც მცირე, მაგრამ მაინც შვება მომგვარა. დახრილ ლითონის პიუპიტრზე, ჩვეულებრივ ნოტებს რომ დებენ, ომზე დაწერილ წიგნებს დავდებდი ხოლმე. ჭურვების აფეთქების ხმას, მოპიკირე ბომბდამშენის ღრიალს, ტყვიების ზუზუნს ვიოლინოს კვნესით ვნილბავდი, მაგრამ ზოგჯერ, როცა ყველაზე დაძაბული ადგილები გამიტაცებდა, ჩამოვხსნიდი გადამლოობ ცეცხლს ან, უფრო ზუსტად, კვამლის საფარს. მაშინ გაიღებოდა ოთახის კარი და გამოჩნდებოდა მრისხანე, ფხიზლად მოდარაჯე სახე, გაკვირვებული ვიოლინოს საეჭვო დუმილით. რაკი მეშინოდა არ გამოეაშკარავებინათ ჩემი ოინი, სასწრაფოდ, გაორკეცებული ენერგიით გავაგრძელებდი ჩემი საზიზღარი მწვალებლის თხელი სხეულის შუაზე ხერხვას.

სამუსიკო სკოლაში სამად-სამი პედაგოგი ასწავლიდა ვიოლინოს კლასში და მეც რიგრიგობით ვიცვლიდი მათ. თავად კი სულაც არ ვიცვლებოდი. ჩემი მასწავლებლები...

პირველი — არტაშეს მიხეილის ძე გახლდათ — ტანდაბალი, ჩემზე, რვა წლის ბიჭზე, ოდნავ მაღალი იყო, ქაჩალი, გოდორა, ჟილეტს იცვამდა, ბოლქვივით მრგვალი საათი ჯიბეში ედო. ცხოვრობდა ყოფილ კადეტთა კორპუსის უკან ორსართულიან სახლში, დიდი ხის აივანი რომ გასდევდა, მეორე სართულზე. ცხოვრობდა დედასთან ერთად. დედამისი ცეროდენა, ძალზე სიმპათიური დედაბერი გახლდათ, — მრგვალი ფეროვანი პირისახე და ჭაღარა კულულები ჰქონდა. ქალი, როგორც თვითონ ამბობდა, შაკიკისგან იტანჯებოდა: აგერ ორმოცდაათი წელიწადია, მას აქეთ, რაც ართრიტი გამიჩნდაო, შვილს ასე ეძახდა — ამიტომაც შუბლი მუდამ ორად გაკეცილი თავსაფრით მჭიდროდ ჰქონდა გაკრული. ორი ვიწრო და წაგრძელებული ოთახი ეკავათ, სწორედ ამ გალერეის ბრალი იყო დღის სინათლეს ძალა და სიკაშკაშე რომ წართმეოდა ოთახების გასანათებლად. ამიტომაც მძიმე ჭაღის შუქზე ვმეცადინეობდით, ჭაღი ჯაჭვებზე ისე დაბლა იყო ჩამოკონწიალებული, რომ ხელის აწევა საკმარისი იყო, მივწვდენოდი ნათურას ვიღაც უცნობის ბრინჯაოსფერ მარჯვენას რომ ჩაებღუჯა. ოთახში სარწეველა სკამი იდგა, სადაც ყოველთვის იჯდა არტაშეს მიხეილის ძე — შავად დაწინწკლული იისფერი აბრეშუმის დაბამბული ხალათი გადაეცვა, თავისი განუყრელი ჟილეტისა და გახამებული შარიშურა საყელოიანი პერანგის ზემოთ პეპელასავით გამონასკვულ ყელსახვევზე ჭიამარია ეკეთა. ოთახში როიალიც იდგა, პატარა სწორედ ჩემი მასწავლებლის საფერი—სახურავი შავ, სიწითლეშეპარულ ჩუქურთმებიან პატარა ბოძს ეყრდნობოდა, კლავიშები ყვითელი იყო, წინა ნაწილები დაკბილული, ნოტები იდებოდა ხის გამოსაწევ პიუპიტრზე — ჩემი და, მაშასადამე, არტაშეს მიხეილის ძის თვალების გასწვრივ.

მასთან სკოლის შემდეგ გავრბოდი, დღისით ქურდულად მივიპარებოდი იღლიაში ამოდებული ბუდითურთ სადარბაზოსაკენ და დავაჭერდი რა თითს ზარის ღილაკს — გამაყრუებელი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა, — მერე უცებ მჭიდროდ ავეკვრებოდი მუხის მასიურ კარს. ზარის დარეკვა და აივნის კარის გაღება ერთი იყო, გამოჩნდებოდა თავწაკრული გაიანე სიმონის ასული, არტიშოკის დედა (ასე უკვე მე ვეძახდი მასწავლებელს). ქალი ბეცი თვალებით იხედებოდა დაბლა — არავინ იყო — ოჰ, ეს ბიჭებიო, — გადააქნევდა თავს და მიხურავდა კარს. ისევ გავიმეორებდი ჩემს ოინს — რაც ყო-

ველთვის ჩინებულად გამომდიოდა. მხოლოდ მესამეჯერ მე — უცოდველი, გულუბრყვილო არსება — ხმამაღლა ვესალმებოდი გაიანე სიმონის ასულს და კარიც ნელად, ოხვრა-კვნესით იხურებოდა. მავთული მთელ სიგრძეზე გასდევდა კიბეს — ჰქონდა ფართო ხის საფეხურები, თანდათან ციცაბი რომ ხდებოდა, და მოაჯირი, — ყოველთვის წავიბორძიკებდი სიბნელეში. ვირაჟი: ზემოთ აქაჩავ მავთულს — კარი ქვემოთ იღება. „სეზამ, გაიღე!“ — ჩავიბურტყუნებდი სამჯერ წინასწარ, ვიდრე გაიღებოდა. და დაიწყებოდა: არტიშოკი მომთმენი და თავაზიანი კაცი გახლდათ. თითებს მომამრგვალებინებდა და ნატიფად გამოზნექდა რა ხელისგულს, ხელს მიყენებდა — მაგრამ არაფერი გამოსდიოდა (ვერა და ვერ დამიყენა ხელი) — მიჩვენებდა ჩუმად, ლალანა ხმაზე მელაპარაკებოდა და, „თქვენობით“ მომმართავდა.

„ყმაწვილო, ნუ ჩქარობთ, მოადუნეთ ხელი; ასე, ასე, უფრო მეტად, დაიქნიეთ თითები და ახლა კი აიღეთ ხემი, ნუ დაეძგერებით, არ უყვარს მოურიდებელი, უზრდელი საქციელი. ასე, მოემზადეთ...“ და ისევ თავიდან იწყებოდა და-უს-რუ-ლებ-ლად. სარწეველა, უცებ რომ დაცარიელდებოდა, ისევ განაგრძობდა რწევას, არტიშოკი მოფარიკავის ილეთით მიჩვენებდა, როგორ უნდა დამეჭირა ხემი, ხალათი შარიშურობდა. ვიოლინო ხრჭიალებდა, მე კი საკუთარი უნიჭობით შერცხვენილი, სიმწრის ოფლს ვიწმენდდი, ვინდომებდი. შემოვიდოდა ხოლმე გაიანე სიმონის ასული, მიჯდებოდა კუთხეში, პენსნედან მომჩერებოდა კეთილმოსურნედ, მე კი კიდევ უფრო მეტად დავირცხვენდი, ხელები მიხევდებოდა, თითქოს მე არ მეკუთვნოდა. არტიშოკი შორიახლოს მივლიდა, უკვირდა, თვალები ერთთავად უმრგვალდებოდა და უმწეოდ ასავსავებდა ხელებს. ასე გაგრძელდა ორი წელიწადი. ვიოლინოს დაჭერა, როგორც იქნა, ვისწავლე, ხემისაც. და კიდეც დაედო სამანი ჩემს წარმატებას. არტიშოკი, რომელსაც მოტვლეპილი თავი უწითლდებოდა, ცდილობდა თავაზიანად აეხსნა რაღაც დედაჩემისათვის, მაგრამ ამაოდ. დედაჩემის ვერდიქტი შეუვალი და მტკიცე იყო. ლბილი, დამთმობი არტიშოკის ნაცვლად ახლა ადოლფ ისაკის ძის „რკინის“ ხელებში მომამწყვდევდნენ. შეთავსებით სეანსების დაწყებამდე კინოთეატრ „სპარტაკის“ მცირე ორკესტრში რომ უკრავდა. სვეტებს შორის ჩამწკრივებულ დანჯღრეული სკამების წინ პატარა ესტრადა იყო.

ამ რკინის ხელებისა წარმოუდგენლად მეშინოდა. ამ ხელების პატრონი წარმოდგენილი მყავდა როგორც ვინმე მრბეველი, ვისაც სისხლისფერი პირისახე და მჭექარე ხმა ჰქონდა და თან სასიკვდილო მარწუხების მოჭერა ემარჯვებოდა. მივდიოდი მასთან შესახვედრად, ფეხები კი უკან მრჩებოდა. მაგონდებოდა არტიშოკის შარიშურა საყელო, გაიანე სიმონის ასულის კეთილი მზერა და გული მეწურებოდა, თავს ეულად ვგრძნობდი. ჩემი ახალი მასწავლებელი ნამცეცა ფლიგელში, ქალაქის ლომბარდის ეზოში ცხოვრობდა: ერთადერთი ოთახი და ისეთი პაწია სამზარეულო ჰქონდა — თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. პირველი, რაც დავინახე, როგორც კი სახლს მივუახლოვდი, ქალების უზარმაზარი ჯგუფი იყო. საქმეში ჩაუხედავი კაცი ვერც კი ხვდებოდა რა ამბავი იყო — ძველმანების ბაზრობა ეგონებოდა: იდგნენ ქალები ქურქებით, მამაკაცის კოსტუმებით, ყუთებით, მუყაოს კოლოფებით, ფუთებით ხელში. მილიციელები გულდაგულ ცდილობდნენ რიგი დაემყარებინათ. ისეთი გუგუნი იდგა — ერთი დაუსრულებელი სიტყვა — თითქოს მუშტაიდის ბაღში კარუსელი ბრუნავდა — იგი გამოიჭრებოდა, ამაღლდებოდა, მერე ისევ მიყუჩდებოდა; და ეს გუგუნი, მჭიდროდ იყო დაწნეხილი სხვადასხვაგვარ ხმათაგან, რომლებიც გამოძვრებოდნენ, გამოხტებოდნენ ამ მჭიდრო ბურთისაგან, როგ-

ოთხ ზამზარი ძველი დივანისაგან და გამგმირავად გაკვეთდა ეზოს მცირე სივრცეს. შიშმა თანდათან უფრო ამიტანა. მივდიოდი, ვიოლინოიანი ხელი წინ მქონდა გაშვერილი, მივიკვლევდი გზას მოყაყანე ქალებში და სასოწარკვეთილი ვგრძნობდი, რომ გასაქცევი გზა უკვე მომიჭრა ამ დაუძლეველმა ბრბომ, ამ ყაყანმა, ჯიქურ რომ მცემდა ზურგში ბეჭებს შუა — იარე, იარე, იარეო. უცებ შევეფეთე ჩასუქებულ პიჭუნას, — ასეთი მსუქანი ბიჭი არასოდეს არსად მინახავს — ამობურცული ლითონის ღილებიანი ქურთუკი, მსუქან მხრებზე უნაოჭოდ ერთიანად რომ მოხვევოდა, გეგონებოდა საცაა ნაკერებში გაირღვევაო, პირისახე — უსაშველოდ გაბერილ ბურთს მიუგავდა, მეტი ანგავანი რომ აღარა აქვს, ზედ შავი თმა შემოხვეოდა ბურბუშელასავით.

მაგრამ განა სასაცილოდ მქონდა საქმე? ვკითხე — ადოლფ ისაკის ძესთან როგორ უნდა მივიდე-მეთქი" „მაშასადამე, ჩვენთან?" — ოდნავ შესამჩნევი ენის ბორძიკით შემეკითხა იგი. არც გაკვირვებია ისე შემათვალიერა თავით ფეხამდე პაწია, სწრაფი თვალებით, თითქმის უმეტყველო პირისახეზე რომ მოუჩანდა. „როგორი ვიოლინო გაქვს?" არ ვიცოდი, როგორი მქონდა. „ჩვეულებრივი, აბა ,როგორი უნდა მქონდეს?" „მე კი ზონოვისა მაქვს!" დაიკვეხნა მან, — წამოდი, გგი-ჩვენებ". პირდაპირ ეზოდან — სამი საფეხური ავიარეთ — შევაბიჯეთ პატარა სამზარეულოში — დამწვარი ხახვისა და ნივრის შეზავებული სურნელი სამზარეულოდან კვადრატულ ოთახში მოედინებოდა, სადაც ფართოზე ფართო ტახტი და მასიური პიანინო იდგა, სადღაც შერში ფანჯარა ჰქონდა, რომელიც არ ილებოდა. იგრძნობოდა სინესტისა და გაუნიავებელი შენობის სუნი. „მამა ჯერ არ არის შინ, მალე მოვა — პედსაბჭო აქვს. აი — ნახე". გახსნა დიდებული ტყავის ბუდე — შიგ წითელი ხავერდის სარჩული — ზედ ზანტად იწვა მუქიყავისფერი მოელვარე, აბა ჩემი ვიოლინო როგორ შეედრებოდა! იქვე ეწყო, თვითეული თავის ფოსოში, ხემი, პატარა ბალიში, კანიფოლიანი პაწია ყუთი. აილო ხავერდის ყაითანი, გაწმინდა დეკა — სად იყო მტვრის ნასახი? — გულდასმით, თითქმის არც ეხებოდა, ისე. „სადილის გაკეთებაც ვიცი, — მითხრა მოულოდნელად ისე, რომ ენა არ დაბმია. მე და მამაჩემი ორნი ვცხოვრობთ და რიგრიგობით ვამზადებთ. მე უფრო გემრიელი კერძი გამომდის, მამაჩემი ასე მეუბნება," — ბიჭუნას უმოძრაო ფერმკრთალი ლაწვები შეეფაკლა.

„ნეტა ამანაც დასაკვეხნი, გოგო ხომ არ არის," — გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ უბოროტოდ, სხვას დავცინებდი, ამას კი ვერ დავცინე, რატომ, თვითონაც არ ვიცი.

— „დედაშენი სად არის?" — უბრალოდ, ისე შევეკითხე, რაღაც ხომ უნდა მეკითხა. პირი გააღო, ალბათ პასუხის გაცემა უნდოდა და ყელში რაღაც ამოსდიოდა, ცალკეული ბგერები ამოუშვა, მაგრამ სიტყვებად არ ებმებოდა ერთმანეთს, ბოლოს, როგორც იქნა, შეიკრა, მოახერხა შეკვრა. „დედა მოკვდა, კიევში ფაშისტებმა მოკლეს. ბაბიიარზე რაიმე გსმენია?" საიდან უნდა მსმენოდა. „ჩვენები ყველანი იქ არიან დაკრძალულნი — პაპაც, დიდედაც, ორი დეიდა. იცი, მე პატარა ვიყავი, გამხდარი, ასანთის ღეროვით, ჩვენი მეზობლის ქალი სარდაფში მმალავდა — ალბათ, ნესტი გამიჯდა და დავსივდი. მამალო როცა ჩამოვიდა, ვერც მიცნო, მიყურებს, მიყურებს, — და ვერ მცნობს, წარმოგიდგენია? ვერც მე ვიცანი, ან კი როგორ უნდა მეცნო, რადგან მხოლოდ ომამდე მყავდა ნანახი, ორი წლისა ვიყავი მაშინ... კეთილი მამა მყავს," — დაასკვნა მან, უცებ სიმივით შეწყვიტა — შეთრთოლდა და მიყუჩდა. თითქოს წყალი გადამასხესო, ვდგევარ, თვალებს ვაფახულებ, არ ვიცი რა ვთქვა, როგორ ვთქვა, ესეც შენი ოჯახის [illegible]-მეთქი, ვფიქრობ

გუნებაში. უცებ — კარი ყურთამდე გაიღო, სამზარეულოში შემოვარდა ჯმუხი, ბეჭებფართო კაცი, თითქმის შავი მეჭეჭი აზის მარცხენა ლოყაზე, დაფანჩული წარბები აქვს, თმახუჭუჭა, ბეჭდები უკეთია, ამლაყივით ეცა სამზარეულოს კუთხეს, ტაგიდაზე ხელი მოაცეცა, რაღაც დადო, შემოვარდა ოთახში და სხაპასხუპით მიაყარა: „ველველე, სალამი, დიდიხანია მოხვედი? სადილი გაათბე თუ ცივი შეჭამე, ა, მითხარი, ეს ვინ არის? სათვალე, სათვალე სად არის? აჰა, აი, სად ყოფილა. ასე. გამარჯობა ეს შენი ახალი ნაცნობია? არა? აჰ, ჩემთან არის? აბა, მოდი გავიცნოთ ერთმანეთი. ჩინებულია. ველველე მაძღარია, მე და შენ კი მშივრები ვართ, მოდი, ერთად ვისადილოთ, კარგი? რატომ არა? ე, ე, ძმობილო, ასე არ ვარგა, რა გიყო ახლა მე შენ? მოდი, ველველეს ესაუბრე, მე კი წამში..." და ხელმოუთქმელად გავარდა სამზარეულოში. რა უცნაური სახელი აქვს ამ გოდორას? — ველველე. თითქოს მიმიხვდაო: „საერთოდ კი ვოლფგი მქვია — მაშასადამე, ვოვა, მაგრამ მამა მეძახის რატომღაც ველველეს", — ამიხსნა მან, თითქოს ბოდიშობით.

„აბა, ჩემო ბატონო, გვიჩვენე ერთი. რა იცი? ვიოლინოს დაჭერა კარგად გცოდნია, უკეთესად აღარც შეიძლება. მაგრამ შემდეგ? არ შეიძლება — ვიოლინოს აწყობა არ იცი? ველველე, შენ ააწყვე — შეხედე როგორ უნდა: დო — დო — დო, მი, — მი, — მი, — გახივგებია? არ არის გასაგები? და — აა. სტოპ! სტოპ! ეს რაღა არის? როგორ, ესეც არ იცი? კარგია, კარგი. მოდი შევთანხმდეთ, პირდაპირ მითხარი, რა იცი და რა არ იცი. არაფერი არ იცი? ასე ვფიქრობდი, მიგრძნობდა გული. კი მაგრამ გინდა, რომ იცოდე? ა? არა? როგორ თუ არა? მაშ რა გამოდის, დრო ტყუილუბრალოდ ვფლანგოთ? ასე არ ივარგებს, ღმერთი არ შეგვეწევა. არა, არა და არა! ველველე, დაუკარი რაიმე, იქნებ სურვილი გაუჩნდეს, — ა?" და ეს გოდორა ლეჩბს ალერსიანად და ფრთხილად ხელებით — ბარკალს რომ მიუგავს — ვიოლინოს, მოციაგეს, როგორც მთვარის სხივს წყლის ზედაპირზე, აბჯენს ნიკაპს და... — არასოდეს გამიგონია მსგავსი არაფერი. ვიღაც ატირდა, აკვნესდა ნაზად-ნაზად, ამშვიდებენ — ანუგეშებენ ჩუმად, ლბილი ბანით, არ ისმენს, მაინც კვნესის შესაბრალისად, შეყვირება, რაღაც შხეფებად დაიღვარა, ისევ ბანი, უცებ შეწყდა, მერე ყველანი ერთად ხმამაღლა ალაპარაკდნენ — შესაბრალისი სადღაც შორს გადაჰკარგეს. — კიდევ უფრო შორს, შორს გაქრა, ჩაიფერფლა საბოლოოდ. ველველე დგას თვალდახუჭული, ფერმკრთალი, ხემიანი ხელი ჩამოუშვა, ნიკაპი მოაშორა ვიოლინოს, ოდნავ უკან გასწია და ისე უჭირავს. მამამისი თვალებანთებული შეჰყურებს, წარბები ვერ გაუჩერებია, მიყუჩდა, გრძელი, გამხდარი თითები მომუშტა, ერთმანეთს გადააჭდო ისე მაგრად, რომ ძვლებმა ტკაცუნი დაიწყო, შავგვრემანი კიდურები ლამის გაუთეთრდა. მე ვეღარ მხედავენ, გვერდულად მივიწევ გასასვლელისაკენ, რათა წავიდე, გავქრე, შევერწყა.

„ვიოლინო, პატივცემულო ქალბატონო, მოითხოვს ან ჰოს-ს ან არა-ს, „ვნახოთ", აქ არ არსებობს, გასაგებია?" — დედას აშკარად არაფერი გაეგება. ბიჭი „არაო", ამბობს და იცის, რასაც ამბობს, მერწმუნეთ. ხელები კარგი აქვს, თავიც, მაგრამ გული — გულს ზურგი აქვს შექცეული ვიოლინოსათვის, გესმით!" და ისიც თვალსაჩინოებისათვის სწრაფად დადგა ზურგშექცევით. „არაო, ამბობს ბიჭი, მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, რომ თვითონ ამბობდეს ამას, არა, გული კარნახობს, გესმით, გული. მე კი უგულოდ არ შემიძლია, არ შემიძლია!" — მან საჩვენებელი თითით წერტილი დაუსვა ხელის ხანიერსა და მეყვსეულ მოძრაობას. მაგრამ, ჰაი, რომ დედაჩემისათვის, ეს წერტილი კი არ არის, მხოლოდ მძიმეა... და მეც გადავდივარ რიგით მესამე მასწავლებელთან, „ჭეშმარიტ ხელოვანთან" — სტანისლავ ბიკენტის ძესთან.

დიახ, სტანისლავ ბიკენტის ძე ჭეშმა-

რიტი მსახიობი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში ყველა მსახიობი იმხანად ასეთად და მხოლოდ ასეთად მესახებოდა. გამხდარი იყო, გამოფიტული, ფეხები წვრილი, შემოტმასნილი-პაჭანიკებიანი შარვალი კიდევ უფრო საჩინოს ხდიდა სიგამხდრეს. სიმაღლით ძალიან მაღალი გახლდათ, მაგრამ კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რომ შეძლებოდა გამართა თავისი მოხრილი — არა, ბებრული კი არა, — აი კუზიანებს რომ აქვთ ისეთი, ზურგი, მხრები, — ცალი ჩამოგდებული, მეორე ზევით აწეული ნახევარწრედ შემოკვრია ჩავარდნილ მკერდს, საკვირველია, რომ კისერი მოკლე აქვს, რომელზედაც მომცრო თავი აბია. მძიმე, სწორი წაბლის ფერი თმის ჭაღარაშერეული კულულები მხრებამდე სცემს. თხელი კეხიანი ცხვირი ჰყოფს ერთმანეთისაგან შორიშორ და ღრმად ჩამსხდარ ნაცრისფერ თვალებს. სიარული უჭირდა: გადადგამდა მარჯვენას, — შემდეგ ფრთხილად, ოდნავ შეისვენებდა და მარცხენას მიადგამდა. ხელები — თხელი, უკუნთებო, ჩამომჭკნარ, მილევნთილ კანზე ამოჩრილი ძვალი უბოლოვდებოდა ქვემოთ დამსხვილებული და ძარღვებდაბერილი თითებით, თითები ხელისგულებზე ორჯერ გრძელი ჰქონდა; როცა პირველად დავინახე — შემძრა, ხმაც მიყრუებული, გაბმული, თითქოს მეორე ოთახიდან მოისმისო. შავი ხავერდის სერთუკი — გულდახურული ისე, რომ მხოლოდ ოდნავ მოჩანდა პერანგის თეთრი ზოლი — ქერტლისაგან გადათეთრებოდა. ხელი ჩამომართვა, დამსვა სკამზე და ჩუმად გასძახა: „ტასია!“ — თან ნაღვლიან მზერას არ მაცილებდა. სანახევრო ტიხარიდან, ჭერს რომ არ წვდებოდა და ოთახს ორად ჰყოფდა. გამოგორდა ქალი. სიმაღლით წელამდე რომ ძლივს მისწვდებოდა, ტიკჭორასავით ჩამრგვალებული, შეუმჩნეველი — ვერაფერი გამიხსენებია, გარდა, გარდა აგურისფერი სიწითლისა — პირისახე ჰქონდა, „გაიცანი, — აი, ჩემი ახალი მოწაფე“. ქალმა ორივე ხელი ჩამომართვა, ჯერ ერთი ხელი მომიჭირა, შემდეგ მეორე ზევიდან დამადო... [illegible] ანად, — მშვენიერი ხმა ჰქონდა — დაბალი, მკერდისმიერი, მომხიბვლელი.

ამ ხმით: „ეჰ, ჩემო კარგო, რომ იცოდეს ადამიანმა ცხოვრება ვის რას უმზადებს იქნებ სულაც არ გაჩენილიყო ამქვეყნად. სტანისლავ ბიკენტის ძე აი, მაგალითად ნიჭით ღმერთმა უხვად დააჯილდოვა, დიდი ნაჭერი არგუნა, იცოცხლე და იხარეო, მაგრამ წერამ წერილმა სხვაგვარად, გადაუწყვიტა. რა იყო ეს ახლაც ვერ გავრკვეულვარ კარგად, მაგრამ რას ფიქრობენ მასზე მცოდნე ადამიანები, აი, ნახე...“ უზარმაზარი ნაცრისფერი ალბომი, რაღას არ ნახავ შიგ: — ჩაყვითლებული ამონაჭერი ჟურნალ-გაზეთებიდან, ექვსად მოკეცილი აფიშები — არშინიანი ასოებით დაწერილი სახელი და გვარი ჩემი მასწავლებლისა, იქვე მისი ფოტოსურათებიც, ახოვანია, წელში გამართული, ფრაკი აცვია, მაღალი ყელი — თავი ამაყად აღერილი — ხელში პატარა ვიოლინო უჭირავს ამ ბუმბერაზ კაცს, მადლობის ნიშნად თავდახრილი, ფერხთით ყვავილების კალათები, ფოტოსურათები, ფოტოსურათები, ფოტოსურათები, ფოტოსურათები; „უდიდესი არტისტი იყო, ლაურეატი. მეტისმეტად სინდისიერი კაცი იყო — საოცარია ღმერთმანი, მხოლოდ ლაშქარში, რიგით ჯარისკაცადო, — თქვა და ველარ გადაათქმევინეს, წარმოგიდგენიათ — მევიოლინეს ხელში თოფი და ნიჩაბი ეჭიროს? და მაინც წავიდა, არ შეეძლო, არ წასულიყო. ისე დაიჭრა, პირდაპირ საოცარია, როგორ გადარჩა ცოცხალი. პირველად ლაზარეთში ვნახე — მოწყალების დად ვმუშაობდი — შემეშინდა, ორი საათის სიცოცხლეღა თუ დარჩენოდა, — ნახევრად დაბრმავებულია, ერთიანად მოკრუნჩხული ხერხემალი დამტვრეული აქვს ისე, რომ თავს ვერ მოუყრი. სახე კი ისეთი ნათელი აქვს, გაფითრებული, ვხედავ ძარღვებში სისხლი როგორ მიედინება, ძლივ-ძლივობით, გაჭირვებით. გადავარჩინე. ბავ-

შვივით შემეჩვია, დავაყენე ფეხზე, — გაფრინდი, ჩემო შევარდენო, ჩვენ ერთი გზა არა გვაქვს-მეთქი, — დარჩა მაინც ჩემთან. რა დოვლათი შევიძინე, ან რა ვუშველე, არ ვიცი. ვიოლინოს ხელთ აღარ იღებს უკვე, იმიტომ კი არა, რომ აღარ შეუძლია, არა უბრალოდ აღარ სურს — სხვა არაფერი, ჩამოვედით აქ, გვარი უნდოდა გამოგვეცვალა, ჩემ გვარზე უნდოდა დაწერილიყო. არაო, მეუბნება, აღარ ვარსებობო, მოსკოვთან დავიღუპე, ეს შენ გამაჩინე ამქვეყნად ხელმეორედო — და, აი, მეც შენს გვარს ვატარებო. ძლივს გადავათქმევინე.

უცებ ოთახში შემოიჭრა — მე უფრო ვიგრძენი, ვინემ დავინახე, — გოგონა, პაწია, ჰაეროვანი, ქერა ბულულა თმა ჰქონდა. ზაზუაწვერა: თეთრ კედელთან დადგება და — ვეღარ დაინახავ, ლამის მთელი სახე დაუფაროს ნაცრისფერმა თვალებმა, რომლებსაც არც ახამხამებს. დედას ამოეფარა და ისე იყურება — შეშინებული. „ეს კი სტანია გახლავთ ანუ სტანისლავა. აბა, მიესალმე, სტანია...“

ჩემი ცხოვრება ერთბაშად შეიცვალა. სტანისლავ ბიკენტის ძესთან სიხარულით დავდიოდი, ლამის მივრბოდი, მეშინოდა, არ დამგვიანებოდა. ვიოლინოზე თითქმის არ ვმეცადინეობდით — ამ ამბავმა ჭირი მოგვჭამათ. ყოველშემთხვევაში, ჩემთვის ასე იყო... შუა ოთახში იდგა მრგვალი რკინის ღუმელი — ნახერხით ახურებდნენ — სარდაფიდან ვედროებით ვეზიდებოდი — შესანიშნავი სუნი ჰქონდა ამ მძიმე, ოდნავ ნესტიან ნახერხს. ღუმელი გავარვარდებოდა, წითლად ღუოდა, ზედ კი ჩაიდანი იდგა და სახურავი სულ მუდამ ხტოდა. ვსვამდით მურაბიან ჩაის — შავი ცირცელის მურაბას დეიდა ტასიას ურალიდან უგზავნიდნენ — სტანისლავ ბიკენტის ძე კი გვიამბობდა ამ მთისას, იმ ბარისას. მე და სტანია თაგუნებივით ვისხედით — ჩუმად-ჩუმად და ვისმენდით ინგლისისა და პარიზის, ვენისა და ვარშავის, კონცერტებისა და კონკურსების, დიდი პიანისტებისა და მევიოლინეების ამბებს, ახლა აღარაფერი აღარ მახსოვს, მხოლოდ ხმა მესმის თითქოს მეორე ოთახიდან, ტიხარით რომ იყო გამიჯნული, მაგრამ ტიხარი ჭერს არ წვდებოდა, რადგან ხოთბო, — რაკი მაღლა მიიწევს, მთელს ოთახს მოსდებოდა. ჩუმად ირწევა ტასია დეიდა, ხელში მუდამ საქსოვი უჭირავს, შორიდან გახედავს ხოლმე ქმარს, ხომ არ დაიღალაო, დიდ ფინჯანში ჩაის უმატებს.

ყველაფერი გულსაკლავად გამოაშკარავდა: გამოცდაზე სამარცხვინოდ ჩავფლავდი და გამრიცხეს სამუსიკო სკოლიდან, როგორც სავსებით უნიჭო. სტანისლავ ბიკენტის ძეს ძალიან გაუხარდა, ასე რომ მოხდა — ესმოდა ჩემი გულისნადები. ოჯახში ერთი აურზაური ატყდა — რაღაც საშინელება დატრიალდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დედამაც დაყარა ფარ-ხმალი. სტანისლავ ბიკენტის ძესთან სიარული ძალიან მკაცრად ამეკრძალა (მოღალატე), მაგრამ ზოგჯერ მაინც ვახერხებდი წუთით შემერბინა. აღფრთოვანების შეძახილებით მხვდებოდნენ და მურაბიანი ჩაით მიმასპინძლდებოდნენ. ოთახში სითბო და სიმყუდროვე იყო...

არც მევიოლინე და არც ლეიტენანტი ჩემგან არ დამდგარა.

## პური

პურის სურნელი გამთენიის ხანს გაღვიძებამდე მუდამ მესიზმრებოდა, ოჯახში პურის ყიდვა მე მევალებოდა. ეს ახლა სულ უბრალო ამბავია — წახვალ მაღაზიაში, მეზობელ შენობაში, მიხვალ ღია სტელაჟებთან და ესეც შენ პური — ინებეთ, ბატონო. იმხანად კი ომისშემდგომი ბარათები ას-ას იყო

შეიცვალა — ჩვეულებრივი ფულით შეგეძლო გეყიდა პური, მაგრამ უზარმაზარი რიგები იდგა. ზუსტად შვიდ საათზე (მაღვიძარას მაგივრობას პურის სურნელება მიწევდა) სიზმარში: ჯერ შორეული, ძლივს შესამჩნევი, შემდეგ თანდათან მიახლოვდებოდა და ბოლოს ახალგამომცხვარი პურის მძაფრი სურნელი მივსებდა ცხვირის ნესტოებს — წამოვხტებოდი თვალდახუჭული, სწრაფად ჩავიცვამდი, შევისხამდი სახეზე ცივ წყალს და თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი მეზობელ ქუჩისაკენ, სადაც უზარმაზარ ოთხკუთხა ეზოში, ოთხსავ მხარეს რომ შემოტმასნოდა ჩაყვითლებული თვალდავსებული სახლები, მდებარეობდა პურის მაღაზია. ისე კაცმა რომ თქვას, პურის მაღაზიაში შესასვლელი მეორე ეზოდან იყო, ხოლო აქ გამოდიოდა მხოლოდ ცხაურიანი ფანჯარა — ფარღალალა გისოსებში თავისუფლად ეტეოდა მთელი პური — მაღაზია პატარა იყო და ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა — დაანგრევდნენ და, აი, მონახეს გამოსავალი. პური რვა საათის შემდეგ მოჰქონდათ, მაგრამ რიგი ადრიანად დგებოდა, უთენია. ქალები და მოხუცები ცალკე რიგს იჭერდნენ, ქალებისას და კაცებისას — ერთი ქალი, ერთი კაცი, კაცები გაცილებით ცოტანი იყვნენ, აი ამიტომაც გამომყვეს ოჯახში პურის მომტანად. ბავშვები ცოტანი ვიყავით — თითქმის მუდამ ერთი და იგივენი, ყველას ვიცნობდი. პურის მანქანის მოსვლამდე რიგი გაიწელებოდა, ერთად შექუჩებული ქალები ვიღაცას ძრახავდნენ, ერთხმად ყაყანებდნენ, სიტყვის თქმას არ აცლიდნენ ერთმანეთს. მამაკაცები თავგამოდებულად აბოლებდნენ, ჩუმად გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს, ბავშვები კი, ექვსნი ვიყავით სულ, — გავრბოდით ჩვენი საყვარელი ადგილისაკენ — რკინის გარაჟის უკან, მოფარებულ ადგილას და „ავჭალურს“ ვთამაშობდით. ყველანი ჩემზე უფროსები იყვნენ, მაგრამ სიმაღლით მათი ტოლი ვიყავი და ამიტომ წლოვანებითაც ტოლები ვჩანდით. რიგრიგობით გადავცემდით ერთმანეთს სიმინდის მარცვლებით გამოტენილ ნაჭრის თოფრაკს და ხმამაღლა — ყველანი ერთხმად ვითვლიდით — ვინ რამდენჯერ ააგდებდა მარცხენა ფეხის ქუსლის შიდა მხარით ჰაერში ისე, რომ ძირს არ დავარდნოდა — დაუვარდებოდა და თამაშისთვის თავი უნდა დაენებებინა და თოფრაკი შემდეგისათვის გადაეცა: მაგრამ არც ერთხელ, როგორის გატაცებითაც არ უნდა გვეთამაშა, არასოდეს გამოგვპარვია პურის ფორნის მოსვლის დრო. როგორც კი ვკიდებდით თვალს სახლებს შორის ფორანს — მაშინვე გავქუსლავდით, რათა მივშველებოდით მძღოლს შემოსულიყო, ხალხში გზას ვუკვალავდით. ერთი სიტყვით, ხალხი, თითქოს ბრძანება გასცესო, მწყობრში დგებოდა, მკვეთრად მოხაზულ ფორმას იღებდა — წესრიგის დამცველნი — (აქოდა, გამოჯანდრეულები არ ჩაეკვეხონო) განკარგულებებს იძლეოდნენ რიხიანად. ჩვენ კი უკან-უკან ვიხევდით, თან ფორანს ფანჯრისაკენ მივათრევდით. მძღოლი კაბინიდან ნელა გადმოდიოდა, თითქოს უგუნებოდ არისო, მიდიოდა დინჯად, ტაატით ფორანის კარისკენ — ტკბებოდა ხალხი ყურადღებას რომ აქცევდა და მოუთმენლად ელოდა, — რატომღაც ქირზის ჩექმის ჭკვინტს უკანა ბორბლების შინას მიარტყამდა, შემდეგ ზოზინით აღებდა კარს და ბოლოს და ბოლოს, იწყებდა პურის გადმოტვირთვას — მრგვალი, ჯერ კიდევ თბილი, სურნელოვანი პურისა, მგლის მადას რომ აღგიძრავდა ადამიანს. აუჩქარებლად ტვირთავდა, თითო-თითოდ გააძვრენდა ხოლმე რკინის გისოსებში, სადაც გამყიდველი ზინა და დამხმარე მუშა კოლია ელოდნენ. ზინა ფრთხილადართმევდა პურს, ეშინოდა, არ დამივარდესო, კოლია კი შურდულივით ისროდა პურებს ნესტიანსა და ცარიელ თაროებზე, თან თავს იწონებდა საკუთარი მოხერხებულობით: ერთი შემხედეთ რა ზუსტად ვისვრი მიზანშიო.

გადმოტვირთვა დაუსრულებლად დი-

ღხანს გრძელდებოდა, მოსაწყენად და ულმობლად. პირში დაგროვილ ნერწყვს გადავყლაპავდი და შიმშილზე რომ არ მეფიქრა, პურს ვითვლიდი. „რამდენია?“ — უყვიროდა ზინა მძღოლს. „მე საიდან უნდა ვიცოდე? — მხრებს აიწურავდა მძღოლი. — შენ გჭირდება და შენვე დათვალე.“ ხალხი უკვე ღელავდა, ერთნი ზოზინა მძღოლს ლანძღავდნენ, მეორენი — უგერგილო ზინას, მხოლოდ ყოჩაღ კოლიას ინდობდნენ. გულისგამწვრილებელი მოლოდინი გაღიზიანებად იქცეოდა, გაღიზიანება კი გამოსავალს ეძებდა და იპოვიდა კიდეც. მაგრამ მძღოლს ფეხებზე ეკიდა ყველა და ყველაფერი. „თქვენ თვითონ გადმოტვირთეთ, გამომიჩნდნენ აქ კრიტიკოსები! იმუშავეთ ერთი ჩემს ადგილზე და მაშინ ვნახავთ. მე, რომ იცოდეთ, სულაც არ მევალება, რომ მტვირთავად ვიმუშაო. ნაღდ სამუშაოზე დამიქირავეს საჭე რომ ვატრიალო და არა პურის ჩასატენად“, — ღრინებოდა მძღოლი.

— იქნებ, მართლაც მივეხმაროთ, ა? — ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიძახა ყავარჯნებიანმა ძიამ, — შარვლის ცალი ტოტი ზედ თეძომდე ჰქონდა აკეცილი და დამაგრებული.

— შენც ადექი და მიეხმარე, — დაგესლა ულვაშა ფაშფაშა დედაკაცმა, რომელიც ყველაზე მეტად ილანძღებოდა.

— მივეხმარები კიდეც, — ახტუნდა ყავარჯნიანი ძია.

— შენ რა, მართლა შეიშალე?! ვერ ხედავ, კაცი ხეიბარია? ვაი, სირცხვილო, თვითონ რომ გააქანო ხელი, გულზე ქონი აღარ დაგადგება, — მივარდა ფაშფაშას თავსაფრიანი დედაბერი.

და აი ატყდა ერთი აურზაური, აგორდა ზვავი: ქალები აქოთქოთდნენ, აყვირდნენ, გაიყვნენ ორ ბანაკად, მამაკაცები ცდილობდნენ დაეშოშმინებინათ ისინი, მაგრამ ამაოდ. ერთბაშად დაავიწყდათ რატომ დაიწყო ყოველივე, პური თითქოს არ არსებობდა, რიგი დაიშალა, გაიფანტა, წაირეცხა. ბიჭები ცნობისმოყვარედ, თვალგაფაციცებულნი შევყურებდით გამძვინვარებულ ქალებს.

— ერთი ამათ უყურეთ? რას დაგიღიათ პირი? თქვენ უნდა მიეხმაროთ მძღოლს, თქვე საცოდაო უქნარებო, — მოგვვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი.

— სწორედ მაგისთვის სცალიათ! მაგათ მხოლოდ „ავჭალური“ ითამაშონ, სხვა რა შეუძლიათ?! — მოგვიბრუნდნენ სხვა ქალებიც.

ახლა ყურადღების ცენტრში ჩვენი ჯგუფი აღმოჩნდა. ეს ისეთი მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რომ დაბნეულები ხან ქალებს მივჩერებოდით, ხან ერთმანეთს.

— რას მივარდით ამ ბავშვებს, საოცარია, ღმერთმანი! ჯერ ბავშვები არიან, მოესწრებიან თავის წილ შრომას ცხოვრებაში, — სცადა გამოქომაგება დედაბერმა.

— ჩვენა ვართ ბავშვები? — შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ვალიკომ, ჩვენში ყველაზე უფროსმა, — გესმით, ბიჭებო, რას ლაპარაკობენ ჩვენზე?

და, მართლაც, ამ საწყენის გადაყლაპვა არც ერთ ჩვენთაგანს არ შეეძლო. თვითეულს ნამდვილ მამაკაცად მიაჩნდა თავი. ერთმანეთისთვის სიტყვა არ გვითქვამს, ისე მივცვივდით ფორანს. მძღოლმა შეწყვიტა გადმოტვირთვა, აყროლებულ პაპიროსს და თან ყოველ წამს იფურთხებოდა. თვალის დახამხამებაში შევფრინდით ფორანში, მივაჭყლიტეთ გაოგნებული მძღოლი და პურიც, ხელიდან ხელში რომ ვუგდებდით ერთმანეთს, ჩაუქროლებდა მძღოლს ცხვირწინ, გაფრინდებოდა ცხაურის რკინის გისოსებისკენ და პირდაპირ ხელში უვარდებოდა კოლიას, და ისიც კიდევ უფრო სწრაფად მოისროდა უკვე დამძიმებულ თაროებზე. პური თბილი იყო, ხორკლიანი, ხრატუნა. რაკი შეუჩვევლები ვიყავით, მალე დავილალენით, ხელები დაგვიბუჟდა, მხრები გვტეხავდა, მაგრამ არც ერთმა არ შევიმჩნიეთ — საქმე ჩინებულად მიდიოდა. რიგი სკასა-

ვით ზუზუნებდა, მძღოლი დაფაცურდა, ერთი პირობა სცადა საქმეში ჩაბმულიყო, მაგრამ ჩვენს ჯაჭვში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. და დარჩა ასე პირში ჩალაგამოვლებული, პაპიროსი ქვედა ტუჩზე მიკვროდა.

ფორანი დაცარიელდა. დაწითლებულნი, გაოფლიანებულნი გადმოვხტით მიწაზე, ხელები გვიკანკალებდა, კუნთები დაგვებძაგრა, ხელისგულები გვიხურდა, მაგრამ ამაყნი და ბედნიერნი ვიყავით. მხრებში გავიმართენით და დარბაისლურად, თითქოს აქაც არაფერი მომხდარაო, ჩვენ-ჩვენი ადგილებისაკენ გავეშურეთ რიგში.

— სით მიდიხართ, ბიჭებო, სით? ხალხნო, მოდით ურიგოდ გავუშვათ, — ხტუნვით მოვიდა ჩვენთან ხეიბარი.

— არა უშავს, ვიდგებით, — ცალცალკე, მაგრამ ერთსულოვნად ვიუარეთ.

— ურიგოდ, ურიგოდ, — უკან დაიხიეს და ადგილი დაგვითმეს ფანჯარასთან ქალებმა.

მამაკაცები გვიჯიკავებდნენ, ზურგზე ხელს გვიტყაპუნებდნენ და ისე მიგვიყვანეს უცაბედად გათავისუფლებულ ადგილას.

მძღოლი მთლად ჩაიფერფლა, თითქოს დაპატარავდა კიდეც; სასწრაფოდ შეძვრა კაბინაში და აამუშავა ძრავა, — მისთვის არც შეუხედავს არავის. გამყიდველმა ზინამ ფრთხილად დაგვირიგა პური და ჩვენც გავიარეთ ნელა ხალხში, გზას რომ გვითმობდა, სასიამოვნოდ დამძიმებულნი პურისა და დალლილობისაგან.

მახსოვს იმ პურის გემო — განსაკუთრებული — უფრო გემრიელი არასოდეს მიჭამია.

## ბზანღ

დავდიოდით ძველი ქალაქის შეხუთულ, პატარა ქუჩაბანდებში, სადაც ერთი ხეც კი არ იდგა, და ყოველი სტუმრისათვის საგანაწესო აუცილებლობად ქცეულ რიტუალს ვასრულებდით. თუმცა მე რი სტუმარი ვიყავი, სტუმრები ისინი იყვნენ, ჩემი თანამგზავრები, ერთი — ქერა წვეროსანი, რომელსაც მრგვალი, ერთთავად გაოცებული თვალები მოუჩანდა სათვალის ასევე მრგვალ მინებში და მეორე—შავგვრემანი შორტებიანი, რომელსაც მსხვილი ჰორფლი ეყარა უწვერულ, დანაოჭებულ სახეზე და ნახევრად კაცსაც ჰგავდა და ყმაწვილსაც. მე სიამოვნებით ვასრულებდი გიდის მოვალეობას, მიხაროდა კიდეც, რაკი იშვიათი საშუალება მომეცა უბრალოდ, უსაქმოდ მეყიალა ამ ბავშვობიდანვე ნაცნობ, მაგრამ გამუდმებული მოუცლელობის გამო უკვე მივიწყებულ ადგილებში. მეტწილად ვდუმდი, ვცდილობდი ჩემი ახალი ნაცნობები თვითონ ჩაწვდომოდნენ უცნობ ყოფას, შეეგრძნოთ აქაურობის საოცარი განსხვავებულობა მათი ყოველდღიური ცხოვრებისაგან და, ასე თუ ისე, შეეცნოთ იგი. თუმცა ისინი არც არაფერს მეკითხებოდნენ, ყველაფერს უშუალოდ ითვისებდნენ, არაფერი უკვირდათ, არც ჩვეულებრივი ტურისტული აღფრთოვანება ეტყობოდათ. ვიწრო, ნახევრად მრგვალი ეზოები, ერთი-მეორეზე ყოველგვარი იერარქიისა და არქიტექტურული შესაბამისობის გარეშე აჩიხოლავებული სხვადასხვა ზომის ფიცრული აივნები ლამაზი ჩანდა, მაგრამ შეხუთული ჰაერი იდგა და აქ ცხოვრება, არც მეტი, არც ნაკლები, ძნელი იყო. მაგრამ აქი ცხოვრობს ხალხი: ბავშვები ბურთაობენ, კოჭაობენ, ჩხუბობენ, მოთენთილ დედაკაცებს პირდაპირ ნავთქურებზე დაუდგამთ სპი-

ლენძის კრიალა ტაშტები, ვეება ჩამჩებით ურევენ სურნელოვან მურაბას, ტყემალს, კვაწარახს, უყვიან ბავშვებს, ხმამაღლა ელაპარაკებიან ერთმანეთს, თან გათაკარებულ სახეებს იწმენდენ ძველი წინსაფრებით. კაცებს ნარდი გაუჩალებიათ, გულიანად ექილიკებიან ერთმანეთს და საითაც არ უნდა წავიდეთ, ყველგან მოგვდევს კამათლების ყრუ ჩხაკუნი. ჩვენ ისე, ცერად შევავლებენ ხოლმე თვალს, თითქოსდა უჩვეულო არაფერია, მოგონილი გულგრილობით გვხვდებიან. წამიერი მზირები ვართ აქ მიმდინარე ცხოვრებისა, თავს უხერხულად ვრგძნობთ და სწრაფად ვაგრძელებთ გზას.

მე ამ ეზოების, აივნების, ამ თამაშების შვილი ვარ, ვიცი ამათი კოდი, რიტმი, ჟესტები, მაგრამ თანამგზავრებს არაფერს ვეუბნები, შეუძლებელიცაა ყოველივე ამის მოყოლა. ამიტომაც უბრალოდ წარმოვთქვამ ქუჩების სახელწოდებებს, ვამბობ რა ჰქვიათ ამ ხეებს თუ თამაშებს, თითქოსდა სახელებს თავისთავად, ჩემს ჩაურევლად შეეძლოთ რამეს თქმა. „დიახ, დიახ“, — თანხმობით მიქნევდნენ თავს სტუმრები. მეც მადლობელი ვარ ამ დასტურის, თმენისა და დუმილის გამო. ქვემოთ, მაიდნისაკენ ვეშვებით, გადავდივართ ხიდს და აბანოებისაკენ მივდივართ, თბილისის გოგირდოვანი აბანოებისაკენ ,რომლებიც ჯერ კიდევ პუშკინმა... ერთთავად დამაბული ვარ და ველი. და აი, კითხვაც: „ერთი ეს მითხარით, აბანოები ახლაც მუშაობს?“ ამას წვეროსანი მეკითხება და კარგადაც ვიცი, რა უნდა. „რასაკვირველია, რასაკვირველია. ხომ არ შეგვეხედა?“ „თუკი არ გეძნელებათ...“ „რას ბრძანებთ, — ვამბობ რაც შეიძლება არხეინად, — მაგრამ რომელში?“ ვიცი, რომელშიც, კარგა ოცდაათი წელი იქნება, რაც თავი მახსოვს, ვიცი, ვიცი, მაგრამ ბარე ათი წელია აქ არ ვყოფილვარ და ესეც შენ. „რომელშიო?“ „თუმცა, იცით რა, სულერთია, — თითქმის ერთხმად ამბობენ ჩემი თანამგზავრები, — თქვენ უკეთ იცით“. ჰოდა, წინ მივდივარ, გვერდს ვუვლი მირზოევის სილაყვარდეს, 72-ის ნოტიო სიგრილეს, 51-ის შემინულ გუმბათებს და 31-ისაკენ მივეშურები. დიახ, დიახ, ზუსტად 31-ისაკენ. ქვის საფეხურებით ვეშვები ქვევით, მქრქალი ნათურით მოსხივებულ მიწისქვეშეთში, თავდაჯერებით ვკრავ ხელს ნესტისაგან გაჟიჟინებულ კარს. თეთრი ხალათი ზიზღით გვართმევს ბილეთებს, ზეწრების ქვითრებს და დაუდევრად გვიჩვენებს ტანსაცმლის ვიწრო, ცარიელ კარადებს. მე მის თვალში უმძიმესი დანაშაული ჩავიდინე — სალაროში ავიღე ბილეთები, თითქოსდა ვინმე ჩამოსული ვყოფილიყავი. არ მიცნობს, მაგრამ ეს ჩემი თავდაჯერება, რითაც მის სამფლობელოში ვირჯები, ბევრს მეტყველებს. ზედაც არ მიყურებს.

რა გაეწყობა. რიტუალური სიდინჯით ვიხდით ტანსაცმელს, არ ვჩქარობთ კარგახანია არც თუ ისე ჰაბუკური ჩვენი სხეულების გაშიშვლებას, ფაქიზად ვალაგებთ ტანსაცმელს და მორცხვად გვიწითლდება ზურგები. მერე ვეება როფში ქოშებს ვარჩევ ჩემთვის და ჩემი თანამგზავრებისათვის, მიზეზიანად ვსინჯავ ვიწრო, გახეშეშებულ თასმებს, მომაქვს და ცხელი წყლის მსხვილ ჭავლში ვაწყობ. ჩემი თანამგზავრები ფიცრულ მერხზე ჩამომსხდარან, უხერხულად აუკეციათ ფეხები, მოთმინებითა და გამგებიანად იცდიან. ბოლოს, დიდის ამბით, მათ ფერხთით ვყრი ქოშებს — ამ დროებით ფეხსაცმელებს, წინ მივდივარ და ისინიც მომყვებიან, მობაკუნობენ მობუზულები, ტანზე ხელებაფარებულები. გოგირდის ორთქლი სულს გვიხუთავს, წამით ვბრმავდებით და ვშეშდებით ვეება თაღოვანი დარბაზის კარიბჭეზე — სარდაფს მინის გუმბათი ადგას და ზეცა მოჩანს მაღლა. მაგრამ მე არც მჭირდება თვალის გახელა, აქ ყველაფერი ვიცი. აგერ, მარჯვენა მხარეს ცემენტის ტახტია — მობანავეთა ნეტარი წამების ადგილი. მექისე, თითქოსდა სასრიალოზე გამოსუ-

ლათ, თავისი ხეშეში ფეხებით ზურგზე შეადგება მასაჟის მოყვარულებს, მერე კი საპნის ქაფის ზვინს დაახლის ნაჭრის ტოპრაკით, მანამდე წელზე რომ ჰკიდია ხოლმე. მარცხნივ აუზია, შიგ ბიჭები ჭყლოპინობენ, ვითომ დაცურავენ, აქვე არიან მოზრდილნიც, მასაჟის შემდეგ რომ არაქათი გასცლიათ და ამიტომაც მშვიდად იტანენ პატარების ცელქობას. აქა-იქ, მთელს დარბაზში გაფანტულა ონკანები და ჩქეფს ორთქლიანი, გოგირდის სუნით ახრჩოლებული წყალი. ონკანებქვეშ მობანავეები დამდგარან, მონდომებით იხეხავენ ზურგს, მკერდს, გვერდებს, მექისის დაუხმარებლადაც იოლად გადიან — ან ფული ენანებათ, ან ის უფრო ეამებათ, თვითონ რომ იტყლაშუნებენ ზურგზე სქელ, გრძელ, სუსტთასმებიან ნეჭებს. აგერ, ორ კაცს კარგა ბარაქიანად წაუსვია ტანზე ტარო, ახლა კი გაშმაგებით, საპნის ქაფთან ერთად იცილებენ ბალანსაც, რითაც უხვად დაუჯილდოვებია მათი სხეულები ბუნებას. და ეს გაშვლეპილი სხეულები უკვე საოცარია თავიანთი უსუსური, მეტისმეტი სიშიშვლით. ჩემმა თანამგზავრებმა სწრაფად მიმოიხედეს და ქოშების ბრახაბრუხით მიაშურეს აუზს, მაგრამ დროზე შევძახე: „აუზში ჭუჭყიანი ჩასვლა არ შეიძლება“. გაშეშდნენ აუზის პირზე.

ეს სიტყვები, ეს ჟესტები... კვლავ ექვსი წლისა ვარ. ისეთ სახლში ვცხოვრობ, ხუმრობითაც ვერ იტყვი — კეთილმოწყობილიაო. ლამაზი, მოჩუქურთმებული ფასადი თავისი პატარა რკინის აივნითა და „სადარბაზო შესასვლელის“ რიხიანი სიმძიმით ფარავს სახლის უკანა მხარეს. აქ კი აგურის კედელს უსუსურად მიჰკოსებია ფიცრული აივანი, ერთ დროს მართლაც კოპწია და მართლაც დამშვენებული ხარატული რიკულებითა და სახოვანი სვეტებით, ახლა კი ისეა მოფამფალებული, რომ თავს ძლივს ართმევს თავის არც თუ ისე ადვილ საქმეს. აივანზე ოთხი კარი გამოდის. ამ კარების მიღმა ოთხი ოჯახი ბინადრობს, ერთი მათგანი — ჩემია, თუმცა ერთი საკალმესავით ვიწრო შუშაბანდიცა გვაქვს — სწორედ ამ შუშაბანდში გამოდის ჩვენი ოთახის კარი. ეს აივანი თითქოსდა მეორდება პირველ, უფრო სწორად — ნახევარსარდაფის სართულზე და იქაც ოთხი კარია, ისევ ოთხი ოჯახი. დაბოლოს, დაბლიდან, ტენისის ჩოგნის მსგავსი ეზოდან პირდაპირ ცისკენ მიემართება ხვეული კიბე და გზად ერთ პატარა ბაქანსაც უერთდება. აქ, დაბალჭერიან, ზაფხულის დღეებში სულ უფრო ჩახუთულ, მოასფალტებულბაქნიან მეზონინში კიდევ ერთი, რიგით მეცხრე ოჯახი ბინადრობს სახურავს ზემოთ, პირდაპირ ჰაერში. რასაკვირველია, აქ აბაზანაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ამ სახლში მცხოვრებ უამრავ ბავშვს ვარცლებში გვაბანავებდნენ ხოლმე დედები, საკვოლოდ გვამზადებდნენ კვირაობით. ორ პატარა სამზარეულოში, ფიცრულ კედლებში ჩარჭობილ ლარტყის ლურსმნებზე მშვიდად ეკიდა უამრავი ვარცლი — ოვალური, ოთხკუთხა, ოდესღაც მრგვალი ვარცლები. კვირა დღე ბავშვების საბანაოდ იყო განკუთვნილი, რაკი შაბათობით დიდები, ყველანი ერთობლივ, თავ-თავიანთ საყვარელ აბანოებში მიეშურებოდნენ. ნაშუადღევის ოთხი საათიდან მოკიდებული, სტიქიური გრაფიკი დგებოდა. ჩვენი დედები მხრჩოლავ ნავთქურებზე ააკოლიკებდნენ ხოლმე დიდრონ ქვაბებსა და კასრებს და საათობით ადუღებდნენ დასაბან წყალს. და დგებოდა ჟამი ბავშვთა ჭყლოპინისა და ტყეპისა, ისმოდა მათი ტირილი და დედების მკაცრი შეძახილები. განსაკუთრებული შემთხვევებიც იყო ხოლმე: უცებ გაიღებოდა სამზარეულოს კარი, გამოვარდებოდა ვიღაცის ბავშვი — სულ ტიტლიკანა, გავარდისფერებული, თავზე საპნის ქაფმოდებული, მიჭქროდა თავისი ოთახის კარისაკენ და შეუღებავ იატაკზე ტოვებდა ამ სამარცხვინო გაქცევის სველ ნაკვალევს. ნეჭის ქნევითა და წიოკობით გამოეკიდებოდა გაბრაზებული

დედამისი, დაიჭერდა გაქცეულს, საცა კი მოუხდებოდა — წაავლებდა ხელს და კვლავ ჩააყუდებდა ვარცლში. ამიტომაც იყო, დიდებთან ერთად აბანოში წასვლა ჩვენთვის უცხო და იდუმალ, ნეტარ სამყაროსთან ზიარებას ნიშნავდა. დიდი თრთოლვითა და მოუთმენლობით ველოდით ამ წამს. ნაზიარებნი, სიამაყისაგან გაბერილები ახლა უზიარებლებს გავანდობდით ხოლმე საიდუმლოს და ეს კიდევ უფრო ალვივებდა მათ წარმოსახვასა და სულწასულობას. ახლა ჩემოდანიცა ვთქვათ — პატარა, ოთხკუთხა ჩემოდანი თეთრეულის, ნეპისა და სხვადასხვა საბანაო ატრიბუტებისათვის — იგი ხომ საყოველთაო ნდომისა და ვნებათა საგანი გახლდათ. მისი მფლობელი უკვე მოზრდილად ითვლებოდა, აქედან გამომდინარე ყოველი უფლებისა და შესაძლებლობის მქონედ.

ჰოი, მარადიული და ყოვლისმომცველი „არ შეიძლებას" სამყაროვ. როგორ ვოცნებობდით თავი დაგვეღწია შენი მჭიდე მკლავებისაგან და ჩვენივე გამოგონილი ეფემერული ხიდებით შევვარდნილიყავით დიად „შეიძლება"-ში. მოუთმენლად და დაჟინებით ვამტკიცებდით დიდების სამყაროში ცხოვრების ჩვენეულ უფლებას და ხშირად არც კი ვიცოდით, რომ დიდების სამყაროც სწორედ ამ „შეიძლება-არშეიძლებასაგან" შედგება. ყოველივე ამას შემდეგ ვიგებთ, ჯერჯერობით კი...

„რა ხუსტურია ექვსი წლის ბავშვის აბანოში წაყვანა!"

„კი მაგრამ, ოდესღაც ხომ უნდა წავიყვანო?"

„ოდესღაც და ახლა არაა ერთი და იგივე. არ გამოვუშვებ!"

„კარგი, გეყოფა, კაცია უკვე".

„სადაური კაცია, ტანსაც ვერ დაიბანს თავისით!"

„მექისე რისთვისაა? ისე გახეხავს, შენი მოწონებული!"

„ო, ღმერთო, მექისელა მაკლდა. არ გაბედო, მექისე არ მიაკარო. იმ ნეჭით ათასნაირ ჭუჭყიან გლეხებსა ხეხავს... არ გამოვუშვებ!"

„რას ამბობ, რის ჭუჭყიანი, რა ჭუჭყიანი..."

„თანაც იქ ყოველნაირი ბაცილებია, ათასნაირი სენი..."

„ბაცილები გოგირდის სუნს ვერ იტანენ, იხოცებიან".

„სულელური ხუმრობაა. აკი გითხარი, არ გამოვუშვებ-მეთქი!"

„კარგი, გეყოფა, გაგვიმზადე ჩემოდანი!"

„ნუ დამიწყებ აქ მბრძანებლობას, თავად ვიცი ჩემი საქმე".

„ჰოდა, ქენი, დროა უკვე!"

„არ გამოვუშვებ, სულ ერთია, მაინც არ გამოვუშვებ..."

„დაიწყე ისევ შენებურად... გეუბნები, გაამზადე-მეთქი".

„აბა რას ასწავლი ბავშვს? იქნებ ფეხბურთზედაც დააწყებინო წოწიალი, ჰა?"

„წავიყვან, მაშ როგორ. ხვალვე წავიყვან, ხვალვე".

„აბა რა ვუთხრა, გადარეულია, პირდაპირ გადარეულია!"

„დროა კაცი დადგეს, დროა. თორემ მერე კალთიდან ველარ მოიცილებ, დედიკოს შვილიკოს გაზრდი. აი, ნახავ თუ არა!"

მე კი სიხარულისაგან აღარა ვარ დიდი კარადის უკან შეგულებულ ჩემს საფარში. იგი კუთხითაა კედელზე მიდგმული და უცხო თვალისგან თავისი ფართო ზურგით ფარავს ნაკრაულებს, ბალიშებს და სხვა ათას ხარახურას. მშობლები ხმადაბლა, მსტვინავი ჩურჩულით ლაპარაკობენ. ხან ფრთებჩამოყრილი ვიბუზები დედაჩემის რეპლიკების გამგონე, ხანაც იმედიანად მმართავს წელში მამაჩემის პასუხები. ვიცი, სულ ერთია, მამა მაინც თავისას გაიტანს და ცოტათი კიდეც მეცოდება დედა, მაგრამ... აბანო, ფეხბურთი, ჩემოდანი, ვაშაა!

და აი, მე უკვე ჩემოდანი მიჭირავს ხელში, პატარა, ყავისფერი, ხაკეტმონიკელებული ჩემოდანი საკმარისია

ხელი დააჭირო გასაღების ნახვრეტიან მრგვალ ღილს და საკეტიც წამსვე იხსნება. ჩემოდანს ქსოვილის პატარა ჯიბეცა აქვს და სულ პაწია სარკეც. ეს ჩემოდანი ჩემი დისაა, ტანვარჯიშზე ამით დადის და თითსაც კი არ აკარებინებს არავის, ძუნწი! აი, ახლა კი მე მიჭირავს ჩემოდნის ხეშეში სახელური, ვცდილობ ფეხი ავუწყო მამას, მივაბიჯებ და ჩემოდანი განზე გაშვერილი ხელით მიმაქვს. ასე მგონია, მთელი ქუჩა მომჩერებია და ყურებზე ცეცხლი მეკიდება...

გრძელი და მიხვეულ-მოხვეული იყო აბანოსაკენ ჩვენი სავალი. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, სულ სირბილით გავქანდებოდი, მაგრამ კაცს ამჩატება არ შეეფერება და როგორღაც გულდაგულ ვცდილობდი როგორმე დამეცხრო ფეხებში შემდგარი ქავილი. დინჯად მივაბიჯებდი მამაჩემის გვერდით. სადალაქო, სადაც მამაჩემი პირს იპარსავს და თმას იკრეჭს, ჩვენი სავალი გზიდან საკმაოდ შორსაა, მაგრამ მაინც მივდივართ იქითკენ. სადალაქო მომცრო ფიცრული ოთახია, სარდაფსა ჰგავს, ამ სარდაფამდე ხის სამი საფეხურით შეიძლება ჩასვლა და ამ საფეხურებზე ახლა ორი დალაქი ჩამომჯდარა. ისე გართულან ნარდის თამაშში, ვეღარც კი გვამჩნევენ. ერთი — მაღალი, მხარბეჭიანი კაცია, ფუმფულა ჭაღარა თმა და ასევე ჭაღარა, ჩამოფლამული ულვაში აქვს, მეორე — დაბალი და სულმთლად მელოტია, მაგრამ ამასაც ულვაში აქვს, ოღონდ ძაფივით წვრილი. თვალები ისე გადმოკარკვლია, გეგონება ვინმე უჩინარმა ყელში ხელი წაუჭირა. მაგრამ მთავარი მაინც — ყურებია. არასოდეს მინახავს ასე ვეებერთელა, უცნაურად გადაღუნულ-გადმოღუნული ყურები, შიგნიდან რომ ბუჩქ-ბუჩქად გამოსჩრია შავი, უხეში ბალანი. მაღალ დალაქს გიორგი ერქვა, დაბალს — გარეგინი. უხსოვარი დროიდან მუშაობდნენ ერთად. ისეთი სტაჟიანი კლიენტები ჰყავდათ, ზოგს საპენსიოდაც კი ეყოფოდა. განთქმული ოსტატები იყვნენ თავიანთი წეს-ჩვეულებანი და თავიანთი ხელწერა ჰქონდათ. საათობით პარსავდნენ ხოლმე კლიენტს, ზოგჯერ მთელ ორ საათსაც კი მოანდომებდნენ, ნება-ნება, დარბაისლური საუბრით ართობდნენ და ისეთ პროცედურებს უტარებდნენ, ახლანდელ დროში ვერც კი წარმოიდგენს კაცი. სადალაქო შიგნიდან ცისფერი იყო. კედლები ჟურნალ „ოგონიოკიდან" ამოჭრილი ფურცლებით იყო აჭრელებული. ეს რეპროდუქციები ისე მჭიდროდ მიტმასნოდა ერთმანეთს, თითქმის გამთლიანებული ჩანდა. გეგონებოდათ, ოთახი ამ ნახატებთან ერთად გაჩნდაო ქვეყანაზე. ოთახიდან დაფოთლილი ფარდა-თეჯირით ერთი კუთხე იყო გამოყოფილი, სადაც გამუდმებით ხრჩოლავდა ნავთქურა, ნავთქურაზე კი სპილენძის მოთუხთუხე ტაშტი იდგა. ერთი კედელი მთლიანად კიდეებმოხატულ სარკეს ეჭირა. სარკის წინ მარმარილოს პატარა მაგიდები იდგა, რომლებზედაც ათასნაირი ბოთლები, შუშები, საპუდრეები, თმის საკრეჭი მანქანები და სამართებლები დაეწყოვებინათ — განიერი, ვიწრო, მქრქალი, ელვარე სამართებლები, ზოგი გახსნილი და ზოგიც დაკეცილი. სავარძლები ხისა იყო, ფართო, მოძრავი საზურგეთი. კლიენტებისათვის სკამები არ ჰქონდათ; გინდაც ჰქონოდათ, სად იყო დასადგმელი ადგილი. მომლოდინენი ან პირდაპირ საფეხურებზე ისხდნენ და ნარდს თამაშობდნენ, ანდა რიგს დაიჭერდნენ და მიდიოდნენ თავიანთ საქმეებზე.

გარეგინმა უკანასკნელად გააგორა კამათელი, ერთი ამოიოხრა და წამოდგა. „წავაგეო" — ხელი ჩაიქნია, შევიდა სადალაქოში და მამაც შეიპატიჟა. დაღონდა ცალად დარჩენილი გიორგი. მე რომ შემასწრო თვალი, ცოტა მოცოცხლდა. „გინდა, ნარდს გასწავლი?" მისი ყურადღებით ნასიამოვნები გავწითლდი, მაგრამ მაშინვე თავი გავაქნიე. „მაშ არ გინდა, არა? ეჰეჰე, უნარდოდ არ ვარგა კაცი. დარდი გაათავებს!" — ვიწრო და გრძელი ხელისგული

ისე ჩაიქნია, თითქოს ჰაერი გაჰკვეთაო. „რას მიადექი მაგ ბავშვს, დაიცა, ნახავ ვინმეს, მოთამაშეს“, — ფარდიდან გამოსძახა გარეგინმა. გიორგის არაფერი გაუგონია, უკვე ულეაში იგრეხდა და სადღაც შორს, უსასრულობაში იყურებოდა თავისი გაშტერებული, შავ-შავი თვალებით, ძაღლის თვალებს რომ უგავდა. გვერდით გავუსხლტი და სადალაქოში ვდურთე თავი, მამაჩემის სავარძლის უკან დავდექი, კედელს ავეკარი. მამაჩემს მაღალი საზურგე ფარავდა, სამაგიეროდ სარკეში კარგად მოჩანდა ცხელი წყლისაგან ოხშივარადენილი თეთრი საფენით დაფარული მისი პირისახე, მილულული თვალები და ოფლის წვეთებით დაწინწკლული შუბლი. გარეგინი ხელებს უსვამდა საფენზე, მამა კი სიამოვნებისაგან იჭმუხნებოდა. ეტყობა, ცხელი იყო საფენი, მაგრამ სასიამოვნოც. გარეგინი მშვიდად, მკაფიოდ ჰყვებოდა რაღაცას, ეკითხებოდა და თვითონვე პასუხობდა თავის შეკითხვებს. „იცი, რა არი, ამ ხნის კაცი რომ უცოლოდ დარჩება? მერედა, რა ცოლი ჰყავდა! შენ ხომ იცნობდი მარიამს — ქალი კი არა, ოქრო იყო, გაანათლოს ღმერთმა. ორ სიტყვას ზედმეტს არ იტყოდა, თავისი ხელით გახდიდა ხოლმე ჩექმებს, ისე უვლიდა, აი, ბავშვს რომ უვლიან. თანაც ხომ იცი, რა პეწენიკიცაა, სულ გახამებულ-გაუთოვებული დადიოდა, გულზე პეპელა ებნია. აზრზე არა ვარ, კიდევ როგორ გადაიტანა... შვილის სიკვდილის მერე იყო, ვეღარ გამოკეთდა ის ქალი... ეჰ, რა ბიჭი იყო, რა ბიჭი! ომი დასწყევლოს ღმერთმა — კლიენტი გაგვინახევრა... დაიჯერებ? ერთ ღამეში სულ გათეთრდა. დილით შევხედე — ვერ ვიცანი ადამიანი. ახლა არ იტყვი, რა თმა ჰქონდა? სულ შავი, შავი, ყორნის ფრთასავით. ერთი ღერიც არ ერია თეთრი, არადა სამოცდაექვსი წლისა კი იყო. მე კი მთელი ცხოვრება ბოგანო დავრჩი. რაღა არ ვიცი ამ ქვეყანაზე: რეცხვაც, დალაგებაც; სადილსაც ისეთს გავაკეთებ, სულ თითებს ჩაიკვნეტ. ეს კი... ეჰ, რაღა უნდა ვთქვა, ჯოჯოხეთია. კი ვურჩიე, ჩემთან გადმოდი-მეთქი, მაგრამ არა და არაო, ჯიუტობს. ამაყია, ხალხში თავს იშერს, ისე კი, როცა მარტოა... ეეჰ, რა კაცია, პირდაპირ ბაჯაღლო ოქროა...“ მამაჩემი რაღაცას ბუტბუტებს იმ საფენქვეშ და თანაგრძნობის ნიშნად თვალებს ახამხამებს. მოვიწყინე, რეპროდუქციებს ვათვალიერებდი, ყურებში კი მაინც გარეგინის ჩურჩული მედგა. აუჩქარებლად, ნებანება უზელდა მამაჩემს ლოყებს, ქამარზე სამართებულს ლესავდა, ხელით ფხას უსინჯავდა და ისევე აუჩქარებლად, ღერიღერ პარსავდა მამაჩემის ჯაგარა წვერს. უკვე აღარ შემეძლო ერთ ადგილას გაჩერება და, როგორც იქნა, ქუჩაში გამოვაღწიე. გიორგი კვლავ გამართული იჯდა და ისევ-ისე შორეთს მიშტერებოდა. იქვე, შორიახლოს გავჩერდი, უცებ შეკრთა, დიდხანს ჩამყურებდა სახეში და უჩუმრად აცმაცუნებდა პირს. ავირიე, არ ვიცოდი, საით გავმძვრალიყავი. როგორც იქნა, მამაჩემიც გამოჩნდა, გარეგინიც გამოჰყვა, ისევ რაღაცას უჩურჩულებდა ყურში, თან ჯაგრისით პიჯაკიდან თმას უბერტყავდა. მამაც თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა, მერე ხელი ჩამოართვა, გიორგისაც გამოემშვიდობა და ისევ გავუდექით გზას.

„რა აბეზარი ბერიკაცია ეს გარეგინა“, — ვთქვი მე. მამა დუმდა, მაგრამ უცებ დაეძაბა და დაებერა ფართო ნესტოები, დაუცხრა და კვლავ დაებერა. ასე გაბრაზებისას იცოდა ხოლმე. „სულ ენადაა გაკრეფილი, დიდი ენაჭარტალა ვიღაცაა“, — ფრთხილად განვაგრძე. მამაჩემი შეჩერდა და ისე ჩემთვის არც შემოუხედავს, თქვა: „ეს მოხუცი ერთი კეთილი, მარტოხელა კაცია, შვილო. ისწავლე ადამიანების მოსმენა — ადამიანს ბევრი არაფერი უნდა, პატარა თანაგრძნობა და ყურადღება ჰყოფნის, გაიგე? მარტოობა ბევრს ალაპარაკებს ხოლმე კაცს, ეს მართალია, მაგრამ მარტო ყველა შეიძლება დარჩეს, გესმის? ასე რომ, კარ-

გად დაიმახსოვრე“. ვიდექით ერთმანეთის პირისპირ, ტუჩებს ვიკვნეტდი, რათა არ ავტირებულიყავი (ტირილი არ შეშვენის კაცს) წყენისა და კიდევ იმის გამო, რომ მამაჩემმა, მეტი არაფერი უთქვამს, ხელი გადამისვა თავზე, თითქოს ქოჩორი გამისწორა, სინამდვილეში კი მამხნევებდა და მამშვიდებდა. დავიმახსოვრე მისი ნათქვამი.

მივდიოდით ქუჩაში, სადაც ერთმანეთზე მიტმასნილი ათასნაირი სახელოსნო იყო ჩარიგებული: საათების, ქუდების, სამკერვალო, მეწაღეთა. მამა მესაათესთან შევიდა და მეც შევყევი. პატარა ოთახის კედლები სულმთლად საათებით იყო ახირხლული, ათასგვარი საათი ეკიდა თუ იდგა — მრგვალი და ოთხკუთხედი, მოქანავე ქანქარებითა თუ ჯაჭვებზე მოძიგძიგე საწონებით დამშვენებული საათები. წიკწიკებდნენ, ხრიალებდნენ, რაღაც ტრიალებდა და თრთოდა მათში; უცებ გუგული გამოხტა ციცქნა ქოხიდან, ხუთჯერ დაიძახა, მერე ყელი ჩაეხრინწა და, აძაგძაგებული, ისევ ციცქნა კარში გაქრა. უმალ ატყდა ზარების რეკვა, ბუბუნი, ზრიალი, ყველა ამღერდა — დიდები, პატარები, სულ პაწაწკინტელები. მოჯადოებული შევყურებდი ამ ახმაურებულ, მრავალ ჰანგზე მომართულ ალლუმს. ცოტაც და, შემინული ბუდრუგანიდან ვიღაც უცნაური კაცი გამოჩნდა. ჟილეტი ეცვა, ლაპლაპა მელოტი თავის შუაში ეულად და გამომწვევად აპრეხოდა ერთი ბღუჯა თმა, მარცხენა თვალის ადგილას, წარბების შესაყარამდე, ვიწრო იარა გასდევდა, რაც მის სახეს ერთთავად გაკვირვებულ და დაძაბულ იერსა სდებდა, სამაგიეროდ მარჯვენა თვალი ისე ფართოდ ჰქონდა გახელილი, მთლიანად მოუჩანდა თეთრი გარსი და გუგის პატარა, შავი კუნძული. ხელებში ცახცახი შესდგომოდა, ეს ცახცახი თითქოს ირგვლივ ყველაფერს ედებოდა და ასე გეგონებოდათ, მინის ზედაპირიანი მაგიდაც კი ტორტმანებსო, ზედ მიყრილ-მოყრილი ათასგვარი გაზები, სახრახნისები, საათის მექანიზმები და პაწაწა დეტალებსაც. მამაჩემი მესაათეს მიესალმა, ხელი ჩამოართვა და მასაც გადაედო ეს გაუნელებელი ცახცახი. „ჩემთან რამ მოგიყვანათ, ძვირფასო, რამდენი ხანია, არ მინახიხართ“, — ცერემონიულად მიმართა მამას მესაათემ და ყელში ისეთი ხუფხუფი აუტყდა, გეგონებოდათ, ეს-ესაა პირიდან გუგული გამოუხტებაო. „ეს ჩემი ძველი საათი რაღაცას ურევს, ხან წინ გარბის, ხან ძლივს მიჩანჩალებს“, — იმავე კილოთი მიუგო მამაჩემმა. „მომეცით ერთი, შევხედო“. მამამ საათი მოიხსნა, გამოუჩნდა სამაჯურისაგან გადაქლესილი მაჯა, და მესაათის მოცახცახე ხელებს გადასცა. უმალ სახელოზე ჩავეჭიდე და სულმთლად დავიძაბე, რათა წამსვე დამეჭირა საათი, მეგონა ეს-ესა გაუსხლტება მესაათის აცახცახებულ თითებს-მეთქი. მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა: მესაათეს უცებ დაუცხრა ხელების კანკალი, მან მოხერხებულად ჩაიდგა ლინზა ერთადერთ თვალში და მშვიდად, ერთ წამში მოაცილა საათს ხუფი. ამქვეყნად ყველაფერი გადამავიწყდა, პირდაღებული მივჩერებოდი ხელოსნის წვრილ, სიფრიფანა თითებს, მსუბუქად და ცქაფად რომ შიგნავდნენ მოუსვენარ, პაწაწათვალებიან მექანიზმს. მეგონა, საცაა ისევ აუკანკალდება-მეთქი ხელები, მაგრამ ყველაფერი რიგზე იყო. მამა მშვიდად და ნირშეუცვლელად ელოდა. ვერა და ვერ დავწყნარდი, ისე გამაოცა ამ ამბავმა. მერე მესაათე წამოდგა, ლინზა მაგიდაზე დადო და მამას საათი გაუწოდა. „ეს საათი არასოდეს გაცვდება. ცოტა მექანიზმი დამტვერილა, წელიწადში ერთხელ უნდა გაწმენდა და მორჩა“. „გმადლობთ“. „მოდი ხოლმე ხანდახან, ისე, უბრალოდ მაინც“. მამას ჩამოართვა ხელახლა აცახცახებული ხელი და მასაც ცახცახმა დაუარა ტანში. მერე მესაათემ თავზე ხელი გადამისვა, მეც შევიგრძენი აკანკალებული თითები. გარეთ გამოვედით, ზურგსუკან გუგულის სევდიანი ძახილი მოგვესმა.

„მესანგრედ იყო ომში, — მომითხრო მამაჩემმა, — მთელი ომი ისე გაიარა, თითიც კი არ გაკაწვრია. ესეც ბედია: საცაა უნდა დამთავრებულიყო ომი, რომ ნაღმზე აფეთქდა. ხელ-ფეხი კი შერჩა მთელი, მარტო თვალი დაევსო და კონტუზია მოუვიდა — სულ აგრე კანკალებს კაცი. დაბრუნდა შინ, რა უნდა გაეკეთებინა. არადა, ისეთი მესაათე იყო, უკეთესს სანთლითაც ვერ მოძებნი. მაგრამ რად გინდა, საათების კირკიტი კი არა, კარის გაღება უჭირდა. სასწაული კი მოხდა: საკმარისია სამუშაო იარაღი აიღოს — სალსალამათია, დადებს იარაღს — ისევ კანკალი აუტყდება, გეგონება ციებ-ცხელება სჭირსო. ცხოვრობს ასე, დღედაღამ სახელოსნოშია, საათები მიეცი და მეტი არაფერი უნდა. ძველმა კლიენტებმა კი ვიცით მაგისი ყადრი, მაგრამ ვინმე ახალმა აბა როგორ უნდა ანდოს საათი?“ პირდაღებული ვუსმენდი მამაჩემს, მებრალებოდა, მიკვირდა, მიხაროდა... მაშინვე გადავწყვიტე, მეზობლებისა და ამხანაგებისათვის მომეთხრო ყველაფერი, რომ მესაათეს არასოდეს მოჰკლებოდა სამუშაო...

კვლავ მივდიოდით, ასე მეგონა, ბოლო არ ექნება-მეთქი ამ გრძელ გზას. აი, მოსახვევში გაბრწყინდა მტკვარი და მდინარეზე წამომდგარმა ზვიადმა ციხე-სიმაგრემ მთელი ცა დაფარა. მივედით. ფეხი შევდგით ბნელ, თაღოვან შენობაში. მკრთალად ციატებდა ერთადერთი დამტვერილი ნათურა. ქვის ფართო კიბე ჩადიოდა ქვევით და პატარა ფიცრულ კარს ებჯინებოდა. საკმარისი იყო ოდნავ შეგეღო ის კარი, რომ უმალ გამოვარდებოდა გოგირდის მკვეთრი სუნით აქოჩოლებული ორთქლი. კიბის მარჯვნივ და მარცხნივ ორი ვიწრო, პატარა ბაქანი იყო აზიდული და ზედ ძელსკამები იდგა. ისხდნენ კაცები და თავიანთ რიგს ელოდნენ. ჩვენც ჩამოვჯექით ერთ-ერთ ძელსკამის კიდეზე და მოთმინებით დავიწყეთ ცდა. კაცები დარბაისლურად, აუჩქარებლად მასლაათობდნენ. მალე მამაც მათ შეუერთდა. ვიჯექი და ვცმუტავდი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მერე ერთი პატარა ბიჭი მომიახლოვდა და თავისკენ გამიხმო. მივედი. მჯილები მიჩვენა და მითხრა: „აბა გამოიცანი, თხილი რომელშია?“ მე კარგა გამოჯეკილ მოთამაშესავით მოვუსინჯე მუშტები, მერე რიგ-რიგობით ყურზე მივიდე და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე: „ამაშია“. სწრაფად გაშალა მუჭი — არაფერი იყო. არ ეგონოს, მოვატყუეო და — მეორე მუჭიც გაშალა. შიგ თხილი ჰქონდა. გაჩაღდა კაკლაობა. თხილი ხელიდან ხელში გადადიოდა. მერე ორი სხვა ბიჭიც შემოგვიერთდა და ახლა წყვილ-წყვილად დავიწყეთ თამაში, დრო შეუმჩნევლად მიჰქროდა. აი, მამაც მეძახის — ჩვენი რიგი მოსულა, დავეშვით ქვევით, კიბეზე. აბანოს დახუთულ, გრძელ წინა-ოთახში ერთმანეთს მიჰყროდა ტანსაცმლის კარადები, კარადების წინ კი, ვიწრო მერხებზე მობანავენი ისხდნენ — ზოგი იხდიდა და ზოგი იცვამდა. დროდადრო აბანოს დარბაზში შემავალი დიდი კარი იღებოდა და გამოდიოდნენ შიშველი, ორთქლში გახვითქული კაცები. მეაბანოე უმალ მათთან გაჩნდებოდა ხოლმე და ყოველ მათგანს ციმციმ შემოახვევდა ტანზე ვეება ზეწარს, თან ბეჭებზე ხელს წაუტყაპუნებდა. სამწუხაროდ, ჩემთვის ცალკე კარადა არ აღმოჩნდა და, გუნებაწამხდარმა, მამაჩემის ტანსაცმლის გვერდით დავკიდე ჩემი სამოსიც. მერე მამა დიდ როფთან მივიდა, კარგახანს ეძებდა შიგ რაღაცას, ბოლოს ორი წყვილი ხის ქოშები ამოიღო, შავი თასმებით მობლანდული. ჩემთვის ყველაზე პატარა ქოშიც კი უშველებელი გამოდგა. გამაყრუებელი ბრახაბრუხით მივყვებოდი მამაჩემს, თან წამდაუწუმ ვირგებდი წამძვრალ ქოშებს. აბანოს დარბაზი ისე დიდი და ბნელი ჩანდა, იმდენი ხალხი იყო შიგ, რომ ვეღარაფერი გავარჩიე. თანაც იმ შეკრულმა ორთქლმაც ლამის დამახრჩო. მამაჩემს

ხელჩაკიდებული მივყავდი, თორემ აბა მე რა ვიცოდი, რა მექნა.

მალე სქელ ნისლში ხალხი და საგნები გამოიკვეთა. ზედ ჩემს თავზევით ცის ნაფლეთი ეკიდა მინის გუმბათის წახნაგებით დახაზული. უკვე ბინდდებოდა და ცის ნაფლეთი მოიისფრო გამხდარიყო. საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან წყალი მოთქრიალებდა, მობანავენი ტოლჩებით ივლებდნენ წყალს, ანდა პირდაპირ კედლიდან გადმოთქრიალებულ ჭავლში დგებოდნენ. მაგრამ აი, აუზი დავინახე — თვალებმილულული, თმაჩეჩილი თავები ამოჩრილიყვნენ წყალში. მაშინვე იქით გავქანდი, ქოშები ქვის ცხელ იატაკზე მივყარე, მაგრამ მამამ მომასწრო და დამიჭირა. „ჯერ ონკანზე მიდი და იბანავე. აუზში სუფთა ხალხია, შენ კი პირდაპირ ქუჩიდან ხარ შემოსული, ასე არ შეიძლება". ქაფქაფა წყლის ჭავლს შევუდექი და ბანვა დავიწყე. ვიფიქრე, ჯანდაბას, ყველაფერს მოვითმენ-მეთქი. მაგრამ აი, უკვე აუზში ვყურყუმალაობ და ლამის ვკვდები მთელს ტანზე შემონთებული სიცხისაგან. თურმე ისეთი ცხელი წყალი ყოფილა, რიდი ეს დაჩრდილ მდუღარე. უცებ ვიღაცას ფეხზე ფეხი დავაბიჯე, ძლივს შევიკავე თავი, კინაღამ წავიქეცი. მაშინვე ვიღაც ხელში მწვდა და ძალისძალად ჩამაყურყუმალა წყალში. „აბა, ჩაყვინთე, ახალბედავ!" ლამის დამახრჩო აყროლებულმა აუზმა. ვიღაც დიდი ბიჭი მედგა გვერდით და კვლავ ჩაყურყუმალებას მიპირებდა. დავუძვერი. „მოდი, გინდა ცურვას გასწავლი?" უშენოდაც ვიცი, თავი დამანებე". ცურვა, რასაკვირველია, არ ვიცოდი, მაგრამ ამას როგორ ვაღიარებდი. მითუმეტეს, ამ დოდრიალასთან. გულაღმა გავწექი ჩხვლეტია, მაგრამ უკვე არც ისე ცხელ წყალში და ხელების ქნევა დავიწყე. რა მოცურავე მე ვიყავი, მარტო წყალი ავაშხეფე შადრევანივით და ეგ იყო. „ხა-ხა-ხა" — სიცილით იგუდებოდა დოდრიალა. საშინლად გავბრაზდი, ალბათ საჩხუბრადაც გავიწევდი, ირგვლივ ხალხი რომ არ ყოფილიყო. მალე გავშინაურდი და ნელ-ნელ, ფეხდაფეხ გავუყევი ქვაფსკერს, ყელამდე შევედი წყალში. მამაჩემი არ ჩანდა. მალე საიდანღაც აუზთან გაჩნდა და დამიძახა. ამოვედი წყლიდან; მაშინვე შემცივდა, თუმცა ირგვლივ ყველაფერი სიცხითა და ორთქლით იყო გაჟღენთილი. მამაჩემმა ვიღაც აწოწილ, გამხდარ კაცთან მიმიყვანა. ამ კაცს თეძოებზე ტილოს სველი ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული, ხმელხმელი, ძვლოვანი პირისახე და წვრილი, წითელი თვალები ჰქონდა, გულზე ლურჯი არწივი ეხატა და რაღაც ეწერა — ვერ გავარჩიე რა, კაცმა უცებ მხარში წამავლო ხელი და კინაღამ დამაბღერტა ქვის ტახტზე, რომელსაც მამამ მანამდე ცხელი, ორთქლადენილი წყალი გადაავლო. არაფერი მტკენია, მაგრამ შემზარა ამ კაცის სიტლანქემ, შემზარა და გამაბრაზა. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ორმა ღონიერმა ხელმა უცებ ზურგზე ლაწალუწი ამიყენა! მერე ხაოიანი და ლიპი ნეჭა დამცხო. ტუჩი მოვიკვნიტე, ქვის ბალიშს აკანკალებული ხელებით ჩავეჭიდე და მამას გავხედე. „მოითმინე, ცოტაც მოითმინე, ეგ მექისეა". მეგონა, ტყავს მაძრობენ-მეთქი. უჩინარმა ხელმა მარჯვედ გადმაბრუნა ზურგზე და თვალწინ აჭარხლებული, ჩიტის მსგავსი წითელთვალება სახე გამიკრთა. მერე იმავე ხელმა ტახტზე წამომსვა. და უცებ თავზე საპნის ქაფის მთელი მთა ჩამომაზვავდა, თვალების დახუჭვაც ვერ მოვასწარი. საპონი ცხვირ-პირში ჩამდიოდა, თვალები მეწვოდა, მერე უცებ წყალი გადამავლეს და ქაფიც გაქრა. მთელი ტანი მიხურდა, მიკვნესოდა, ოღონდ რაღაცნაირი უცნაური სიმსუბუქეც დამეუფლა. „ყოჩაღ, იახში, ნამდვილი კაცი დადგები". მექისე იღიმებოდა და ყვითელ, მეჩხერ კბილებს აჩენდა. მამამაც ბეჭებზე ხელი დამკრა და მითხრა: „გაამოს, შვილო. აი, უკვე კაცი მყავხარ". რა ამაყი და ბედნიერი ვიყავი! დიდების სამყარო უკვე ჩემი გახდა, ახლობელი და ჩვეული, ხელის გაწვდენაღა უნდოდა,

მეტი არაფერი. აი, თურმე როგორი ყოფილა. „ახლა კი ონკანზე იბანავე". მამამ ლომის ღია ხახასთან მიმიყვანა, საიდანაც წყლის წვრილი ჭავლი გადმოდიოდა. შევუშვირე ხელები და ცოტას გაწყდა, არ ვიღრიალე: ყინულივით ცივმა წყალმა დამისუსხა გახურებული სახე და ხელები. „მორჩა, ახლა კი შეგვიძლია წასვლა". მე კიდევ მინდოდა აუზში ბანაობა, მაგრამ ეტყობა შემდეგისათვის უნდა გადამედო. აწი ყოველთვის ვივლი აქ, უკვე შინაური კაცი ვარ. თითქოს ქოშებიც მომერგო ფეხზე. გაჯგიმული მივყვებოდი მამაჩემს და ვცდილობდი უხმაუროდ მევლო. აბანოს წინა-ოთახში ფეხი რომ შევდგით, მეაბანოემ მამაჩემს მხრებზე ზეწარი მოასხა, თან ხელიც მოუტყაპუნა ზურგზე. ახლა ჩემი რიგი იყო, მაგრამ მეაბანოე ხელცარიელი იდგა. ისე გავხდი, თითქოს ვინმეს გავექურდე. მაშინ მამამ რაღაც უჩურჩულა მეაბანოეს, იმანაც თვალი ჩაუკრა და, ღმერთმა უწყის, საიდან გააჩინა — აფრიალდა ქათქათა ზეწარი, წამომახურა მხრებზე. ერთიანად ჩავიძირე გრილი ქსოვილის უკიდეგანო სივრცეში. ზურგზედაც მომიტყაპუნა ხელი. დავბორიალდი. გზა ველარ გავიგნე. იატამდე დაშვებული ზეწრის ბოლოები ავკეცე და ღირსეულად გავემართე კარადისაკენ.

გარეთ რომ გამოვედით, უკვე ბნელოდა. სინათლეები აინთო და ისეთი კარგი და მყუდრო გახდა ის პატარა ქუჩა, რომ შინ წასვლა არ მინდოდა. ნელა მივდიოდით ტროლეიბუსისაკენ, საღამოს სიგრილეს ვისუნთქავდით. ტანი ისე ამიმჩატდა, თითქოს ფრთები გამომესხა ბეჭებზე. უჩინარი მტკვარი ყრუდ დუდუნებდა ციხე-სიმაგრის ქვეშ. ჩამოდგა ტროლეიბუსი...

აბანოს ბინდიდან თეთრ, თვალისმომჭრელ შუადღეში რომ შევაბიჯეთ, ჩემმა თანამგზავრებმა თვალები მოჭუტეს. „ძალიან საინტერესოა, ძალიან, — თქვა წვეროსანმა. — ყველაფერი რა უჩვეულო და ახალია". „ეჰ, ხვალ მივემგზავრებით, თორემ ერთხელაც მოვიდოდით აუცილებლად", — კვერი დაუკრა მეორემ. მე კი მდუმარედ ვიყურებოდი ზემოთ, ბოტანიკური ბაღისაკენ ამავალ, რიყის ქვით გაწყობილ ციცაბო აღმართს გავცქეროდი. აუჩქარებლად ჩამოდიოდა ვიღაც კაცი, გვერდით თეთრქუდა ბიჭი მოსდევდა, პატარა ჩემოდანი ეჭირა განზე გაშვერილ ხელში.

თარგმნა **დოდო სანიკიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჯი ძიძიშვილი

## ადამიანის სადიდებლად თქმული

სადღაც, მსოფლიოს უკუნ მღვიმეში იწექ ბეჩავი,
იწექ მხეცი და იწექ ნადირი დაუგეშავი.

ყოველ ცისმარეს მზეს მიაპყრობდი გათოშილ თვალებს,
შიშით გასცქეროდი მთის ორწოხებში გაბლანდულ მთვარეს.

მაგრამ დაგინდეს ქარტეხილებმა: გამოხდა ხანი,
და იშვი ბრძენი, წელგამართული ადამიანი.

და იშვი ვიშით, იშვი ცოდვების ტვირთის მზიდველი,
გახსენ სამყარო — გასაოცარი და მიმზიდველი.

გონებამ შენმან გაქცია კაცად დაუშრეტელმან,
შარავანდედით გაგიცისკროვნა გრძნობამან შენმან!

და ახლაც, ახლაც, საუკუნეთა ორომტრიალში,
და ახლაც, ახლაც, ბედის ქარების გმინვა-ღრიალში

რამდენი ფიქრი, რამდენი აზრი ჩნდება და ჰქრება,
ვითარ ცხელ ბაგეს თრთოლვით ადნება თოვლის ფანტელი.
იქნებ არც ჰქრება და მარად უქრობ ნათელ ფიქრებად
ვარსკვლავებია უსაზღვროეთში მიმოფანტული?

რამდენი ღმერთი დაეპატრონა გოროზ სამყაროს,
რამდენმა ღმერთმა ბედუკუღმართად დალია სული,
შენ კი შემორჩი, შენივ განცდებით მარად ჯვარცმული,
ადამიანო, ღმერთებთან მდგომო და წილნაყარო!

მარადისობის დარდო და ურვავ გულდახურულო,
ღამევ, სიზმრებით და ზმანებებით გადაბურულო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს სევდავ და კაეშანო, ჰმუნვავ და ცრემლო,
გვემავ და გმინვავ, დასაბამიდან აურაცხელო.

მზევ და ვარსკვლავო, მთაო და ზღვაო, ტყეო და მდელოვ,
ცხოვრების მადლო — ცოდვავ უმანკოვ და პირვანდელო,

შვებავ, იმედო, აღფრთოვანებავ და სიხარულო,
ცხელ უდაბნოში ნასამუმარზე ედემის ქღარუნო,

მშვიდო სიჩუმევ, ხორშაკებო და ქარტეხილებო,
ანგელოზებთან მოარულო ღრუბლის ფთილებო.

თქვენ ხართ სიცოცხლე, თქვენ აკაშკაშებთ ცასა და მიწას,
თქვენ მოუოხეთ, თქვენ მოუოხეთ ძეს ადამისას!

რამდენი ფიქრი, რამდენი აზრი ჩნდება და ჰქრება,
ვითარ ცხელ ბაგეს თრთოლვით ადნება თოვლის ფანტელი.
იქნებ არც ჰქრება, და მარად უქრობ ნათელ ფიქრებად
ვარსკვლავებია უსაზღვროეთში მიმოფანტული?

ადამიანო, ქედმაღალო და გულნაღვლიანო,
ძეო კაცისავ, ფიქრით ნაგვემო და გათანგულო,
დიდება შენდა, დიდება შენდა, ბრძენო ლომგულო,
ღმერთებთან მდგომო და წილნაყარო ადამიანო!

## შენ, დაღუპულო ცხოვრების გარიჟრაჟზე

გიმუხთლეს წლებმა, ვაი, როგორ გიმუხთლეს გზებმა, —
ვაგლახ, სოფელი ფლიდია და ბინდისფერია,
მაგრამ ჟამთა სვლას თუ გაუძლეს ჩემმა ლექსებმა,
საქართველოში შენც სიკვდილი არ გიწერია!

შენი კაცობა მე ცხოვრებას მიფერადებდა,
ჩემი ფიქრები შენს ფიქრებთან ისადგურებდნენ,
მაგრამ დაეშვა მდუმარება მძიმე ფარდებად,
და სიყვარულსაც ყვავ-ყორნები მინადგურებენ...

გულჩათხრობილი, ო, რა დიდ ხანს, დიდ ხანს გელოდი,
დაღონილ იმედებს ქანცმიმწყდარი ვდევდი კვალდაკვალ,
გლოვის ანგელოზს დაზაფრული ვემალებოდი,
ვეჭიდებოდი მწუხარების ურჩხულს მკლავდამკლავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როს ოცნებაც ლოდინივით დამიძაბუნდა,
და როს სიკვდილმა ტორი დაჰკრა დამზრალ იმედებს,
შენ სიზმარეთში მაინც ჩემთნ იყავი მუდამ,
და მეგობარი დასატირად ვერ გაგიმეტე!

შენ ბრძენი იყავ, მიამიტი და მეოცნებე,
სინდისი იყავ, ხალასი და გაურანდავი,
გიცქერდი ხარბად, მიხაროდი და მაოცებდი
კაცად მოსული ღმერთების და მზის ალამდარი.

მე, ბალღობითვე ჭირის მთმენი, ვთმობდი ტკივილებს,
ვეფიცხებოდი შენს ალალ გულს, ისე ვთბებოდი,
ვუალერსებდი თავჩაქინდრულ მიმწუხრის ჩრდილებს,
და სიჭაბუკის ოცნებებში გეცილებოდი.

მაგრამ გათავდა, ჰო, აღსრულდა: რაც იყო — იყო,
წინ გარდუვალი აღიმართა რკინის კედელი,
ჩორჩა, გათავდა, პოეზიაც წყალმა წაიღო,
აღარ შემომრჩა სულის სარჩო-საბადებელი.

შემოეგრაგნა მოგონებებს ლეგა ღრუბლები,
და გულდარბეულს შენღა მყევხარ მაინც მშველელი,
რა ვქნა, ცოცხალი შენს ზმანებას ვერ შევეელევი,
შენს მდუმარ აჩრდილს იდუმალად ვესაუბრები...

გიმუხთლეს წლებმა, ვაი, როგორ გიმუხთლეს გზებმა,
ვაგლახ, სოფელი უნდოა და ბინდისფერია..
მაგრამ ამ ქვეყნად თუ იცოცხლეს ჩემმა ლექსებმა,
საქართველოში შენც სიკვდილი არ გიწერია'

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან კალაძე

## ძვირფასო, ნუ წახვალთ საღამოს მატარებლით

მზე ჩადის
და მიდის ქვეყანა მოვლილი,
მზე მიდის დაღლილ-დახარჯული...
ჩრდილები ნებიერა და ნაამბორალი
ხეებზე იბუდებენ ჩიტებივით.

ო, ისე მშვიდია ეს ტყე და სურვილი!
ჩემს თვალის გუგებში ისვენებს დაისი...
და თითქოს ჯერ თითიც არ წამომტკენოდეს...
ჯერ იქნებ არც კი მიცხოვრია!

ძვირფასო, ნუ წახვალთ საღამოს მატარებლით!
უთქვენოდ ნაძვები ხეებად იქცევიან...
მზე ჩავა უბრალოდ, წითელი ბურთივით და...
უთქვენოდ ძვირფასო რამდენი მიცხოვრია!

ახლა ხართ ჩემი ყოვლათწმინდა!
მერე რა ხვალ თუ არ მეყვარებით?!
ხვალიდან იქცევით ლამაზ ერთხელობის
ხატება, სულთქმა, სულთათანა...

ძვირფასო, ნუ წახვალთ საღამოს მატარებლით!

* * *

სანამ დავდევდი ორღობეში ციცინათელებს
მახსოვს ვიყავი ხალასი და უფრო გულადი...
სანამდე მერქვა ონავარი, მერცხალა ბიჭი
აღარ ვფიქრობდი ვის როდის და რატომ ვუყვარდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ფანჯრიდან მითვალთვალებს ქალაქის ღამე,
კარს შემოახგრევს და საცაა მეცემა ქარი...
ახალი ლექსი დაიღლება ამდენი კითხვით,
დამასვენეო, შემომჩივლებს და დაამთქნარებს.

* * *

სარკმელზე ათოვს მთვარის ცივი
ათინათი და
შანდალს აღნება
მოცახცახე თეთრი ფიქრები...
დაგიკრეფავდათ გვირილებსთქო, —
უთხარ ლამაზებს,
როცა ამ ქვეყნად,
დაო ჩემო, აღარ ვიქნები...

ჭერზე ჰკიდია,
როგორც სხივი მიცვალებული
ქსელი, რომელზეც
დაუხრჩვიათ თავი ობობებს...
რაღაც გაკლდებათ,
ის რომ თვალებს არ გაყოლებთთქო,
ასე უთხარი, დაო ჩემო,
ლამაზ გოგონებს.

* * *

ვუძღვნი მანანა ჩიტიშვილს

გუშინ მეგობრებმა მომახარეს
შენი წიგნის გამოსვლის
ამბავი გასახარი,
ლურჯ ფერში მოლივლივე
უცხო ფრინველივით
ერთხელ მომნუსხავო და გაფრენილო!
დღეს თბილის-ქალაქში
მკერდზე მივიკარი
ორიათას ანკარა ზღვისფერში ანთებული,
ორმოცდაათ თავის სურნელით სავსე ლექსში
ველარ დატეული შენი გული.
ჰოდა, ნეტავ ახლა სადმე შემეფეთო,
რომ ვერ გავიხსენე იმ ფერის თვალებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბეჭდავებთან ერთად წამაკითხა,
რომ ვერ ამოგითქვამს იგი სურვილ-ფიქრიც!
ნეტავ ახლა რუსთაველზე გაივლიდე
შენი ჩიტის
მარჯვენა ფრთის
ფერის თმებით...
მე აქ არაფერ შუაში ვარ,
სხვისა მზევ, კაი ყმას შაჰყვარდები!
—ვინ იცის ეს სიშორე ლექსიც იყოს,
ვინ იცის სიშორეა უფრო აქვე...
ერთადყოფნას განშორებას დაუშენდნენ
სიტყვები, ჟესტები, იჭვები და...
ამ უმთვარო შუაღამის სიჩუმეში
ართქმული და ვეღართქმულის ეპიგრაფად
სანატრელო, რახანია სანატრელო!
მომიძღვნია ლექსი ჩემი უცაბედი...
გიფარავდეს შავძაფშებმულ სავარცხელის
მკერდზე მოქანავე ავგაროზი...
დავუსვამ კომშისფერ შენზე ფიქრებს,
ამ ჭოტის კივილის მრავალწერტილს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# ფეხშიშველა სასიძო

## არც ისე სასაცილო ამბავი

ვნებადამცხრალი საღამოს მზე ქედზე გადადიოდა, საღამოს ბინდშემოპარულ ხეობაში კი, მინდვრის ბილიკზე, ალელვების დაწაფვარავად სწრაფი ნაბიჯით მიმავალ გოგოს უკან მისდევდა ვნებაალტყინებული ვაჟი.

ბავშვობისას ტუხას აშინებდნენ, მყავეწყალთან, ორგულაში რომ კოშკურა კლდეა ამოჩრილი, იმ კლდეზე წყლიდან ყოველ ღამეს ამოდის ლამაზი ქალი და ოქროს თმას ივარცხნისო. ვინც იმ ქალს დაინახავს, მალე მოკვდებაო. ტუხას ეს კი არ აშინებდა, პირიქით, აქეზებდა: ოღონდ ის გრძნეული ქალი დამანახვა და მერე რაც მომივა, მომივაო. არც სიკვდილის ეშინოდა, არც იმ ალქაჯის. ორიოდეჯერ დაუდარაჯდა კიდეც. მთელ ღამეს მთვარიანში კოშკურა კლდისთვის თვალი არ მოუშორებია. ციდან მოწყვეტილი ერთი ვარსკვლავის მეტი ვერაფერი დაინახა.

ეს პატარა ქალაქელი გოგო კი ვინ არის ისეთი, რომ...

რამდენჯერ უნატრია ტუხას: ნეტავი მთაში, ტყის ბილიკზე, ქალი შემომხვდეს ვედრებით, ნადირი მომდევს და მიშველეო, ის ნადირი მოვკლა და ქალი შინ წავიყვანო, ან — სადმე... თუნდაც გამოქვაბულში გავათიოთო ღამე... და ბოლოს ის ქალი თეონა გამოდგესო.

ეს მაშინ მხოლოდ ბავშვური ოცნება იყო. ახლა ნამდვილად შეხვდა ქალი, შეხვდა ტყის გზაზე... აქ ღამის გასათევი გამოქვაბული, დიახაც, მოიძებნება, მაგრამ ამ ქალს გამოქვაბული არ სჭირდება, მანქანაში შეუძლია ღამის გათევა. ესეც თავისებური გამოქვაბულია, ოღონდ ოთხკარიანი, რომელსაც ზევიდან რკინა აფარია, ირგვლივ შუშის კედლები აქვს და ბორბლებზეა შემდგარი.

ინგა მანქანასთან შეჩერდა.

— არ წავიდეთ? — ჰკითხა ტუხამ.

— რა გვეჩქარება. არასდროს მინახავს, როგორ ჩადის მთაში მზე... ნეტავი იმ მთაზე ვიყო!

— ჩამავალი მზე ძალიან დიდია, დიდი და წითელი, შენი მანქანისფერი.

— პირველყოფილი უმანკოებაა ირგვლივ, მყავეწყალს ღარიც კი არ უგია... ასე მგონია, უცებ გამოქვაბულიდან გამოვლენ ადამი და ევა...

— ადამი და ევა ძველი ზღაპარია.

— აქაურობაც იმ ზღაპრივით ძველია თითქოს, ჯერ ხელშეუხებელი. მე ეს არასოდეს მინახავს... ამიტომ უფრო მიზიდავს... შენთვის ესეც ალბათ გაუგებარია, ჩემო კეთილო მეგზურო... არ წამიგია, დღეს აქ რომ წამოვედი. როგორ მწადია, მეც შენსავით ამ ბუნების ნაწილი ვიყო...

ტუხას მოეჩვენა: ასე რომელიღაც

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3.

წიგნში ლაპარაკობდა ვილაც და ახლა ინგა იმ ვიღაცას ბაძავდა.

— რა ვარ მე?

— ბუნების შვილი, ღვიძლი შვილი. ჰოდა, მეც მწადია ბუნების შვილობა, ტყის ქალივით ვიცხოვრო.

— ნამეტანს ნუ იტყვი, სტუმარო. შენ ტყის ქალივით ვერ იცხოვრებ. ტყის ქალობას თუ აკვნიდანვე არ შეეჩვიე, მერე ვერ შეძლებ... ყველაფერი შეჩვევაზეა... რამდენ წიგნში წამიკითხავს ასე...

— ვნატრობ. განა ნატვრის უფლებაც არა მაქვს?

— ნატვრის უფლება ყველასა აქვს.

— შენ რასა ნატრობ ხოლმე?

— რასაც ვნატრობ, იმას ვაკეთებ კიდეც... ისეთს არც ვნატრობ, რისი გაკეთებაც არ შემიძლია.

— ქალაქში წასვლა თუ გინატრია ოდესმე?

— არა.

— მერე რატომ? შენისთანა ვაჟკაცი სოფელს არ უნდა გამოეკეროს კალთაზე. ქალაქში თუ წამოხვალ, დაგეხმარები.

— აჰ, არა! ქალაქში რა დამკარგვია!

— ისწავლი, ყველაფერს მალე შეითვისებ... უფრო მალე გაიკვლევ ცხოვრებაში გზას. შენისთანა ვაჟკაცს კინოშიც კი გადაიღებენ და მალე სახელოვანი გახდები...

— სოფელიც მყოფნის ყოველნაირად. ეს ქალაქელები ხართ, სოფელში რომ გიჭირთ ცხოვრება...

— იცი, ტუხა, ჩემი მამიკო მდიდარია... ძალიან მდიდარი. მე არაფერი მაკლია... — აქ ფიქრი წამოუხტა ინგას — შენისთანა ბიჭის მეტიო, ოღონდ ამ ფიქრს ჯერჯერობით როგორ გაამჟღავნებდა. — ერთხელ საზღვარგარეთაც კი ვიმოგზაურე. ქალაქში თუ ჩამოხვალ, შენც გაგასეირნებ საზღვარგარეთ... მე მოგიხერხებ...

— საზღვარგარეთ რა ჭირი მინდა?

— უცხო ქვეყნებს ნახავ... უცხო ხალხს... ბევრ რამეს ახალს გაიგებ.

— იქ ვერავის დაველაპარაკები და ვერაფერი... ღამდება, წავიდეთ! მასპინძლები, ალბათ, კარგა ხანია გეძებენ და შფოთავენ, სტუმარი სად დაგვეკარგაო. — შეახსენა ტუხამ.

— იშფოთებენ და დაწყნარდებიან. — მშვიდად მიუგო ინგამ.

— ვინმემ თუ იცის, აქ რომ წამოხვედი?

— არა. გამოვიპარე. აკი გითხარი, მწადია, ეს საღამო მარტო მე მეკუთვნოდეს-მეთქი... შენ ხელს არ მიშლი, პირიქით... კარგია, მე და შენ მარტო რომ ვართ... ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ... — ინგა შეჩერდა და განაგრძო. — შენ?

— რა ვიცი... ახლა არც ბედნიერი ვარ, არც — უბედური. რატომ უნდა ვიყო ბედნიერი ან უბედური?.. წავიდეთ-მეთქი.

ჩასხდნენ. ინგამ მანქანაში შუქი აანთო და აგუგუნდა მოტორი. შუქმა მანქანაში მსხდომთ გარემოს სათვალხილეთი წაართვა. ირგვლივ უკვე ვეღარაფერს ხედავდნენ ერთმანეთის გარდა. მანქანა სინათლის კუნძულივით იყო სიბნელის ზღვაში. ახლა ფარებიც აანთო ინგამ და ამ სინათლემ სიბნელის ზღვას გზაჯვარედინი გამოსტაცა.

— ეს ორი გზა სად და სად მიდის? — იკითხა ინგამ.

— მარცხენა — მთაში, სათიბებისკენ, მარჯვენა ორგულას ნაპირს მიუყვება და მერე ფერმებისკენ უხვევს. იქ მინდორის ტყე მოსდევს. რატომ მეკითხები?

— ისე... სულელურად ვიფიქრე, ბარემ ყველაფერს დავათვალიერებ-მეთქი... თუმცა ღამეში რას დაინახავს ადამიანი... იქით წასვლა აღარ ღირს. წავიდეთ შინ. — ინგამ „ვოლგა“ მოაბრუნა და ნაცნობ გზაზე გაუტია. ულრან ტყეს რომ მიუახლოვდნენ, მანქანა გვერდზე გადააყენა და მოტორი ჩააქრო. ტუხამ გაკვირვებით შეხედა. — მართლა სცოდნია მყავეწყალს მადის გახელება. მომშივდა. უკანა თახჩაზე ჩანთა დევს, გადმომაწოდე. თუმცა, იქვე გვირჩევნია

სუფრის გაშლა. უკანა სავარძელზე გადავიდეთ.

— მე არ მინდა! — იუარა ტუხამ. — არ მშია მე.

— თავპატიჟს იდებ? აკი წითელ ღვინო რომ გიხსენე, გაგეხარდა, გვიქეიფნიაო? ყასიდად მითხარი?

— შინ ივახშმე ბარემ. ნახევარ საათში შინ იქნები.

— შენ რა იცი, იქნებ ამაღამ სულ არ მეგულნებება შინ მისვლა? — ინგა მანქანიდან გადავიდა და მიდამოს გახედა.

ვარსკვლავები ჭორფლივით ეყარა ცას. ნიავის შემობერვაზე თითქოს ხე ხეს ელერსებოდა, ბალახი — ბალახს.

— მეგზურო, გადმოდი! პატარძალივით ნუ ინაზები. შენი მჭადი და ყველიც შემოუერთე ჩემს საგზალს.

უკანა სავარძელზე გადასხდნენ. ინგამ პურ-მარილი თახჩაშივე გაშალა, ჩოგნის ბადურებზე. ტუხას მჭადი და ბუერას ფოთოლში გახვეული ყველის ნაჭერი სელინჯერის წიგნზე დაალაგა.

— მოვილხინოთ! მე ჯერ შენს საგზალს შევექცევი, შენ — ჩემი გასინჯე. — ინგამ ჩანთაში კვლავ ჩაყო ხელი, თერმოსი ამოიღო და შეანჯღრია. — ყოფილა. — ხუფი მოხსნა და ტუხას მიაწოდა. — დაიჭი! დავილოცოთ! ჯერ კონიაკი ხომ არ გირჩევნია?

— კონიაკი? ჩემ სიცოცხლეში არ დამილევია.

— ჰოდა, ერთხელ მაინც გასინჯე. — ჩანთაში სწრაფად ჩაყო ხელი და მარჯვედ დაითრია მომცრო ბოთლი, რომელზეც ხუთი ვარსკვლავი ეხატა.

— არ დავლევ კონიაკს.

— კეთილი, მაშინ ღვინო სულ შენ!.. თუ გინდა, ხუფში ნურც დაისხამ, თერმოსითვე დალიე. — ხუფი და საცობი თახჩაზე შეაგდო, ტუხას თერმოსი თითქმის ძალით შეაჩეჩა ხელში და ზედ კონიაკის ბოთლი მიუჭახუნა. — გაგვიმარჯოს! დღევანდელ დღეს გაუმარჯოს, ჩემთვის ყველაზე ბედნიერ დღეს! — ინგამ კონიაკი მოწრუპა და წამოახველა, ეტყობა, მაინცდამაინც არ იყო მის სმას ჩვეული. — ჰე, მეგზურო, შენც თქვი რამე!

— გაგვიმარჯოს! სიკეთე იყოს ქვეყანაზე! — ტუხამ თერმოსი მიიყუდა პირზე.

— მე ძალიან მომწონს ბერხევი! — მოულოდნელად და თანაც უჩვეულოდ ხმამაღლა წამოიძახა ინგამ, თითქოს ვინმე რაიმეს ედავება და ასე სწადია თავისი აზრის უფრო მკაფიოდ და დაბეჯითებით დასაბუთებაო. — ბერხევისთანა სოფელი მსოფლიოში არ არის, ავდგები და ამ სოფლიდან აღარც წავალ!

— ხუმრობ რაღაცას!

— მართლა, მართლა! გამიჩნდა ასეთი სურვილი და რა ჩემი ბრალია!

— მერე, მარტო შენს ნება-სურვილზეა ეს ქვეყნიერება მოწყობილი?

— ჩემი თავი ხომ მე მეკუთვნის? თუ მინდა, ვინ დამიშლის?

— მერე სოფელში რას გააკეთებ?

— რასაც სხვები აკეთებენ. რატომ გაიცინე? დამბლადაცემული ვარ, ხელი მაკლია თუ ფეხი?

— როდის დაგებადა ეგ ფიქრი?

— ახლა!.. ახლა საბოლოოდ გადავწყვიტე.

— მიზეზი?

— ალბათ მაქვს მიზეზი. — ხმა უთრთის ინგას. — მაქვს მიზეზი, მაქვს!

„ვუთხრა, რომ ეს სურვილი თვითონ ტუხამ გამიჩინა? ვუთხრა, რომ ბერხევი მსოფლიოში ყველაზე კარგი სოფელი იმიტომაა, აქ ტუხა რომ ცხოვრობს? ვუთხრა, რომ სიცოცხლე ამიერიდან უშენოდ ველარ წარმომიდგენია-მეთქი? არა, ჯერ არ ვეტყვი, ვაითუ, დავაფრთხო და გამექცეს". — ფიქრი დახურა გოგომ.

— შემომხედე ხოლმე, — ხელი მკლავზე წაატანა ინგამ. — რატომ მარიდებ თვალს? შენი აზრით ფუქსავატი ვარ, ხომ?

— არ ვიცი. ბოდიშს ვიხდი, იქ ლიფსიტა რომ ვერ დაგაჭერინე. — საუბარს გვერდი უქცია ტუხამ. — უკვე გვიანი იყო და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლიფსიტა სად გაგვექცევა. მე მგონია, მდინარე ჯერ არ დამშრალა, მოდი, ახლა იმ ლიფსიტას სადღეგრძელო დავლიოთ, თვითონ არაფერი რომ არ იცის ჯერ, ჩვენ მის დასაჭერად რომ ვემზადებით. ჰე, დავლიოთ!

— დავლიოთ! — ტუხამ თერმოსი დასცალა, საცობი დაუცვა, ხუფი მოარგო და ჩანთაში ჩაუძახა.

მაცდურია ინგას ხმა, იდუმალი და მიმზიდველი. ეს ხმა აღტყინებული ვნების ძახილითაა სავსე, ტუხას უხელოდ ეხვევა და თავისკენ იზიდავს.

ფიქრში კვლავ თავის თავს ებრძვის ტუხა: ეს თამამი ქალაქელი გოგო ვინ მიგდია, ამას თავი გავუყადროო, თვალი კი მაინც მისკენ გაურბის.

ვაჟკაცის ძარღვებში სისხლს სწრაფად მიერეკება ნელსაცხებლის გამაბრუებელი სურნელება.

— არ გეშინია ჩემი? — მიაშტერდა ვნებამორეული ტუხა ინგას.

— არა! — თავი გადააქნია გოგომ და თვალები მილულა. — რატომ უნდა მეშინოდეს?

— მე და შენ ახლა ისე ვართ, როგორც ცეცხლი და თივა. — ხმა უთრთის ტუხას.

— მართლა? — იღიმება გოგო.,

— მართლა! — ნაიარევ წარბს ათამაშებს ვაჟი.

— ბარემ ისიც მითხარი, ჩვენ შორის რომელია თივა და რომელია ცეცხლი?

— ეგ სულერთია.

— თუ სულერთია, კარგია! გაუგებარი დარჩება, ვინ ვის დასწვავს. — კვლავ გაუღიმა ქალმა ვაჟს.

ისევ აცხოვრცულად მართთოლვარე ფიქრი ამოიკითხა ქალის ღიმილში ვაჟმა, მაგრამ ამან სისხლი უფრო კი არ აუჩქროლა, შეუნელა. ვინაიდან გოგოს მისი ოდნავადაც არ ეშინოდა, ამან დააეჭვა.

— თუ სულერთია, მაშინ არ მეშინია მე შენი, არ მეშინია, არა! — ტუხაზე მეტად უთრთის ხმა ინგას და ამით უნებლიეთ ამჟღავნებს, რომ ძალიანაც ეშინია რაღაცის, მაგრამ ამ შიშს ყოველნაირად ებრძვის — „არ მეშინიას“ ძახილითაც კი.

ტუხასთვის თითქოს ორ უხილავ გოლიათს ჩაუვლია ხელი: ერთი ინგასკენ ექაჩება, მეორემ ლამის მანქანის კარი გაანგრევინოს და შორს მოისროლოს აქედან.

— არ გაბედო! ეშმაკმა უწყის, იქნებ!.. — ჩასძახის ერთი.

— უშიშარო ტუხა, შენ და შიში? გაბედე! — აქეზებს მეორე.

— არ გაბედო! გაბედე! არ გაბედო! გაბედე! — საფეთქლებში აქეთ-იქიდან ორი ჩაქუჩი ურტყამს.

საფეთქლებში ჩაქუჩების ცემას გულის დაგადუგიც აჰყვა, თითქოს იქ ვიღაცამ უხილავი სამჭედლო გამართაო.

გოგომ ყინმორეული ტუჩები გაუწოდა ვაჟს, თვალები დახუჭა და ალერსის მოლოდინში გაიტრუნა.

სწორედ ამ დროს ერთდროულად დაეცა ვაჟის საფეთქელს ჩაქუჩი და გულში ჩადგმულ გრდემლს — ურო: არ გაბედოო!..

ტუხამ ინგასგან პირი იბრუნა და მისკენ აღარც გაიხედა.

შეცბუნებულმა გოგომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. კარი ბრაზიანად გააღო, გარეთ ტყვიასავით გავარდა, კონიაკი ბრაზიანად გამოწრუპა, ბოთლი გზისპირა კლდეს მიანჩხვლია, საჭეს მიუჯდა, უკანა სავარძელზე დარჩენილ ტუხასკენ ერთხელაც აღარ შებრუნდა, მანქანა დაქოქა, ადგილიდან მოწყვიტა და გააქროლა. სიბრაზემ მალე გაუარა და გულდამშვიდებით გაიფიქრა:

„არა, შეუძლებელია ეს კაცი ფიტული იყოს, არ მკადრულობს... არ ესურვილება ჩემისთანა. იქნებ გათახსირებულიც კი ვგონივარ და მერიდება. მეც რამ გამომასულელა ასე? მართლა ჩემ ნებაზე ხომ არ ტრიალებს სამყარო? რაკი მე მინდა, ეს უზენაესი კანონია, ღმერთის კანონი, და უეჭველად უნდა შემისრულონ ყველაფერი?.. თუმცა, ახლა უკვე სულ ერთია, ქვეყნად რა არის გაუგებარი, ვინ დამიჯერებს, რომ

მე ბიჭთან მთელი საღამო ისე ვიხეტიალე, ხელიც არ დაუკარებია? ეგების უარესიც იყოს, ასე რომ დავბრუნდე!“

გაუარეს იმ ადგილს, ტუხამ მორი რომ დააპო. ახლა იქ ბლომად ჩანდა ნაკოდები, ოღონდ კოხტად მილაგებული გზის პირას. ერთ ნაკოდში ზოსიმეს სოლი ჩაურჭვია, ვეღარ ამოუძვრია და ასევე მიუტოვებია.

ტყეს რომ გასცდნენ, ინგამ მინდორი დაინახა და სიჩქარეს უკლო, მანქანა აქეთ-იქით მიაბრუნ-მოაბრუნა და ფარის შუქის თვალებით მოიფოთირა იქაურობა. წამით ჩაფიქრდა და პირსახე რაღაც აზრმა გაუნათა. შიდა და გარე შუქი ჩააქრო და მანქანიდან გადავიდა.

ჩქამიც არსაიდან ისმოდა, მხოლოდ მდინარეს თითქოს უფრო აემაღლებინა ხმა ღამის სიმყუდროვეში.

— რაღას უცდი? — გადავიდა მანქანიდან ტუხაც.

— შეხედე, რა ლამაზად განათდა ფიჭვები ქედზე. ეტყობა, მთვარე ამოდის. ტყეში მთვარის ამოსვლას მაინც ვნახავ.

— კეთილი, დავუცადოთ.

ქედზე ბადრი მთვარე ამოგორდა და ხეობას ქარვისფერი შუქი გადმოაღვარა, მერე ეს შუქი თანდათან გათითბრისფერდა. ორგულა ვერცხლისფრად ალაპლაპდა, მიდამოს კი, ტყეებსა თუ მინდვრებს, თითქოს თოვლი დაეფინაო, ოღონდ ცივი არ იყო ეს თოვლი. ინგას ისიც კი მოეჩვენა, მთის სიგრილემ უკან დაიხია და აქაური ზაფხულის ღამეს სითბო მოემატაო. მთვარეს რამდენიმე ღრუბელი დახვდა გზაზე. გეგონებოდათ, ცა და მიწა ერთმანეთს ეარშიყებიანო, ღრუბლებში რომ მთვარეშ ჩაყვინთ-ამოყვინთა, მიწაზე ჩაქრა და აინთო სინათლე. სინათლე კი არა, თითქოს მთა-ბარზე დაფენილი თოვლი ვიღაცამ სწრაფად აბერტყა, ცამ კი უმალვე ახალი დააფინაო. ასე გამეორდა სამოთხეჯერ. მთვარემ იმარჯვა, ღრუბლებს თავი დააღწია და ღია ცისკენ გაუტია.

— წავიდეთ!

— წავიდეთ!

„მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ორივე გადავრჩით რაღაცას!“ — გაიფიქრა ტუხამ და უკანა სავარძელზე მშვიდად მოკალათდა.

ინგამ მოულოდნელად მანქანას გზიდან გადაახვევინა და მინდორს დაუყვა.

— სად მიხვალ? — შესძახა ტუხამ.

ინგას ვითომ არც გაუგონია.

— სად მიხვალ?! — გაუმეორა ბიჭმა.

არც ახლა ათხოვა ყური. „ვოლგა“ პატარა ლარტაფში შეიყვანა, გააჩერა, შუქი გამორთო, გადმოვიდა, უკანა კარი გამოაღო და ტუხას მიუჯდა გვერდით. მანქანამდე მთვარის შუქი ვერ აღწევდა. ბორცვზე მდგარი ფართოდ ტოტებგაშლილი მუხის ჩრდილი ეფინა ლარტაფს.

ტუხა მოულოდნელობისაგან გაშრა და კრინტი ვერ დასძრა. რაკი ბიჭმა არაფერი ჰკითხა, ერთხანს გოგოსაც გაუჭირდა ხმის ამოღება. მხოლოდ მისი პოხწირებული სუნთქვა ესმოდა ვაჟს.

— მგონი, შეგაშინე? — მოგვიანებით ჰკითხა ინგამ.

— საშიში რა არის. — წყნარად მიუგო ტუხამ.

— ხომ შეიძლება ღამით შოფერს ჩაეძინოს გზაზე და ხრამში გადაგჩეხოს?

— აქ გადასაჩეხი ადგილი თითქმის არსადაა. მანქანა კიდეც რომ დაგორდეს, მაღალი თხმელები შეაჩერებს ქვემოთ.

— ყველაფერში ასე გულადი ხარ, გოგოსკენ გამოხედვის კი გეშინია. ეტყობა, ერთი რაღაცის შიში ყველას გულში ზის. რატომ არ მეკითხები, აქ რატომ ჩამოვუხვიე?

— დილამდე როგორმე გავიგებ.

— იქნებ მე არა ვრჩები აქ დილამდე?

— ღმერთმა კეთილი გზა მოგცეს. მე მაინც დავრჩები. დილაადრიან მთაში ვარ წასასვლელი, ნათიბია გადასაბრუნებელი.

— მეც წამიყვან?

ტუხამ უარის ნიშნად თავი გადაუქნია.

— რატომ მეუბნები უარს? თუკი მე მწადია წამოყოლა?

ტუხამ მხოლოდ მხრები აიწურა.

— საინტერესოა, მე რომ ორივე ხელი ხელზე მოგიჭირო, ოდნავ მაინც თუ გატკენ? — ინგა ვაჟის მაჯას წაეტანა.

— ო, ჰო, ჰოო! — გაისმა ამ დროს ტყეში.

— ო, ჰო, ჰოოო! — გამოეხმაურა მეორე მოშორებით.

შემცბარმა გოგომ ვაჟის მაჯას უმალვე ხელი უშვა და ტყეს ყურადღებით მიაყურადა.

— ო, ჰო, ჰოოო! ვერნახ? — გაისმა მახლობლად.

— ვერ! ვერ! ვერ! ვერ! — უპასუხა შორეულმა ხმამ.

— ოლოლებია... ღამის ფრინველები. ასე სჩვევიათ. ერთმანეთს ადამიანებივით ეძახიან, თითქოს მუდამ რაღაცას ეძებენ და ვერ პოულობენო...

— ნამდვილად ოლოლებია?! მე კი ისე შემეშინდა!.. აი, მომკიდე ხელი, ხელი მომკიდე!.. ხელის მოკიდებას მამადლი?.. მაშინ მე თვითონ... — გოგო აცახცახდა, ვაჟს კისერზე თვითონ მოხვია ათრთოლებული მკლავები და შიშნეულად გაუცაცუნა ტუჩები შუბლზე, მერე, რაკი ერთხელავე გაბედა, ლოყებზე გადაინაცვლა, ლოყებიდან ულვაშებისკენ და ვნებაატყინებულმა მთელ პირისახეზე გახელებით დაუწყო კოცნა.

ვაჟმა ჯერ ქალის მკლავების უჩვეულო სითბო იგრძნო, მერე კოცნამ ტკბილი ნისლი მოახვია, მერე ინგას თმა საამოდ გაელამუნა.

ერთხელ ტუხა შიშველ ელექტრომავთულს შეეხო, დენმა დაჰკრა და საამოდ გააჟრჟოლა, იმდენად საამოდ, რომ შეეშინდა და განზე გახტა. მერე კვლავ მოუნდა იმ მავთულისათვის ხელის შეხება და უცნაურად მიმზიდველი გაჟრჟოლების გამეორება. იმდაგვარი რაღაც დაემართა ახლაც. ჭაბუკური ცეცხლით ვნებაალზნებულმა გოგოს წვრილ წელზე ლონივრად მოხვია მკლავი. ვაჟკაცის ფართო და ძლიერი მკერდი ქალის მკვრივად ამობურცულ მაღალ მკერდს აეკრა. ქალმა ვაჟის და ვაჟმა ქალის სხეულის მთრთოლვარე მხურვალება ახლა მეტად იგრძნო, ერთმანეთი მიიზიდეს.

— ნუ, ნუ! — სიტყვით უარს ეუბნებოდა მიბნედილი ქალი, ვაჟის კისერზე შემოსალტულ მკლავებს კი თანდათან უჭერდა, თითქოს ეშინია, არ გამექცესო.

ტუხასაც ჟრუანტელის მომგვრელი დენის მავთული ახლა მთელ ტანზე ეხვეოდა, რაღაცას სტკენდა, მაგრამ ამ ტკივილს სიამოვნება ჯობნიდა, ამიტომ ამ მავთულბადისაგან თავის დაღწევა აღარ უცდია, პირიქით, გაუძლიერდა სურვილი; რაც შეიძლება დიდხანს, უსაზღვროდ დიდხანს გაგრძელებულიყო ეს ცაში აფრენის მსგავსი რაღაც, რომელსაც პირველშეცოდების ტკივილშერეული უტკბილესი ჟრუანტელი ჰქვია.

თითქმის ერთდროულად გაიღვიძეს. პირველად ვერც გაუსწორეს ერთმანეთს თვალი. ინგამ პირისახეზე ხელები მიიფარა და მანქანის უკანა სავარძლის კუთხეში მიიკუნჭა.

— რა გატირებს? — ფრთხილად მოჰკიდა ხელი ტუხამ.

— არაფერი.

— უმიზეზოდ არ ტირიან.

— ეგეც მართალია. როცა ადამიანი რამეს კარგავს ან იძენს, ტირილი განა გასაკვირია?

— შენ რა დაკარგე ან რა შეიძინე?

— განა თვითონვე ვერ ხვდები?

ტუხამ მხრები აიჩეჩა. მიმოიხედა. ჩაფიქრდა. წუხანდელი ღამის ყველაფერი გაიხსენა.

— იქნებ ჯერაც არ გჯერა, პატიოსანი რომ ჩაგბარდი?

— გავიგე, გავიგე. მერედა, რატომ ჩაიდინე ეს?

— ჩავიდინე.

— უგუნური თავქარიანობით...

— იქნება ვერც გამიგო, მაინც გულახდილად გეტყვი ყველაფერს... დასამალავი არაფერია... ოღონდ არ ვიცი, რითი დავიწყო... შენ გეშინია რაიმესი?

— არაფრის. რისი უნდა მეშინოდეს?

— მე კი ყველაფრის მეშინია...

— მერედა, რატომღა ჩაიდინე?

— წუხანდელ ამბავზე არ გეუბნები, საერთოდ, ეტყობა, ცხოვრებაში ვარ მშიშარა. თამამი და უშიშარი ტყუილად ვეჩვენები ვინმეს. ეს ჩემი მოჩვენებითი ნიღაბია, ჩემივე სიმხდალის დასაფარავად. მე უნიღბოდ თითქმის ვერ ვახერხებ ცხოვრებას, შენ კი ნიღაბი არასოდეს გჭირდება. ყოველთვის იმად ეჩვენები ყველას, რაც ნამდვილად ხარ...

— წუხანდელ ამბავთან ამას რა კავშირი აქვს?

— ალბათ, აქვს... ჯერ გაურკვევლობის ბურუსში ვარ და თვითონაც ვერ ამიხსნია ბოლომდე, მაინცდამაინც ასე რატომ მოვიქეცი... ახლაღა ვუკვირდები, რაც ჩავიდინე... გუშინ გაღიზიანებული ვიყავი რაღაცით და... ჩემი თავი მე არ მეკუთვნოდა... საერთოდ კი, მე ერთობ სუსტი ვარ, ძლიერი ადამიანი მჭირდება პატრონად. შენ ბევრი რამ შეგიძლია... არ მისმენ? — შეჩერდა ინგა.

— გისმენ, ოღონდ რიგიანად არ მესმის, რას ამბობ... მე ბევრი რამ შემიძლია, მაგრამ შენი პატრონობა... მე შენი პატრონი ვერ გავხდები.

— თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა, უცებ შემიყვარდი... თავს მოვიკლავ, თუ არ დამიჯერებ.

— შენი და ჩემი სიყვარული არ შეიძლება, სტუმარო!

— ცუდი გოგო ვარ?

— იქნებ ქვეყნიერების ზურგზე შენისთანა კარგი არც არავინ დადის, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. სხვა ხარ...

— ესე იგი, არ შემირთავ?

— თუ ვინმე არ გიყვარს, რატომ უნდა შეირთო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკი გითხარი, ისეთი რამ შემოგწირე, ღმერთი რომ ჩამოვიდეს მიწაზე, ისიც ველარ დამიბრუნებს.

ტუხამ ნაიარევი წარბი შეათამაშა და ინგას კუშტად მიახალა:

— ამ უაზრო მსხვერპლშემოწირვას მე არ ვიღებ. ღმერთი არა ვარ, ვინმე მსხვერპლად შევიწირო, ან მავანი ადამიანისაგან რაიმე მსხვერპლის შემოწირვა ვისურვილო თუ ვინებო ჩემით. ჩვენი ცოლ-ქმრობა ყოვლად შეუძლებელია, სტუმარო, ასე რომ, არც იფიქრო...

— არც ვიფიქრო, არა? შენთვის ეგ ადვილი სათქმელია, მამაკაცი ხარ... ერთი ქალსაც ჰკითხე. სიკვდილამდე შენი ერთგული ვიქნები. თუ ოდესმე რაიმე ისეთი შემამჩნიო, შენ რომ არ მოგეწონება, მომკალი მაშინვე! ოღონდაც წუხანდელ ამბავს ცუდ რამედ ნუ მომინათლავ! მე შენი ვარ! ჩვენ ცოლ-ქმარი უნდა გავხდეთ! გეხვეწები! — ინგა მუხლებზე დაეცა და ტუხას ფეხებზე მოეხვია.

ბიჭი შეცახცახდა და მანქანიდან გარეთ გავარდა.

„თავს მაცოდებს. იცოდე, ზოგიერთ რამეში გულქვა ვარ. შენი გაღებული მსხვერპლის საზღაურად მე თეონას ვერ მივატოვებ. ხედავთ, რა განუზრახავს? სამუდამოდ ვუნდივარ თურმე. ეს რომ მცოდნოდა, უუჰ!.. ბებია გიცხონდება, შენი ჭკუისა ვარ!“

მანქანიდან გამოვარდა ინგაც და ტუხას მოეხვია. ბიჭმა დაავლო ხელი და ცივად მოიშორა. გოგო, ეტყობა, ამას არ მოელოდა, მანქანას მიეყუდა და გახევდა.

ტუხამ ირიბად გახედა და ინგას მაგივრად დაინახა ქაჯი, ეშმაკი, რომელიც ნამდვილად უპირებდა შეცდენას, ახლა უპირებდა შეცდენას.

— ამხელა გაზრდილხარ და ის არ იცი, როგორ მოიქცე. მეცოდები! ცოლქმრობის ამბავი ასე არ რიგდება! — ტუხა მანქანაში შეძვრა, ფეხები იქ

დაყრილ წუღებში ჩაყარა, ჩანთას და ნაჯახს მისწვდა.

მიხვდა გოგო, გაქცევას აპირებსო, შევარდა მანქანაში და ისევ შემოესკვნა ბიჭს, თან უხმო ვედრებით მიაშტერდა.

— მომშორდი, თუ არა!..

—მომკალი! მირჩევნია მომკლა! ჩემი სიცოცხლე მაინც აღარ ღირს! გეხვეწები, გემუდარები, ნუ მიმატოვებ ასე!..

— ყველაფერი შენს თავს დააბრალე, თავქარიანო!..

ინგამ ანაზდად დაინახა, გზაზე მსუბუქი მანქანა გაჩერდა და იქიდან გადმოსული ხუთი ადამიანი მინდორ-მინდორ ღარტაფისკენ დაეშვა. ჯერ შეცბა, მერე ტუხას ხელი უშვა, კოფთა ჩამოიფხრიწა, უმალვე ისევ შემოესკვნა ბიჭს და ახავლდა:

— მიშველეთ, მიშველეთ!..

— რა გაყვირებს, რა მოხდა?! — გაოგნებული მიაჩერდა ტუხა.

— გადადი მანქანიდან! ახლავე გადადი! მომშორდი, დათვო! — უყვიროდა გოგო, თვითონ კი ბიჭს ხელს არ უშვებდა, არ გამექცესო.

თავის სიცოცხლეში ასე არასდროს გაავთრებულა ინგა.

## დიდი ჩოჩქოლი

— გაიგე, კაცო, წუხელ მიწისძვრა ყოფილა ჩვენში! — უთხრა აბელამ სადალაქოში სითვაზე პირის გასაპარსად შესულ ჯუბიკას.

— ჰაა? — შეიცხადა მაღაზიის გამგემ. — რა თქვი?

— მიწისძვრა ყოფილა. — ჩაიხითხითა დალაქმა და სამართებელი სარკის ვერცხლით დაკიდებულ ყავისფერ ღვედზე აატყაპუნა.

— არა, კაცო, ისეთი ფხიზელი ძილი ვიცი, მიწისძვრას ვერ გავიგებდი? რა სხვანაირად იცინი, მატყუებ?

— არ გაგიგონია, მიწისძვრას რას ეძახიან კიდევ?

— ქალი გაიტაცა ვინმემ?

— აჰა, არა? თავმჯდომარის სტუმარი გოგო და ჩვენი ტუხა მანქანაში უნახავთ ორგულის ნაპირას. თურმე მთელი ღამე ერთად გაუტარებიათ.

— აჰ, ტყუილი იქნება! ის ჩიორა გოგო ტუხას რას გაუძლებდა, ხელის მოკიდებისთანავე ჩიტივით შემოაკვდებოდა.

— გოგოს ქუდს რომ ესვრი, თუ არ წაიქცა, დევივით ვაჟკაცსაც გაუძლებსო, ნათქვამია.

— ვინ ნახაო?

— ეგ არ ვიცი.

ახალმა ამბავმა უმალვე შემოირბინა ბერხევი. ჭორი და სინამდვილე ერთმანეთში აირია.

სოფლის არც ერთ საინტერესო კრებაზე არ მოსულა იმდენი ხალხი, იმ დილით სადალაქოს წინ რომ შექუჩდა ჯგუფ-ჯგუფად. არავის აკმაყოფილებს რაც იცის, ყველას მეტის გაგება სწადია. ზოგი იმასაც ფიქრობს, რაც გავიგე ბევრი არაფერია, უფრო საინტერესო ამბავი მოსახდენიაო და იმას ელოდება.

სად იყო და სად არა, ჯერ ტერენტის ფართოფარფლებიანი ძველებური შლაპა გამოჩნდა, მერე თვითონ ქუდის პატრონიც. ცუხცუხით გადმოიარა რკინის მოაჯირიანი წითელი ხიდი და სადალაქოსკენ გამოეშურა. ქუდს წამდაუწუმ იხდის და იხურავს, გამხდარი და აწოწილი თითქოს მოცეკვავსო, წვერი ულანცარებს. მოახლოვებისთანავე ღიმილად დაიღვარა:

— მართალია, ხომ? ასეც ვიცოდი! ველოდი კიდეც! აკი ყველა გავაფრთხილე ადრევე: ეგ მეტრუკი წმინდა წყლის არ არის-მეთქი. ახლა ხომ დარწმუნდით, ბიბლიური წმინდანივით მო-

სიარულე თქვენი ტუხუნია, რა უწმინდური სულიც ყოფილა. ველური ტემპერამენტის ჩასაქრობად სამი სახანძრო მანქანა უნდა დასდევდეს მუდამ. თუმცა, ამ ამბავში მარტოოდენ გიჟური ვნებაც არ ურევია, ყველაფერი წინასწარაა გაანგარიშებული, წინასწარ. მარტო ქალს კი არა, უფრო მამამისის დიდ ქონებას დაეხარბა. წინათ ჭაბუკებს თვალი დიდგვაროვანთა ასულებისაკენ გაურბოდათ. ამჟამად დიდსკამოვანთა სიძეობა სწადიათ. ბეყე ბიჭს ერთად მოუნდა მზამზარეული კარგი ცხოვრება, ლამაზი ქალი, იოლად გამდიდრება და დიდი სახელის შოვნა. ყველგან თავის ნებაზე რომ დაბრიგინობს, ა, შედეგი, ბატონებო! კიდევ წამოსცდება ვინმეს, ტერენტი ტაბლაძე ტყუოდაო? გადაეკიდა და იმიტომ გაქცია სკოლიდანო? ლაგამი მარტო ცხენს კი არა, ტუხუნიასთანებსაც უნდა ამოვდოთ თავის დროზე და გავხედნოთ. ციხე, დიახ, ციხე მოაჭკვიანებს იმ ნადირს, მხეცსა და პირუტყვს!

— ციხე რას ეყოფა, დასახვრეტია! უნდა დააყენო ბორცვზე და დაუშინო ქვემეხები! — ტერენტის მხოლოდ ბენიამ აუბა მხარი.

— ყველა ასეთ ამბავზე თუ ქვემეხები ვაგრუხუნეთ, დაგვიყრუებია ქვეყნიერება და ეგ არის! — დარბაისლურად ჩაერია საუბარში მარიამ კამკამიძე. — ტუხა ყველაფრად კარგი ბიჭია, მხოლოდ უკულმართი ხალხი უბნევს გზა-კვალს. შეუძლებელია ტუხამ რამე ცუდი ჩაიდინოს.

— უკვე ჩაიდინა, ქომაგო, ჩაიდინა! — უმალვე შეეკამათა კოლეგას ტერენტი. — სოფლელმა ტლუ ბიჭმა, გაუთლელმა და გაურანდავმა უპატიოსნეს ქალიშვილს, თანაც სტუმარს, ნამუსი ახადა...

— ტუხა აქამდე არ დასდევდა გოგოებს და ახლა ვითომ რა ღმერთი გაუწყრებოდა? აქ რაღაც სხვა ამბავი იმალება.

— რა ადვილად ჰრი და კერავ! — ტერენტიმ ლოყები გაბერა და მერე, თითქოს ბუშტს ეკალი უჩხვლიტესო, ამოიფშვინა: — ფუუ! ტუხუნიამ ეს ამბავი იმიტომ ჩაიდინა, რომ ჩვენზე გაეცინოს ქვეყანა. შტერი უნდა იყოს ადამიანი, ეს ვერ გაიგოს!

— შტერი ვინც არის, კარგად ვიცი, განათლების განყოფილების გამგის დეიდაშვილო! — მიახალა მარიამმა. — ეს ქვეყანა მარტო თქვენი ნუ გგონიათ!

ტერენტი მარიამთან დავას მოერიდა. უმალვე სხვა ჯგუფს მიაშურა.

— დედა, დედა, რა დღეში იქნება უბედური ნესტორა! — ამოიოხრა ბალიკომ.

— გაიგო კი ეს ამბავი? — ჰკითხა ტერენტიმ.

— სოფელში ქვა აღარ გდია ამ ამბის გაუგებელი და...

— არ ეცოდინება ჯერ. — თქვა ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ბენიამ. — წუხელი ოჯახს, მთელი ღამე თეთრად გაუტეხია. ალიონზე დაუძინიათ.

— მერე, აქ რაღას უდგახარ, კაცო? გაიქეცი, შეატყობინე!

— მე?! — ბენიამ ხელები უფრო ღრმად ჩაუშვა ჯიბეებში და შარვალი აიწია. — გიჟი ხომ არა ხარ? ნესტორასათვის ამ შავ ამბავს პირველად მე რა მათქმევინებს, უხამის დალევასავით დამამახსოვრდება. — შორს დაიჭირა თავი ბრიგადირმა. — სხვამ უთხრას.

— ვინ სხვამ?

— ვისაც ეს ამბავი გაეხარდა. ცოტაა სოფელში ასეთი ხალხი?

— ნესტორასთან ამ ამბით ახლა არავინ არ მივა და ბოლოს ისევ შენ გამოხვალ დამნაშავე.

— არ შემიძლია, ქალო. რაც არ უნდა მოხდეს, არ შემიძლია. მომკალი და ახლა ნესტორასთან ნუ მიმიყვან. ნაკვერცხალს ავილებ ენით და ამ ამბავს ვერ ვეტყვი.

— იჰ, შენ რა გითხრა! მთელი შენი დღე და მოსწრება ჩემი ხელით სათრევი ხარ! — დაჰკრა ბალიკომ ფეხი და ნესტორას სახლისკენ გაეშურა.

დღისით-მზისით ბალიკომ თუნუქის ჭიშკარზე კარგა ხანს უბრაგუნა მუშტები. არავინ გამოხედა. აილო დიდრონი ქვა და დასცხო. არც ახლა გაიბერტყა ვინმემ ყური.

— ვაიმე, ბეჩა, ხომ არ დაიხოცნენ?!

მაღალ გალავანზე გადასვლა დააპირა. ვერსად მიემარჯვა. ჭიშკრის გარედან გალებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არადა, უკან გაბრუნებაც არ უნდოდა. აყვირდა:

— ჰეი, არიშა! ჰეი, მანანა! ჰეი, ნესტორ! გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ!

პირველად აივანზე მწოლარე მანანამ მოიფშვნიტა თვალები, მერე სხვებიც წამოიშალნენ.

ახალი ამბავი რომ გაიგონა, ნესტორას თითქოს მეხი დაეცაო, ელდანაკრავი მთვრალივით შებარბაცდა, წამით გახედა და ბრაზმორეულმა ბალიკოს ყელისკენ გააქანა ორივე ხელი.

— დაგახრჩობ! დაგახრჩობ!

— მე რას მერჩი! ვაიმე! მე კი არ მომიგონია?! — უკან დაიხია ბალიკომ. — უთხარით, ადამიანებო, მე რას მერჩის?!

ნესტორამ მკლავები მოწყვეტილივით ჩამოყარა.

— მაპატიე! შენ მართლაც რას გერჩი! უცებ გონმიუცემლად ავლელდი და... არის კი ეს ამბავი მართალი? არა მჯერა, არა! საიდან სადაო? ის წყეული ბიჭი ჩვენს სახლს ახლოსაც არ მოჰკარებია?! როდის მოეწონა, ან გატაცება როდის გადაწყვიტა? ყველაფერი ეს მტრების მოგონილ ჭორს ჰგავს, ან... რა ვიცი, რა ვიცი... გარკვევით მომიყევი, ვის უთქვამსო? — ეს უკვე ისე ხმამილეულად იკითხა ნესტორამ, გეგონებოდათ. საფლავში მწოლიარე კაცი ლაპარაკობსო.

— ქირონიას უთქვამს, ბატონო!

— რაო? როდის ენახეო?

— თვითონ კი არ უნახავს, ფედოსია ბრუტიანს მოუყოლია, ფედოსიასთვის კოჭლ მიხას უამბნია, მიხას კი ეს ამბავი ქოსა კიმოთესგან გაუგია, კიმოთეს, მგონი, ყლარწა კატოსგან, კატოს თავისი ბიძაშვილისგან, იმ ბიძაშვილისთვის ფოტინეს ჩაუკენჭავს. ფოტინეს უთქვამს: ექვსთითა ბიძინასგან შევიტყვეო, ბიძინასთვის ქირონიას უამბნია...

— თავისი თვალით ვინ ნახაო, თავისი თვალით?

— ეგ დანამდვილებით ვერც მე გავიგე, ბატონო!

— ქმარი სადა გყავს?

— ის აპირებდა შენთან გამოქცევას, მაგრამ, მე არ გამოვუშვი. ხალხში ის უკეთ იტრიალებს და გაიგ-გამოიგებს ახალ რამეს.

— ახლავე გაიქეცი და გამომიგზავნე. ღელესთან დავხვდები.

ნესტორა და ბენია დარიკოს ჭიშკარს მიადგნენ. არავინ დახვდათ. ტუხასუბნელმა ერმილემ თქვა, დარიკომ შვილს დილაუთენია მთაში საგზალი წაუღოო.

— მთაში?

— თვითონ ასე მითხრა.

— თუ იცი, რას აკეთებს ტუხა მთაში?

— ანტიფო რომ არის, ხეიბარი, მგონი, იმისთვის თიბავს.

— ესე იგი, წუხელი ტუხა შინ არ ყოფილა?

— შინ რომ ყოფილიყო, საგზალს თვითონ წაიღებდა. რატომ კითხულობთ?

— ისე, პატარა საქმე გვქონდა.

— ვაიმე, ცუდი ხომ არაფერია ტუხას თავს?!

— არა, ცუდი რა უნდა იყოს!

— აპა, რატომ ხართ ასე მოღრუბლულები?

უთხრეს, რაც იცოდნენ. აიმგზავრეს ერმილე და გაუყვნენ გზას. ეძებეს პირველმთქმელი, ეძებეს და მიადგნენ ქვისმტეხელი თადეოზას ცოლს, სალომეს.

— ამ დილით შენ მართლა იყავი მთაში?

—მე? ვინ თქვა? მთაში რა მინდოდა?! — გაიოცა სალომემ.

**— აბა, სად იყავი?**

— წყაროდან ჩაფით წყალი მოვიტანე, სხვაგან არსად ვყოფილვარ.

— შენ არ გითქვამს ქიონიასთვის, ტუხა და ნესტორას სტუმარი გოგო ერთად ვნახე ორგულას ხეობაშიო?

— მე ვნახე-მეთქი? რაც არ მინახავს, რას ვეტყოდი? უნახავთ-მეთქი, ასე ვუთხარი...

— შენ ვინ გითხრა?

— მე? მე იმან... ღმერთო ჩემო, რომ აღარ მახსოვს? ენის წვერზე მადგას და ვერ მომიგონებია. ცოტას თუ მომიცდით, ეგება გამახსენდეს. ა, ჩამოჯექით აგერ! — ჩოჩიალა ურემზე მიუთითა სალომემ, თვითონ პირველი ჩამოჯდა, ხელი პირზე მიიდო, თითქოს რამეს ცუცნისო, და ჩაფიქრდა. ასე იყო კარგა ხანს. — ვერა, ვერ მოვიგონე. როცა ძალიან გინდა რამეს გახსენება, ეტყობა, უფრო ვერ იხსენებ. თავი შეურცხვეს სიბერეს, მალე მავიწყდება ყველაფერი. თქვენ რომ წახვალთ, შეიძლება მაშინვე მომაგონდეს. ახლა, რომ გიყურებთ და ვიცი, მიცდით, როდის მოვაგონდებაო, უფრო მეხურება მეხსიერება.

— წყაროზე გეტყოდნენ.

— ჰო, კი, წყაროზე...

— მერე, ვინ იყვნენ წყაროზე ამ დილით?

— დილით ბევრი იყრის ხოლმე თავს. ერთი, მგონი, მაგდანა იყო, ცხრა შვილი რომ ჰყავს. კი, მგონი, იმან თქვა, ვნახეო... თუ უნახავთო.

— მაგდანა ჭორების პირველი გამომგონებელია. — წამოიძახა ერმილემ. — ოღონდ ჭორი ათქმევინე და სადილვახშამს არ მოგთხოვს.

— ჟუჰ! — შეიცხადა ბენიამაც. — მაგდანას ლაპარაკს რა გაუძლებს, კაცო, ყველა ამბის მოყოლას მითაყამიდან იწყებს, ვიდრე გამოლმა გამოგიყვანს, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას მოივლის, სული შეგიწუხდება...

მაინც მიადგნენ მაგდანას, რადგან სულ ერთია მის ჭაშკართან უნდა გაევლოთ.

**— ტუხასა და სტუმარი გოგოს ამბა**ვი რა ვიცი? გუშინწინ ის გოგო გუჯურასთან იჯდა ქვაზე და უყურებდა ტუხას, ბიჭებს რომ აბურთავებდა. გუშინ კი ჩვენს უბანში თავისი მანქანით ავლილ-ჩავლილი დავინახე. იმისთანა წითელი მანქანა ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს, პირდაპირ შემეშინდა, რომ შევხედე. ერთხელ ბავშვობისას ადრე გავიღვიძე და სწორედ ამფერი მზე დავინახე, სისხლიანი ბორბალივით ამოგორდა ცაზე. ეს იმ წელიწადს იყო, ბერხევის მთებში სამი კაცი მორმა რო გაჭყლიტა შუროზე. ერთი უცოლო ბიჭი იყო, ქვრივ დედამისს მეტი არცა ჰყავდა და ყველას რომ ეგონა, უბედური თავს მოიკლავსო, ბეჩა, წლისთავზე არ გათხოვდა! ქალაქელ დალაქს გაჰყვა და ორი შვილი გაუჩინა. მოდი და დასძრახე ახლა იმ ქალს... ქალმა თქვა, კაცი მომეცი და ჯოჯოხეთიც სამოთხედ მომეჩვენებაო, უკაცოდ კი არსად არ შემიძლია ყოფნაო. ასეც არი...

— ქალო, შენ ტუხას ამბავს გეკითხებიან, რა დროს იწილო-ბიწილოა? ჩვენ სტუმარ გოგოსთან მართლა ნახე ორგულას ხეობაში?

— ორგულას ხეობაში? იქითკენ რა ხანია ფეხი არ გამიდგამს! შარშან, მარიამობის თვეში, ცხრა დღეს გადაუღებლად რომ წვიმდა, ვიფიქრე, მუხნარში ნიყვი ამოვიდოდა-მეთქი და ორი კალათით წავედი მთაში. ერთი კალათა გოდრისხელა იყო. ნაპირა ტყეში შევედი, არაფერი, მეორეში გადავინაცვლე, არაფერი, მესამეში შევრგე თავი და... სიზმარში რომ რამეს ნახავ, ისე სავსე იყო ტყე ნიყვებით. ორივე კალათა გავავსე... მერე წინსაფარიც მოვიხსენი და იმაშიც ჩავყარე... სოკო მძიმე არაა, ჰოდა...

— მოკლედ, ქალო, მოკლედ! სიტყვაზე სიტყვა აუკრა ნესტორამ. — გუშინ ის გოგო-ბიჭი ერთად თუ სადმე ნახე?

— მთისკენ არ გამივლია და საიდან ვნახავდი? დამესიზმრებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სალომეს შენ არ უთხარი, ვნახეო?

— მგონი, ვუთხარი, ოღონდ, ვნახე კი არა, უნახავთ-მეთქი.

— ვის უნახავს?

— ეგ აღარ ვიცი... არ გამიგონია...

— ამ დილით წყაროზე ან გზაზე სალომეს გარდა ვინ ნახე?

— რა ვიცი. მგონი, არავინ...

— ეჰ, მაგდანა, მაგდანა, რატომ გიყვარს ჭორების მოგონება? — შეუტია ბენიამ.

— ზოგჯერ რა უშავს, ჭორიც კარგია, ი, ჰი, ჰი!

— რა უშავს, ხომ? ჭორიკანა დედაკაცს თურმე ჯოჯოხეთში ზედ კუპრის ქვაბის ზემოთ ჰკიდებენ. ასეთი ჭორი რამ მოგაგონებია?

— რა ჭორი? ახლა რა ჭორი მოვიგონე?

— ტუხა და სტუმარი გოგო ერთად ვნახე მანქანაში მძინარეო.

— ვინ თქვა, რომ ეგ ჭორი მე მოვიგონე? არა, თქვენი ჭირიმე, ასეთ რამეს მე რავა მოვიგონებდი. ეგ ჭორი არც უნდა იყოს. ნამდვილად უნახავთ... კი, მამაჩემის სული არ წამიწყდება!

— ვის უნახავს?

— მოიცა, მოიცა! მომაგონდა, ქერივ სიდონიას უთქვამს, ვნახეო. კი, სიდონიას უთქვამს. შემიძლია, ხატზეც დავიფიცო!

— ასე, შე ქალო, არ ამოგხადოთ მთავარი სული!.

— როცა მომაგონდა, მაშინ გითხარით! ჰო, სიდონიას შეუმჩნევლად მიწაზე ჭიანჭველა ვერ გადაივლის და ცაზე ჩიტი ვერ გადაიფრენს. ნამდვილად სიდონიამ ნახა...

მიადგნენ სიდონიას.

— კი, ბატონო, ვნახე. ეტყობა, ტუხამ და თქვენმა სტუმარმა წუხანდელი ღამე ერთად გაატარეს სიამტკბილობით.

— თანაც სიამტკბილობით, არა? ეგ საიდანღა გაიგე? •

— ნაჩხუბრებს არა ჰგავდნენ, ბატონო.

— ესე იგი, შენი თვალით ნახე ისინი?

— რავარც აგერ თქვენ გიყურებთ. ჩემს რუსიკოს და ექსივე ვაჟს გეფიცებით, ენაცვალოთ დედა! ეს ორივე თვალიც დამეწვას, დამეშანთოს და დამეთხაროს, თუ ყველაფერი ჩემი თვალით არ მენახოს. წუხელი ხბო არ მომივიდა შინ და უთენია წავედი საძებრად. ალიონი იყო, ტყეში წითელ მანქანას რომ მოვკარი თვალი. იმ გასაქრობი თქვენი ქალაქელი გოგოს ავტომობილი მაშინვე ვიცანი. გამიკვირდა, ამ დროს აქ რა უნდა, გზიდან ხომ არ ჩაუგორდა-მეთქი. მივუახლოვდი, ჩაგორებულს არაფრით არა ჰგავდა. ჰოდა, გული მომითმენდა შიგ არ შემეხედა? შევიჭვრიტე და დედა, დედა, რა ვნახე: ეს ჩვენი ტუხა და თქვენი სტუმარი გოგო ისე არიან ჩახვეულები, სურო რომ შეეხვევა ხეს.

— შენ, ამბობ, რომ არავითარი ძალადობის ნიშანი არ ეტყობოდა გოგოს?

— კაი ნეფე-პატარძალივით ჩახუტებულებს ეძინათ, ბატონო, ძილშიც რომ ვერ ელევიან ერთმანეთს.

— დაუჯერებელია!

— ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც მე დავიჯერებდი.

— მერე არ გაალვიძე და არ ჰკითხე რამე?

— მე რატომ გავაღვიძებდი, ბატონო?

— ჩაგვიჯექი მანქანაში!

ნესტორა, უპირველეს ყოვლისა, კანტორაში შევარდა და ტელეფონს ეცა:

— მილიციის უფროსს დამაკავშირეთ! არისტო ხარ? სასწრაფოდ გამომიგზავნე ორი ლონიერი და მარჯვე მილიციელი. შენც თუ გამოჰყვები, სამუდამოდ დამავალებ! დაგვიღუპეთ! საქვეყნოდ მოგვჭრა თავი! ჩემი სტუმარი იმასქნეს... გაიტაცეს, გაიტაცეს! ვეულურმა ტუხაიამ მომტაცა წუხელ!.. კი, ყველაფერი მოუსწრია! ჩქარა, თუ ძმა ხარ, ჩქარა! რა დროს დაწვრილებითი მოყოლაა, არ გაგვექცეს, ჩქარა!..

ეს ხუთი კაცი — ორი მილიციელი, ზენთა, სიდონია და ნესტორა რომ დაინახა ინგამ, მაშინ იყვირა, მიშველეთო, კოფთა შემოიფხრიწა ტანზე და პერანგიც მიაყოლა. მერე უფრო განწირულად აჩხავლდა:

— მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!

— რა გაყვირებს?! ტანსაცმელსაც რატომ იგლეჯ?! — შეუძახა გაკვირვებულმა ტუხამ.

ინგა კი ისევ გაჰკიოდა — მიშველეთო.

— ნუ გეშინია, აგერა ვართ! — მიაძახა ნესტორამ.

გოგო სავარძელზე პირქვე დაემხო და გულამომჯდარი ატირდა.

ბიჭი გახევდა.

— აფერუმ შენს ვაჟკაცობას, ტუხა ხატეველო, მოერიე ნიბლია ჩიტივით გოგოს? — ქვასავით ესროლა ნესტორამ.

— მე რა მოვერიე, თვითონ...

— ეს რა ჩაგიდენია, ეს რა ჩაგიდენია, შე პირუტყვო! — მეტი გაანჩხლებით დაიბღავლა ნესტორამ და ხელები თვალებზე მიიფარა განგებ.

— რა ჩამიდენია? არაფერიც არ ჩამიდენია? — ტუხამ მორცხვად ჩაღუნა თავი. — რა ვიცოდი, თუ...

— მხეცო, ნადირო, დათვო, რა არ იცოდი?

— თუ თავის შემოტყუება უნდოდა.

— ესაა თავის შემოტყუება? შემოგიდღლეზია ყველაფერი!

— მე რა შემომიდღლეზია, ამ წუთში თვითონ შემოიხია...

— ახლა ესეც დაფიცე, უგულო! — თავი ასწია ინგამ. — არაფერი არ დაუჯეროთ! განგებ ჩამიჯდა მანქანაში. მეწყალამდე მიმიყვანეო, ჯერ მზე არ იყო ჩასული, ხათრი ვერ გავუტეხე... თანაც გაგებული მქონდა, ეგ ბიჭი ბიძამე მანქანასაც კი ფურფუტელა ნაფოტივით ათამაშებსო, ჰოდა, შემეშინდა, უარი რომ ვუთხრა, ვაითუ, ჩემი მანქანიანად ხრამში გადამიძახოს-მეთქი, ჩავსვი. გზაზე ხან სად შემაჩერა, ხან — სად. მეავეწყალსაც მანამდე არ მოშორდა, სანამ არ დაბნელდა. დამიბრიყვა, თავის ნებაზე მატარა... მერე გზიდან გადმომახვევინა, ძალით წამომათრია...

— ღმერთო, რატომ არ გაიცინებ!.. მე რაფრად გადმოვახვევინებდი, საჭე თვითონ ეჭირა?!

— მუქარით შემაშინა და გადმოვუხვიე...

— მაგ სიმართლით დაბერდი შენ! — ტუხა დამშვიდდა და თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, აილო თავისი ჩანთა, ნაჯახი, მათარა და ფერდობს აუყვა.

წამით ყველა სახტად დარჩა.

— შეჩერდი! შეჩერდი!.. გესვრით! — მიაძახა ნესტორამ.

— მესროლეთ! — მშვიდად გამოიხედა ტუხამ და გზა აუჩქარებლად განაგრძო.

— ესროლეთ! — უბრძანა ნესტორამ მილიციელებს.

— ვერა! — თავი გადააქნია ახმახმა შაკომ. — იქნებ ტყვიამ ვერც ვერაფერი დააკლოს და ტყუილ-უბრალოდ შარშიც გავეხვიოთ.

— მამამისი ნაკლები ჯან-ღონის არ ყოფილა, პატარა ტყვიამ აჯობა.

— ვერა! — თავი გადააქნია შაკომ.

— ლაჩარი ხარ, შენი!.. — ნესტორა მეორე მილიციელს მიუბრუნდა: — რაღას უყურებ, ესროლე!

— მე სხვანაირი ტყვია კი არ მიდევს იარაღში! — მიუგო ჩასკვნილმა მილიციელმა ნესტორას. — რომ ვერაფერი დავაკლო, მომიბრუნდეს, წამართვას რევოლვერი და... როგორიანადაც მიმბეგვოს, სადღა გამოვყო თავი?

— მობრუნება რად უნდა, ქვა რომ გესროლოს, მოგკლავს და ვერც ვერავინ დასჯის, იტყვის: ის ტყვიას მესროდა, მე ქვით თავს ვიცავდიო. — სიტყვა მიაშველა შაკომ ამხანაგს. — ვერა! ვერ ვესვრით ჩვენ! თუ ძალიან გწადია, შენ ესროლე! შენც ხომ გაქვს ჩუმად იარაღი?

— მე სროლის უფლება ოფიციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად არა მაქვს, თქვენ კი გევალებათ... ესროლეთ!

— ნუ აჩქარდებით, ბატონო ნესტორ. ჯერ გაერკვეთ, იქნება ბიჭი ილტისოდენადაც არაფერში დამნაშავე. რა იცი, ხვალ ეს ამბავი რაფერ შემოტრიალდება: სასიძო რომ მოვუკლათ იმ დიდ კაცს, მერე ჩვენ მაგივრად შენ აგებ პასუხს? ისემაც რა ვუთხრა შენს ულვაშს.

— ფეხებში მაინც ესროლეთ, გაფუჭებულებო!

ორივე მილიციელმა ერთდროულად გადააქნია თავი.

— გაგვექცევა, გაგვექცევა! — ნესტორამ მაკოს რევოლვერი გამოგლიჯა.

ეს რომ დაინახა ინგამ, შეშლილივით წამოხტა, ნესტორას დაუდგა წინ და მკლავები გაშალა:

— სროლა არ გაბედო! არ შეიძლება ახლა! წავიდეს! მერე, თუ საჭირო იქნება, ორივე ერთად დაგვხვრიტეთ! ახლა წავიდეს! მე კი ექიმთან წამიყვანეთ ახლავე! ვერ გაიგეთ? ექიმთან-მეთქი!

— ავადა ხარ, შვილო? — ახლაღა ამოიღო ხმა გაოგნებულმა სიდონიამ.

— ნეტავი ავად ვიყო! — ისევ წასკდა ტირილი ინგას. — მგონი, თავი დავილუპე, თავი დავილუპე!..

წითელმა „ვოლგამ“ და „კოლხოზნიკმა“ ერთმანეთის მიყოლებით გაუქროლეს სადალაქოს. გახევებულმა ხალხმა ზუზუნი შეწყვიტა. მაგრამ წამიერმა გახევებამ ცნობისმოყვარეობის ცეცხლი როდი ჩაუქრო ხალხს, პირიქით — უფროც გაუხელა.

— ქალის მანქანაში მხოლოდ მილიციელებს მოვკარი თვალი, ნესტორას — მარტო ბენია უჯდა, თავისი კუდი. — თქვა ინდიკომ. — ტუხა, კაცო? თვითონ ტუხა?

— ვაი?! ხომ არ მოკლეს წყეულებმა? — შეიცხადა დალაქმა.

— მე ვერც სიდონიას დავინახე! — მოისაკლისა მაღაზიის გამგის ცოლმა, კასანიამ.

ხალხი შეშფოთდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ფეხით მარტოდმარტო მომავალი სიდონია. ალყა დაარტყეს და ქალი შეკითხვების კორიანტელში გაახვიეს. ისედაც დაღლილს მალე მოსწყინდა ერთი და იგივეს რამდენჯერმე მოყოლა, დაჰკრა ფეხი და გაიქცა შინ. ხალხი წინანდებურად არეულიყო.

— რაო, რა თქვა?

— შენც დაგეგდო ყური.

— ვინ მიგიშვა ახლო? ჰე, მითხარი, ადამიანო, რა მოხდაო?

— ხალხო, გააგებინეთ ტასიკოს ახალი ამბავი, თვარა ავად გახდება! — წამოიძახა მოანგარიშე კოკონამ.

— ჭორბიტურის დირექტორის შენ გეძახის სოფელი, მე კი არა! — უკბინა ტასიკომ.

ხალხი ისევ ჯგუფ-ჯგუფად დაიყო.

მეფანდურე ლადიკო ცარიელ მარჯვენა მკლავზე მარცხენა ხელით ვითომ ფანდურს უკრავს და ჯგუფიდან ჯგუფზე ღიღინით გადადის:

— ქორმა წიწილა წაიღო, იძახდა წიაჲ-წიასა...

— გაჩუმდი ტაშფანდურა! — ვითომ გაუწყრა ქვისმტეხელი თადეოზა. — ვერ გაიგე, დრო რომ შეიცვალა? ახლა წიწილამ მოიტაცა ქორი.

— კი ბატონო, ეგრე იყოს, — მეფანდურემ ტექსტი უმალვე შეცვალა, — წიწილამ ქორი წაიღო, იძახდა წია-წიასა...

— ეს რა ავი ოინი გვიყო ამ ჩვენმა ნაქებმა ტუხამ, ჰა? — თავი სინანულით გადააქნია მოანგარიშე კოკონამ.

— რატომ ავი? — შეესიტყვა აფრასიონი, რომელსაც, მართალია, კლუბი არსად ედგა ბერხევში, კლუბის გამგის თანამდებობა კი კარგა ხანია ეჭირა და ჯამაგირსაც ყოველთვიურად აძლევდნენ, — გასართობი გაგვიჩინა, ჰკუისა და ენის სალესავი. შარშან თბილისში გადასამზადებელ კურსებზე რომ გამგზავნეს, ცირკში წაგვიყვანეს და იმდე-

ნი ვიცინე, ერთ კვირას მუცელი მტკიოდა. აქ ნაკლები ცირკი კი არ დატრიალდება.

— არა, ამ შეურაცხყოფას სოფელი კარგა ხანს ვერ მოინელებს! — სწუხს შინაბერა ბიბლიოთეკის გამგე და ჩოფურ პირისახეზე წამდაუწუმ ისვამს ხელს, ხომ არაფერი მაცხიაო.

უფანდუროდ მოფანდურავე ლადიკომ ჩაუშაირა:

გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა კლდისა ჩქერამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი — ერთმანეთისა ცქერამა.

— შენ ხუმრობ და ეგ არ არის გამოსარიცხული, ყმაწვილო! — წამოიძახა ისტორიის მასწავლებელმა აბიათარ მუხურელმა და შემდეგ ეს საკითხი ფილოსოფიური ასპექტითაც განსაჯა: — სიყვარული ისეთი სტუმარია, არავინ უწყის, ვის კარს როდის მიადგება და როდის წავა, მოვიდა, ნახა, შეიყვარა! ქალმა ვაჟი შეიყვარა, ვაჟმა — ქალი. ეტყობა, აქ მომხდარი ამბავი უეცარი სიყვარულის აფეთქების ბრალია. ხოლო ადამიანმა სიყვარულის გამო რაც არ უნდა ჩაიდინოს, ეპატიება. სიყვარულმა არ იცის არც ეროვნება, არც რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა... ასევე — ეროტიულმა ლტოლვამაც. ადიდებულ მდინარეს შეაჩერებ? ვერა. მოწიფულ ქალ-ვაჟის ორმხრივი ეროტიული ლტოლვაც ასეა. წუხელი სავსე მთვარე იყო, მთვარე კი აღელვებს ორივე ვნებას — მამაკაცურსაც და დედაკაცურისაც...

— შავი ჭირი, ხორცელა და გადამენება ქალაქელ ტინგიცა გოგოებს! — მიაწყევლა ხარაზის ცოლმა ქუქუნამ.

— ნუ გეშინიათ, ახლა სირცხვილით ოფლში აღარავინ იწურება, აღარც ქალაქელი, აღარც სოფლელი! — სიტყვა ჩამოართვა ქმარგაყრილმა კატუშამ.

— მართლაც, მარტო ქალაქელ გოგოებს რას ერჩით? — ვეღარ მოითმინა ბურხევში სააგარაკოდ ჩამოსულმა მანდილოსანმა მერიმ. — ჭირ ერთი, ცუდი ყველგან არის, ქალაქშიც და სოფელშიც, მეორეც, სტუმარი გოგო ცუდი ყოფაქცევის სულაც არ ყოფილა. იმ დათვივით ბიჭმა თურმე უმანკო ქალიშვილი ჩაიგდო ხელში.

— აფსუს, რა კეთილი და უწყინარი ბიჭი გაგვიუბედურა იმ ოხერმა გომბიომ! — ისევ თავის სიტყვაზე იდგა ხარაზის ცოლი ქუქუნა.

— ვითომ რატომ გააუბედურა? — ჰკითხა მერიმ.

— დიდი კაცის ქალიშვილი ყოფილა, ჰოდა, ტუხას ამ ამბავს ვინ შეარჩენს? ცამდე მართალიც რომ იყოს, თითქმის უპატრონო სოფლელ ბიჭს თავის სიმართლეს ვინ დაამტკიცებინებს?

სადალაქოსთან თავშეყრილი ხალხი დაიშალა. ვისაც შინ წასვლა დაეზარა, სარდიონას წისქვილს მიაკითხა — სოფლის ბერიკაცთა საკრებულოს.

სარდიონამ წისქვილის პატარა ეზოში გრძელ, სქელ ფიცარს ფეხად ორი ბრტყელი ქვა დაუდო და სტუმრებისთვის ახალი სკამი გამართა, თვითონაც ახლო ჩამოჯდა, გაუქმებულ დოლაბზე. ორი მისი კბილა თეთრწვერა ბერიკაცი გვერდით მიუჯდა.

— ბატონო ელიზბარ, ამ ამბის თაობაზე რას გვეტყოდით, ჰა? — ჰკითხა ფიცრის სკამის ნაპირზე მჯდომ დარბაისელ მოხუცს წისქვილის დოლაბზე ჩამომჯდარმა მოფამფალებულმა ჩია ბერიკაცმა.

— ჰეეე! — ელიზბარმა შინდის ჯოხი მაღლა ასწია და მიწას ნაღვლიანად დაჰკრა. — ახლანდელმა ახალგაზრდებმა, ბატონო, აღარც სირცხვილ-ნამუსი იციან, აღარც უფროსების პატივისცემა. ზნეობა უცხო ხილად მიაჩნიათ. ყელზე ოქროს ჯაჭვებით ოქროს ჯვრები შეიბეს და ჰერი, სინდის-ნამუსი კი აუშვეს, ინავარდე და ითარეშე შენ ნებაზეო. ჩვენს დროში, ბატონო, აგერ იაკინთეს კი ეხსომება, გაკვეთილი ლოცვით იწყებოდა და ლოცვით მთავრდებოდა, თითქმის ყოველ დღე ვიმეო-

რებდით სახარების ათ მცნებას და კი იყო სიწმინდე-პატიოსნება. ახლა ხედავთ, ულმერთობამ რა უსაშველოდ დაამდაბლა ზნეობა? — ყველაფერს ულმერთობას აბრალებს დარბაისელი მოხუცი და წვერს მალი-მალ იფოცხავს თითებით. — უფლის მიერ წესიერად გარიგებული ქვეყნიერება მთლად არივ-დარიეს. — ელიზბარმა რაკი ყურისდამგდები ხალხი დაინახა, ენას ყველა ბორკილი მოხსნა და ქადაგად იქცა. — ადამიანს ღმერთი რომ არ გამოეგონებინა, გაჩენისთანავე დაიღუპებოდა. ღმერთმა შეინახა ადამიანი, უფრო სწორედ, ღმერთის შიშმა: საიქიოში უზენაესის წინაშე წარვდგები და სააქაოში ჩადენილ ჩემს ცოდვა-მადლს იქ აწონ-დაწონიან და განსჯიანო. ცოდვას ერიდებოდა. ახლა? მიდი-შიდი, ჩაიდინე, რაც მოგეპრიანება, აღარც საიქიოსაა ვინმე გამკითხავი, აღარც სააქაოს. რასაც მოასწრებ შენია, რასაც ვერა — დაკარგულია სამუდამოდ, მიწად იქცევა შენთან ერთად.

ბერიკაცები წვერს ორივე ხელით იფოცხავენ და სიტყვას არ აწყვეტინებენ ელიზბარს, რადგან საიქიოს ამბებზე საუბარი, ეტყობა, ყველაზე მეტად აინტერესებთ, ზოგს იქნებ სიამოვნებს კიდეც.

— იაკინთე ბატონო, შეიძლებოდა ასე ადვილად ღმერთის შელევა?

— ჩვენ ვინ რა გვკითხა, თვარა...

— მეც მაგას ვჩივი, რომ არ გვკითხეს. თეატრი და კინო კარგია ხოლმე, მაგრამ, იქ ვერ ილოცებ, ღმერთზე კი უეჭველად ლოცვა იყო საჭირო, ყველა თავის გულში ჩასახლებულ ღმერთზე ლოცულობდა, ღმერთიც ყოველთვის ადამიანთან იყო ამიტომ.

— ეგ კია ეგრე, მარა, მე უფრო სხვა რამე მაწუხებს, ბატონო ელიზბარ, — წამოიწყო ჩია ბერიკაცმა, — ათას ჭირგამოვლილ კაცს მეძახიან, ბევრის მნახველი და უფრო მეტის გამგონე ვარ, ამგვარი რამ კი არც მინახავს, არც მსმენია, ქალს გაეუპატიურებინოს მამაკაცი, ისიც ასე ნეკისტოლა გოგოს ტუხასთანა დევკაცი.

— აპა, აპა! — დაუწყვილა სიტყვა მეწისქვილემ. — ქვეყნიერებაზე წინათ არავის გაუგონია, დედაკაცმა თუნდაც მზაკვრულად მამაკაცი შეაცდინაო. აღარ ვიცი, ამ ამბავზე ვიცინოთ თუ ვიტიროთ. — სარდიონმა ჩახველებით ჩაიწმინდა ყელი.

— ერთი ქვეყანაა, დამასკო ჰქვია. იქ თურმე თუ ქალს დაუნახეს, კაბა მუხლებს არ უფარავსო, პოლიცია კუპრით ულებავს ფეხებს. ჩვენშიც რომ შემოგველო ეს, ურიგო არ იქნებოდა. — თავის კანტურით თქვა იაკინთემ.

— მოსახდენს მაინც ვერ შეაჩერებ! — საუბარში ფილოსოფიური ჩაფიქრებით ჩაერია აბიათარი. — ეს ისეთი ამბავია, ბატონებო... კაცობრიობას არავითარი საიდუმლოება არ გააჩნია. ყველაფერი ბოლოს დადის ქალ-ვაჟის უბრალო ურთიერთობამდე, მათი ურთიერთ მიზიდულობის მარტივ კანონამდე. ჩვენ, ადამიანები, განგებ ვართულებთ ყველაფერს. თქვენ გგონიათ, მხოლოდ ჩვენს დროში გააქტიურდა ქალი? არა, ბატონებო, ასე იყო მუდამ. ერთი ძველი წიგნია — „თიმსარიანი". იქ წერია: ქალმა ჭაში კოკის ნაცვლად თავისი მცირეწლოვანი შვილი ჩაუშვა, რადგან საყვარელს მიშტერებოდა და შეეშალაო.

წისქვილი ამ საუბარს ყურს არ უგდებდა, თავისთვის გუნებიერად ფქვავდა და გრუტუნებდა. გრუტუნი მისი ღიღინი იყო. ამ წუთში იგი ჩაფიქრებულ ბერიკაცსაც ჰგავდა, მაგრამ წისქვილი არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ფქვავდა. მისი დაფქვული ქორწილში დაიხარჯებოდა თუ ქელეხში, წისქვილისთვის სულ ერთი იყო, ფქვავდა და ფქვავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფერადი ბუშტების გათქაბუთქი

ვერხევში მომხდარი ამბავი მიტროფანეს უმალვე აცნობეს აგარაკზე. იგი სასწრაფოდ გაჩნდა ლარულაში.

არისტომ თამამად შეაბიჯა მიტროფანე გვიმრაძის გრძელ და ნათელ კაბინეტში, ნესტორა გალახული ძაღლივით შეჰყვა — ფეხათრევით. ვეღარ იცნობდით, ისე იყო მოკუნტული და გალეული. გრძელ მაგიდას მთვრალი კაცისებური ბარბაცით მიუახლოვდა და გაჩერდა თავდახრილი.

მიტროფანე სავარძლიდან არც წამომდგარა, თავმჯდომარეს ირიბად გამოხედა:

— ამხანაგო ნესტორა, რას ჰგავს ეს? ბითურზე უბითურესო, თამადობის მეტი მართლაც არაფერი გცოდნია. რა ჭირად დაგჭირდა თავქარიანი გოგოს მოწვევა ჩემ რაიონში?

— ვინ მოიწვია, კლასიონიჩ! ჩემა გოგოს ყასიდად დაუპატიჟნია, იმას კი მოგვიანებით გახსენებია ეს, დაუკრავს ფეხი და გამოჭენებულა მარტოდმარტო. დამიჯერებთ, კარგია, არადა, თქვენ ხელში ვარ ასეც და ისეც. — მთლად ჩაიმკვდარუნა ხმა პირისახედამეწყრილმა ნესტორამ. — ვიფიქრე, ჯერ ქალიშვილის გულს მოვიგებთ, მერე მამამისსაც დავიახლოვებთ და მთელი რაიონისთვის საჭირო იქნება, მეტ ყურადღებას მოგვაქცევს-მეთქი...

— მთელ რაიონს, ჰა? დღე და ღამე მთელი რაიონის საზრუნავით იკლავ თავს, შენმა თავის გახეთქვამ, როდის დაიწყე რაიონის მასშტაბით ფიქრი? გამოჩნდა ახალი საზოგადო მოღვაწე!.. რაიონული მასშტაბის დარდი გაუჩნდა უდარდელს!... თუ საქმე რაღაცნაირად არ მოკვარახჭინდა, ყოფა გვეტირება ყველას. მაღლიდან წამოსული სიკეთე ათმაგი მადლია და რისხვა — ასმაგი უბედურება. საფლავის ლოდივით მძიმედ გეცემა ადამიანს თავზე, მიწაზე დაბრტყელებას არ გაკმარებს, საფლავში ჩაგაძვრენს. გესმის, რასაც გელაპარაკები?

ნესტორა გონმიუცემლად და კრინტის დაუძრავად უქნევს თავს. ძალიან კარგად იცის, იმ რაღაც რისხვაში დიდი კაცის მუქარას რომ გულისხმობს მიტროფანე.

— შტერი ხარ შენ, ყოველნაირად შტერი და რეგვენი... ნამცეცი ტვინი არ გირიხინებს მაგ ცარიელ გოგრაში! ახლა რომ მიქნევ თავს, ეგ უშველის წამხდარ საქმეს?

ნესტორა მიტროფანისკენ არც იყურება, გალახული ძაღლივით მოკუნტულა, აქაოდა, მლანძღეთ, რამდენიც გნებავთ, ახია ჩემზე, დამნაშავე ვარ, თუნდაც მცემოთ, ხმას არ ამოვიღებო.

— მომხედე აქეთ! სად არის ის თქვენი ნადირი?

— ნადირი სად იქნება, კლასიონიჩ, ტყეშია ახლა, ალბათ... ან მთაში თიბავს.

— რატომ მაშინვე არ დაიჭირეთ?

— მისი გამთოკავი ვინაა, იარაღი თუ არ იხმარე... აიღირა თავი და წავიდა. არისტოს მილიციელებს ვუთხარი, ესროლეთ-მეთქი და ყურიც არ გააპარტყუნეს. ჰოდა, იმხელა კაცი ხვლიკივით გაგვიძვრა ხელიდან... უდურთა, ბატონო, თავი, გაგვექცა.

— ახლა რას აპირებთ?

— რავარც გვირჩევთ, ისე მოვიქცევით, კლასიონიჩ! — სმენაზე დაუდგა ნესტორა სავარძელში გადაწოლილ მიტროფანეს.

— მაშასადამე, თქვენ საქმე გააფუჭოთ და მე ვიმტვრიო თავი? აგერ ხარ შენ და აგერაა რაიონის შეიარაღებული ძალების უფროსი, სხვებიც ახლომახლო არიან, ვისაც ასეთი რამეების გარკვევა-გარიგება ევალება. ეცადეთ, ეს ამბავი შინაურულად მოაგვაროთ და სასამართლომდე არ მიიყვანოთ საქმე. დავიდარაბას ნუ შექმნით, გესმის?

— თქვენი დიდი ავტორიტეტი გვჭირდება, კლასიონიჩ! — ტკივილის გამომხატველი ჭმუნვა და ღიმილი ერთდროულად აისახა არისტოს პირისახეზე.

— ჩემი ავტორიტეტი! ვიცი, ამ ეტაპზე რასაც ნიშნავს ჩემი ავტორიტეტი! მაშასადამე, ამ დავიდარაბას პირველ ზვარაკად მე შევეწირო, არა? რაც გნებავთ, გამოიგონეთ, შეთხზეთ, მოქსოვეთ და მოარგეთ იმ გოგო-ბიჭს ისე, ჩვენზე სასაყვედურო არავის ჰქონდეს რამე. თუ ეს უხიაგო ამბავი ნეფე-დედოფლის სამოსელად მოიქსოვება, მთლად კარგი. ოღონდ, თუ ქსოვისას თვალი ჩაგივარდათ და დაგერღვათ, თქვენს თავს დააბრალეთ ყველაფერი!.. — არ უთქვამს, დედას გიტირებთო. ეს უთქმელადაც იგულისხმა აქ მდგომმა ორივე ადამიანმა. — ეცადეთ, საქმე ისე წარმართოთ, ყველა კმაყოფილი დარჩეს: არც მწვადი დაიწვას, არც — შამფური.

— მიტროფან კლასიონიჩ, ის მაინც მითხარით, ამ ამბავში მწვადი რომელია და შამფური — რომელი? — არ უხუმრია, ნამდვილად ჰკითხა ნესტორამ.

— ვაი შენს თავს, უბედურს, ეგეც მე გასწავლო? მაგდენი თუ აღარ იცი, თავმჯდომარის სკამზე ამდენხანს ვინ გაგაჩერა? ახლა წადით, თქვენს საქმეს ეწიეთ, აქ ტყუილად ნუღარ დგახართ. ყოველ ამბავს ცხელ კვალზე უნდა მიდევნა, მერე სინანული წყლის ნაყვა იქნება! რაღას უდგახართ? — წარბები აჭიმა და თვალები გადმოკაკლა. — ამხანაგო ნესტორ, ვერ გაიგე, რაც გითხრეს?..

მიტროფანეს კაბინეტში თუ გალახულ ძაღლივით შევიდა ნესტორა, იქიდან სულიან-ხორციანად დალილავებული გამოვიდა.

რაკი უფროსმა ისე შემოხედა, თითქოს ორლულიანი თოფი დაუმიზნაო, ახლა არისტოც უბღვერს. მილიციის მაიორს დღეს ერთხელაც აღარ გაუხსენებია, ნესტორას ტყუპისცალ ძმასავით რომ ჰგავდა. ხმის გაცემაც კი აღარ უნდოდა.

შენობიდან რომ გამოვიდნენ, ამიტომაც დუმილის დარღვევა პირველად ისევ ნესტორამ სცადა, აქაოდა, არისტოს თავს შევახსენებო. შინაურულად შეევედრა:

— თუ ძმა ხარ, შენ მაინც მირჩიე, რა ვქნა?

— „ხაზეინზე“ უკეთ მე რა გირჩიო? საქმე მშვიდობიანად მოაგვარე, რავარც გინდა და რანაირადაც გინდა.

— ე, კაცო, შენ მაინც გამარკვიე, ამ ამბავში რომელია მწვადი და რომელი — შამფური?

— კი, მაგრამ, აკი გითხრა „ხაზეინმა“, ეგეც თუ აღარ იცი, თავმჯდომარის სკამზე ვინ დაგსვაო? შენს გაფუჭებულ საქმეზე თვითონვე იფიქრე და იმტვრიე თავი, ჩვენ რა ვქნათ, ძმაო? ეგ მწვადი და შამფურიც თვითონვე გაარკვიე. მე ისეთს ვერაფერს გირჩევ, რაც „ხაზეინს“ არ უთქვამს. მერე, საქმე რომ ჩაგივარდეს, ვაითუ მარცხი მე გადმომაბრალო. გიცნობთ, რა შვილებიც ბრძანდებით. რჩევა-დარიგების მიცემა ჩემი საქმე არაა.

— ორი მილიციელი მაინც გამაყოლე. იქნება იმ სულწაწყმედილთან მოლაპარაკება დამჭირდეს და... მთიდან ხომ უნდა ჩამოვიყვანო როგორმე!

— ორი მილიციელი? კი, ბატონო, სამი იყოს, ოთხი... თუნდაც მთელი რაზმი!

— რაზმი არ მინდა, არც ოთხი, ორიც მეყოფა. ხვალ დილით გამომიგზავნე. ამაღამ რაღაცას მოვიფიქრებ, იქნებ მივაგნო საშველობო გზას. ჰო, ხვალ ადრიანად გამომიგზავნე. ამაღამ რამეს მოვიფიქრებ!..

საფიქრალი იმდენი უნდა, ნესტორას რომ გაუჩნდა. თავი თითქოს ნაირნაირი ღრუბლებით გაევსოო. ირევიან ღრუბლები, თავისქალის კედლებს ეხლებიან, უფრო ხშირად კი ერთმანეთს ეჯახებიან და ჭექა-ქუხილით აყრუებენ იქაუ-

რომის. ოღონდ ეს ჭექა-ქუხილი ნესტორას გარდა არავის ესმის და ეს უფრო უკლავს გულს.

ვილაცამ გაიფიქრა და დაითარსა. აბა, რას ჰგავს ეს? საქმე თავის სასიკეთოდ რომ ეგონა მოგვარებულ-დაგვირგვინებული, ეს რა მაცადო გამოუტყვრა ასე მოულოდნელად? თითქოს მოწმენდილი ცადან მეხი დაეცათ.

რა ხანია შუაღამე გადავიდა და შუქი არ ჩამქრალა ნესტორას სახლში, არც ადამიანებს მოუხუჭავთ თვალი.

აწრიალებული მიმოდის ოთახში არიშა და სულს ძლივს ითქვამს.

თავქვეშეყრილი ბოლთასა სცემს ნესტორა და გამწარებით იჭამს ტუჩებს.

„ის თუ არ იცი, მწვადი რომელია და შამფური რომელი, თავმჯდომარის სკამზე აქამდე ვინ გაგაჩერაო! ჰმ! ძალიან კარგად ვიცი, დალახვროს ეშმაკმა, მწვადი რომელია და შამფური რომელი, რად მინდა ეს ცოდნა, თვარა კაი შენ! თითქმის შეუძლებელია, აქ ორივე არ დაიწვას, ამას კი ჩემი უეჭველი დაწვა მოჰყვება. ციხის სუნიც კი უდის ამ ამბავს. ტუხასთან ერთად იქნებ მეც დამიჭირონ. ღმერთმა ხომ იცის, არაფერ შუაში ვარ, ფიორი დანაშაულიც არ მიმიძღვის, მაინც... თუ სადმე საქმე ფუჭდება, მით უმეტეს, როცა ამ ამბავს დიდი კაცის განაწყენება მოსდევს, მტყუან-მართალს ვინღა არჩევს... კოლმეურნეობაში რაც არ უნდა გამეფუჭებინა, მაპატიებდნენ ძლვენის მირთმევით თუ სხვა რამით, დატუქსავს მაკმარებდნენ ან დიდი-დიდი საყვედური გამოეცხადებინათ, ახლა კი... ეს ოხერი მოულოდნელი დავიდარაბა ცოფიანი მგელივით გადმომიხტა გზაზე და შებრდღვნა. ნამდვილად შემჭამს. მეც მგელს შეჭამიან, ძველ მგელს, მაგრამ ეს ამბავი უფრო ღონიერი მგელია, უსაშველოდ ბასრი და წვეტიანი კბილები გადმოუყრია, დამშეული მგელია, თვითონ მოძმე მგელსაც რომ არ ინდობს შესაჭმელად... ეს რა ოინი დამემართა! რა ჩემი ჭირად ავიტეხე დიდი კაცის თავქარიანი გოგო სტუმრად?.. ახლა, მგონი, ველარ გადავურჩები, ნაღდად მომხსნიან, იქნებ უარეს დღეშიც ჩამაგდონ, თუ არაფერი ვიღონე. აი, სიდონია თუ იტყვის: ჩემი თვალით ვნახე, ტუხამ გოგოს ტანსაცმელი შემოახია და ძალა იხმარაო, შესაძლოა, მე ცოტა მეშველავათოს... მხოლოდ ტუხა დააპატიმრონ. კი, ამის დადასტურება, ამჟამად წამალივით მჭირდება..."

ფიქრი ცოლმა გააწყვეტინა ჩურჩულით:

— მოვიდა, მოვიდა!

— ვინ?

— ვინც დაიბარე.

შემოვიდა სიდონია. ნაღდად ეტყობა, უდროო დროს გაულვიძებიათ და წამოუგდიათ ლოგინიდან, ძილი ჩარჩენია თვალებში.

— ბატონო ნესტორ, დაგიბარებივარ...

— ოჰ, მოხვედი? გმადლობ, სიდონია! — ნესტორა ცოლს მიუბრუნდა: — შენ გადი, ქალო, მოწმე არ გვჭირდება.

არიშა გაიზლაზნა, ოღონდ შორს არ წასულა, კარს მოადო ყური.

— ბოდიშს ვიხდი, ასე გვიან რომ დაგიძახე, — მიხედა ნესტორამ კედელთან ჩუმად მდგარ ქალს, — ზოგჯერ საქმე არ ითმენს. ვიცი, გამიგებ. შენ, სიდონია, ძალიან კარგი ქალი ხარ, გონიერი, მუყაითი...

სიდონია მხრებს იწურავს და წარბებს ჭიმავს გაკვირვებული.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

# ლენინზე ფიქრით

ლენინზე ფიქრით განვიწმინდები,
რათა ვემსგავსო მომავლის ტალღას...
ბავშვი სიყვარულს რომ ერიდება —
მეც ისე ვუფრთხი სიხარულს დიდს.

გალ. ტაბიძე

ყოველ ოცდაორ აპრილს ასე ხდება ქვეყნად: კაციშვილი, ვისაც კი სწამს, რომ მისი წილკერძი კეთილდღეობა — სულიერი აღმაფრენაა ეს, თუ ყოფა-ცხოვრების სიუხვე და სიმყარე, — ვისაც სწამს და სჯერა, რომ მისი პირადი ბედნიერება შერწყმულია და წილნაყარი მეზობლისა და ნათესავის, მეგობრისა და თვისტომის, ამქრისა და თანამშრომლის, თანამოღვაწისა და თანამებრძოლის, თანამზრახველისა, თანამემამულისა და თანამედროვის კეთილდღეობასთან და ბედნიერებასთან — ყველა ასეთი სულგრძელი და გულუხვი ადამიანი, გულკეთილი და გულღია პიროვნება, გულადი და ერთგული მოქალაქე ოცდაორ აპრილს კვლავ მიაპყრობს თავის გულისყურს ლენინის სახებას. მან დიახაც იცის, რომ ჩვენს დროში ასეთი საკაცობრიო მცნება სწორედ ლენინმა იქადაგა და დააფუძნა ჯერ დედამიწის ერთ მეექვსედზე, რათა სამერმისოდ ძლევამოსილი წინსვლა დაელოცნა მისთვის სივრცისა და დროის თვალუწვდენელ ასპარეზზე. მან ისიც იცის, რომ ეს მცნება სადღეისოდ და სამარადჟამოდ — ხალხთათვის და კაცთათვის — მშვიდობის, შრომის, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობისა და ბედნიერების ხუფევის უმაღლეს ზნეობრივ კანონად ჩამოყალიბდა.

„ყველაფერი დაიწყო კი ისე, როგორც ეს ალექსანდრე ბლოკის, გალაკტიონ ტაბიძისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის თვალმა იხილა, ყურმა შეისმინა, მთელმა არსებამ შეიგრძნო და ჩანგმა — გარემოების საყვირმა — საქვეყნოდ იდაღადა. ოქტომბრის რევოლუციის მგზნებარე ამერიკელი მემატიანის — ჯონ რიდის ფრთიანი თქმისა არ იყოს, იმ „მსოფლიოს შემძვრელი ათი დღის“ შუაცეცხლში და იმ საინტერიო ძვრების ეპიცენტრში აღმოჩენა ხომ ბედმა სწორედ ამ სამ გენიოს პოეტს არგუნა — თვით ჯონ რიდითურთ. და განა არ უნდა დარჩენოდა გალაკტიონს ეს გარემოება სამუდამოთ განცდის საგნად და მიზეზად? ხომ იგონებდა კიდეც იგი ერთ თავის დიდებულ რევოლუციურ პოემაქრონიკაში: „სმოლნი. „თორმეტნი“ — ალექსანდრ ბლოკის. „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ — ჩემი... „ათი დღე, რამაც შეძრა კაცობრიობა“... ო, რა თქმა უნდა, მე არ მეღირსენე! როცა სისწრაფით ვეშურებოდი საქართველოდან — იგი წამოვიდა ნიუ-იორკიდან... — ჯონ რიდი — პოეტი რევოლუციის, დელეგატი III ინტერნაციონალის — პიროვნება, რომელთან ერთად განვიცადე რევოლუცია... მთელი სიმწარე მოვლენების და მთელი სიტკბო, რომ ეს სტიქია უჩემოდ არ ჩატარებულა...

და თუ კი ბლოკი გენიალური „თორმეტით“ მიწყივ სიტყვით და საქმით ქადაგებდა — „მთელის არსებით, მთელის გულით, მთელის შეგნებით უსმინეთ რევოლუციას!“ — გალაკტიონმა — ერთმა პირველთაგანმა ოქტომბრის თანადროულ პოეზიაში — დაძრა თავისი ყურთასმენა და გულისყური, რათა შეესმინა „ოქ-

ტომბრის სიმფონიაცა“ და „მსოფლიო ორკესტრიც“.

უფრო დიდმა ხმაურმა სმენას ახლო უწია.
— რას ელით, ქალაქებო? — ნამდვილ
რევოლუციას!
მოგვცეს ზავი და პური და კაცური უფლება,
რათა შრომის საუფლო ერქვას
ხელისუფლებას!..

და გალაკტიონმა იმთავითვე დაუკავშირა ხალხის ეს მოლოდინი ლენინის სახელს და აღიარა, რომ —

ომით გაპარტახებული აღარ მქონე თმენის,
მრავალმილიონიანი მასა უცდის ლენინს!

ამ მრავალმილიონიანი მასის სხვადასხვა მასივზეც მიუთითა პოეტმა:

წითელ დროშის ქვეშ საომრად მდგარი,
მომწყრე მრავალის დღეების ბნელის
ფაბრიკათ რიგი, ქარხნების ჯარი —
უცდიან ლენინს.
მილიონობით — დაშეულ რიგებს
ამაოდ ხელი არ გაუწვდიათ,
არ მოელიან არვისგან იმედს —
ლენინს უცდიან.
რასა ჰგავს ყანა და ფარეხები!
რამ დაგვიშხამა სიცოცხლის დღენი?
ღარიბ-ღატაკი სოფლის გლეხები
უცდიან ლენინს.
ფრონტიც მზად არის შეატრიალოს
ტყვია სიზუსტით,
კლასობრივ მტერზე საიერიშოდ,
ჩვენ ლენინს ვუცდით.
ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი,
ბარიკადები ქუჩების ვრცელის,
ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბჭესთან
უცდიან ლენინს.
ლენინი მოდის!

გალაკტიონმა იმთავითვე და გვიანაც, ერთხელ და სამუდამოდ აღიქვა რევოლუციისა და მისი ბელადის მოვლინება, როგორც ეროვნებათა თავისუფლების საწინდარი და მტკიცე გარანტია:

ეს არის სიტყვა: ძირს მოძალენი,
ეს გამარჯვებათ არის კანდელი,
ეროვნებათა მარში, ლენინი —
აი რა არის დღე დღევანდელი.

ხელოვანთაგან გალაკტიონზე უკეთ იქნებ არავინ იცოდა, რომ მოძღვრება, რომელსაც განასახიერებდა და ქვეყნად აფუძნებდა ლენინი — ცით მოვლენილი სასწაული კი არ იყო, არამედ კანონზომიერი დასკვნა და დაგვირგვინება ესოფლიოს ყველა ერისა და ხალხის საუკუნოვანი და სანუკვარი ფიქრისა და გზნებისა, გულისნადებისა და ოცნებისა, ალღოთი და გუმანით მომავლის გულთმისნური განჭვრეტისა.

ამიტომ აღიარებდა იგი მტკიცე რწმენით სიცოცხლის მიწურულს თავის უკანასკნელ წიგნში:

ბიბლიოთეკა

რაც გადმოირღვა ზვირთები ვრცელი,
რაც შემდეგ ღელვა და გუგუნია,
იფიქრებ: ასი საუკუნეა
და არა რაღაც ორმოცი წელი!
ჩემთვის ის წლები ჩანგის გულია, —
შენი დიადი ხსენება, ლენინ!

ერთ თავის პოეტურ ხადიდებელში კი მან ჭეშმარიტი მხატვრული გაბედულობით და გამჭრიახობით შემოსაღტა ერთი ლირიკული კომპოზიციის ფარგლებში ასეთი, მისთვის საგულისხმო და სათაყვანო სახელები და ხატებანი:

ჩემო ლექსებო, მარად
გქონდეთ მსუბუქი ფრთები...
აყვავებული მდელო,
გასაოცარი მთები!
რუსთაველი და მშვიდი?
დამშვიდება და ვაჟა?
აწმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავლის — ვაშა!
ჩვენი ლენინის მარად
ძლევამოსილი დროშით,
წინ ახალ-ახალ ნათელ
გამარჯვებისკენ მხარევ!
განადგურებულს ძველი
ყინვით, სუსხით და თოშით —
აწ მარგალიტად გთელიან,
სხვა ქვეშში რომ ვერ გარევ!

რა თქმა უნდა, ყველა ამ პოეტური განცხადების, წიაღსვლისა თუ დაღადისის ფასი — დიდი ტალანტისათვის ნიშნეული გულწრფელობითა და მტკიცე რწმენით იყო უზრუნველყოფილი და განსაზღვრული. აკი თვითვე განგვიმარტა ერთხელ:

ურყეველი რწმენის მტერი
გზას ვერაფრით აგნებს,
როს სხვადასხვა გზით უცქერის
ათასნაირ საგნებს.
საგანიც ფერს მისთვის ხშირად
იცვლის იმის გვარად —
როგორ ხედავ, რანაირად,
რომელ მხრიდან და რად.
განა ვისმე ვიყავ მონა,
როცა მდევდა ზრახვა
და მრავალი დღეთა კონა
ძლიერ ღელვას გაჰყვა?!
არა მონა! ო, პირიქით,
თავისუფალ ამბით
ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი,
საკუთარი შტამპით.
მაგრამ, გრძნობათ სიმაისევ,

ფიქრით ნათელ ფრენის,
თუ მონა ხარ, მონა ისევ -
საკუთარი რწმენის.

ეს იმ განთქმული ლექსის პოეტური პრეამბულა გახლავთ, სადაც პირველქმნილი ძალით გააცოცხლა გალაკტიონმა ერთი უმძაფრესი მოგონებათაგანი „იმ დღეებისა, როცა იელვა“:

ერთხელ ღამით, ცეცხლის ალზე
მივდიოდით ტოლნი,
მივდიოდით და, ჰა, თვალწინ
აღიმართა სმოლნი!
სმოლნი, სმოლნი! აქ — იმ დროის
მახვილი და ბრძმედი —
ჰქუხდა რწმენით მსოფლიოის
ერთი მეექვსედი.
...და როდესაც თვალს აცეცებს
ლულა ტყვიამფრქვევლის,
გუშაგის ხმას: „— თქვენ ვის ეძებთ?“ —
ვუპასუხე: — **ლენინს!**

ესეც თავისებური რეტროსპექტივი იყო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გალაკტიონ ტაბიძემ, სწორუპოვარი ძალით გამოხატა იმ დღეებშივე თავისი ხილვა და განცდა რევოლუციისა პეტროგრადსა თუ მოსკოვში, ცხრაას თვრამეტის დამდეგს აჟღერებულ ლექსთა რკალში ჟამსა, როდესაც ბლოკის „თორმეტნი“ იყო მხოლოდშობილი, ხოლო მაიაკოვსკის „მარცხენა მარში“, „რევოლუცია-პოეტოქრონიკა“ და „მისტერია-ბუფი“ ჯერ კიდევ ელოდნენ დაბადებას.

გალაკტიონის ეს პეტროგრადული თუ მოსკოვური სტრიქონები იმითაც იყვნენ საგულისხმონი, რომ სწორედ ამ ხილვათა ფონზე და ასეთი ნათელხილვის მადლით შეაღწია მის გულში და მის პოეზიაში ლენინის სახემ. სწორედ იმ ლექსში, სადაც თავისებურ დასკვნით ჰანგად იყო აჟღერებული რევოლუციური რუსეთის მოგონებათა უკანასკნელი გამოძახილი, გაისმა რევოლუციის ბელადის სახელიც: პოეტი ემშვიდობებოდა რუსეთსა და იქ დარჩენილ სათაყვანებელ მეუღლეს — ოლღა ოკუჯავას და მასვე მიმართავდა:

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი;
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი,
კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი
„დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი
ცრემლი.

როგორც ცნობილია, 1917 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისში დაიწერა ტიციან ტაბიძის „პეტერბურგი“, სადაც გაიელვა ლენინის სახელმა, მაგრამ ეს ლექსი ამ პირვანდელ ვარიანტში შედარებით გვიან დაისტამბა, თუმცა მისი მნიშვნელობაც როგორც პოეტური ლენინიანის ერთ-ერთი თავფურცელისა, აშკარაა და სამარადჟამოდ ნიშანდობლივი. გავიხსენოთ ტიციანის ეს მართლაც რომ ვიზიონერული სტრიქონები:

კუნძულებიდან მოქრის ქარი ღაუდეგარი,
აწევბა ქუჩებს, ყუმბარების ცეცხლით
გადამწვარს...
...ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი,
ასდის სიმყრალე შინელების გაგუდულ
მაყრულს,
რეცხავს მოიკა მატროსების გვამებს
ჩაყურულს,
თუჯის მხედარსაც უბნელდება გული
ბედქარი.
ვინ გამოუშვა, ვინ დაიჭერს, ვინ დააკავებს?
ჭაობის ნისლში სიმწრის ოფლი გამოდის
მკლავებს,
მოიგონებენ მხოლოდ მარტო ლენინის
სახელს...

ოღონდ ჩვენ არ შევცდებით, თუ კი ვიტყვით, რომ გალაკტიონის „დალანდი“ იყო მაინც პირველი დაბეჭდილი ლექსი მსოფლიო პოეტურ ლენინიანაში, თანაც აჟღერებული რევოლუციის მოვლენათა უშუალო გამოძახილი, მისი ქარტეხილის წიაღში, სამი წლით, ადრე ვიდრე ეს რევოლუცია თვით პოეტის სამშობლოში გაიმარჯვებდა. ამ გარემოებამ უკარნახა და გამოათქმევინა მომავალში ირაკლი აბაშიძეს გალაკტიონისადმი მიძღვნილი ასეთი სტრიქონები:

ოცნების ენით,
რუსთველის ენით
ჯერ პოეზია შეუდგა ლენინს...
როცა სამუმი ავარდა ცხელი,
როცა ნიაღვრის ტალღა ადიდდა,
ის მოწოდების აღმართულ ხელით
დაბრუნდა წითელ პეტროგრადიდან,
გამოჰყვა ქვეყნად ატეხილ ქარებს,
მომავლის გზა რომ ცხადად შენიშნა,
და მოუტანა სამშობლოს მხარეს
„სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“.
ბრძანების ენით მოუხმო მგოსნებს,
მოიხმო სიტყვა მკაცრ ანგარიშის
და დადგა დროშად და არა მოწმედ,
იქ, სადაც რისხვა იდგა ქარიშხლის.
და მგოსნის სიტყვაც კვლავ მიწას დასწვდა,
ასხდა, რაც სადღაც გაწყდა მანამდის
და დადგა კაცთან, და დადგა კაცთან,
და დადგა კაცთან აწ და მარადის!

ამ ლექსში, თვით გალაკტიონის ცნობილ სტრიქონთა და სახეთა ოსტატური გარდასახვის გარდა, საგულისხმოა წიაღსვლა, სადაც გალაკტიონის პოეზია ლენინის ხსენებას „რუსთველის ენით“ შეუდგა. საგულისხმოა თუნდაც იმიტომ, რომ გალაკტიონმა ერთ-ერთ გამოცე-

მაში თავის „დალანდს“ რუსთველის „მზეო, თქვენ შუქი მოფინეთ, ჰეი, რა ავი დარია“ დაურთო ეპიგრაფად, ხოლო მეორე, ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ ლექსში სწორედ რუსთაველისა და ვაჟას სახელებს მოაყოლა „ლენინის მარად ძლევამოსილი დროშის“ ხსენება.

გალაკტიონის კვალად ლენინის სახე დამკვიდრდა ქართულ საბჭოთა პოეზიაში სწორედ როგორც ხალხის ძლევამოსილების გამოხატულება. მხოლოდ 1924 წლის საბედისწერო 21 იანვრის შემაძრწუნებელმა ვანცდებმა გამოსცეს ქართული პოეზიის ქნარზე მგლოვიარე და კაეშნიანი ჰანგები. ასე აჟღერდა იმ დღეებში გალაკტიონისავე, ანდა პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალიო მირცხულავასა და სხვათა და სხვათა ტრაგიზმით გამსჭვალული სტრიქონები. და გაისმა რექვიემი გალაკტიონისა:

მღელვარება ღრუნის ქალაქის ქალას:
ჩავარდნილ თვალებს და ღია ბაღებს,
უძრავ ლენინთან მრისხანე ძალას
სძრავენ ზოდები —
დახურულ კარებს გრიგალი აღებს...
მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი...
შფოთავს, საოცრად შფოთავს ვალტორნი
და ფაგოტები.
ასეთ დროისას ვსვამ მე ფიალას!
მსგავსი ქარხნების დაბურულ კრთომას,
გრიგალი ღრუნიდა ქალაქის ქალას...
იქ ავლენილი,
ლენინი — მსხვერპლი ბოროტი ტყვიის —
ორი ბოროტად ანთებულ ომის,
და სამი მძაფრი რევოლუციის
დროშა — ლენინი.
დაღვრენ მედგარი მოიმედენი:
ოცნება თოვლში დაკარგულ ქოხის
და რკინის დროის გზაჯვარედინი.
პროლეტარიატი! —
ეს გუშუნია მთელი ეპოქის,
განწირულებით ის ეძებს ფერებს,
რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს —
სითბო მარადი.
დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი!
აქ ბევრი ბრძოლის გათავდა ვადა,
სტოვებს ბელადი და ამ[illegible]
დევიზზე დევიზს:
გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა,
გათავდა ომი სამოქალაქო,
მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო,
მსოფლიო ნგრევის...

ასე გაისმის რექვიემი გალაკტიონისა. პაოლო იაშვილმაც ლენინის უკვდავება ჯერ „მსოფლიო ნგრევის“ მოტივსავე დაუკავშირა, ოდეს დახატა სურათი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში „შრომის შვილთა“ მიერ ლენინის დატირებისა, ხოლო ლექსი დაამთავრა საკუთარ განცდათა გაცოცხლებით და სანუკვარ მოგონებათა გაელვებით, სამგლოვიარო ჰანგსაც თავისი ვაჟკაცური ხმა ააყოლა:

ო, მეგობრებო, გახსოვთ, როცა თბილისში
ჩვენთან
ჩამოიტანეთ აკიდება მეცხრამეტე წლის,
როცა მოედო დიდ პეტერბურგს ტიფი და
ცინგა,
როცა ბავშვები თხოვდნენ ლენინს მხოლოდ
ნატეხ პურს,
როცა ლენინი დასტიროდა დამშეულ
ბავშვებს
და თავს უყრიდა, როგორც გამხდარ, ყვითელ
წიწილებს,
ლენინის კუბოს მინდა ახლა შემოესიონ
ჩემი სიტყვები, ვით მტირალა ჩუმი ბავშვები.
ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში
გლოვისა...

რაღა თქმა უნდა, „ოქტომბრის ქარი“ მართლაც მხოლოდ „წუთით ჩადგა“, რათა ლენინისავე ანდერძის მედროშეობით განეგრძო „ქვეყნის გადარჩენისა“ და განახლების მოთავეობა. ქართულმა პოეზიამაც ბუნებრივი მრავალხმიანობით გამოხატა მომდევნო ისტორიულ გარდატეხათა, საქვეყნო გარდაქმნათა, ნგრევისა და შენების, ომისა და მშვიდობის ლენინის სახელთან და სახებასთან განუყრელი და შეთვისებული მატიანე.

სანდრო შანშიაშვილმა სამოქალაქო ომში თავგანწირული ქართველი ყმაწვილის ბედი დაუკავშირა ლენინის სახელს თავის მართლაც რომ საქრესტომათიო ლექსში „დედისერთა ლენინთან“, სადაც დიდი სულიერი ექსპრესიათაა გადმოცემული ქართველი დედის ზმანება:

გარეთ ცივა... ქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში,
დახშულია ჭიშკარი,
აძევს კლიტე უხეში.
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?
...როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა წითლებთან,
წითელ დროშას იცავდა,
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!
პირველ რიგში დაეცა...
ტყვიამ აღარ იცადა!
...თავი დასდო ხალხისთვის,

სისხლი ნორჩმა დაღვარა,
ნახა საძმო საფლავი,
ვეღარ — დედას ჭალარა!..

მანვე, როგორც გვიან ილო მოსაშვილმა, ლექსის შუქი მიანათა მარადსახსოვარ სურათს — ლენინი ჯავშანოსზე, ოღონდ ხილვა, რომელიც 1927 წელს სანდრო შანშიაშვილმა უშუალოდ ოქტომბრის დღეებს მიუსადაგა, ილო მოსაშვილმა ალყაშემორტყმულ ცხრაასორმოცდაერთის ლენინგრადს დაუკავშირა; ღამეა, მაგრამ ლენინის ქალაქს არ სძინავს:

რა დააძინებს,
ქარიშხლის კვალი
გაშლილ დროშებზე ატყვია ჯერაც;
ქუჩებს დახედავს ლენინის თვალი
და ძველ ჯავშნოსანს საომრად ჰფერავს,
დადგება ზედ და ბრძოლაში უხმობს
დიდი ოქტომბრის უწმინდეს კერას.
დადის, მის თვალზეც გამკრთალი რული,
უვლის მოედნებს,
ალვიძებს ღამეს
და ლოცავს მშობლის უკვდავი გული
მტერზე მიმავალ შვილებს და მამებს...

საგულისხმოა, რომ ამ მეტად ძლიერ ლექსში ილო მოსაშვილმა მიმართა იმ პოეტურ ხერხს, რომელიც იმავე წლის ნოემბერში, მასზე ცოტა გვიან ნიკოლოზ ტიხონოვმა გამოიყენა პოემაში „კიროვი ჩვენთან“ — ლენინიც და კიროვიც ცოცხლებივით დადიან მშობლიურ ქალაქში და შემოსეულ მტრისაგან იცავენ მას. იმავე 1941 წელს შექმნა ვალერიან გაფრინდაშვილმაც თავისი მშვენიერი სონეტი, იგივე ჯავშანოს მოტივის გახსენებით და არა მხოლოდ პოეტური, არამედ ისტორიული განზოგადების ახალ სიმაღლესაც მიაღწია:

მისი ხილვისას ერთი აზრი დამებადება:
კაცობრიობა თავიდანვე ლენინს ელოდა
და ისტორიამ, მოქანდაკემ, შექმნა ბელადი;
ამართულ ხელით ბრინჯაოდან ის გვეცხადება.
მისი სიცოცხლე ოქტომბრისათვის იყო მზადება,
მოვიდა მუშა დიდ ქარხნების სამფლობელოდან,
შრომის ლაშქრობას, ვით სარდალი, მუდამ შველოდა
ლენინის აზრი და ამ აზრის დიდი ნათება.
ჩვენ იგი გვახსოვს, ჯავშანოდან სიტყვის მფრქვეველი,
ეს ქარიშხალი, ერთ ქალაქში დაუტეველი.
ახალ ყოფისთვის გაარღვია ყველგან ყამირი
და სისხლისმსმელი საკუთრება დაასამარა.
იგი, მდუმარე, გზას გვინათებს სხივთა ალებით,
ჩვენ მას შევცქერით სიყვარულით და მთაკრძალებით.

ვალერიან გაფრინდაშვილის ამ სონეტს წინ უძღოდა მისივე 1984 წლის „ლენინის ხსოვნას“, რომელიც მეტი უშუალობითა და კონკრეტულობით გამოირჩეოდა:

ჩვენ მრავალი გზა გამოვიარეთ,
და არა ერთი წელი გავიდა
და მაინც გვახსოვს დღე მგლოვიარე,
თითქოს იწყება იგი თავიდან...
რომელ ბეთჰოვენს და რომელ ვაგნერს
შეეძლო ჩვენი სევდის მხილება?
ღრუბლებმა სული შავად დაგრაგნეს
და შექმნეს სულ სხვა განწყობილება...
და გარდუვალ მაღალ ჯებირად
დადგნენ მუშები ბელადის ახლო,
მისი სახელი გაიზეპირა
ქარმა და კვნესით წაიღო მაღლა...

ერთი წლის შემდეგ კონსტანტინე ჭიჭინაძე კვლავ მეტი პოეტური განზოგადების გზას დაადგა, მაგრამ საფუძვლად მას საწყისი კონკრეტული ხატი დაუდო ლენინის უკვდავი აკლდამისა:

აბა შეხედეთ, ქამთა დენა რარიგ გალია —
როგორ მოეწყო ერთმანეთზე ამდენი წელი!
თითო მათგანი საუკუნის ხერხემალია,
ცეცხლგადასხმული მთაგრეხილის ზოლია გრძელი;
წევს აკლდამაში უმოძრაოდ ქვეყნების მძვრელი,
სახეუცვლელად ეს დიადი წლები გალია,
კრემლის კედლების და წითელი მოედნის მცველი,
ის ძილს ეძლევა და მტერი კი ძილგამფრთხალია.
თითქოს მის გულთან გავლებულა ღერძი მიწისა,
თითქოს ჩაესმის ყურდაგდებულს ყოველი ჩქამი,
თავზე გადასდის ხუთწლედების ნაჭედი ქამი,
ჰექა-ქუხილი ვაჟკაცობის და სიმტკიცისა.

ომის წინადღეს ალექსანდრე აბაშელმა იმდროინდელი ისტორიული სიმაღლიდან სხვა, ადრინდელ დაუვიწყარ დღეებს გახედა და ერთი საგულდაგულო განცდა გაანდო მკითხველს:

ჩემი ქვეყანა დგას ჩემს წინაშე,
როგორც ზღაპარი შემონახული,
თითქოს ელვარე ოქროს წვიმაში
აყვავებული ქუხს გაზაფხული.
მე, ამ ქუხილის სმენით გართული,
მომავლისაკენ რომ ვიყურები, —
ვარსკვლავებისკენ ჩანს ამართული
ლაჟვარდოვანი საფეხურები.
და თვალშეუდგამ მწვერვალის თავზე
მოჩანს მშვენება ჯერ არნახული, —

მაღლიან შრომის ნაყოფით სავსე
კაცობრიობის დიდი ზაფხული.
მაგრამ მე ვამბობ, კაცი პატარა,
რომ იმ მწვერვალზე უფრო მაღლა ვარ,
რადგან არწივის ფრთებმა მატარა,
რადგან სამშობლოს დროშას ვახლივარ,
რადგან ბრძოლათა მღელვარე ზღვაში
მე განვიცადე სიამე სრული
მით, რომ ვცხოვრობდი ამქვეყნად მაშინ,
როცა ფეთქავდა ლენინის გული.

გიორგი ლეონიძემ კი უკვე ომის შუაგულ დღეებში თავისებური ხატოვანებით და ომახიანი ხმით დასჭექა — „ლენინის სიტყვა? მწამს, მომავალშიც გულისფიცარზე ყველას ეწეროს, ვარსკვლავად კრთოდეს, მზედ ენთოს თვალში, რწმენაში ვარდად აღმოეცენოს!.. ბნელს რომ მოჰგლეჯდეს ძირფესვიანად, ეს სიტყვებია გასაგონებლად — გულსაც რომ დასწვავს, სულსაც რომ არწევს და არწივებთან აჰყავს გონება... ცალად რომ არის ლენინის სიტყვა, ცალად გრიგალი აეწონება!..“ თუ თავის დროზე კარლო კალაძემ ბავშვობის მოგონება გაგვანდო და ლენინის სიტყვის მაძებარ გაცოფებულ ჟანდარმებს ქართველ რევოლუციონერთა უდრეკი სული დაუპირისპირა, სიმონ ჩიქოვანმა შორეული პოლონეთის გზებზე, კრაკოვისა და პორონინოს მიდამოებში აღადგინა და წარმოგვიდგინა ლენინის სახე, ლენინის გული, ლენინის აზრი.

გვიან ანა კალანდაძემაც, იოსებ ნონეშვილმაც და მუხრან მაჭავარიანმაც ამოიკითხეს ლენინის სიტყვის და საქმის მაუწყებელი ქარაგმები: პირველმა — საფრანგეთის, პოლონეთის და გერმანიის მშრომელთა გულში, მეორემ — ჩეხი პატრიოტის ბედში, მესამემ — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ სავარაუდო სურათში მომავლისა. სამაგიეროდ, გიორგი შატბერაშვილმა ლენინი ჩვენებური ხევსურის ქოხში დაინახა, ფრიდონ ხალვაშმა მისი იერი აჭარაში გამოიცნო, ოთარ ჭელიძემ საქართველოს სხვადასხვა კუთხე მოაგება სამკურნ-ლოდ ჩვენში მოპატიჟებულ ლენინს, შალვა ამისულაშვილმა „არქტიკის ბალადა“ უძღვნა მას, ალიო ადამიამ — და არა მარტო მან — დიდი სამამულო ომის გზები მოატარებინა ლენინს — მებრძოლთა სულისჩამდგმელად, რევაზ მარგიანმა ანბანს დაწაფებულ პატარა ქართველს ლენინის სახელი გამოაყვანინა ქაღალდზე სახეგაბრწყინებულს, მანამდე კი ლადო ასათიანმა ლენინის თხზულებათა ტომს უძღვნა გულითადი და კდემამოსილი ლექსი და აღსარებასავით გაანდო მკითხველთა:

მან მოარჩინა ჩემი წუხილი, —
ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,
მას ფურცლებიდან შუბლშეჭმუხვნილი
მესაუბრება ჩემი ლენინი.

...ასე გულდაგულ ვერ ვიბრძოლებდით,
რომ არ გვიძღოდეს მისი ცისკარი,
იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების —
ყოველდღიურად წასაკითხავი.

ლადო ასათიანის თანატოლმა და მეგობარმა მირზა გელოვანმა ასეთივე ინტიმი დაამყარა ლენინის სურათთან — როგორც თავის დროზე ვლადიმერ მაიაკოვსკიმ —

როცა უნებურ შევიგრძნობ დაღლას,
როცა წუხილი სახსრებში დამშლის,
ფიქრებს დავტოვებ თვალების გაღმა
და შენს სურათთან მოვდივარ მაშინ,
მოვდივარ შრომით წელში გაწრილი,
გიმზერ, ქრებიან სულში ნისლები,
და წუთის წინად ასე დაღლილი
კვლავ ძალითა და ცეცხლით ვივსები.

ასეთივე კდემამოსილებით და კეთილშობილი რიდითაა გამსჭვალული ჩვიდმეტიოდე წლის შემდეგ დაწერილი სტრიქონები არჩილ სულაკაურისა, სადაც ლენინის მოედანზე ლენინის გახსენება და წარმოსახვა სულიერ განწმენდასა და გასპეტაკებას ნიშნავს და მოასწავებს:

ამ მოედანზე დავხვდები აპრილს
და ქედს მოვუხრი, როგორც მეგობარს,
აპრილი სხივებს ხიცილად დაღვრის
და მე სიცოცხლის შუქად მეყოფა.
არ გამაგონოთ არც ერთი სიტყვა,
ახლა მე მინდა — სულგანაბულმა,
გარინდებული ვუსმინდე დიდხანს,
და როგორ სუნთქავს ეს გაზაფხული.

შოთა ნიშნიანიძემ ერთ-ერთი თავისი პირველი ლექსი სწორედ ლენინის ქანდაკებას უძღვნა; საყვარელი და სათაყვანო ადამიანის ხატში პოეტმა მისი გიგანტური სულიერი ვიქანებაც გამოხატა და კეთილი ღიმილით მკობილი ადამიანური სინაზეც; ქანდაკება ზღვისპირა ქალაქშია აღმართული:

ნაპირზე შხუილით აფრინდნენ ტალღები,
გრიგალი ტალღებზე დიდეა ქიდაგადა.
ზღვაო, ნუ მრისხანებ,
ზღვაო, ნუ ღელდები,
ასე ნუ ხმაურობ ბრინჯაოს ქანდაკთან,
რა მწარედ დაჰკივის ეგ შენი ზღვაური
პალმებს და ბანანებს, მიწაზე გაკრულებს.
ლენინს კი არ უკვირს ასეთი ხმაური
და შენს ამბოხებას ღიმილით გაჰყურებს.
გიღიმის ლენინი...
და ქაფით-ხვითლით
ცაზე ფითილებივით ნიტები მიქრიან...
აბა ვინ აშფოთოს ლენინის ღიმილი,
თუნდ მელნად დაგხარჯონ, ცისფერო
სტიქიავ!

რომელსაც საქართველოს დედაქალაქის მთავარი მოედანი დაამშვენდა ლენინის ქანდაკებით, ჯანსულ ჩარკვიანმა ასეთი მოწოდებით მოგვმართა:

ამ გაზაფხულის დაბადებას
დიდება ჩვენი.
გვდია სიკვდილი,
მოთენთილი და მოცელილი,
ჩვენ სიცოცხლეში,
სიმღერაში ვუყურებთ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ გვინახავს
დიდი ლენინი...
გესმოდეთ ყველას,
გაზაფხულის სიმღერა წრფელი,
ვინცა ხართ ქვეყნად
ცრემლიანი და მოწყენილი...
ლენინი მოჩანს ყველა მხრიდან,
უსმინეთ ლენინს,
დგას ტრიბუნაზე
და ვრცელ სიტყვას
ამბობს ლენინი.

გაზაფხულის ამდაგვარადვე გააზრებულ მოტივს აგრძელებს მორის ფოცხიშვილიც:

გადაპენტილან თეთრად ტყემლები,
ირგვლივ ფეტკრები ფერხულს უვლიან.
დგას აპრილი და ალვის ხეებით
წერს ჩვენს მიწაზე — გაზაფხულია!
ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული,
ეს ალმაფრენა, ეს ახივება...
ყველა სიამე და სიხარული
შენმიერია, შენით იწყება...

გაზაფხულის ლენინის საქმესთან მეტაფორული განტოლება ენათესავება ლენინის გენიის სინათლესთან შედარებასაც, რაც განსაკუთრებული პოეტური და აზრობრივი სისტემითა და ტევადობით ჰქონდა განსახიერებული გრიგოლ აბაშიძეს ლექსში, სადაც ყრმობის შთაბეჭდილებანი შეუთავსდა ჩვენი ქვეყნის საალმშენებლო სიახლეს, საქართველოს დიადი წარსულის მარადცოცხალი ხატება — მცხეთის ჯვარი — შეუხმატკბილდა სამშობლოს ბრწყინვალე აწმყოსა და მომავლის დიდებულ დასტურს — ზაჰესის კაშხალს, ხოლო სამივე დროის ამ ერთიან ტრიპტიქს შუქი მოჰფინა „სინათლედ ქცეული" ბელადის ქანდაკმა:

ზაჰესის შუქი ცად აფენილი
ეწერებოდა ჩემს გულისფიცარს:
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.

იმ დღიდან შუქის გამომსახველად,
ბავშვის ოცნებას, როგორც აჩრდილი,
ყველგან თან გაჰყვა, ვით ცისარტყელა,
ლენინის ხელი მტკვარზე გაწვდილი.
და ყველგან, სადაც ძლიერი დენით
სინათლემ თავზე გადამიარა,
ხრამზეც, რიონზეც ვხედავდი ლენინს —
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

და როგორც თავისებური და დროული შეჯამება ქართულ პოეზიაში ფესვგამდგარი თუნდაც ჩვენს მიერ მინიშნებული არაერთი მოტივისა, სწორედ ამ დღეებში გაისმა დღევანდელი საქართველოს საპირბოროტო სულისკვეთებით ნაკარნახევი „ძახილი" მორის ფოცხიშვილისა — ქართველ მწერალთა, მთელი ქართველი ხალხის სანუკვარი დვრიტის კეთილად და გულწრფელად გამომხატველი:

ჩვენ შორის, როგორც ძმა, მეგობარი,
მასწავლებელი, მოძღვარი, მამა
იშრომებს კვლავაც ბელადი ჩვენი, —
შაბათობაზე ჩვენს მხარდამხარ ვიხილავთ
ლენინს!
ვიხილავთ მას, ვინც ჩვენთან ერთად იწოდა
მუდამ...
გამოდით, — ახალ გაზაფხულებს ანთება
უნდა!

...კეთილ საფლავებს სჭირდება მოვლა,
კეთილ სახელებს — ზრუნვა და რიდი.
რაინდულ გზნებით აღდგენა ყოვლად,
აღდგენა უნდა შებღალულ სინდისს!
ავსება უნდა ამომშრალ წყაროს,
ფხიზლად! — არ გახმეს სინედლის ფესვი...
გამოდით, — იქვის ყამირი ვბაროთ,
ხნულში ვისროლოთ იმედის თესლი!
...გამოდით, — ახალ ცისარტყელებს აზიდვა
უნდა,
უღონო ბარტყებს ქცევა ფრთოსნებად,
ახალ სტრიქონებს დასტამბვა უნდა,
ახალ სიმღერებს უნდა მოსმენა!
გამოდით, — მზე ჰგავს ოცნების გუთანს,
გულდაგულ ისმის ჩურჩული ვულთა, —
„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის..."
გუნდად და გუნდად.
გამოდით, —
ახალ ალმაფრენას აფრები უნდა!

...დიახ, ყოველ ოცდაორ აპრილს ასე ხდება ქვეყნად — მთელს საბჭოეთშიც და ჩვენს საქართველოშიც. ასე ხდება ახლაც — ჩვენი ლენინის დაბადების ასათი წლის თავზე. აწ და მარადის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჯაში

# ლენინი და ლიტერატურა

„მთელ თავის მუშაობაში, პარტია ეყრდნობა ქვეყნის მძლავრ მეცნიერულ პოტენციალს, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ“. — ნიადაგ ზრუნავს ხალხის განათლების, საზოგადოების სულიერი სიმდიდრის ზრდისათვის, მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის ღირებულებათა გამრავლებისათვის, რომელიც პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების საფუძველზე ვითარდება“.

ვ. ი. ლენინმა ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსისტული მოძღვრება ლიტერატურისა და ხელოვნების უაღრესად დიდ, შემეცნებითსა და საზოგადოებრივ-გარდამქმნელ, აქტიურ აღმზრდელობით როლზე. სწორედ მოწინავე რუსული ლიტერატურის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ წერდა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის დამაარსებელი და ბელადი თავის ცნობილ წიგნში „რა ვაკეთოთ?“ (1902 წ.):

„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ხოლო რამდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა, დაუფიქრდეს იმ მსოფლიო მნიშვნელობას, რომელსაც ახლა იძენს რუსული ლიტერატურა“.

ნათესავების, ახლობლების, მეგობრებისა და თანამედროვეების მოგონებებში აღნიშნულია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ლიტერატურასა და ხელოვნებას. მას არაერთხელ მქონდა გადაკითხული მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსები. გადასახლებაში ყოფნისას ილიჩი კვლავ და კვლავ კითხულობდა პუშკინს, გოგოლს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს, ტურგენევს, ტოლსტოის, ჩეხოვს და რუსული ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებებს, უცხოეთის კლასიკოსებიდან მას მრავალჯერ წაუკითხავს გოეთეს, ჰაინეს, ვიქტორ ჰიუგოს, ემილ ზოლას, ჯეკ ლონდონის, ანრი ბარბიუსის და მრავალი სხვა მწერლის ნაწარმოებები.

ვ. ი. ლენინის მიერ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გამოთქმული აზრები მუდამ უშუალოდ დაკავშირებული იყო მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის ინტერესებთან. ლენინის აზრებს, გამოთქმებს, მიმოწერას, შენიშვნებს ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვეობისათვის, მდიდარი ლენინური მემკვიდრეობის ათვისებისათვის.

მოძღვრება მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია ვ. ი. ლენინის კლასიკურ ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, უდიდესი წვლილია მარქსისტულ ესთეტიკაში.

სამოცდათხუთმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწერა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, მაგრამ მასში ჩამოყალიბებული დებულებები უნათებდნენ და უნათებენ გზას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და ხელოვნებას.

ლენინის სტატიის დედააზრი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მასში მხილებულია რეაქციონერების მიერ ხოტბაშესხმული ფარისევლური ლოზუნგი მხატვრის „თავისუფლებისა“ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში; მეორე

მხრივ, ჩამოყალიბებულია სოციალისტური, ჭეშმარიტად თავისუფალი, პროლეტარიატის პარტიასთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურის ძირითადი პრინციპები.

ვ. ი. ლენინის წერილის დედაარსი ის არის, რომ ლიტერატურა და ხელოვნება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საზოგადოების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან, რათა იგი დაუკავშირდეს ცხოვრებას, მუშათა კლასის, პროლეტარიატის, მთელი ხალხის ბრძოლას, მის მისწრაფებებს. ამრიგად, ხალხის ინტერესების შეგნებული გამოხატვა, ხალხისადმი სამსახური საბჭოთა ლიტერატურის, მხატვრის მთავარი მოწოდებაა.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი და ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპები არაერთხელ გამხდარა ჩვენი იდეოლოგიური მტრების თავდასხმის ობიექტი; არც ისე დიდი ხნის წინათ ცნობილი რევიზიონისტი გეორგ ლუკაჩი პირდაპირ გამოდიოდა ვ. ი. ლენინის სტატიის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ნაშრომი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ძირითადად მიმართულია პარტიული პუბლიცისტებისადმი და მას არავითარი კავშირი არა აქვს მხატვრული შემოქმედების პრობლემებთანო. ამასვე იმეორებდა ავსტრიელი რევიზიონისტი ერნსტ ფიშერი წიგნში „ხელოვნება და თანაარსებობა“, სადაც იგი ცდილა სწამებდა ჩვენს წყობილებას, ქადაგებდა თანაარსებობას იდეოლოგიაში, კლასობრივ ზავს ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის.

საფუძველი ჩაუყარა რა ხელოვნების, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, ვ. ი. ლენინი, ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხელოვნება და ლიტერატურა ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, რომ ხელოვნებაში, ლიტერატურაში საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს.

„მაგრამ, ცხადია, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ კომუნისტები ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ გულხელდაკრეფილი და საშუალება მივცეთ ქაოსს, განვითარდეს საითაც სურს. ჩვენ სავსებით გეგმაზომიერად უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამ პროცესს და ვაყალიბებდეთ მის შედეგებს“.

ექსპლოატატორული კლასების აპოლოგეტები გამოდიან ე. წ. უპარტიოების შირმით, მაგრამ ესეც არსებითად პარტიულობას გულისხმობს. რასაკვირველია, ძნელია გამოდიოდე ხალხის წინაშე ექსპლუატატორთა ინტერესების დაცვით და მასების მხარდაჭერის იმედი გქონდეს. ბურჟუაზიული პარტიულობის ეგოისტური იდეალი არსებითად ანტიხალხური და ანტიესთეტიკურია, რადგან იგი მიმართულია ცხოვრებისეული სიმართლის წინააღმდეგ.

ლენინის მოძღვრებასთან ხელოვნების, ლიტერატურის პარტიულობის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელოვნების, ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა. ვ. ი. ლენინმა ახალი, სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნას საფუძვლად დაუდო მოთხოვნილება, რომლის თანახმად ხელოვანი უნდა ემსახურებოდეს ხალხს, იბრძოდეს ხალხის ინტერესებისათვის, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პროლეტარიატთან, მუშათა კლასთან, რევოლუციურ მოძრაობასთან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ყველა იმ ღონისძიების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სულიერი ცხოვრების, კულტურის ყველა დარგის გამოყენებას მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერესებისათვის; ვ. ი. ლენინის ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სიტყვებს, გამოსვლებს, დირექტივებს, რჩევა-დარიგებებს, დავალებებს წითელ ზოლად გასდევს მთავარი აზრი — დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელი ხალხის უფართოესი მასების სწავლა-განვითარებისათვის, განათლებისათვის, აღზრდისათვის, კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების 63 წლის გამოცდილებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ტალანტებს, რომლებიც ხალხში მრავლად იყვნენ, კაპიტალიზმი ახშობდა, თრგუნავდა. ეს ტალანტები რევოლუციამდე იღუპებოდნენ გაჭირვების, სიღატაკის უღელქვეშ, ადამიანის პიროვნების აბუჩად აგდების გამო. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ხელფეხი გაუხსნა ყველა მანამდე შებოჭილ ძალას და სიღრმიდან ცხოვრების ზედაპირზე, ცხოვრების შუაგულში ამოიყვანა, მშრომელი მასები თავიანთი ნათელი ცხოვრების აქტიურ მშენებლებად, შემოქმედებად აქცია.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად განსაზღვრა ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობაში ცენტრალური საკითხი:

„...მნიშვნელოვანია არა ჩვენი შეხედულებანი ხელოვნებაზე, მნიშვნელოვანია აგრეთვე არა ის, თუ რას აძლევს ხელოვნება რამდენიმე ასეულს, თუნდაც რამდენიმე ათასეულს მოსახლეობის საერთო რიცხვიდან, რაც მილიონებს შეადგენს. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი ულრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ, იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“.

ვ. ი. ლენინმა ნათლად ჩამოაყალიბა მოძღვ-

რება ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ყოველ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ, ერთი მხრივ სახალხო დემოკრატიული კულტურისა, ხალხის უმრავლესობის, ეროვნების ცხრა მეათედის კულტურის შესახებ და მეორე მხრივ — ექსპლუატატორთა კლასების, გაბატონებული კლასების, ეროვნების ერთი მეათედის კულტურის შესახებ. ჭეშმარიტად დემოკრატიულ კულტურაში, ხელოვნებაში არის სოციალისტური კულტურის, ხელოვნების ელემენტები, ამიტომ იგი არა მარტოეროვნულია, არამედ ინტერნაციონალური კულტურაც არის.

თავის ნაშრომში „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“ (1913) ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ყოველი ეროვნული კულტურა შეიცავს დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის თუნდაც განუვითარებელ ელემენტებს, ვინაიდან ყოველი ერი შეიცავს მშრომელ და ექსპლუატირებულ მასას, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას.

ვ. ი. ლენინის მოძღვრებას ორი კულტურის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურული მემკვიდრეობის სწორად ათვისებისათვის, კულტურული მემკვიდრეობიდან ისეთი ელემენტების, მხარეების აღებისათვის, რომლებიც ეხმარებიან მშრომელი მასების განთავისუფლების საქმეს, ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეს.

რეალიზმი ხელოვნებასა და ლიტერატურაში დაკავშირებული იყო ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, უპასუხებდა ქვეყნის განვითარების ამოცანებს. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ანტისაზოგადოებრივი, ანტირეალისტური მიმდინარეობანი იკვებებოდნენ რეაქციული იდეოლოგიით და მათთან დაუნდობელი ბრძოლა წარმოადგენდა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპების დასაცავად რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

სწორედ ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპებით არის გამსჭვალული სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის, დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედება.

1907 წლის მაისში ვ. ი. ლენინმა, წაიკითხა რა „დედა“ ჯერ კიდევ ხელნაწერში, აღნიშნა, რომ იგი „ძალზე დროული წიგნია“, მიესალმა გორკის შემოქმედებაში რეალიზმის ახალ ნიშნებს. ბელადის აზრით, ამ წიგნს, დიდი სარგებლობით თავისთვის წაიკითხავდა ბევრი მუშა, რომლებიც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდნენ სტიქიურად.

ბელადის მიერ ამ მოთხრობის მაღალი შეფასება, მისი ფართო პოპულარობა მუშებს შორის შემთხვევითი არ იყო, გორკის წიგნში პირველად ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში წარმოგვიდგა სრულიად ახალი სამყარო და ახალი გმირი, რომელშიც მწერალმა შეძლო მკაფიოდ წარმოესახა ახალი, სოციალისტური სინამდვილის ჩანასახები. „დედის“ შემდეგ შეიქმნა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები სოციალისტური ხელოვნებისა. მაგრამ სწორედ ეს მოთხრობა გახდა ახალი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის — მხატვრული აღმოჩენა.

ვ. ი. ლენინი ეხება ლიტერატურაში ტიპიურის ასახვის, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილის წარმოსახვის ძირითად საკითხს. ილიჩი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ შემთხვევითი, ერთეული მოვლენა აისახოს ტიპიურ, საერთო მოვლენად. ეს იწვევს სინამდვილის დამახინჯებასო.

თანამედროვე მოდერნისტულ ლიტერატურასა და ხელოვნებას წინამორბედები ჰყავდა სიმბოლისტების, იმაჟინისტების, ყველა ჯურის ფორმალისტების სახით. სიმბოლიზმის, დეკადანსის ყველა სახეობის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენენ დასავლეთის სხვადასხვა რეაქციული ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც წარმოიშვნენ იმპერიალიზმის ეპოქაში, უპირველეს ყოვლისა, ნეოკანტიანობის, ნეოპოზიტივიზმის, ემპირიოკრიტიციზმის სახით, ნიცშესა და ბერგსონის შეხედულებანი და ა. შ.

სამოცდაათი წლის წინათ ამ რეაქციული ფილოსოფიური სისტემების განადგურების კეთილშობილური ამოცანის შესრულებას ხელი მოჰკიდა ვლადიმერ ილიასძე ლენინმა. 1909 წელს გამოვიდა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის კლასიკური ნაწარმოები — ლენინის გენიალური წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ამ წიგნში ლენინმა შემეცნების მარქსისტული თეორია ჩამოაყალიბა და განავითარა ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად. სწორედ ამიტომ მას სამართლიანად უწოდებენ ასახვის ლენინურ თეორიას.

ასახვის ლენინური თეორია გვასწავლის დავინახოთ ხელოვნებაში ცხოვრების სწორი, მისი განვითარების მნიშვნელოვანი მხარეების, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის, ადამიანთა ხასიათების მრავალფეროვნება. ლიტერატურაში, ხელოვნებაში გამოხატული ცხოვრება წარმოადგენს ობიექტური რეალობის ასახვას, ხოლო მხატვრული ასახვა საჭიროა განვასხვავოთ სინამდვილისაგან, ასახული საგნისაგან. „საზოგადოებრივი ცნობიერება — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი — ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას, — აი რაში მდგომარეობს მარქსის მოძღვრება. ასახვა შეიძლება დაახლოებით სწორი ასლი იყოს ასახულისა, მაგრამ იგივეობაზე ლაპარაკი აქ უაზრობაა“.

ხორცს ასხამს რა ცხოვრებისეულ სიმართ-

ლეს, ლიტერატურა, ხელოვნება მხატვრულ სახეებში განაზოგადებს რეალურ, ცხოვრებისეულ მოვლენებს. ჭეშმარიტი მხატვარი სინამდვილის მოვლენების ასლებს კი არ იღებს, არამედ შემეცნების მიზნისა და თავისი ნიჭის ხასიათის შესაბამისად ამ სინამდვილიდან არჩევს გარკვეულ მხარეებს, რომლებზეც ამახვილებს თავის ყურადღებას, თავისი ფანტაზიის პრიზმაში იდეურად გაიაზრებს და წარმოსახავს გრძნობად-კონკრეტულ ფორმაში. ამიტომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებაში სხვადასხვანაირ განსახიერებას იღებს.

ასახვის ლენინური თეორია წარმოადგენს ფილოსოფიურ საფუძველს კულტურის ყველა დარგის, მათ შორის ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის გაგებისა და შესწავლისათვის. ასახვის ლენინური თეორია წარმოადგენს საფუძველს მხატვრული სახის რაობის განსაზღვრისათვის, იმის გაგებისათვის, რომ რეალური სინამდვილე ხელოვნებაში აისახება გრძნობადკონკრეტულ ფორმაში, რომ ზოგადი თავის ხორცშესხმას პოულობს ინდივიდუალურ ხასიათში ან მოვლენაში, ცხოვრების შემოქმედებითი გამოხატვის პროცესში მხატვარი სინამდვილეს ასახავს, მაგრამ იგი აისახება მხატვრულ სახეებში.

ვ. ი. ლენინი კომენტარს უკეთებდა ჰეგელის აზრს და აღნიშნავდა, რომ ცხოვრების შემეცნების ხიდრმე მოქცეულია ისეთ საყოველთაოში, რომელიც განასახიერებს განსაკუთრებულის, ინდივიდუალურის, ცალკეულის სიმდიდრეს, განსაკუთრებულისა და ცალკეულის მთელ სიმდიდრეს.

ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიები ლ. ტოლსტოის შესახებ, მათში გარჩეული პრობლემებისა და დაწერის დროის მიხედვით, უშუალოდ უკავშირდებიან გენიალურ ნაშრომს „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს".

ვ. ი. ლენინის სტატიებს დიდ რუს მწერალზე, ტოლსტოის შემოქმედების სუსტი მხარეების, მისი ცრურწმენის დაუნდობელ კრიტიკასთან ერთად, წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ ყოველნაირად დაიცვას ტოლსტოის შემოქმედება ლიბერალურ-ბურჟუაზიული და მენშევიკური კრიტიკის ლამაზინჯებისაგან.

ვ. ი. ლენინის უდიდესი ღამსახურება ის არის, რომ სტატიებში მწერლის შესახებ იგი დიალექტიკურად განიხილავს ერთიანობაში ტოლსტოის მხატვარსა და ტოლსტოის — მოაზროვნეს, როგორც ერთიან, თუმცა მეტისმეტად წინააღმდეგობრივ მოვლენას, რაც განპირობებული იყო ეპოქითა და გამოხატველია მის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენი პლანეტის საზოგადოებრიობამ რამდენიმე წლის წინათ ფართოდ აღნიშნა ლ. ტოლსტოის გარდაცვალების თარიღი. იგი თავისებურად აღნიშნა ამერიკულმა ჟურნალმა „რაშენ რევიუმ", რომელიც გამოსცეს რუსმა თეთრმა ემიგრანტებმა.

მწერლის შემოქმედების ლენინისეული შეფასების წინააღმდეგ ამ ჟურნალში გამოვიდა ცნობილი რუსი კადეტის პეტრე სტრუვეს შვილი, პროფესორი გლებ სტრუვე წერილით „ტოლსტოი საბჭოთა კრიტიკაში". გ. სტრუვე, ისევე როგორც ამ ჟურნალის სხვა ავტორები, პირდაპირ ვერ ბედავს შეეკამათოს ვ. ი. ლენინს, არ გვთავაზობს რაიმე საკუთარ კონცეფციას, არგუმენტაციას, მაგრამ იგი ვ. ი. ლენინის სტატიებს ტოლსტოიზე განმარტავს შეგნებულად უხეშად, მათი აზრი დაჰყავს რამდენიმე პუბლიცისტურ თეზისამდე და ფარისევლურად გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეები ამ სტატიებს ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. „რაშენ რევიუს" ავტორებისათვის ლ. ტოლსტოი დარჩა ისეთივე, როგორიც იგი იყო ლიბერალურ-ბურჟუაზიული კრიტიკისათვის ამ სამოცდაათი წლის წინათ, ე. ი. შეუცნობადი, ირაციონალური პიროვნება. გ. სტრუვე ცდილობს გააბიაბრუოს ტოლსტოის შემოქმედების მეცნიერული კონცეფცია, თავისებურად განმარტავს ვ. ი. ლენინის აზრს მწერალზე, „როგორც რუსული გლეხური რევოლუციის სარკეზე" და იქვე აიგივებს ვ. ი. ლენინის შეხედულებას გ. პლეხანოვის შეხედულებასთან, რომლისთვისაც „ტოლსტოი იყო არისტოკრატიის იდეოლოგი".

ვ. ი. ლენინის სტატიებს ლ. ტოლსტოიზე ამ ჟურნალის ავტორები ცხადია, გვერდს ვერ აუქცევენ და ეს, დღეისათვის, შეუძლებელიც არის. აღნიშნული გარემოება კარგად ესმით „რაშენ რევიუს" გამომცემლებსაც და მონაწილეებსაც. ამ სტატიებს ამერიკული ჟურნალის ავტორები ციტირებენ არაერთხელ უკეთებენ და, როგორც წესი, პირდაპირი უარყოფის გარეშე. მაგრამ მათი ციტირება ხდება მეტად უცნაურად, თვითნებური შემცირებებით, გადაადგილებებით, უზუსტობით, რაც არაიშვიათად ამახინჯებს ციტატის აზრს.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობა, მაღალ შეფასებას აძლევს რა ვ. ი. ლენინის ფუძემდებლურ წერილებს ლ. ტოლსტოიზე, აღნიშნავს ილიჩის მიერ ასახვის მატერიალისტური თეორიის დებულებათა უბადლო გამოყენებას ისეთი რთული მოვლენისადმი, როგორიც ლიტერატურა და ხელოვნებაა. მას მიაჩნია, რომ დიდი რუსი მწერლის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ლენინისეულ კონცეფციას უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს რუსული რეალიზმისა და საბჭოთა ლიტერატურის პრობლემების ღამუშავებისათვის, ტოლსტოის

შემოქმედების ხალხურობის მთელი რიგი საკითხების მეცნიერული კვლევისათვის.

ვ. ი. ლენინის სტატიებიდან ლ. ტოლსტოიზე, ასახვის მატერიალისტური თეორიიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომლის თანახმად ხელოვნების რეალისტურობა მდგომარეობს მხატვრის მიერ ასახული ცხოვრების არსის ჩაწვდომის სიღრმეში; სინამდვილის მნიშვნელოვანი მხარეების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, ცხოვრებისეული მასალის არსის აღება, თანამედროვეობის დიდი სოციალური მოვლენების გამოხატვა — აი, რეალისტური ხელოვნების მთავარი ამოცანა.

განიხილავდა რა შემეცნებას, როგორც ადამიანის მიერ ბუნების ასახვის პროცესს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „აქ ნამდვილად, ობიექტურად სამი წევრია: 1. ბუნება, 2. ადამიანის შემეცნება-ადამიანის ტვინი (როგორც უმაღლესი ნაყოფი იმავე ბუნებისა) და 3. ფორმა ბუნების ასახვისა ადამიანის შემეცნებაში; ეს ფორმა არის სწორედ ცნებები, კანონები, კატეგორიები“.

ლენინის ეს დებულება შეიძლება გავავრცელოთ მხატვრულ ასახვაზეც, ხელოვნებაში ცხოვრების შემეცნება მნიშვნელოვნად განსხვავდება მეცნიერების მიერ მისი შემეცნებისაგან. ხელოვნება ცხოვრებას ასახავს მთელი მისი სისრულით, მისი კონკრეტულობით, სინამდვილის ყველა მხარის მისთვის დამახასიათებელი ერთიანობით. მაგრამ ხელოვნება სინამდვილის ასლგადაღებას არ ახდენს. არ შეიძლება ავურიოთ ერთმანეთში ასახვის საგნის ობიექტური ხასიათი და ამ ასახვის ფორმის სუბიექტური ხასიათი. შემეცნების პროცესი ლენინის ფორმულის თანახმად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენთვის მისაწვდომი შემეცნების ფორმების დახმარებით ჩავწვდეთ ასახული მოვლენების ობიექტურ დედაარსს.

ხელოვნების რეალისტურობა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, მხატვრის მიერ წარმოსახული (ასახული) სამყაროს დედაარსში ჩაწვდომის სიღრმით. მაგრამ თვით სამყაროში ობიექტურად არსებობენ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, არსებითი მხარეები, განვითარების ძირითადი და არამთავარი ტენდენციები, მთავარი და მეორეხარისხოვანი მოვლენები.

ვ. ი. ლენინი ინესა არმანდისადმი მიწერილ წერილში წერდა, რომ რომანში, და ეს ეხება მთლიანად ლიტერატურასა და ხელოვნებასაც, „მთავარია ინდივიდუალური გარემოება, მოცემული ტიპების ხასიათებისა და ფსიქიკის ანალიზი“. ხელოვნებაში ერთი და იგივე ტიპი, ერთი და იგივე საზოგადოებრივი არსი შეიძლება გამოიხატოს ხხვადასხვა ხასიათით.

**ჯერ კიდევ 1905 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პარტიამ უფრო ფართოდ და უფრო** გაბედულად უნდა წამოაყენოს თავისი ამოცანები, რათა მისი ლოზუნგები მასების რევოლუციური თვითმოქმედებას ყოველთვის წინ მიუძღოდეს, შუქურა იყოს მისთვის და „მთელი სიდიადით, მთელი სიმშვენიერით უჩვენებდეს მას ჩვენს დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეალს, უჩვენებდეს უახლოეს მოკლე, უაღრესად პირდაპირ გზას სრული, უეჭველი და გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ.

სწორედ სოციალიზმი და კომუნიზმი წარმოადგენენ პროგრესული კაცობრიობის საზოგადოებრივ იდეალს, ისეთ წყობილებას, რომელშიც სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, შექმნილია ყველა პირობა ცალკეული პიროვნებისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის.

მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთეს და განსაზღვრეს კომუნიზმი, როგორც საზოგადოება, სადაც არ არის ადამიანის ექსპლუატაცია და მოქმედებს დიადი პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. დღეს ეს ოცნება კი არ არის, არამედ თანამედროვეობის უდიდესი ძალა, რეალური საზოგადოებაა, რომლის მშენებლობაში მონაწილეობს ასეული მილიონობით ადამიანი. აგებენ რა კომუნიზმის შენობას, საბჭოთა ადამიანები ახორციელებენ კაცობრიობის სანუკვარ ოცნებას არა მარტო ეკონომიურად და პოლიტიკურად ყველაზე სამართლიანი წყობილების შესახებ, არამედ ყველაზე მშვენიერი საზოგადოების შესახებ. მთელი კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არ არის უფრო ამაღლებული და კეთილშობილური მიზანი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნისტურ წყობილებას უნარი აქვს შექმნას სილამაზე, რომელიც უსასრულოდ სჭარბობს ყველაფერს, რაზეც შეეძლოთ ეოცნებათ წარსულში. მოსპო რა ექსპლუატაციის ყველა სახეობა, გაათავისუფლა რა ადამიანები უმუშევრობისა და სილატაკისაგან, სოციალიზმმა შექმნა რეალური პირობები პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ჰარმონიული განვითარება უკვე გახდა არა მარტო „რჩეულ“ ნატურათა, არამედ ყველა მშრომელის ხვედრი.

ამ თვალსაზრისით სავსებით გასაგები ხდება ის, თუ რატომ იყო, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, ჩვენი ქვეყნისათვის სამოქალაქო ომისა და ნგრევის უმძიმეს წლებში ვ. ი. ლენინმა შეძლო შეემუშავებინა და განეხორციელებინა მონუმენტური ხელოვნების განვითარების გრანდიოზული გეგმა, რომელსაც მან თვითონ „მონუმენტური პროპაგანდის“ გეგმა უწოდა.

**საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში**

კულტურისა და ხელოვნების დარგში გაჩნდა მთელი რიგი უცხო და მავნე მიმდინარეობანი, დაჯგუფებანი, რომლებიც ბურჟუაზიულ იდეებს ქადაგებდნენ. ბოლშევიკური იდეურობის, პარტიულობის პრინციპებიდან ებრძოდა ვ. ი. ლენინი ახალი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მშენებლობის საქმეში ყოველგვარ ანტიმარქსისტულ, ანტიხალხურ ტენდენციას.

ერთ-ერთ მავნე ტენდენციას ახალგაზრდა საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების მშენებლობაში წარმოადგენდა ის, რასაც ე. წ. პროლეტკულტელები ქადაგებდნენ.

ვ. ი. ლენინი, იბრძოდა რა პროლეტკულტელთა მიერ ძველი კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის კულტურისა და ხელოვნების შექმნის საქმეში შემდგომი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთვისებული და გადამუშავებული იქნება ყოველივე, რაც არის ძვირფასი ადამიანის აზროვნებისა და კულტურის ორათასიანი წლის განვითარებაში.

კომუნისტური პარტია, მისი ბელადი ვ. ი. ლენინი სათუთად, დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა კულტურული მემკვიდრეობის საკითხს, ახალი ინტელიგენციის აღზრდის საკითხს; ვ. ი. ლენინმა მოგვცა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში პარტიული პოლიტიკის გატარების ძირითადი საწყისები და გამოაშკარავა მთავარი მანკიერება როგორც პროლეტკულტელებისა, ისე ყველა სხვა წვრილბურჟუაზიული ფორმალისტური მიმდინარეობისა ლიტერატურასა და ხელოვნებაში რევოლუციის პირველ წლებში. მან გვიჩვენა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნამდვილ შესატყვისობას სოციალისტური რევოლუციის ამოცანებთან არაფერი აქვს საერთო მონაგონ ე. წ. „რევოლუციურ ფორმებთან“, ანდა განყენებულ, ცხოვრებისაგან მოწყვეტილ იდეებთან და სახეებთან.

საბჭოთა ხელოვნების, ლიტერატურის ისტორიამ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის, პარტიის მიერ ფორმალიზმის კრიტიკის უდიდესი სამართლიანობა. საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნების მთელი განვითარების მანძილზე ფორმალიზმი წარმოადგენდა არა მარტო დაბრკოლებას ჩვენი ლიტერატურის, მხატვრობის, ქანდაკების, ხუროთმოძღვრების ზრდის საქმეში, არამედ იგი აქტიურად იბრძოდა პროგრესული მხატვრული ძალების წინააღმდეგ, ცდილობდა მოეწყვიტა ხელოვნება ხალხისაგან, რეალური, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. ასე იყო 20-იან წლებში, როდესაც „ლეფის“ და სხვა ფორმალისტური დაჯგუფებების წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ლიტერატურასა და ხელოვნებაში რეალისტური ტენდენციების ზრდისათვის, ასე იყო 30-იან წლებშიც, როცა პარტიის მიერ მხილებული ფორმალიზმი, ველარ ბედავდა რა აშკარად გამოსულიყო სოციალისტური რეალიზმის პრინციპების წინააღმდეგ, ცდილობდა ჩამოეშორებინა ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება საბჭოთა სინამდვილის ასახვისაგან. ასე იყო შემდგომშიც.

კომუნისტური პარტია საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის, უიდეობის, აპოლიტიკურობის, ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის დებულებამ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ შემდგომი განვითარება ჰპოვა რკპ (ბ) ც-კის 1925 წლის 18 ივნისის დადგენილებაში „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, სკკპ ცკ-ის დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე, სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში.

ვ. ი. ლენინი, იბრძოდა რა ღრმა რეალისტური ლიტერატურისათვის, გადაჭრით გმობდა ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმისა და სხვა „იზმების“, ე. ი. ფორმალისტური ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს; ვლადიმერ ილიას ძე უდიდესი მზრუნველობით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ ნაბიჯებს, მხატვრული ინტელიგენციის აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მან პირველმა დაუჭირა მხარი საბჭოთა ეპოქის გამოჩენილი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის აქტუალობას.

ვ. მაიაკოვსკის ლექსმა „სხდომას გადაყოლილნი“ (1921) ბევრი აცინა ილიჩი და იგი ზოგიერთ ადგილს ზეპირადაც იმეორებდა, პოეტის ლექსი, როგორც ცნობილია, მიმართულია წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ. ავტორი აქ სასტიკად დასცინის სხდომებს და საცინლად იგდებს ადამიანებს, რომლებიც სხდომებს, ფუსფუსს არიან გადაყოლილნი; ვ. მაიაკოვსკის მიერ დახატული ბიუროკრატის „ივან ვანიჩის“ ტიპი ვ. ი. ლენინმა რუსეთის ცხოვრების წიაღში ი. გონჩაროვის მიერ ამოწვდილ ტიპს — ობლომოვს შეადარა.

1922 წლის 6 მარტს მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ვ. ი. ლენინმა ვ. მაიაკოვსკის ლექსს მაღალი შეფასება მისცა:

„გუშინ „იზვესტიაში“ შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე... დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება, პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით... პოეზიის მხრივ არ ვიცი, ხოლო რაც შე-

ეხება პოლიტიკას, დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს სავსებით სწორია“.

ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტისათვის, ცხადყოფდა, რომ ვ. მაიაკოვსკი გაბედულად დგებოდა ახალი საბჭოთა ხელოვნების რეალისტურ პოზიციებზე. ხალხისადმი უანგარო სამსახური საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების დედაარსი გახდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე პარტიამ დღის წესრიგში დააყენა ძველი ინტელიგენციის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის შექმნის ამოცანა.

„უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის აშენება შეუძლებელი იქნება, თუ არ გამოვიყენეთ ძველი სპეციალისტები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, რომლებიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა; მართალია, ამ საქმეში ბევრი სიძნელე, დაბრკოლება გაჩნდება, რომ სპეციალისტების გარკვეული ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგობას, საბოტაჟს გაუწევს, მაგრამ ყოველივე წინააღმდეგობა, დაბრკოლება დაძლეული უნდა იქნეს რევოლუციის საქმის საკეთილდღეოდ. პარტიის კურსი ძველი ინტელიგენციის აღზრდის შესახებ დიდიდღე გამარჯვებებს პოულობდა, და ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბევრი „თანამგზავრი“ მის მეგობრად გამხდარიყო. რეზოლუციის პროექტში „პროლეტარული კულტურის შესახებ“ (1920), ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მთელი უახლესი ისტორიის გამოცდილებამ და განსაკუთრებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ უცილობლად დაამტკიცა, რომ მხოლოდ მარქსიზმის მსოფლმხედველობა წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების, თვალსაზრისისა და კულტურის სწორ გამოხატულებას.

ვ. ი. ლენინის შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე წარმოადგენენ ფასდაუდებელ წვლილს მსოფლიო კულტურის საგანძურში. საბჭოთა კულტურის მოღვაწეები, ისევე როგორც მთელი ხალხი, ლენინის ნაწარმოებებში ხედავენ შემოქმედებითი აღმაფრენის უშრეტ წყაროს, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების ნათელ პროგრამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ბრეგაძე

# ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

მარქსიზმ-ლენინიზმი ეროვნულ და ინტერნაციონალურ მოვლენებს იხილავს არა ერთიმეორისაგან მოწყვეტილ, იზოლირებულ მდგომარეობაში, არამედ ერთმანეთთან ცოცხალ, ორგანულ კავშირში; ეს მოვლენები კანონზომიერად განაპირობებენ ერთიმეორეს და უზრუნველყოფენ ურთიერთგანვითარებას.

ეროვნულია ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ნიშნების მთელი კომპლექსი: ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობანი, რომლებიც საერთო კანონზომიერების საფუძველზე სპეციფიკური თავისებურებებით ვლინდებიან ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომ ვამბობთ — ერი არის მაღალ დონეზე განვითარებული საზოგადოების სპეციფიკური ფორმა, კაცობრიობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და „ყოველ ერს შეუძლია ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდეც სხვა ერისაგან“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I გვ. 8).

ინტერნაციონალური **არსებობს** მხოლოდ ეროვნულის მეშვეობით, ერთა ურთიერთკავშირის, მათი საერთო ინტერესების მეცნიერული შეერთებისა და მტკიცე პრაქტიკული ერთობის სახით. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის მართებულ შეხამებას. ეროვნული უპირატესობის ქადაგება, ერთი ერის სხვა ერებზე მაღლა დაყენება, ეროვნულ განკერძოებასა და კარჩაკეტილობას, ნაციონალიზმსა და შოვინიზმს ბადებს; ხოლო ნებისმიერი ერის წარსულისა და მომავლის შეუფასებლობას მოსდევს ნიჰილიზმი, ეროვნული ღირსების უარყოფა. სკეპტიციზმი, უთვისტომო კოსმოპოლიტიზმი **— ეროვნული კულტურისა და სუვერენიტეტის უგულებელყოფა, ყოველგვარი უცხოურის წინაშე ქედის მოხრა** და აგრესიული ბურჟუაზიის იდეოლოგიის გავლენაში ჩავარდნა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი თანმიმდევრულად იცავს თითოეული და ყველა ერის სასიცოცხლო ინტერესებს, და ამავე დროს, წარმოადგენს მძლავრ იარაღს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, მეგემონიზმის, შოვინიზმისა და რასიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების სწორი გამომხატველი არიან მარქსისტულ-ლენინური პარტიები. მხოლოდ ამ პარტიების ხელმძღვანელობით შეიძლება მთელი რევოლუციური ძალების ნამდვილი ეროვნული იდეების, პროლეტარული, **სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დარაზმვა და კომუნიზმის სრული,** საბოლოო გამარჯვება. ამიტომ მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი ასე ხაზგასმით:

„მთელი საქმე ახლა ის არის, რომ თითოეული ქვეყნის კომუნისტებმა სავსებით შეგნებულად გაითვალისწინონ... გამოიკვლიონ, შეისწავლონ, მონახონ, გამოიცნონ, შეიგნონ ეროვნულ-თავისებური, ეროვნულ სპეციფიკური რამ თითოეული ქვეყნის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ მიდგომაში ე რ თ ი ა ნ ი ინტერნაციონალური ამოცანის გადაჭრისადმი, მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნიზმსა და მემარცხენე დოქტრინიორობაზე გამარჯვებისადმი, ბურჟუაზიის დამხობისადმი, საბჭოთა რესპუბლიკისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარებისადმი — აი რა არის იმ ისტორიული მომენტის მთავარი ამოცანა, რომელსაც განიცდის ყველა მოწინავე (და არა მარტო მოწინავე) ქვეყანა“ (თხზ., ტ. 31, გვ. 97, 98).

**ვ. ი. ლენინის ეს დიდებული დასკვნა გამომდინარეობს არა მარტო ოქტომბრის რევოლუ-**

ციის შემდეგ შექმნილი ვითარების ღრმა მეცნიერული ანალიზიდან, არამედ მთელი ისტორიული გამოცდილებიდან. ჯერ კიდევ მეცნიერული კომუნიზმის პირველ პროგრამულ დოკუმენტში კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ, რომ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშების თავდაპირველი კლასობრივი „ბრძოლის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს არა უშუალო წარმატება, არამედ მუშების გაერთიანება, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება... მხოლოდ ეს დაკავშირებაა საჭირო, რომ მრავალი ადგილობრივი ბრძოლა, რომელსაც ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს, ცენტრალიზებულ იქნას ერთ ეროვნულ, ერთ კლასობრივ ბრძოლად“ („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1974, გვ. 19).

კ. მარქსი და ფ. ენგელსი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მართებულ შეხამებას. ისინი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მიუთითებდნენ:

„თუ შინაარსით არა, ფორმის მიხედვით მაინც პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ბრძოლაა. თითოეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო“ (იქვე, გვ. 23).

აქედან გამომდინარეობს, რომ ცალკე აღებული ქვეყნის პროლეტარიატი თავდაპირველად ამხობს და სპობს რა თავის ეროვნულ ბურჟუაზიას, ეწევა თავისი შინაარსით ინტერნაციონალურ ბრძოლას, ასრულებს დიდ ისტორიულ მისიას, მაგალითს აძლევს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. ამიტომ დაამთავრეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ეპოქალური ინტერნაციონალური მოწოდებებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ეს ლოზუნგი მოკლედ, ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთიანობის კლასობრივ არსს. კლასობრივი მიდგომა კი მთავარია ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში.

* * *

ვ. ი. ლენინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მტკიცედ იცავდა და შემდგომ ავითარებდა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის სწორად შეხამების მარქსისტულ პრინციპს. ლენინი ჯერ კიდევ 1894 წელს დაწერილ წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ ულმობლად აკრიტიკებდა ნაროდნიკ-იდეალისტ მიხაილოვსკის, რომელიც „წმინდა ბურჟუაზიული ირონით“ ეპყრობოდა, უარყოფდა კ. მარქსის მიერ ჩამოყალიბებული პირველი ინტერნაციონალის ისტორიულ დამსახურებას და მცდარ აზრს გამოთქვამდა „ნაციონალურ გრძნობაზე, როგორც დამოუკიდებელ ფაქტორზე“. (თხზ., ტ. 1, გვ. 171).

„სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა საპყრობილეში 1895–1896 წლებში, უკვე აყენებს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მართებულად შეხამების საკითხს მასში ნათქვამია: „მთელი მსოფლიოს მუშათა ინტერესებსა და მიზნებს შორის სრული ერთგვარობა (სოლიდარობა) არსებობს... კაპიტალის ბატონობა საერთაშორისოა. სწორედ ამიტომაც ყველა ქვეყნის მუშათა ბრძოლას განთავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ მოჰყვება წარმატება, როცა მუშები გაერთიანებულად აწარმოებენ ამ ბრძოლას საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ“ (თხზ., ტ. 2, გვ. 119).

ვ. ი. ლენინი იწონებდა თავიდანვე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აგებული საქართველოსა და მთელი კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რევოლუციურ მუშაობას, მათს თანმიმდევრულ პრინციპულ ბრძოლას ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ნამდვილი ინტერნაციონალური ერთიანობისათვის, და წერდა:

„მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა (ადგილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში“ (თხზ., ტ. 19, გვ. 84).

ვ. ი. ლენინი მუდამ ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მარქსისტული გაგების საფუძველზე რაზმავდა მუშათა კლასს, ყველა ექსპლოატირებულსა და ჩაგრულს მშრომელთა მტრების წინააღმდეგ. საპირისპიროდ მემამულეებისა და ბურჟუაზიისა, რომლებიც ნაციონალისტური შხამით წამლავდნენ მუშებსა და გლეხებს, ლენინი სამართლიანი სიამაყის გრძნობით წერდა:

„ჩვენს დროში მხოლოდ პროლეტარიატი იცავს ერთა ნამდვილ თავისუფლებას და ყველა ერის მუშების ერთიანობას... ძველ სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა ან ეროვნული განკერძოების სამყაროს მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროს, სადაც არ იქნება არავითარი პრივილეგია, ადამიანის მიერ ადამიანის არავითარი ჩაგვრა“ (იქვე, გვ. 88, 89).

**პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს მტკიცედ იცავდა ვ. ი. ლენინი რსდმპ**

II ყრილობაზე, რომელმაც მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველმა მიიღო რევოლუციური პროგრამა, რომელშიც ძირითად ამოცანად წამოყენებული იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა. ამასთან ერთად, პროგრამა მოითხოვდა „ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას; საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით"; „წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა"; „მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თითოეული მოქალაქის იმ უფლებას, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე; მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში"... „სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას" („სკკპ რეზოლუციებში", ნა. I, 1954, გვ. 44).

ეროვნული და ინტერნაციონალური პრინციპების დაცვას და განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ; სტოლიპინის რეაქციის პერიოდში შეტევაზე გადმოვიდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმი, სამხედრო-ფეოდალური და იმპერიალისტური შოვინიზმი, რომლის წინააღმდეგ ბოლშევიკებს მთელი ძალით უნდა აემოქმედებინათ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მძლავრი იარაღი; ახალი რევოლუციური აღმავლობის დაწყებამ და მოახლოებულმა პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა კიდევ უფრო გააძლიერა მშრომელთა ეროვნული და ინტერნაციონალური ერთიანობის საკვეთებით აღზრდის, მათი მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით დარაზმვის აუცილებლობა, ყოველივე ეს ნათლად აისახა ვ. ი. ლენინის გამოსვლებში, ბოლშევიკების პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების გადაწყვეტილებებში.

პორონინოს 1913 წლის თათბირის მიერ მიღებულ ლენინურ რეზოლუციაში „ნაციონალური საკითხის შესახებ" ნათქვამია: „შავრაზმული ნაციონალიზმის თავაშვებულობა, ნაციონალისტური ტენდენციების ზრდა ლიბერალურ ბურჟუაზიაში, ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება ჩაგრულ ეროვნებათა ზედაფენებში — ნაციონალურ საკითხს ამჟამად თვალსაჩინო ადგილზე აყენებენ" (იქვე, გვ 396).

ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების მიერ რევოლუციური ძალების ერთიანობისათვის კიდევ უფრო მეტად ყურადღების გამახვილება გამოიხატა იმით, რომ პორონინოს თათბირმა პროგრამული მოთხოვნა „საოლქო თვითმმართველობა" შეცვალა „ფართო საოლქო ავტონომიით" და განმარტა: „შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი (ე. ი. გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის სრულიად თავისუფალი და დემოკრატიული წესის უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციით) და ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს უკანასკნელი საკითხი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თითოეულ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისა და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით" (იქვე, გვ. 398).

ამასთან თათბირმა მოუწოდა ცენტრალურ კომიტეტს, პარტიულ პრესას და ადგილობრივ ორგანიზაციებს ფართოდ გაეშუქებინათ ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გაგება. ამ პერიოდში ვ. ი. ლენინმა არაერთი დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები მიუძღვნა ეროვნულ საკითხს, აღმოაჩინა და მეცნიერულად დაასაბუთა ორი ისტორიული ტენდენცია ეროვნულ საკითხში, როგორც დიალექტიკური კანონი — დაპირისპირებულთა ბრძოლის ერთიანობა კაპიტალიზმის პირობებში. პირველი ტენდენცია, — წერდა ლენინი, — ეს არის: „ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს. ორივე ტენდენციას უწევს ანგარიშს მარქსისტების ნაციონალური პროგრამა: იგი, ჯერ-ერთი, იცავს ერთა და ენათა თანასწორუფლებიანობას, ამ მხრივ რაიმე გვარის პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი ს დაუშვებლობას... და, მეორეც, იცავს ინტერნაციონალიზმის პრინციპს, იმის წინააღმდეგ შეურიგებლობის პრინციპს, რომ პროლეტარიატი დაავადდეს თუნდაც დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმით" (თხზ., ტ. 20, გვ. 14.).

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე და დაიცვა ნაციონალისტთა ყოველგვარი თავდასხმებისაგან ი. ბ. სტალინის მიერ 1913 წელს დაწერილი შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც იცავდა და შემდგომ ავითარებდა ერისა და ეროვნული ურთიერთობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლაში.

ბოლშევიკების პარტია რომ ერთადერთი აღმოჩნდა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, ხოლო II ინტერნაციონალი კრახამდე მივიდა და დაიშალა ნაციონალისტურ, სოციალ-შოვინისტურ პარტიებად, — აქ მცირე როლი როდი შეასრულა იმან, რომ ბოლშევიკები მტკიცედ იდგნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მედგრად, მთელი თანმიმდევრობით იცავდნენ მის პრინციპებს.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბოლშევიკებმა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ეროვნული საკითხის გადაჭრა უშუალოდ დაუკავშირეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციამ ამხილა ბუხარინის, ზინოვიევის, კამენევის, პიატაკოვის, რიკოვისა და მათი თანამოაზრეების ანტილენინური, ოპორტუნისტულ-ნაციონალისტური ხაზი, მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება ეროვნულ საკითხზე და მიიღო ვ. ი. ლენინის დაწერილი რეზოლუცია, რომელშიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი ასეა ფორმულირებული:

„აღიარებულ უნდა იქნას თავისუფალი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ყველა ერისათვის... მხოლოდ აღიარება პროლეტარიატის მიერ ერთა გამოყოფის უფლებისა, უზრუნველყოფს სხვადასხვა ერის მუშათა სრულ სოლიდარობას და ხელს უწყობს ერთა ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებას“ („სკკპ რეზოლუციებში“, ნაწილი I, 1954, გვ. 437).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძლევამოსილი დროშით გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ. ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას მიეცა ერთა თვითგამორკვევის, თავისუფალი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების უფლება. სწორედ ამ საფუძველზე შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ოკრუგები, თანასწორუფლებიანი გახდნენ ერები და ნებაყოფლობის საფუძველზე გაერთიანდნენ ისინი ერთიან მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ — სსრ კავშირად, რომელიც ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფია.

ვ. ი. ლენინი სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე ერებისადმი თვითგამორკვევის უფლებას ყოველთვის პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციებიდან უდგება. ლენინი 1918 წელს ს. შაუმიანს წერდა: „ჩვენ ავტონომიის მომხრე ვართ ყველა ნაწილისთვის, ჩვენ გამოყოფის უფლების მომხრე ვართ (და არა ყველას გამოყოფის მომხრე!), ავტონომია არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ჩვენი გეგმა... თვითგამორკვევის უფლება გამონაკლისია ცენტრალიზმის ჩვენი ზოგადი წანამძღვრისა. ეს გამონაკლისი უსათუოდ საჭიროა შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის არსებობის გამო, და ოდნავი უარის თქმა ამ გამონაკლისზე ოპორტუნიზმია“.

ვ. ი. ლენინი 1917 წელს აღნიშნავდა: „ჩვენ გვინდა ყველა ხალხის ძმური კავშირი... თუ უკრაინელები დაინახავენ, რომ ჩვენში საბჭოების რესპუბლიკაა, აღარ გამოგვეყოფიან, ხოლო თუ ჩვენში მილიუკოვის რესპუბლიკა იქნება, გამოგვეყოფიან“ (თხზ., ტ. 24, გვ. 358).

ამის შემდეგ ვ. ი. ლენინი კვლავ ხაზგასმით მიუთითებდა, რომ სოციალისტური რესპუბლიკა სხვა ერებსა და ეროვნებებს მიიზიდავს „არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით საერთო სახელმწიფოს შექმნის შესახებ“ (თხზ., ტ. 24, გვ. 572).

სსრ კავშირის ჩამოყალიბების დამამთავრებელ ეტაპზე ვ. ი. ლენინი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ „კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ:

რუსი

უკრაინელი

ქართველი და სხვ.

აბსოლუტურად!“ (თხზ., ტ. 33, გვ. 438).

სწორედ ვ. ი. ლენინის ასეთი მითითებების გათვალისწინებით ხალხთა ინტერნაციონალური ინტერესების ერთიანობის, ერთა და ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საფუძველზე შეიქმნა სსრ კავშირი.

სსრ კავშირის ჩამოყალიბებამ პრაქტიკულად შეაჯამა ვ. ი. ლენინის, ჩვენი პარტიის მოღვაწეობის დიდმნიშვნელოვანი შედეგები საბჭოთა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის მეტად პასუხსაგებ ეტაპზე. რკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციაში ეროვნულ საკითხზე აღნიშნულია, რომ ოქტომბრის რევოლუციის შედეგები არ ამოიწურება ეროვნული ჩაგვრის მოსპობით, ხალხთა ინტერნაციონალური გაერთიანებისათვის ნიადაგის შექმნით. რევოლუციამ „შემუ-

შავა აგრეთვე ამ გაერთიანების ფორმები, დახასიათებულია ძირითადი ხაზები, რომლებითაც უნდა აიგოს ხალხთა გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ... ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად არის თანამშრომლობის ფორმების განვითარების დასკვნითი ეტაპი, რომელმაც ამჯერად მიიღო ხასიათი ხალხთა სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური განვითარებისა ერთიან მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოდ" („სკკპ, რეზოლუციებში", ნაწ. I, 1954, გვ. 917, 918).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშო — სსრ კავშირი სრულიად ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს კლასიკური ნიმუშია. კაცობრიობის ისტორიამ იცის ბევრი მრავალეროვანი სახელმწიფო, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აძლევდა ხალხებს თავიანთი ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების გამოვლინების შესაძლებლობებს. ამიტომ ისინი ვერ უძლებდნენ მძიმე ომების გამოცდებს და ინგრეოდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს დაინგრა ავსტრია-უნგრეთის იმპერია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიმსხვრა იმპერიალიზმის მთელი სამარცხვინო კოლონიური სისტემა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე აღმავლობა ძირს უთხრის და ანგრევს ნეოკოლონიალიზმის საფუძვლებს.

სსრ კავშირი უძლეველი მრავალეროვანი სახელმწიფოა, რადგან იგი შექმნილია კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხთა სრული ნებაყოფლობის, წარმოების საშუალებაზე სოციალისტური საკუთრების დამკვიდრების, საშინაო და საგარეო ურთიერთობებში მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული დაცვის საფუძველზე.

ეროვნული და ინტერნაციონალური პრინციპების მართებული შეხამება სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა. ამიტომ ჩვენი პარტია მტკიცედ იცავს და თვალის ჩინივით უფრთხილდება ამ ერთიანობას. სწორედ ამ მიზნით სსრ კავშირის შემადგენლობაში შექმნილია ორი თანასწორუფლებიანი პალატა — კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო. ეს პალატები სრულად და მთელი თანმიმდევრობით გამოხატავენ მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის როგორც საერთო-ინტერნაციონალურ, ისე მასში შემავალი ცალკე აღებული ყოველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „მთელი დასავლეთი ევროპისათვის — უფრო მეტიც: მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის — ტიპიურ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს... ეროვნული სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და „ნორმა"... ეროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით, კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს, უეჭველია, ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს ასეთი სახელმწიფო, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე, ექსპლუატაციას და ერთა ჩაგვრას მოსპობდა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მარქსისტები უყურადღებოდ ვერ დატოვებენ ძალოვან ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის მისწრაფებას წარმოშობენ" (თხზ., ტ. 20, გვ. 483, 488).

ეს ფაქტორებია: 1. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ობიექტური კანონზომიერება; 2. სასაქონლო წარმოების სავსებით გამარჯვებლად ბურჟუაზიის მიერ საშინაო ბაზრის დაპყრობის საჭიროება; 3. ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანების აუცილებლობა. „ენა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; ენის ერთობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერი სავაჭრო ბრუნვისა, მოსახლეობის თავისუფლად და ფართოდ დაჯგუფებისა ყველა ცალკე კლასად ...ჩვენ არ ვიცით, მოასწრებს თუ არა აზია, კაპიტალიზმის კრახამდე, ევროპის მსგავსად დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა სისტემად მოეწყოს. მაგრამ უცილობელი რჩება, რომ კაპიტალიზმმა, გააღვიძა რა აზია, იქაც ყველგან ეროვნული მოძრაობანი გამოიწვია, რომ ამ მოძრაობათა ტენდენციაა აზიაში ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა, რომ კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს სწორედ ასეთი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ" (იქვე, გვ. 483, 487).

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, რომლის პირობებში ეროვნული სახელმწიფოა „წესი" და „ნორმა", სოციალიზმისათვის ტიპიურია ეროვნულისა და ინტერნაციონალურის შეხამების საფუძველზე მრავალეროვან სახელმწიფოში ერებისა და ეროვნებების გაერთიანება, მათი აყვავება და ურთიერთდაახლოება, სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამეგობრობის საფუძველზე, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე მათი მონოლითური შეკავშირება.

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ასეთ გაგებას მოკლებული პოლიტიკური მიმდინარეობა, როგორც ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობის მაგალითი გვიჩვენებს, მიდის ნაციონალისტურ გადაგვარებამდე, სოციალიზმის ქვეყნების ინტერნაციონალური თანამეგობრობისაგან იზოლაციამდე, ანტისაბჭოურობამდე, იმპე-

რიალიზმის ყულაზე აგრესიულ ძალებთან, მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებელ რევანშისტებთან დაკავშირებამდე, აშკარა შოვინისტურ და რასისტულ მეეგმონიზმამდე, რაც საფრთხეს უქმნის სოციალიზმის მთელ მონაპოვრებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სულ სხვაა სსრ კავშირის შექმნისა და განმტკიცების ისტორიული გამოცდილება. ხალხთა კლასობრივი, ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ლენინური ერთიანობის საფუძველზე შექმნილი 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების სახელმწიფოს — სსრ კავშირის შექმნიდან მეექვსე ათეული წელი მიდის. ეს არის გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ მშრომელთა უმძიმესი ბრძოლების, უმაგალითო გმირობის, გაუკვალავი გზით წინსვლის, ყოველივე სრულყოფის ძიების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მთელი ეპოქა, რომელმაც მთლიანად და სავსებით დაადასტურა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობის სწორად გადაწყვეტის საფუძველზე აგებული სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცე და უძლეველობა.

სსრ კავშირი მსოფლიოში პირველი სახელმწიფოა, სადაც სრულად, საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა და აშენდა განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც უკვე თავის საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო და უფრო სრულად ავლენს ახალი წყობილების გადამწყვეტ უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე და ყოველმხრივ აძლიერებს შესაძლებლობებს ძველის მავნე გადმონაშთების, ნეგატიური, ანტისოციალისტური მოვლენების საბოლოო დაძლევისა და კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში რეალური სოციალიზმის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება ეყრდნობა მაღალგანვითარებულ საწარმოო ძალებს, მძლავრ, მოწინავე მრეწველობას, ატომურ ენერგეტიკას, ელექტრონიკას, გამოთვლით ტექნიკას, ნახევარგამტარი მასალების წარმოებას, მოწინავე ინდუსტრიის მრავალ სხვა დარგს და სოციალისტური კოლექტივიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ მექანიზირებულ სოფლის მეურნეობას, ყველა სახის განვითარებულ ტრანსპორტს, სწრაფად მზარდ სამშენებლო ინდუსტრიას, მსოფლიოში პირველხარისხოვან კოსმოსურ ტექნიკას. განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა — საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უკვე პირველ ადგილზეა რკინის მადნის, ნავთობისა და ქვანახშირის ამოღებით, ფოლადისა და თუჯის გამოდნობით, ელმავლების, თბომავლების, ტრაქტორების, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და ნაწილების, ცემენტის, მინერალური სასუქებისა და სხვა სახის წარმოების მოცულობით და მაჩვენებლით. 1978 წელს სსრ კავშირმა გამოადნო 151 მილიონი ტონა ფოლადი და ამოიღო 572 მილიონი ტონა ნავთობი, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — მხოლოდ 126 მილიონი ტონა ფოლადი და 420 მილიონი ტონა ნავთობი. მრეწველობის პროდუქციის 23 სახეობიდან, რომლებიც მოყვანილია სტატისტიკურ კრებულში „სსრკ ციფრებში 1978 წელს“, საბჭოთა კავშირი უკვე უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოების 18 სახის პროდუქციის მოცულობით. კიდევ უფრო მკვეთრად გვიჩვენებს განვითარებული სოციალიზმი თავის დიად უპირატესობებს მძიმე საერთო კრიზისში მოქცეული კაპიტალიზმის წინაშე. მეათე საბჭოთა ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად და ახალი მონაცემებით ცხადყოფს იმას, რომ კაპიტალიზმი — ეს არის ისეთი საზოგადოება, რომელსაც აღარ გააჩნია მომავალი და კანონზომიერად მოელის სრული დაღუპვა.

მომავალი მხოლოდ სოციალიზმსა და კომუნიზმს ეკუთვნის. იზრდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წილი მსოფლიო წარმოებაში, ძლიერდება მსოფლიო სოციალიზმის მიზიდულობის ძალა და სულ უფრო მეტი განვითარებადი ქვეყნები ადგებიან არაკაპიტალისტური განვითარების, სოციალისტური ორიენტაციის გზას. კომუნისტური მსოფლმხედველობა, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვით რომ ვთქვათ, სულ უფრო მიმზიდველი ხდება იმითაც, რომ იგი მოითხოვს ომების საშიშროების თავიდან აცილებას, სამხედრო ხარჯების შემცირებას ხალხის საკეთილდღეოდ, მოითხოვს მშვიდობას დღეისათვის, ხვალისათვის, ყველა დროისათვის. კომუნიზმი და მშვიდობა — ეს არის ის შუქურა, რომლის მიხედვით მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად ჩვენ ვკვალავთ გზას დიადი მომავლისაკენ.

მსოფლიო ასპარეზზე დღეს ძალთა თანაფარდობა შეცვლილია ძირეულად მუშათა კლასის, დემოკრატიისა და სოციალიზმის, პროგრესის მთელი ძალების სასარგებლოდ. თანამედროვე პირობებში სოციალური პროგრესის მაგისტრალურ მიმართულებას განსაზღვრავენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლი ძალები. დღეს ეს ისეთი ფაქტია, რომ მტერსაც კი აიძულებს თქვას სიმართლე. შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი თავის გამოსვლაში 1979 წლის 16 ივლისს აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი პრობლემები უფრო ღრმაა, ვიდრე ბენზინზე რიგში დგომა ან ენერგიის ნაკლებობა, უფრო ღრმაა, ვიდრე ინფლაცია ან დაქვეითება“. ამ პრობლემის არსია „ნდობის კრიზისი, კრიზისი, რომელიც ლახვარს სცემს ჩვენი ეროვნული

ნების ხულხა და გულს, ხულიხკვეთებას", რაც საფრთხეს უქადის ამერიკული ცხოვრების წესს. „ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი არმია მუდამ უძლეველია, ხოლო ჩვენი მიზნები მუდამ სამართლიანია, ამის შემდეგ კი ვიეტნამის აგონია განვიცადეთ... ფედერალური მთავრობა გარიყულია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ძირითადი ნაკადისაგან. ვაშინგტონი კუნძულად გადაიქცა. ჩვენს მოქალაქეებსა და ჩვენს მთავრობას შორის არასდროს არ ყოფილა ესოდენ ღრმა უფსკრული". (გაზ. „კომუნისტი", 1979 წ. 18 ივლისი).

ასეთ ვითარებაში მყოფი პრეზიდენტი ჯ. კარტერი და მისი თანამოაზრენი ათასგვარ ცილისწამებასა და სიყალბეს თხზავენ სოციალიზმის მისამართით, ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან „საბჭოთა მუქარაზე" და უკიდურეს ისტერიამდე მისულნი გაიძახიან: „რუსები მოდიან! სამი საათის შემდეგ ისინი შეიძლება იყონ სპარსეთის უბესთან, შემდეგ აიღებენ საუდიის არაბეთს, ისრაელს, ეგვიპტეს. შემდეგ დადგება „დასავლეთ ევროპის" რიგი. შემდეგ..." („პრავდა", 1980 წ. 31 იანვარი).

სწორედ ასეთი ყბადაღებული ცილისმწამებლები ჰყავდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა წერდა: „როდესაც ბურჟუაზიის იდეური გავლენა მუშებზე კლებულობს, ირყევა, სუსტდება, ბურჟუაზია ყ ვ ე ლ გ ა ნ და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მიმართავდა და კვლავაც მიმართავს ყოვლად უკანასკნელ სიცრუესა და ცილისწამებას" (თხზ., ტ. 20, გვ. 60).

იმპერიალიზმი ხანტიკ, გაათფთრებულ ბრძოლას ეწევა მსოფლიო რევოლუციის ძალების, განსაკუთრებით მათი ავანგარდის — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ, ცდილობს ხელი შეუშალოს მსოფლიო სოციალიზმის ეკონომიკურ და კულტურულ ზრდას, შეზღუდოს მისი გავლენა მსოფლიოს ხალხებზე, მოწამლოს მშრომელები ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, კაცთმოძულე შოვინიზმისა და რასიზმის შხამით, გათიშოს ისინი ურთმანეთისაგან და გარიყოს პოლიტიკურად. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა ქვეყნის კომუნისტები და მშრომელები იბრძვიან ლოზუნგით: „სოციალიზმის დაცვა საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა".

* * *

ვ. ი. ლენინი, ავითარებდა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დებულებებს სამშობლოსა და რევოლუციური პატრიოტიზმის შესახებ, ჯერ კიდევ 1914 წელს წერდა: „სოციალისტური მოძრაობა ვერ გაიმარჯვებს სამშობლოს ძველ ჩარჩოებში. იგი ქმნის ადამიანთა თანაცხოვრების ახალ, უმაღლეს ფორმებს, როდესაც ყ ო ვ ე ლ ი ეროვნების მშრომელი მასების კანონიერი მოთხოვნილებანი და პროგრესული მისწრაფებანი პირველად იქნება დაკმაყოფილებული ინტერნაციონალურ ერთიანობაში".

ვ. ი. ლენინის მეცნიერული პროგნოზი გამართლდა. სსრ კავშირში, რომელიც წარმოადგენს 15 მოკავშირე რესპუბლიკის, 20 ავტონომიური რესპუბლიკის, 8 ავტონომიური ოლქისა და 10 ავტონომიური ოკრუგის, 100-ზე მეტი სოციალისტური ერისა და ეროვნების დიდ, საერთო სამშობლოს, ჩამოყალიბდა და ძლევამოსილად ვითარდება ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირის ძირითადმა კანონმა, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციამ ასე განსაზღვრა: „ყველა კლასისა და სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის, მათი ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი" (გვ. 4).

განსაზღვრავდა რა ადამიანების ამ ახალ ისტორიულ ერთობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა:

„ვლაპარაკობთ რა ადამიანების ახალ ისტორიულ ერთობაზე, ჩვენ სრულად არ ვგულისხმობთ თითქოს ჩვენში ჰქრებოდნენ ეროვნული განსხვავებანი ან, უფრო მეტი, ხდებოდეს ერების შერწყმა. ყველა ერი და ეროვნება, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობს, ინარჩუნებს თავის თავისებურებებს, ეროვნული ხასიათის თვისებებს, ენას, თავის საუკეთესო ტრადიციებს. მას აქვს ყველა შესაძლებლობა მიაღწიოს თავის ეროვნული კულტურის უფრო მეტ აყვავებას". (ლენინური კურსით, ტ. 4, გვ. 243).

საბჭოთა ხალხი სოციალიზმის ეპოქის პირმშოა. მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაში ნათლად შეიჩნევა სამი მთავარი ეტაპი.

პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი — ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი, როცა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების ძირითადად აშენებისა და ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის, ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ინტერესების გამომხატველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, აგრეთვე ნაციონალუკლონისტური ელემენტების ლიკვიდაციის, ტროცკიზმისა, მემარჯვენე ოპორტუნიზმის განადგურების შედეგად იქმნება საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მყარდება ხალხთა ლენინური მეგობრობა, მკვიდრდება საბჭოთა პატრიოტიზმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ვითარდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გზით და არსებითად ყალიბდება საბჭოთა ხალხი, რომე-

ლიც უძლებს მეორე მსოფლიო ომის უმკაცრეს გამოცდას, როგორც ადამიანთა ახალი ტიპის ურღვევი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა.

„საბჭოთა ხალხის ერთიანობა, — მიგვითითებს ლ. ი. ბრეჟნევი, — ყველაზე დამაჯერებლად გამოიხატა სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის გმირობით. ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კავშირმა და მეგობრობამ გაუძლო ისეთ უმძიმეს განსაცდელს, როგორიც დიდი სამამულო ომი იყო. ამ ომში ერთიანი საბჭოთა სამშობლოს შვილებმა არა მარტო ღირსეულად დაიცვეს თავიანთი სოციალისტური მონაპოვრები, არამედ მსოფლიო ცივილიზაცია იხსნეს ფაშისტური ბარბაროსობისაგან და ამით მძლავრი მხარდაჭერა გაუწიეს ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას“ (ლენინური კურსით, ტ. 4, გვ. 65).

მ ე ო რ ე ე ტ ა პ ი ა ისტორიაშია ჯაუგონარი, უმძიმესი ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის წლები (1945-1961), როცა სრულ ჩამოყალიბებას აღწევს საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა და მომწიფებული სოციალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

მ ე ს ა მ ე ე ტ ა პ ი იწყება 60-იანი წლებიდან და დღესაც გრძელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა სრულიად ახალი ისტორიული, სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის მძლავრი განვითარება მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურად გარდაქმნის, ახალი ადამიანის ფორმების პროცესში.

უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ხალხი, ეს არის უმტკიცესი სოციალური ერთობა, გამარჯვებული მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის აშენების შედეგად გარდაიქცნენ სრულიად ახალ სოციალურ, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ ჯგუფებად და სსრ კავშირის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიის მეთაურობით მიდიან წინ კომუნიზმის გზით; შემდეგ, იგი არის ინტერნაციონალური ერთობა სოციალისტური ერებისა და ეროვნებების, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ბურჟუაზიული ერებისაგან.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული ერებისა, რომლებიც არსებობენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მოქმედებენ ბურჟუაზიისა და მისი ნაციონალისტური პარტიების ხელმძღვანელობით და რომლებსაც ღრღნიან კაპიტალიზმის საერთო კრიზისში მყოფი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქრონიკული ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, სოციალისტური ერები თავისუფალი არიან ყოველგვარი ანტაგონიზმის შეურიგებელი წინააღმდეგობებისაგან და მონოლითურად შეკავშირებული ვითარდებიან თითოეული მათგანის სრული აყვავებისა და ყველას ურთიერთდაახლოების კანონზომიერებათა ურყევ საფუძველზე.

სოციალისტური ერების განუხრელი აყვავება და მათი ერთმანეთთან სულ უფრო მჭიდრო დაახლოება კი არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს, არამედ ყოველმხრივ ხელს უწყობენ საერთო წინსვლას. სოციალისტური ერებისა და ეროვნებების აყვავება განაპირობებს მათს ურთიერთდაახლოებას, ხოლო დაახლოება მათს აყვავებას, ყოველ სოციალისტურ ერსა და ეროვნებაში საერთო ინტერნაციონალური ნიშან-თვისებების განვითარებასა და გამრავლებას.

საბჭოთა ხალხში თითოეული სოციალისტური ერის აყვავება ხდება არა იზოლირებულად, არამედ მოძმე სოციალისტურ ერებთან ერთად და ურთიერთდახმარებით, ერთიანი სახელმწიფო გეგმის მიხედვით, ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ურთიერთშეხამებით. ამიტომ სოციალისტური ერების აყვავება ხელს უწყობს მათ ურთიერთდაახლოებას და, პირიქით, ურთიერთდაახლოება თითოეულის აყვავებასა და მოძმე ერების გამოცდილებით გამდიდრებას. ფრიად საყურადღებოა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მითითება:

„განავითარა რა ლენინური მოძღვრება ერისა და ეროვნული ურთიერთობის შესახებ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელოვნურად ვერ დავაჩქარებთ და ვერც შევაფერხებთ ერთა დაახლოების პროცესს. ორივე ტენდენციას — როგორც ერთა აყვავებას, ისე მათ დაახლოებას ობიექტური ხასიათი აქვს, ე. ი. ისინი შეიძლება შევიმეცნოთ და ამ საფუძველზე ვმართოთ, მაგრამ არავის არ შეუძლია მათი გაუქმება. ამიტომ ერის მხოლოდ აყვავებისაკენ გადახრისა და სხვა ერებთან დაახლოების პროცესის შეჩერების ყოველგვარ ცდას ეროვნული კარჩაკეტილობა, განკერძოებულობა მოჰყვება. იგივე შეიძლება ითქვას მეორე შესაძლო ტენდენციაზეც — ერთა ხელოვნური შერწყმის, მათი დაჩქარებული ინტეგრაციის კურსს თუ დავადგებით და არ გავითვალისწინებთ მათი აყვავების ინტერესებს. ამ პროცესს შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებინა კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის... სოციალიზმის დროს ერისა და ეროვნული ურ-

თიერთობის განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინებით პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ შექმნას ერთა აყვავებისა და დაახლოებისათვის საჭირო ყველა პირობა როგორც მატერიალური, ისე სულიერი და ეს ერთადერთი სწორი პოლიტიკაა" („მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები", თბილისი, 1979, გვ. 18).

საბჭოთა ხალხის როგორც მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების ერთიანობის სიმტკიცე და ურღვევობა განპირობებულია ერთიანი სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებით, საერთო სოციალისტური სამშობლოთ — საბჭოთა კავშირის ძლიერებით; ერთი პარტიის — დიდი ლენინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით; ერთი, მთელ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი იდეოლოგიით — მარად განვითარებადი მარქსიზმ-ლენინიზმით; ერთი დიადი საბოლოო მიზნით — კომუნიზმით, რომელიც წარმოადგენს მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს.

საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის ძალისა და ძლიერების წყაროა ისიც, რომ მისი განმტკიცება და განვითარება მასში შემავალი კლასებისა, ერებისა და ეროვნებების როლის შესუსტებასა და გაქრობას კი არ იწვევს, არამედ განაპირობებს მათს ყოველმხრივ აყვავებასა და ურთიერთდაახლოებას.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა საბჭოთა ხალხის მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა შორის მთავარია შემდეგი:

1. ეკონომიკური ცხოვრების ერთობა, დამყარებული წარმოების საშუალებების სოციალისტურ საკუთრებაზე, საერთო-საკავშირო ეკონომიკაზე როგორც საერთო-სახალხო კომპლექსზე, რომელიც ორგანულად ახამებს ერთიმეორესთან ეროვნულსა და ინტერნაციონალურს;

2. სოციალურ-კლასობრივი ერთიანობა, დაფუძნებული მუშათა კლასის გლეხობასა და ინტელიგენციასთან მეგობრულ კავშირზე მუშათა ხელმძღვანელი როლით, ყველა ერისა და ეროვნების სტრუქტურის ერთტიპიურობაზე, მთელი საბჭოთა საზოგადოების სოციალურ ერთგვაროვნებაზე;

3. პოლიტიკური ცხოვრების ერთობა, განპირობებული საერთო-სახალხო სახელმწიფოს ბუნებით, დემოკრატიული ცენტრალიზმის სახელმძღვანელო პრინციპის თანმიმდევრული დაცვით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთკავშირითა და ერთიანობით, რომელთა სისტემაში წარმმართველ როლს კომუნისტური პარტიაასრულებს;

4. სულიერი ცხოვრების ერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი და კომუნისტური ზნეობა, საბჭოთა მრავალეროვანი კულტურა.

5. ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ინტერნაციონალური ერთიანობა, დაფუძნებული ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმზე;

6. სოციალისტური ცხოვრების წესი, რომელიც საბჭოთა ერთობისა და მასში შემავალი ყველა კლასისა და ერის, შრომითი კოლექტივისა და ცალკეული ადამიანების ცხოველმოქმედების შინაარსსა და ფორმებს წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინმა პირველი მსოფლიო ომის დროს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, რომელსაც იმპერიალისტები აჩაღებდნენ ხალხთა დამონებისა და მათი ექსპლოატაციის გაძლიერების მიზნით, დაუპირისპირა ეროვნული სიამაყის პროლეტარული ,ინტერნაციონალისტური, კომუნისტური გაგება. ვ. ი. ლენინის ერთგულმა მოწაფემ და მისი უკვდავი საქმის განმგრძობმა ლ. ი. ბრეჟნევმა შემდგომ განავითარა, გააფართოვა ეროვნული სიამაყის ლენინური იდეა და ასე განსაზღვრა საერთო, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი პატრიოტული გრძნობის ცნება:

„საბჭოთა ადამიანის საერთო-ეროვნული სიამაყე — ეს უზარმაზარი, ტევადი, თავისი შინაარსით უმდიდრესი გრძნობაა. იგი უფრო ღრმა და ფართოა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის შემადგენელი ხალხებიდან თითოეულის ბუნებრივი ეროვნული გრძნობები. მან შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო, რაც კი რამ შექმნილა მილიონობით საბჭოთა ადამიანის გარჯით, ვაჟკაცობით, შემოქმედებითი გენიით... რაც უფრო შორს მივდივართ კომუნიზმის მშენებლობის გზით, რაც უფრო მრავალფეროვანი და მტკიცე ხდება სსრ კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკური, კულტურული და სხვა გამაერთიანებელი კავშირი, მით უფრო ძლიერი და ღრმაა დიადი ერთობის კეთილშობილური გრძნობა, რომელსაც ჩვენ საბჭოთა ადამიანები საერთო-ეროვნულ სიამაყეს ვუწოდებთ" (ლენინური კურსით, ტ. 4, გვ. 107).

ვ. ი. ლენინი მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით გვასწავლიდა, რომ უდიდესი სიფრთხილე გამოგვეჩინა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის სწორი ურთიერთშეხამების საკითხში, გადაჭრით გვებრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

მთელი ჩვენი მსოფლიო პოლიტიკისათვის „მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, — წერდა ვ. ი. ლენინი 1921 წელს, — რომ

**მ ო ვ ი პ ო ვ ო თ** ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობა; სამგზის და ოთხგზის მოვიპოვოთ...

ეს მსოფლიო საკითხია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მსოფლიო საკითხი.

აქ არქიწინდახედული უნდა ვიყოთ.

ეს თავს იჩენს ინდოეთში, აღმოსავლეთში, აქ ხუმრობა არ შეიძლება, აქ 1000-მაგად ფრთხილი უნდა ვიყოთ" (თხზ., ტ. 45, გვ. 888).

ვ. ი. ლენინი უდიდესი ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდებოდა ყველა ერს. მაგალითად, 1922 წელს ლენინი წერდა: „ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპიური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრესად სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას" (თხზ., ტ. 36; გვ. 692-693).

ამ და ყველა ლენინურ მითითებას სრული შემოქმედებითი გაგებით უდგებიან საქართველოს კომუნისტები, რომლებიც ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებენ დიდ რუს ხალხთან, ყველა სოციალისტურ ერთან და ეროვნებასთან ძმურ მეგობრობას. დიდი ლენინის პარტიის ერთ-ერთი უძველესი მოწინავე რაზმი — საქართველოს კომპარტია მთელ თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს მარადგანვითარებადი ლენინიზმით. ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ხაზგასმით აღნიშნავს:

„ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისა და მშრომელთა ინტერნაციონალისტური აღზრდისათვის მუშაობას ჩვენ ვეწევით როგორც განვითარებული სოციალიზმის ეტაპის თავისებურებების, ისე იმ ეროვნული ნიშანთვისებებისა და ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებითაც ხკკპ გამოცდილების საგანძურს ადგილობრივი გამოცდილება, ადგილობრივი სპეციფიკა ამდიდრებს" (გაზ. „კომუნისტი", 1980 წ. 25 იანვარი).

ფაქტია, რომ ხალხთა ლენინური მეგობრობის, კომუნიზმის მშენებელი სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ინტერნაციონალური ურთიერთდახმარების პირობებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია საქართველომ, რომელშიც დღეს 5 მილიონზე მეტი მცხოვრებია, ხოლო რუსეთთან ფაქტიური შეერთების დროს — 1801 წელს ირანელი და თურქი დამპყრობლების განუკითხავი თარეშის შედეგად ფიზიკური განადგურების გზაზე დამდგარი მოსახლეობა 0,5 მილიონზე ნაკლები იყო.

საკმარისია ითქვას, რომ სოციალიზმის ეპოქაში საბჭოთა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 8-ჯერ, სამრეწველო წარმოების მოცულობა კი 161-ჯერ. დღეს საქართველო მაღალგანვითარებული ინდუსტრიული, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკაა. საბჭოთა საქართველოში მთლიანად დამთავრდა ყველა ეროვნების ბავშვთა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით ყოველ 1000 მოსახლეზე გაანგარიშებით. ოქტომბრის რევოლუციამდე სწავლას მოწყურებული ქართველები რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიდიოდნენ უმაღლესი განათლების მისაღებად. ახლა კი საქართველოს 19 უმაღლეს სასწავლებელში 90 ათასამდე სტუდენტია, რომლებსაც ასწავლიან 29 აკადემიკოსი, 569 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. ჩვენს უმაღლეს ასწავლებლებში სწავლობენ მრავალი მოძმე ერისა და ეროვნების შვილები.

მიმდინარე წლის აპრილში ჩვენმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა ორი წლისთავი საქართველოს სსრ კონსტიტუციისა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ისტორიულ, ეროვნულ და სხვა თავისებურებებს, აკანონებს მშრომელთა დიად მონაპოვარს სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რომელიც, სხვა თანასწორუფლებიან რესპუბლიკებთან ერთად, გაერთიანებულია მოძმე ხალხთა დიად ლენინურ ოჯახში — სსრ კავშირში; საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტი ჰარმონიულად ერწყმის მოძმე რესპუბლიკების სუვერენიტეტს სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლად ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

საბჭოთა საქართველოში ჰყვავის და იფურჩქნება თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, რომელსაც არასოდეს არა ჰქონია განვითარების ისეთი ფართო პერსპექტივა, ისეთი ფართო გაქანება, როგორიც აქვს დღეს; ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ტრიუმფით გავიდა მსოფლიო ასპარეზზე; საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენა — უმდიდრესი და უძველესი ქართული ენა გადაქცეულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი და შეუნელებელი ზრუნვის საგნად. „ქართულ ენას — დღენიადაგ ზრუნვა და გულისყური!" — ამ სათაურით გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში" ცნობა იმ თათბირის შესახებ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში და რომელიც მიეძღვნა საკითხს იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა ერთი წლის წინ. თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის განათლების და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროები, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი ინსტიტუტები და სხვა დაწესებულებანი ნაყოფიერად მუშაობენ ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების განხორციელებისათვის; ასეთი ნამდვილად პარტიული ზრუნვა ქართული ეროვნული კულტურისა და კერძოდ ქართული ენის განვითარებისა და შემდგომი აყვავება-წინსვლისათვის მკაფიოდ მოწმობს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, შეაჯამა რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგები ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეროვნული საკითხი იმ სახით, როგორიც ჩვენ წარსულისაგან გვხვდა, გადაწყდა მთლიანად, გადაწყდა საბოლოოდ და შემოუბრუნებლად. ეს ისეთი მიღწევაა, რომელიც სამართლიანად შეიძლება დავაყენოთ სსრ კავშირში ახალი საზოგადოების მშენებლობაში მოპოვებულ ისეთ გამარჯვებათა გვერდით, როგორიც არის ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია.

ჩვენს ქვეყანაში იშვა და განმტკიცდა, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, კლასობრივი ინტერესებისა და მიზნების ერთობით შეკავშირებული მშრომელი ადამიანების დიადი ძმობა, შეიქმნა ისტორიაში უმაგალითო ურთიერთობა, რომელსაც სამართლიანად ვუწოდებთ ხალხთა ლენინურ მეგობრობას“ (ლენინური კურსით, ტ. 4, გვ. 53-54).

ხალხთა ლენინური მეგობრობა სოციალიზმის დიადი მონაპოვარია, ჩვენი ფასდაუდებელი განძია, რაც გულისხმობს მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფისა და კომუნიზმის მშენებლობის პირობებში წამოჭრილი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მძლავრ აყვავებასა და ურთიერთდაახლოებას, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის ყოველმხრივ განმტკიცებას.

დიდი ლენინის პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების საფუძველზე მიღწეულია ისეთი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, როგორიც არის: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა, საბჭოთა სამშობლოს გმირული დაცვა, ჯერ შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის, შემდეგ კი ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება, სოციალური პროგრესის უმაღლესი მიღწევის — განვითარებული სოციალიზმის აშენება ჩვენ ქვეყანაში, საბჭოთა ხალხის როგორც ახალი ისტორიული ერთობის ჩამოყალიბება და განვითარება, სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევა, იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიალიზმის დამსხვრევა და განვითარებადი სამყაროს, სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების წარმოშობა. საბჭოთა პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი უძლებს დროის მკაცრ გამოცდას, ვითარდება, გამარჯვებებიდან — გამარჯვებას აღწევს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე პირობებში, როცა საერთაშორისო მუშათა კლასის, მთელი მსოფლიოს მშრომელი მასებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების რევოლუციური მოძრაობა გახდა საყოველთაო, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „ბურჟუაზია ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, ყველაფერს სასწორზე დადებს, რომ შემუსროს ჩვენი ერთიანობა“ (თხზ., ტ. 26, გვ. 568). ამიტომ არის, რომ ახლა, როგორც არასოდეს, იზრდება როლი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობისა, რომელიც მძლავრი იარაღია მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამია დუდუჩავა

# ხელოვნების განვითარების კანონზომიერების საკითხები

ყოველი ერი, მთელი კაცობრიობა, არსებითად, ერთ ისტორიას ქმნის, განვითარების ერთი, შინაგანად მთლიანი პროცესით ხასიათდება. ეს კანონი, ნაწილობრივ ადრეც შენიშნული, ხოლო სრული სახით გასული საუკუნის სამოციან წლებში აღმოჩენილი, გ. პლეხანოვმა ასე გამოხატა: „ადამიანები აკეთებენ არა ერთმანეთისაგან განცალკევებულ რამდენიმე ისტორიას — სამართლის ისტორიას, მორალის ისტორიას, ფილოსოფიის ისტორიას და ა. შ. არამედ მხოლოდ ერთ ისტორიას თავისი საკუთარი საზოგადოებრივი ურთიერთობისას, განპირობებულს საწარმოო ძალთა მდგომარეობით ყოველ მოცემულ დროში. ეგრეთწოდებული იდეოლოგიები წარმოადგენს მხოლოდ მრავალფეროვან ასახვას ამ ერთიანი და განუყოფელი ისტორიისა ადამიანთა გონებაში“.[1] ამასთან, ცხადია, იდეოლოგიის დარგები არა მარტო გამოხატულებაა საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიისა, არამედ აქტიური მონაწილეც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო არსებითია იმის გათვალისწინება, რომ ადამიანთა მატერიალური, საზოგადოებრივი და ინტელექტუალურ-სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს ისტორიული პროცესი მკვეთრად გამოხატული თავისებურებით ავლენს თავისთავში აქ აღნიშნული ერთი (მთლიანი) დიდი ისტორიის უზოგადეს კანონზომიერებას, შესაბამისად თავიანთი სპეციფიკური არსისა. მაშასადამე, მორალის ისტორია, ფილოსოფიის ისტორია, ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ისტორია და ა. შ., კაცობრიობისა და ერების ისტორიათა სპეციფიკური შემადგენელი ნაწილებია და საკუთარი, ურთიერთისაგან განმასხვავებელი კანონებითაც ხასიათდება. და, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, მათ შორის ყველაზე თავისებური და თვითმყოფი, ყველაზე ცვალებადი და უსაზღვროდ მრავალფეროვანი, ეპოქებისა და ერების განსაკუთრებულებათა უაღრესად მგრძნობიარე გამომხატველი, ხალხის ინტელექტუალურ-სულიერი ცხოვრების უმაღლესი სფერო, ამავე დროს, საყოველთაო არსისა და მარადიული ქმნილებების მომცველი, ხელოვნების ისტორიული პროცესია. აქ ყველაფერი ღრმად თავისებურია. ხოლო განვითარების უძლიერესი ეპოქები ადამიანის ბუნებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობის ჯადოქრული გამოვლენით, დიად საოცრებათა წარმოქმნით ხასიათდება. ამასთან, ხელოვნება საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრების არა მარტო შედეგი და გვირგვინია, არამედ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სპეციფიკური ფაქტორიც. ჭეშმარიტი ხელოვნება სიკეთისა და პროგრესული მაღალადამიანური იდეალების სამრეკლოა არა მარტო საკუთრივ ესთეტიკური არსის გამო, არამედ თავისი კონკრეტული შემეცნებით-იდეური შინაარსის სახითაც. საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და იდეოლოგიის არც ერთი დარგის ისტორიულ პროცესისათვის არ არის ნიშანდობლივი სპეციფიკურ მიმართებათა კომპონენტთა და შინაგანი სტრუქტურის ისეთი მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება, როგორიც ხელოვნების ისტორიისათვის.

ყველაფერი ეს სავსებით ნათელს ხდის ხელოვნების ისტორიის ობიექტური კანონზომი-

1. გ. პლეხანოვი, თხზულებანი, ტ. VIII, 1926 წ. გვ. 270 (რუს. ენაზე).

ერების უაღრესად ღრმა და არსებით თავისებურებას.

I

ხელოვნებისა და მისი დარგების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა შესწავლას შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს: მეთვრამეტე საუკუნემდე, არსებითად, ესთეტიკური აზროვნება იფარგლებოდა ხელოვნების, საერთოდ, მშვენიერების არსის ძიებით. იმის შესწავლა კი, თუ როგორ არსებობს, რა კავშირშია საზოგადოებრივ-ეროვნულ ვითარებასთან, რა გზით, რა კანონების შესაბამისად ვითარდება ადამიანთა სულიერ-ინტელექტუალური შემოქმედების ეს, როგორც უკვე ვთქვით, უაღრესად ცვალებადი და მრავალფეროვანი სფერო, მხოლოდ ზემოაღნიშნული საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. ამასთან, გასული საუკუნის სამოციან წლებამდე ამ პრობლემის შესწავლის განვითარება ძირითადად ისტორიული იდეალიზმის პრინციპებს ემყარებოდა. და ეს მაშინ, როდესაც ესთეტიკის სხვა პრობლემათა სფეროში მატერიალისტური მიმდინარეობა ანტიკური საუკუნეებიდანვე იკაფავდა გზას და თანდათან ჩამოყალიბებული კონცეფციის სახეს იღებდა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი უკიდურესად ზღუდავდა ხელოვნების არსის ესთეტიკურ-ასახვითი თავისებურების შესწავლასაც. აქ, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ხელოვნების არსის პრობლემა შეუძლებელია გაირკვეს, თუ ჩვენ მხატვრული მოვლენების ანალიზებისას ურთიერთისაგან ვერ განვასხვავებთ კერძოსა და ზოგადს, ცვალებადსა და უცვლელს, ე. ი. ვერ მოვახდენთ ფაქტების ჭეშმარიტ განზოგადებას, რაც არსებითად, მთლიანად დამოკიდებულია ხელოვნების ისტორიული პროცესის სწორ ანალიზზე. ამ აუცილებლობის საფუძველი სავსებით ცხადია: ხელოვნების ესთეტიკურ-ასახვითი თავისებურება ხელოვნების განვითარების პროცესში პოულობს კონკრეტულ გამოხატულებას; ამასთან, იგი ამ პროცესის შინაგანი კავშირისა (მთლიანობისა) და საზღვრების საფუძველს შეადგენს. მაშასადამე, მისი ანალიზი ხელოვნების მთელი ისტორიის განზოგადებას უნდა დაემყაროს და გამოვლინდეს „როგორც ისტორიული პროცესის ასახვა აბსტრაქტულ და თეორიულ ფორმაში“ (ფრ. ენგელსი). და რაც აგრეთვე მთავარია, ხელოვნების თავისებურება არ იფარგლება მხოლოდ ესთეტიკურ-ასახვითი არსით. ეს უკანასკნელი მისი მხოლოდ ერთი მხარეა. მეორეს — ხელოვნების განვითარების კანონზომიერების სპეციფიკა წარმოადგენს. ამრიგად, ხელოვნების თავისებურება და ხელოვნების ესთეტიკურ-ასახვითი (ანდა, მხატვრულ-შემეცნებითი) თავისებურება იდენტური ცნებები არაა. ეს იმიტომ, რომ პირველი წარმოადგენს ხელოვნების როგორც ესთეტიკურ-ასახვითი არსის, კანონების, ისე განვითარების პროცესის ობიექტური კანონზომიერების თავისებურებათა მთლიანობას. მას ეს ორი, ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებული და ურთიერთიდან გამომდინარე მხარე აქვს, ხოლო ამის შესაბამისად მისი კვლევაც ამ ორივე ასპექტის მთლიანობას გულისხმობს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაგება, გარდა იმისა, რომ ლოგიკურად გამომდინარეობს მარქსისტული ესთეტიკის ფუძემდებელი პრინციპებიდან, უშუალოდაცაა ასახული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცნობილ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებში. ამ საკითხის მიმართ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ თანამედროვე მარქსისტულ ესთეტიკაში გარკვევით ვლინდება ხელოვნების თავისებურების პრობლემატიკის შეზღუდული გაგება. რა თქმა უნდა, თანამედროვე მარქსისტი ესთეტიკოსების შრომებში ხელოვნების ასახვით-შემეცნებითი თავისებურების ანალიზი კონკრეტული ისტორიული ფაქტების, ხელოვნების მთელი ისტორიის განზოგადებას (აბსტრაგირებას) ემყარება ამა თუ იმ სისრულით; მაგრამ თვით ამ ისტორიული პროცესის სპეციფიკური კანონზომიერება, როგორც ხელოვნების საერთო თავისებურების ერთ-ერთი ძირითადი არსებითი მხარე (აუცილებელი შემადგენელი ნაწილი), შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში იგნორირებულია. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს, აქ ნაგულისხმევი მკვლევარნი საერთოდ არ სწავლობენ აღნიშნულ კანონზომიერებას ამის თქმა უსაფუძვლო ბრალდება იქნებოდა. ნათქვამი მხოლოდ იმ ფაქტის მიმართ ამახვილებს ყურადღებას, რომ მათ, არსებითად, ვიწროდ აქვთ გაგებული ხელოვნების თავისებურების საზღვრები და პრობლემატიკა.

ცხადია, იდეალისტური ესთეტიკა სავსებით თანმიმდევრულია თავისი პრინციპების მიმართ, როდესაც იგი მხოლოდ ესთეტიკურ-ასახვით ან მხოლოდ ესთეტიკურ ასპექტში იკვლევს ხელოვნების თავისებურებას. მაგრამ ამ ტრადიციის მარქსისტულ ესთეტიკაში გადატანა არსებითად ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელის პრინციპებს.

აქ აუცილებელია საგანგებოდ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხელოვნების, როგორც სპეციფიკური არსის, ისე საკუთრივ ისტორიული პროცესის კანონზომიერების მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა იმ სხვაობის დადგენა, რომელიც ხელოვნების ცვალებად და ზოგად, უცვლელ, მარად მოქმედ მხარეებს შორის არსებობს. ყველა დროისა და ერის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერება არ უნდა დანაწილდეს და ჩაინთქას მიმდინარეობის, ხელოვანის ან

ცალკეულ ნაწარმოებთა ეპოქისეულ-სუბიექტური ნიშანდობლივი თვისებების სიმრავლეში. იდეალისტური ესთეტიკა, აგრეთვე, ძირითადად მარქსამდელი მატერიალისტური ესთეტიკაც (რადგან იგი, როგორც ვთქვით, უპირატესად ისტორიის იდეალისტური გაგებით ხასიათდება), სწორედ ამ ზღვარს ვერ ხედავდა — მან ხელოვნების ზოგადი არსი და ამ უკანასკნელის გამოვლენის კონკრეტული ისტორიულინაირსახეობა ვერ გამიჯნა ურთიერთისაგან. არსებითად ამ ბედს იზიარებენ აღნიშნული ესთეტიკის ის წარმომადგენლებიც, რომლებიც ისტორიზმის ამა თუ იმ სახეობას ავლენენ მკვეთრი სახით.

ხელოვნების ისტორიული პროცესის თავისებურება, გარკვეულ ასპექტში ხელოვნების ესთეტიკურ-სახვითი თავისებურების გამოხატულებაცაა. ამასთან, საერთოდ, როგორც ესთეტიკურ-სახვითი, ისე ისტორიული პროცესის თავისებურებათა კონკრეტული გამოვლენა მათ ორგანულ მთლიანობას, შინაგან სინთეზს ემყარება და უკუაფენს.

ყველაფერი ეს კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ აქ შემდეგსაც გავითვალისწინებთ:

1. ხელოვნება, კერძოდ, ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება, კინო ზოგადი ცნებებია, მაშასადამე, გარკვეულ მხატვრულ მოვლენათა მთლიანობის სახელწოდებანია, ხოლო თვით ამ მთლიანობის საფუძველს მოვლენათა საყოველთაო, საერთო არსი შეადგენს. ეს უკანასკნელი მხატვრული ეპოქების, მიმდინარეობების, ნაწარმოებების ურთიერთთან შედარების მეშვეობით გამოიყოფა, „მრავალმხრივ დანაწევრებულია და სხვადასხვა განსაზღვრებით გამოიხატება. ზოგი რამ აქედან ყველა ეპოქას ეკუთვნის, დანარჩენები კი საერთოა ზოგიერთი ეპოქისათვის. [ზოგი] განსაზღვრა საერთო იქნება როგორც უახლოესი, ისე უძველესი ეპოქისათვისაც. ამის გამოა, რომ მაგალითად, ერთი მხრივ, ყველაზე განვითარებულ ენებს კანონები და განსაზღვრანი საერთო აქვს ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენებთან, — მეორე მხრივ, განსხვავებული ამ საყოველთაოსა და საერთოსაგან არის სწორედ ის, რაც მათ განვითარებას შეადგენს“,[2] მათი კონკრეტული გამოვლენის, სახემოხილების ცვალებადობად გვევლინება. ბუნებრივია, ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ხელოვნებისა და მისი დარგების სფეროებში. ყველაფერი ეს იმ გარემოებასაც სავსებით ცხადს ხდის, რომ ხელოვნების ისტორიული პროცესის არსის, კანონზომიერების ანალიზის ძირითად ამოცანას შეადგენს გაარკვიოს: რა ფაქტორებითაა განპირობებული ხელოვნების ისტორიული პროცესი? რა საერთო, საყოველთაო (ყველა ერისა და ეპოქის ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი) კანონები, თავისებურება (სპეციფიკური ნიშნები) ახასიათებს აღნიშნულ პროცესს? რა მიმართებაშია თვით ეს კანონები ხელოვნების მხატვრულ-სახვით არსთან?

2. უკვე აღნიშნული იმის ნათელყოფასაც წარმოადგენს, რომ ზოგადი კანონზომიერება გარკვეული კონკრეტული თავისებურებით ვლინდება ყოველი ეპოქის ხელოვნების, ყოველი მხატვრული მიმდინარეობის სფეროში, ხოლო ორივე (კანონზომიერებაც და მისი ეპოქისეული გამოვლენაც) — ყოველი ხელოვანის შემოქმედებაში.

ამასთან, ხელოვნების ისტორიის კანონზომიერება შეადგენს ხელოვნების ცალკეული დარგების ისტორიის კანონზომიერებათა საერთო მხარეს, მაშასადამე იგი გვევლინება როგორც მხატვრული მოვლენების პროცესის უზოგადესი არსი, უზოგადეს ტიპოლოგიურ ტენდენციათა და ნიშანთა სისტემა. მასში, უწინარეს ყოვლისა, ახსნას პოულობს, თუ როგორ იცვლება და რატომ იცვლება, ე. ი. რა განაპირობებს თვით ამ ცვლილებათა უკიდურესად მრავალფეროვან და მარადჟამს მოქმედ პროცესს. ამდენად, ეს სისტემა, ხელოვნების სპეციფიკურ არსთან ერთად, ყველა ერისა და ეპოქის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ნიშანთა და კანონთა ერთობლიობაა. ამიტომ იგი ურთიერთთან აკავშირებს ყველა ერის ხელოვნებას, ყველა მხატვრულ ეპოქას, ყველა შემოქმედს და მათ ერთგვარობას განაპირობებს.

## II

გ. პლეხანოვი ერთ-ერთ წერილში სწორად შენიშნავდა: იდეალისტურმა ესთეტიკამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ყოველ დიდ ისტორიულ ეპოქას თავისი ხელოვნება ჰქონდა. უნდა ვიფიქროთ, რომ გ. პლეხანოვს ამ შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, კლასიკური იდეალისტური ესთეტიკა ჰქონდა მხედველობაში. ამ მიმდინარეობის ზოგი წარმომადგენელი, განსაკუთრებით ჰეგელი, მართლაც იმდენად შორს წავიდა, რომ ლიტერატურის, საერთოდ, ხელოვნების ისტორია ორგანულად დაუკავშირა საზოგადოების განვითარებას. რა თქმა უნდა, გ. პლეხანოვს უპირატესად მხედველობაში ჰყავდა აგრეთვე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ისეთი დიდი წარმომადგენელიც, როგორიც იყო ი. ტენი და არაერთი სხვაც. ეს ფაქტები მას სავსებით ნათელყოფილი აქვს თავის რამდენიმე ნაშრომში ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ყველა იდეალისტი ესთეტიკოსი, კრიტიკოსი ან ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ისტორიკოსი, არ ავლენდა მოვლენებისადმი ამგვარ ისტორიულ

---

2. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 258.

მიდგომას, არ აღიარებდა მხატვრული შემოქმედებისა და საზოგადოების აქ აღნიშნულ კავშირს. ეს უკიდურესი ტენდენცია სავსებით ცნობილი გახდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისისათვის, ხოლო კიდევ უფრო ცხადი და გავრცელებული — ჩვენს ეპოქაში. ცხადია, ძირითადად აქ ანტიისტორიზმის, ხელოვნებისა და საზოგადოების ისტორიათა სრული გათიშვის პრინციპთა გამომხატველი ფორმალისტური კონცეფციები იგულისხმება.

საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ხელოვნების სრული განრიდების თვალსაზრისის პირველ გამოხატულებას წარმოადგენდა პრინციპი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელმაც სათავე კანტის ესთეტიკურ ნააზრევში, ხოლო ჩამოყალიბებული თანმიმდევრული სახე მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის ლიტერატურულ-ესთეტიკურ აზროვნებაში მიიღო. რაც უფრო ვითარდებოდა ფორმალისტური, განსაკუთრებით სუბიექტივისტური ფორმალისტური ესთეტიკა, მით უფრო მკაცრ სახეს იღებდა, მკვეთრად იხატებოდა და იხატება დღესაც ხელოვნების სრული იზოლირება ადამიანის რეალური ცხოვრებისაგან, საზოგადოებრივ-ეროვნული სინამდვილისაგან.

დამახასიათებელია, რომ აქ ჩვენ ვხვდებით აშკარად გამოვლენილ ორ ტენდენციას. პირველი არავითარი კომპრომისით არ ხასიათდება. იგი მტკიცედ იცავს აზრს, თითქოს, ხელოვნებას ცხოვრებისაკენ გადასახედი ერთი სარკმელიც კი არ გააჩნდეს, რომ ხელოვნება მხოლოდ ფორმაა, ხოლო ფორმის ბედს ან საკუთარი იმანენტური კანონები განაგებს, ან ხელოვანის „მე“, სრულიად გამოთიშული დროისა და სივრცისაგან, მაშასადამე, წმინდა სუბიექტური სამყარო. მეორე ტენდენცია, შედარებით, განსხვავებული გზით მიდის იმავე თვალსაზრისის აღიარებამდე. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ო. უაილდის თეორიული ნააზრევის ის მხარე, რომელშიც ხელოვნების ცხოვრებაზე ზეგავლენის საკითხია განხილული. მხატვრული შემოქმედების სამყარო — ეს არის ტყუილის, არარსებულისა და მშვენიერ გამონაგონთა სამყარო. იგი სინამდვილის უარყოფაა, მაგრამ თვით სინამდვილე, ცხოვრება ბაძავს მას. ამიტომ ხელოვნება არ არის ცხოვრების სარკე. თუ საკითხს ამ ასპექტში შევეხებით, მაშინ თვით ცხოვრება, სინამდვილე უფრო მეტად აღმოჩნდება ხელოვნების სარკე.

თავისებურია ფორმალისტური ხელოვნებისმცოდნის მამამთავრის ჰ. ველფლინის პოზიცია. იგი არ უარყოფს, რომ, საერთოდ, ხელოვნება გამოხატავს დროისა და ხალხის განწყობილებებს, ეროვნულ სტილსა და თვით ხელოვანის სუბიექტურ ტემპერამენტს. მაგრამ ყველაფერი ეს, არსებითად, ხელოვნების გარეშე დგას. ამიტომ იმის ანალიზით, თუ რას გამოხატავს ან ცხოვრებასთან რა მიმართებით ხასიათდება მხატვრული მოვლენები, ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ იმ მიჯნამდე, სადაც იწყება ნამდვილი ხელოვნება, ე. ი. იწყება ფორმა, იგივე — წმინდა ესთეტიკური ხილვა.

საერთოდ, ფორმალიზმი და ისტორიზმის უკიდურესად შეზღუდული გამოხატულებაც კი, ყველა შემთხვევაში შეუთავსებელია ურთიერთთან.

როგორც ვთქვით, ხელოვნების ისტორიის კანონზომიერების პრობლემა, არსებითად, ისტორიული იდეალიზმის პრინციპთა საფუძველზე დაიბადა. ამასთან, გასული საუკუნის 50-60-იან წლებამდე მხოლოდ ეს კონცეფცია იყო მისი ძირითადი დასაყრდენი. მიუხედავად ამისა, ისტორიზმი ამავე პრობლემის ასაკისაა. მეტიც, არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა ესთეტიკურ აზროვნებაში ეს თვალსაზრისი უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მისი გამომრიცხველი ფორმალისტური კონცეფციები.

ინტერესი ხელოვნების ისტორიის კანონზომიერების მიმართ პირველად იტალიელი ვიკოს ნააზრევში გამოვლინდა ჩამოყალიბებული სახით. აქვე გვაქვს მოცემული მხატვრული მოვლენების ცვალებადობის გარემოსთან დაკავშირების პირველი თვალსაჩინო გამოხატულებაც. შემდეგი საფეხური ისტორიზმის განვითარებისა, დაკავშირებულია დიდ გამანათლებელთა სახელებთან. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ი. ვინკელმანის შეხედულებანი, კერძოდ, მისი კატეგორიული დასკვნა იმის შესახებ, რომ აუცილებელია შესწავლილი იქნას ხელოვნების წარმოშობა, განვითარება, ცვალებადობა, აღორძინება და დაქვეითება, აგრეთვე ეროვნული, ეპოქისეული და ინდივიდუალური სტილების სხვადასხვაობა. ყველა ამ მოვლენის საფუძველს კი იგი კლიმატურ პირობებსა და პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებაში ხედავდა.

ხელოვნების განვითარების კანონზომიერების პრობლემა პირველად სრული სახით და ჰეშმარიტად დიდი მასშტაბით მაინც ჰეგელის, იდეალისტური ესთეტიკის ამ მწვერვალის, კონცეფციაში აისახა. ასევე, ისტორიზმიც იდეალისტური ესთეტიკის სფეროში პირველად აქვე აისახა განსაკუთრებული სიმკვეთრით. ხელოვნების ისტორიის იდეალისტურ გაგებას უფრო შორს წასვლა აღარ შეეძლო, რადგან მაშინ იგი არსებითად განერიდებოდა თავის თავს, ბოლომდე უღალატებდა თავისივე პრინციპებს. თუმცა ჰეგელმა სინამდვილეში ღალატი მაინც ჩაიდინა: არა ერთხელ დაარღვია თავისი იდეალისტური სისტემის საზღვრები, არაერთ შემთხვევაში ბრწყინვალედ შეამჩნია, ზოგჯერ კიდეც გაამუქა ხელოვნებისა და საზოგადოების ისტორიათა ორგანული კავშირი, მაგრამ სახე-

ლოოდ მაინც „აბსტრაქტულად გადაყირავებული“ სახით განიხილავდა, თანმიმდევრულად ვერ ამუქებდა იგი ამ კავშირს, საერთოდ, მხატვრულ და საზოგადოებრივ მოვლენათა პროცესის ურთიერთმიმართების ჭეშმარიტ არსს. ეს იმიტომ, რომ, როგორც კ. მარქსი დაასკვნიდა, მას „რეალური ესმოდა, როგორც შედეგი აზროვნებისა“, აბსოლუტური იდეისა.

ჰეგელის ნააზრევში ადამიანთა სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების ისტორიის ობიექტური კანონზომიერების შემდეგი შესწავლისათვის იდეალისტური ესთეტიკის ყველა შესაძლებლობანი ამოწურული აღმოჩნდა. ამრიგად, ახალი, პრინციპულად განსხვავებული მოძღვრების ფორმირება ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ისტორიზმის მკვეთრი გამოვლენა საკუთრივ ლიტერატურისმცოდნეობაშიც. კერძოდ, მადამ დე სტალის ცნობილი ისტორიული ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ცდა ლიტერატურის განვითარების საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან კავშირში განხილვისა. აქ, ამ კავშირის არაერთი უაღრესად საყურადღებო მომენტის აღნიშვნას ვხვდებით. მაგრამ ახსნა, თანმიმდევრული ანალიზი თვით ამ კავშირისა, უსუსურია, კვლავ ისტორიის იდეალისტურ გაგებას ემყარება. მადამ დე სტალი ვერ ახერხებს მის მიერ სწორად დასმული პრობლემის გაშუქებას. და ეს სავსებით გასაგებიცაა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ცნობილი ისტორიკოსის გიზოს ლიტერატურული ნარკვევები (კერძოდ, „ეტიუდები შექსპირზე“ და „ლუდოვიკო XIV ეპოქის ფრანგი პოეტების ბიოგრაფიები“). როგორც ცნობილია, აქ გაცილებით უფრო ღრმად და თანმიმდევრულად არის მოცემული დებულება, რომლის თანახმად, ყოველი ერის ლიტერატურის ისტორია არის ნაყოფი ამ ერის სოციალური ისტორიისა. გიზო ყოველმხრივ ცდილობს აჩვენოს (ცხადია, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იმდროინდელი ისტორიზმი აძლევს მას), რომ შექსპირი კანონიერი შვილია თავისი ეპოქის ინგლისის საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ზნე-ჩვეულებებისა.

ადამიანთა სულიერი ცხოვრების განვითარების, კერძოდ, ხელოვნების ისტორიის საზოგადოებრივი ცხოვრებასთან ორგანულად დაკავშირება მკვეთრი სახით ვლინდება მომდევნო დროის იდეალისტურ ხელოვნებისმცოდნეობასა და ლიტერატურისმცოდნეობაში, ძირითადად საფრანგეთში. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სენტ-ბევი, ხოლო განსაკუთრებით ი. ტენი, რომელიც ხელოვნების ისტორიის საფუძველს გარემო პირობებში, კერძოდ, კლიმატის, რასისა და სოციალური წრის მთლიანობაში ხედავდა. მათ შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უკანასკნელ ფაქტორს. მისი განსაზღვრით, რომელიმე მხატვრული ნაწარმოების ან ხელოვანის გაგებისათვის „საჭიროა ზედმიწევნით სისწორით წარმოვიდგინოთ ეპოქის აზროვნებისა და ზნე-ჩვეულებების საერთო მდგომარეობა. იქ ძევს საბოლოო ახსნა, საბოლოო მიზეზი, რომელიც განსაზღვრავს ყველა დანარჩენს“. და თუ ჩვენ იკვალდაკვალ განვიხილავთ ხელოვნების ისტორიის მთავარ ეპოქებს, დავინახავთ, რომ ხელოვნება აღმოცენდება და გაქრება აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების იმ განსაზღვრულ მდგომარეობასთან ერთად, რომელთანაც დაკავშირებულია იგი“. „ადამიანის სულის შემოქმედება, ისე, როგორც ცოცხალი ბუნების შემოქმედება, მხოლოდ მისი გარემომცველი წრით ისაზღვრება“.[3] ი. ტენი ამ დასკვნების ცხადმყოფ არაერთ ბრწყინვალე მაგალითს იძლევა კონკრეტული მხატვრული მოვლენების ანალიზისას. საერთოდ, ი. ტენმა გარკვეულ ასპექტში „სრულად და ბრწყინვალედ“ გამოხატა მხატვრული მოვლენების განვითარების გარემოს განპირობებულობა. მაგრამ ყველაფერი ეს გარკვეულ საზღვრებს მოიცავს, ნამდვილი ვითარების მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ვერც გიზო და სენტ-ბევი, ვერც ი. ტენი და, საერთოდ, ყველა ვინც ანალოგიური სახით გამოხატა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიით ხელოვნების ისტორიის განპირობებულობის თვალსაზრისი, ვერ ასცდა მეთვრამეტე საუკუნის იდეალისტურ ისტორიულ შეხედულებათა ამა თუ იმ სახით გამეორებას. კერძოდ, გიზო ობიექტურ საზოგადოებრივ ვითარებას, რომელიც ხელოვნების ისტორიის საფუძვლად მიაჩნდა, „ადამიანის გონების ბუნებრივი განვითარების“ შედეგად აღიარებდა. ასეთივე თვალსაზრისს იცავდა ი. ტენიც. ამას თან ერთვოდა გეოგრაფიული და ეროვნული ფაქტორების ცალმხრივი გაგება. როგორც ვხედავთ, აქ აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: „როდესაც ტენი ამბობდა, რომ ადამიანთა ფსიქიკა იცვლება მათი მდგომარეობის შეცვლის გამო, იგი იყო მატერიალისტი, ხოლო როდესაც იგივე ტენი ამბობდა, რომ ადამიანთა მდგომარეობა ისაზღვრება მათი ფსიქიკით, იგი იმეორებდა მეთვრამეტე საუკუნის იდეალისტურ შეხედულებას“.[4]

სხვა სურათი გვაქვს მოცემული გასული საუკუნის რუს რევოლუციონერ-დემოკრატების — ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის — ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევში. როგორც ცნობილია, მათ დიდი რო-

---

3. ი. ტენი, ლექციები ხელოვნებაზე, 1919, წიგნი I, გვ. 10 (რუს. ენაზე).

4. გ. პლეხანოვი, ხელოვნება და ლიტერატურა, გვ. 74 (რუს. ენაზე).

ლი შეასრულეს რუსული მატერიალისტური ესთეტიკისა და კლასიკური მხატვრული კრიტიკის დამკვიდრებასა და განვითარებაში.

განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოიხატა მათ ნააზრევში ხელოვნების ისტორიის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიასთან ორგანული კავშირის პრინციპიც. ამ კავშირის არაერთი საკითხი ნამდვილ მატერიალისტურ გაშუქებას პოულობს აქ. და მაინც, როგორც საერთოდ, ისტორიული მატერიალიზმის, ისე ბუნებრივია, საკუთრივ მხატვრული მოვლენების განვითარების მატერიალისტური თვალსაზრისით თანმიმდევრული ანალიზის დონეზე ვერ ამაღლდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები. მაშასადამე, მათ ხელოვნების არსის მატერიალისტურ გაგებას ვერ დაუკავშირეს ხელოვნების ისტორიის ასეთივე გაშუქება. თუმცა მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებთან შედარებით მაინც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ ამ პრობლემის სფეროშიც.

ხელოვნების განვითარების კანონზომიერების გარკვეული საკითხების ღრმა, მატერიალისტური გაშუქებაა მოცემული ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევშიც. და, რაც საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, ეს ჭეშმარიტად შესანიშნავი და უაღრესად პროგრესული მოაზროვნე 80-იან წლებში ისე ახლო მივიდა ისტორიულ მატერიალიზმთან, რომ, როგორც ეს სავსებით სწორად აქვს აღნიშნული ივანე ჯავახიშვილს, ეკონომიური ფაქტორის მნიშვნელობა სავსებით გარკვევით განმარტა საზოგადოებრივი ისტორიის განვითარებაში.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების უმრავლესობა და ჩვენი ილიაც ისტორიის მატერიალისტური გაგების ფორმირებისა და დამკვიდრების ეპოქაში მოღვაწეობდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, იმდროინდელი რუსეთისა და საქართველოს ცხოვრება არ ხასიათდებოდა ისეთი მონაცემებით, რომ ისინი ამაღლებულიყვნენ ამ ახალი კონცეფციის დონემდე.

აქამდე აღნიშნული იმის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს, რომ დებულება — ლიტერატურის, საერთოდ, ხელოვნების განვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული პროცესი განსაზღვრავსო, — თავისთავად აღებული, არ შეიძლება მივიჩნიოთ მატერიალისტურ პრინციპად. ეს იმიტომ, რომ, როგორც ვნახეთ, ამ დებულებას მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების იდეალისტური კონცეფციის გამომხატველნიც აღიარებენ. ამ შემთხვევაში, როგორც ეს სწორად აღნიშნა გ. პლეხანოვმა, მთავარია, თუ როგორ კონკრეტულ სახეს მიიღებს ეს დებულება, კერძოდ, რა იქნება მიჩნეული თვით საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული პროცესის საფუძვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

მატერიალისტური ესთეტიკა თანმიმდევრული და ჭეშმარიტი მეცნიერული მოძღვრება გახდა მას შემდეგ, რაც იგი ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისს დაეფუძნა, ე. ი. ხელოვნების როგორც სპეციფიკური არსის, ისე ისტორიის ობიექტურ კანონზომიერებათა აღმოჩენით გამდიდრდა. ეს უდიდესი გადატრიალება მთელი ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების ფორმირების კვალდაკვალ მოხდა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა თავიანთ შრომებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში (ძირითადად ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში) მოგვცეს ამ ახალი ესთეტიკური სისტემის არა მარტო ზოგადი (ფილოსოფიურ-სოციოლოგიური) საფუძვლები და უშუალო ფუძემდებელი დებულებები, არამედ მთელ რიგ პრობლემათა კონკრეტული ანალიზიც. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის ხელოვნების ისტორიის კანონზომიერების არაერთი პრობლემის შესახებ.

თავდაპირველად აუცილებელია გავეცნოთ რამდენიმე ძირითად პრინციპს იმ აღმოჩენისა, რომლის მოკლე ფორმულირება ჩამოყალიბებულია წინასიტყვაობაში კ. მარქსის ნაშრომისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

საწარმოო ძალების მდგომარეობა განაპირობებს საწარმოო ურთიერთობას, რაც გვევლინება, როგორც საზოგადოების მატერიალური საფუძველი და განსაზღვრავს ადამიანთა ყველა დანარჩენ ურთიერთობას, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მთელ პროცესს. მაშასადამე, „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი“ განაპირობებს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, გონებრივ და სოციალურ პროცესს, ე. ი. ადამიანთა საზოგადოების ისტორიას. „ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, ყველა რელიგიური და სამართლობრივი ურთიერთობა, ყველა თეორიული შეხედულება“, მაშასადამე, ყველა მხატვრული ეპოქა და მიმდინარეობაც, „რაც კი ისტორიის მსვლელობაში წარმოიშობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, როცა გაგებული იქნება ყოველი სათანადო ეპოქის ცხოვრების მატერიალური პირობები“.[5]

ისტორიის მატერიალური გაგების ეს უძირითადესი პრინციპი ასეა დახასიათებული კ. მარქსის აქ მოხსენებულ წინასიტყვაობაში: „თავი-

5. კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 302.

ანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარებას შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი ამართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება".

„ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას".

„ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად, მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში".

მაშასადამე, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, სახელმწიფოს ფორმები, სამართობლივი დამოკიდებულებანი, მორალი, სოციალური ფსიქიკა და ინტერესები, იდეები, კულტურა, საერთოდ, მთელი გონებრივ-სულიერი ცხოვრება, მათ შორის, ცხადია, ხელოვნებაც (მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველა ზედნაშენზე მაღლა „ცურავს ჰაერში"), ღრმად ფესვგადგმულია „ცხოვრების მატერიალურ პირობებში".6 ამ საფუძვლის განვითარებას ემყარება მათი ისტორიული პროცესი, განვითარების ბედი, ხოლო ამიტომ სწორედ ამ პირველსაფუძვლიანად, ცვლილებათა გარდაუვალ საბოლოო საწყისიდან უნდა გამოვდიოდეთ მათი პროცესის გაშუქებისას.

ეს თვალსაზრისი საკუთრივ ხელოვნების ისტორიის ცალკეულ ეპოქათა და აგრეთვე ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედების შესახებაც არაერთხელ აქვთ განვითარებული კ. მარქსსა და ფ. ენგელსს. თავდაპირველად გავიხსენოთ შემდეგი სტრიქონები „გერმანული იდეოლოგიიდან": „სანჩოს წარმოუდგენია, თითქოს რაფაელმა თავისი სურათები შექმნა დამოუკიდებლად თავის ეპოქის რომში არსებულ შრომის განაწილებისაგან. მას რომ შეედარებია რაფაელი ლეონარდო და ვინჩთან და ტიციანთან, მაშინ ის დაინახავდა, თუ რამდენად არის დამოკიდებული პირველი მათგანის მხატვრული ნაწარმოებები მაშინდელი რომის, ფლორენციის გავლენის ქვეშ წარმოშობილ აყვავებაზე, ლეონარდოს ნაწარმოებები — ფლორენციის პირობებზე, ხოლო ტიციანის — ვენეციის სრულიად სხვაგვარ განვითარებაზე". ამგვარივე ობიექტურ საფუძველს უძებნის რენესანსის ხელოვნებას ფ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში". მისი განსაზღვრით, ეს ეპოქა, როდესაც „ხელოვნებამ გაუგონარ აყვავებას მიაღწია", იყო ადამიანთა გონივრული და სულიერი გადატრიალების უბრწყინვალესი ეპოქა, რომლის საფუძველს შეადგენდა იტალიის ცხოვრებაში მომხდარი გადატრიალება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ „იტალია იყო პირველი კაპიტალისტური ერი", მაშასადამე, პირველი მოჯანყე შუა საუკუნეების წინააღმდეგ და დამწყები კაპიტალისტური ეპოქისა. ამ ეპოქის ადამიანები, ფ. ენგელსისავე დახასიათებით, ჯერ კიდევ არ იყვნენ შრომის განაწილების მონები (ცხადია, აქ იგულისხმება შრომის განაწილების ახალი წესი, ხოლო ძველი უკვე ძალადაკარგული იყო). და, რაც აგრეთვე საგანგებო ყურადღებას იქცევს, ისინი, თითქმის ყველა, ცხოვრობდნენ თავიანთი დროის ყველაზე სასიცოცხლო ინტერესებით, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სოციალური ფერების პრაქტიკულ ბრძოლაში ზოგნი სიტყვით, ზოგნი კალმით ან ფუნჯით, ზოგნი ხმლით, ზოგნი კი ერთითაც და მეორითაც. ამ ისტორიულმა გზაჯვარედინმა გახსნა გზა ხელოვნების რენესანსისათვის.

ეს თვალსაზრისია განვითარებული ბერძნული ხელოვნების მიმართაც „ანტი-დიურინგში". ფრ. ენგელსის დასკვნით, მხოლოდ მონობამ შექმნა ბერძნული ხელოვნების აყვავების საფუძველი. მონობის დამახასიათებელი ეკონომიკურ-სოციალური ურთიერთობა, კერძოდ შ რ ო მ ი ს  გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა — ა ი ძირითადი ნიადაგი, რომელმაც საბერძნეთის კონკრეტულ ისტორიულ პირობებში წარმოშვა საბერძნეთის სახელმწიფო, ბერძნული ხელოვნება და კულტურა. „მხოლოდ მონობამ შექმნა შესაძლებელი შრომის განაწილება უფრო ფართოდ მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის", ხოლო ამ ფაქტორის საფუძველზე აყვავდა ძველი ბერძნული კულტურისა.

სხვა მაგალითს აღარ მოვიტანთ. უკვე აღნიშნულიც სავსებით ცხადყოფს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თვალსაზრისს. ოღონდ იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, რომ ამ თვალსაზრისიდან სრულიად არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს, ხელოვნება უშუალოდ ემყარებოდეს მატერიალურ ბაზისს, ან მის პირდაპირ გამეორებას წარმოადგენდეს. პირიქით, თვით კ. მარქსსა და ფ. ენგელსს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ხელოვნება ეკონომიკური ბაზისიდან ყველაზე დაშორებულ, ყველაზე მაღლა მოცურავე („ჰაერში მოცურავე") ზედნაშენია. სოციალური ურთიერთობა, ადამიანთა სოციალური განწყობილებები, ფსიქოლოგია, ინტერესები, ეროვნული თავისებურებანი, ცალკეულ შემთხვევაში კი სხვა იდეოლოგიური ზედნაშენებიც — ასეთია ის გარდამავალი სამყარო, რომელიც მატერიალურ ბაზისსა და ხელოვნებას შორის თავსდება. მხოლოდ ამ რთულ მიმართულებაში უკავშირდება და წარმართავს

6. იქვე, გვ. 10.

საზოგადოების მატერიალური საფუძველი ხელოვნების განვითარების პროცესს.

ამავე დროს, როგორც მთელი ისტორიის, ისე, კერძოდ, ხელოვნების განვითარების ობიექტური საფუძვლის მარქსისტული გაგება მაშინვე დაკარგავს მნიშვნელობასა და თავისთავის წინააღმდეგობად იქცევა, თუ მას გამოვიყენებთ როგორც დოგმას და მივიჩნევთ ყოველთვის ერთნაირად მოქმედ უნივერსალურ სტანდარტულ სქემად. ასეთივე შეუსაბამობასთან გვექნება საქმე იმ შემთხვევაშიც, თუ დავასკვნით, თითქოს, მხოლოდ ეკონომიკური საფუძველი წარმოადგენდეს აქტიურ ისტორიულ ფაქტორს, ხოლო იდეოლოგიური ზედნაშენები ამ ფაქტორის პასიურ შედეგს. აქ აუცილებელია გავიხსენოთ ფ. ენგელსის შემდეგი განმარტება: „თუ ვინმე ახლა ამას ისე შეატრიალებს, თითქოს ეკონომიკური მომენტი იყოს ერთადერთი განმსაზღვრელი, მაშინ იგი ამ დებულებას გადააქცევს გაწყენებულ, არაფრის მთქმელ და უაზრო ფრაზად". პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვა განვითარება ეყრდნობა ეკონომიკურ საფუძველს. მაგრამ ყველა ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და აგრეთვე ეკონომიკურ საფუძველზე. ისე კი არ არის, რომ ეკონომიკური მდგომარეობა არის მიზეზი, ერთადერთი აქტიური, ხოლო ყოველივე სხვა მხოლოდ პასიური შედეგი, არამედ ეს არის ურთიერთმოქმედება იმ ეკონომიკური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც საბოლოო ინსტანციაში მუდამ ხორციელდება. ამ ურთიერთზემოქმედების პროცესში იბადება ურიცხვი „ჯაჭვი ძალთა პარალელოგრამებისა, რომლებიც იძლევიან მოვლენის ტოლქმედს". მასში ერთგვარ, თუმცა არაგადამწყვეტ როლს ასრულებს ის ტრადიციებიც კი, ადამიანთა თავებში რომ ბინადრობენ. „ყველა სხვა ობიექტური ფაქტორი, მათ შორის, ცხადია, ეროვნულიც, მხოლოდ ამ გზით უკავშირდება ხელოვნების განვითარების პროცესს".

აქვე აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგიც: 1. აღნიშნული ურთიერთმიმართებანი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თავისებური სახით ვლინდება. ამასთან, სპეციფიკურია ყოველი ზედნაშენის დამოკიდებულებაც ბაზისთან. 2. იდეოლოგიურ ზედნაშენთა ურთიერთმიმართებაც ცვალებადია, სხვადასხვა სახით ვლინდება. მაშასადამე, საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე თავისებურია იდეოლოგიურ ზედნაშენთა ზემოქმედება ხელოვნების განვითარებაზე. 3. ზედნაშენი ყოველთვის ერთი და იგივე გარდამავალი ფაქტორებით არ არის დაკავშირებული ბაზისთან. 4. მხატვრული მოვლენების ისტორიული პროცესისათვის მნიშვნელობა აქვს მატერიალური ბაზისის, სოციალური ურთიერთობისა და ფსიქიკის, ინტერესების, იდეალების, იდეების განვითარების დონეს, ან თვით ეპოქის ეკონომიკურ სიძლიერეს არა თავისთავად აღებულს, არამედ მათი კონკრეტული არსის, კონკრეტული ნიშნების, ისტორიულ-სოციალური რაობის კვინტესენციის შესაბამისად. ეს, ბუნებრივია, ამა თუ იმ სახით, ყველა იდეოლოგიურ ზედნაშენს შეეხება, ოღონდ, ხელოვნებაში განსაკუთრებით მკვეთრად იხატება იგი. არსებითად სწორედ ამ კანონის შუქზე შეიძლება აიხსნას მხატვრული შემოქმედების უმაღლესი აღორძინება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი მატერიალური ბაზისის განვითარების დაბალ დონეზე. ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას იქცევს ხელოვნების პროგრესის თავისებური დამოკიდებულებაც საზოგადოების პროგრესთან.

მარქსისტული ესთეტიკის სწორედ ეს პრინციპები ხდის გასაგებს იმ გარემოებას, რომ ხელოვნება მკვეთრად განსხვავდება ზედნაშენის ყველა სხვა სახეობისაგან როგორც თავისი არსის, ისე განვითარების პროცესის მხრივ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების ისტორიის ობიექტური კანონზომიერების თავისებურება მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა მთლიანობიდან გამომდინარეობს, გარკვეული აზრით ამ მთლიანობის არსებითი მნიშვნელობის გამოხატულებად გვევლინება. ცნობილია, რომ ყოველი სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენა განვითარების შესაბამისი სპეციფიკური კანონზომიერებით ხასიათდება. ეს კანონი, რა თქმა უნდა, ხელოვნებაზეც ვრცელდება.

აღნიშნულის საფუძველზე ორი უმთავრესი მომენტი შეიძლება განვასხვავოთ ურთიერთისაგან ხელოვნების ისტორიული პროცესის ობიექტურ სპეციფიკურ კანონზომიერებაში.

პირველი ძირითადად შემდეგი ოთხი ნიშნის მთლიანობას მოიცავს:

1. ხელოვნების ისტორიული პროცესი თავისებურ დამოკიდებულებაში იმყოფება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საკუთრივ მატერიალურ საფუძვლიან, ისე „საერთო სოციალურ განვითარებასთან". ამ კანონს მრავალი მხარე აქვს: აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ-ერთს, სახელდობრ, დისპროპორციულობას, რომელიც კ. მარქსმა ასე დაახასიათა დაუმთავრებელ „შესავალში" შრომისა — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის": „ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების გარკვეული პერიოდები სულაც არ შეესაბამება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, არც ამ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარებას, საფუძვლისა, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ხერხემალს შეადგენს. მაგალითად, ბერძ-

ნები შედარებით თანამედროვე ხალხებთან, ანდა აგრეთვე შექსპირი".[7] კ. მარქსი იქვე აღნიშნავს კლასიკური (ბერძნული) ეპოსის ისტორიულ ბედს, რასაც დასძენს: „მაშასადამე, თვით ხელოვნების სფეროში გარკვეული ფორმები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია ხელოვნების განვითარების მხოლოდ დაბალ საფეხურზე. თუ ამას ადგილი აქვს ხელოვნების სფეროს შიგნით, ამ ხელოვნების სხვადასხვა სახეობათა შორის არსებულ დამოკიდებულებაში, მაშინ მით უფრო ნაკლებ გასაკვირია, რომ ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი *ხელოვნების მთელი სფეროს დამოკიდებულებაში საზოგადოების საერთო სოციალურ განვითარებასთან*" (ხაზგასმა ყველგან ჩემია მ. დ.).[8]

2. იმავე „შესავალში" კ. მარქსი საგანგებოდ მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ბერძნული კლასიკური მხატვრული კულტურა არა მარტო „ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებს", არამედ „გარკვეული აზრით, ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობასაც ინარჩუნებს".[9] როგორც ვხედავთ, აქ ჭეშმარიტი ხელოვნების მარადიულობის პრინციპი გვაქვს მოცემული. რასაკვირველია, ხელოვნების წარსული თავისებურად აღიქმება ყოველი მომდევნო ეპოქის ან სხვა ეროვნების ადამიანთა მიერ. მაგრამ ეს შედარებითი სხვადასხვაობა ნაწილობრივადაც არ გამორიცხავს (არ უპირისპირდება) ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილების მხატვრული მნიშვნელობის საყოველთაო ხასიათსა და უკვდავებას, რაც თავის მხრივ მით უფრო სრული სახით ვლინდება, რაც უფრო მეტად წარმოსახავს ეს ქმნილება ეპოქის პროგრესულ იდეებსა და ესთეტიკურ იდეალებს, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს მთლიანობას. და რაც უფრო სრულქმნილია თვით ეს წარმოსახვა საკუთრივ მხატვრული თვალსაზრისით.

ამ პრინციპის ლოგიკური განვითარება კი იმასაც ცხადს ხდის, რომ, თუ ფილოსოფიის, მეცნიერების, ტექნიკისა და პოლიტიკური აზროვნების სფეროში ყოველი ახალი მიღწევა — უფრო სრულყოფილი ჭეშმარიტების აღმოჩენა ან უფრო სრულქმნილი ტექნიკის შექმნა — უარყოფაა იმისა, რაც იყო (რის გამოც ეს უკანასკნელი ჰკარგავს თავის მოქმედ მნიშვნელობას და ისტორიის საკუთრება ხდება), ხელოვნებაში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. აქ ახალი მხატვრული ნაწარმოები ან ეპოქის უკვე შექმნილსა და დამკვიდრებულს კი არ „ხსნის", არამედ მის გვერდით თანაარსებობს, და, არსებითად, იგი მაშინაც ვერართმევს „ძველს" თავის ადგილს, როდესაც გენიალურ ქმნილებად, ანდა, ხელოვნების აყვავების ახალ ეპოქად გვევლინება.

ცნობილია, რომ მეცნიერებაში შეიძლება არსებობდეს ერთი ჭეშმარიტება, ხოლო ტექნიკაში ერთი უფრო სრულყოფილი გამოგონება. ხელოვნება კი ასეთ რეგლამენტირებას არ იცნობს. აქ არა მარტო საერთოდ, არამედ ერთსა და იმავე თემაზე და ერთი და იგივე მხატვრული მეთოდის საფუძველზეც კი განუსაზღვრელი რაოდენობის დიდმნიშვნელოვანი თვითმყოფადი ნაწარმოებები შეიძლება შეიქმნას.

3. ხელოვნების განვითარების პროცესში გარკვეულ როლს ასრულებს თვით ხელოვნების ისტორია. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მხატვრული ტრადიციები. მათი როლი განსაკუთრებით აქტიურია მაშინ, როდესაც ისინი პროგრესულია და, ბუნებრივია, თვით მხატვრული კულტურის მიმდინარე პროცესიც ამავე ბუნებისაა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდ მხატვრულ ეპოქათა (ხელოვნების აყვავების ეპოქათა) განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამ დებულების საილუსტრაციოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნულ და რომაულ კულტურათა გარეშე არ იქნებოდა თანამედროვე ევროპაც. ასევე, რომ არ ყოფილიყო რუსთაველი, სხვაგვარი იქნებოდა მთელი ქართული პოეზიის განვითარების ისტორიული პროცესის ხასიათი. ანდა, რომ არ ყოფილიყო ნ. ბარათაშვილი — განსხვავებული იქნებოდა ახალი და თანამედროვე ქართული პოეზია. ცხადია, ანალოგიური ფაქტების დასახელება დაუსრულებლივ შეიძლება.

ბუნებრივია, ის, თუ რა სახით და სიძლიერით მოახდენს გავლენას ხელოვნების მიმდინარე ისტორიულ პროცესზე აქ აღნიშნული ტრადიციები, საერთოდ ხელოვნების წარსული, ეს ყოველთვის თვით ამ პროცესის არსის, კერძოდ, ესთეტიკურ-იდეური საფუძვლების ხასიათზე, ეპოქის საზოგადოებრივ და ესთეტიკურ იდეალებზე, აგრეთვე ფილოსოფიურ, ეთიკურ და სხვა შეხედულებებზეა დამოკიდებული.

აქვე გამოყოფით უნდა შევეხოთ მხატვრული ოსტატობის, როგორც მხატვრული გამოსახვის საკუთრივ სპეციფიკურ-ტექნიკური სფეროს, ისტორიულ მნიშვნელობას. იგი იმდენად არსებით ისტორიულ ფაქტორს წარმოადგენს. რომ „გერმანულ იდეოლოგიაში", ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის არის საგანგებოდ მოხსენებული. აქ განვითარებული თვალსაზრისით, რაფა-

7. ცხადია, იგივე ითქმის რუსთაველის, იტალიური რენესანსისა და არაერთი სხვა ხელოვანის თუ კლასიკური მხატვრული ეპოქის შესახებაც.

8. კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 295-296.

9. იქვე, გვ. 296.

ელი, ისე როგორც ყოველი სხვა მხატვარიც, განპირობებული იყო ხელოვნებაში უკვე მოპოვებული ტექნიკური მიღწევებით, მის სამშობლოში არსებული საზოგადოების ორგანიზაციითა და შრომის განაწილებით; დასასრულ, ყველა იმ ქვეყანაში არსებულ შრომის განაწილებითაც, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა მის სამშობლოს ცხადია, ხელოვნების განვითარების აღნიშნულ „ტექნიკური" საფუძველი, რომელიც, როგორც ცნობილია, ხელოვნების ყოველ დარგში თავისებური სახით ვლინდება, ორგანულად დაკავშირებულია თვით ხელოვანის შემოქმედებით ტალანტთან, კულტურასთან და თანმიმდევრული განვითარებით ხასიათდება, თანდათან მდიდრდება და უფრო სრულყოფილი ხდება.

დასასრულ, საკითხთა ამ ციკლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეროვნულ მხატვრულ კულტურათა ურთიერთზემოქმედება.

როგორც ცნობილია, იგი ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია, რომლის მნიშვნელობა და ასპარეზი კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ იზრდება. ოღონდ, ერთი ეროვნული კულტურის მეორე ხალხის კულტურაზე გავლენა დადებითი მოვლენაა მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოქმედებას ახდენს მაღალი მხატვრული ოსტატობა, პროგრესული მხატვრული მეთოდი და იდეები, ხოლო თვით გავლენა ვლინდება მოცემული ხალხის ეროვნულ-საზოგადოებრივ თავისებურების შესაბამისად, ე. ი. ეროვნული გათავისების გზით.

ეპიგონიზმი, როგორი სახითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, ხელოვნების დაცემის მაჩვენებელია. ხელოვნების აღორძინება, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ფესვებით საზრდოობს, ამიტომ გავლენა არ შეიძლება იყოს რომელიმე ერის ხელოვნების აყვავების საფუძველი, ხოლო თვით მისი არსებობა ყოველთვის გარკვეულ ობიექტურ ნიადაგს ემყარება. გ. პლეხანოვმა თავის ნაშრომში „მონისტური შეხედულება ისტორიაზე", სამართლიანად მიუთითა ამ უკანასკნელ მომენტზე. „ერთი ქვეყნის ლიტერატურის გავლენა, — წერდა იგი დასახელებულ ნაშრომში, — სხვა ქვეყნის ლიტერატურაზე ამ ქვეყნების საზოგადოების ურთიერთობათა მსგავსების პირდაპირ პროპორციულია. ამ გავლენას სრულად არ აქვს ადგილი, როცა მსგავსება მათ შორის ნულს უდრის".10

4. სუბიექტური ფაქტორის როლი, როგორც ეს ზემოთაც ითქვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და მრავალმხრივია ხელოვნების ისტორიაში, ვიდრე ფილოსოფიურ-მეცნიერული და პოლიტიკური აზროვნების ან თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ქვემოთ განხილული იქნება როგორც ეს განსაკუთრებულობა, ასე, საერთოდ, ის სპეციფიკური საზღვრები და ძირითადი ნიშნებიც, რომლებითაც ხელოვანის „მეს" როლი ხასიათდება ხელოვნების ისტორიულ პროცესში.

ხელოვნების ისტორიის ობიექტური კანონზომიერების თავისებურების მეორე მხარე გვევლინება როგორც სპეციფიკურ კომპონენტთა გარკვეული სისტემა. ეს კომპონენტებია: მხატვრული მეთოდი, მიმდინარეობა, შემოქმედებითი ინდივიდუალობა და სტილი.

---

10. გ. პლეხანოვი, მონისტური შეხედულება ისტორიაზე, 1930, გვ. 178.

□ დასასრული შემდეგ ნომერში □

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

# მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ გროტესკული და ალეგორიული რომანია. მისი აზრობრივი შინაარსის სრულად ამოცნობისათვის აუცილებელია სამივე პროტაგონისტის — თეიმურაზ ხევისთავის, ჯაყო ჯივაშვილისა და მარგო ყაფლანიშვილის — დაწვრილებით გაანალიზება.

როცა „ჯაყოს ხიზნებს“ კითხულობთ, შეუძლებელია თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: რევოლუციას, როგორც თავისუფლებას, ერთნაირი აღტაცებით შეხვდნენ ნაბატონარიცა და ნამოჯამაგირალიც.

„თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა, სამოთხის კარები გაეღო. დღედაღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკიოდა:

— თავისუფლებას გ...გგაუმარჯოს .. ვაშა .. რევოლუციას გაუმარჯოს... ძ...ძირს მეფე და ძალადობა!“

ჯაყოც გულზე ხელს იბაგუნებდა და ჰყვიროდა:

„— ეს ღმერთი და წმინდა ჯივარგი შეგეწიოს რევალციასა, რომელიცა რომა საწყალ ხალხს მისცემდე მიწა, სახლი და კეთილი ცხოვრება. ღმერთი, წმინდა ჯივარგი და არბოს ხატი გწყალობდე ჩუენსა მთავრობასა, რომელიცა რომა ყარაულია რევალციისა და ჩვენისთანა საწყალი ხალხისა“.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თეიმურაზ ხევისთავისათვის თავისუფლება მოუხმარელი უფლებაა, ხოლო ჯაყო ჯივაშვილისათვის — ძალადობის ნებართვა.

მართალია, თეიმურაზი ბევრს ლაპარაკობდა თავისუფლებაზე, მაგრამ მისთვის გაურკვეველი და უცნობი იყო, თავად ვისგან ან რისგან უნდა ეხსნა თავი.

თავისუფლება თავისთავისთვის თეიმურაზ ხევისთავს არ სჭირდება. იგი ძირძველი არისტოკრატიის შვილი იყო, პრივილეგირებული კლასის პირმშო და სხვათა მჩაგვრელი. თეიმურაზის „წინაპარნი რკინას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ჰხოცავდნენ და უინულზე იძინებდნენ... სულითაც და ხორცითაც ფოლადისგან იყვნენ ჩამოსხმული“... მამულიც ვრცელი ჰქონდათ და ყმა-მოსამსახურეც უთვალავი ჰყავდათ. ხევისთავები ცხოვრების სუფრას ყოველთვის თავში უსხდნენ და ყველაფერი უკეთესი იმათი წილხვდომილი იყო.

კლასობრივად თეიმურაზ ხევისთავს სრული თავისუფლება ჰქონდა მოპოვებული.

იქნება თეიმურაზს კლასობრივი თავისუფლება არ აკმაყოფილებდა და სულის თავისუფლების სახელით მასზე უარს ამბობდა? თავისუფლების უზენაეს ფორმას ელტვოდა? აკი ერთხელ დიდსულოვნად განუცხადა მოურავს: „— ტყეც და სსს...სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნის, თავი და...დდაანებე, ლალას ნულარ გამოართმევ. ხალხი არ შეაწუხო“...

მაგრამ ეს საჩუქარი ხალხმა არ მიიღო. ხოლო მოურავი მიხვდა, მამული უპატრონოდ რჩებოდა და თეიმურაზთან სამსახურს თავი დაანება. რატომ? იმიტომ, რომ ეს განცხადება და საქციელი პრინციპული თვალსაზრისით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ ლაჩრული შიშით, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გაზეთში გამლანძღავენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, არც სულის თავისუფლებამდე ამაღლებულა თეიმურაზ ხევისთავი.

თავისუფლება სხვისთვის კი, თეიმურაზისათვის უცხო ხილი იყო. ამ პრინციპის განსახორციელებლად ფოლადის ნებისყოფა და ამოუწურველი ენერგიაა საჭირო. თეიმურაზ ხევისთავს არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდა. არა თუ სხვისი თავისუფლებისათვის ბრძოლა, არამედ ელემენტური სამსახური არ ძალუძს თეიმურაზს მოყვასისათვის.

„თეიმურაზის კარებს ვექილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე გზადაბნეული გაბრიყვდებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა. მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა. ხან არზას დროზე არ დასწერდა, ხან გასაჩივრების ვადას გადააცილებდა, ხან ნაკისრი საქმე სულ დაავიწყდებოდა, ხან კიდევ საქმის გარჩევას ვერ დაესწრებოდა, რადგან იმ დღეს ან გადაუდებელი საგაზეთო წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ სასამართლოში მიმავალი, ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაჰყვებოდა კამათსა და მუსაიფში, რომ საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიაც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა“.

არც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა შეუძლია თეიმურაზს. ან კი როგორ უნდა იბრძოლოს, როცა მას ქართველი ხალხის ნაციონალური ენერგია არ სწამს. მას შეუძლია ქართველი ხალხის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მის თვისებასა და ბუნებაზე გაუთავებლად ილაყბოს, იყბედოს და ბოლოს მხოლოდ ნიჰილისტური დასკვნა გამოიტანოს.

„ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია; ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული არ არსებობს...

. . .

საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ, ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრნია. ერთმანეთს ქირიანებივით გაურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქო სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მოღრეცილი, მეორე დასავლეთისაკენ იხედებოდა და, მესამე კი ან სამხრეთისაკენ ჰქონდა მიბრუნებული ან ჩრდილოეთისაკენ, ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა...

. . .

წამბაძველობის ნიჭი უდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ..ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას...

. . .

...შევედრებით ან დავეწევით ოდესმე ჩვე͘ ევროპელებს? ვერასოდეს. მაშ ტყუილი ყოფილა ჩ...ჩვენი ჭინთვა და პრანჭიობა. ჯერ ხეირიანი ფეხსალაგი ვერ აგვიშენებია, ჯერ მკბენარი ვერ მოგვიშორებია, ჯერ ათას ჭირისათვის და სახადისათვის თავი ვერ მოგვირიდებია, და ამავე დროს ისეთს დიდრონს ვ...ვვეჭიდებით, რომ ჩემი აზრი მას ვერც მისწვდომია და ვერც გაუზომია“.

ბუნებრივია, რომ ამგვარი სკეპტიციზმით გულგამოჭმულ კაცს არაფერისათვის არ ძალუძს ბრძოლა. თეიმურაზ ხევისთავი ცარიელი სიტყვაა, რომელიც საქმით არასოდეს დადასტურდება. იგი უენერგიობის, უმოქმედობის, უმიზნო ლაყბობის, ცრუ კვეხნის განსახიერებაა.

თეიმურაზ ხევისთავის უსაფუძვლო ამპარტავნება ებრძვის სიმართლეს. ეს დაცემის უკიდურეს საზღვარს მისული კაცი ურცხვად ტრაბახობს „— მე მომდუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერ...რრასოდეს ვერ დამიმორჩილებენ, ვერრრასოდეს!“ საკუთარი მდგომარეობის ამგვარი ვერშეცნობა გონებრივი სიბრმავის ნათელი გამოხატულებაა. ამ სიტყვებში თეიმურაზის კიდევ ერთი თვისება მოჩანს: იგი ყველაფერს ობიექტურ სინამდვილეს აბრალებს, რათა სუბიექტურად იმართლოს თავი.

მიხ. ჯავახიშვილი სრულიად მკაფიოდ გვეუბნება, რომ თეიმურაზ ხევისთავის მდგომარეობაში მხოლოდ ობიექტური მიზეზების გამო არასოდეს არ ვარდება ადამიანი. სიტუაცია, რომელშიც თეიმურაზ ხევისთავი ცხოვრობს, შედეგია უპირველესად მისი სუბიექტური თვისებებისა. ერთხელ თეიმურაზს გონება გაუნათდა და იყვირა — „გაგიგონია, რომ გონიერი ადამიანი თვითონვე ითხრიდეს სამარეს? არ გაგიგია, განა! მაშ ეხლა გაიგონე: მე ვარ მაგისთანა გიჟი, მე!“ მაგრამ ეს წამიერი გამონათება მაშინვე ჩაქრა და ჩაიფერფლა. ხევისთავი ისევ სიმხდალისა და პასიურობის სიბნელეში ჩაიძირა. ყოველი ადამიანი პასუხს აგებს იმ სინამდვილეზე, რომელშიც ცხოვრობს. ობიექტური საფუძვლის ძებნა სულიერი სილაჩრის გამართლებაა. ჯაყოს სიზნობაც თეიმურაზის შექმნილი სინამდვილეა. იგი ბრალს სხვას ვერ დას-

დებს. ამიტომაც ამხილებს დაუნდობლად თეიმურაზ ხევისთავს მწერალი.

თეიმურაზი სხვისი ფეხის ხმას აყოლილი კაცია. მან არ იცის არც ის, პირადად რა სჭირდება და არც ის, რასაც ხალხი ითხოვს. ამიტომ, როცა მოუხმარელი თავისუფლება მიიღო, იგი დაუნანებლად და უმტკივნეულოდ გადაულოცა ჯაყოს.

ჯაყო ჯივაშვილმა კი მარტივად გაიგო თავისუფლება. მან ერთი ძალადობა მეორე ძალადობით შეცვალა. რაც ადრე თეიმურაზს მოტყუებით, თვალთმაქცობით, მზაკვრობით, უნამუსობით და მალულად წაართვა, ახლა აშკარად და უნიღბოდ მიითვისა. ჯაყომ არ იკმარა სხვისი ქონების, მამულის, სიმდიდრის მიტაცება. მან სხვისი ადგილის, სახელის, ღირსების, პატივის დასაკუთრებაც მოისურვა. „— ჯაყოს მარტო ხევისთავის გვარი და შენისთანა კნეინა აკლია... ერთი კვირის შემდეგ მარგოს შეგირდი: რვეულში გოჯისოდენა ასოებით ჯღაბნიდა: „ჯაყო ხევისთავი".

ჯაყოს თავგადასავალში მიხ. ჯავახიშვილმა ჯ ა ყ ო ო ბ ი ს, როგორც გარკვეული მოვლენის, არსი ახსნა და მისი ყველა ნიშანი გვიჩვენა.

ჯაყოსა და ჯაყოობისათვის პრინციპი არ არსებობს. მისი ძალა და ღონე უპრინციპობაა. როცა საჭიროდ მიიჩნევს, საჯაროდ და საქვეყნოდ დაიწყებს ღრიალს „—გაგიმარჯოს ჟორდანიას მთავრობასა!.. გაგიმარჯოს! საწყალი ხალხი მიწა მოგცა ჟორდანიამა". მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვალა და გარემობამ მოითხოვა, დაუფიქრებლად და ურცხვად აკივლდება „— ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობაი, რომელმაცა საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაზის მთავრობაი, აღარა!"

რაკი არავითარი ღირსება არ გააჩნია, ჯაყოსა და ჯაყოობის დასაყრდენი და საფუძველი ძალადობაა.

„ჯაყოს დილით-დილამდე ზედ ეკიდა რუსული თოფი, მაუზერის დამბაჩა, თეიმურაზის მამაპაპეული ხმალ-ხანჯალი, ხამასი ვაზნით გატენილი ხამი ხავაზნე და ოთხი ხომარი ყუმბარა".

კბილებამდე შეიარაღებული აიარებით გარშემორტყმული დაჭრის ჯაყო და ყველას ემუქრება, თავზარს სცემს „— მაშ, მაშა! ყველაფერი ჩვენია, ჩვენი! დედას გიტირებდით, დედასა!..."

მაგრამ ძალადობის ტრფიალი იმას არ ნიშნავს, რომ ჯაყოობას მოქნილობა და გაიძვერობა აკლდეს. თუ მუქარა არ გასჭრის, მაშინ ჯაყოს აცრემლებაც, აკნავლებაც და გაკრავებაც შეუძლია. თან ჯაყოობა ყოველთვის ხალხის სახელით ლაპარაკობს, ვითომ ერზე ზრუნვით არის შეწუხებული.

„— ნიშანდარის ხალხმა გიბრძანა ჯაყოსა... ჩვენი სამართალი გინდა!.. ჩვენი ხალხი მაგოდენა ნალოგი არ გადაიხდი!.."

ამგვარი ლაყბობა ორპირობის, თვალთმაქცობის, ფარისევლობის ნიღაბია. ნამდვილად კი ჯაყო და ჯაყოობა დაუნდობელი ყვლეფა და ექსპლოატაციაა.

...თავის ნათესავებს — მამაკაცებს და დედაკაცებსაც ისე ამუშავებდა, რომ მუყაითი და გულკეთილი გლეხი იმრიგად თავის საქონელსაც არ გაიმეტებდა".

. . .

„ჯაყოს საქონელიც ბლომად ჰყავდა და დავაჟკაცებული ნათესავებიც, მაგრამ წისქვილისთვის თითქო განგებ არავის იმეტებდა: კიდეან საფქვავს თავის ცოლს აჰკიდებდა და დასჭყივლებდა:

— აბა, თახრამშუ!

ის ორფეხა პირუტყვიც წელში სამად მოიკაკვებოდა, და, თავჩაღუნული, სანამ წისქვილში ჩალასლასდებოდა, დაღლილი ცხენივით ორი საათი მაინც ჰხვნეშოდა და ოფლში იწურებოდა".

. . .

„— ჯაყოსთანა ბატონი ამ სოფელს არა ჰყოლია, ვერც ახლო-მახლო მოიძებნება. ერთი თვით ერთი კოდი ხორბალი ვთხოვე, ერთი ორად დამისხა. სხვებსაც ასე უშვება. აქაური ხალხი თანდათან ხელში ჩაიგდო, ყველა ჯაყოს მოვალეა".

არც ექსპლუატაციის თვალსაზრისით არის ჯაყოობა ერთფეროვანი და ცალმხრივი. ჯაყოობას კეთილდღეობის ილუზიის შექმნაც შეუძლია. ასეთი მოჩვენებითი კეთილდღეობით მოხიბლა ჯაყომ მარგო ყაფლანიშვილი. „...დღედალამ მარგოზე ლაპარაკობდა, მასზე ზრუნავდა და მისთვის უშოვნელს შოულობდა. აღარავის და აღარაფერს არ ერიდებოდა: თეიმურაზის ცოლი დედოფლად დაიხვა და ყველანი ყმებად დაუყენა". თუმცა ილუზია ხულ მალე გაიფანტა და მარგოც ჯაყოს მძიმე უღელმა წელში გატეხა.

ახლა შეგვიძლია დასკვნის ხაზით ვთქვათ, რომ ჯ ა ყ ო ო ბ ა ა რ ი ს ს ხ ვ ი ს ი ქ ო ნ ე ბ ი ს, ს ი მ დ ი დ რ ი ს, მ ა მ უ ლ ი ს ს ა ხ ლ-კ ა რ ი ს, ღ ი რ ს ე ბ ი ს, პ ა ტ ი ვ ი ს, ს ა ხ ე ლ ი ს მ ი ტ ა ც ე ბ ა-მ ი თ ვ ი ს ე ბ ა, ძ ა-ლ ა დ ო ბ ა, ქ ლ ე ს ა ო ბ ა, პ ი რ ფ ე რ ო ბ ა, უ რ ც ხ ვ ი უ პ ი ნ ც ი პ ო ბ ა, უ ს ა ზ ღ ვ რ ო ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ა, ს რ უ ლ ი უ მ ე ც-რ ე ბ ა დ ა უ კ ა ნ ო ნ ო ბ ა, მ ო ჩ ვ ე ნ ე-ბ ი თ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ა, რ ო მ ლ ი ს უ კ ა ნ ი მ ა ლ ე ბ ა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი გ ა-ს რ წ ნ ა დ ა დ ა ც ე მ ა.

ეს საშინელი მოვლენა ძირფესვიანად უნდა

ამოიძირკვოს, რამეთუ იგი განვითარებას, ევოლუციას, სახეცვლილებას არ ემორჩილება.

მარგო უაფლანიშვილმა სცადა ჯაყო ჯივაშვილის გარდაქმნა. ქალმა გაპარსა, დაბანა, ახალი ტანსაცმელი ჩააცვა, წერა-კითხვის სწავლა დააწყებინა, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. მართალია, ცოტა ხნით „ბანჯგვლიანი დათვი პირგაპარსულ მაიმუნს დაემსგავსა“, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. თეიმურაზმა მალე ნახა, რომ „მარგოს ღარიბებით გაპარსული მაიმუნი კვლავ ბანჯგვლიან დათვად გადაქცეულა: წვერი გაუზრდია, გაპოხილი ქურქი და ტლანქი ჩექმები ჩაუცვამს და თავზე ტყავის ბულულა დაუდვია“.

მიხ. ჯავახიშვილს უზომოდ სძაგს ჯაყოობა და მკითხველსაც ამ სიძულვილით მსჭვალავს. ამ მძულვარებას განგაშიც ახლავს, რამეთუ მოუხმარელი თავისუფლება და ძალადობის ნებართვა პიროვნებას ანგრევს და შლის, რომლის ტრაგიკული ბუნება განსაკუთრებით ნათლად ჩანს მარგო უაფლანიშვილის ბედში.

ახლა თვალი გავადევნოთ ამ პროტაგონისტის დაცემა-დამცირების პროცესს.

ჯაყომ თეიმურაზსა და მარგოს მასე დაუგო. ნაბატონარი ნამოჯამაგირევმა ნაშინდარში დატოვა, ვითომ არ შეგაწუხებო, და ვაგზალში მარგოს მარტო ჯაყო დაუხვდა. ჯივაშვილმა ურემი გააწყო, ნაქალბატონარი ზედ დასვა და სოფლის გზას დაადგა. ჯაყომ მარგო ლიახვის ჭალაში შეიტყუა და ღამით უპატრონო და უქომაგო ქალს ძალით ნამუსი ახადა. ძალადობის ამ ყაჩაღურმა აქტმა მარგო ალაშფოთა. ქალის მშვენიერი[1] სამყარო შეაძრწუნა.

„— მხეცო, რას შვრები?! პირუტყვო!.. ვირაგო!.. ავაზაკო!..

. . .

„მარგო კი, — ნაცემი, ნაბეგვი, დაძალებული და გაჭუჭყიანებული მარგარიტა ხევისთავი — ახდილ ნამუსს, შელახულ პატივსა და გახრესილ თავმოყვარეობას ცხელის ცრემლით ჰგლოვობდა, მოწამლულივით ჰზორგავდა, სიმწრისაგან იკლაკნებოდა და გულში იმუქრებოდა:

დაიცადოს ჯაყომ: ძვირად დაუსვამს ამ ნადირს თეიმურაზი საშინელ თავხედობას და სიმხეცეს!..“

როგორც ვხედავთ, ჯაყოს ძალადობის შედეგად მარგო ხორცით დაეცა, მაგრამ სულით სპეტაკი და სუფთა დარჩა. მას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ მის შეურაცხყოფილი ხორცის გამოც შურს იძიებს და მოძალადეს ძვირად დაუსვამს დამცირებას. მაგრამ, როცა მარგო თეიმურაზს შეხვდა, აღმოჩნდა, რომ ქალის მშვენიერი მხნეობა გაბზარული ყოფილა და მან ქმარს დაუმალა სიმართლე.

„გაწითლებული და დადუმებული მარგო გაყინზე იხედებოდა და ქმარს პირისახეს არიდებდა. სდუმდა მარგო და ამ სიჩუმით პირველად გრძნობდა ფლიდობის სიწვავეს და ღალატის სირცხვილს“.

მარგოს ჯერ არა აქვს გაცნობიერებული, უნებისყოფობის გამო, როგორ გახდა მტრის მოკავშირე და როგორ დაადგა სრული დაცემის გზას.

თუ პირველი ძალადობისას მარგოს აღშფოთების და შეურაცხყოფის შეცნობის უნარი მაინც ჰქონდა, მეორე შემთხვევისას მან უკვე უძლურება და მორჩილება გამოავლინა.

ღამით ჯაყო მარგოს ოთახში შეძვრა და ქალის საწოლს მიეპარა. იმის მაგივრად რომ ეყვირა და შველა ეთხოვა, „...მარგომ სიბნელეში მკლავები გაშალა და ფაშვნიერი ჯაყო ძალუმად ჩაიხუტა“. თუ ადრე ძალა იხმარეს, ახლა თავად დანებდა მარგო. მაგრამ ქალი ამ დანაშაულს არ დასჯერდა, მან თავისი საქციელის გამართლება დაიწყო.

„...ვინ იცის, იქნება ჯობდეს კიდევაც, რომ სამუდამოდ შერჩე ჯაყოს... ჯაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულს, ცეცხლს, კეთილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ჯან-ღონეს და... დღევანდელზე უკეთეს მომავალს... თეიმურაზი კი... მას აქვს წარსული, მიმავალთა შორის პატივი, საჭურისის ცოდნა... დაანებე თავი თეიმურაზს!..“

და მარგომ განსჯის სასწორი ჯაყოსაკენ გადახარა. ნახევრად ტიტველი იგი დილით ეზოში გამოვიდა და ამომავალ მზეს შესცინა, ქალმა შეამჩნია, როგორ უთვალთვალებდა ხარბი ჯაყო.

„მარგო შეჰკრთა. მკერდი პერანგით დამალა. ჯერ ჯაყოს მორცხვი სიხარულით გაუღიმა, მერე ჩაუკისკისა, მობრუნდა და ოთახში შევარდა“.

მარგო დამორჩილდა. ის პასიური წინააღმდეგობაც უარყო, რომელიც თავდაპირველად გაუჩნდა. მაგრამ დაცემის გზაზე მარგო უფრო შორს წავიდა. მან დაცემით და დამონებით ამაყობა დაიწყო.

ჯერ ჯაყოს მიმართ მადლიერების გრძნობა გაუჩნდა. როცა ჯაყომ მარგო მოფარდაგულ, მოხალიჩებულ, რბილ სავარძლებით, ხავერდის ავეჯით და მოოქროვილი სარკეებით გაწყობილ ოთახში გადაიყვანა, კმაყოფილებით თავგზააბნეული ქალი „სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გახარებული ბავშვივით ცქმუტავდა, კისკისებდა, ლაღობდა... გულაჩუყებული და მადლიერი მარგო ჯაყოს გაპოხილ კისერზე ჩამოეკიდა:

— ჯაყო, ჩემო კარგო!.. ჩემო ჯაყო!..“

მერე თავად დაიწყო მარგომ ლმობიერობით ჯაყოს ოთახში სირბილი, თეიმურაზს ხელი ჰკრა, მასხრად და აბუჩად აიგდო.

„— გეყოფა, გაათავე! ვნახე და გავიგე შენი

---

1 მშვენიერი—душевный.

წიგნების ძალაც და ნამდვილი ცხოვრებაც. ბუხარს შეუკეთე შენი წიგნებიცა და ნაწერებიც!“

. . .

„— რა ჭირად მინდა შენი ფუჭური სიტყვები და ჭიანჭამი ცოდნა? მჩატესა და უძვალო ქიაყელას ბუზიც კი იბრიყვებს. ჯაყომ არაფერი არ იცის, მაგრამ ყველაფერი შეუძლია. შენ ყველაფერი იცი, მაგრამ ხანაგვეზე გადასაგდები ჩვარი ხარ, რა კაცი ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს!“

ცოლმა საბოლოოდ ვასწირა ქმარიც და თავისთავიც. მარგო მთლიანად მიენდო ჯაყოს.

„პირისახეც მშვიდი, უმანკო და მაძღარი აქვს. გაფუებული ძუძუები მთვარესავით ამოუგდია. მკრთალი, თითბერის მკერდი გაუღედნია და ხშირი თმა უდარდელ ღიმილით მოხილ პირისახეზე შავი გველივით შემოუვლია. თეთრი, გატიკული და თლილი მარმაროს მკლავი ჯაყოს ბანჯგვლიან მკერდზე უდევს“.

მარგომ მოჩვენებითი თავისუფლებაც აღარ დაიტოვა. თეიმურაზ ხევისთავს გაეყარა და ჯაყო ჯივაშვილს მისთხოვდა.

მიხ. ჯავახიშვილი მარგოს თავგადასავლით თანამიმდევრულად, გამოწვლილვით გვიხატავს თავისუფალი ადამიანის მონად ქცევის პროცესს. თუ ზემორე აღწერილს, დასკვნის სახით თავს მოვუყრით დავინახავთ, რომ დამცირებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ ადამიანი პროტესტს აცხადებს. ვისაც ნებისყოფა აქვს — აქტიურს, უნებისყოფო — პასიურს, მაგრამ მაინც პროტესტს. ეს პირველი ეტაპია. მეორე ეტაპი საკუთარი უძლურების შეგნება და დამორჩილებაა. ამ ორ ეტაპზე ადამიანის გადარჩენა კიდევ შეიძლება, რადგან მასში ჯერ საბოლოოდ არ მომკვდარა თავმოყვარეობის, სიამაყის და თავისუფლების გრძნობა. თუ აქ დაცემულ ადამიანს ხელისგამწოდებელი აღმოაჩნდა, იგი შეიძლება გადარჩეს, სამშვიდობო გზაზე გამოვიდეს. თუ მშველელი არ გამოჩნდა, მაშინ მესამე ეტაპი იწყება — თავისუფლების სრული დაკარგვა.

თავისუფლების დაკარგვისა და დამონების ყველაზე შემზარავი და თავზარდამცემი შედეგი ის არის, რომ მონა კმაყოფილია თავის მონობით და ამაყობს კიდეც ამით, როგორც ეს მარგოს დაემართა. ამიტომ არის შემაძრწუნებელი მარგოს თავგადასავალი.

მიხ. ჯავახიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ დამონების პროცესის ჩვენებით. იგი ამ პროცესის რეზულტატის მკაფიო სურათსაც ხატავს. ამ სურათს ორი მხარე აქვს — მოჩვენებითი და ნამდვილი. მოჩვენებითმა მხარემ დააბრმავა მარგო და დაუკარგა განსჯის უნარი.

„მარგო სწორედ ისე იყო გამოწყობილი და მორთული, როგორც ათი წლის წინათ, როცა ჯაყოს მაგივრად თეიმურაზს ედგა გვერდით: ტანთ ეცვა თეთრი ატლასის ქართული კაბა; განიერ მკერდს უმშვენებდა ოქროს ზონრით გადახლართული და მარგალიტებით შემკული პირისფერი გულისპირი: განიერი, იასამნის ფერი სარტყელი, თავით-ბოლომდე ოქროთი და აბრეშუმით ნაქარგი, კოჭებამდე სწვდებოდა. შუბლზე გვირგვინის მსგავსი იალქანი ერტყა, მარგალიტებით და ალმასებით მოჭედილი, ბოლი თავზე და მხრებზე თხელი თეთრი მანდილი ედო, ისიც ოქროს ფოთლებით მოქარგული; თავსაკრავის შუაგულს აღმართული ჰქონდა საუცხოვო ჯიღა, — ძვირფასი თვლების თაიგული. ამ თაიგულს მსხლის მსგავსი და ნეკის ოდენა მარგალიტი დასცქეროდა, რომელიც ნისლიან ვარსკვლავივით უცნაურისა და იდუმალი შუქით ციმციმებდა“.

ბედნიერების სრული ილუზიაა. მაგრამ მარგოს გონების თვალით მზერა არ შეეძლო და მისი ნამდვილი შინაარსი ვერ ამოიცნო. იგი ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი, რამაც ბედნიერების ილუზია შეუქმნა, მისი საკუთრება იყო. ვერ მოუარა და სხვამ წაართვა. ახლა ეს სხვა, უცხო და გადამთიელი, მარგოს თვალს უხვევს და მოსატყუებელ საკენკს უყრის. მარტო ქონების მითვისებით და წართმევით არ კმაყოფილდება. მოძალადეს მარგოს სულიერი გახრწნა-გათახსირებაც უნდა. მაშინ იზეიმებს ჯაყო საბოლოო გამარჯვებას. აღწევს კიდეც მიზანს.

უკვე გვიან იყო, როცა მარგომ დაინახა, რა იყო ჯაყოს მოოქროვილი ჩარჩოს ნამდვილი შინაარსი.

„მარგო ისე გამხდარა და გაყვითლებულა, თითქოს სამი თვის ნალოგინარი ყოფილაო. უსისხლო ტუჩები გასცრეცია და ლოყები ღრმად ჩამზნექია, ხოლო ღრმად ჩაცვენული ნუშის თვალები მიმქრალ ჭრაქივით ძლივს ბჟუტავენ. ტანთ ჩითის დაკონკილი კაბა აცვია და მხრებზე გახუნებული შალი აქვს წამოსხმული“.

. . .

„— მარგო მოსტყუვდა. მე ადრევე ვიცოდი ამ საქმის დასასრული. მაგრამ სხვის საქმეში ჩარევა ხასიათად არა მაქვს.

— მაშ... მოსტყუვდა?

— ძალიან მოსტყუვდა. სასტიკად დაისაჯა... ჯაყო პირველად მშველელ რაინდად მოეჩვენა. ძლიერი კაციაო. შემინახავსო, მფარველობას გამიწევსო. ეხლა კი...

— ეხლა კი?

— რაღა დაგიმალო: ეხლა ჯაყომ მარგოც საქონლად გადააქცია...

— რას ამბობ, ივანე?!

— მეტსაც გეტყვი: ზოგჯერ სცემს კიდევაც“.

. . .

„მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი მარგო ბილიკზე ძლივს მიაბიჯებს“.

**ასე სრულდება ზნეობრივი დაცემა სოციალური მონობით.**

**გარდა ამისა, მარგოს თავგადასავალი ჯაყოობის კიდევ ერთ ფარულ აზრს ავლენს.**

კარს მოგადგება გულამშიერი და უსახლკარო კაცი. ლუკმაპურსა და თავშესაფარს გთხოვს. ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებს თავს. გულუბრყვილობის, უნიათობის, უზრუნველობისა და უდარდელობის გამო კარს გაუღებ, პურს და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, დალაღდება და გპთავხედდება. საკუთარი სახლიდან გაგაგდებს, შენს მამულს, საქონელსა და საყოლელს მიითვისებს. ცოლს გაგიბახებს, ხასად და მხევლად დაისვამს. შენსავე სახლში გაიძულებს მოჯამაგირედ დაუდგე და თავად ბატონად დაგიჯდება.

რატომ და როდის ხდება ეს? რომანში ამის პასუხიც არის. როცა მოძალადის თავხედობას და შემოტევას უპირისპირდება ყალბად გაგებული კაცთმოყვარეობა, უნიათო ზნეობრივობა, უნებისყოფობა და უნიადაგო ოცნება, მაშინ კეთილშობილი და ამაღლებული იღუპება. ადამიანის ნაცვლად მხეცური იმარჯვებს. ამას მარგო ორჯერ მიხვდა. ერთხელ მაშინ, როცა კნეინა მარგარიტა ყაფლანიშვილი-ხევისთავი ჯვარს იწერდა ვიგინდარა ჯაყო ჯივაშვილზე. „და ეკლესიიდანაც, — წერს მიხეილ ჯავახიშვილი, — იმავე წამს, ერთმანეთში უცნაურად არეულმა დედაკაცის კივილმა, ქვითინმა და კისკისმა გამოპხეთქა“. ეს მარგო ხევისთავი დასცინოდა და დასტიროდა თავისთავს. მეორედ მაშინ, როცა თეიმურაზს პირდაპირ და მოურიდებლად უთხრა — „...იმიტომ სდუმდი, რომ ნებისყოფა და გამბედაობა არა გყოფნიდათ“.

უნებისყოფობის, გაუბედაობის და უნიათობის გაკვეთილი თეიმურაზ ხევისთავმა მთელი თავისი ცხოვრებით უჩვენა მარგოს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო არარაობად გადაქცევის დამადასტურებელი ორი სურათი.

თეიმურაზმა ყველაფერი გაიგო, რაც თავს დაატყდა. არაფრის შველა შეეძლო და სასოწარკვეთილმა ხევისთავმა თავის მოკვლა სცადა. ლიახვში გადავარდა, მაგრამ აქაც უმტყუნა სიმტკიცემ. მაშინვე მორთო ღრიალი მიშველეთო. ნინიკამ გადაარჩინა თეიმურაზი. ნახულმა ივანემ შინ შეიფარა. შეშინებული და თავგზააბნეული მარგო და ჯაყო თეიმურაზის სანახავად მოცვივდნენ. ცოლი ქმრის გაკიცხვასა და გმობას მოელოდა. პირიქით მოხდა.

„თვითონ მარგო აპირებდა ფეხქვეშ ჩავარდნას და ხვეწნა-მუდარას. ეხლა კი თვითონ თეიმურაზი ულბობდა მარგოს მუხლებს და ისეთი სასოებით ნანობდა ქინძისთავისოდენა ცოდვას, ვითარცა ნაავაზაკარი წმინდანი ნანობდეს უფლის წინაშე განუზომელ ბოროტებას. გაოცებული და დაბნეული მარგო თეიმურაზის შეთხელებულს, ჭაღარა თმას მრთთოლვარე ხელს უსვამდა და იმის გახურებულ ბოდვას გულის ფანცქალით უგდებდა ყურს“.

კიდევ შეიძლებოდა, რაღაც კონტაქტის აღდგენა, მაგრამ თეიმურაზის უსაზღვრო სილაჩრემ ყველაფერი ჩაშალა. მან მარგოს ძმობა შესთავაზა: „— მე ისევ შენი სულიერი ქმარი ვიქნები, არა, ქმარი კი არა, შენი ერთგული სულიერი ძმა და მ...მმეგობარი ვიქნები... ეს არის ჩემი უკკ...კანასკნელი მუდარა“. ეს დაცემაც არ იკმარა თეიმურაზმა. მარგოსთან გაყრას დათანხმდა. დაყაბულდა მარგო ჯაყოს შეერთო. თავად იმით დაკმაყოფილდა, რომ ხანდახან, სხვისი თანდასწრებით, ნაცოლარს დაელაპარაკებოდა.

ხორციელი და მშვინვიერი არარაობის ამგვარმა გამოვლენამ მარგო შეაძრწუნა.

„უცებ მარგოს უცნაური რამ დაემართა. თითქოს უსაზღვრო შეურაცხყოფა მიაყენეს და წაუშლელი ჩირქი მოსცხესო: წელში გასწორდა, ნაკვეთი თავი მაღლა ააგდო და ალეწილ პირისახეზე მიუკარებელი ამაყობა, ნაკბენ თავმოყვარეობის ნისლი და აზღარბებული ამპარტავნება აისახა; თვალებში რისხვის ნაპერწკლებმა გაუელვეს და ტუჩების ნაოჭებში მძულვარების და ზიზღის ზოლები ჩაუწვნენ“.

თეიმურაზის არარაობის მეორე სრული გამოვლენა მოხდა მაშინ, როცა იგი დათანხმდა ხევისთავის გვარი მიეცა მარგოსა და ჯაყოს ნაშიერისათვის.

ამიტომ მარგოს საბოლოო განაჩენი სამართლიანია:

„შენზე ცუდმედიდი სატანაც არ იქნება... შენ... შენის თავმდაბლობით შენი თავიც დაიღუპე და მეც გამაუბედურე... ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკითხოს, თემურ!“

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ მარგოს დაცემას სამი მიზეზი აქვს: ჯაყოს ძალადობა, თეიმურაზის არარაობა და თავად მარგოს უნებისყოფობა.

მარგოს მხატვრული ხატის აზრობრივი შინაარსი სრულად არ იქნება ამოცნობილი, თუ არ ვიტყვით, რომ იგი (მარგო) ალეგორიულად აღნიშნავს სიყვარულს, სიცოცხლის ძალას, სიკეთეს, რომლებსაც მოვლა უნდა და რომელსაც ბოროტება ემუქრება.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თეიმურაზის თავდავიწყებულ სიყვარულს მარგოსადმი. იგი დაუვიწყარ დას, დედას და მეუღლეს უწოდებს მარგოს. ამ ქალში სახიერდება ყველაფერი ამაღლებული თეიმურაზისათვის. მარტო უმწეობის ბრალი არ არის, რომ თეიმურაზი მზად არის შეუნდოს მარგოს ყველა ცოდვა. ჯერ ერთი, ხევისთავი ხედავს თავის დანაშაულს და მეორეც, მას არ ძალუძს მოკვეთოს ფესვები, რომლითაც იგო

დაკავშირებულია მარგოსთან როგორც ქალთან, ისე სიცოცხლის სიმბოლოსთან.

„...ათი წლის ცხოვრებამ ორივენი ათას უხილავის ხიმით და ფესვით შეჰკრა და შეჰბოჭა, და როცა მარგომ ეს ფესვები ამოსავლეჯად ამოხწია და ძაფები დასაწყვეტად დასჭიმა, თავის ტანისა და სულის ყოველ წერტილში გაუძლისი ტკივილი და გოლგოთური კვნესა იგრძნო“. მაგრამ, ვითარც ეს დამახასიათებელია უნებისყოფო და უმწეო ადამიანისათვის, თეიმურაზი, დაბნეულობის ჟამს, ამუნათებს ორივეს — ცოლსაც და მთელ ქვეყანასაც.

„— თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ მაგოდენა გესლს ანთხევთ, მადამ ფალუს?! ბატკნების და თევზების რელიგია მაძღარ ჯაყოს რელიგიაზე გასცვალეთ და მასხრადაც ამიგდეთ?! თქვენი ერთადერთი ღმერთი ფალუსია, თქვენ მხოლოდ მასზე უნდა ილოცოთ, იზრუნოთ და იმსჯელოთ“... — შხამიანი სიტყვებით ცდილობს თეიმურაზ ხევისთავი შური იძიოს მოღალატე ცოლზე.

„ჩემი უდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ..ქართველოში დავიბადე... ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ..რთველად გამაჩინა“... — წუწუნებს და იგესლება იგი.

მაგრამ ეს. სასოწარკვეთილების წუთებში ემართება, თორემ სხვა დროს თავზარს სცემს როგორც მარგოსთან, ისე სამშობლოსთან განშორების გაფიქრება.

„— არა, არა! აქედან ვერსად წავალ! მარგოს ვერ მოვშორდები! თუნდ ფეხქვეშ გამივდოს, თუნდ ფურთხივით გამგლისოს და მონად გამიხადოს, მაინც ვერ მოვშორდები ჩემს მარგოს... ჩემს მარგუშის!.. ჩემს მარგალიტს, ჩემს ერთადერთ ღმერთსა და ბატონს...“

. . .

„მეც ემიგრანტი ვარ, ემიგრანტი ჩემივე ქვეყანაში, უცხოელი ჩემივე მოძმეთა შორის. ღმერთო, მიშველე!“

მართალია, თეიმურაზს უყვარს მარგოცა და სამშობლოც, მაგრამ არ ძალუძს უმთავრესი — დაიცვას თავისი სიყვარული. როგორც კი საქმე დაცვაზე მიდგება, იგი უკან იხევს და მორჩილდება ძალდატანებას. ამის შედეგად თეიმურაზის სიყვარული ამაღლებული კი არ არის, არამედ დამდაბლებული და საზიზღარი. მხოლოდ მებრძოლ სიყვარულს მოაქვს ბედნიერება. თუ ასე არ არის. სიყვარული მონობის თავისებური ფორმაა. თეიმურაზის სიყვარულიც მონობის გამოვლენაა და არა ადამიანის სამშვინველის თავისუფლებისა. ამიტომ ირყევა იგი სიყვარულსა და სიძულვილს შორის. მტკიცედ ვერცერთ გზას ვერ დასდგომია.

ამ მერყეობის შედეგია ის, რომ თეიმურაზ ხევისთავმა კეთილი ვერ მოუტანა ვერც თანამეცხედრეს და ვერც სამშობლოს.

თეიმურაზი თეორიულად მიხვდა თავის დანაშაულს. მისი უკანასკნელი სიტყვები თვითმხილებაც არის, ცოდვის აღიარებაც და მონანიებაც.

„ჩემო წამებულო მარგო! ჩემო ჯვარცმულო ანგელოზო! მე ვერ მივიღებ შენს ბოდიშს, ვინაიდან მე თვითონ ვარ შენგნით შესაწყნარებელი. უსაზღვრო და უძირო ჩემი ბრალი. გშიოდა და პური ვერ მოგეცი; გწყუროდა და წყალი ვერ დაგალევინე; გციოდა და კარი ვერ გაგიღე. განუზომელია ჩემი ბრალი შენს წინაშე, გოლგოთიდან მომავალო ჩემო მარგუში! შემინდე და დაივიწყე ურიცხვი ცოდვანი ჩემნი... თუ ძალგიძს, ჩემო წამებულო, მივცეთ ყოველივე დავიწყებას და შევუდგეთ ახალ ცხოვრებას“...

მაგრამ ეს მისვედრა, მონანიება და მოწოდება — შევუდგეთ ახალ ცხოვრებას — არაფერს ნიშნავს. თეიმურაზ ხევისთავის ბუნებასა და ხასიათში არაფერი შეიცვლება. იგი ყველგან და ყველა პირობებში უძლური, უნიათო და უსუსური დარჩება, რის გამოც, ნებით თუ უნებლიეთ, მხოლოდ ბოროტებას მოიტანს. ერთადერთი, რაც მას დარჩენია არსებობის (თუ მის ცხოვრებას არსებობა ჰქვია) გასაგრძელებლად, მოთმინებაა. ამიტომაც ემუდარება თეიმურაზი ღმერთს — „მოგვეც ჩვენ, დავრდომილთა და ულირსთა ძეთა შენთა, მოთმინება ულეველი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო“. მაგრამ, თეიმურაზ ხევისთავი ცდება, მწარედ ტყუვდება, როცა ჰგონია, რომ მოთმინებას, მშვიდობას, რწმენას ვინმე უბრძოლველად უბოძებს. რწმენაც, მშვიდობაც, მოთმინებაც ბრძოლით უნდა მოიპოვოს ადამიანმა. თუ ბრძოლა შეწყვიტე, მაშინ ასპარეზს ჯაყო დაეუფლება. იგი გაბატონდება. ამაღლებული იდეალი დედის, დისა და ცოლის შეიცვლება ცინიკური ლაზღანდარობით — „დედაკაცი ბალი ხარ, თუ არ მოირწყო, გახმები“. სამშობლოცა და ქალიც იმ ბაღს დაემსგავსება, სადაც ყველა მოხვეჭას, გაყვლეფას, ძარცვას ელტვის და არავინ ფიქრობს მოვლა-პატრონობაზე. ჯაყოსათვის მარგოცა და ნაშინდარიც. სამშობლოცა და მამულიც დუმაა, რომელიც უნდა თალო და თალო და, როცა ხელთ არაფერი შერჩება, არხეინად მიაფურთხო და ახალი ეძებო. ჯაყოს ხელში ქვეყანასაც ისე დაემართება, როგორც მარგოს მოუვიდა. მოჩვენებითი კეთილდღეობა შეიცვლება მძიმე ექსპლოატაციით, სილატაკითა და სიდუხჭირით.

„რა არ იყო იმ მაღაზიებში საქვეყნოდ გატანილი ერთი ლუკმა პურისათვის! კაბები და საცვალი, ქურქელი და სურათები, წიგნები და ალბომები, სამკაული და სათამაშო, ნაქარგი და ნაქსოვი, ნაჩუქარი და სახსოვარი; ცოლ-ქმრობის,

დანიშვნის, ჯვრისწერის, და-ძმობის, მამაშვილობის და მეგობრობის ათასნაირი წვრილმანი, ურთვალავი მოგონებებით ალსავსე, ნატიფი ნახელავი, ინტიმური და ძვირფასი ნივთი...

...უკლებლივ ყველაფერს ჰქონდა თავისი რომანი და წარსული, სიხარული და დარდი, სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უცხო თავგადასავალი, იმედიანი დასაწყისი და სევდიანი დასასრული".

ასეა, ჯაყოების ბატონობა ნიშნავს წარსულის გაყიდვას, აწმყოს ტანჯვად გადაქცევას და მომავლის სიბნელეს და გაურკვევლობას.

როცა მარგოს დაცემას უყურებ, ნათელი ხდება, რომ თეიმურაზ ხევისთავის უმწეო ალტრუიზმი ჯაყო ჯივაშვილის მოძალადე მიზანთროპიის მოკავშირე და თანამდგომია. ჯაყოს მოძალადე მიზანთროპია თეიმურაზის უმწეო ალტრუიზმის დაუხმარებლად და ხელშეუწყობლად ვერ იარსებებს. ამიტომ არის თეიმურაზი ისეთივე დამნაშავე, როგორიც ჯაყო. ამიტომ არის დაუნდობელი მიხ. ჯავახიშვილის სატირა როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. მიხ. ჯავახიშვილი არ ნილბავს თავის დამოკიდებულებას თეიმურაზისა და ჯაყოსადმი. პირდაპირ და აშკარად, მოურიდებლად უწოდებს მწერალი თეიმურაზს წიგნის ჭიას, წიგნის მატლს, ქაჩალ თაგვს, განათლებულ ქათამს, ნაკაცარს, ნათავადარს და ასე შემდეგ. ჯაყოც ასევეა დახასიათებული — ბანჯგვლიანი დათვი, ოურაუა, ორანგუტანი, პირგაპარსული მაიმუნი.

მიხ. ჯავახიშვილი სრულად ამხელს ჯაყოობის ყველა საშინელებას. ჯაყოობა თავზარდამცემია არა მარტო დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, არამედ მომავლისთვისაც. ერთი ფრიად დამაფიქრებელი სურათია აღწერილი „ჯაყოს ხიზნებში".

თეიმურაზ ხევისთავისა და მარგო ყაფლანიშვილის კავშირის შედეგად ბავშვი არ გაჩნდა. ე. ი. უმწეო ალტრუიზმი და პასიურობა უნაყოფოა. მაგრამ ბავშვი დაიბადა მარგო ყაფლანიშვილისა და ჯაყო ჯივაშვილის თანაყოფის რეზულტატად. ე. ი. მოძალადე მიზანთროპია და პასიურობა ნაყოფიერია, მომავალი აქვს. ეს ხომ თავისთავად საშიშია, მაგრამ უფრო მეტი საფრთხეა მოსალოდნელი, რამეთუ მოძალადე მიზანთროპს სურს შეინიღბოს, კეთილშობილის სახით მოევლინოს. ჯაყო თხოვს თეიმურაზ ხევისთავს — „მოდი, საქმეს ისე გავაკეთებდე, რომ ამ პატარა ჯაყოსა ხევისთავი დავარქმევდე, ჰა, რას იტყოდე?" თეიმურაზი თანახმაა.

ჯაყო ხევისთავი. ასე შეინიღბება მიზანთროპი ალტრუიზმით მომავალში და უკვე ველარ გაარჩევ სად არის კეთილი და სად — ბოროტი. ამიტომ დაუნდობლად უნდა იქნეს მხილებული ჯაყო და ჯაყოობა. ჯაყოობის შედეგიც თავზარდამცემი უნდა იყოს. ეს რეზულტატი მარგოს დაცემაა.

მიხ. ჯავახიშვილი ამ დაცემის მკაფიო სურათის სადემონსტრაციოდ ეროტიულ სცენებს ხატავს. ეს ბუნებრივიც არის. კლასიკურ სატირულ ლიტერატურაში ეროტიზმი გამოყენებულია, როგორც ხერხი, როგორც საშუალება, ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი დაცემის საჩვენებლად. ასეა „სატირიკონში", „ოქროს ვირში", „დეკამერონში", „გარგანტუა და პანტაგრუელში" და სხვაგან, სადაც გროტესკული რეალიზმის კუთხით იხატება ადამიანთა ყოფა. მიხ. ჯავახიშვილიც გროტესკული რეალიზმის საშუალებებს მიმართავს, რათა მაქსიმალურად ალაშფოთოს მკითხველის მშვინვიერი სამყარო. ამავდროულად მორალური დაცემის წინაალმდეგ. ამიტომაც ზარავსა და აძრწუნებს მკითხველს მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობა. ამ ქალის საბოლოო ბედი, როცა იგი წელში ოთხადმოკეცილი, სამპირტყავგამძვრალი, მუშა საქონლად გადაქცეული მიათრევს ცხოვრების მძიმე ტვირთს.

ასეა დახატული შეუბრალებელი სატირული კალმით, ერთი მხრით, ბოროტება (ჯაყო) და უმწეობა (თეიმურაზი) და, მეორე მხრით, მათი ერთობლივი მსხვერპლი (მარგო). მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ჯაყოს ხიზნები" იმედით და რწმენით სავსე რომანია.

რწმენას და იმედს ბადებს როგორც კონკრეტულად ამ რომანის, ისე მიხ. ჯავახიშვილის მთელი შემოქმედების მრწამსი: ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. მწერალს კეთილის აუცილებელი გამარჯვება კოსმოსურ კანონზომიერებად მიაჩნია. მიხ. ჯავახიშვილი ბოროტების დამსჯელს უწოდებს „ბედი მდევარს", „განგების ეთიკს", „ბედისწერის ეტლს".

თეიმურაზ ხევისთავი ასეთი სიტყვებით მიმართავს ჯაყო ჯივაშვილს:

„...ჯაყო! კიდევ ვილაც არის ამ ქვეყნად ღმერთის გარდა. ის „ვილაც" ურმით დასდევს ფეხმარდ მგლებს... ურმით დასდევს, დიდხანს დასდევს, ბოლოს, რაც უნდა მარდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადაიკარგოს, ურმით მდევარი „ვილაც" იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დაამტვრევს... დაიხსომე ჩემი უკანასკნელი სიტყვა... ამიერიდან დღედაღამ იმ სამართალს მოელოდე. ჩემს მაგივრად მოვა და ანგარიშსს გაგისწორებს. ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგისწრო, შენს შვილებს მაინც წამოეწევა და კბილებით დაჰგლეჯს, მამფურზე შესწვავს, ნელ ცეცხლზე ხრაკავს, ბნელ ორმოში ჩაჰყრის და თან გველის წიწილებს ჩააყოლებს..."

აუხდა ჯაყოს თეიმურაზის წყევლა. მართლაც დაეწია ბედი მდევარი. ხალხმა იგი ლაზათიანად მიბეგვა, თავიც გაუხეთქა, ნაქურდალი და მითვისებული წაართვა, თეიმურაზის სასახლი-

დან გამოაგდო და ისევ იმ გომურში შელალა, საიდანაც გამოძვრა „რევოლუციის მუნი, წურბელა, ბაღლინჯო და ტილი“.

როგორც უკვე ვთქვი, მიხ. ჯავახიშვილის რწმენა კოსმოსური სამართლიანობისა ვლინდება არა მარტო „ჯაყოს ხიზნებში“, არამედ თითქმის მის ყველა ნაწარმოებში.

„განგების ეთიკი უკვე ჰყიოდა მათზედა, ვინც „ყარდაში“ დამიღუპა და უხილავი თითი უკვე სწერდა ეტლს, როდესაც ხუთმეტი კაცი გააკრეს მიწაზე და ხუთმეტი ჯოხი აღმართეს მათზედა“ — წერს მწერალი „ლამბალო და ყაშას“ დასასრულს. მერე გვიამბობს აღსასრულს ყველა მათგანისა, ვინც ბოროტება ჩაიდინა და ამთავრებს:

„ბედი-მდევარი სხვებსაც ურმით დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ქინჟილაზე დახწვა:

გენერალ ჩერნოზუბოვს ულმობელმა ბედმა კავკავში ჩასჭიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერატოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხრჩო.

საზარელი არის ყივილი განგების ეთიკისა

დიდი არს ძალი ბედი — მდევრისა!“

„გივი შადურის“ ბოლო ამბავი კი საერთოდ დასათაურებულია ასე — „ბედი-მდევარი“. რომანის ამ თავის პერსონაჟები — ყარამან ჯიქურაული და ხეხნია ლაჩიშვილი მძიმე, ცოდვებით სავსე ცხოვრების გზას გაივლიან და ორივე ციხეში სიკვდილით ამთავრებს სიცოცხლეს. ორივე, ერთი — თავზეხელაღებული ვაჟკაცი და მეორე — ლაჩარი და დამსმენი, ერთიდაიმავე დასკვნას აკეთებს.

ყარამან ჯიქურაული: „ბედს — ვერსად წაუხვალ. ერთმანეთს რამდენიმე წელიწადს დავდევდით. მე ქარივით დავქროდი, ის კი ურმით მომდევდა. მაინც დამეწია“.

ხეხნია ლაჩიშვილი: „ბედი-მდევარი მეც დამეწია“.

ამგვარი ნიმუშების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვისაც მიხ. ჯავახიშვილის თხზულებანი დაკვირვებით წაუკითხავს, თავადაც ბევრს გაიხსენებს მსგავს მაგალითებს. ამიტომ შესაძლებლად მიმაჩნია გავიმეორო, დავასკვნა: მიხეილ ჯავახიშვილს ურყევად სწამს, რომ ბოროტება აუცილებლად ისჯება, რადგან თავისთავში შეიცავს სასჯელს. იგი თავად ანადგურებს თავისთავს.

ამ რწმენის ნაყოფია, რომ რარიგ მკაცრი და დაუნდობელიც უნდა იყოს მიხ. ჯავახიშვილის სატირა საერთოდ, და კერძოდ „ჯაყოს ხიზნები“, მისი მთელი შემოქმედება და ცალკეული ნაწარმოებნი სავსეა ნათელი ოპტიმიზმით, რწმენითა და იმედით. მწერლის ეს რწმენა ქართული ლიტერატურის ტრადიციითაც იკვებება:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ეს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ კრედოა, არამედ მთელი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა. იგი ეყრდნობა მოძღვრებას, რომლის თანახმად, ბოროტება არარსია, უსუბსტანციოა.

ამ ლიტერატურის, ამ მოძღვრების სისხლხორცეული ნაწილია „ჯაყოს ხიზნებიც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გოზალიშვილი

# რამდენიმე დამატებითი შენიშვნა...

1979 წელს ალმანახ „განთიადის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა ჩემი სტატია „გრიგოლ ბაკურიანისძე“. ამ სტატიას მინდა დავუმატო რამდენიმე მომენტი-განმარტება.

სომეხ ქალკედონიტთა და იბერთა (ტომით ქართველთა) ცნებების აღრევა, მითუმეტეს, გაიგივება, შეუწყნარებელია იმ ეპოქისათვის, როდესაც საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური ერთეული იბერია (საქართველო) თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლესი საფეხურისაკენ მძლავრად მიაბიჯებდა და საერთაშორისო სარბიელზე მისი ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. ამ პროცესმა არც დააყოვნა და მისი ნაყოფი იყო თამარისა და შოთას ეპოქის საქართველო...

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე თავისიანებს, ნათესავებსა და ყმებს ერთად უწოდებს ქართველებს, ხოლო მათ გვერდით იხსენიებს სხვებსაც, მის ტომად სახელდებულთ.

გრიგოლ ბაკურიანის ძის **სწორედ ქართველ წინაპართა** შესახებაც მოგვეპოვება უძველესი ცნობა.

გრიგოლისა და ბაკურიანისძეთა წინაპრად უნდა ჩაითვალოს ის ქართველი (იბერიელი) სამხედრო მოღვაწე, რომელიც **ბაკურის** (ბერძნულად „პაკურიოს“) სახელს ატარებს. იგი არის იბერიის მეფის გურგენის უფროსი ვაჟის პერანის (ქართულად ალბათ „ფირანი“ ან „ფარნა“) შვილი.[1] ეს პერანი წასულა „მამასთან და დიდებულებთან ერთად 523 წელს, როდესაც იბერია სპარსელებმა დაიპყრეს, ჯერ ლაზიკეში და მერე ბიზანტიაში“.[2]

ბაკური პერანის ძე 552 წელს წარმატებით სარდლობს ბიზანტიელთა ჯარს იტალიაში, როდესაც იქ მთავარსარდალი ველიზარი ომს აწარმოებდა გუთების წინააღმდეგ[3] და, მისი მოთხოვნით, იუსტინიანე იმპერატორმა მას დამხმარე ჯარი გაუგზავნა ბაკურის მეთაურობით.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ბაკურის შთამომავალნი არიან იბერიელი ბაკურიანები — ბაკურიანისძენი.

ბაკურიანისძეთა ქართულ (იბერიულ) სამყაროსადმი კუთვნილება და მათი ნამდვილი ქართული შთამომავლობა ამითაც თვალსაჩინოდ დასტურდება და ამართლებს გრიგოლ ბაკურიანისძის **იბერიელთა უბრწყინვალესი საგვარეულოდან წარმომავლობას.** თავის ბიოგრაფიულ ცნობაში ამაზე მითითებით, ეგების, გრიგოლს იმის თქმაც სწადდა, რომ მისი გვარი იბერიის მეფეთა საგვარეულოდან მომდინარეობდა. ისტორია ხომ იცნობს სწორედ ასეთ ბაკურ იბერიელს (IV ს.) — ცნობილ სამხედრო მოღვაწესა და ფილოსოფოსს, ამავე ხანის სახელოვანი ბიზანტიელი ფილოსოფოსის, ლიბანიოსის თანამედროვესა და ღირსეულ თანამოღვაწეს; ეს ბაკური იბერიის მეფედ ნამყოფი უნდა იყოს.[4]

ბაკურიანისძეთა სახელის საუკუნეების მანძილზე (IV, VI, XI) მოხსენიება მჭევრმეტყველურად ღაღადებს მის ქართველობას.

XI საუკუნის ცნობაში, რომ იმპერატორმა ბასილმა ბიზანტიაში თან წაიყვანა იბერიელი დიდგვარიანები, ზუსტად არის ფიქსირებული ბაკურიანისძეთა საგვარეულოს და მისი ქართულ ეთნიკურ სამყაროსადმი კუთვნილება.[5]

როგორც ცნობილია, სუმბატ ბაკურიანის (რომელიც მკვლევართა ვარაუდით გრიგოლ ბაკურიანისძის ნათესავი იყო)[6] მეუღლემ, ალექსი I კომნენოსის მიერ მისთვის ბოძებული სლავური სოფელი და მისი შემოსავალი ათო-

ნის იბერთა მონასტერს შესწირა თავისი ქმრის სულის საოხად.

თუ კი გრიგოლ ბაკურიანისძეს, რომელიც ტიპიკონში კადაჭრით ლაპარაკობს პეტრიწონის მონასტრის პერების ტომით ქართველობაზე — როგორც სომეხს — ეროვნულმა შეგნებამ შთააგონა ტიპიკონზე ხელი სომხური ასოებით მოეწერა (როგორც ამას ზოგი ვინმე ფიქრობს), მაშ, სომხებმა რატომ შეაქციეს ზურგი მათი თანამოძმის მიერ სომხებისათვის დაარსებულ პეტრიწონის მონასტერს და სუმბატის სულის საოხ საშუალებათა მოსაპოვებლად, შორეულ ათონის ქართველთა მონასტერს მიართვეს შესაწირავი?..

გრიგოლ ბაკურიანისძის ქართველობისა და მისი მონასტრის ქართულობის მაუწყებელი მასალა სხვაც მოიპოვება პეტრიწონის მონასტრის წესდებაში, რომლის ავტორიც თვით გრიგოლია.

წესდებაზე მუშაობის დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ იქ განსაკუთრებული გრძნობით არის ლაპარაკი „ქართველთა ღვთისმშობელზე“ და წმინდა გიორგიზე. ეს ორივე პერსონაჟი ქართული ქრისტიანული პანთეონის მთავარი წევრები არიან, ყველაზე მეტად მიღებულნი და პოპულარულნი მთელ ქართულ სამყაროში. ამ მომენტმა ჩემი ყურადღება იმის სასარგებლოდ განაწყო, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე ამ შემთხვევაშიც ქართული სამყაროს ღვიძლ შვილად გამოიყურება.

პეტრიწონის მონასტერში წინათ ყოფილა და, სამწუხაროდ, ახლა აღარ არის წარწერა, რომელიც, ნ. მარის აზრით, XI საუკუნისა უნდა ყოფილიყო, ასეთი შინაარსისა: „წმიდაი გიორგი ქაშოეთისაჲ“.7

ჩემი აზრი სავსებით დაემთხვა ნ. ბერძენიშვილის აზრს, რომელიც წერდა: „მაშენებელი გრიგოლ ბაკურიანისძე განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, არა მარტო მონასტრის კუთვნილებას ქართველთადმი, არამედ იმასაც, რომ ეს მონასტერი პეტრიწონის „ქართველთა ღვთისმშობლისა“ არის (ტიპიკონი, 2,8) და საქართველოდან მოტანილი, „ქართველთა ეს ღვთისმშობელი, ქართული მოჭედილობითა და ქართული წარწერით, დღესაც დაცულია აქ... ქართველთა წმინდა გიორგი ქაშოეთისაი, რომელიც ღვთის მშობელსა და იოანე მახარებელთან ერთად, ამ მონასტრის პატრონადაა გამოცხადებული, — კარგად უდგება გრიგოლ ბაკურიანისძის ქართულ განწყობილებას“.8

ღვთისმშობელთან ერთად, რომლის წილხვედრადაც მიჩნეული იყო საქართველო, განსაკუთრებით წმინდა გიორგი იყო ჩვენში უაღრესად პოპულარული წმინდანი, რომლის კულტიც კაპადოკიის ქართულ სამყაროში წარმოიშვა და, კაპადოკიელსავე წმინდა ნინოსთან ერთად, შემდეგ, ყველა ქართველ ტომში გავრცელდა. წმინდა გიორგიმ საქართველოში ქართული წარმართული პანთეონის მთავარის — მთავარი ღვთაების ადგილი დაიჭირა. გრიგოლის მხრივ აღნიშნულ წმინდანთა მიმართ ასეთი სასოების საფუძველი არ შეიძლება მხოლოდ კონფესიური მომენტის გამომხატველი იყოს: აქ ეროვნული ემოცია და განწყობილება ნათლად გამოსჭვივის.

აღნიშნულის გვერდით, მრავალმეტყველია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის ხატი მოჭედილი ყოფილა ტაოელ ძმათა — ევნატის შვილების — ათანასისა და ოქროპირის საფასურით, რასაც ადასტურებს მისი 1311 წლის წარწერა.9 ეს ის ხატი უნდა იყოს, რომელიც მოხსენებულია ტიპიკონში გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ მონასტრისათვის შეწირულ ნივთთა შორის. ხატის წარწერა გვაუწყებს: „მოიჭედა წმიდაი ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობლისაი პეტრიწონს ორთახორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ევნატის შვილთა მოძღუარისა ათანასისა და ოქროპირისა“.10

როგორც ადრე, ისე ამჟამად განხილული ცნობები აშკარად ღაღადებენ, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე ქართველი იყო და პეტრიწონის მონასტერიც ქართველთათვის იყო დაარსებული... მაგრამ მოწინააღმდეგენი ჯიუტობენ... პ. მურადიანი გადაჭარბებული თვითდაჯერებულობით აცხადებს, ვითომც, ტიპიკონის 25-ე თავის შინაარსიდან: „ნათლად ჩანს, რომ მონასტერში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ან იყვნენ ბაკურიანის მახლობლები, ნათესავები (რა თქმა უნდა, ქალკედონიტები), ქართველთათვის უპირატესობის მიცემა უცხო ტომის კაცებთან შედარებით, რაც ცნობაშია ხაზგასმული, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მონასტერში იყვნენ ბაკურიანის არა თანამემამულე სხვა კაცებიც, ქართველები, რომელთაც, ზემომოთხრობილის ცნობის თანახმად, იცოდნენ ქართული წერა-კითხვაც, ხოლო ეს ეხება მხოლოდ ქალკედონიტ სომხებს, ვინაიდან ბერძნების შესვლა სასტიკად იყო აკრძალული. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პეტრიწონში თავიდანვე იყვნენ სომხები, ბაკურიანის ნათესავთა გარდა, აგრეთვე „უცხო“ კაცები, სომეხი ქალკედონიტები“.11

მონასტრის წესდების 25-ე თავი სულ სხვა რამეს გვაუწყებს. სინამდვილეში აქ დაპირისპირებული არიან, ერთი მხრივ, გრიგოლ ბაკურიანისძის ღვიძლი ნათესავები ან მისი ყმა (თუ ვასალი) ქართველები და, მეორე მხრივ, ქართველები საერთოდ. მონასტერში რომ მხოლოდ ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, — ეს უდავო დებულებაა: აქ ლაპარაკია მხოლოდ თვით ქართველთა შორის ვინ უნდა მიიღონ პირველ რიგში და ვინ შემდეგ. მონასტერში შესვლის მსურველთა შორის უპირატესობა ეძლევა გრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლის ახლო ნათესავებს. წესდების 25-ე თავის პირველ მუხლში ნათქვამია: „თუ არიან ჩვენი ნათესავებიდან ისეთები, რომ ჩვენი მახლობლები არიან და მათ უპირატესობა მიეცეს მონაზნური წესით ეცხოვრათ... იმათ მიეცეს უპირატესობა უცხოთა და გარედან მოსულთა წინაშე".[12]

როგორც ვხედავთ, აზრი ძალზე მკაფიოდ არის გამოთქმული.

გრიგოლის ნათესავების მიმართ უპირატესობა აშკარაა, მაგრამ ამ თავში უფრო არსებითი სხვა მომენტია, სახელდობრ ის, რომ იქ ლაპარაკია გრიგოლ ბაკურიანისძის იმ ნათესავებზე, რომლებიც ცხოვრობენ გრიგოლის მიერ პეტრიწონის მონასტრისათვის ბოძებულ მის მამულებში და რომელთაგანაც ვინმე უპირატესობას მისცემს, ე. ი. აირჩევს ბერულ ცხოვრებას და აღიკვეცება. პირველ რიგში სწორედ ესენი უნდა იქნენ მიღებული. ამათზეა ნათქვამი, უპირატესობა მიეცეთ „უცხოთა და გარედან მოსულთა" წინაშეო.[13]

ამავე თავის მეორე მუხლში კი ლაპარაკია იმაზე, რომ მონასტერში შემსვლელ გრიგოლის ღვიძლ ნათესავთა შორის (რომელთაც უპირატესობა ეძლევათ) შეიძლება იყვნენ ისეთნი, რომელნიც „...არიან უუნარონი და უქნარნი საეროსკაცო საქმიანობისადმი და გულსავსებით ვერ შესძლებენ, რომ სამღვდელო საქმეს ემსახურონ". ე. ი. თუ ისინი ზარმაცი და მუქთახორები არიან, მაშინ მომდევნო მუხლის თანახმად, — თუ მონასტერში მონაზონთა დაწესებული რიცხვი დაკლებული აღმოჩნდება, სწორედ მეორე მუხლში დახასიათებულ გრიგოლის ულირს ნათესავთა წინაშე უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, თუ სხვა ვინმე იბერთაგანი იქნება.

ამ მუხლში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: „ხოლო თუ ზემოხსენებულ ჩვენ ნათესავთაგან ვინმე, ან ჩვენ ყმათა გარეშე, სხვა ვინმე იბერთაგანი იქნება და აღიკვეცება, ხოლო მონაზონთა დაწესებული რიცხვი დაკლებული აღმოჩნდება, საჭიროა ამათ მიეცეს უპირატესობა და ისინი შემოვიდნენ მონასტერში.[14]

როგორც ვხედავთ, აქ დაპირისპირებული არიან ერთმანეთის მიმართ მხოლოდ ქართველები: ა) ქართველები, გრიგოლ ბაკურიანისძის მახლობელი ნათესავები; ბ) მისი არანათესავები, აგრეთვე გრიგოლის მამულებში მცხოვრები ქართველები და გ) საერთოდ ქართველები (ამას მოწმობს გამოთქმა „ვინმე იბერთაგანი"). მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ აქ იქნებოდა მითითებული იბერიელთათვის უპირატესობის მიცემა „სხვა ტომის" ხალხთა მიმართ. სწორედ აქ უნდა ყოფილიყვნენ დაპირისპირებული ქართველები და სხვა ტომის ადამიანები, თუ კი წესდების ავტორს სწორედ ამ განსხვავებაზე სურდა მიეთითებინა..., მაგრამ აღნიშნულ თავში ამის კვალი სრულებით არა ჩანს.

პ. მურადიანმა ტიპიკონის 25-ე თავის შინაარსი მთლიან კონტექსტში კი არ განიხილა, არამედ მისი მესამე მუხლიდან ამოგლიჯა ის ადგილი, სადაც ქართველებისათვის უპირატესობის მიცემაზეა ლაპარაკი, მაგრამ არ გაარკვია თუ რა ვითარებაში და ვის მიმართ, ან როდის ეძლევა და როგორ (რომელ) ქართველებს უპირატესობა და ნებისმიერი დასკვნა გამოიტანა; ამდენად, ლაპარაკი რამე „სხვა ტომის" კაცებზე სრულიად უადგილოა და ასეთი ვარაუდი გამორიცხულია. თვით მონასტრის დამაარსებელი და მისი ტიპიკონის ავტორი გრიგოლ ბაკურიანისძე არა ერთხელ აცხადებს, რომ მონასტერი მხოლოდ ტომით ქართველთათვის არის დაარსებული და თვით ბერძენთა (რომელთა სახელმწიფოშიც არსდება იგი და რომლებთანაც ქართველებს სარწმუნოებრივი ერთიანობა აკავშირებს, მაგრამ ტომობრივობა განასხვავებს) მიღებაც კი აკრძალული იყო. და ეს იმისათვის იყო საჭირო, რათა მონასტერს საქართველოდან შორს, უცხო ქვეყანაში ქართული იერი შეენარჩუნებინა და იგი ჭეშმარიტად ქართველთა სავანედ დარჩენილიყო; რომ იქ უცხო ელემენტის შესვლით ქართველობა არ შევიწროებულიყო და საბოლოოდ თვით ქართველთათვის მონასტრის დაკარგვა არ მოჰყოლოდა, რის მაგალითებიც არსებობდა. სწორედ ამიტომაც მონასტერთან ქართული სასწავლებელი იყო დაარსებული. მონასტერი ხომ, მართლაც, ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად იქცა...

ანა კომნენეს კატეგორიულ მდგომ (ჩემი აზრით, აშკარად მცდარ) ცნობას, რომელმაც შექმნა საფუძველი მცდარი კონცეფციისათვის, დროა კრიტიკული თვალით შევხედოთ და პეტრიწონის მონასტრის ირგვლივ აღმოცენებული პრობლემების კვლევა ობიექტური მეცნიერული გზით წარვმართოთ.

როგორც ადრევე აღვნიშნე, ანა კომნენეს შეცდომა ადვილი ასახსნელია, რადგანაც ბიზანტიელები ამიერკავკასიაში მათი გავლენის ქვეშ მოქცეულ მხარეებს აღნიშნავდნენ საერთო სახელით „არმენია" (და არაბებმაც ხომ ამ მხარეებს ასევე „არმენია" უწოდეს)[15] და ასეთ ვითარებაში ადვილად შეიძლებოდა იბერიელისა და არმენიელის (ქართველისა და სომხის) აღრევა ამა თუ იმ ავტორის მიერ, რომელიც შორეულ ქვეყანაში წერდა ისტორიას... ამის პარალელური შემთხვევა კიდეც მოგვეპოვება.

ამიერ კავკასიიდან წასულ ერთ-ერთ ბიზანტიელ თვალსაჩინო მოღვაწე ფარსმან იბერზე ს. ყაუხჩიშვილი წერს, რომ ფარსმანი მიხეილ ატალიატეს „ისტორიაში" მოხსენებულია, როგორც არმენიელი, ხოლო სკილიცეს გამგრძელებელი, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით

იწერდა მიხეილ ატალიატეს „ისტორიის“ ტექსტს, გარკვევით ამბობს, რომ ფარსმანი ქართველია. აქედან ჩანს, რომ სკილიცეს გამგრძელებელი ბრმად კი არ იწერდა ატალიატეს ტექსტს, არამედ მას ჰქონია აგრეთვე სხვა წყაროებიც, რომელთა მიხედვითაც ამოწმებდა მიხეილ ატალიატეს ცნობებს.[16]

ანა კომნენეს ცნობის შემმოწმებელ-შემსწორებელიც რომ თავის დროზე გამოჩენილიყო, ამჟამად გაჩაღებული დავა თავიდან იქნებოდა აცილებული... მაგრამ, რომ მთელი ისტორიული სინამდვილე და მრავალი წყაროს ცნობა ანა კომნენეს ცნობას აბათილებს, ამას სათანადოდ დანახვა ესაჭიროება...

სწორედ ანა კომნენეს ეს საეჭვო ცნობა მიიჩნია უზადოდ (ისე, რომ ამის დასაბუთება არ მოუცია) ნ. მარმა და მასზე ააგო თავისი ჰიპოთეზა გრიგოლ ბაკურიანისძის სომხურ შთამომავლობაზე. ხოლო ვ. არუთინოვა-ფიდანიანმა ნ. მარის ჰიპოთეზა მიიჩნია აქსიომად და გამოაცხადა: „ნ. მარმა დაადგინა, რომ გრიგოლ ბაკურიანი იყო ტაოელი სომეხი ქალკედონიტი, ე. ი. იყო სისხლით, შთამომავლობით სომეხი, მაგრამ აღიარებდა ქართული ეკლესიისაგან შეთვისებულ ქალკედონიტურ რწმენას“.[17]

საქმე ის არის, რომ თვით ნ. მარს თავისი მოსაზრება გრიგოლ ბაკურიანისძის სომხურ შთამომავლობაზე სრულიადაც დადგენილად არ მიაჩნდა.

ნ. მარი თავის ნაშრომში სომეხი ქალკედონიტების შესახებ გამსჭვალულია სურვილით დაამტკიცოს მათი სიმრავლე და ისტორიული მნიშვნელობა. სომეხ ქალკედონიტთა ასეთი წარმოჩენა ისტორიის ფონზე მას სჭირია იმისათვის, რათა დამაჯერებლობის იერი შესძინოს მის მიერ წამოყენებულ პრობლემას „არქაუნის“ შესახებ, შერე კი გააგრძელოს მსჯელობა, რამაც იგი მიიყვანა გრიგოლ ბაკურიანისძის სომხად აღიარებამდე; მაგრამ მან ვერ შესძლო, თუნდაც თავისთვის მაინც, დამაჯერებლად წარმოდგენა აღებული პრობლემისა და თავისი შრომის დასასრულს იძულებული იყო განეცხადებინა დასკვნითი დებულების სახით: „ჩემი მოხსენება, ამგვარად, აყენებს დებულებებს, არა აქვს რა პრეტენზია მათს ყოველთვის საკმაოდ დამტკიცებულობაზე, ზოგჯერ სახავს მათკენ მიმავალ გზებს, ან უბრალოდ მხოლოდ აღძრავს საკითხებს, იმ მიზნით, რათა მიაპყროს სპეციალისტთა ყურადღება შესწავლის მაღალ კულტურულ-ისტორიულ ინტერესზე, რაც ეხება სომხურ ქალკედონიტობასა და ყველაფერს იმას, რასაც შეუძლიან მას შუქი მოჰფინოს“.[18]

ამ ნათქვამში უკვე მოჩანს მეცნიერი, რომელიც კარგად გრძნობს მისი კონცეფციის დაუსაბუთებლობას. დღემდე არც გამოჩნდა ამის დამადასტურებელი მასალა.

ნ. მარი თვითვე დაეჭვებულია ამ დებულებაშიც, რომ „არქაუნი“ ნამდვილად სომხურიდან აქვთ მონგოლებს შეთვისებული. იგი ამბობს: „წინათ „არქაუნის“ შეპირისპირება სომხურ არქაუნთან — „მეფური“, შეიძლებოდა მხოლოდ შემთხვევითად მოგვჩვენებოდა, რაც შენიშნა კიდეც ბროსემ, მაგრამ ჩვენი რეალური გაგებით „არქაუნს“ შეეძლო აღმოჩენილიყო სომხურ სიტყვად მელქიტის, ე. ი. ქალკედონიტის აღმნიშვნელად. მაშინ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ მონგოლები, რომელთაც გადმოიღეს ეს სიტყვა მათ შორის მცხოვრებ სომეხ ქალკედონიტთაგან, მერე ასე უწოდებდნენ ყველა ქრისტიანს.

ამ სავარაუდო ახსნას სინამდვილის იერი რომ მიენიჭოს, სასურველია ხელთ გვქონდეს ფაქტიური დამადასტურებელი რამ, რომ სომხურ ყოფაში მართლაც არსებობდა ასეთი სიტყვა, მაგრამ ვილებთ რა მხედველობაში, რომ სომეხ ქალკედონიტთა, მით უმეტეს სირიული ჯგუფის არა მხოლოდ ყოფა, არამედ მათი ხსენებაც კი ბეჯითად ისპობოდა ან უკეთეს შემთხვევაში ბნელში ექცეოდა, უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას შეეძლებოდა ასეთი დამტკიცების აღმოჩენა“.[19]

ნ. მარი კიდეც დაეძებს ასეთ შემთხვევას, მაგრამ ვერ პოულობს უეჭველსა და დამაჯერებელს.[20]

ნ. მარის აქ მოტანილი ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ მის მიერ „არქაუნის“ შესახებ წამოყენებული ვარაუდისათვის რამე საფუძველი არ არსებობს. ასეთი სიტყვა სომხურში დადასტურებული არ არის. ამას გარდა, ნუთუ მონგოლებს, რომელნიც მაშინდელ მსოფლიოს მოედვნენ, იმის მეტი წყარო არ გააჩნდათ ქრისტიანული სამყაროს გასაცნობად, თუ არა მხოლოდ სომეხთა ერთი ნაწილი, რომელიც სარწმუნოებრივ ნიადაგზე მოსწყდა მშობლიურ ერს და მსოფლიოს ქრისტიანული მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ? ნუთუ ისე განვლეს მონგოლებმა მთელი რიგი ქრისტიანული ქვეყნები და ხალხები, რომ სირიაში მოსახლე ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი განშტოების მიმდევარი სომხების ჯგუფს გარდა, ვერსად მოახერხეს ქრისტიანობის — ამ მსოფლიო სარწმუნოების — სახელის გაცნობა, თუნდაც დავუშვათ, რომ მართლაც არსებობდა სიტყვა „არქაუნი“, რის შესახებ ვარაუდიც კი ძნელდება?...

ამგვარად, ნ. მარის ჰიპოთეზა გრიგოლ ბაკურიანისძის სომხურობას ვერავის დააჯერებს.[21]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

1 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, 1965 წ., გვ. 317.

2 Proc. B. P. I, 12 საქართველოში არის გვარი პერანიძე.

3 Proc. B. L. II, 26.

4 გ. გოზალიშვილი, არის თუ არა ბერძნული და ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1946 წ. ნაკვეთი 1.

5 დიდებულთა შორის მოხსენიებულია ბაკურიანი. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, გვ. 46.

6 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, გვ. 317, იხ. აგრეთვე, რ. სირაძე, ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ისტორიიდან. „ცისკარი", 1974 წ., № 10, გვ. 115-116.

7 ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, გვ. 30. აკ. ურუშაძე, ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, გვ. 61. აღნიშნული წარწერა მოთავსებული ყოფილა გრ. ბაკურიანისძის საძვალის ერთ-ერთ კედელზე, იხ. აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, გვ. 365.

8 ნ. ბერძენიშვილი, მით. შრ., გვ. 33 ღვთისმშობლის ხატის ფოტო. იხ. აკ. შანიძის დასახელებულ წიგნში.

9 ნ. ბერძენიშვილი. იქვე, გვ. 33.

10 აკ. შანიძე, მით. შრ., გვ. 358.

11 პ. მურადიანი, გრიგოლ ბაკურიანის „ტიპიკონის" ბერძნული და ქართული რედაქციების საკითხისათვის. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 1968 წ. № 1, გვ. 114-115 (სომხურ ენაზე).

12 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, გვ. 221.

13 აქ სიტყვა „უცხო" სრულიადაც არ ნიშნავს „უცხო ტომს". აქ იგულისხმება ისეთი ქართველი, რომელიც გრიგოლის ნათესავ-მახლობელი არ არის, ან გრიგოლის კუთვნილი მამულების გარეშე ცხოვრობს. ეს სიტყვა ამ ზუსტი მნიშვნელობით დღესაც ჩვეულებრივ იხმარება საქართველოში. ქართველ კაცს, რომ არანათესავი ქართველი ეწვევა, იტყვიან: „უცხო კაცი გვეწვიაო", ე. ი. სტუმარი ჩვენი მახლობელი არ არისო.

14 ს. ყაუხჩიშვილი, იქვე გვ. 221.

15 История Армении, 1956, стр. 116.

16 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, VI, გვ. 168.

17 ამ მომენტზე ადრეც გვქონდა საუბარი. იხ. „განთიადი", 1979 წ., № 2, გვ. 167.

18 Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-халкедонитах, СПб, 1905, стр 67.

19 ნ. მარი, მით. შრ. გვ. 63.

20 იქვე, გვ. 64.

21 აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში ძნელი უნდა იყოს ნ. მარის ჰიპოთეზის გაზიარება, ძნელია მას სერიოზული მეცნიერული მნიშვნელობა მიენიჭოს და იგი გადაიქცეს საფუძვლად სხვა ახალი ჰიპოთეზის შესაქმნელად. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ თითქმის პეტრიწონის მონასტრის ერთდროულად ალექსი კომნენოსმა კონსტანტინოპოლში დაარსა იბერთა მონასტერი (ანა კომნ.), რომლის მიზანიც იყო იქ ბლომად გაფანტული იბერების (ქართველების) შემოკრება. ამ ორივე ფაქტს შორის შეიმჩნევა შინაგანი კავშირი: ორივე მათგანი დაარსებულია ქართული ეროვნული სამყაროს წარმომადგენელთა მიერ... ალექსი კომნენოსიც ქართული ეთნიკური სამყაროს შთამომავალია (გ. გოზალიშვილი, კომნენოსთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის, „მნათობი", 1972 წ., № 2). ამ ორივე ბელადმა მოახერხა ურთიერთდახმარებით ხელთ ეგდოთ უმაღლესი ძალაუფლება ბიზანტიაში... ამ საქმეში ისინი ეყრდნობოდნენ ქართველ მეომართა ძალას.

ახლად გამეფებული იმპერატორის მიერ დედაქალაქში იბერთა (ქართველთა) მონასტრის დაარსება რაღაც მჭევრმეტყველური რამის მთქმელი უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო კარბელაშვილი

# ვინ იყო ალექსანდრე იმერეტინსკი

1978 წლის ნოემბერში, საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების დახკვნით სალამოზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა, სხვა მონაწილეთა შორის გამოვიდა პოლონელი მწერალი ზდისლავ მორავსკი. მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

— პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობას დიდი ისტორიული ტრადიცია აქვს. ამის მაგალითად შეიძლება ბევრი ფაქტის მოყვანა, თუნდაც XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დასაწყისიდან. მაგრამ მე მხოლოდ ერთზე შევჩერდები.

პოლონელი საზოგადოება არაერთხელ მიმართავდა ვარშავის გენერალ-გუბერნატორებს, რათა ნება დაერთოთ პოეტ ადამ მიცკევიჩის ძეგლი აეგოთ. მაგრამ გუბერნატორები უარს ამბობდნენ. და აი, ვარშავაში ახალი გუბერნატორი დაინიშნა. საზოგადოების კომიტეტმა კვლავ მიმართა გუბერნატორს ამ თხოვნით. მან მაშინვე დართო ნება პოეტის ძეგლის აგებაზე.

ვარშავის ეს გენერალ-გუბერნატორი გახლდათ თქვენი თანამემამულე ალექსანდრე იმერეტინსკი...

დარბაზში მქუხარე ოვაცია გაისმა.

ალექსანდრე იმერეტინსკის სახელი მარტო პოლონელი საზოგადოებისთვის როდი გახდა ახლობელი. იგი განსაკუთრებით ძვირფასი ყოფილა ბულგარელებისათვისაც.

* * *

ამას წინათ, სოფიაში ყოფნის დროს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს" სამხედრო განყოფილების გამგემ პოლკოვნიკმა ლაზარ გეორგიევმა შემოგვთავაზა დაგვეთვალიერებინა ქალაქი ლოვეჩი.

— ლოვეჩი?

— დიახ. ეს საოლქო ცენტრია, ძალზე თავისებური ქალაქი ჩრდილოეთ ბულგარეთში. ნუ გაიკვირვებთ ჩემს წინადადებას, ქალაქი 1877 წლის 22 აგვისტოს გაანთავისუფლა რუსეთის არმიის განსაკუთრებულმა რაზმმა და იქ ბევრ საინტერესოს ნახავთ. ასე რომ არ იყოს — არ შემოგთავაზებდით.

ლაზარი იღიმოდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და მალავდა. აღარ ჩავეკითხეთ. დავთანხმდით. ლოვეჩში დარეკა კოლეგებთან.

და აი, ავტომანქანით სამი საათის მგზავრობის შემდეგ ლოვეჩის გაზეთ „ზარია კომუნიზმას" რედაქციაში ვიყავით. მთავარი რედაქტორის ატანას ატანასოვის კაბინეტში ჟურნალისტები შეკითხვას შეკითხვაზე გვაძლევდნენ საქართველოს ცხოვრებაზე, მის ისტორიულ წარსულზე, თბილისზე.

— ნუ გაიკვირვებთ ამას, — ღიმილით სთქვა ატანასმა, — ეს სავსებით ბუნებრივია. ჯერ ერთი, თქვენ პირველი ქართველი ხართ ჩვენს რედაქციაში, და ვფიქრობთ, ჩვენს ქალაქშიც. მეორეც, ლოვჩელებს განსაკუთრებული მიზეზი გვაქვს გვაინტერესებდეს საქართველო.

— რატომ? — ვერ მივუხვდით.

მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ჟურნალისტებმა ერთმანეთს.

— ნათქვამია, ათასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. მოდით ჯერ სტრატოშის პარკში ავიდეთ და იქიდან ქალაქს გადმოვხედოთ.

მანქანამ რამდენიმე ქუჩა გაიარა, შემდეგ აღმართს შეუდგა და მალე მშვენიერი პარკის ხეივნებს საუბრით მივუყვებოდით.

პარკის მთავარი ხეივანი რომ ჩავათავეთ, მაღალი ციცაბო კლდის ნაპირას მოვხვდით, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ლოვეჩი. იქვე ძველად ნაგები მაღალი ობელისკი შევნიშნეთ. ტურისტების ჯგუფი ათვალიერებდა, ფოტო-

გრაფი გულმოდგინედ იღებდა ობელისკს სხვადასხვა მხარიდან.

— აბა, ახლოს მივიდეთ — გვითხრა ატანასმა. — ეს გრანიტის ობელისკი აგებულია იმათ მოსაგონებლად, ვინც 1877 წლის 22 აგვისტოს ქალაქი სამუდამოდ გაანთავისუფლა ოსმალთა ხუთსაუკუნოვანი ბატონობისაგან. აბა, შეხედეთ, ობელისკს და წაიკითხეთ წარწერა.

„1877 წლის 22 აგვისტოს ქალაქი ლოვეჩი გაანთავისუფლა რუსეთის რაზმმა გენერალ-ლეიტენანტ იმერეტინსკის მეთაურობით“ — ამოვიკითხეთ ობელისკზე და მოულოდნელობისაგან დავიბენით.

„იმერეტინსკი“... რაოდენ სასიხარულო იყო აქ, საქართველოდან შორს, ჩრდილოეთ ბულგარეთის ქალაქში ამ გვარის ამოკითხვა გრანიტის ობელისკზე.

ბულგარელი ჟურნალისტები მიღიმოდნენ. ისინი კარგად მიმიხვდნენ იმ წუთებში.

ვინ იყო ალექსანდრე იმერეტინსკი და როგორ მოხვდა ბულგარეთის გამმათავისუფლებელ ომში?

ალექსანდრე იმერეტინსკი დაიბადა 1837 წლის 24 სექტემბერს. 1855 წელს დაამთავრა პაჟთა კორპუსი და სამსახური დაიწყო ლეიბგვარდიის ცხენოსანთა დივიზიაში. შემდეგ, 1857 წელს საკუთარი თხოვნით გადაიყვანეს მე-14 ქართულ გრენადერთა პოლკში და მონაწილეობას იღებდა ჩეჩნეთსა და დაღესტანში წარმოებულ ბრძოლებში.

ოჯახური პირობების გამო 1859 წელს ალ. იმერეტინსკიმ სამხედრო სამსახურს თავი დაანება, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა სამსახურში და შევიდა გენერალური შტაბის აკადემიაში; მისი დამთავრების შემდეგ სხვადასხვა მაღალ სამხედრო თანამდებობაზე მუშაობდა.

1863 წელს შტაბის კაპიტნის ჩინით ალ. იმერეტინსკი ვარშავის ოლქის გვარდიის შტაბის უფროსია, ხოლო 1869 წლიდან — ვარშავის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწე. ამ პერიოდში ალ. იმერეტინსკის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

პოლონეთში 12 წლის სამსახურის შემდეგ 1875 წელს ალ. იმერეტინსკი პეტერბურგში დაბრუნდა და დაინიშნა მე-2 დივიზიის უფროსად.

1877 წლის 12 აპრილს, რუსეთ-თურქეთის ომის გამოცხადების შემდეგ, გენერალი ბულგარეთში გაემგზავრა.

რუსეთის არმიის წარმატებებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დიდად განაპირობებდა ქალაქ ლოვეჩის აღება. ამიტომ ქალაქის განთავისუფლებისათვის შეიქმნა განსაკუთრებული რაზმი (მე-2 ქვეითი დივიზია, მე-3 ქვეითი დივიზიის პირველი ბრიგადა, ოსეთის დივიზიონი, მსროლელი ბრიგადა, 10 ბატარეა და კაზაკთა ორი პოლკი). რაზმის უფროსად დაინიშნა ალ. იმერეტინსკი. როგორც კი ამ პოსტზე დაიწყო მუშაობა, მან თავის თანაშემწედ მოადგილედ მამაცი რუსი გენერალი მ. სკობელევი.

საინტერესო მასალა გამოაქვეყნა გაზეთმა „კავკაზმა“ 1877 წლის 8 სექტემბერს № 8179). ეს იყო ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ კორესპონდენტის ვრცელი ინფორმაცია ლოვეჩზე რუსეთის არმიის შეტევის წინა დღეს.

„ახლახანს მე დავბრუნდი ბანაკში მას შემდეგ, რაც მთავინახულე ლოვეჩის აღებისათვის გამოყოფილი ჯარების სარდალი თავადი იმერეტინსკი. თავადი საკუთარი კარავის წინ მიმოდიოდა გენერალ სკობელევის მოლოდინში, რომელმაც იერიში მიიტანა თურქების პოზიციაზე და აიღო ძალზე უმნიშვნელო ზარალით... თავადი ამ გმირობაზე დიდი ქებით ლაპარაკობდა“, — აღნიშნავდა „ტაიმსის“ კორესპონდენტი.

შემდეგ კორესპონდენტი დაწვრილებით მიმოიხილავდა ლოვეჩის მიდამოებში რუსეთის ჯარების განლაგებას და წერდა: „როგორი იქნება წარმატება — აი კითხვა, რომელსაც თავის თავს აძლევს ყოველი მათგანი. ხვალ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს მე-2 და მე-8 დივიზია კავალერიის ბრიგადით და ბატარეებით, რომლებიც შედგენილია ექვსი სხვადასხვა დივიზიიდან. ერთი დივიზია რეზერვში რჩება მარჯვენა ფრთისა და ზურგის დასაფარად. როცა მე დავტოვე თავად იმერეტინსკის კარავი, მან შენიშნა: „იმედი მაქვს, რომ ზოტოვი არ დაუშვებს, რათა ოსმან-ფაშამ ჯარები გამოგზავნოს ლოვეჩში, მაგრამ მან თუ კი ეს ვერ მოახერხა, ასეთ შემთხვევებისათვის მე მჭირდება დიდი რეზერვი!“.

თავის ვრცელ კორესპონდენციას ავტორი ასე ამთავრებდა: „თავადმა ფიქრიანი და მზრუნველი ღიმილით შენიშნა, რომ მხოლოდ ახლა, როცა ემზადება ბრძოლაში გაიყვანოს არმია, მთელი ძალით იგრძნო პასუხისმგებლობის სიმძიმე; იგი გადმოგვცემდა თავის შეხედულებებს და ჩემში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ადამიანის მთელი სული მისდამი დაკისრებული ამოცანით არის დაკავებული და რომ მას არც ერთი წინასწარი სიფრთხილე არ გამორჩენია, რათა წარმატება უზრუნველყოფილი იყოს. მისმა მე-2 დივიზიამ, ერთ-ერთმა ბრწყინვალემ, უკანასკნელ 48 საათში 56 მილი გაიარა და ცალკეული მეომრები პირდაპირ შეუდგნენ ძალზე მძიმე სამუშაოს — ბატარიების განლაგებას, იმ ქვემეხების დადგმას, რომელთა გრიალი მუსულმანების ბანაკს გააღვიძებს, როცა ოსმის ველზე განთიადი დადგება“.

და ზარბაზნებმა ოსმის ველზე იქუხეს.

დაიწყო მძაფრი ბრძოლა ქალაქ ლოვეჩისათვის.

ლოვეჩის აღებისათვის ჩატარებული სამხედ-

რო ოპერაციებში მონაწილე კაპიტანი გიორგი ჭორჭაძე ასე აღწერდა ამ ბრძოლას“ „დროებაში“ (№ 178):

„22 აგვისტოს შევუდექით კვალად ლოვეჩის აღებას (ქ. ლოვჩა ერთხელ იყო ჩვენგნით აღებული ივნისშივე, მაგრამ, რადგანაც სხვა ჯარი არ დაუმატეს და მხოლოდ ერთი სოტნის კაზახების ანაბარას გახადეს, მოვიდნენ ოსმალები და გამორეკეს ჩვენი კაზახები და წესიერად გამაგრდნენ) ჩვენ მივადექით პლევნოსა და ლოვეჩს შოსეს გზით. ჩვენი დანიშნულება იყო, რომ პლევნოსკენ არ უნდა გაგვეშვა ოსმალოს ჯარი. დილის ექვსი საათიდან შეიქმნა გახურებული სროლა, ჩვენმა ქვეითმა ჯარმა აიღო ჯერ პირველი ბექობი და ლელეები (რედუტი), რომელიც შემდეგ ჩვენი რეკოგნოსცირებისა გაემაგრებინათ ოსმალებს. შემდეგ გამაგრდნენ ოსმალები უკანასკნელ სიმაგრეებში და არ მისცეს ნება მარჯვენას მხრით ჩვენს ჯარს ზარბაზნის წინ წამოწევა სამჯობინარს პოზიციაზე. ამ დროს წავიწიეთ ჩვენ წინ და დაუწყეთ ზარბაზნის სროლა და რაკი უმთავრესი ყურადღება ოსმალების ბატარეისა ჩვენზედ იყო მოქცეული და შეუწყვეტლივ და ჩვენც წინ მივიწევდით, ამის გამო მოახწრეს მარჯვენას მხრით ზარბაზნების წინ წამოწევა და ამ სახით ვიფრინეთ ოსმალოს ბატარეია, ზედდატანებით ქვეითი ჩვენი ჯარი იერიშით წავიდა წინ... რაკი ჩვენი ქვეითი ჯარი მოექცა მტრის სანგრებში და გაიქცნენ ოსმალები, ამ დროს მარტო ჩვენმა ვლადიკავკასიის ყაზახის პოლკმა, ოსებიანად გადავუჭერით გზა ორ ბატალიონ ოსმალოს ქვეითა ჯარს, ჩავერიენით. შიგ აირია ხიშტი და ხმალი, ექვსასზედ მეტი გავკაფეთ. ამათგან ჯარში მხოლოდ ერთი ოფიცერი შეგვხვდა. თურმე დაჭრილი ყოფილიყო და როდესაც მივაგდე ცხენი და დავხჭყივლე — იავაშ ეფენდი! მაშინვე გადაყარა იარაღი.

მართალია, მტრები არიან, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, ძალიან ერთგულად იბრძვიან და ყოჩაღად... ხუთიათასს ამბობენ ოსმალოს ზარალს ამ შემთხვევაში, ჩვენი ქვეითის ჯარის მხრით ათას ხუთასი იყო დაჭრილი და დახოცილი, ამათ რიცხვში თორმეტი ოფიცერი“.

ქალაქ ლოვეჩზე რუსეთის იერიში დიდი წარმატებით დამთავრდა. „კავკაზის“ 28 აგვისტოს № 172-ში დაიბეჭდა დეპეშა: „23 აგვისტო. გენერალი თავადი იმერეტინსკი იტყობინება, რომ 22 აგვისტოს, 12 საათიანი ბრძოლის შემდეგ, აღებულია ლოვეჩი ძნელი ბუნებრივი პირობებისა და თურქების მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ლოვეჩის აღების დროს აღნიშნავდა გონივრულად ჩაფიქრებულ სამხედრო გეგმის ბრწყინვალედ განხორციელებას და წერდა: „შეტევების დროს უხეში ძალა შეცვალა ხელოვნებამო“.

1877 წელს გაზეთი „კავკაზი“ (№ 180) დაწვრილებით იტყობინებოდა ქალაქ ლოვეჩისათვის წარმოებულ ბრძოლებზე და, სხვათა შორის, აღნიშნავდა: „რუსეთის მთელს ძალებს ხელმძღვანელობდა გენერალი თავადი იმერეტინსკი“. „ალ. იმერეტინსკის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა“ („კავკაზი“, 1877 წ. № 177).

„დროება“ (№ 137, 1877 წ.) აღნიშნავდა: „გენერალ-მაიორი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი, რომელმაც ლოვჩა წაართვა ოსმალებს, არის იმერეთის ცარევიჩის კონსტანტინეს შვილი“.

დიახ, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი (ბაგრატიონი) იმერეთის უკანასკნელი მეფის დავითის შვილის-შვილი იყო. აი, რას წერდა დავითის, მისი შვილის კონსტანტინეს და მისი შვილისშვილის ალექსანდრეს შესახებ“ გაზეთი „კვალი“ (№ 41) 1895 წელს:

„უკანასკნელი მეფე იმერეთისა დავით, როგორც ვიცით, ირაკლი მეფის შვილიშვილმა, სოლომონ მეორემ, ძემ არჩილისამ, გადააგდო ტახტიდან, დავით მიიცვალა ახალციხეს. მისი შვილი კონსტანტინე, სოლომონ მეორემ დაამწყვდია მუხურის ციხეში.

დედა მისი დედოფალი ანნა გაემგზავრა დიდის ამალით რუსეთს და თხოვა ალექსანდრეს — ეშუამდგომლა, რომ სოლომონ II გაეთავისუფლებინა მისი ძე კონსტანტინე ციხიდან. ალექსანდრე პირველმა გამოუგზავნა საკუთარი ელჩი სოლომონ მეორეს ამ საქმეზე. მეფემ გაანთავისუფლა კონსტანტინე, რომელიც წავიდა რუსეთს... მან შეირთო ცოლი რუსეთში, ეყოლა სამი ვაჟი: ივანე, კონსტანტინე და ალექსანდრე, გენერალ-აუდიტორი, რომელმაც განითქვა სახელი მხედართმთავრობისა წარსულის რუს-ოსმალთა ომში ლოვეჩის აღებით. ამას უწოდებენ უგანათლებულეს თავადს იმერეთისას“...

ლოვეჩელმა ჟურნალისტებმა კარგად იციან ალ. იმერეტინსკის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამხედრო ოპერაციის ყოველი წვრილმანიც კი და ეს ოპერაცია ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის დროის სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად მიაჩნიათ.

ისე გატაცებით გვიამბობენ რედაქციის მუშაკები ქალაქის განთავისუფლებისათვის ჩატარებულ ბრძოლებზე, რომ თვალწინ გვიდგება ასი წლის წინანდელი სურათები.

— სწორედ ამ ადგილიდან ხელმძღვანელობდა თქვენი თანამემამულე ცხარე 12 საათიან ბრძოლას. აგერ, შორს, ხედავთ ქალაქისპირა ფერდობს? იქ გამაგრებულ მტერს ცხენდაცხენ მიადგნენ დონის კაზაკები, მარჯვნიდან კი

ვლადიკავკაზის პოლკის ქვეითები უტევდნენ, მარცხენა ფერდობებზე თავი გამოიჩინეს ოსებმა, — გვიხსნის ატანას ატანასოვი.

— რა იცით უფრო დაწვრილებით აქ მებრძოლ ოსებზე?

— მოდით, ჯერ წერილობით დავარწმუნოთ ოსების მონაწილეობაზე ლოვეჩის განთავისუფლებაში, — გვეუბნება ატანასი, — ეს ძალზე ადვილია.

— კი მაგრამ, აქ როგორ შეგიძლიათ წერილობით დაამტკიცოთ?

— ამავე ობელისკით.

ვერ მიუხვდით.

— მაშ, ახლა ობელისკის უკანა მხარე დავათვალიეროთ.

ობელისკის უკანა მხარეს დიდი წარწერაა: „მონაწილეობდნენ ბრძოლებში: კაზაკთა ესკადრონი, პოლკები: კალუგის, ლიბავის, რეველის, ფსკოვის, ყაზანის... ოსეთის დივიზიონი“.

აი, ეს წერილობითი მტკიცებაც. ოსების დივიზიონი!

— აი, ასე. ოსების დივიზიონი სარდლობამ შეარჩია ლოვეჩის განთავისუფლებისათვის, რადგან იცოდა ოსების სიმამაცის ამბავი. სწორედ აქ გამოიჩინეს მათ დიდი თავდადება მოძმე ბულგარელების განთავისუფლებისათვის, — ამბობს ატანასი — აქ, ოსების დივიზიონში განსაკუთრებით თავდადებით იბრძოდა დუდაროვის ასეული. საერთოდ, ძალზე დაწვრილებით არის აღწერილი ოსების დივიზიონის მოქმედება ლოვეჩის განთავისუფლებისათვის სამხედრო ლიტერატურაში, წერილებში, მოხსენებით ბარათებში, რომლებიც შევიდნენ ამას წინათ სოფიაში ბულგარეთის არმიის პოლიტიკური სამმართველოს მიერ გამოცემულ სქელტანიან ბიბლიოგრაფიაში. ცნობილია, რომ სახელგანთქმულ რუს სარდალს ი. გურკოს ყოველთვის თან ჰყავდა ოსების დივიზიონი. სოფიასთან წარმოებულ ბრძოლებში დივიზიონი მონაწილეობას იღებდა უშუალოდ ი. გურკოს ხელმძღვანელობით.

ჩვენ ერთხანს მდუმარედ ვიდექით გრანიტის ობელისკთან.

ლოვეჩს და ამ მხარეს ახსოვს ალექსანდრე იმერეტინსკი, ოსების დივიზიონი, მამაცი რუსი მებრძოლები.

აი, რატომ დაგვაინტერესა შემდგომ ლოვეჩის ოლქმა და მისმა ისტორიამ, მისმა დღევანდელმა დღემ.

ვერცხლისფერი მდინარე ოსიმი საუკუნეებით მოედინება ამ მხარეში, მწვანე გორაკებსა და იდუმალი გამოქვაბულების მქონე ლამაზ კლდეებს შორის, იმ ადგილებში, სადაც მაკედონიის მეფის ფილიპე II ჯარები სასტიკად დაამარცხეს თრაკიელებმა, ხოლო თვით მეფემ ბრძოლის ველზე ცხენი დაკარგა. გავიდა მრავალი წელი და მელტის (ასე ეძახდნენ ქალაქ ლოვეჩს ძველ დროს) სიმაგრეების კოშკებზე მზის სხივებზე აბრწყინდნენ რომაელი ლეგიონერების რკინის ქუდები. ქალაქის უძველესი სიმაგრე „ხისარიას“ ნანგრევები ინახავენ მრავალი სასტიკი ბრძოლის ისტორიას. აქ დამარცხდა ბიზანტიის იმპერატორი ისააკ II ანგელოსი და იძულებული გახდა ხელი მოეწერა ეგრეთწოდებულ ლოვეჩის ზავისათვის (1186 წელი). ლოვეჩის სიმაგრე დიდხანს ულობავდა გზას ოსმალოს ჯარებს. ოსმალთა ბატონობის ხუთი საუკუნის მანძილზე ამ ადგილებში პროტესტისა და დაუმორჩილებლობის სული ტრიალებდა. სწორედ ლოვეჩში ბულგარეთის თავისუფლების მოციქულმა ვასილ ლევსკიმ დააარსა პირველი რევოლუციური კომიტეტი და ქალაქი გადააქცია ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცენტრად.

ვაროშის ვიწრო ქუჩები აგიყვანთ ქალაქის ყველაზე მაღალ ნაწილში, სადაც აღმართულია ვასილ ლევსკის დიდებული ძეგლი. ყოველი ლოვეჩელი ღიმილით შეგხვდებათ და სურვილს გამოსთქვამს მიგაცილოთ თავისი სახელოვანი თანამემამულის — პირველი ბულგარელი კოსმონავტის გიორგი ივანოვის სახლამდე. პატარა, ყვავილებში ჩაფლული თეთრი სახლი, რომელიც კოსმონავტის მშობლებს ეკუთვნით, ყოველთვის მზად არის სტუმართმოყვარე კარი გაგიღოთ. „დეიდა ანასტასია“ და „ბიძია ივანე“ — ასე სიყვარულით უწოდებენ ივანოვის მშობლებს დღეს ლოვეჩელები.

ქალაქში კარგად იციან ტრადიციების შენახვა, არ ივიწყებენ ხალხის სახელოვან წარსულს და, ამავე დროს, ხელგაშლილები გეგმავენ მომავალს.

...მანქანამ ქალაქის რამდენიმე ქუჩა გაგვატარა და ატანასმა მძღოლი შეაჩერა.

მანქანიდან გადმოვედით.

— თქვენ პირველი ქართველი ხართ ამ ქუჩაზე. ეს ქუჩა — იმერეტინსკის ქუჩაა.

ფირნიშზე ამოვიკითხეთ: „იმერეტინსკის ქუჩა“.

აი, კიდევ ახალი მოულოდნელობა!

ჩვენ მივუყვებით მწვანე ხეებით და ვარდებით შემკულ ლამაზ ქუჩას ლოვეჩის ცენტრში. კოხტა შენობები, მოხერხებულად დადგმული ავტომობილის გარაჟები, ახალი მრავალსართულიანი სახლების მშენებლობები.

ახლობელი იყო თითქოს ირგვლივ ყველაფერი. რამდენიმე მცხოვრებს გამოველაპარაკეთ და როგორ გაიხარეს, როცა შეიტყვეს რომ საქართველოდან ვიყავით, სახლებში გვეპატიჟებოდნენ.

* * *

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ალ. იმერეტინსკი ჯერ პეტერბურგის სამხედრო ოლქისა და გვარდიის შტაბის უფრო-

სად, ხოლო 1881 წელს — რუსეთის მთავარ სამხედრო პროკურორად დანიშნეს. თორმეტი წლის მანძილზე მუშაობდა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

1892 წელს ალ. იმერეტინსკი, როგორც დიდი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს, ხოლო 1897 წელს დანიშნეს ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად და ვარშავის გენერალ-გუბერნატორად. აღსანიშნავია, რომ ამ თანამდებობაზე მან შეცვალა ფელდმარშალი ი. გურკო — სახელგანთქმული მხედართმთავარი და რუსეთის მოწინავე რაზმის უფროსი ბულგარეთის განმათავისუფლებელ ომში.

ალ. იმერეტინსკის ვარშავის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნასთან დაკავშირებით 1897 წლის ჟურნალ „კვალის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გ. წერეთლის წერილი — „უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი, შეცვლილი გვარით იმერეტინსკი“.

„ამ იანვარში მოვიდა რუსეთიდან ამბავი, რომ უგანათლებულესი თ. ალექსანდრე იმერეტინსკი დაინიშნა ვარშავის ღენერალ-გუბერნატორადო. ის ითვლება ამჟამად მთელ რუსეთში უნიჭიერეს მხედრად, მას აქეთ, რაც მან წარსულ ომში თავი ისახელა შესანიშნავი სტრატეგიული და ტაქტიკური ნიჭის გამოჩენით. ჭაბუკობის დროს ის მსახურობდა თავის სამშობლო ქვეყანაში და დაღესტანის ომებში გამოიცადა. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მან გაითქვა დიდი მხედართმთავრის სახელი წარსულ რუს-ოსმალოს ომში. ყველას ეხსომება ის შემაძრწუნებელი დრო, როდესაც ბულგარეთში მთელი რუსეთის მხედრობას განის გზათ შეეჭრა სახელგანთქმული ოსმან ფაშა პლევნაში და ჰლამობდა მთელი რუსეთის არმია შუაზე გაეჭრა. იმან ორჯერ საშინლად დაამარცხა ღენერალი კრიდერები და სკობელევი. ორითვის განმავლობაში მას შიშში ჰყავდა მთელი რუსეთის ბალკანის არმია. ამ დროს არმიის შტაბის უფროსად იყო უგანათ. ალექსანდრე იმერეტინსკი. მან შეთხზა ახალი სამხედრო გეგმა, რომ ოსმან ფაშას პლევნაში გარს შემორტყმოდა და მთელი თავისი მხედრობის ტყვედ წამოეყვანა.

ამ განზრახვით მან ჯერ იერიშებით აიღო ლოვეჩა და მერე დუბინიაკი, რაკი ეს ორი სტრატეგიული ბურჯი წაართვა ოსმალეთის გამოჩენილ მხედართმთავარს და ამით მოუსპო მას გზა, რომ სურსათი და ახალი ჯარები ველარ მიშველებოდნენ კონსტანტინეპოლიდან, შემდეგ მისი ტყვედ წამოყვანაც ადვილი შეიქმნა, თვით ბალკანის ქედზე გადასვლა და კონსტანტინეპოლის ქალაქამდის იერიშის მიტანა უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერეტინსკის საქმე იყო“ — წერდა გ. წერეთელი.

ბოლოს ავტორი დასძენდა:

„როგორც კაცი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი, დიდი გულმობიერი და ფრიად პატივცემული. ამით აიხსნება მისი დანიშვნა ვარშავის ღენერალ-ღუბერნატორად. ის არის ჩინებული მიმღები, ხათნო მოლაპარაკე და მიუდგომელი მოსამართლე“.

სწორედ ასეთმა ადამიანმა, ალექსანდრე იმერეტინსკიმ დიდი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა პოლონეთის საზოგადოებისადმი: ვარშავაში დააარსა პოლიტექნიკუმი, გახსნა სავაჭრო სასწავლებლები. მანვე ნება დართო ვარშაველებს აეგოთ დიდი პოეტის ადამ მიცკევიჩის ძეგლი ვარშავაში (იხ. გაზეთ „ივერია“, 1900 წლის № 256).

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი (ბაგრატიონი) იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც თავიანთი მაღალი ნიჭით, ადამიანურობით და მამაცობით ბულგარეთისა და პოლონეთის ხალხებში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს, ასახელეს საქართველო და ნამდვილი ინტერნაციონალისტური სულისკვეთება გამოიჩინეს.

სწორედ ალექსანდრე იმერეტინსკიმ, ალექსი წერეთელმა, კონსტანტინე ჭილაშვილმა, ნიკო დადიანმა-მინგრელსკიმ, გიორგი ჯორჯაძემ და სხვა ქართველებმა, რომლებიც ბულგარეთში ჩამოვიდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ბულგარელი ხალხის განთავისუფლებაში ოსმალეთის იმპერიის ხუთსაუკუნოვანი ბატონობისაგან, საფუძველი მისცა ბულგარეთის ლიტერატურის დიდ პატრიარქს ივანე ვაზოვს სოფიიდან მოეწერა თბილისში თედო სახოკიასთვის: „ქართველთა გმირობა, რომელიც ჩემთვის ძველთაგანვე იყო ცნობილი, კვლავ საქვეყნოდ თვალსაჩინო გახდა ჩვენი ხალხის გამანთავისუფლებელ 1877-1878 წლების ომის დროს, როდესაც თქვენი მამაცი მეომარნი ჩვენს თანამემამულეებთან და რუს ძმებთან ერთად თურქებს ებრძოდნენ“.

სწორედ ეს დიდი ტრადიციაც უდევს საფუძვლად საბჭოთა და ბულგარელი ხალხების დღევანდელ ძმურ მეგობრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# მოგონებების რამდენიმე ფურცელი

## პატრიარქი

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სახელოვანი მოწაფე, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ფიზიოლოგი ქუჯი ძიძიშვილი თავის შესანიშნავი მონოგრაფიის „ქართული ფიზიოლოგიის დუდაბოძის" ბოლოში წერს: „...არ გადაშენდება ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა, თუ კვლავაც გვეყოლებიან ივანე ბერიტაშვილის დარნი; ალალნი და გულმართალნი, პირდაპირნი და უშუალონი, უმწიკვლონი და პრინციპულნი, ყველა მათი შემრისხავნი, ვინც მეცნიერებას პირადი კეთილდღეობის და ფუფუნების საწყაულად მიიჩნევენ; არ გადაშენდება ჩვენი შთამომავლობა, თუ კვლავაც დაიზრდებიან მისებრ გამრჯელნი და ნიადაგ მშრომელნი, მისებრ ქედუხრელნი და ურყევი ნების ადამიანები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ ამბავს, რომ იყო ამ სოფლად კაცი, ვისაც მეცნიერებით ედგა სული, ვინც ერისა და კაცობრიობის სასიკეთოდ იღწვოდა და რომ ეს კაცი ივანე ბერიტაშვილი იყო". ბ-ნი ივანეს პორტრეტი დიდებულად არის დახატული, ჩვენი ეს პატარა მოგონებები მას ვერაფერს ვერ შემატებს. ჩვენ მხოლოდ მისი გახსენება გვსურს, გვინდა პატივი ვცეთ მის ხსოვნას და მოვიგონოთ რამდენიმე მომენტი მისი ცხოვრებიდან.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი უნდა აერჩიათ, ადგილი ვაკანტური იყო. ასარჩევთა შორის კულუარებში ვის არ ასახელებდნენ, წინასაარჩევნო ვნებათა ღელვას ყველა მოეცვა. ამბობდნენ ახალი აკადემიკოს-მდივანი ბიოლოგიური მეცნიერების წარმომადგენელი იქნება, დ. ტ. ლისენკო ამ მნიშვნელოვან პოსტს საკუთარი ლოცვისა და კურთხევის გარეშე არ დატოვებსო. ყველას კარგად ახსოვდა, რომ ზოგიერთი გამოჩენილი მეცნიერი თავის პრინციპულ შეხედულებებს ფიზიკურად შეეწირა, ზოგი კი მეცნიერული საზოგადოებიდან მთის წესით იქნა მოკვეთილი. ბიოლოგიური მეცნიერების ადრინდელი ჭრილობა ფარულად ღრმავდა და გართულდა. ჩუმად ლულლულებდნენ: აკადემიკოს-მდივნად რომელიმე ლისენკოელის არჩევა მეცნიერულ ატმოსფეროს კიდევ უფრო ჩამოაბნელებსო. აკადემიის პრეზიდენტმა შესანიშნავად იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ როგორც მაშინ ამბობდნენ, აბა, მას რა შეეძლო. და მაინც ეძებდნენ კაცს, რომელიც დენის ტროფიმეს ძე ლისენკოსთან კარგად იყო და არც კლასიკური ბიოლოგიის მიმართ იქნებოდა მტრულად განწყობილი. ყველანი დიდი ინტერესით ელოდნენ ამ ყველასათვის მისაღებ კანდიდატს...

დაასახელეს: ნორაირ მარტიროსის ძე სისაკიანი. დარბაზში მრავალმა დამსწრემ შვებით ამოისუნთქა; ცხოვრებაში თუ კი არსებობს ოქროს საშუალო ხაზი, ამ შემთხვევაში სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. ნ. სისაკიანი ჭკვიანი და გამოცდილი, კარგი მეცნიერი და ორგანიზატორი იყო. მას ბიოლოგიური მეცნიერების ორივე ბანაკთან შეეძლო თანამშრომლობა.

პრეზიდენტმა ნესმეიანოვმა მომავალი აკადემიკოს-მდივანი შესანიშნავად დაახასიათა. დარბაზი სულგანაბული უცდიდა შემდეგ გამოსვლებს. მსურველები არ ჩანდნენ. ის-ის იყო კანდიდატისათვის კენჭი უნდა ეყარათ, დარბაზში ივანე ბერიტაშვილი წამოდგა. ყველა ერთი

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 2.

12. „მნათობი", № 4.

მოძრაობით შეირხა და დარბაზს კვლავ სიჩუმის ზეწარი გადაეფარა. ბატონმა ივანემ დამსწრეთ დინჯად მიმართა:

— მე ნორაირ მარტიროსის ძე სისაკიანს პატივს ვცემ, მისი პიროვნების, როგორც მეცნიერის, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ თქვენ, ამ უზარმაზარ მეცნიერთა არმიას ნუთუ არ შეგიძლიათ იყოთ უფრო პრინციპული, ნუთუ არ შეგიძლიათ ისეთი კაცი დაასახელოთ, რომელიც ადვილად არ დაექვემდებარება დაუსაბუთებელ ნათქვამს და გაბედულად იბრძოლებს სიმართლისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ამ სიმართლის წინააღმდეგი, დიდი თუ პატარა მეცნიერი. მე პირდაპირ გეტყვით, აკადემიკოს-მდივნად შესანიშნავი იქნება აკადემიკოსი ანდრია ლევოვის ძე კურსანოვი. იგი აქ მგონი ყველაზე მაღალია და ეს კიდევ უკეთესია, შორიდანაც კარგად ჩანს.

ბ-ნი ივანე ცოტახნით გაჩერდა, პრეზიდიუმისაკენ დაჟინებით გაიხედა და დაამთავრა:

— მე გატყობთ, რომ ჩემი სიტყვა არ მოგეწონათ. იყოს ასე, მით უარესი თქვენთვის.

აკადემიკოს-მდივნად ნორაირ სისაკიანი აირჩიეს. იგი ამ პოსტზე სიკვდილამდე მუშაობდა. შემდგომში ხშირად იგონებდა ხოლმე:

— ბატონმა ივანემ მე მაშინ დიდი ვალი დამდო, ყოველთვის ვცდილობდი, რომ მისი მაშინდელი გამოსვლა ჩემი მოქმედების ძირითადი პრინციპი ყოფილიყო. მართლაც, ჭეშმარიტი მეცნიერი ისეთი პირუთვნელი და პრინციპული უნდა იყოს, როგორც ივანე სოლომონის ძეა.

ბ-ნი ივანე და აკადემიკოს-მდივანი ნორაირ სისაკიანი ერთმანეთს ყოველთვის დიდი პატივისცემით ექცეოდნენ და თავისი კეთილი საქმიანი ურთიერთობით გამოირჩეოდნენ.

* * *

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე გასული წლის მუშაობის ანგარიში ირჩეოდა. აკადემიის ყველა დაწესებულებას, ყველა მეცნიერს წარმოედგინა წლის მოსავალი. მონაწილენი გააკვირვა ივანე ბერიტაშვილის უხვმა შემოდგომამ. 80 წელს გადაცილებული მეცნიერის მიერ ერთი წლის მანძილზე ამდენი ნაშრომი, ასეთი მონოგრაფიები! რამდენიმე დამსწრე მეცნიერმა თავისი გაკვირვება ხმამაღლა გამოთქვა. ერთ-ერთმა აკადემიკოსმა იხუმრა:

— პრეზიდენტს ვთხოვოთ, რომ დაწერილი მონოგრაფიების მიხედვით დაადგინოს ხოლმე ავტორის წლოვანება, მაშინ აქ ყველაზე ახალგაზრდა ივანე სოლომონის ძე აღმოჩნდება.

აკადემიის საერთო კრების შემდეგ, როდესაც თბილისში დავბრუნდით და ბატონი ივანე აკადემიის პრეზიდიუმში მობრძანდა, კვლავ გავაგრძელეთ საუბარი შრომების გაფორმებისა და მონოგრაფიების წერის შესახებ; გვინდოდა გაგვეგო მისი გონებრივი შრომის თავისებურებანი. ბატონმა ივანემ თავისი შეხედულებები ასე ჩამოაყალიბა:

— კვლევის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მე ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია ყოველდღიური კითხვა და წერა და უწყვეტი ექსპერიმენტი. ყოველთვის, როდესაც მე სტატიას ან წიგნს ვწერ, თვალწინ მყავს მსოფლიოში რამდენიმე გამოჩენილი ფიზიოლოგი-მეცნიერი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მე მათთვის, მათ დონეზე, მათი გემოვნებისა და მიმართულებების გათვალისწინებით ვწერ. სხვადასხვა წიგნის წერის დროს, რა თქმა უნდა, ეს ნიშანსვეტები სხვადასხვაა; რას იზამ, ზოგი მეცნიერი წინ მიდის, ზოგი უკან, ზოგიც სულ ახალი ჩნდება. რაც შეეხება იმას, თუ სად უნდა დაბეჭდო, გამოაქვეყნო სტატია, ამაზეც მე ჩემი საკუთარი შეხედულება მაქვს, თქვენ ალბათ მას არ გაიზიარებთ. ჩემთვის სულერთია, თუ რომელ პერიოდულ ჟურნალში ან რომელ გამომცემლობაში დაიბეჭდება. ჩემი შრომა თქვენ სადაც გინდათ იქ დაბეჭდეთ, მხოლოდ მე მომეცით კარგად გაფორმებული ასი ან ორასი ეგზემპლარი. ამონაბეჭდებს მე თვითონვე გავუგზავნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე გამოჩენილ მეცნიერებს და ჩვენ საქმიანობასთან ახლოს მყოფ მეცნიერულ სკოლებსა და ჯგუფებს. ასეთი წესი მნიშვნელოვნად აჩქარებს კიდეც ინფორმაციის შეღწევას საჭირო მეცნიერულ ცენტრებში. ახლა ხომ ამის გარეშე მეცნიერული კვლევა შეუძლებელია.

ბატონ ივანეს თავისი შრომის პრინციპისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია. მეცხრე ათეული წელიც ისეთივე ნაყოფიერი იყო, როგორც წინა ათეული წლები. მის გარდაცვალებამდე თერთმეტი დღით ადრე მივიღე მისი მონოგრაფია: „ხერხემლიანთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა“ (რუს. ენაზე) წარწერით: „ფრიად პატივცემულ სერგო დურმიშიძეს ვუძღვნი ჩემ ახალ შრომას. აკად. ი. ბერიტაშვილი. 18. XII. 1974“.

* * *

ერთ დღეს ბატონი ივანე ჩვეულებრივზე უფრო ჩაფიქრებული მობრძანდა აკადემიაში. შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში. ჩაჯდა სავარძელში, ორივე ხელით დაეყრდნო ხელჯოხს და დაიწყო:

— ამ ცოტა ხნის წინათ გურჯაანელებმა დამპატიჟეს. ჩემთან ერთად მიწვეული იყო მრავალი სხვა პირი. ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი შვილია. შეხვედრა ძალიან კარგად ჩატარდა. გამოვიდნენ მოგონებებითაც. მეც გავიხსენე ჩემი ბავშვობა და სიყრმის დროის ამბებიც მოვყევი. მე ხომ ვეჯინიდან ვარ. სხვა

ამბებს შორის მოვიგონე რევოლუციური პერიოდიც და გავიხსენე, თუ როგორ ვავრცელებდი მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს და ის ამბავიც მივაყოლე, თუ როგორ გადამარჩინა ერთმა გურჯაანელმა გლეხმა პოლიციელის ცემას. სხვაც ბევრი რამ იყო ნათქვამი. ხალხმა დიდი პატივი გვცა. ყველაფერი ძალიან მომეწონა და გურჯაანიდან მეტად ნასიამოვნები დავბრუნდი.

ამ ერთი კვირის წინათ მოვიდა ერთი გურჯაანელი ახალგაზრდა და განმიცხადა:

— პაპა ივანე, მე იმ კაცის შვილიშვილი ვარ, ვინც თქვენ ახალგაზრდობისას პოლიციის მიერ გამათრახებას გადაგარჩინა და მომეხმარეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდე. აგე მესამე წელია მისაღებ გამოცდებს ვაბარებ და არ იქნა და ვერ მოვაგროვე ნიშნების საჭირო რაოდენობათ.

— სერგო, შენ ხომ იქ ასწავლი. გაიგე ერთი, რაშია საქმე და იმ ბიჭს მოეხმარე. მე გაფრთხილებული მყავს და ამ დღეებში თვითონ მოვა შენთან.

მე ამ დროს უკვე აღარ ვმუშაობდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მაგრამ ბატონ ივანეს აბა ამას როგორ გავუბედავდი. შემატყო, რომ ჩავფიქრდი და საუბარი გააგრძელა:

— მე ვიცი ახლა შენ რასაც ფიქრობ. მაგრამ რას ვიზამთ. სამჯერ ხომ იყო გამოცდებზე, ეტყობა სწავლა მართლა უნდა, საგამოცდო ნიშნების ჯამში მომავალი სწავლის სურვილები ჩანს. თუ შეგიძლია კაცს დაეხმარო უარი რატომ უნდა უთხრა.

ძველი ამბავი რომ არ მომეგონებია, ეს ბიჭი ხომ ვერ მომნახავდა; ისედაც, ჩემს სოფელში, ჩემს მეზობლებში ჩემი ბავშვობის ნაცნობებსა და ამხანაგებს რომ შევხვდი, წარსულის ამბები თვალწინ დამიდგა და ნამდვილად მომინდა ბევრი რამის ხმამაღლა მოგონება. — დაამთავრა ბატონმა ივანემ.

ახალგაზრდა გურჯაანელი კარგი ბიჭი აღმოჩნდა. სათანადო კონსულტაციებისა და ორი თვის მეცადინეობის შემდეგ მისაღები გამოცდები კარგად ჩააბარა.

შემდგომში ბატონი ივანე ამ შემთხვევას სიცილით იგონებდა ხოლმე.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი, როგორც პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, სხდომებზე ყოველთვის თავის დროზე მოდიოდა. ზოგჯერ ადრეც გამოცხადდებოდა და ნიკო მუსხელიშვილთან ერთად ჩაიკეტებოდა. თუ პრეზიდენტს მოულოდნელად რაიმე საქმეზე გამოიძახებდნენ, მაშინ ბ-ნი ივანე ჩემს სამუშაო ოთახში უცდიდა ხოლმე მას.

ერთხელ ფიზიოლოგიის პატრიარქი ადრე მობრძანდა. საზაფხულო ლაბადა ჩემთან დატოვა და ბატონ ნიკოსთან შევიდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კვლავ მომიბრუნდა. ჩაფიქრებული იყო. როდესაც ლაბადა ჩაიცვა და ოთახიდან უნდა გასულიყო, შევნიშნე, რომ ჩემი საზაფხულო პალტო ეცვა. მოკრძალებულად შევკადრე:

— ბატონო ივანე, თქვენ ჩემი ლაბადა გაცვიათ, თქვენი კი აი აქ არის-მეთქი, — ვაჩვენე. შემობრუნდა. ჯერ პალტოს დახედა და შემდეგ მე დამაკვირდა.

— შენ რა ხუმრობის ხასიათზე ხარ, აკადემიაში ასეთი რა მოხდა. — მითხრა და კარებში გავიდა.

რა მექნა არ ვიცოდი, უხერხული იყო, აშკარად ეტყობოდა, რომ თავისი პალტო არ ეცვა. ამ დროს ბატონი ნიკო შემოვიდა. მომისმინა და დამაიმედა:

— არა უშავს რა, სახლში მანქანით წავა, იქ კი ოლღა ანტონის ასულს ეგ არ გამოეპარება ახლავე გარაჟიდან მანქანა გამოიძახე და საკუთარი ლაბადა სახლში გაუგზავნეთ.

დარეკვა ვერც კი მოვასწარი, რომ კარებში პირმოცინარი ბატონი ივანე შემოვიდა და მე მომმართა:

— შენ მართალი ყოფილხარ, პირველ სართულზე რომ ჩავედი, გარდერობში მომუშავე ქალმა გამაფრთხილა:

— ივანე სოლომონის ძევ, თქვენ სხვისი ლაბადა გაცვიათო.

ბატონმა ნიკომ სიცილით ჰკითხა:

— ივანე სოლომონის ძევ, ჩვენს აკადემიკოსმდივანს შენთან რატომ არა აქვს ავტორიტეტი?

— ნიკოლოზ ივანეს ძევ, თქვენ ხომ იცით, რომ ყველა კაცს თავისი ავტორიტეტის ზონა აქვს! აბა, დურმიშიძემ ტანსაცმელების რა იცის! გარდერობის მუშაკი აქ აკადემიკოს-მდივანიც არის და პრეზიდენტიცო.

* * *

ივანე ბირატაშვილი 80 წელზე მეტი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. განსაკუთრებით აქტიური იყო, როდესაც მსჯელობა ბიოლოგიისა და მედიცინის პრობლემებს შეეხებოდა. პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, რომ ფიზიკის ინსტიტუტთან რეაქტორი აეშენებიათ. საჭირო იყო რეაქტორის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევა მცხეთის რაიონში. ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა რეაქტორისათვის მუხათგვერდი შეარჩია და თხოვა პრეზიდენტს ადგილის შესამოწმებლად კომისია გამოეყო. რეაქტორისათვის შესაფერი ადგილის გამოყოფისათვის მუხათგვერდში გაემგზავრნენ ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ძოწენიძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი,

პრეზიდიუმის სწავლული მდივანი დავით ფურცელაძე, აკადემიის მშენებლობის უფროსი გოგი ჯანდიერი და ამ სტრიქონების ავტორი.

მუხათგვერდი ყველას მოეწონა, ნავარაუდევი ფართობი ყოველმხრივ მისაღები აღმოჩნდა, ელეფთერ ანდრონიკაშვილის წინადადებას ერთხმად დაეთანხმნენ. უკან დაბრუნებისას ჩემი წინადადებით მტკვრის პირას სასაუზმეში შევედით. ბუნების წიაღში ყოფნამ და პერსპექტიული საქმის საფუძვლის ჩაყრამ ყველას გუნება-განწყობილება გაუხალისა. თამადად ერთხმად ბატონი ივანე ავირჩიეთ. ფიზიოლოგიის პატრიარქი ამ საქმეშიაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. შესანიშნავად თამადობდა, სუფრა ბრწყინვალედ მიჰყავდა, თუმცა მუკუზნურ ღვინოსთან მხოლოდ სიმბოლურ ურთიერთობაში ბრძანდებოდა. ისეთ საინტერესო ამბებს გვიამბობდა, დაშლა აღარ გვინდოდა.

მეორე დილით ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა გამომიძახა და შეწუხებულმა მომმართა:

— რა მოხდა, გუშინ სად იყავით, ივანე ბერიტაშვილი წუხელ ავად გამხდარა.

ხომ წარმოგიდგენიათ, ამის გამგონეს რა მომივიდოდა! საყვედურს ყველა მე მეუბნებოდა და ჭკუას გულუხვად მასწავლიდა:

— ეს როგორ გაბედეთ, ბატონი ივანე სად შეგიყვანიათ, მერე თამადათაც რომ აგირჩევიათ? თქვენში დამჭერი ჭკუის არავინ იყო?!

რა მექნა აღარ ვიცოდი. არაფრის თქმა არც შემეძლო და არც მორალური უფლება მქონდა. ძლივს-ძლივობით დაღამდა.

მესამე დღეს დილით სახლში ტელეფონის ზარი შემომესმა. არ გინდა აიღო და მოისმინო... ვინ იცის როგორ არის ბ-ნი ივანე! ყურმილთან ივანე ბერიტაშვილი იყო.

— დურმიშიძე, როგორა ხარ: მართალი მოთხარი, ხომ კარგი თამადა ვიყავი. შენ არავის არაფერი დაუჯერო, მცხეთაში ჩვენი მოგზაურობა შესანიშნავი იყო, ყველაფერი მომეწონა — მუხათგვერდიც და ჩვენი სუფრაც. თუ ვინმემ გკითხოს რატომ ივანე იყო თამადაო, აუხსენი, რომ ძველ საქართველოში თამადობა სახელო საქმე იყო. თამადობას ყველას არ მიანდობდნენ. თამადას აზრი და ჭკუა მოეთხოვებოდა. ქართული სუფრა ღრეობის ადგილი სულაც არ იყო.

აბა მოიფიქრე, შემდეგ სად წავიდეთო. — ლაღად და გულიანად იცინოდა ბ-ნი ივანე.

* * *

ბატონ ივანეს ახალგაზრდული ინტერესი და ოცნება, უშრეტი ენერგია და ნათელი გონება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შერჩა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე აკადემიის პრეზიდენტი ილია ვეკუა და მე ბატონ ივანეს ოჯახში ვესტუმრეთ. მისალმებაც კი ვერ მოვასწარით, რომ მან საუბარი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მომავალ დირექტორზე დაიწყო: დირექტორს არჩევის ვადა გაუვიდა და საჭირო იყო ხელახალი არჩევა. ბატონი ივანე მისთვის ჩვეული პირდაპირობით ახასიათებდა თითოეულ — მოსალოდნელ კანდიდატს. ძლივს დავარწმუნეთ რომ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვიყავით მოსული. მისი რეაქცია არ იყო გასაკვირი; საქმე ხომ მის მიერ დაარსებულ და დავაჟკაცებულ ინსტიტუტის მომავალ ბედ-იღბალს ეხებოდა. როგორც თვითონ ამბობდა ასეთ საქმეში შეცდომა, სულ მცირე მეცნიერთა სამ თაობას მაინც დაუჯდებოდა ძვირად.

როდესაც დარწმუნდა რომ ვინც მას არ უნდოდა მისი დირექტორად დანიშვნა აკადემიის ხელმძღვანელობას არც კი უფიქრია, მაშინ მოგვიკითხა, როგორა ხართო და დისციპლინის რა ახალი ფორმა გამოიგონეთ, რომ მეცნიერს მუშაობა არ დააცალოთო. ბატონი ილია, როგორც ყოველთვის, ახლაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა:

— ჩვენ ახლა დისციპლინის ახალ ეტაპზე ავედით, მეცნიერთანამშრომლებს არავითარ მუშაობას აღარ ვთხოვთ, მხოლოდ ჯამაგირის აღებაა სავალდებულოო.

საუბარი ნორმალურ კალაპოტში მოექცა და ბატონი ივანეს მეუღლემ ქალბატონმა ოლღა ანტონის ასულმა სუფრასთან მიგვიწვია. ჩვენ, სტუმრებს, გვაინტერესებდა ბატონი ივანეს ცხოვრების რეჟიმი და კითხვას კითხვაზე ვაძლევდით.

— მე ვცხოვრობ ოლღა ანტონის ასულის მიერ დადგენილ წესების მიხედვით, იმას ჰკითხეთ, რა მეცნიერული დებულებებით სარგებლობს არ ვიცი, — გვიპასუხა ბატონმა ივანემ როდესაც აღარ მოვეშვით, ზოგი რამ მაინც გვითხრა:

— კვებაში მთავარია ზომიერება; ჭამეთ ყველაფერი მხოლოდ ცოტ-ცოტა. ადამიანის მთავარი მტერია გაძღომა, შიმშილი კი უახლოესი მეგობარი.

— სერგო, შენ თუ ჯანმრთელობაზე ამდენს ფიქრობ, რატომ დადიხარ მოხრილი. არც შენი ჯდომა მომწონს. ახლა რომ ასე ხარ, ჩემი ხნის რომ იქნები, რას დაემსგავსები. ხომ ხედავ ილია როგორი ალვის ხესავით არის, ასე უნდა იყო. მე ზოგჯერ ზურგით კედელს ავეკრობი და ისე ვისვენებ. თუ დაკვირვებულხარ ამას დრო და დრო პრეზიდიუმის სხდომებზეც ვაკეთებ. თუმცა რას გიხსნი, ბიოქიმიკოსები რას გაიგებთ, თქვენ ხომ ერთ უჯრედს ჩაჰკირკიტებთ. — დაასრულა შეგონება ბატონმა ივანემ.

კორიდორში შვედური კედელი იყო, შეამჩნია, რომ მას ვათვალიერებდი და განმარტა.

— დიდებულია, უკეთესი სავარჯიშო ბუნებაში მაიმუნებსაც კი არ გააჩნიათ.

ბატონმა ილიამ საუბარი ფიზიოლოგიის ინს-

ტიტუტის მომავალ შენობაზე გადაიტანა; ბატონ ივანეს ეს საკითხი ყოველთვის აღელვებდა. ისინი თანდათან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საქმიანობის განხილვაზე გადავიდნენ. წამოსვლის წინ ბატონ ივანეს კიდევ ერთხელ შევბედე:

— რა აზრის ბრძანდებით, სადილის შემდეგ ძილი სასარგებლოა თუ არა.

— ალბათ სასარგებლოა, ასე რომ არ იყოს, ცხოველები გამოკვების შემდეგ არ დაიძინებდნენ. და საერთოდ გახსოვდეთ: თუ მრჩეველი არ გეყოლება ცხოველების მოქმედებას დააკვირდი, მათგან ბევრი რამ შეგიძლია ისწავლო, ჩვენ ფიზიოლოგები მათგან საკმაოდ ვართ დავალებულნი. თუმცა შენ რას გაიგებ გამოუსწორებელი მემცენარე ხარ. — ღიმილით მიპასუხა ბატონმა ივანემ.

აკადემიაში დაბრუნებისას პრეზიდენტი აღტაცებული იყო:

— შესანიშნავად არის, ეჭვი არ არის რომ ბატონ ივანეს კიდევ მრავალი წლის სისხლსავსე სიცოცხლე უწერია!

## ქალბატონი ანიკო

ცოლ-ქმარმა ანიკო თარხნიშვილმა და კოტე აბდუშელიშვილმა, როგორც ცნობილია, თვალისჩინივით მოუარეს აკაკის პირად ნივთებს, სახლ-კარსა და მამულს; საფუძველი ჩაუყარეს აკაკის ახლანდელ სახლ-მუზეუმს. ქალბატონი ანიკო ამ ეროვნულ საქმეს ათეული წლების განმავლობაში თავდადებულად ემსახურებოდა. მუდამ მზად იყო ყველასათვის ყველაფერი ეჩვენებინა და დაუღალავად ეამბნა აკაკის შესახებ დაბადებიდან სიკვდილამდე. ქალბატონ ანიკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას ვინმე ალბათ სპეციალურ მონოგრაფიულ ნაშრომს მიუძღვნის. მე კი ამ მცირე მოგონებაში მისი ცხოვრებიდან მხოლოდ ისეთ ორ მომენტს მინდა შევეხო, რომელთა შესახებაც ქალბატონ ანიკოსაგან მე უშუალოდ მომისმენია.

ანიკო მრავალი კარგი საქმის მოთავე და მონაწილე ბრძანდებოდა. მან თავისი პირადი მაგალითით დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ მოსწავლეთა სულიერ ცხოვრებაზე. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან.

საჩხერის რაიონის ყველა სკოლის მოსწავლეები მორიგეობით მიყავდათ აკაკის სახლ-მუზეუმში. აკაკის ცხოვრების ეპოპეა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩვენზე. საუბრის დასასრულს თვალებანთებული თარხნიშვილის ქალი იდგა მოციქულივით აკაკის სარეცელთან და ჩვენ თვალნათლივ ვხედავდით პოეზიის ზევსის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს. მაშინ როცა მონუსხულივით ვიდექით აკაკის ოთახში, ქალბატონმა ანიკომ მოულოდნელად მოგვმართა თხოვნით:

— იქნებ რომელიმე თქვენთაგანს სურს მგოსნისადმი თავისი განცდა, ოცნება თუ სიყვარული გამოთქვას ლექსად. მე გთხოვთ აქვე, აკაკის ჭერქვეშ შეასრულოთ. ერთ ლექსს, თქვენ ნაწარმოებთა შორის ყველაზე საუკეთესოს, დავკიდებთ აქ, აკაკის ოთახში...

1923 წელს, როდესაც მე პირველად მოვისმინე ქალბატონ ანიკოს ეს უჩვეულო თხოვნა, აკაკის ოთახის კედლებზე უკვე რამდენიმე ათეული ლექსი ბინადრობდა. ამის გამო საჩხერის რაიონის თითქმის ყველა სკოლაში მომრავლდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალები. მოწაფეები გამალებით სწავლობდნენ აკაკის მემკვიდრეობას და თხზავდნენ ლექსებს. გაჩნდნენ ქალბატონ ანიკოს „ლაურეატებიც“; ხშირად ისმოდა პატარა მეოცნებეთა პოეტური ტიტინი...

აკაკი წერეთლის მოურავი კოტე აბდუშელიშვილი და მამაჩემი მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ. ასეთ ურთიერთკავშირს ისიც უწყობდა ხელს, რომ მამაჩემის დედა აბდუშელიშვილის ქალი იყო და მისი ძმის შვილი დათიკო (შემდგომში ცნობილი მსახიობი და რეჟისორი დავით აბდუშელი) ცხრაასიან წლებში აკაკის პირადად ემსახურებოდა (მგოსანი შვილისადმი პარიზს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში მას „ჩემს დათიკოს“ უწოდებს). ამ გარემოებათა გამო ბატონი კოტე და მისი მეუღლე ჩვენს ოჯახს კარგად იცნობდნენ.

მე მათთან სხვიტორში ხშირად ვყოფილვარ, როგორც სტუდენტობის დროს, ისე შემდეგშიაც. როდესაც ბატონი კოტე უკვე აღარ იყო, ქალბატონ ანიკოს ყოველთვის უყვარდა ძველი ამბების მოყოლა, განსაკუთრებით იმ ამბავის მოგონებას განიცდიდა, რომელსაც ახლა მე თქვენ გადმოგცემთ.

1918 წელს საჩხერის რაიონში ბოლშევიკურმა აჯანყებამ იფეთქა და რამდენიმე დღის განმავლობაში რაიონი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მდგომარეობა მალე კვლავ შეიცვალა და მენშევიკთა დამსჯელმა სამხედრო რაზმებმა სოფლებში დაიწყეს თარეში. მათ სხვა საეჭვო პირებიც შეუერთდნენ და მოსახლეობას ძარცვავდნენ. ერთ საღამოს სამი ასეთი მძარცველი სხვიტორში აკაკის სახლსაც მიადგა. ბატონი კოტე აბდუშელიშვილი საჩხერეში საქმეზე იყო წასული, ოჯახის დანარჩენი წევრები მეზობლებში გადასულიყვნენ და ანიკოსთან ერთად მხოლოდ პატარა ბიჭი და ერთი შუახნის ქალი იყო. კარგად იყო შეღამებული, როდესაც ავაზაკებმა მეორე სართულზე იმ ოთახს მიაშურეს, საიდანაც სინათლე აშუქებდა. ქალბატონი ანიკო მათ მალე მიუხვდა განზრახვას და დიდ დარბაზში შეიყვანა. დაუპატიჟებელ სტუმრებს იგი რაც შეიძლებოდა მშვიდად და დაწვრილებით უყვებოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს სახლი, ვინ ცხოვრობდა მასში, რა მნიშვნელო-

ბა ჰქონდა აქ დაცულ ნივთებს. „სტუმრებმა“ ერთხანს უსმინეს და შემდეგ პირდაპირ მიმართეს:

— ჩვენ გაგვიგონია, რომ თქვენ შენახული გაქვთ თავადის ნაქონი ძვირფასი ნივთები. ეს ძვირფასეულობა უნდა გვიჩვენოთ.

მეტი გზა არ იყო. ანიკო შეიარაღებულ ავაზაკებს იმ ოთახში შეუძღვა, სადაც აკაკი დაიბადა და გარდაიცვალა. სამივენი სდუმდნენ, ეტყობოდა არ მოეწონათ, რომ მათთვის საკაბილო არაფერი ჩანდა. ერთმა მათგანმა აკაკის ფეხსაცმელი აიღო ხელში, დაათვალიერა და უკანვე დადო. მეორემ, უფრო მაღალმა და გამხდარმა მგონის პალტო მხრებზე მოიგდო და ისე სინჯავდა. ანიკო არ დაიბნა და შეეხვეწა:

— ამას ნუ წაიღებთ. თქვენ არ გამოგადგებათ. ჩვენთვის კი დიდი დანაკლისი იქნება. ეს ძველი პალტო დამიტოვეთ და სამაგიეროდ ახლავე ჩემი მეუღლის სრულიად ახალ ქურქს მოგართმევთ.

ანიკოს თანამდგმურმა ქალმა ძირასართულიდან კოტეს ქურქი ამოიტანა. აკაკის პალტოში გამოწყობილმა აბრაგმა ქურქი მას ხელიდან გამოსტაცა, ანიკო წინ გაიგდო და ქვედა სართულისაკენ გასწია. დანარჩენებიც მას გაჰყვნენ. რაც მოეწონათ მოაგროვეს, კოტეს რაჭული ხურჯინი გატენეს და ის იყო წასვლას აპირებდნენ და აკაკის პალტოც და ქურქიც მიჰქონდათ, რომ ცხენის ფეხის ხმა გაისმა. ანიკო მიხვდა, რომ მისი მეუღლე მოვიდა. მას კიდევ უფრო მეტად შეეშინდა და ამ ვიგინდარებს მუხლმოდრეკით ევედრებოდა, რომ ოჯახის მეთაურისათვის არაფერი ევნოთ და აკაკის პალტო დაეტოვებინათ. ეზოში პატარა ბიჭს კოტესთვის ყველაფერი უკვე ემცნო და იგი ოთახში ფრთხილად შემოვიდა.

კოტე ახოვანი, ლამაზი, დინჯი, ცხოვრებისაგან გამობრძმედილი, განათლებული, ჭკვიანი და საქმიანი კაცი იყო. ოთახში შემოსვლისთანავე მათ მიესალმა და აკაკის პალტოში გამოწყობილ აბრაგს მიმართა:

— თქვენ ალბათ გაგიგონიათ, თავად აკაკი წერეთელს მე დიდხანს ვემსახურებოდი მოურავად და სახსოვრად მხოლოდ მისი ნაქონი ნივთები და ეს პალტო დამიტოვა. ამ პალტოს ჰაერი მოხვდება თუ არა, მთლიანად დაიშლება, ძალიან ძველია, თქვენ ის არ გამოგადგებათ. ეს ქურქი კი, თქვენ რომ ხელზე გაქვთ გადაკიდებული, სრულიად ახალია, თქვენი იყოს, ჩაიცვით, მე მგონია კარგად გექნებათ. დამატებით აი კიდევ ესეც მიჩუქნია.

ბატონმა კოტემ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შეიხსნა და დაბალი ტანის ავაზაკს მიაწოდა. კოტეს ვაჟკაცურმა იერმა და საუბრის კილომ ნიადაგზე იმოქმედა და რამდენიმე წუთში აკაკის პალტო თავის მუდმივ სამყოფელ ოთახს დაუბრუნდა, ხოლო მძარცველებმა ღამის წყვდიადს მისცეს თავი.

მეორე დღეს აბდუშელიშვილების ოჯახში დიდი ზეიმი იყო... სამი ქალი გათენებიდან დაღამებამდე წმენდდა აკაკის პალტოს უწმინდურობისაგან.

ეს ამბავი ქალბატონმა ანიკომ ოცი წლის შემდეგ, 1938 წელს მიამბო და თხრობა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— მე მხოლოდ მათი მგლის თვალები ჩამრჩა მეხსიერებაში; თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ შემაზრზენად კიაფობდნენ ისინი სანთლის შუქზე.

## დაუმსახურებლად დასჯილი

1931 წელს ქ. თბილისში დაარსდა საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1932 წელს ინსტიტუტი თელავში გადაიტანეს. აქ თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა მეცნიერებმა, მევენახეობის, მეღვინეობის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის, აგროქიმიისა და ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ენოქიმიის, კლიმატოლოგიის, მცენარეთა დაცვისა და სხვა დარგების სპეციალისტებმა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ფართოდ მიიზიდა ახალგაზრდობაც. 1932 წლის ივლისში მეც მხვდა წილად უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა. პირველსავე წელს მუშაობა საკმაოდ ინტენსიურად გაიშალა, ყველანი თავდადებულად შრომობდნენ. ენოქიმიის ლაბორატორიაში ექვსი თანამშრომელი ვიყავით: ლაბორატორიის გამგე პროფ. ვ. ღვალაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. ბურჯანაძე, უმცროსები ტ. პოლიტოვა და ამ სტრიქონების ავტორი, ასპირანტი ა. ლაშხი და ლაბორანტი ტ. შიუკაშვილი. პირველ ხანებში ჩვენს მთავარ ამოცანას ლაბორატორიის მოწყობა წარმოადგენდა. გვიან ღამემდე ისმოდა ხერხისა და გაზქურის, ქლიბისა და ჩაქუჩის ხმაური. ჩვენი მთავარი რეჟისორი და კონსტრუქტორი ვალიკო ბურჯანაძე იყო. მას ნათელი გონება და, როგორც იტყვიან, ოქროს ხელი ჰქონდა. რას არ გააკეთებდა და რას არ გაგვაკეთებინებდა, ხელოსანიც იყო და ხელოვანიც. ერთმანეთთან მეგობრულად ვიყავით. შრომის ახეთმა წესმა თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და წლის ბოლოს ენოქიმიის ყველა ლაბორატორიული ოთახი მზად იყო. ახლა პროფ. ვ. ღვალაძის დავალებით კვლევის ანალიზური მეთოდების შეთვისებას შევუდექით. ამ საქმეშიაც ჩვენი უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელი ვალიკო ბურჯანაძე იყო. ერთი წლის შემდეგ პროფესორმა ვარლამ ღვალაძემ ყველა ჩვენთაგანს მეცნიერული კვლევის საკუთარი უბანი მიუჩინა და ლაბორატორიაში გაჩნდნენ „ღამის მლოცველნი“

და „ღამის მთეველნი“. მე ადრეც ლაბორატორიაში ვათევდი ღამეს, რადგანაც დირექცია უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს ბინას არ აძლევდა, კერძო ბინები კი მეტად ძვირად ფასობდა და ჩემი ხელფასის მქონე კაცისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ლაბორატორიის თანამშრომელთაგან ნორმალური საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები მხოლოდ ვალიკო ბურჯანაძეს ჰქონდა. მისი მეუღლე, ქალბატონი მარო შესანიშნავი ადამიანი იყო და ლაბორატორიის თანამშრომლებს ყოველთვის დიდი სიხარულით და სიყვარულით გვღებულობდა საკუთარ ოჯახში. ვალიკო უბადლო მეოჯახე იყო და ოჯახიც ბრწყინვალე ჰქონდა. ცოლ-ქმარი ბურჯანაძეები ხელგაშლილად მიგვიღებდნენ ხოლმე, გულს გაგვიხსნიდნენ, მოგვეფერებოდნენ, დაგვაპურებდნენ და ყოველმხრივ ამაღლებულნი ვბრუნდებოდით სამუშაოზე.

ჩვენი კოლექტივი თავისი ორგანიზაციული და მეცნიერული მიღწევებით ერთ-ერთი სამაგალითო გახდა ინსტიტუტში. ამ გარემოებამ თანამშრომლები კიდევ უფრო დაგვაახლოვა და ერთ მტკიცე კონად შეგვკრა.

ვალიკო ბურჯანაძე ადრე ურიათუბნის (შემდგომში ვაზისუბნის) მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში მუშაობდა და კახეთსა და მის მევენახეობა-მეღვინეობას კარგად იცნობდა. ჩვენ, თელავში ახლად ჩამოსულ ახალგაზრდებს, ყველაფერი გვაინტერესებდა. ადრე რამდენი გვიოცნებია, რომ დიდი ილიასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის კარ-მიდამოში მოვხვედრილიყავით. სამწუხაროდ, იმ დროს (1932-1935 წწ.) ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ყვარელში და ალექსანდრე ჭავჭავაძისა — წინანდალში. მათ მიერ კახეთში გატარებულ დღეთა ერთადერთ ცოცხალ მემატიანეს და მოამბეს ჩვენთვის ვალიკო ბურჯანაძე წარმოადგენდა. ზოგჯერ, როდესაც მისი საუბარი მეტად საინტერესო აღმოჩნდებოდა, შეგვატყობდა, რომ ახლა ჩვენი დატოვება ადვილი არ იყო და ღამითაც დარჩებოდა ხოლმე ლაბორატორიაში.

დრო გადიოდა და ჩვენ თანდათან უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს. ვალიკო ჩემზე ათი წლით უფროსი იყო, მაგრამ მისი ემოციური ბუნება ამ ზღვარს შეუმჩნევლად გადააბიჯებდა ხოლმე. ჩვენ ორივეს გვიყვარდა სხვადასხვა ამბების თხრობაც და მოსმენაც.

შემოდგომის პირი იყო და ლაბორატორიებში ციოდა. ოფიციალური სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ვალიკომ კედლის ღუმელი შეანთო და განათებისათვის ღუმელის კარი გამოაღო. ინსტიტუტში ელექტროქსელი ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი. ორივენი ღუმელს მივუჯექით. სიჩუმე ვალიკომ დაარღვია.

— სერგო, შენ მალე 23 წლის გახდები. თუ მეგობრად მთვლი, მომიყევი ყველაზე დიდი საშინელება, რაც შენ აქამდე განგიცდია. თუ შენმა ნაამბობმა ხასიათი არ შემიცვალა, მაშინ მეც მოგიყვები ჩემს ერთ თავგადასავალს, რომელიც დღემდე მტანჯავს.

ჩემთვის ასეთი შეკითხვა უჩვეულო იყო და ვთხოვე ჯერ მას მოეთხრო, მე ამასობაში მოვიგონებ-მეთქი. იწყინა. ისეთი ამბავი, რომლის გახსენებას ფიქრი სჭირდება, რა საინტერესოა! მე ისეთი მაინტერესებს, სულ მუდამ რომ გახსოვს.

1918 წელს სანხერეში ბოლშევიკურმა აჯანყებამ იფეთქა. რვა წლის ბავშვმა პირველად ვნახე ბრძოლაში დაღუპული ადამიანები. ღამით ორი დაჭრილი ახალგაზრდა ჩვენს ეზოში შემოიყვანეს. დილით დედაჩემი ცხარე ცრემლით ტიროდა:

— ვაი, თქვენს უბედურ დედებს, შვილებო... — მიცვალებულები ერთად ესვენა, პირტიტველა ბიჭები იყვნენ. მათ საოცრად მშვიდსა და გაკვირვებულ სახეს შემდეგშიაც ხშირად ვხედავდი ხოლმე.

— ღმერთმა ქნას, რომ რაც ახლა მოყევი, შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ საშინელებად ეს დაგრჩეს. აბა, ახლა მე დამიგდე ყური, — მომმართა ვალიკომ.

— ჩემი პატარაობა ობჩაში გავატარე, ჩვენები იქ ცხოვრობდნენ. პატარაობიდანვე მიზიდავდა ფიზიკური ვარჯიში. განსაკუთრებით ჭიდაობა მომწონდა. მე და ჩემი ტოლები ახალგაზრდა მოჭიდავე კოლია ქვარიანზე ვიყავით შეყვარებული. თუ კი რამე იყო მასზე დაწერილი, ყველაფერი მქონდა შეგროვებული. სასიოცხვოდ მიმაჩნდა, რომ იგი ჯერ კიდევ არ მენახა და ამხანაგებში მრავალ შეთხზულ ამბებს ვყვებოდი. ყველამ იცოდა ჩემი დამოკიდებულება მისდამი. დაბაში ერთხელ ხმა გავარდა, რომ ქუთაისიდან აქ, ობჩაში ჩამოდის კოლია ქვარიანი და დიდი ჭიდაობა გაიმართება. დილიდანვე ცაში დავფრინავდი, ათასგვარ გეგმებს ვაწყობდი. ამისრულდა დიდი ხნის ოცნება და კოლია ქვარიანი ვნახე. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მისმა სილამაზემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ობჩაში ჩამოსვლის წუთიდანვე ჩრდილივით ავედევნე. არავის არ მივეცი საშუალება, რომ მისთვის რაიმე მომსახურება გაეწია. რამდენიმე საათის განმავლობაში არ მოვშორებივარ. საითაც გატრიალდა, მეც იქით მივყევი. აზიური ჩექმები ჩემი ხელით გავხადე. რაც დაჭირდებოდა, უმალვე ვაწოდებდი. მგონი თავისუფალი სუნთქვის საშუალებაც კი არ მივეცი. ღმერთო, რა ბედნიერი ბიჭი ვიყავი მაშინ! ვილაც უფროსმა მხარზე ხელი დამადო და მთხოვა, რომ კარავი დამეტოვებია, უძლეველმა ფალავანმა ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოსო. სწრაფად დავტოვე ისინი და კარვის გარეთ ჩავჯექი. ახლა უკვე ლოდინს ვეღარ ვითმენდი, რომ რაც შეიძლება

მალე მენახა, თუ ჭიდაობის ჯადოქარი როგორ გააკრავდა მინდორს ლორსეულ მოწინააღმდეგეს და სიხარულისაგან მე როგორ ავღრიალდებოდი. ოცნებაში მე უკვე ჭიდაობას ვუცქეროდი, რომ თავბრუ დამეხვა და გული შემიღონდა: კოლია ქვარიანი იქ მყოფთ აფრთხილებდა:

— კარავში ვინმე დატოვეთ. ეს ბიჭი საეჭვოდ იქცევა. ხომ ხედავთ. ჩამოსვლისთანავე გვერდით ამეტუზა და მას შემდეგ ერთი წამითაც არ მომშორებია.

ცნობიერება დავკარგე. კარვახანს არაფერი გამიგონია. გონს როდესაც მოვედი, ჭიდაობის პირველი წრე უკვე დამთავრებულიყო და ვილაც ცეკვავდა. მე კარავის ძირში იმავე ადგილზე ვიჯექი, სადაც პირველად ჩავიმუხლე. ვერ გავერკვიე თუ რა მოხდა... ასე ამისრულდა ახალგაზრდობის ოცნება! მაშინ თხუთმეტი წლის ვიყავი და აბა, თუ შეგიძლია წარმომიდგინე. — დაამთავრა თხრობა ვალიკომ.

კარვახანს ორივენი ვდუმდით. მერე პატიება მთხოვა, რომ ასეთი უმნიშვნელო ამბის გახსენებით შემაწუხა.

მეორე დღეს პირობა ჩამომართვა, რომ მის ნაამბობს არასოდეს არავის არ მოვუყვებოდი, შენი ტკივილით სხვა არ უნდა შეაწუხოო. დამნაშავე მე ვარ, სიყვარულის გამოხატვასაც ალბათ თავისი საზოგადოებრივი ნორმები აქვსო.

გავიდა წლები... ვალიკო ბურჯანაძე სახელმოხვეჭილი მეცნიერი გახდა. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას; ამ დარგის აღიარებული ავტორიტეტი შეიქნა, მაგრამ ბავშვობისას მიყენებული გულისტკივილი სიკვდილამდე შემორჩა.

## მასწავლებელი

**1926** წელს დავამთავრე ქიათურის ცხრაწლიანი საშუალო სკოლა. ჩემი სკოლის დირექტორი ცნობილი ლიტერატორი და კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგავა იყო. მას შესანიშნავი მასწავლებლები ჰყავდა გარსშემოკრებილი. მათი უმრავლესობა მოწოდებით პედაგოგები იყვნენ. მოწაფეებსა და მასწავლებელთა შორის კარგი დამოკიდებულება სუფევდა და მოსწავლეთა უმრავლესობას სკოლის გარეშეც ჰქონდა მათთან ურთიერთობა. ყველა მოწაფეს პედაგოგთა შორის თავისი კერპი ჰყავდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მათემატიკის მასწავლებელი ტიტე ბერიშვილი. იგი გამოირჩეოდა შინაგანი დისციპლინით და საგნის ღრმა ცოდნით, მოწაფეთა მიმართ მკაცრი და სამართლიანი მოთხოვნით, კეთილი ბუნებითა და შრომის დიდი უნარით. შესახედავადაც მომხიბლავი იყო. ვაჟკაცური იერის ახალგაზრდა ათლეტი ჩვენს წარმოდგენაში მათემატიკაზე შეყვარებულ რაინდს წარმოადგენდა. დაფასთან ხომ თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი იყო, რისის ლოგიკითა და ულამაზესი ნაწერით განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთი სიტყვით, გვიყვარდა, ნამდვილად გვიყვარდა ჩვენი ტიტე, როგორც ჩვენ მას ვუწოდებდით.

ტიტე ბერიშვილის გავლენა მოსწავლეებზე უსაზღვრო იყო. მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად დებდნენ ფიცს, რომ უეჭველად მათემატიკას აირჩევდნენ თავის ხატად. უმრავლესობა მათემატიკას მართლაც კარგად სწავლობდა. ბატონი ტიტე გრძნობდა, რომ ჩვენზე დიდი გავლენა ჰქონდა და ყოველთვის მოკრძალებულად გვაფრთხილებდა:

— ნუ აჩქარდებით, კარგად აწონ-დაწონეთ, იფიქრეთ სხვა დისციპლინების გამოყენებაზეც და სპეციალობა შემდეგ აირჩიეთ. არც ისე იოლია თავისთავის მონახვა, როგორც ეს თქვენ ახლა გეჩვენებათო.

ჩვენი სკოლის პირველ ლიდერს, რა თქმა უნდა, იპოლიტე ვართაგვა წარმოადგენდა. იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. თუ ახალგაზრდა ბერიშვილი დიდ იმედებს იძლეოდა, ბატონი იპოლიტე უკვე სახელმოხვეჭილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ და მის მიმართ ჩვენი პატივისცემა და რიდი მის წარსულსაც ეკუთვნოდა და აწმყოსაც. დირექტორის მიმართ ჩვენს სიმპატიებს ისიც აძლიერებდა, რომ ცნობილი იყო მისი მამა-შვილური დამოკიდებულება ჭაბუკ ბერიშვილთან და საერთოდ ახალგაზრდა მასწავლებლებთან.

სკოლაში მოსწავლეთა განსაკუთრებულ ასპარეზობად ითვლებოდა წერა ალგებრასა და ქართულ ლიტერატურაში. ეს დღეები სადღესასწაულო შეჯიბრებებს ჰგავდა. ამ დროისათვის მასწავლებლებიც და მოწაფეებიც საგულდაგულოდ ვემზადებოდით. ყველა ნამუშევარი ხუთბალიანი სისტემით ფასდებოდა. მასწავლებელი საუკეთესოთა და სუსტ ნაწარმოებს გაკვეთილზე ,მოწაფეთა წინაშე არჩევდა. ყველას კარგად უნდა გაეგო რატომ იყო ესა თუ ის ნაწერი საუკეთესო და რაში გამოიხატებოდა რომელიმე ნამუშევრის სუსტი მხარეები.

**1926** წელი ჩემი და ჩემი ამხანაგებისათვის დამამთავრებელი წელი იყო და მასწავლებლები გამოსაშვები გამოცდებისათვის გვამზადებდნენ. საკონტროლო წერის მთელი სერიები ტარდებოდა. დადგა ნანატრი დღე და ორი გადაბმული გაკვეთილი ალგებრის წერას დაეთმო. დაფაზე მკაფიოდ გამოისახა ამოცანის მოცემულობანი და მაგალითები. ყველას სიხარულის გრძნობა დაგვეუფლა; მაგალითები ტიპიური ჩანდა, ამოცანა კი მარტივად და იოლად გადასაწყვეტი მოგვეჩვენა. მეორე გაკვეთილის დამთავრებისას ზოგიერთმა მოწაფემ რვეული ჩააბარა. უმრავლესობა კი განკუთვნილ დროში

ვერ ჩაეტია. მასწავლებლის განაჩენს რამდენიმე დღე გულისფანცქალით ველოდით.

ერთ დღეს ჩვენს კლასში მათემატიკის მეორე მასწავლებელი ერმილე კალანდაძე შემოვიდა და ორი მოსწავლე, მე და ილო აბრამიშვილი, მიგვიხმო, გვთხოვა, რომ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სამასწავლებლოში ავსულიყავით. ზარი დარეკეს თუ არა, ჩვენც იქ გავჩნდით. მაგიდასთან ტიტე ბერიშვილი და იპოლიტე ვართაგავა ისხდნენ. წინ რვეულები ელაგათ და ჩაფიქრებული დასცქეროდნენ. შეგვამჩნიეს თუ არა, ორივენი გვერდზე, აქეთ-იქით მოგვისვეს. მათემატიკის მასწავლებელმა მოგვმართა:

— ამოცანა მხოლოდ თქვენ ორს გაქვთ სწორად გადაწყვეტილი; როგორც ჩანს, წინასწარი მასალა და ახსნა-განმარტებები მე ვერ მოგაწოდეთ ისე ცხადად, როგორც საჭირო იყო. თქვენზე ნაკლები მოსწავლეები არ არიან კაპანაძე, გრძელიშვილი, გუდაძე, ქამუშაძე და, ხედავთ, ყველას ერთნაირი შეცდომა აქვს დაშვებული.

— რას გვირჩევთ, როგორ მოვიქცეთ, გამოსაშვებ გამოცდებამდე თვენახევარი დარჩა. ბატონი იპოლიტე ბრძანებს, რომ ახლა ყველაზე მეტად საკუთარი ძალების რწმენაა საჭირო. რას იტყოდით, რა გავაკეთოთ ამისათვის?

ჩვენ, ორივენი ვდუმდით, ვერ მიმხვდარიყავით, თუ რა სურდათ და რას ელოდნენ ჩვენგან.

— თუ თქვენ დამეთანხმებით, — განაგრძო ბატონმა ტიტემ, — რვეულებს ჯგუფში მე არ დავარიგებ, გამოვაცხადებ, რომ ამოცანა ვერავინ ვერ გამოიყვანა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არა ვართ სათანადოდ მომზადებული-მეთქი და საჭიროა დამატებითი მეცადინეობა. თქვენ ორივეს დაფასთან გამოგიძახებთ და ყველა საკითხი დაწვრილებით გავარჩიოთ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დავეთანხმეთ, მაგრამ ვერ გავერკვიეთ, თუ რატომ ჭირდებოდა ტიტე მასწავლებელს თავისი მოქმედებისთვის ჩვენი დასტური. კიბემდე გამოგვაცილა, მოგვეფერა და გვთხოვა, რომ ეს „შეთქმულება“ საიდუმლოდ შეგვენახა.

ერთი კვირის განმავლობაში გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ამოცანების გამოყვანაში ვვარჯიშობდით.

გამოსაშვებ გამოცდებზე ალგებრის წერით სამუშაოში უმრავლესობამ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასება მიიღო. ზეპირი გამოცდების დროს ბატონმა ტიტემ ცარცის „ქამახ“ უმატა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კმაყოფილი იყო. გამოცდებმა სხვა საგნებშიც ნორმალურად ჩაიარა. დადგა გამოშვიდობების დრო. წლების მანძილზე და-ძმებივით ურთიერთს შესისხლხორცებული ახალგაზრდები ერთმანეთს ვშორდებოდით. ყველანი ვღელავდით, რაღაც უცნობი გრძნობები დაგვეუფლა. ზოგი ხმამაღლა ოცნებობდა, ზოგი კი გულჩათხრობილი დადიოდა. ყველა ცდილობდა, რომ გაზრდილ სკოლასთან რაღაც უხილავი ძაფებით კვლავ ყოფილიყო დაკავშირებული.

საზეიმო ვითარება და ყრიამული დავტოვე და ვაშაძეების უბანში ჩემს პატარა ოთახში განვმარტოვდი. იმავე დღეს საღამოს ჩემთან ბავშვობის ორი მეგობარი მოვიდა: ილო აბრამიშვილი და დავით მაჩიტიძე. მათ ტიტე ბერიშვილის ორი სურათი მოიტანეს. ორივე ბატონ ტიტეს გამოეგზავნა, რომელზედაც მის მიერ წარწერილი მიძღვნა იყო. დავით მაჩიტიძე მუშათა ფაკულტეტზე სწავლობდა. მის კუთვნილ სურათზე ეწერა: „საყვარელ მოწაფესა და მეგობარს“. ისინი ასაკით თითქმის ტოლები იყვნენ და მათი მეგობრული ურთიერთობა ქალაქში ცნობილი იყო. ჩვენ ორისათვის განკუთვნილ სურათს ეწერა: „პატარა მათემატიკოსებს და დიდ მეხაიდუმლეებს სახსოვრად ტიტე ბერიშვილისაგან“.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უკეთეს საჩუქარს ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ წარმოიდგენდა.

## ანდერძი

ოცდაათიან წლებში ასპირანტურის კურსი უფრო მეტი საგნების ჩაბარებას ითვალისწინებდა, ვიდრე ახლა არის მიღებული. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის წინ ექვსი საგნის ჩაბარება მომიწია. საგნებს რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტიტუტში ვაბარებდით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ინსტიტუტი რომელ მეცნიერულ დისციპლინაში ითვლებოდა წამყვან დაწესებულებად. ტექნოლოგია ქ. თელავში საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩავაბარე. საგამოცდო კომისიაში შედიოდნენ მიხეილ ალექსანდრეს ძე გერასიმოვი, ალექსანდრე ლაზარეს ძე შატცკი და ლეონიდ ვლადიმერის ძე სერგეევი. თავმჯდომარე მ. გერასიმოვი იყო სამივენი საბჭოთა კავშირის ცნობილი მეცნიერები იყვნენ. თითოეული მათგანი მრავალი წიგნის ავტორი იყო. ყველას მეტად საინტერესო და მდიდარი მეცნიერული ბიოგრაფია ჰქონდა. ლ. სერგეევი და ა. შატცკი ჯერ კიდევ მეფის დროინდელ რუსეთში იყვნენ ცნობილი. მ. გერასიმოვი შედარებით ახალგაზრდა იყო და საბჭოთა კავშირის მეღვინეობას მეთაურობდა.

გამოცდები 1934 წლის ზაფხულში შედგა. ყველანი მიხეილ გერასიმოვის კაბინეტში ვიყავით. აღმოჩნდა, რომ გამოცდებისადმი სამივეს სხვადასხვა მიდგომა აქვს. მიხეილ გერასიმოვს ნედლეულის ტექნოლოგიური გადამუშავების მეცნიერული დასაბუთება აინტერესებდა, ლეონიდ სერგეევი მთავარ ყურადღებას ქიმიურ

აზროვნებას აქცევდა, ალექსანდრე შატცკისათვის კი ზოგადი განათლება იყო უველაფერი. მათ წინასწარ შედგენილი ბილეთები არ გამოუყენებიათ. რომელსაც რა სურდა, იმას მეკითხებოდა. გამოცდა ორ საათამდე გაგრძელდა. პასუხების შეფასებაზე ჩემი თანდასწრებით მსჯელობდნენ და მე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ნიშანზე ვერ შეთანხმდნენ. კომისიის თავმჯდომარე წინააღმდეგი იყო, რომ ჩემთვის ტექნოლოგიაში ფრიადი დაეწერათ. ლეონიდ სერგეევი გაღიზიანდა:

— მიშა, აბა, დამატებით ჰკითხე რაც გინდა, ერთი ნახე როგორ იცის ქიმია.

გერასიმოვმა მისი თხოვნა უსიამოვნოდ შეასრულა.

— სერგეი ვასილის ძევ, მოგვიყევით რა არის აქტუალური მჟავიანობა და თუ წაგიკითხავთ ამის შესახებ ჩემი წიგნი.

შეძლებისდაგვარად განვმარტე, თუ რადარაგვარი მჟავიანობა არსებობს, თითოეული მათგანი როგორ გამოიხატება და გავჩუმდი. მიხეილ გერასიმოვი ცნობილი იყო ერთი თავისებურებით: საუბრის დროს პირდაპირ სახეში არასოდეს არ შემოგხედავდათ, გვერდზე გაიყურებოდა, თითქოს თქვენ არც გელაპარაკებოდათ. მოხდა სასწაული და მე პირდაპირ თვალებში ჩამაჩერდა და ცინიკურად გაიღიმა.

— ასეთი პასუხი არ გეპატიებათ, ხვალ დისერტაცია უნდა დაიცვათ და ფუნდამენტურ შრომებს არ იცნობთ.

ხაფეთქლებში სისხლი მომაწვა და გულის სიღრმეში რაღაც ამეწვა. მოფიქრება კარგად ვერც კი მოვასწარი, რომ გამოუსწორებელი შეცდომა ჩავიდინე:

— შონის ცნობილ მონოგრაფიას „ფულდილის პრობლემები“ თანდართული აქვს ცალკე თავი „აქტუალური მჟავიანობა“. თქვენ ეს დამატება ცალკე წიგნად გამოეცით, როგორც თქვენი საკუთარი ნაწარმოები.

უხერხულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მ. გერასიმოვი გაფითრდა. ა. შატცკი ფეხზე წამოდგა, ხოლო ლ. სერგეევმა გადაიხარხარა.

ა. შატცკიმ მთხოვა ოთახი დაგვეტოვებია და დერეფანში მომეცადა. მათი ბჭობა კარგა ხანს გაგრძელდა. პირველი ა. შატცკი გამოვიდა, ხელი მომკიდა და ინსტიტუტის ხეივანში გამატარა. მე უკვე ვიცოდი, რომ ძალზე ცუდად მოვიქეცი, მაგრამ რას ვიზამდი, უკვე გვიანღა იყო თითზე კბენანი.

— სერგო, შენ ტექნოლოგიაში ხუთი დავიწერეთ, თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, ახლა უკვე მე ვიყავი წინააღმდეგი. — მომმართა ა. შატცკიმ.

მე ისეთი სულიერი დეპრესია მქონდა, რომ მის ნათქვამზე არავითარი რეაგირება არ მომიხდენია.

— ჩემო ძვირფასო, ყური კარგად დამიგდე ჩემზე უფრო მყრალი კაცი ალბათ ძნელი წარმოსადგენია. არ მახსოვს, რომ ერთსა და იმავე ქალაქში სამ წელზე მეტი მემსახუროს. ყველა სამსახურს იძულებით მატოვებინებდნენ, მაგრამ ასეთი რამ, რაც დღეს გავიგონე, არასოდეს არ მომისმენია. ჩემი მოქმედების გეოგრაფიული არეალი შენს სამშობლოსთან შედარებით მეტად დიდია, მუშაობა შორეულ აღმოსავლეთში დავიწყე და ახლა აქა ვარ. უკან რომ იმავე გზით გავბრუნდე, რა გზითაც მოვედი, რუსეთი ას წელიწადს კიდევ მეყოფა და მაინც მე იმას არ ჩავიდენდი, რაც შენ გააკეთე. რა თავში ვიხლი ასეთ ხუთიანს, შენ რომ დღეს მიიღე. ლეონიდ ვლადიმერის ძემ რომ გადაიხარხარა, იმან არ შეგაცდინოს. მას ბრწყინვალე გერმანული და რუსული სკოლა აქვს გავლილი, ემილ ფიშერის ლაბორატორიაში წლების მანძილზე მუშაობდა, მოხუცდა და ჩვენი ქვეყნისათვის არცერთი კაცი არ გაუზრდია. და იცი რატომ? იმიტომ, რომ თავისთავის გარდა არასოდეს არავინ არ ჰყვარებია. მაგისი აღდგომა მაშინაა, როდესაც ვინმეს გულსა და სულს ჩაუწყვეტს, ადამიანის ყველაზე ბინძურ მხარეს გამოამზეურებს. მე აქედან მალე წავალ. თქვენ ყველას მალე დაგავიწყდებათ არყის ხესავით მაღალი და მოქანავე ალექსანდრე შატცკი, მაგრამ მე მომწონს შენი სულიერი სამყარო. ბიბლიოთეკაში რუბინამ მიჩვენა სია, თუ რა წიგნებს კითხულობ შენ! ვინ იცის, იქნებ სასარგებლო კაცი გამოხვიდე. ამიტომ მინდა ანდერძად ერთი შეგონება დაგიტოვო: ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი მაინც ადამიანია. გაანებე თავი მის მცირე ნაკლს. თუ კი საშუალება გექნეს, ადამიანს მოეხმარე, მის სულს მოეფერე. რაც დღეს გააკეთე, ამხანაგებთან არ მოყვე, არავის არ უთხრა, რომ ადამიანს სული შეურყიე. თუ ვინმეს დანაშაულზე წაასწრო, საქვეყნოდ ნუ გამოიტან, ფეხს გულზე ნუ დააჭერ. გაიაპირე, პირისპირ მარტო შეხვდი და ეცადე საკუთარ სულში ჩაახედო. მე ვიცი, რომ ეს ძნელი გზაა, მაგრამ ამ გზაზე დამარცხება გერჩიოს დღევანდელ შენს გამარჯვებას.

ხვალ დილით ჩემთან შემოდი და გაფორმებული ცნობა საგნის ჩაბარების შესახებ მე მექნება. — დაამთავრა თავისი შეგონება ალექსანდრე ლაზარეს ძე შატცკიმ.

მეორე დღეს ყველა მილოცავდა საგნის „ფრიადზე“ ჩაბარებას, მაგრამ უკვირდათ, რომ უხასიათოდ ვიყავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ჩხეიძე

# ატენური საღამო

იმ ღამეს მცირე წვიმამ დანამა გორის სანახები, დილით გაზაფხულის ცრიატი ამინდი იდგა. მზე მორცხვი პატარძალივით დაჰყურებდა გარემოს და ქროდა აშარი ქარი.

რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელმა იოსებ რთველიაშვილმა მთელი აქტივი შეჰყარა იმაზე საბჭობლად, თუ როგორ უკეთ წავწიოთ წინ საგაზაფხულო სამუშაოებიო, მეც იქ ვიყავი.

სხდომა კულტურის სახლის დარბაზში მიმდინარეობდა, მთავარი მოხსენება მოვისმინეთ და ის იყო კამათი უნდა დაწყებულიყო, რომ უეცრად იოსებ რთველიაშვილი გაუჩინარდა; მალე მეც მიხმეს, გარეთ გამოსულს გაოცებისა და გაურკვევლობის გრძნობა დამეუფლა და უცებ დერეფანში თვალი ვკიდე პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, სახელოვ მამულიშვილს სიმონ ჩიქოვანს; ის თავისებური, რაღაც თბილ, მიმზიდველ და განუმეორებელ საუბარში იყო ჩაბმული; მე რომ დამინახა, მსწრაფლ გამოეყო მოსაუბრეთ და მომესალმა, მომესათუთა, თან დასძინა:

— ავთანდილ, შენი სტუმარი ვარ, მალე დიდ სტუმარსაც შეგახვედრებ, ხელკავი გამიკეთა, — აბა წავიდეთ — იოსებს ბოდიში მოუხადა — შეგაწუხეთო.

იოსები ზრდილი კაცი იყო და ეუხერხულა საპატიო სტუმრის მარტო არა, მაგრამ მაინც მხოლოდ ჩემს ანაბარად გაშვება, სთხოვა — ასპარეზს მეორე მდივანს დავუთმობ და მეც ეხლავე გეახლებითო.

— არაო, — სახტიკად იუარა სიმონმა, — მე ავთანდილიც მეყოფაო, — ქუჩაში გამოვედით, მანქანაში დიდი რუსი მწერალი, ქართველი ხალხისა და პირადად სიმონ ჩიქოვანის მოსიყვარულე და მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი დამხვდა; ის წინ იჯდა, მე და სიმონი უკან მოვთავსდით, მანქანა ტანას ხეობაში შეიჭრა.

როგორც კი ხიდისთავს გვერდი ვუქციეთ და ატენისაკენ პირი ვქენით, სიმონმა ხელები გაშალა და — „არის ეს ხეობა ვენახოვანი, ხილიანი", — აღტაცებით წარმოსთქვა — იქვე დასძინა, — ეს სიტყვები ვახუშტის ეკუთვნის, ვახუშტისავე ეკუთვნის ქებათა-ქება აქაური ღვინისა — „ღვინო ატენური უმჯობესია ყოველთა საქართველოს ღვინოთა", გესმით ნიკოლოზ სიმონის ძევ — ყოველთა საქართველოს ღვინოთა, ე. ი. მსოფლიოს ღვინოთა უწინარესი, ღვინო ხომ ქართულ წარმოშობისაა საერთოდ".

ნ. ტიხონოვი ხმას არ იღებდა, ყურადღებით კი უსმენდა სიმონს და თან გატაცებით უმზერდა ატენის სანახებს.

ჯებირს, რომ გავცდით და გარდატენს გვერდი ვუქციეთ, სიმონმა დარდიანად, თან სიამაყით თქვა:

— დიდია ჩემი ქვეყანა, უკიდეგანოა მისი წარსული; შეუდარებელია მისი ახოები, ზვრები, მთები და გაშლილი მდელოები; ბევრ უამთამწერელს უცდია კალამი მისი განვლილის, გადატანილის ასაწერად, მაგრამ სრულად ჯერაც არავის აღუნუსხავს იგი. ყველგან, მთელს მის ტერიტორიაზე, თითოეულ გოჯა მიწასთან წარსული დიდების კვალიც არის და ამაზრზენი საგოდებელიც.

— აი ატენი, — განაგრძო სიმონმა, — წარსულის დიდების ერთი ლამპარია, მერე მტერთა და მმუსვრელთა მიერ ჩამქრალი და ისე იავარქმნილი, რომ მაშინდელ ატენელთა ჭაჭანებაც არ არის ახლა ამ მიწაზე; ამბობენ გადარჩენილმა რამდენიმე მათგანმა ხიდისთავს შეაფარათ თავი და არც ხიდისთავი გადაურჩა მსახვრელთა ხელს, მტერმა, ვერაგმა, ავხულმა და გულბოროტმა მრავალჯერ მოაოხრა იგი და განა მარტო ის, მაგრამ მტერს როდი ემონებოდა ჩემი ხალხი,

ჩემი წინაპრები, ისინი ფენიქსივით წარმოდგებოდნენ, სისხლსა და იარას მოიწმენდდნენ, ჭრილობებს მოიშუშებდნენ და ხმლითა და კავით, გონებითა და მკლავით აშენებდნენ და იცავდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ.

აი მოწმენი, ატენის მთები, თრიალეთის ქედის ნაწილი, ერთ დროს ფიჭვისა და ნაძვის ხით დაფარული ტურფა სანახავი ახლა მოშიშვლებულია — ესეც მტრის ნახელავია, მოყვრის სახით მოჩვენებულმა უცხოელმა ავგუსტ ზეზემანმა გაჩანაგა იგი.

ჩვენ ყველანი ვდუმდით, ძნელი იყო ხმის ამოღება, ვშიშობდით ხელი არ შეგვეშალა სიმონის ლაღადისათვის, სინანულის გრძნობის ესოდენ წარმტაცად გამოხატვისათვის და აი, ასე შეუმჩნევლად მივადექით დიდ ატენს. ჯამბაკურორბელიანის სახლს რომ გავუსწორდით, სიმონმა ზეაიხედა და თვალი შეავლო მაღლიდან გადმომდგარ ბჭემონგრეულ ციხეს.

— ნიკოლოზ სიმონის ძევ, ეს ციხე ერთ დროს მიუვალი და შეუვალი იყო, დღას იგი ორი ხევის — საცივისხევსა და აბანოსხევს შორის, აქ შეიპყრეს შაჰის გამოგზავნილმა მარბიელებმა მეფე ლუარსაბის დედა და ოჯახი. და განაიოლად დაანებეს ქართველებმა თავიანთი წინამძღოლის ოჯახი; არა! „ქართველები იმ ციხის დაცვაში ამოწყდნენ. მტერმა ციხე აიღო, დედოფალი ნესტანდარეჯანი, დედა მეფე ლუარსაბისა, და მრავალნი სხვანნი ჯალაბნი თავადთანი ტყვე ყვეს“ — ზეპირად მოიტანა ადგილი სიმონ ჩიქოვანმა „ქართლის ცხოვრებიდან“. საერთოდ, საოცარი ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა სიმონს, უზადო მეხსიერება და გადაცემის მიმზიდველი, დამატყვევებელი უნარი.

და აი ატენის სიონიც. მანქანამ მარცხნივ ჩაუხვია და დადგა. ჩვენ სიონის ეზოში შევედით...

ვინ არ მოხიბლულა ატენის სიონით, მისი უნიკალურობით, სივრცით, სილაღით და მაღალმხატვრული ფრესკებით, თუმცა ყოველივე ეს ჟამთა სიავეს შეულახავს და დაუზიანებია; ვინ არ აღტაცებულა ატენის სიონის გარესანახებით, ტანას წარმტაცი ხეობით, ლამაზი მთაგრეხილებით, რომლის ოქროვანი გუმბათი დანახვისაა.

სიმონი კიდევ უფრო გახალისდა, აღტაცებით გვიყვებოდა და გვითხრობდა მრავალ ამბავს თან დახძენდა:

— ქართველებმა იცოდნენ სტრატეგიული ადგილების შერჩევა, ატენი მრავალ გზათა ფოკუსია, აქედან ძველად ბევრი გზა გადიოდა, მათ შორის: მანგლის-თრიალეთისაკენ, აქედან გადასვლა შეიძლება მესხეთ-ჯავახეთში და ბოლოს, ტაო-კლარჯეთით — ბიზანტიაში. ეს ხეობა ყველაზე ვიწროა და მხოლოდ აქ, სიონთან უნდა მოკვეთილიყო მტერი, რომ ქართლის პოლიტიკურ მეთაურს — უფლისციხეს — მისი მსახვრელი ხელი არ შეხებოდა.

მერე სიმონი სიონში შეგვიძღვა და ძალიან მიმზიდველად ისაუბრა ქართული კულტურის შესახებ საერთოდ და განსაკუთრებით მეშვიდე საუკუნის კულტურაზე, როცა ეს უებრო, უნიკალური ძეგლი იქნა აშენებული, მოვინახულეთ კედლებზე შემორჩენილი წარწერები და ბოლოს სიონის სამხრეთ მხარეს მცირე სუფრა გაიშალა.

სუფრას სიმონი თამადობდა, ნ. ტიხონოვი მეტად კმაყოფილი იყო, ხალისიანად, აღტაცებით ყვებოდა საქართველოს სხვა კუთხეებზე, უაღრესად დიდ ცოდნას ამჟღავნებდა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ჰყვებოდა ადამიანებზე, მათთან შეხვედრებზე, კმაყოფილებით იხსენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გატარებულ დროს, შეტრფოდა ატენის სანახებს, მის ლამაზ, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებულ, შეუდარებელ ხეობას და ასე გადიოდა დრო.

დღე გაფერმკრთალდა, ტანას ხეობაში დაძრულმა ნიავმა მოგვიალერსა და ნ. ტიხონოვმა ჭიქა ასწია.

— ლამაზ, წარმტაც მღელვარე წარსულის და მიმზიდველი აწმყოს მქონე საქართველოს, მის ასევე დიდბუნებოვან, მკლავმოუდლელ და გონება მოუდლელ ხალხს, ამ პატარა ქვეყანაში მცხოვრებ დიდ ხალხს გაუმარჯოს, — სთქვა ტიხონოვმა.

სიმონს ეამა ნ. ტიხონოვის ასე გზნებით, გულწრფელად წარმოთქმული სადღეგრძელო, მსწრაფლ ზეზე წამოიჭრა, ატენურით სავსე ჭიქა შემართა და სიონის კალთის ფრიალო პლატოზე შედგა, ხელი თრიალეთის მთებისკენ გაიშვირა, მერე ნახევარი წრე მოხაზა და განუმეორებელი, გულში ჩამწვდომი ხმით დაიწყო თავისი ლექსის კითხვა:

— ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი,
ქართლში ვინ პოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

სიმონმა ბოლომდე ჩაიკითხა თავისი ლექსი. ჩვენ თითქოს სადღაც, ისტორიის მოსახვევებში დავქროდით, მომხვდურ მტერს ვმუსრავდით, დანგრეულს ვაშენებდით, ვწერდით, აღტაცება გვიპყრობდა. ერთი სიტყვით, თავდავიწყებაში ვიყავით, მოხიბლულნი და აღტაცებულნი ვუსმენდით სიმონს და როცა იგი დაცხრა, მე თვალი ნიკოლოზ ტიხონოვისკენ გავაპარე; მის ნათელ შუბლს თითქოს შარავანდედი დასთამაშებდა და წამიერად შეჩერებულს თვალები უბრწყინავდა, იყო აღტაცების, გატაცების წუთი, იდგა ერთი ჩვეულებრივი ატენური საღამო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

# ლეგენდების სამყაროში

ჩემ წინ დევს მარგო თომაძის ჩინებულად აღკაზმული ახალი წიგნი — „წყაროსთან თეთრი ქვებია". ისედაც მშვენიერ გამოცემას შნოსა და ლაზათს მატებს ბელა ბერძენიშვილის მიერ ნიჭიერად შესრულებული ფერადი ილუსტრაციები; აქ თავმოყრილია 36 მცირე ზომის მოთხრობა — მოკრძალებით შეკინძული კრებული ლეგენდა-თქმულებებისა, რომლებიც ავტორს წლების განმავლობაში სიყვარულით უგროვებია სოფელ-სოფელ მოგზაურობისას. აქ ყოველი ადგილობრივი გამოთქმა და ხალხური სენტენცია გულში ჩამწვდომად ჟღერს.

მარგო თომაძეს საჭირო საქმე გაუკეთებია: შეუკრებია და ოსტატურად დაუმუშავებია წყაროებთან დაკავშირებული ხალხური ლეგენდები. ხალხში მარგალიტივით მიმობნეული თქმულება-გადმოცემები გვაგრძნობინებენ ადამიანის მზრუნველობას წყაროზე. გეგონებათ, თითქოს კაცი ანკარა წყაროს პირას ქვაზე ჩამომჯდარა, ჩასცქერის ნაკადულის კრიალა ჭავლებს და დაუსრულებლად გიამბობს გარდასულ დროთა მისტერიებს. საუკუნეთა სიღრმიდან გესმით მამაპაპათა სიხარული და წუხილი, ადამიანის საოცარი თავგადასავალი.

დიახ, ამეტყველებულა ანკარა წყარო! მომხიბლავ ლეგენდებში ორგანულადაა შერწყმული გუშინდელი და დღევანდელი, ბედნიერი აწმყოსა და მომავლის ღიმილი.

წყარო, ისევე როგორც ქანგბადი, მაცოცხლებელია კაცისა. სადაც წყარო ჩქეფს, იქ სიცოცხლეა, ხარობს ადამიანი, ყოველი სულდგმული, მცენარე. წყალი სიცოცხლის დაუშრეტელი წყაროა. ამიტომაა, რომ მისი მოვლა, მოფრთხილება, მთელი ბუნების, მთებისა და ხეების, ტყეებისა და მდელოების, მდინარეებისა და ტბების, წყაროებისა და ნაკადულების დაცვა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოვალეობაა. შოთა ნიშნიანიძე სწორედ ამბობს: „ნეტა ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება — ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად, წევს ვეფხვის ტყავზე საქართველო — მზისწილხვდომილი, თავს დასდგომია იალბუზი ხელაპყრობილი"...

დიდად საჭირბოროტო საკითხებზე ჩააფიქრებს მკითხველს მარგო თომაძის „წყაროსთან თეთრი ქვებია". ამისთანა შინაარსის წიგნი დღემდე არ გვქონია. მერმე-და როგორ საჭირო იგი, რა მდიდარი ინფორმაციაა დატეული ამ პატარა წიგნში! მწერალი ფრთხილად უვლის ყოველ ფრაზას. ავტორს სამშობლო ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხე მოუვლია, თავად უხილავს წალკოტად ქცეული ადგილები, უტყვი და მეტყველი წყაროები. ამჟამად კი მოკრძალებით შეკრებილი მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოუტანია მკითხველს სამსჯავროზე. ის, რაც აქ წარმოდგენილია, კარგად გვაგრძნობინებს იმასაც, რაც კვლავ ელოდება გამოცემას.

მწერალი სიყვარულით გვაცნობს ბრძნულ ხალხურ ლეგენდებსა და შეგონებებს. ყური დავუგდოთ, რა შემოუნახავს ხალხის ხსოვნას, გავიხსენოთ თუნდაც მტრედის წყაროს რაჭული ლეგენდა: ნიკორწმინდის ტაძრის მშენებლებს გავარვარებული მიწიდან ავარდნილი ხვატი სულს უხუთავდა. ცად ალმართულ ხარაჩოებს ფუტკარივით შესეული ადამიანები ცივ წყალს ნატრულობდნენ. ხუროთმოძღვარმა თავის მზეთუნახავს უბრძანა: წადი, მონახე, არ შეიძლება, ამ წალკოტად ქცეულ მიდამოში სადმე წყარო არ იყოსო! წავიდა მზეთუნახავი. უცებ დაბურული ტყე ციური შუქით განათდა: ბალახებში მკლავის სისხო წყარო ქუხდა და მტრედისფრად მოკამკამე მცირე ტბას აყენებდა. ქალიშვილმა პეშვით წყლის გემო გასინჯა, სურა აავსო და უკანვე გამობრუნდა. ტაძრის მშენებლებმა გაიხარეს, წყურვილი მოიკლეს, წყაროს ფასადი გაუკეთეს, ზედ მისი აღმომჩენი მზეთუნახავის პორტრეტი დახატეს, მხარზე დოქითა და ხელის გულზე ასაფრენად ფრთებგაშლილი მტრედით. ასე გაჩნდა მტრედის წყარო...

სიღნაღში არის განთქმული წყარო — თავგატეხილა. თავგატეხილა თუ დალიე, სიღნაღს ვერ დაივიწყებო. ამ წყაროზე ხალხში ბევრი ლეგენდაა დარჩენილი, მაგრამ ერთი მათგანი მაინც ყველაზე უფრო მოსაგონარია: სიღნაღელთა ჩვეულებით, პატარძალს ორმოცი დღის შემდეგ ხელში კოკას მისცემდნენ და

წყაროსკენ გაასეირნებდნენ. წყაროზე პატარძალს კოკისათვის თავი უნდა მოეტეხა, აევსო და შინ წაეღო. თავგატეხილ კოკას კი ზედაშეს უწოდებდნენ. ზედაშე პატარძლის განკარგულებაში იყო. ვისაც კი მოსწყურდებოდა, მისთვის უნდა მიემართა. სიკვდილის წინ თავგატეხილას წყარო ინატრა თურმე აქაურმა მკვიდრმა, განთქმულმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა: მომიტანდეთ, შემასმევდეთო, — აბეზალომივით ჩაიღიღინა ვანომ...

ადიგენის რაიონში, შავშის წვერის მთის სამხრეთ ფერდობზე არის ვინ გიშლის წყარო. ლამაზი ლეგენდა გვაუწყებს: მწყემსი გოგო და ბიჭი აქ ცხვარს აძოვებდნენ. ბიჭმა გოგოს კრძალვით გახედა და ძლივსძლივობით ამოღერღა სამი სიტყვა: უნდა გაკოცო, გოგოვ! გარინდული გოგო ვაზის რტოსავით შეირხა, წარბები ოდნავ მორკალა, თავი ზევით არც აუწევია, ისე ჩაილაპარაკა: ვინ გიშლის! ასე გაჩენილა მშვენიერი ტოპონიმი „ვინ გიშლის წყარო“.

არაგვის ხეობაში ვის არ უნახავს წიწამურის წყარო. გადმოცემით, იგი თითქოს ილიამ გადმოაყვანინა ზედაზნის კალთებიდან. ილიას ძალიან უყვარდა ამ წყაროსთან ჩამოჯდომა და დასვენება. სწორედ ამ ადგილას დაესხნენ თავს სიკეთის მოციქულს შარაგზის ყაჩაღები და ნათელი შუბლი ტყვიით შეუნგრიეს. ამ საშინელ დღეებში თურმე აღარ ისმოდა წყაროს ჩუხჩუხი. მწერალი მოგვითხრობს: „ვინა თქვა, წყარომ დარდი არ იცისო? დაშრა და დაიწრიტა მაშინ წიწამურის წყარო, წვეთებად მოწანწკარებდა, განსაკუთრებით ღამით, როცა ყველას ეძინა, როცა ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა და არ ისმოდა „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

ასე ცოცხლად იკითხება მშვენიერი ლეგენდები მთაწმინდის წყაროს, აკაკის, ვაჟას, თამარის, შოთას, გალაკტიონის, ყინწვისის, ყორანას, ჭოეთის, კალიას, გვირაბისა და სხვა წყაროთა შესახებ.

წკრიალა ქართულით დაწერილ წიგნს ლეგენდების სამყაროში გადავყავართ. მკითხველის თვალწინ გადაიშალა და ცოცხლდება ტურფა საბალნარო, ძველი და თანამედროვე კოხტა სოფლები და დაბები, მაღალი მთები და დაბურული ტყეები, ცადატყორცნილი კლდეები და თვალუწიერი ველები, წყალუხვი მდინარეები და ანკარა წყაროები, კაცის მარჯვენით აგებული ციხე-ტაძრები და კოშკები, მთელი ქართული მიწაწყალი, თავისი სვებედნიერი ადამიანებით. გაკეთებულია უეჭველად სასარგებლო საქმე, შექმნილია კარგი საკითხავი წიგნი. გული კი მაინც გწყდება. კიდევ ბევრი წყაროს ლეგენდის გაცნობა გსურს. უკვდავების წყაროს წყლებით ხომ დასერილია ჩვენი ბარი და მთა.

გვჯერა, მწერალი კვლავ დაუბრუნდება ამ თემას და ლეგენდების ახალი კრებულით გაგვახარებს.

მაცოცხლებელი წყაროს წყალსავით ესალბუნება მკითხველის გულს ყოველი ახალი კარგი წიგნი. მათ შორისაა მარგო თომაძის „წყაროსთან თეთრი ქვებია“.

ალექსანდრე ღლონტი

# განვლილი დღეების გახსენება

ლიტერატურის ისტორიაში მემუარული ჟანრის ნაწერებს მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გამოჩენილი ფრანგი მწერალი პროსპერ მერიმე საგანგებოდ აღნიშნავდა: „უნდა გამოვტყდე, რომ თუკიდიდეს ხალისით გავცვლიდი ასპაზიას, ანდა პერიკლესის რომელიმე მონის ნამდვილ მემუარებში, ვინაიდან მემუარები ავტორის თავისუფალი საუბარია მკითხველთან და იძლევა ადამიანის მხოლოდ იმ ასახვას, რომელიც მხიბლავს და მიზიდავს“.

ქართული მემუარული ლიტერატურა ძალიან ღარიბია. ჯერ კიდევ რევოლუციამდე კიტა აბაშიძე ჩიოდა ამის გამო წერილში „ჩვენი მწიგნობრობა და კრიტიკის უქონლობა“; იგი წერდა, რომ „შეუძლებელია ყოველმხრივ, სავსებით განსაჯო შორეული თუ ახლო წარსულის რომელიმე ლიტერატურული მოვლენა, რომელიმე ნაწარმოები, თუ არ იცი იმ დროის მთელი შინაგანი ვითარება, ფიქრები და ხასიათი თვითონ მწერლისა, რომელსაც ყველაზე კარგად მემუარული ნაშრომები გადმოსცემენო“. კ. აბაშიძის ამ სიტყვების შემდეგ ქართული მემუარული ლიტერატურა არც ისე დიდად გამდიდრებულა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ღრმა ინტერესს იწვევს ყოველი მოგონება, მემუარული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც წარსულის სურათებს დაგვიხატავს.

ამ რამდენიმე წლის წინ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პროფ. დავით კობიძის მოგონებათა წიგნი „როცა ახალი

ცხოვრება იწყებოდა“; ეს კრებული ავტორმა ძირითადად გადაამუშავა, გაამდიდრა საინტერესო ფაქტობრივი მასალებით. ახალი, შევსებული გამოცემა ამჯერად გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ“.

დ. კობიძე თავის მოგონებებში აგვიწერს ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ატმოსფეროს. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები; ქართველი ხალხი იწყებდა თავის ისტორიის ახალ ეპოქას, ეწეოდა დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას სოციალიზმის ასაშენებლად. ქართველი ინტელიგენცია, მისი მოწინავე რაზმი იდგა თავისი ხალხის მხარდამხარ. განახლების პროცესი კულტურის სფეროშიც მთელი ძალით მიმდინარეობდა. მაგრამ ახლის წარმოქმნის გზაზე ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მწერლები გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებში, არსებობდა ურთიერთ დაპირისპირებული ლიტერატურული სკოლებიც, მაგრამ ისიც ნათელი იყო, რომ ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა სულ უფრო და უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს, მის მხარეზე გადადიოდნენ მწერლები, რომლებმაც ადრე უკვე მოიხვეჭეს სახელი და მკითხველის სიყვარული დაიმსახურეს.

დავით კობიძე სწორედ იმ ხანებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, წერდა ლექსებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. მართალია, ის ბოლომდე არ გაჰყოლია პოეზიას; იგი დღეს ცნობილი ირანისტია და მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ზრდის და ხელს უწყობს ახალგაზრდა ირანისტთა კადრებს. დავით კობიძეს, როგორც მეცნიერსა და როგორც ირანისტს, როგორც შესანიშნავი გამოკვლევების ავტორს ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობის თემაზე, იცნობენ არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც.

20-იან წლებში დავით კობიძე დაახლოებული იყო იმ თვალსაჩინო ქართველ მწერლებთან, რომლებმაც შემდგომში შექმნეს ახალი ქართული საბჭოთა პოეზია. ავტორი მოგვითხრობს გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლო მიწიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, იონა ვაკელის, ალიო მაშაშვილის, კარლო კალაძის, ვიქტორ გაბესკირიას და სხვათა მოღვაწეობაზე, იხსენებს საინტერესო შეხვედრებს, ლიტერატურულ საღამოებსა და დისპუტებს.

იმდროინდელი ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორი დაწვრილებით ჩერდება, კერძოდ, „ცისფერი ყანწების“ ჯგუფზე და აღნიშნავს, თუ რა დიდი როლი შეასრულეს მათ ქართული ლექსის განვითარების თვალსაზრისით; აქ იგი ამბობს: „აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობის დახასიათებისას უნდა დავეთანხმოთ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარს პროფ. ს. ჭილაიას. ის წერს: „ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყოველთვის ზუსტი ლიტერატურული თვალსაზრისი არ ჰქონია ამ ავტორების შეფასების დროს. ბევრ შემთხვევაში ცალმხრივი ვიყავით მათი ღვაწლის დახასიათებისას. ამ მწერლების შემოქმედებითი გზის განხილვა შესაძლებლობას მოგვცემს თვალნათლივ დავანახოთ მკითხველს, განსაკუთრებით კი ჩვენს ახალგაზრდობას, რომ მათი ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ის არის ყველაზე ძვირფასი და საინტერესო, რაც უკავშირდება რეალიზმს, საბჭოთა ეპოქას, ხოლო მათ ადრინდელ ზაუმურ-სიმბოლისტურ ძიებებს ლიტერატურისთვის თუ აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. თავისთავად კი ამ თაობის მიერ ლიტერატურული ფორმის საკითხის მწვავედ დაყენება და ფორმალიზმით გატაცება მომზადებული იყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების პირობებით“.

შემდეგ დ. კობიძე განაგრძობს:

„ჩემი აზრით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეცნიერული გზებითა და მეთოდებით შესწავლილ იქნეს თვითეული ლიტერატურული მიმართულება, დაჯგუფება, რომლებიც კი ჩვენში არსებობდა (სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და სხვ.) ასეთი გამოკვლევები და მონოგრაფიები საჭიროა ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის.

ამასთან, ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის მუშაობაში გარკვეული ადგილი უნდა დაუთმოს ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობის პერიფერიულ განშტოებათა შესწავლას, რადგანაც უამისოდ მთელი ლიტერატურის პროცესების შესახებ ძნელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

საქმე ის არის, — დაასკვნის კობიძე, — რომ ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობის ნაპირებზე მთელი რიგი პოეტები და მწერლები რჩება, რომელთა შემოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების მოტივებით არ არის დამძიმებული, ისინი განზე დარჩნენ, მაგრამ მათი შემოქმედების შესწავლა ამა თუ იმ საკითხის კვლევისას ზოგჯერ დიდ დახმარებას გვიწევს. ჩემს მოგონებებში მე, ზოგჯერ, ყურადღებას ვუთმობ დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ, ან ნაკლებად ცნობილ პოეტებს, რომლებიც „ნაპირებზე დარჩნენ“, მაგრამ მათი შესწავლაც საჭიროდ მიმაჩნია XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული პოეზიის სრული სურათის აღსადგენად“.

ამ ხარვეზის შესავსებად დავით კობიძე თა-

ვის მოგონებებში მრავალ დავიწყებულ სახელს ახსენებს.

თუ როგორ იყო გატაცებული მაშინდელი ახალგაზრდობა პოეზიით, ამის შესახებ ავტორი შენიშნავს:

„მაშინდელი ახალგაზრდობა ძალიან იყო დაინტერესებული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებით. მწერალთა სასახლეში (მაშინ ხელოვნების სასახლეს უწოდებდნენ) კვირაში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც საჯარო მოხსენებები იმართებოდა; მოხსენებებს უმეტესად მწერლები (იშვიათად მეცნიერები) კითხულობდნენ. სხდომებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ბევრი მოხსენება მაღალ დონეზე იდგა. მე არასოდეს დამავიწყდება, მაგალითად ლეო ქიაჩელის ძალიან საინტერესო მოხსენება დიდი ფრანგი მწერლის რომენ როლანის შესახებ".

მეტად საინტერესოა დ. კობიძის მოგონება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების შესახებ. ჩვენ ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში, ერთად ვისმენდით იმ პროფესორ-მასწავლებლების ლექციებს, რომლებსაც დ. კობიძე იგონებს თავის წიგნში „როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა". ავტორი ერთი კალმის მოსმით გვიხატავს ჩვენთვის მუდამ საყვარელი და ძვირფასი პროფესორების პორტრეტებს. აი, ლექციაზე შემოდის აკაკი შანიძე. ოქროსფერი ხუჭუჭი თმები ამშვენებენ მის მომღიმარ და ნათელ სახეს. გვესალმება და წარმატებას გვისურვებს ცხოვრებაში, მეცნიერებაში. დინჯი და აუჩქარებელია კორნელი კეკელიძე, ეს მთაწმინდელებისა და ათონელების დიდი მესაიდუმლე, რომელმაც ჩამოაყალიბა და საფუძველი დაუდო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას. აი, არნოლდ ჩიქობავა, დიდი მეცნიერი და დიდი მოქალაქე, რომელიც ლექციებს გვიკითხავდა ზოგად ენათმეცნიერებაში. მისი ლექციები იმდენად საინტერესო, დამაფიქრებელი და პრობლემატური იყო, რომ სტუდენტს მუდამ ძიებაში და შრომაში ამყოფებდა. აქვე იგონებს ავტორი გამოჩენილ მეცნიერებს — გიორგი ახვლედიანს, ხერგი დანელიას, იუსტინე აბულაძეს, ვარლამ თოფურიას, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ხუნდაძეს და სხვებს.

ჩვენთვის დიდად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ვახტანგ კოტეტიშვილის შემოსვლა ლექციაზე, რომელსაც სტუდენტობას უშუალოდ პოეზიის სამყაროში შეჰყავდა [illegible] ჭეშმარიტი პოეზია იყო; როდესაც ვახტანგ კოტეტიშვილი ხალხური პოეზიიდან ლექსს კითხულობდა, ის განცდისაგან იწვოდა, თრთოდა. მას ოდნავ სევდანარევი ხმა ჰქონდა და შემდეგ, როდესაც მე მოვისმინე უშანგი ჩხეიძის ხმა, როდესაც მსახიობი ვეფხისა და მოყმის ლექსს, ანდა სიმონ ჩიქოვანის პოემას „დავით გურამიშვილს" კითხულობდა, ვახტანგ კოტეტიშვილი გამახსენდა.

აი, როგორ აგვიწერს დავით კობიძე ვახტანგ კოტეტიშვილის სახეს: „ახლაც თვალწინ მიდგას საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, თმახუჭუჭა კაცი, რომელსაც ჰალსტუხის ნაცვლად ბანტის ტარება უყვარდა. მას ერთი შეხედვით, თითქოს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ როცა საუბარს დაიწყებდა, პირველი შთაბეჭდილება იფანტებოდა, თქვენს წინ იდგა თავაზიანი, ტკბილმოუბარი, ღრმა პატრიოტული გრძნობებით ანთებული გულით, მრავალმხრივი განათლების მქონე მეცნიერი, რომელიც არაფერს არ ზოგავდა იმისათვის, რომ ჩვენთვის მეტი ცოდნა გადმოეცა".

ამ მოგონებებში სხვაც ბევრი რამ არის საინტერესო. აი, თუნდაც ცნობები იური მარზე — იგი მასწავლებელი იყო ჩოხატაურის სკოლაში, ლექციებს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში; შემდეგ აქვეა ცნობები ფერეიდნელ ქართველებზე — სეიფოლა იოსელიანზე; მოგონებებში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ეპოქის დიდ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს; ავტორი მოგვითხრობს მის ლიტერატურულ საღამოებზე, იძლევა პოეტის პიროვნულ დახასიათებას.

საინტერესოა ავტორის ჩანაწერებიც თავისი მასწავლებლობის დროიდან. აქ მოცემულია მკაფიო სურათი იმ დროის აჭარის ცხოვრებისა.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის დ. კობიძის წიგნს, რომელმაც საინტერესო მასალებით გაამდიდრა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, აღადგინა 20-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების მრავალი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა; ამ წიგნს მკითხველი დიდი ინტერესით წაიკითხავს.

ალექსანდრე სიგუა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ